ბიბლიოთეკა

პლუტარქე

გამომცემლობა
საქართველოს მაცნე

უაკ (UDC) 94 (38)
პ – 463

პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიების“ მესამე წიგნში მკითხველი გაეცნობა ძველი საბერძნეთისა და რომის ისეთ ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრებას, როგორებიც იყვნენ ძმები გრაკხუსები, ალკიბიადე, კორიოლანუსი, კატონი და კიდევ ექვსი პიროვნება; ავტორი აღწერს თითოეული მათგანის როგორც აღზევების, ისე დაცემის მიზეზებს, ხალხის მიერ მათდამი გამოჩენილ სიყვარულსა თუ შერისხვას.

ძველბერძნულიდან თარგმნა
და შენიშვნები დაურთო
აკაკი ურუშაძემ

მხატვარი
სპარტაკ ცინცაძე

ISSN 1512-2921
ISBN 978-9941-16-181-0 (ტ. 22)

თემისტოკლე





1. თემისტოკლეს ისეთი ჩამომავლობა როდი ჰქონდა, მისი სახელის აღზევებას შეშველებოდა. მამამისი ნეოკლე წარმოშობით ლეონტისის ფილის ფრეარეს დემიდან გახლდათ[1] და ათენის წარჩინებულთა ფენას არ მიეკუთვნებოდა; დედის მხრივ კი, როგორც გადმოგვცემენ, ნაბუშარი იყო[2].

აბროტონონი - თრაკიელი ქალი ვარ, მაგრამ
ამაყად მეთქმის: თემისტოკლე ვუშვი ბერძენთა,[3] —
უთქვამს დედამისს.

ფანია წერს: თემისტოკლეს დედა თრაკიელი კი არა, კარიელი ქალი იყო და სახელად ევტერპე ერქვა და არა აბროტონონიო. ნეანთე, თავის მხრივ, დასძენს: ამ ქალის სამშობლო ჰალიკარნასიაო.

უკანონოდ შობილნი, ჩვეულებრივ, თავს იყრიდნენ კინოსარგესში (ეს გახლდათ ქალაქგარეთ მდებარე, ჰერაკლესადმი შეწირული გიმნასიონი: ჰერაკლე ხომ ნამდვილ ღმერთებს არ მიერიცხებოდა; იგიც უკანონოდ შობილად ითვლებოდა, რაკი დედამისი მოკვდავი ქალი იყო[4]. თემისტოკლემ წარჩინებული წარმომავლობის ზოგი ახალგაზრდა დაარწმუნა, იმათაც კინოსარგესში ევლოთ და სავარჯიშოდ ტანი მასთან ერთად დაეზილათ. ამ ხერხით თემისტოკლემ, ჩანს, უკანონოდ შობილთა და წარჩინებულთა შორის არსებული ზღვარი მოსპო. ამასთანავე, სრულიად აშკარაა, იგი დაკავშირებული იყო ლიკომედების გვართან. სიმონიდეს გადმოცემით, თემისტოკლემ აღადგინა და მოახატვინა ფლიელთა ქალაქში[5] მდებარე ლიკომედების საგვარეულო ტაძარი, რომელიც ბარბაროსებს გადაეწვათ.

2. ერთხმად აღიარებენ, რომ თემისტოკლე ბავშვობაში აღსავსე

იყო მგზნებარებით; გამოირჩეოდა ბუნებისაგან მიმადლებული ჭკუით, დიდ საქმეთა ხელმიმყოფლობით და საზოგადო მოღვაწეობისაკენ ლტოლვით. მეცადინეობათა შეწყვეტისა და დასვენების ჟამს სხვა ყმაწვილებივით თამაშობასა და ლაზღანდარობას კი არ უნდებოდა, არამედ ასეთ დროს ხშირად უხილავთ განმარტოებული და რაღაც რაღაც სიტყვათა შედგენითა და წარმოთქმით გართული. ეს სიტყვები მისი ზოგიერთი ამხანაგი ბალღის გასამტყუნებელი თუ დასაცავი ყოფილა. სწორედ ამიტომ მოძღვარი ხშირად ეტყოდა თურმე: „შენ, ყმაწვილო, პატარა კაცი როდი დადგები; ან დიდი სიკეთის მატარებელი იქნები მთლად ანდა ბოროტებისა!“

ზნეობის გასაწვრთნელ, ასევე განცხრომისა და ლაღი გართობისათვის გამიზნულ საგნებს თემისტოკლე ზანტად და უხალისოდ სწავლობდა; მაგრამ იმას, რაც ცოდნას უნერგავდა და საქმეს აჩვევდა, ცხადზე ცხადი იყო, საკუთარ ბუნებას მინდობილი, თავისი ასაკისათვის უჩვეულო გულისყურით ეკიდებოდა. ისინი, რომელთაც თავი განათლებულად მოჰქონდათ, ეგრეთ წოდებული ნატიფი და საგანგებოდ დახვეწილი გართობების დროს დასცინოდნენ. ისიც იძულებული იყო, თავი დაეცვა და მათთვის უკმეხად ეთქვა: მართალია, ჩანგის აწყობა და ბარბითზე დაკვრა არ ვიცი, მაგრამ თუ უმნიშვნელო და უსახელო ქალაქს ჩამაბარებენ, მე მას სახელს გავუთქვამ და აღვაზევებო! სტესიმბროტე[6] კი გვიმტკიცებს: თემისტოკლე ანაქსაგორას უსმენდა და მელისე ფიზიკოსთანაც[7] მეცადინეობდაო; მაგრამ იგი აქ დროში ცდება. საქმე ის გახლავთ, როცა პერიკლემ სამოსელებს ალყა შემოარტყა, მის წინააღმდეგ სწორედ მელისე სტრატეგოსობდა. პერიკლე კი თემისტოკლეზე ბევრად უფრო გვიან დაიბადა და ანაქსაგორაც მისი თანამედროვე იყო. ამიტომ აჯობებს, თუ კაცი დაუჯერებს იმათ, რომლებიც ამბობენ: თემისტოკლე იყო ბეჯითი მოწაფე ფრეარელი მნესიფილესი, ვინც არც რიტორი ყოფილა, და არც იმ ფილოსოფოსთაგანი, რომელთაც ფიზიკოსებს უხმობენ. მისი ხელობა გახლდათ ის ეგრეთ წოდებული „სიბრძნე“,[8] რაიც სხვა არა იყო რა, თუ არა სახელმწიფოს მართვის ოსტატობა და საქმიანობისათვის გამოსაყენებელი ცოდნა. მნესიფილემ იგი მემკვიდრეობით მიიღო სოლომონისაგან, დახვეწა, დაიცვა და მოძღვრებად აქცია. მერმე ეს მოძღვრება ახალმა მოღვაწეებმა სამოსამართლო მჭევრმეტყველებას შეურიეს, საქმეს დააცილეს და ცუნდრუკსიტყვაობისაკენ წარმართეს. ამ მოღვაწეთ სახელად სოფისტები შეერქ-

ვათ. თემისტოკლე სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული იყო, როცა მნესიფილეს დაუახლოვდა.

ახალგაზრდობაში, პირველ მისწრაფებათა ჟამს, თემისტოკლე მერყევი, დაუდეგარი ხასიათისა გახლდათ. იგი ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ ბუნებას, რომელიც გონების მოწოდებისა და აღზრდის საფუძვლის გარეშე დიდ ცვლილებებს იწვევდა მასში: ხან აქეთ ეწეოდა, ხან – იქეთ; უპირატესად კი, ავი საქმისაკენ მიდრეკდა. ამას თვითონაც აღიარებდა და ამბობდა: ყველაზე ურა და დაუოკებელი კვიცებიც კი საუკეთესო ბედაურებად იქცევიან შესაფერი აღზრდისა და გახედნის შედეგადო. ხსენებული ხასიათის გამო ზოგიერთმა შეთხზა გადმოცემა, თითქოს მამას საჯაროდ მოეკვეთოს თემისტოკლე, ხოლო დედას, შვილის უზნეობით შეწუხებულს, თავი მოეკლას. მე მგონი ეს მოჭორილი ამბავია. არიან ისეთებიც, რომლებიც პირიქით იმას გვიმტკიცებენ, მამა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან შვილის ჩამოშორებას ცდილობდა და ზღვის სანაპიროზე უყურადღებოდ მიყრილ ძველ ტრიერებზე უთითებდა: სწორედ ასე ექცევა ხალხი სახელმწიფო მოღვაწეებს, როცა ისინი უსარგებლონი ხდებიანო.

3. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მოღვაწეობამ, ჩანს, ადრევე და მთელი მგზნებარებით გაიტაცა თემისტოკლე, ხოლო სახელისათვის სწრაფვამ მთლიანად დაიმორჩილა. ამ გარემოებით და პირველობის მოპოვების მძაფრი სურვილით აღტყინებული იმთავითვე გაბედულად დაუპირისპირდა სახელმწიფოში ყველაზე ძლიერ და ყველაზე გავლენიან თავკაცებს, განსაკუთრებით კი – არისტიდეს, ლისიმაქეს ძეს, ვინც მუდამ მისი საწინააღმდეგო გზით მიემართებოდა. მათი მტრობა, ჩანს, ფრიად ბალღური საბაბით დაწყებულა. როგორც ფილოსოფოსი არისტონი მოგვითხრობს, ორივეს შეჰყვარებია სილამაზით განთქმული ტეოსელი სტესილეოსი და ამიერიდან ურთიერთქიშპობა საზოგადო საქმიანობაშიც გაუგრძელებიათ. მათი ცხოვრების ნირისა და ხასიათთა სხვაობა, ეტყობა, კიდევ უფრო მეტად ზრდიდა არსებულ უთანხმოებას. არისტიდე, ბუნებით წყნარი და ფაქიზი ზნეობის კაცი, სახელმწიფო მოღვაწეობას მადლობისა და სახელისათვის კი არ ეწეოდა, არამედ უკეთესი საქმისათვის – საზოგადო უშიშროებისა და სამართლიანობისათვის. ამიტომ იძულებული იყო, ხშირად დაპირისპირებოდა თემისტოკლეს და მისი აღზევებისათვის ხელი შეეშალა, ვინაიდან იგი დღენიადაგ აღელვებდა ხალხს და ახალ ახალ გარდაქმნებს ახვევდა თავს. ამ-

ბობენ, თემისტოკლე სახელისათვის ისე იყო გაგიჟებული და პატივმოყვარეობის გამო დიდ დიდ საქმეს ისე ეტრფოდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს, როცა მარათონში ბარბაროსებთან ბრძოლა დამთავრდა და მილტიადეს სამხედართმთავრო წარმატებები ყველას პირზე ეკერა, მეტისმეტად ღრმა ფიქრებს მიეცა, ღამეებს უძილოდ ატარებდა და, ჩვეულებრივ, სმასა და ღრეობაზე სრულიად აიღო ხელიო. ვისაც მისი ცხოვრების ნირის შეცვლა უკვირდა და ამის თაობაზე ეკითხებოდა, ასე უპასუხებდა: მილტიადეს სამხედრო წარმატება არ მასვენებსო.

მარათონში ბარბაროსთა დამარცხებას თითქმის ყველანი ომის დასასრულად მიიჩნევდა, თემისტოკლე ამას კიდევ უფრო დიდი ბრძოლის დასაწყისად თვლიდა და, რაკი მომავალს წინასწარ ჭვრეტდა, მათ საწარმოებლად მთელი ელადის ხსნისათვის თვითონაც განუწყვეტლივ ემზადებოდა და ქალაქსაც ბეჯითად წვრთნიდა.

4. ათენელებს იმთავითვე წესად ჰქონდათ ლავრიონის ვერცხლის საბადოთა შემოსავლის დანაწილება. თემისტოკლე ერთადერთი კაცი გახლდათ, ვინც გაბედა, წინადადება შეეტანა სახალხო კრებაში, გაეუქმებინათ ხსენებული დანაწილება და ამ ფულით აეგოთ საბრძოლო ხომალდები ეგინელებთან საომრად. ეს ომი კი უკვე გაჩაღებული იყო ელადაში და ეგინელები ხომალდთა სიმრავლის წყალობით ზღვაზე ბატონობდნენ. თემისტოკლემ ადვილად დაარწმუნა ათენელები ისე, რომ არც დარიოსით და არც სპარსებით არ დაუშინებია (ისინი მეტისმეტად შორს იმყოფებოდნენ და მათგან თავდასხმის შიშისათვის მყარი საფუძველი არც არსებობდა). აუცილებელი სამზადისისათვის მან მაშინ მარჯვედ გამოიყენა თანამოქალაქეთა რისხვა და მეტოქეობა ეგინელების მიმართ. საბადოებიდან შემოსული ფულით, მართლაც, ააგეს ასი ტრიერი, რომლებიც მერმე საზღვაო ბრძოლაში შეებნენ ქსერქსეს. ათენელთა გულისყური ამიერიდან ნელ-ნელა ზღვისკენ წარმართა თემისტოკლემ: ხმელეთზე მეზობლებსაც კი ვერ უმკლავდებით, ხომალდთა ძალით კი ბარბაროსებსაც მოიგერიებთ და ელადაზე მბრძანებლობაც შეგეძლებათო. პლატონის სიტყვით, თემისტოკლემ ათენელები, რომლებიც მედგარი ჰოპლიტები იყვნენ, მეხომალდეებად და მეზღვაურებად აქცია[9]. ამის გამო ცილიც დასწამეს: თემისტოკლემ ათენელ ხალხს შუბი და ფარი წაართვა და სახოფე მერხებზე და ნიჩბებთან მიუჩინა ადგილიო. სტესიმბროტეს გადმოცემით, თემისტოკლემ თავისი გაიტანა და დაამარცხა მილტ-

იადე, რომელიც მას ეწინააღმდეგებოდა. ავნო თუ არა თემისტოკლემ თავისი ღონისძიებით სახელმწიფო წყობილების სიმწყობრესა და სიწმიდეს? ეს ფილოსოფიურად გამოსაძიებელი საკითხია! მაგრამ ელინები რომ მაშინ ზღვამ დაიხსნა და ათენელთა ქალაქი სწორედ იმ ტრიერების წყალობით კვლავ ფეხზე დადგა, ეს, სხვა ამბებთან ერთად, ქსერქსემაც დაადასტურა. სახმელეთო ძალები, მართალია, უვნებლად გადაურჩა, მაგრამ ზღვაზე ხომალდთა დამარცხების შემდეგ, რაკი ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდა, ქსერქსემ გაქცევით უშველა თავს. მარდონიოსი, ჩემი აზრით, ელადაში დატოვა მან არა ბერძენთა დასამორჩილებლად, არამედ მათგან დევნის შესაჩერებლად.

5. ზოგიერთი ამბობს, თემისტოკლე ხელგაშლილობის გამო ყოველთვის თავგამოდებით ცდილობდა ფულის შოვნასო; ძალიან უყვარდა მსხვერპლის შეწირვა და უცხოელთა დიდი პატივით მიღება, რაც აურაცხელ თანხას მოითხოვდა. სხვები კი, პირიქით, მეტისმეტ ხელმომჭირნეობასა და სიძუნწეს სწამებენ: ძღვნად მირთმეულ საჭმელსაც კი ჰყიდდაო.

ერთხელ თემისტოკლემ მეჯოგე ფილიდეს კვიცი სთხოვა. ამან არ მისცა. მაშინ თემისტოკლე დაემუქრა: სულ მალე შენს სახლ-კარს ხის ცხენად ვაქცევო[10]. ამ სიტყვებით იმას გულისხმობდა, რომ ფილიდესა და მისი ოჯახის წევრთა შორის შინაურ შფოთსა და დავას ატეხდა.

პატივმოყვარეობით ხომ ყველას აღემატებოდა. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა და გამოუჩენელი კაცი იყო, როცა ათენელთაგან ფრიად პატივდებული ჰერმიონელი[11] კითარისტი ეპიკლე თხოვნით აიკლო: გინდა თუ არა, ჩემთან იმსახურეო. დიდ ღირსებად მიაჩნდა, მრავალი და მრავალი დანატრებოდა მისი ჭერის სტუმრიანობას და ბევრი მიმომსვლელი ჰყოლოდა.

ერთხელ ოლიმპიას ეწვია და კიმონს შეეჯიბრა ლხინის მოწყობაში,[12] კარავთა გამართვაში და ასევე სხვა პეწსა და საგანგებო მზადებაში. ბერძნებს ეს არ მოეწონათ. ასეთ საქმიანობას ახალგაზრდა და დიდი ოჯახის ნაშიერი კიმონისათვის სრულიად შესაფერისად თვლიდნენ, ხოლო ჯერ კიდევ სახელმოუხვეჭელი თემისტოკლე, ვისაც დამსახურებაცა და სახსარიც აკლდა და აღმაღლებას მაინც იჩემებდა, გაყოყოჩებულ კაცად მიიჩნიეს. ერთხელაც ტრაგედიათა ქორეგოსად მყოფმა გამარჯვება მოიპოვა. ამ შეჯიბრს მაშინ უკვე ახლდა დიდი

დაძაბულობა და პატივმოყვარეობა. ძლევის აღსანიშნავად დაფა აღმართა წარწერით[13] – „თემისტოკლე ფრეარელი ქორეგოსობდა, ფრინიქე[14] მოძღვრობდა, ხოლო ადიმანტი არქონტი იყო“.

ხალხის დიდი ნაწილისათვის თემისტოკლე მაინც სასიამოვნო პიროვნება გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ მოქალაქეს სახელდებით მიმართავდა, და იმიტომაც, რომ სადავო საქმეებში მიუკერძოებელი მსაჯული ჩანდა. ასე, მაგალითად, როცა სტრატეგოსი იყო, სიმონიდე კეოსელმა[15] რაღაც არაკანონიერი სთხოვა; თემისტოკლემ უთხრა: როგორც შენ არ იქნები კარის პოეტი, ჰანგის დარღვევით რომ იმღერო, ისევე მე არ ვიქნები ხეირიანი მმართველი, ვინმეს გულის მოსაგებად რომ უკანონობა ჩავიდინოო. იგი სიმონიდეს დაცინვით ეუბნებოდა: შენ ჭკუა არა გაქვს, რაკი დიდი ქალაქის მკვიდრ კორინთელებს ლანძღავ და თან, ეგზომ მახინჯი გარეგნობის პატრონი, თავის დახატვის შეკვეთას აძლევო. ბოლოს, როცა დიდებას მიაღწია და ხალხის მოწონებაც დაიმსახურა, აჯანყებით გაიმარჯვა და არისტიდე ოსტრაკისმოსით ათენიდან განდევნა[16].

6. როცა მიდია სალაშქროდ დაიძრა ელადის წინააღმდეგ, ათენელებმა ბჭობა გამართეს სტრატეგოსის ასარჩევად[17]. ამბობენ, საფრთხის წინაშე შიშის გამო ყველა ნებაყოფლობით განუდგა განზე მხედართმთავრის მოვალეობას. მხოლოდ ეპიკიდე ევფემიდეს ძემ, მჭევრმეტყველებაში გაწაფულმა დემაგოგმა, მაგრამ სულით მხდალმა და ფულის მოყვარულმა კაცმა მოინდომა ამ თანამდებობის მოპოვება და მოსალოდნელიც იყო, კენჭისყრაში გაიმარჯვებდა. იმის შიშით, სახელმწიფოს საქმენი მთლად არ დაღუპულიყო, თუ მეთაურობას ეპიკიდე ჩაიგდებდა ხელთ, თემისტოკლემ პატივმოყვარეობისაკენ მისწრაფება მისგან თანხით გამოისყიდა. ასევე ქებით მოიხსენიება თემისტოკლეს საქციელი ორ ენაზე მეტყველი იმ ერთი კაცის მიმართ, რომელიც მიწისა და წყლის გამოსათხოვად სპარსთა მეფის მოციქულებში იმყოფებოდა. ეს თარჯიმანი თემისტოკლემ შეიპყრო და სახალხო გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯა, რამეთუ ბარბაროსულ დავალებათა გადმოსაცემად ბერძნული ენის გამოყენება გაბედა. ქებითვე მოიხსენიებენ მის მოქმედებას ართმიოს ძელეელის[18] მიმართ. თემისტოკლეს წინადადებით, ათენელებმა იგი, მისი შვილები და, საერთოდ, მისი მოდგმა პატივაყრილთა ნუსხაში ჩაწერეს, რადგან ამ ართმიოსმა მიდიიდან ბერძნებთან ოქრო ჩამ-

ოიტანა. თემისტოკლეს ყველაზე დიდი დამსახურება კი ის გახლდათ, რომ ბერძნებს შორის ბრძოლას ბოლო მოუღო. შინ მოდავე სახელმწიფონი დაარწმუნა, უკუეგდოთ მტრობა და შერიგებულიყვნენ სპარსებთან საზიარო ომის გამო. ამბობენ, ამ საქმეში მას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ქილეოს არკადიელმაო[19].

7. როგორც კი მიიღო ძალაუფლება, თემისტოკლე მყისვე შეეცადა, დაეყოლიებინა მოქალაქენი, ტრიერებში ჩამსხდარიყვნენ და ქალაქი დაეტოვებინათ, რათა ელადიდან რაც შეიძლება მოშორებით შეხვედროდნენ ბარბაროსს ზღვაში. რაკი ამ განზრახვას მრავალი აღუდგა წინ, დიდძალი ჯარი ლაკედემონელებთან ერთად ტემპეს ხეობაში[20] ჩაიყვანა, რათა აქ ბრძოლით დაეცვა თესალია, რომელიც, ჩანდა, ჯერ კიდევ არ იყო გადასული სპარსთა მხარეზე, მაგრამ იქიდან ხელმოცარული დაბრუნდნენ: თესალიელები სპარსთა მეფეს შეუერთდნენ და მთელი მხარე ვიდრე ბეოტიამდე მიდიელებს მიემხრო. მაშინ ათენელებმა უკვე გაიზიარეს თემისტოკლეს რჩევა საზღვაო საკითხში და ხომალდთა კრებულით იგი არტემისიონთან გაგზავნეს სრუტის დასაცავად.[21] ელინებმა აქ წინამძღოლობა ევრიბიადესა და ლაკედემონელებს დააკისრეს. მხოლოდ ათენელები არ თვლიდნენ ღირსეულ საქმედ, დამორჩილებოდნენ სხვებს მაშინ, როცა ხომალდთა სიმრავლით უკლებლივ ყველა სხვა ბერძნებს აღემატებოდნენ. რაკი თემისტოკლემ ამ ამბის საშიშროება განჭვრიტა, მეთაურობა თვითონვე დაუთმო ევრიბიადეს, ხოლო ათენელები შეპირებით დააშოშმინა: თუ ომში კარგ ვაჟკაცებად გამოიჩენთ თავს, ისე ვიქმ, ელინები მომავალში მხოლოდ თქვენ დაგემორჩილონო. აი ამის გამო მიაჩნიათ თემისტოკლე ელადის ხსნის უმთავრეს მიზეზად; ათენელებსაც სწორედ მან გაუთქვა სახელი იმით, რომ მტრებს ვაჟკაცობით, ხოლო მოკავშირეებს კეთილგონიერებით აჯობეს. როცა ბარბაროსთა ფლოტი აფეტეს[22] მიადგა და პირისპირ განლაგებულ ხომალდთა სიმრავლით ისედაც შეძრწუნებულმა ევრიბიადემ ისიც შეიტყო, კიდევ ორასი გემი სკიათეს გადაღმა მხრიდან უვლის გარსო, მოისურვა, რაც შეიძლება სწრაფად გაბრუნებულიყო ელადის სიღრმეში; უნდოდა, პელოპონესს მისდგომოდა და თავისი გემთ კრებული ქვეითი ჯარითაც გაემაგრებინა; თუმცა, მისი ფიქრით, მეფის საზღვაო ძლიერების გადალახვა სრულიად შეუძლებელი საქმე იყო. მაშინ ევბეელები დაშინდნენ – ბერძნებმა მთლად არ მიგვატოვონო – და თემისტოკლესთან უჩუმრად მოლაპარაკება გამართეს,

თან პელაგონტიც მიუგზავნეს დიდძალი ფულით. ჰეროდოტეს გადმოცემით, მან ეს ფული მიიღო და ევრიბიადეს გადასცა[23]. მაგრამ ათენის მოქალაქეთაგან მის წინააღმდეგ მეტისმეტად გაილაშქრა წმინდა ხომალდის ტრიერარქმა[24] არქიტელემ, რომელიც, მეზღვაურებისათვის გადასახდელი ფულის უქონლობის გამო, ცდილობდა აქაურობას სწრაფად გასცლოდა. თემისტოკლემ კიდევ უფრო მეტად აამხედრა მის წინააღმდეგ თანამოქალაქენი, რომლებიც მიცვივდნენ კიდეც მასთან და ვახშამი წარსტაცეს. ამის გამო სასოწარკვეთილსა და მეტისმეტად გამწყრალ არქიტელეს თემისტოკლემ ვახშმად კალათით გაუგზავნა პური და ხორცი, ქვეშ ვერცხლის ტალანტი ამოუდო, თან შეუთვალა: ახლა ამით ივახშმე, დილით კი შენს მეზღვაურებს მიხედე, თორემ მოქალაქეებს მოვდებ - მტრისგან ქრთამი აიღო-მეთქი!

ამას გადმოგვცემს ფანია ლესბოსელი.

8. ბარბაროსთა ხომალდების წინააღმდეგ სრუტეში გამართულ მაშინდელ ბრძოლას საერთო ვითარებისათვის დიდი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ თავისი მცდელობით მეტად სასარგებლო გამოდგა ელინებისათვის. საფრთხის ჟამს ისინი დარწმუნდნენ, რომ იმ ვაჟკაცებისათვის, რომელთაც ძალუძთ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა და მტრის გაბედულად მოგერიება, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს არც ხომალდთა სიმრავლე და მათი ბრწყინვალე მორთულობა, არც ქედმაღლური ყიჟინი და ბარბაროსული პეანები;[25] რომ საჭიროა ყველაფერ ამას ათვალწუნებით შეხედონ, მთელი არსებით გაეშურონ და მოწინააღმდეგეს პირისპირ საბრძოლველად ეკვეთონ. როგორც ჩანს, პინდარე კარგად ჩასწვდა ამ ამბავს და სწორედ არტემისიონთან მომხდარ ბრძოლაზე თქვა:

ათენელ ხალხის შვილებმა აქ ჩაუყარეს
თავისუფლებას საძირკველი უბრწყინვალესი!

მართლაც: გულადობა გამარჯვების დასაწყისია! არტემისიონი ევბეას სანაპირო კონცხია; იგი ჰესტიეას[26] ზემოთ მდებარეობს და ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული; სწორედ მის პირისპირ ძევს ოლიძონი[27] იმ მხარეში, რომელსაც ოდესღაც ფილოქტეტე განაგებდა. არტემისიონზე არის არტემიდეს ერთი პატარა ტაძარი, რომელსაც „აღმოსავლეთის ტაძრის“ სახელით მოიხსენიებენ. ირგვლივ ხეებია შემოჯარული და თეთრი ქვისაგან ნათალი სვეტები დგას. ეს ქვა, თუ

ხელს წავუსვამთ, ზაფრანის ფერსა და სუნს მიიღებს. ერთ ერთ სვეტზე ასეთი ელეგიური ლექსი იყო წარწერილი:

აზიის მხრიდან ნაირნაირ მოდგმის ხალხები,
აქ შემოსულნი, ათენელთა შვილებმა სძლიეს
საზღვაო ომში და როს მოსპეს მედების ჯარი,
ეს სამახსოვროდ არტემიდე ღმერთქალს დაუდგეს[28] :

სხვათა შორის, აქ, სანაპიროზე, უჩვენებენ ადგილს, სადაც დიდძალი ქვიშის სიღრმიდან იფრქვევა ფერფლის მსგავსი შავი მტვერი, თითქოსდა წვის შედეგად გაჩენილი; ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ადგილას დაწვეს ხომალდთა ნამსხვრევები და ბრძოლაში დახოცილთა გვამები.

9. როცა არტემისიონს თერმოპილესთან[29] მომხდარი ამბები ეუწყა და შეიტყვეს: ლეონიდა ბრძოლაში დაეცა და ქსერქსემ ხმელეთის გასასვლელები დაიკავაო, ბერძენთა საზღვაო ძალებმა ელადის შუაგულისაკენ დაიწყეს უკან დახევა. მაშინ ათენელები ჩამკეტ რიგში ჩამწკრივდნენ და თავიანთი წარმატებით ამაყობდნენ.

სანაპიროს გასწვრივ ცურვის დროს, როგორც კი დალანდავდა ისეთ ადგილს, რომელიც იძულების ჟამს მტერს ნავმისადგომად და თავშესაფრად გამოადგებოდა, თემისტოკლე იქ მსხვილი ასოებით წარწერებს კვეთდა ქვებზე: ზოგ ქვას შემთხვევით იქვე პოულობდა, ზოგს კი საგანგებოდ თვითონვე დგამდა ხომალდთა სადგურებთან და ჰებთან. ამ წარწერებით იგი იონიელებს მოუწოდებდა, თუ შესაძლებელი იყო, გადმოსულიყვნენ ათენელების, თავიანთი მამების,[30] მხარეზე, რომლებიც ყველაზე მეტად დებდნენ თავს მათი თავისუფლებისათვის; ან არადა ბრძოლების ჟამს ზიანი მაინც მიეყენებინათ ბარბაროსული მხედრობისთვის და არევ-დარევა შეეტანათ მის რიგებში. თემისტოკლე იმედოვნებდა, ეს წარწერები ან გადმოიბირებდა იონიელებს, ან ეჭვით აღგზნებულ ბარბაროსთ შეაშფოთებდა.[31]

ამასობაში ქსერქსე ზემო დორიდიდან ფოკიდაში შემოიჭრა და ფოკეელთა ქალაქებს წვავდა და ანადგურებდა. ელინებმა საშველად ხელი არ გამოიღეს, თუმცა ათენელები ეხვეწებოდნენ: ატიკის დასაცავად ბეოტიაში შეეგებეთ მტერს და მოიქეცით ისე, როგორც ჩვენ ვიქცეოდით, როცა ზღვაზე დაგეხმარეთ არტემისიონთანო. მაგრამ მათ არავინ ყურს არ უგდებდა; ყველა პელოპონესზე ფიქრობდა;

უნდოდათ, საბერძნეთის მთელ ძალას ისთმოსში[32] მოეყარა თავი და ისთმოსის გასწვრივ ზღვიდან ზღვამდე კედელი აეგოთ. ეულად დარჩენილი ათენელები ცალკე ღალატით გამოწვეულმა რისხვამ შეიპყრო, ცალკე სასოწარკვეთილებამ და ბოღმამ. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, შებრძოლებოდნენ მტრის ასეთ აურაცხელ ლაშქარს; აწმყო ვითარება მათ ერთადერთ აუცილებელ პირობას უდებდა: დაეტოვებინათ ქალაქი და მხოლოდ ხომალდებს მინდობოდნენ. მაგრამ მრავალრიცხოვან ხალხს ამის მოსმენაც არ სურდა: არც ისეთი გამარჯვება გვჭირდება და არც ისეთ თავდახსნას ჩავთვლით ხსნად, რომელთა გულისთვისაც ღმერთების ტაძრები და მამათა საფლავები უნდა მივატოვოთო!

10. რაკი თემისტოკლეს გაუძნელდა ადამიანური განსჯით ხალხის გადმობირება, ღვთაებრივ სასწაულებსა და მისნობათ მიმართა - თითქოსდა „ტრაგედიაში მანქანა ასწიაო".[33] სასწაულად მიიჩნია მან, მაგალითად, იმ დღეებში ათენას სალოცავიდან შეწირული გველის გაუჩინარება. ქურუმები ხალხს უამბობდნენ, რომ მათ სრულიად ხელუხლებელი იხილეს ის სამსხვერპლო საკვები, რომელიც ამ გველისათვის ყოველდღიურად მიჰქონდათ[34]. ამით ისინი საბაბს აძლევდნენ თემისტოკლეს, ეთქვა: ღმერთქალმა ქალაქი დატოვა და ჩვენ გზას ზღვისკენ გვიჩვენებსო.

რაც შეეხება მისნობას, იგი თემისტოკლემ კვლავ ხალხის ასაყოლიებლად გამოიყენა. მან თქვა: ღვთის მიერ ნახსენები ხის ზღუდე სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ხომალდებს; ამის გამო სალამინსაც ღვთაებრივს უწოდებს ღმერთი და არა საზარელსა და ბედკრულს, ვინაიდან სწორედ იგი შეარქმევს სახელს ბერძნებისათვის საბედნიერო ამბავსო[35]. როგორც კი გაიმარჯვა თავისი მოსაზრებულობით, თემისტოკლემ შეადგინა გადაწყვეტილება, რათა ქალაქი ჩაებარებინათ ათენელთა მფარველი ღმერთქალის ათენასათვის, ხოლო ყველა, ვისაც იარაღის ტარება ძალუძდა, ტრიერებზე ასულიყო და თითოეულს, შეძლებისდა მიხედვით, გადაერჩინა ბავშვები, ქალები და მონები. როცა გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, ათენელთა უმრავლესობამ მშობლები და ცოლები ტროიძენში[36] გაგზავნა. აქ ისინი ტროიძენელებმა დიდი პატივით მიიღეს. გადაწყვიტეს: საზოგადო ხარჯით ეკვებათ და საამისოდ თითოეულისათვის ყოველდღიურად ორი ობოლი მიეცათ; ბავშვებისათვის კი ნება დაერთოთ, ნებისმიერ ადგილზე ხილი დაეკრიფათ; გარდა ამისა, მათი მასწავლებლებისთ-

ვის გასამრჯელო ეხადათ. ეს გადაწყვეტილება შეადგინა ნიკამორამ.

ვინაიდან სახელმწიფო ხაზინაში ათენელებს ფული არ ჰქონდათ, არისტოტელეს გადმოცემით,[37] არეოპაგის საბჭომ თითოეულ მოლაშქრეს რვა რვა დრაქმა მისცა და ამგვარად შეიქმნა იგი მიზეზთა მიზეზი ტრიერების სრულად დატვირთვისა. მაგრამ კლიდემე[38] ამასაც თემისტოკლეს მოხერხებას მიაწერს. იგი ამბობს: როცა ათენელები პირეევსში ჩავიდნენ, ღმერთქალის ქანდაკებიდან უცბად გაქრა ფარი, რომელზედაც გორგოს თავი იყო გამოსახული[39]. თემისტოკლემ დაკარგულის ძებნის საბაბით გადაქექა ყველაფერი და ყოველ ბარგში იპოვა დიდძალი ფული. ამ ფულს საზოგადო სარგებლობისათვის ერთად მოუყარეს თავი და ხომალდებზე ამსვლელი ჯარისკაცები აქედან სრულად მარაგდებოდნენ იმით, რაც საგზაოდ იყო საჭირო.

როცა მთელი ქალაქი ზღვაში გადიოდა, ეს სანახაობა ზოგში სიბრალულს იწვევდა, ზოგში კი გაოცებას ასეთი გულადობის გამო. ათენელი ვაჟკაცები ახლობლებს სხვაგან აგზავნიდნენ, თვითონ კი, გაუტეხელნი მშობელთა გმინვის, ცრემლებისა და ხვევნა ალერსის წინაშე, კუნძულზე[40] გადადიოდნენ. მაგრამ მრავალი მოქალაქე, რომელთაც სიბერის გამო ტოვებდნენ, მაინც დიდ თანაგრძნობას აღძრავდა. გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ კაცთან შეზრდილი შინაური ცხოველები, რომლებიც საბრალო ყმუილით დარბოდნენ ხომალდებზე ამსვლელი პატრონის გარშემო. სხვათა შორის, გადმოგვცემენ, რომ მათ შორის იყო პერიკლეს მამის, ქსანთიპეს, ძაღლი, რომელმაც პატრონისაგან დაცილება ვერ აიტანა, ჩახტა ზღვაში, მიჰყვა ცურვით ტრიერს და სალამინის სანაპიროზეც გავიდა, მაგრამ სუნთქვაშეკრული მყისვე მოკვდა. ამბობენ, იქ, სადაც აქამდე უჩვენებენ ძაღლის სახელობის ძეგლს – „კინოსემას", სწორედ მისი საფლავი არისო.

11. დიადნი არიან ხსენებულნი საქმენი თემისტოკლესი. არის კიდევ ასეთი: მან იგრძნო, თანამოქალაქეებს გული შესტკიოდათ არისტიდეზე და შიშობდნენ, რისხვის გამო (იგი, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, თემისტოკლესაგან დაძლეული, ოსტრაკისმოსის საფუძველზე გააძევეს ათენიდან) ბარბაროს მეფეს არ მიმხრობოდა და საბერძნეთის საქმენი თავდაყირა არ დაეყენებინა. ამიტომ თემისტოკლემ შეადგინა გადაწყვეტილება, რათა იმ დროს სამშობლოდან გაძევებულნი უკან დაებრუნებინათ და იმის უფლებაც მიეცათ,

სხვა მოქალაქეებთან ერთად სიტყვითა და საქმით ელადის სიკეთეზე ეზრუნათ.

სპარტის განსაკუთრებული ღირსების გამო, საზღვაო ძალების მეთაურობა მინდობილი ჰქონდა ევრიბიადეს, საფრთხის ჟამს სუსტი ნებისყოფის კაცს. მან მოინდომა, ღუზა აეხსნა და ისთმოსისაკენ გაეცურა, სადაც თავმოყრილი იყო პელოპონესელთა ქვეითი ჯარი. თემისტოკლე ამ განზრახვას წინ აღუდგა და, ამბობენ, სწორედ ამის გამო იქნა წარმოთქმული ღირსსახსოვარი სიტყვა. „თემისტოკლევ, – მიმართა თურმე ევრიბიადემ, – იმათ, ვინც შეჯიბრებებში დათქმულ დროზე ადრე გამოდიან, სცემენ!“ – „დიახ, – მიუგო თემისტოკლემ, – მაგრამ არც ჩამორჩენილებს ადგამენ გვირგვინებს!“ გაცხარებულმა ევრიბიადემ ჯოხი აღმართა დასარტყმელად. თემისტოკლემ უთხრა: „დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ მისი სიმშვიდით გაოცებულმა ევრიბიადემ სათქმელის თქმა უბრძანა. თემისტოკლემ კვლავ სცადა, ევრიბიადე თავის აზრზე გადაეყვანა. ვიღაცამ შესძახა: იმ კაცს, რომელსაც საკუთარი ქალაქი აღარა აქვს, არ ძალუძს სწორი რჩევა მისცეს ქალაქთა მფლობელებს; იგი არ უნდა არწმუნებდეს მათ, მიატოვონ და ბედის ანაბარა დააგდონ მშობლიური ადგილები! თემისტოკლემ მაშინვე შეუბრუნა სიტყვა: „ზნედაცემულო! დიახ, მივატოვეთ ჩვენ სახლები და კედლები იმიტომ, რომ უსულო საგნები არ ვარჩიეთ მონობას! მაგრამ ჩვენ ახლა გვაქვს ბერძნულ ქალაქთა შორის ყველაზე დიდი და უმტკიცესი ქალაქი; ესაა ორასი ტრიერი, რომლებიც თქვენდა დასახმარებლად დგანან აქ, თუ, რა თქმა უნდა, ისურვებთ, მათი წყალობით დაიხსნათ თავი! მაგრამ თუ თქვენ წასვლას აპირებთ, რათა მეორეგზის ჩაიდინოთ ღალატი, იცოდეთ, ვინმე ბერძენთაგანი დაუყოვნებლივ შეიტყობს, რომ ათენელებმა მოიპოვეს თავისუფალი ქალაქიც და მიწა წყალიც, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება იმას, რაც დაკარგეს!“[41] თემისტოკლემ რომ ეს წარმოთქვა, ევრიბიადე ათენელებზე ფიქრმა და შიშმა შეიპყრო: მართლა არ მიგვატოვონ და არ წავიდნენო! ხოლო როცა ერეტრიელმა სცადა, თავისი სიტყვით წინააღმდეგობა გაეწია თემისტოკლესათვის, ამან უთხრა: „ნუთუ თქვენც მსჯელობთ ომზე, თქვენ, ვისაც ტევთიდებივით[42] ხმალი გაქვთ და გული კი არა!“

12. ზოგიერთი მოგვითხრობს: თემისტოკლე რომ თავისი ხომალდის ერდოზე მდგარი ამას ლაპარაკობდა, დაინახეს ბუ, რომელმაც გემებს მარჯვენა მხრიდან შემოუფრინა და ანძის წვერ-

ზე შემოჯდა.[43] სწორედ ამის გამო ბერძნებმა თემისტოკლეს აზრი ირწმუნეს და საზღვაო ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. მაგრამ როცა მტრის საზღვაო ძალა ფალერონთან ატიკას მიადგა და სანაპირო დაფარა, როცა თვითონ მეფეც ზღვის ნაპირზე მთელი თავისი აურაცხელი ძალებით ჩამოვიდა, თემისტოკლეს სიტყვებმა ელინებში ძალა დაკარგა. პელოპონესელებმა კვლავ ისთმოსს მიაპყრეს მზერა და გული მოსდიოდათ, თუ ვინმე სხვა რამეს იტყოდა. გადაწყდა, ღამითვე გასულიყვნენ, და მესაჭეებს გაცურვის ბრძანება მიეცათ. თემისტოკლე მეტისმეტად წუხდა: ვაითუ ხელიდან გაუშვან ბერძნებმა ამ ადგილისა და სრუტის სიკეთე და სხვადასხვა ქალაქში დაიფანტნონო. მაშინ მან მოიფიქრა და სიკინესთან ერთად განახორციელა ხრიკიანი საქმე. ეს სიკინე წარმოშობით იყო სპარსი, ტყვედ ჩავარდნილი, მაგრამ თემისტოკლეს ერთგული და მისი შვილების მამამძუძე.[44] თემისტოკლემ იგი ფარულად გაგზავნა სპარსთა მეფესთან დანაბარებით: ათენელთა სარდალი თემისტოკლე ამიერიდან მეფის მხარეზე გადმოდის და პირველი აუწყებს მას, რომ ელინები გაქცევას ლამობენ, რის გამოც ურჩევს, არ მისცეს მათ მოკურცხვლის საშუალება და ახლავე, სანამ ქვეითი მხედრობის უყოლობით შეშფოთებული არიან, თავს დაესხას და მათი საზღვაო ძალა გაანადგუროს.

ეს უწყება ქსერქსემ კეთილ ნათქვამად მიიღო, სიხარულით აივსო და მყისვე უბრძანა ხომალდთა მეთაურებს, მშვიდად ჩაესხათ ხალხი გემებში, ხოლო ორასი ხომალდი ახლავე აეხსნათ და სრუტე ყოველმხრივ ალყაში მოექციათ, ხოლო კუნძულებს[45] გარს შემორტყმოდნენ, რათა მტერთაგან ვერც ერთს აქედან თავი ვერ დაეღწია.

დაიწყო თუ არა საქმეთა აღსრულება, ყველაზე უწინარეს ეს ამბავი არისტიდემ შენიშნა, ლისიმაქეს ძემ და მაშინვე თემისტოკლეს კარავს მიაშურა, თუმცა თემისტოკლეს მეგობარი არ იყო და, როგორც ითქვა, ოსტრაკისმოსის საფუძველზე მისი წყალობით იქნა გაძევებული. როგორც კი გამოვიდა თემისტოკლე კარვიდან, არისტიდემ მაშინვე აუწყა: ალყაში ვართ მოქცეულიო. თემისტოკლემ კარგად იცოდა ამ კაცის კეთილშობილება და მისი იქ ყოფნა მეტად გაუხარდა. უამბო სიკინეს მეშვეობით განხორციელებული საქმე და მოუწოდა: დამეხმარე ელინების აქ დაკავებაში და, ვითარცა ნდობით აღჭურვილმა პირმა, ჩემთან ერთად ყველაფერი იღონე, რათა მათ ბრძოლა აქ, სრუტეში, გამართონო. არისტიდემ თემისტოკლეს

გეგმა მოიწონა, ჩამოუარა სხვა სტრატეგოსებსა და ტრიერარქებს და ბრძოლისთვის წააქეზა. ისინი ერთხანს არ უჯერებდნენ, მაგრამ უცბად გამოჩნდა მტრისგან თავდაღწეული ტენოსური ტრიერი[46], რომელსაც პანეტიოსი წინამძღოლობდა და რომელმაც ალყის ამბავი მოიტანა. მაშინ აუცილებლობასთან ერთად მორეულმა რისხვამაც აამოძრავა ელინები, საფრთხის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ.

13. გათენდა თუ არა, ქსერქსე ერთ მაღლობ ადგილზე დაბრძანდა და აქედან საზღვაო ძალასა და მის წყობას ათვალიერებდა. ფანოდემეს[47] სიტყვით, ეს იყო ჰერაკლეს ტაძრის ზემოთ, იქ, სადაც კუნძული სალამინი ვიწრო ყელით ატიკისაგან გამოიყოფა, აკესტოდორეს სიტყვით კი – ეგრეთ წოდებულ „რქებს“ ზემოთ, მეგარიდის საზღვართან[48]. აქ მას ედგა ოქროს სავარძელი და გარს ეყენა მრავალი მწერალი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, აღეწერათ ბრძოლის ჟამს გარდამხდარი საქმენი.

თემისტოკლე საზღვაო ძალთა წინამძღოლის ტრიერზე მსხვერპლშეწირვით იყო გართული, როდესაც მიუყვანეს მეტად ლამაზი შესახედაობის, ტანისამოსითა და ოქროს სამკაულებით გამორჩეულად მორთული სამი ტყვე. მოახსენეს: მეფის დის, სანდავკესა და არტაიკტეს ვაჟები არიანო. როგორც კი იხილა ისინი მისანმა ევფრანტიდემ, შესაწირავ მსხვერპლთაგან ავარდა დიდი კაშკაშა ალი; ამასთანავე მარჯვენა მხრიდან ვიღაცამ დააცემინა და კეთილუწყება დაადასტურა. მისანმა თემისტოკლეს ხელის ჩამორთმევით მიულოცა და ურჩია, სამივე ტყვე ჭაბუკი აღთქმის დადებით დიონისე ომესტესათვის[49] მსხვერპლად შეეწირა: ეს ბერძნებს ხსნასა და გამარჯვებას მოუტანსო. ასეთმა არაჩვეულებრივმა საზარელმა წინასწარმეტყველებამ თემისტოკლეს თავზარი დასცა. მაგრამ რაკი ხალხი დიდი ბრძოლისა და მძიმე ვითარების ჟამს ხსნის იმედს, ჩვეულებრივ, განუსჯელობაზე უფრო ამყარებს, ვიდრე გონივრულ მოქმედებაზე, უმრავლესობამ ერთხმად გამართა ღაღადი ღმერთის მიმართ; ტყვეები საკურთხეველთან მიიყვანეს და, ვითარცა მისანმა ბრძანა, მათი მსხვერპლად შეწირვა ძალდატანებით აღსრულდა.

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს ფანია ლესბოსელი, კაცი ფილოსოფოსი და საისტორიო თხზულებებშიც ჩახედული.

14. ბარბაროსულ ხომალდთა რაოდენობაზე პოეტი ესქილე ტრაგედია „სპარსებში“, ვითარცა მოწმე, დარწმუნებით ამბობს შემდეგს:

ვუწყი, რომ ქსერქსეს გემთა რიცხვი ათასი იყო,
ხოლო ამათზე უფრო სწრაფი, უფრო მოძრავი,
როგორც ამბობენ, ორასშვიდი დაითვლებოდა.[50]

რაც შეეხება ატიკურ გემებს, მათი რიცხვი ასოთხმოცი იყო. თითოეულ მათგანზე იმყოფებოდა ერდოდან მებრძოლი თვრამეტი კაცი, რომელთაგან ოთხი მშვილდოსანი იყო, დანარჩენები კი ჰოპლიტები იყვნენ. თემისტოკლემ, ეტყობა, მარჯვედ შეარჩია ბრძოლის დრო და ადგილი და მანამდე არ დაუყენა პირისპირ ცხვირით ტრიერები ბარბაროსულ ხომალდებს, სანამ არ დადგა ის ჟამი, როცა ძლიერი ქარის ქროლა განუწყვეტლივ მოაქანებს ხოლმე სრუტიდან ზღვაზე აგორებულ ტალღას. ეს ტალღა ბერძენთა ბრტყელძირიან და დაბალ გემებს ვერაფერს ვნებდა, მაგრამ ბარბაროსთა კიჩოაწეულსა და მაღალერდოიან ხომალდებს, რომელთაც სიმძიმის გამო მოძრაობა უჭირდათ, დარტყმის ძალით მიმართულებას უცვლიდა, გვერდულად აყენებდა და ბერძენთა მძაფრი იერიშის წილად ხდიდა. ბერძნები მთელ ყურადღებას აპყრობდნენ თემისტოკლეს, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე კარგად ხედავდა, რა იყო ხელსაყრელი, რადგან სწორედ მის წინააღმდეგ იდგა ქსერქსეს ნავარქოსი არიამენე დიდი ხომალდით, საიდანაც, როგორც ციხესიმაგრიდან, ისრებსა და შუბებს უშენდნენ. არიამენე კარგი ვაჟკაცი და მეფის ძმათაგან ყველაზე მამაცი და სამართლიანი იყო. არიამენეს ხომალდი და გვერდიგვერდ მცურავი ამინია დეკელიელისა და სოსიკლე პედიელის ხომალდები ცხვირებით ერთმანეთს შეეჯახნენ და სპილენძის წვეტიანი ქიმები ერთმანეთს დაატაკეს[51]. არიამენე მოწინააღმდეგის ტრიერზე გადახტა, მაგრამ ამინია და სოსიკლე წინ დაუხვდნენ, შუბები აძგერეს და ზღვაში გადააგდეს. მისი გვამი ხომალდის ნამსხვრევთა შორის შეიცნო არტემისიამ[52] და ქსერქსეს წაუღო.

15. ამ ბრძოლის ჟამსო, ამბობენ, ელევსინიდან დიდებული ალი აკიაფდა. თრიასიონის ველი[53] ზღვის სანაპირომდე გამოძახილმა და ხმაურმა მოიცვა, თითქოს მრავალი კაცი ერთდროულად მიაცილებდა იდუმალ იაკხოსს[54]. კაცთა ჟრიამულისაგან დედამიწის ზედაპირიდან ნელ-ნელა ღრუბელი დაიძრა ზემოთ და, როგორც ჩანდა, მერმე კვლავ დაქანდა ქვემოთ და ტრიერებს გადაეფარა. ზოგიერთებს ეგონათ, რომ შესცქეროდნენ მოჩვენებათა სახით გამოცხადებულ იარაღში ჩამსხდარ ვაჟკაცებს: მათ ხელები აღეპყროთ ეგინადან ბერძენთა ხომალდების წინ. ვითარცა ეჩვენათ, ესენი

იყვნენ ეაკიდები,[55] რომელთაც ლოცვა ვედრებით შემწედ მოუხმეს ბრძოლის დაწყებამდე.

პირველი, ვინაც მტრის ხომალდი იგდო ხელთ, იყო ათენელი ვაჟკაცი, ტრიერარქთაგანი, ლიკომედე. მან ხომალდს საგანგებო მორთულობა[56] დახსნა და დაფნოსან აპოლონს შესწირა.

სხვა ბერძნებმა, რაოდენობით რომ ბარბაროსთ ეთანაბრებოდნენ, უკუაქციეს ვიწრო სრუტეში ნაწილ-ნაწილ შეტევაზე გადმოსული და დაბინდებამდე შეუპოვრად მებრძოლი მოწინააღმდეგე, რომლის ხომალდებიც არეულობაში ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ამგვარად, როგორც სიმონიდემ[57] ბრძანა, ბერძნებმა „ზეაღმართეს ლამაზი და ხმადარხეული გამარჯვება“, რომელზე უფრო ბრწყინვალე საზღვაო საქმე არც ელინებს და არც ბარბაროსებს არ შეუსრულებიათ! ეს ბრძოლა, მართალია, ზღვაზე მეომართა საერთო მამაცობისა და თავგამოდების წყალობით იქნა მოგებული, მაგრამ სული და გული გამარჯვებას თემისტოკლემ ჩაუდგა[58].

16. ხსენებული საზღვაო ბრძოლის შემდეგ მარცხის გამო გამწყრალმა ქსერქსემ სრუტე ჩახერგა და სცადა, მიწაყრილით გადაეყვანა სალამინზე ქვეითი ჯარი, რათა ბერძნებს თავს დასხმოდა. თემისტოკლემ არისტიდეს გამოსაცდელად ჰელესპონტისაკენ ხომალდებით გაცურვისა და იქ ხიდის დაშლის აზრი შესთავაზა: „ეს იმიტომ, რომ აზია ევროპაში შევიპყროთო“. არისტიდემ ეს აზრი შორს დაიჭირა და მიუგო: „ჩვენ ახლა ომი გვქონდა განცხრომაში მყოფ ბარბაროსებთან; იგი რომ ელადაში ჩავკეტოთ და ესოდენ დიდი ძალების პატრონი კაცი შიშით იძულებით ვითარებაში ჩავაყენოთ, ოქროს საჩრდილობელში მშვიდად მჯდომარე კი აღარ დაუწყებს ბრძოლას ცქერას, არამედ ყოველ ღონეს იხმარს, ყველა საფრთხეში თვით მიიღოს მონაწილეობა, გაასწორებს შეცდომებს და მთელი ვითარებისათვის უფრო ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს. ამიტომ, თემისტოკლევ, – დასძინა არისტიდემ, – არსებული ხიდი კი არ უნდა დავანგრიოთ ჩვენ, არამედ, თუ შესაძლებელია, მეორეც ავაგოთ და უსწრაფესად განვდევნოთ ეს კაცი ევროპიდან!“

„რაკი გგონიათ, ეს სარგებლობას მოიტანს, – თქვა თემისტოკლემ, – დროა, ყოველივეს აზრის თვალი გადავავლოთ და ყველაფერი ვიღონოთ, რათა, რაც შეიძლება, სწრაფად გასცილდეს იგი ელადას!“ მიიღეს თუ არა ეს გადაწყვეტილება, თემისტოკლემ ტყვეებში გამოძებნა სამეფო კარის ერთი საჭურისი, სახელად არნაკე. იგი მან

მეფესთან გაგზავნა დავალებით, მოეხსენებინა შემდეგი: საზღვაო ძალაზე გამარჯვებულმა ბერძნებმა გადაწყვიტეს, გაცურონ ჰელესპონტისაკენ და დაანგრიონ შემაერთებელი ხიდი; რაკი თემისტოკლე მეფის ბედზე ზრუნავს, ურჩევს მას, სწრაფად გასწიოს თავისი ზღვისაკენ და გადალახოს იგი: „მანამდე მე ჩემს მოკავშირეებს გავართობ და დევნას დავაყოვნებო“. როგორც კი ისმინა ეს, ბარბაროსი მეფე მეტისმეტად შეშინდა და უმალესად დაიწყო უკან დახევა. თემისტოკლესა და არისტიდეს გონიერება მარდონიოსთან ბრძოლამ დაადასტურა: ბერძნები, მართალია, პლატეასთან[59] ქსერქეს ძალის უმცირეს ნაწილს შეეგებნენ, მაგრამ თავი მაინც უდიდეს საფრთხეში ჩაიგდეს.

17. ჰეროდოტე ამბობს, რომ ყველაზე მეტად თავი ეგინელთა ქალაქმა გამოიჩინაო[60]. პიროვნებებში კი პირველობა, მართალია, შურის გამო უხალისოდ, მაგრამ მაინც თემისტოკლეს მიანიჭეს ერთხმად. როცა სტრატეგოსები ისთმოსს დაბრუნდნენ და საკურთხევლიდან საარჩევნო კენჭს იღებდნენ, ყოველი მათგანი სიმამაცეში თავისთავს აცხადებდა პირველ ადგილზე, ხოლო მეორეზე, საკუთარი თავის შემდეგ, თემისტოკლეს აყენებდა. ლაკედემონელებმა, როცა იგი სპარტაში ჩაიყვანეს, სიმამაცის ჯილდო ევრიბიადეს მისცეს, ხოლო მას სიბრძნის ჯილდოდ ზეთისხილის შტოსაგან დაწნული გვირგვინი უბოძეს და ქალაქში ყველაზე საუკეთესო ეტლით დაასაჩუქრეს. გარდა ამისა, საზღვრამდე გასაცილებლად სამასი ახალგაზრდისაგან შემდგარი საზეიმო დასი გააყოლეს. გადმოგვცემენ, როცა მომდევნო ოლიმპიური თამაში გამართეს და საასპარეზო მოედანზე თემისტოკლე მოვიდა, დამსწრეებმა შეჯიბრებაში მონაწილენი უყურადღებოდ დატოვეს და მთელი დღე მას უყურებდნენ; თან გაოცებითა და ტაშისცემით უთითებდნენ უცხოელებს თემისტოკლეზე. თემისტოკლე, თავადაც გახარებული, მეგობრებს ეთანხმებოდა იმაში, რომ ელადისათვის გაწეული შრომის ნაყოფს იმკიდა.

18. ბუნებით თემისტოკლე მეტისმეტად პატივმოყვარე გახლდათ. ამას მისი გამონათქვამებიც გვიმოწმებენ.

როცა იგი ათენის ნავარქოსად აირჩიეს, არც ერთ საქმეს, არც კერძოსა და არც საზოგადოს, ნაწილ-ნაწილ ხელი არ მოჰკიდა; ყველაფერი ზღვაში გასვლის დღისათვის გადადო. ეს იმიტომ რომ, რაკი ყოველივეს ერთი ხელის მოსმით გააკეთებდა და მრავალი ჯურის ხალხს გამოელაპარაკებოდა, დიდი და მრავლის შემძლე კაცის სახელი მოეხვეჭა.

ზღვის სანაპიროზე გამორიყულ გვამთა დათვალიერების ჟამს, როცა ოქროს სამაჯურები და ყელსაბამები დაინახა, თვითონ გულგრილად აუარა გვერდი, მხლებელ მეგობარს კი მათზე მიუთითა და უთხრა: „აიღე შენთვის, შენც ხომ თემისტოკლე არა ხარ!“

ერთი, თავის დროზე ლამაზ ჭაბუკებში გამორჩეული ვინმე ანტიფატე, თავდაპირველად აგდებულად ეპყრობოდა თემისტოკლეს, მერმე კი, სახელმოხვეჭილს ფერება და ლაქუცი დაუწყო: „ყმაწვილო, - უთხრა თემისტოკლემ, - ჩვენ ორივენი, შენც და მეც, გვიან, მაგრამ მაინც მოვეგეთ ჭკუასო!“

იგი ამბობდა: ათენელები პატივისცემითა და აღფრთოვანებით კი არ მეკიდებიან, არამედ ისე მექცევიან, ვითარცა ჭადარს, რომელსაც ავდარსა და საფრთხის ჟამს თავს აფარებენ, დარში კი ჯიჯგნიან და ტოტებს უმტვრევენო.

ერთმა სერიფოსელმა[61] უთხრა: შენ სახელი შენი თავის მეშვეობით კი არა, შენი ქალაქის წყალობით მოიხვეჭეო. „მართალი ხარ, - მიუგო თემისტოკლემ, - როგორც მე ვერ გავხდებოდი სახელოვანი, სერიფოსელი რომ ვყოფილიყავ, ისე შენც, - ათენელობა რომ გხვედროდა წილად!“

ერთ ერთი სტრატეგოსი, რომელმაც, ეტყობა, რაღაც სასარგებლო საქმე გააკეთა ქალაქისათვის, თემისტოკლესთან თავხედობდა და თავის დამსახურებას მის მიერ აღსრულებულ საქმეთ უდარებდა. „ერთხელ, - უთხრა თემისტოკლემ ამ სტრატეგოსს, - დღესასწაულს შეედავა მომდევნო დღე: შენ მოუსვენრობითა და მოქანცულობით ხარ სავსე, მე კი ის მახასიათებს, რომ ყველანი მშვიდად ტკბებიან იმით, რაც მოამზადესო. დღესასწაულმა მიუგო თურმე: მართალს ამბობ, მაგრამ მე რომ არ ვყოფილიყავ, არც შენ იქნებოდიო. ასევე, - განაგრძო თემისტოკლემ, - მე რომ მაშინ არ ვყოფილიყავ, ნეტავ სად იქნებოდით ახლა თქვენ?“

თემისტოკლეს ნებიერი ვაჟი ჰყავდა. მას დედა ანებივრებდა იმით, რომ ყოველ სურვილს უსრულებდა და მამამისსაც ამასვე აკეთებინებდა. თემისტოკლე დაცინვით იტყოდა ხოლმე: „ჩემი ვაჟი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა ბერძენთა შორის, რამეთუ ბერძნებზე ათენელები მბრძანებლობენ, ათენელებზე მე ვმბრძანებლობ, ჩემზე ჩემი ვაჟის დედა, დედაზე კი ჩემი ვაჟიო“.

თემისტოკლეს სურდა, ყოველ საქმეში თავისებური ყოფილიყო. ერთხელ, როცა ადგილ-მამულის მონაკვეთს ყიდდა, მაცნეს უბრძანა, ხმა დაერხია: ამ ნაკვეთს მეზობელიც კარგი ჰყავსო.

ქალიშვილის მთხოვნელთაგან თემისტოკლემ სიძედ აირჩია არა მდიდარი, არამედ კეთილშობილი ვაჟკაცი: მე ვეძებ კაცს, რომელსაც ფული სჭირდება და არა ფულს, რომელსაც კაცი სჭირდებაო.

აი ასეთი კაცი იყო თემისტოკლე თავისი ნაკვესების მიხედვით.

19. როცა ხსენებულ საქმეთაგან გათავისუფლდა, თემისტოკლემ მყისვე მიჰყო ხელი ქალაქის აღდგენასა და კედლებით გამაგრებას. თეოპომპეს გადმოცემით, ფულით დაიყოლია ეფორები[62], წინააღმდეგობა არ გაეწიათ; უმრავლესობა კი ამბობს: მან ისინი მოატყუაო. ელჩობის საბაბით თემისტოკლე სპარტაში ჩავიდა. სპარტელებმა ჩივილი დაიწყეს: ათენელები ქალაქს გარშემო კედლებს ავლებენო. თემისტოკლეს ბრალს სდებდა ეგინადან საგანგებოდ გამოგზავნილი პოლიარქე. თემისტოკლე ბრალდებას უარყოფდა და წინადადებას იძლეოდა, ათენში დამთვალიერებლები გაეგზავნათ. დაყოვნების ამ ხერხით იგი ათენელებს კედლის შენებისათვის დროს აძლევდა და თანაც სურდა, თავისი თავის სანაცვლოდ მათ ხელთ ჰყოლოდათ მიგზავნილები. ასეც მოხდა. როცა ლაკედემონელებმა სიმართლე შეიტყვეს, წყრომა გულში ჩაიკლეს და თემისტოკლე ხელდაუკარებლად გაუშვეს.

ამის შემდეგ თემისტოკლე პირევსის[63] მოწყობას შეუდგა. მან ადრევე შენიშნა პირევსის ნავსადგომთა[64] სიმარჯვე. იგი ცდილობდა, ათენი მთლიანად საზღვაო ქალაქად ექცია. ასეთი პოლიტიკით ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა ათენის ძველ ბასილევსებს. როგორც ამბობენ, ისინი დაუცხრომლად მოქმედებდნენ, რათა მოქალაქენი ზღვისაგან განერიდებინათ და აჩვევდნენ, ეცხოვრათ არა როგორც მეზღვაურთ, არამედ როგორც მიწის მუშაკებს. საამისოდ გაავრცელეს ამბავი, თითქოს ათენა ედავებოდა პოსეიდონს ქვეყნის გამო: მან მსაჯულებს უჩვენა ზეთისხილის წმინდა ხე და გაიმარჯვაო. ერთი სიტყვით, თემისტოკლემ პირევსი კი არ „მიაწება ქალაქს“, როგორც ამას არისტოფანე კომიკოსი ამბობს,[65] არამედ ქალაქი მიუსადაგა პირევსს და ხმელეთი – ზღვას. ამით მან წარჩინებულთა ფენის საწინააღმდეგოდ დემოსი განადიდა და მხნეობით აავსო. ძალა გადავიდა მეზღვაურთა, მეხოფურთა წინამძღოლებისა და მესაჭეთა ხელში. სწორედ ამის გამო პნიქსზე[66] მდებარე ტრიბუნა, რომელიც ისე იყო ნაკეთები, რომ პირით ზღვისკენ იმზირებოდა, შემდეგში ოცდაათმა ტირანმა[67] ხმელეთისაკენ შეაბრუნა. ისინი თვლიდნენ, რომ ზღვაზე მბრძანებლობა დემოკრატიის წარმოშობის წყაროა, ხოლო მიწათ-

მოქმედები, ასე თუ ისე, უკმაყოფილოდ იტანენ ოლიგარქიულ მმართველობასო.

20. თემისტოკლეს კიდევ უფრო დიდი გეგმა ჰქონდა მოფიქრებული საზღვაო ძალის გაზრდის თაობაზე. როცა ბერძენთა ფლოტი ქსერქსეს უკუქცევის შემდეგ პაგასეს ნავსადგომში[68] შევიდა და იქ გამოზამთრება იწყო, თემისტოკლე ათენელთა თავყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და თქვა, რომ არის ერთი გასაკეთებელი საქმე, ათენელებისათვის მეტად სასარგებლო და მხსნელი, მაგრამ მრავალთა წინაშე უთქმელიო. ათენელებმა წინადადება მისცეს, მხოლოდ არისტიდესათვის გაენდო განზრახული და, თუკი იგი მოიწონებდა, აღესრულებინა. თემისტოკლემ არისტიდეს აუწყა, რომ განზრახული აქვს ბერძენთა ფლოტის გადაწვა. არისტიდე ხალხის წინაშე გამოვიდა და განაცხადა: არაფერია იმ საქმეზე უფრო სასარგებლო და ამავე დროს, უფრო უსამართლო, რომლის შესრულებაც თემისტოკლემ განიზრახაო. ათენელებმა ამის გამო თემისტოკლეს უბრძანეს, ხელი აეღო თავის ზრახვაზე.

ამფიკტიონების თავყრილობაზე ლაკედემონელებმა წინადადება შეიტანეს, ამფიკტიონიიდან[69] გაერიცხათ ის ქალაქები, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღეს საერთო ბრძოლაში მიდიელთა წინააღმდეგ. იმის შიშით, ლაკედემონელებს მართლა არ გაეძევებინათ კავშირიდან თესალიელები და არგოსელები, აგრეთვე თებელები, არ დაპატრონებოდნენ მთლიანად არჩევნებში ხმის მიცემას და არ მომხდარიყო ის, რაც მათ ხელს მისცემდა, თემისტოკლე ხსენებული ქალაქების დასაცავად გამოვიდა და პილაგორებს[70] აზრი შეაცვლევინა. მან ყველას შეაგონა, რომ ომში მონაწილეობდა მხოლოდ ოცდათერთმეტი ქალაქი და ამათგან უმრავლესობა სრულიად წვრილ წვრილი. საშინელება იქნება, თუ ორ ან სამ ყველაზე დიდ ქალაქს დარჩება კავშირზე გამგებლობა, ხოლო დანარჩენი ელადა გაირიყება მისგანო. სწორედ ამით მიაყენა თემისტოკლემ ყველაზე დიდი წყენა ლაკედემონელებს. ამის გამო დაუწყეს პატივისცემა კიმონს და სახელმწიფოს გამგეობის საქმეში იგი თემისტოკლეს დაუპირისპირეს.

21. თემისტოკლე ეჯავრებოდათ მოკავშირეებსაც, რადგან მათ კუნძულებზე მოგზაურობდა და მათგან ფულის გამოძალვას ეწეოდა. ასე, მაგალითად, ჰეროდოტე ამბობს: როცა მან ანდროსელებს ფული მოსთხოვა და საგანგებო სიტყვაც უთხრა, პასუხიც საგანგებო

მოისმინაო[71]. მან მათ განუცხადა, რომ ჩამოვიდა და თან მოიყვანა ორი ღმერთი, პ ე ი თ ო და ბ ი ა, – დარწმუნება და იძულება. ანდროსელებმა მიუგეს: ჩვენც გვყავს ორი დიდი ღმერთი, პ ე ნ ი ა და ა პ ო რ ი ა, – სიღატაკე და გაჭირვება, რომლებიც გვიკრძალავენ შენთვის ფულის მოცემასო. როდოსელი მგოსანი ტიმოკრეონტი[72] ერთ-ერთ სიმღერაში მწარედ კიცხავს თემისტოკლეს იმის გამო, რომ სხვებს ფულის მეოხებით განძევებიდან სამშობლოში დაბრუნების საქმე გაუკეთა, იგი კი, თავისი სტუმარი და მეგობარი, ფულზე გაჰყიდა. აი, ასე ამბობს ტიმოკრეონტი: „შენ შეგიძლია აქო პავსანია ან ქსანთიპე, ანდა ლევტიქიდა![73] მე კი ხოტბას შევასხამ არისტიდეს – წმინდა ათენიდან მოსულ ერთ საუკეთესო ვაჟკაცს! ლატოს[74] ეზიზღება თემისტოკლე ცრუ, უსამართლო და მოღალატე! ბინძური ფულით მოსყიდულმა თავისი სტუმარი ტიმოკრენტი არ დააბრუნა მშობლიურ იალისოსში. სამი ვერცხლის ტალანტი მიიღო და ზღვით წაეთრია ჯანდაბაში: ზოგიერთები უსამართლოდ დააბრუნა, ზოგიერთი განდევნა, ზოგიერთს კი სიცოცხლე მოუსწრაფა; ფულით პირთამდე აღსავსემ ისთმოსში სასაცილო მასპინძლობა გაუწია ყველას ცივი ხორცით. მიწვეულნი მიირთმევდნენ და ვედრებას წარმოთქვამდნენ: გაზაფხულს ნუ მოესწრებაო თემისტოკლე!“

იმის შემდეგ, რაც თემისტოკლე გაძევებით დასაჯეს, ტიმოკრეონტმა კიდევ უფრო მეტად თავხედური და დაუფარავი ლანძღვა-გინება გამოიყენა მის წინააღმდეგ ლექსში, რომლის დასაწყისიც აი ასეთია:

მუზავ, ამ სიმღერის ქება-დიდება
განამტკიცე ელინთა შორის,
რაკიღა ეს სამართლიანად დაიმსახურა!

ამბობენ, სპარსთა მხარეზე გადასვლისათვის ტიმოკრეონტის სამშობლოდან გაძევებით დასჯაში თემისტოკლე მონაწილეობდაო. ხოლო როცა თემისტოკლესაც დასდეს ბრალი მიდიელებისკენ გადახრაში, ტიმოკრეონტმა მის წინააღმდეგ ასეთი რამ შეთხზა:

არა! მხოლოდ ტიმოკრეონტი
არ შეკრულა მიდიელებთან ფიცის კავშირით!
სხვებიც არიან ბილწნი; მარტო მე როდი ვარ
უკუდო მელა, სხვებიც არიან გაიძვერა მელიები!

22. თანამოქალაქენი შურის გამო უკვე სიამოვნებით ისმენდ-ნენ ცილისწამებებს თემისტოკლეზე. ეს მას აიძულებდა, სახალხო კრებებზე მომაბეზრებელი სიხშირით შეეხსენებინა ხოლმე მათთ-ვის შესრულებული საქმენი. იმათ, ვინც ამის გამო უკმაყოფილე-ბას გამოთქვამდა, ეუბნებოდა: „კი მაგრამ, თქვენ რატომ ირჯებით ხოლმე და ერთსა და იმავე პირთაგან რატომ ღებულობთ ხშირად სიკეთეს?“

მოქალაქეთა დიდი ნაწილი მან გაანაწყენა არტემიდეს ტაძრის დაფუძნებით. ამ ტაძარს სახელად ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ ე — „საუკე-თესო მრჩეველი“ დაარქვა იმის აღსანიშნავად, თითქოს თვითონ მისცა საუკეთესოზე საუკეთესო რჩევა ქალაქსა და ყველა ბერძენს. ეს ტაძარი მან ააგო თავისი სახლის მახლობლად მელიტეში,[75] სა-დაც ჯალათნი ახლა სიკვდილით დასჯილთა გვამებს ყრიან და სა-დაც გააქვთ თავჩამოხრჩობილთა და მოკლულთა სამოსი და თოკები. „არისტობულეს ტაძარში“ ჯერ კიდევ ჩვენ დროში იდგა თემისტოკ-ლეს მცირე ქანდაკება, რომლის მიხედვითაც ჩანს, თემისტოკლეს არა მარტო სული, არამედ იერ სახეც გმირისა ჰქონდა.

ათენელებმა ბოლოს და ბოლოს თემისტოკლეს ოსტრაკისმოსი მოუწყვეს და სამშობლოდან გააძევეს, რათა დაემდაბლებინათ მისი ღირსება და პატივი; მოექცნენ ისე, როგორც ექცეოდნენ ჩვეულებრივ ყველას, ვის ძალასაც მიიჩნევდნენ მძიმე ტვირთად და დემოკრატიუ-ლი თანასწორობისათვის შეუსაბამოდ. ოსტრაკისმოსი დასჯა კი არ იყო, არამედ დაცხრომა და დაშოშმინება შურისა, რომელიც ხარობს ხოლმე აღზევებულთა დამდაბლებით და მტრობას სწორედ მათი დაკნინებამდე მიყვანით გამოხატავს.

23. ათენიდან გაძევებული თემისტოკლე არგოსში ცხოვრობდა, როცა მტრებს მის წინააღმდეგ ამხედრების საბაბი მისცა პავსანიაზე მიტანილმა ეჭვმა. ღალატში თემისტოკლეს ბრალს სდებდა ალკმეო-ნის ძე ლეობოტე აგრავლელი; მასთან ერთად ბრალმდებლები იყვნენ სპარტელებიც. პავსანია, რომელიც ღალატის გეგმებს აწყობდა, პირველ ხანებში ამას თემისტოკლეს უმალავდა, თუმცა იგი მისი მე-გობარი იყო. მაგრამ როცა სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზიდან დამხობილი და ამის გამო გულმოსული იხილა, გაბედა და მოუწო-და, მონაწილეობა მიეღო წამოწყებულ საქმეში. ამასთან, სპარსთა მეფის წერილებს უჩვენებდა და აქეზებდა ელინების, როგორც წამხ-დარი და უმადური ხალხის, წინააღმდეგ. თემისტოკლემ პავსანიას

წინადადება არ მიიღო და შეთქმულებაში მონაწილეობა გადაჭრით უარყო. მაგრამ პავსანიასთან საუბრის თაობაზე არავისთან არაფერი უთქვამს და წამოწყებული საქმის ამბავი არ გაუმხელია. შესაძლოა, ეგონა, პავსანია ან თვითონვე შეწყვეტდა ღალატს, ანდა სხვა გზით გამომჟღავნდებოდა ის, რაც განუსჯელობას ემყარებოდა და უაზრო და უგუნურ საქმეს ეტანებოდა.

როცა პავსანია სიკვდილით დასაჯეს, შეთქმულების თაობაზე აღმოჩნდა ზოგიერთი მიწერ მოწერა და ბარათები, რომლებმაც თემისტოკლე საეჭვო კაცად აქციეს. მის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, ლაკედემონელები აყვირდნენ, ხოლო ბრალმდებლად გამოვიდნენ ათენელთაგან ისინი, ვინც მის მიმართ შურით იყვნენ აღვსილნი. თემისტოკლე ამ დროს ათენში არ იმყოფებოდა და თავს წერილებით იცავდა უპირატესად თავდაპირველი ბრალდებებისაგან. მტერთაგან ცილდაწამებული თანამოქალაქეებს სწერდა: მე მუდამ დავეძებდი გამგებლობის უფლებას; მორჩილებაში ყოფნისთვის არ დავბადებულვარ და ამიტომ არასოდეს არ მქონია სურვილი, ელადასთან ერთად საკუთარი თავი ბარბაროსებისა და მტრების ხელში ჩამეგდოო. მიუხედავად ამისა, ბრალმდებელთაგან დარწმუნებულმა ხალხმა საგანგებო პირები გაგზავნა ბრძანებით, შეეპყროთ თემისტოკლე და ბერძნებისათვის გასასამართლებლად ჩამოეყვანათ.

24. თემისტოკლემ ეს იგრძნო და გადავიდა კერკირაზე. ამ ქალაქს მან თავის დროზე კეთილი საქმე უყო: კერკირელებმა მაშინ იგი აირჩიეს მსაჯულად იმ დავაში, რომელიც კორინთელებთან ჰქონდათ. თემისტოკლემ მათ მტრობას ზღვარი დაუდო; საქმე ისე გადაწყვიტა, რომ კორინთელებს უნდა გადაეხადათ კერკირელებისათვის ოცი ტალანტი, ხოლო ლევკადა საერთო გამგებლობაში უნდა ყოფილიყო, როგორც ორივე მხარის კუთვნილი ახალშენი.

კერკირადან თემისტოკლე ეპირში გაიქცა. ათენელთაგან და ლაკედემონელთაგან დევნილმა თავი მისცა საშიშსა და ფუჭ იმედებს: სცადა, თავი შეეფარებინა მოლოსთა მეფე[76] ადმეტესთან. ადმეტემ ერთხელ რაღაც სთხოვა ათენელებს, მაგრამ შეურაცხყოფილი უარით გამოისტუმრა თემისტოკლემ, რომელიც იმ დროს სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე აღზევებული იყო. ადმეტეს სამუდამო რისხვა ჰქონდა გულს ჩადებული. ამიტომ ცხადი იყო, თუ თემისტოკლე ხელთ ჩაუვარდებოდა, შურს იძიებდა. მაგრამ მაშინდელ ლტოლვაში თემისტოკლეს თანამოქალაქეთა ახლად აღძ-

რული შურის მეტი შიში ჰქონდა, ვიდრე მეფის ძველი წყრომისა. ამიტომ ადმეტეს წინაშე მავედრებლად დადგა, ოღონდ თავისებურ, არაჩვეულებრივ ყაიდაზე. მან ხელთ აიყვანა მეფის პატარა ვაჟი და კერასთან ჩაიჩოქა, რამეთუ მოლოსები ვედრების ამ სახეს ყველაზე უდიდესად და იმ ერთადერთ ვედრებად თვლიან, რომელსაც უარი არ ეთქმის. ზოგიერთები ამბობენ, მეფის მეუღლე ფთიამ შთააგონა თემისტოკლეს ვედრების ეს სახე და თავისი ვაჟი მასთან ერთად დასვა კერასთანო. სხვები კი გადმოგვცემენ, თვითონ ადმეტემ მოაწყო და საგანგებო წარმოდგენის ელფერი მისცა ამ ვედრებას, რათა მდევართა წინაშე ისეთ წმიდა საქმედ წარმოეჩინა ის, რომელიც ვაჟკაცის გაცემას კრძალავდა.

სტესიმბროტე თასოსელი მოგვითხრობს: ეპიკრატე აქარნელმა ათენიდან უჩუმრად გამოუყვანა ცოლ-შვილი თემისტოკლეს და გაუგზავნა იქ ადმეტესთან; ამის გამო შემდეგში კიმონმა ეპიკრატე გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა. მერმე კი, ოღონდ არ ვიცი როგორ, სტესიმბროტეს დაავიწყდა ნათქვამი, თუ თემისტოკლემ დაივიწყა ხსენებული ვითარება, სტესიმბროტე ამბობს: იგი სიცილიაში გაემგზავრა და ტირან ჰიერონს ქალიშვილი სთხოვა ცოლად. სამაგიეროდ, დაჰპირდა, რომ ბერძნებს მორჩილად გაუხდიდა. როცა ჰიერონმა ამაზე უარი უთხრა, თემისტოკლე აზიისაკენ გაემართა.

25. დაუჯერებელია, ეს ამბავი ასე მომხდარიყო. თეოფრასტე თავის წიგნში „მეფეთათვის“ მოგვითხრობს შემდეგს: როცა ჰიერონმა ოლიმპიაში შეჯიბრებაზე თავისი რაშები გამოგზავნა და იქ მდიდრულად მორთული კარავიც დასცა, თემისტოკლემ სახალხო კრებაში ბერძენთა წინაშე წარმოთქვა სიტყვა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ტირანის კარვის დარბევა და მის ცხენთა განრიდება შეჯიბრებისაგან. თუკიდიდე კი ამბობს, რომ თემისტოკლე მეორე ზღვასთან ჩავიდა და პიდნადან გაემგზავრა[77]. არც ერთმა თანამგზავრმა არ იცოდა, ვინ იყო იგი, სანამ სატვირთო ხომალდი ქარის ქროლამ არ წაიყვანა ნაქსოსისაკენ, რომელიც მაშინ ალყაშემორტყმული იყო ათენელებისაგან. შეშინებულმა თემისტოკლემ თავი გაუმჟღავნა ხომალდის პატრონსა და მესაჭეს. იგი მათ ეუბნებოდა: ათენელებთან დაგაბეზღებთ და ცილს დაგწამებთ, რომ გემზე თავიდანვე ამიყვანეთ ქრთამის წყალობით და არა ისე, თითქოს არ იცოდით, ვინ ვიყავიო. ერთი სიტყვით, თხოვნა-მუქარით თემისტოკლემ ისინი აიძულა, კუნძულისათვის გვერდი აევლოთ და

აზიის სანაპიროს მიდგომოდნენ. მეგობართა მეშვეობით ფარულად გამოტანილი ქონების დიდი ნაწილი თემისტოკლეს ზღვით მიუვიდა აზიაში; ხოლო მისი ის თანხა, რომელიც ათენელებმა აღმოაჩინეს და ხაზინაში შეიტანეს, თეოპომპეს სიტყვით, შეიცავდა ას ტალანტს, თეოფრასტეს თქმით კი – ოთხმოც ტალანტს, მაშინ, როცა სახელმწიფო მოღვაწეობის დაწყებამდე თემისტოკლეს ქონება სამი ტალანტის ღირებულებას არ აღემატებოდა.

26. როცა თემისტოკლე კუმეში[78] ჩავიდა, შენიშნა, ზღვის სანაპიროს ბევრი მოსახლე მას შესაპყრობად უსაფრდებოდა. განსაკუთრებით კი ერგოტელესა და პითოდორეს ირგვლივ შემოკრებილნი ცდილობდნენ ამას[79] (ეს ნადირობა მეტად ხელსაყრელი იყო ყველაფერში სარგებლობის მაძებართათვის, რადგან მეფეს ორას ტალანტად შეეფასებინა თემისტოკლეს თავი). ამის გამო თემისტოკლე ეოლიის პატარა ქალაქ ეგეში გაიქცა, სადაც არავინ იცნობდა, გარდა ნიკოგენე მასპინძლისა, რომელიც ეოლიელებში ყველაზე დიდძალ ქონებას ფლობდა და ზემო აზიის დიდებულებთანაც ახლო ნაცნობობა ჰქონდა. თემისტოკლემ ამასთან ფარულად გაატარა რამდენიმე დღე. ბოლოს, ნავახშმევს, როცა მსხვერპლი შეწირეს, ნიკოგენეს ბავშვების გამდელმა ოლბიოსმა, რომელიც ღვთაებრივმა შეგონებამ აიტაცა, ასეთი რამ წარმოთქვა:

მიეც ღამეს ხმა,
მიეც ღამეს რჩევა,
მიეც ღამეს გამარჯვება!

ამის შემდეგ თემისტოკლემ თავი ძილს მისცა და იხილა სიზმარი, თითქოს მუცელზე გველი შემოეხვია და მერმე ყელისაკენ გაცოცდა; შეეხო თუ არა სახეს, მყისვე არწივად იქცა, შემოახვია მძლავრი ფრთები თემისტოკლეს, ზე აიტაცა და შორს წაიღო. ბოლოს, სამაცნეო ოქროს კვერთხი გამოჩნდა, არწივმა ზედ მტკიცედ დააყენა თემისტოკლე, რომელიც საზარელი შიშისა და შფოთისაგან გათავისუფლდა. ნიკოგენემ საგანგებო ხერხს მიმართა და თემისტოკლე შემდეგნაირად გაამგზავრა. ბარბაროსულ მოდგმას მთლიანად, განსაკუთრებით კი სპარსთა ტომს, ახასიათებს ქალის მიმართ თანდაყოლილი ველური და სასტიკი ეჭვიანობა. საერთოდ, ბარბაროსები, კერძოდ კი სპარსები, არა მარტო საკუთარ ცოლებს, არამედ მონა ქალებსა და ხარჭებსაც მკაცრად დარაჯობენ, რათა

ვერც ერთმა გარეშე პირმა მათ თვალი ვერ დაჰკრას. შინ ისინი ჩაკეტილი ჰყავთ, მგზავრობაში ჩარდახიან ურმებით დაატარებენ. აი ასეთი ურემი გაუკეთეს თემისტოკლეს და მასში ჩასმული მიჰყავდათ. შემხვედრთა კითხვებს მხლებლები ასე პასუხობდნენ: ბერძენი ქალი მიგვყავს იონიიდან სამეფო კარის ერთ დიდებულთანო.

27. თუკიდიდე[80] და ქარონ ლამფასკელი გადმოგვცემენ, ქსერქსე გარდაცვლილიყო და თემისტოკლეს მის ვაჟთან მოუხდა შეხვედრაო. მაგრამ ეფოროსი, დინონი, კლიტარქე, ჰერაკლიდე[81] და კიდევ სხვანი მრავალნი ამტკიცებენ, სწორედ ქსერქსესთან მივიდაო. ეტყობა, ყველაზე უფრო შეთანხმებულად დროის მონაცემთ თუკიდიდე გადმოგვცემს, მაგრამ მათშიც არის შეუსაბამობა.

როცა თემისტოკლე მძიმე გარემოებაში აღმოჩნდა, უწინარეს ყოვლისა, ათასისთავს, არტაბანეს, მიმართა: მართალია, ბერძენი ვარ, მაგრამ მსურს შევხვდე დიდთა საქმეთა გამო თქვენს მეფეს, რომელთა თაობაზეც თვითონაც წუხსო. არტაბანემ მიუგო: „სტუმარო, ადამიანთა კანონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველა თავთავის კანონებს მიიჩნევს მშვენიერ კანონებად. ყველასთვის უმშვენიერესი მაინც შინაური ადათ ჩვეების პატივისცემა და დაცვა არისო. თქვენზე, ბერძნებზე, ამბობენ, ყველაზე მეტად თავისუფლებასა და თანასწორობას აფასებენო. ჩვენ მრავალი მშვენიერი კანონი გვაქვს, მაგრამ მათგან უმშვენიერესია მეფის პატივისცემისა და მის წინაშე, ვით ყოვლის მხსნელი ღმერთის წინაშე, პირქვე დამხობის წესი[82]. თუ შენ იწონებ ჩვენს ადათ-წესებს და განერთხმები თაყვანისცემად, მაშინ შეგიძლია იხილო მეფე და ისაუბრო მასთან; მაგრამ თუ სხვაგვარად ფიქრობ, შუამავალ მაცნეთა შემწეობით მოგიწევს მასთან ურთიერთობა, რამეთუ ჩვენს მშობლიურ ადათებს არ ეგუება, მეფემ მოუსმინოს იმ კაცს, ვინც მის წინაშე პირქვე არ განერთხმება“. ეს რომ მოისმინა თემისტოკლემ, მიუგო: „არტაბანე, მე თქვენი მეფის სახელისა და ძლიერების განსადიდებლად მოველ აქ; ამიტომ, ცხადია, თქვენს კანონებს დავემორჩილები, რაკიღა ასეთია სურვილი სპარსთა აღმაზევებელი ღმერთისა. ამიერიდან ჩემი მეშვეობით კიდევ უფრო გაიზრდება მიწაზე განრთხმით თქვენი მეფის თაყვანისმცემელთა რიცხვი! ასე რომ, არავითარი დაბრკოლება არ უნდა ექნეს იმ საუბარს, რომლის გაბმაც მსურს მასთან“.

„კი მაგრამ, - უთხრა არტაბანემ, -რა მოვახსენოთ მეფეს შენზე, ბერძენთაგან ვინ მოვიდაო - რა ვუთხრათ? შენ ხომ შენი გონებითა და აზრებით ჩვეულებრივი კაცი არ უნდა იყო!“

„მეფეზე უწინარეს ეგ არავინ არ უნდა შეიტყოს!“ - მიუგო თემისტოკლემ.

ასე მოგვითხრობს ფანია. რაც შეეხება ერატოსთენეს, იგი თავის თხზულებაში „სიმდიდრისათვის“ დამატებით გადმოგვცემს, ათასისთავთან შეხვედრისა და ურთიერთობის საშუალება თემისტოკლეს მიეცა ერთი ერეტრიელი[83] დიაცის წყალობით, ვინც ათასისთავის საყვარელი იყოო.

28. თემისტოკლე მეფეს წარუდგინეს. მან მას ქვეგანრთხმით თაყვანი სცა, მერმე ფეხზე წამოდგა და დუმილით შეაცქერდა. მეფემ თარჯიმანს უბრძანა, სტუმრისათვის ვინაობა გამოეკითხა. როცა თარჯიმანმა დავალებული იკითხა, თემისტოკლემ უპასუხა: „ათენელი თემისტოკლე მოვსულვარ შენთან, მეფეო, ელინთაგან დევნილი ლტოლვილი. ჩემი წყალობით სპარსებმა ბევრი ვნება იგემეს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სიკეთეც ნახეს, ვინაიდან მათი დევნა შევაჩერე, როცა ელადა მშვიდობაში აღმოჩნდა და შინაურმა თავდახსნილობამ საშუალება მომცა, თქვენთვისაც გამეწია სამსახური. ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში კი ყველაფერი შეიძლება შემხვდეს; ამიტომაც მომზადებული მოველ, მივიღო წყალობა, თუ სიკეთის ქმნისკენ ხარ გადახრილი და გთხოვო რისხვის შეწყვეტა, თუ ხსოვნაში სიავე ჩაგრჩენია. ჩემი მტრები შენ იმ სიკეთეთა მოწმეებად უნდა ჩათვალო, რომლებიც სპარსთათვის გამიწევია. ხოლო ჩემი ხვედრი, გიჯობს, შენი კეთილმოწყალეობის საჩვენებლად გამოიყენო, ვიდრე შურის საძიებლად. შენ ძალგიძს, გადაარჩინო შენთან ვედრებად მოსული კაცი, ანდა დაღუპო იგი, ელინთა მტრად რომ გარდაქცეულა!“ ამ სიტყვებს თემისტოკლემ ღვთაებრივი ძალის მისანიშნებლად იმ სიზმრის ამბავი დაუმატა, ნიკოგენეს სახლში რომ იხილა და თან მისნობაც მიაყოლა დოდონელი[84] ზევსისა, რომელმაც უბრძანა, მისულიყო იმასთან, ვინც ღვთის სახელს ატარებდა; მაშინ იგი მიხვდა, ზევსი მეფესთან გზავნიდა, რომ ორივენი დიადზე დიადნი არიან და მეფეებად იწოდებიან.

სპარსთა მეფემ თემისტოკლეს სიტყვა მოისმინა, მაგრამ არაფერი არ უპასუხა, თუმცა მისმა გონიერმა მსჯელობამ და სიმამაცემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მან ნეტარად შერაცხა თავისი თავი მეგობართა წინაშე ამ დიდი ბედნიერების გამო და არიმანიოსს[85] შეევედრა, მუდამ ასე შეეგონებინა მისი მტრებისათვის საუკეთესო თანამოქალაქეთა სამშობლოდან განდევნის აზრი. მერმე, როგორც

ამბობენ, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და მაშინვე ღრეობა გამართა. ღამით კი, შუაძილში, სიხარულისაგან სამგზის წამოიძახა თურმე: „თემისტოკლე ათენელი ჩემს ხელშიაო!“

29. დილით ადრე მეფემ მეგობრებს უხმო და შეამოაყვანინა თემისტოკლეც, რომელმაც სიკეთის ყოველგვარი იმედი დაკარგა, როცა კარის დიდებულნი იხილა. საქმე ის გახლდათ, მისი სახელის გაგონებაზე ესენი მტრულად განეწყვნენ და ლანძღვა დაუწყეს. ამას ისიც დაემატა, რომ, როცა მეფე უკვე ტახტზე იყო დაბრძანებული და ყველანი გარინდულიყვნენ, ათასისთავმა როქსანემ, ვისაც მეფისკენ მიმავალმა თემისტოკლემ ჩაუარა, დაიგმინა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ბერძენო ჭრელო გველო, შენ აქ ჩვენი მეფის კეთილმა დემონმა მოგიყვანა!“ მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, როცა თემისტოკლე მეფის პირისპირ წარდგა და კვლავ ქვე-განრთხმით თაყვანი სცა, მეფე მას მიესალმა და ალერსით უთხრა: მე შენი უკვე ორასი ტალანტი მმართებს; რაკი შენი თავი შენვე მოიყვანე, სამართლიანად უნდა მიიღო მომყვანისათვის გამოცხადებული თანხაო. გარდა ამისა, მეფე თემისტოკლეს ხსენებულზე მეტ გასამრჯელოს შეჰპირდა, გაამხნევა და უბრძანა, გულახდილად მოეთხრო, რაც სურდა, ბერძენთა საქმეების თაობაზე. თემისტოკლემ უპასუხა: ადამიანის სიტყვა ჰგავს ჭრელ-ჭრელ ხალიჩებს, ერთიცა და მეორეც, თუ მათ გავშლით, თავ თავის მოხაზულობათ გვიჩვენებენ, თუ დავახვევთ და შევკუმშავთ, ხსენებულ მოხაზულობებს ფარავენ და ამახინჯებენ[86]. ამიტომ მე დრო მჭირდებაო. მეფეს მოეწონა შედარება და უბრძანა, დაეთქვა დრო. თემისტოკლემ ერთი წელი გამოითხოვა და სპარსულ ენაზე ლაპარაკი ისე ისწავლა, რომ მეფესთან უშუალოდ საუბრობდა. გარეშე მყოფთ მან შეაგონა, რომ ეს საუბრები ბერძენთა საქმეებს ეხებოდა. მაგრამ იმ ხანებში ბევრი სიახლე დატრიალდა სასახლეში და მეფის დამოკიდებულებაც შეიცვალა მეგობრებისადმი. ამან შური და ეჭვი აღუძრა დიდებულებს; ისინი დარწმუნებული იყვნენ, თემისტოკლე გაბედულად მსჯელობდა მათ შესახებ მეფესთან. მართლაც, პატივისცემა, რომელსაც აქ თემისტოკლეს მიმართ იჩენდნენ, სრულიად არ ჰგავდა სხვა სტუმრებისთვის განკუთვნილ პატივისცემას. თემისტოკლე თავისუფლად მონაწილეობდა მეფესთან ერთად ნადირობაში, სასახლის შინაურ საქმეებშიც ერეოდა და თვით მეფის დედასთან პირისპირ წარდგომისა და მასთან ახლო ურთიერთობის უფლებაც მიეცა; მეფის ბრძანებით მან იქაურ მოგვთა მოძღვრებაც კი შეისწავლა.

ერთხელ მეფემ სპარტელი დემარატე[87] დასასაჩუქრებლად მიიწვია. ამან საჩუქრად მოითხოვა კიტარისი[88]. მინდა, მეფეთა მსგავსად სარდეში ცხენზე ამხედრებულმა გავიაროო. მეფის ბიძაშვილმა, მითროპავსტემ, დემარატეს ხელზე ხელი წაავლო და უთხრა: „მაგ კიტარისს დასაფარავად ივინი არ გააჩნია; შენც ვერ იქნები ზევსი, თუნდაც ხელთ ელვა და მეხი იპყრო!“ ხსენებული თხოვნის გამო გამწყრალმა მეფემ დემარატე თავიდან მოიშორა და ასე ჩანდა, მის მიმართ ულმობელი იქნებოდა; მაგრამ თემისტოკლემ თხოვნა მუდარით აზრი შეაცვლევინა.

გადმოგვცემენ, მომდევნო ხანის მეფეთა დროს, რომელთა გამგებლობაშიც სპარსებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, როცა კი ვინმე ბერძენი ვაჟკაცი დასჭირდებოდათ, მას წერილობით უთვლიდნენ, რომ მეფესთან თემისტოკლეზე უფრო მეტი პატივით იქნებოდა მიღებული.

ამბობენ, როცა თემისტოკლე აღზევებული იყო და მრავალნი ცდილობდნენ მის სამსახურში ჩადგომას, აი მაშინ, ერთ დღეს ბრწყინვალე სუფრასთან შემომსხდარ შვილებს უთხრა: „შვილნო ჩემნო, ჩვენ უთუოდ დავიღუპებოდით, რომ არ დავღუპულიყავით!“

უმრავლესობა ამბობს, თემისტოკლეს სამი ქალაქი ებოძა პურის, ღვინისა და სანოვაგისთვისო. ორ ქალაქს – პერკოტესა და პალესკეფსისს დგამისა და ტანისამოსისათვის უმატებენ ნეანთე კიზიკოსელი და ფანია.

30. როცა თემისტოკლე საბერძნეთის საქმეების გამო ქვემოთ, ზღვისაკენ გაემგზავრა, ერთმა სპარსმა, სახელად ეპიქსიემ, ვინც ზემო ფრიგიის სატრაპი გახლდათ, ავი განუზრახა. მას კარგა ხანია მომზადებული ჰყავდა ვიღაც პისიდიელები მის მოსაკლავად მაშინ, როცა იგი ღამის გასათევად ქალაქ ლეონტოკეფალოსში[89] დაისადგურებდა. გადმოგვცემენ, შუადღით ძილს თავმიცემულ თემისტოკლეს სიზმრად ღმერთების დედა გამოეცხადა და უთხრა: „თემისტოკლე, ერიდე ლომთა თავებს, რათა ლომს არ ჩაუვარდე. ამ გაფრთხილების სანაცვლოდ მე შენ გთხოვ, მსახურად დამიყენო მნესიპტოლემა“. შეშფოთებულმა თემისტოკლემ ღმერთქალს მადლი შესწირა, შარაგზას თავი მიანება, სხვა გზასაც შემოუარა, სახიფათო ადგილს განერიდა და, რაკი უკვე ღამემ მოუსწრო, მოსასვენებლად დაბანაკდა. გზაში ერთ-ერთი იმ გამწევ პირუტყვთაგან, რომელთაც კარავი მოჰქონდათ, მდინარეში ჩავარდა. თემისტოკლეს მსახურებმა

კარვის დასველებული ფარდაგები გასაშრობად გაშალეს. სწორედ ამ დროს მოვარდნენ მახვილამოწვდილი პისიდიელები; მთვარის შუქზე მათ კარგად ვერ გაარჩიეს გასაშრობად გაშლილი ფარდაგნი; ეგონათ: ეს თემისტოკლეს კარავია და მას მძინარეს ვიპოვით შიგო. როცა ახლო მივიდნენ და ფარდაგნი ასწიეს, მათ თავს დაესხნენ მცველები და ყველანი შეიპყრეს. რაკიღა საფრთხე ასე გადაურჩა და ღმერთქალის გამოცხადებით გაოცებული იყო, თემისტოკლემ მაგნეზიაში დინდიმენეს[90] ტაძარი ააგო და მის ქურუმად თავისი ასული მნესიპტოლემა დააყენა.

31. სარდეში ჩასული თემისტოკლე თავისუფალ დროს ტაძარებსა და აურაცხელ შესაწირავებს ათვალიერებდა. ღმერთთა დედის ტაძარში მან იხილა ორი წყრთის სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, ეგრეთ წოდებული „წყლის მზიდავი გოგონა“ – ჰიდროფოროსი. როცა თემისტოკლე ათენში წყალთა ზედამხედველი იყო, შეიპყრო წყლის ორი მიმტაცებელი, რომელთაც საზოგადო წყალი თავისკენ გადაეგდოთ. სასჯელად აღებული თანხით სწორედ ხსენებული ქანდაკება გააკეთებინა და ღმერთებს შესწირა. თემისტოკლემ ან იმიტომ, რომ ღმერთებისადმი შეწირული საგნის ტყვეობამ შეაწუხა, ანდა ათენელთათვის სურდა ეჩვენებინა, რა პატივი და ძალა ჰქონდა სამეფო კარზე, ლიდიის სატრაპს თხოვნით მიმართა, გაეგზავნა ქალწულის ქანდაკება ათენში. ბარბაროსი გაწყრა და თემისტოკლეს დაემუქრა: მეფეს ამის თაობაზე წერილს მივწერო. თემისტოკლე შეშინდა, თავი ჰარამხანას შეაფარა, იქაური ხარჯები ფულით დაასაჩუქრა და ბარბაროსი სატრაპიც მოალმობიერა. ამიერიდან ფრთხილად იქცეოდა და ბარბაროსთა შურსა და ეჭვს ერიდებოდა. როგორც თეოპომპე ამბობს, თემისტოკლემ აზიაში ხეტიალს თავი მიანება; იგი მაგნეზიაში ცხოვრობდა, ძვირფას საჩუქრებს ღებულობდა და სპარსი დიდებულების მსგავს პატივში იმყოფებოდა. ცხოვრებას საკმაოდ კარგა ხანს უშიშრად ატარებდა, ვინაიდან მეფე ზემო აზიის საქმეებით იყო გართული და საბერძნეთისთვის მაინცდამაინც არ ეცალა, მაგრამ ათენელთა დახმარებით ეგვიპტის განდგომამ, ბერძნული ტრიერების ცურვამ კვიპროსსა და კილიკიამდე და ზღვაზე კიმონის ბატონობამ მისი ყურადღება მიიპყრო და აიძულა, ბერძენთა წინააღმდეგ ხელი გამოეღო, რათა მათი ძლიერების ზრდა, რაც მას უპირისპირდებოდა, დაებრკოლებინა. დაიწყო ჯარების მოძრაობა და სტრატეგოსების მიმოგზავნა. თემისტოკლესთან მაგნეზიაში

მაცნეები ჩამოდიოდნენ და მეფის ბრძანებას აუწყებდნენ: დადებული პირობა შეასრულე და საბერძნეთის საქმეებს მოჰკიდე ხელიო. მაგრამ თემისტოკლე თანამოქალაქეთა წინააღმდეგ წყრომით ანთებული როდი გახლდათ და არც ახლანდელი პატივი და ძალა ეწეოდა ომისკენ. შესაძლოა, ფიქრობდა, ხსენებულ საქმეში გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იყო, მეტადრე მაშინ, როცა ელადას დიდებული სარდლები ჰყავდა და მათ შორის კიმონი, რომელსაც დიდი სამსახური ჰქონდა გაწეული საბერძნეთისათვის.

მთავარი მაინც ის იყო, რომ თემისტოკლემ თავისი საქმიანობით მოპოვებული წარმატებების პატივისა და სახელის დასაცავად საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო: სიცოცხლისათვის შესაბამისი საზღვარი დაედო! მან ღმერთებს მსხვერპლი შესწირა, მეგობრებს თავი მოუყარა, ყოველ მათგანს ხელი ჩამოართვა და, ყველაზე უფრო გავრცელებული გადმოცემის თანახმად, დალია ხარის სისხლი[91]. ზოგიერთები კი ამბობენ, სწრაფად მოქმედი შხამი მიიღოო. გარდაიცვალა თემისტოკლე მაგნეზიაში. იცოცხლა სამოცდახუთი წელი, რომელთაგან დიდი ნაწილი სახელმწიფო საქმიანობასა და ჯარის წინამძღოლობაში გაატარა. როცა მეფემ მისი სიკვდილის მიზეზი გაიგო, ამბობენ, კიდევ უფრო მეტი მოწიწება იგრძნო ვაჟკაცისადმი და მის მეგობრებსა და შინაურებს მუდამ კეთილმოწყალედ ეკიდებოდაო.

32. ალოპეკელ ლისანდრეს ასულ არქიპესაგან თემისტოკლეს დარჩა სამი ვაჟი: არქეპტოლისი, პოლიევქტე და კლეოფანტე. კლეოფანტეს, სხვათა შორის, მოიხსენიებს ფილოსოფოსი პლატონი[92], როგორც საუკეთესო ცხენოსანს, მაგრამ რაიმე ღირსებით გამოურჩეველ კაცს. უფროს ვაჟთაგან ნეოკლე ბავშვობაში ცხენმა დაკბინა და მოკვდა, ხოლო დიოკლე პაპა ლისანდრემ იშვილა. ქალიშვილები თემისტოკლეს უფრო მრავლად ჰყავდა. ამათგან: მნესიპტოლემა, რომელიც მეორე ცოლისაგან შეეძინა, შეირთო გერმა ძმამ არქეოპტოლისმა; იტალია შეირთო პათოიდე ქიოსელმა; სიბარისი – ნიკომედე ათენელმა, ხოლო ნიკომაქე – თემისტოკლეს ძმისშვილმა ფრასკილემ, რომელიც მაგნეზიაში მაშინ ჩამოვიდა, როცა ნიკომაქეს მამა გარდაეცვალა და ძმებმა დააქორწინეს. ფრასკილემ გამოზარდა, სხვათა შორის, თემისტოკლეს ყველაზე უმცროსი შვილი სახელად ასია.

თემისტოკლეს დიდებული აკლდამა მაგნეზიელებს მოედანზე

აქვთ მოწყობილი[93]. რაც შეეხება თემისტოკლეს ნეშტს, მხარს ვერ დავუჭერთ ანდოკიდეს[94], რომელიც „მეგობრებთან საუბრებში“ ამბობს, თითქოს ათენელებს გვამის ნაშთები მოეპაროთ და მიმოეფანტოთ (ამ ტყუილით ანდოკიდეს სურს, ოლიგარქიის მომხრენი აამხედროს ხალხზე). ფილარქემ[95] თავის ისტორიაში, ტრაგედიის მსგავსად, მანქანა აამოქმედა და გამოიყვანა თემისტოკლეს შვილები – ნეოკლე და დემოპოლისი იმ მიზნით, რომ ტრაგიკული განცდა და პათოსი გამოიწვიოს, მაგრამ ყოველი კაცი მიხვდება, ეს შეთხზული ამბავია.

დიოდორე პერიეგეტე თავის თხზულებაში „სამარხავთათვის“ უფრო სავარაუდოდ, ვიდრე გადაწყვეტით, ამბობს, რომ პირევსის ნავსადგომთან, ალკიმოსის პირდაპირ მდებარე კონცხს აქვს იდაყვივით მოხრილი შვერილი, სადაც ზღვა მშვიდია და წყნარი; შიგნითა ნაწილში არის ვრცელი მოედანი, სადაც დგას ბომონის მსგავსი აკლდამა თემისტოკლესი. დიოდორე ფიქრობს, რომ მის გადმოცემას ადასტურებს კომიკოსი პლატონიც[96] ამ ლექსში:

შენი სამარე მდებარეობს ლამაზ მიწაზე;
იგი ყოველმხრივ მოგზაურებს მიესალმება;
ხედავს ხომალდებს ზღვაში გასულთ თუ მომავალთა;
უპვრეტს, როდესაც ერთმანეთში დავას იწყებენ.

თემისტოკლეს ჩამომავალნი ჯერ კიდევ ჩვენ დრომდე ჰყავდათ პატივში. ამ პატივის ნაყოფს იმკიდა, მაგალითად, ათენელი თემისტოკლე, რომელიც ჩვენი მახლობელი და მეგობარი გახდა ფილოსოფოს ამონიოსის[97] სკოლაში.

კამილუსი



1. ფურიუს კამილუსის[1] თაობაზე არსებულ მრავალ გადმოცემაში ყველაზე მეტად თავისებური და უცნაური ის გარემოება გახლავთ, რომ ეს კაცი – მრავალგზის ჯარების წინამძღოლად ნამყოფი და დიდ გამარჯვებათა მომპოვებელი, ხუთგზის დიქტატორად არჩეული და ოთხგზის ტრიუმფგადახდილი, ხოლო აღწერილობებში „რომის მეორე დამფუძნებლად"[2] მიჩნეული, არც ერთხელ კონსული არ ყოფილა! ამის მიზეზი სახელმწიფოს მაშინდელი მდგომარეობა იყო: სენატთან უთანხმოების გამო, ხალხმა კონსულების არჩევნებზე უარი თქვა და მხარი დაუჭირა წინამძღოლობისათვის სამხედრო ტრიბუნების ხმის მიცემით დანიშვნას. მართალია, საკონსულო ძალაუფლება მთლიანად ამათ ხელში გადავიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრიბუნთა რიცხობრივი შემადგენლობა მათ გამგებლობას აუტანელს არ ხდიდა. სახელმწიფო საქმეთა სათავეში ახლა ორი კაცი კი აღარ იდგა, არამედ ექვსი. ეს ვითარება ნუგეშს აძლევდა ოლიგარქიული მმართველობით გაწამებულ ხალხს. სწორედ ამ დროს ემთხვევა კამილუსის სახელის აღზევება და მისი საქმიანობის წარმატებანი. კამილუსმა ხსენებული ვითარების მიზეზით არ მოინდომა, ხალხის სურვილს დაპირისპირებოდა და კონსულის თანამდებობა მოეთხოვა, თუმცაღა, დროის იმ შუალედში საკმაოდ ხშირად იმართებოდა საკონსულო არჩევნებისათვის დანიშნული თავყრილობანი. სხვა საგამგებლო თანამდებობაზე ყოფნის ჟამს კი იგი ისე იქცეოდა, ძალაუფლება, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა, საერთო ჩანდა, ხოლო სახელის პატრონი ყოველთვის თვითონ იყო, მაშინაც კი, როცა მეთაურობა სხვებთან ჰქონდა გაზიარებული. პირველი ვითარების მიზეზი მისი შურსმოკლებული, ზომიერი წინამძღოლობა გახლდათ, მეორისა კი – საღი გონება, რომლის წყალობითაც, საერთო აზრის თანახმად, კამილუსს ქვეყანაში პირველი ადგილი ეჭირა.

2. ფურიუსების გვარი ჯერ კიდევ არ იყო დიდად გამოჩენილი, როცა კამილუსმა, პოსტუმიუს ტუბერტუსის დიქტატორობის ჟამს, თავისი ღვაწლით პირველმა მოიხვეჭა სახელი ექვებისა და ვოლსკების წინააღმდეგ გამართულ დიდ ბრძოლაში[3]. კამილუსი მაშინ ლაშქრის თავში მიაგელვებდა თავის რაშს. იგი თეძოში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა არ მიატოვა, ჭრილობაში ჩარჩენილი სათხედი ამოიგლიჯა, მტრის რჩეულ მეომრებთან ხელჩართულ შეტაკებაში ჩაება და მოწინააღმდეგე უკუაქცია. ამის გამო სხვა ჯილდოებთან ერთად წილად ხვდა ცენზორის თანამდებობაც, რასაც იმ დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცენზორის თანამდებობაზე მისი ყოფნის დროიდან მოიხსენიებენ ერთ კეთილ საქმეს: ცალკერძ სიტყვიერი დარწმუნებით, ცალკერძ სასჯელის მუქარით, მან აიძულა უცოლოები, შეუღლებოდნენ დაქვრივებულ ქალებს, რომლებიც ომების გამო ძალზე ბლომად იყვნენ. გარდა ამისა, აუცილებლობის გამო, დაბეგრა ობლებიც, რომლებსაც მანამდე არაფერს ახდევინებდნენ. ამისი მიზეზი იყო განუწყვეტელი ლაშქრობები, რომლებიც დიდ ხარჯს მოითხოვდნენ; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მსხვერპლი დასჭირდა ვეის ალყას[4]. ამ ქალაქს ზოგიერთი ვეიენტანთას უწოდებს. იგი ტირენიის მშვენება გახლდათ; იარაღის რაოდენობითა და მეომართა სიმრავლით რომს როდი ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით ბრწყინავდა სიმდიდრითა და ცხოვრებისეული ნეტარებით, ფუფუნებით და არაჩვეულებრივი სიუხვით. რომაელებთან გამართული ომების ჟამს მან მრავალი და სასახელო ბრძოლა გადაიხადა დიდებისა და ძალაუფლებისათვის. მაგრამ შეტაკებებში განცდილი დამარცხებების გამო იმხანად მისი პატივმოყვარეობა ერთგვარად დაიშრიტა. მოსახლეობამ ქალაქს დიდი და მტკიცე ზღუდე შემოავლო, აღჭურვა იგი იარაღით, სატყორცნი მოწყობილობებითა და პურით, აგრეთვე ყოველგვარი სხვა მარაგით. ხანგრძლივი ალყა – მას საკმაოდ მშვიდად გადაჰქონდა ეს ალყა – თვით მეალყეთათვისაც არანაკლებ საზრუნავი და მძიმე იყო. რომაელები დაჩვეულნი იყვნენ, გარე ლაშქრობანი მხოლოდ ზაფხულობით, ესე იგი არცთუ ხანგრძლივი დროის მანძილზე გაემართათ, ზამთარი კი შინ გაეტარებინათ. ახლა კი პირველად გახდნენ იძულებულნი, ტრიბუნთა წინამძღოლობით სიმაგრენი აეგოთ, ბანაკისათვის ზღუდე შემოევლოთ და მტრის ქვეყანაში ზაფხულიც და ზამთარიც გაეტარებინათ. არადა, უკვე თითქმის მეშვიდე წელი სრულდებოდა ომისა. ის მეთაურები, რომლებსაც ბრალად დასდეს ალყის სისუსტე, ხელმძღვანელობიდან

გადააყენეს და ომის საწარმოებლად ახალი წინამძღოლები აირჩიეს. მათ შორის იყო კამილუსიც, რომელსაც მეორეგზის მოუხდა სამხედრო ტრიბუნის მოვალეობის ასრულება[5]. საალყო საქმეში მაშინ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რადგან წილად ხვდა ბრძოლა ფალერელებსა და კაპენებთან,[6] რომლებიც რომაელთა მოუცლელობით სარგებლობდნენ, მათ მხარეს ხშირად აწიოკებდნენ და ტირენიასთან მთელი ომის მანძილზე განუწყვეტლივ აწუხებდნენ. კამილუსმა ისინი სასტიკად დასაჯა, მრავალი დახოცა, დანარჩენები კი თავთავისი ქალაქის ზღუდეებს შიგნით შერეკა.

3. გაჩაღებული ომის ჟამს ალბანის ტბაში უბედურება დატრიალდა, რომელმაც დაუჯერებელ სასწაულზე ნაკლებ როდი დააშინა ყველა, ვინაიდან მიზეზი საყოველთაოდ გაუგებარი იყო და ვერ იხსნებოდა იმით, რომ ბუნებრივი მოქმედება ედო საფუძვლად. შუა შემოდგომა იდგა. ზაფხული კი ისე დამთავრდა, რომ არც მეტისმეტად წვიმიანი ამინდებით და არც სამხრეთის მძლავრი ნესტიანი ქროლით არ გამოირჩეოდა. იტალიის მრავალრიცხოვან ტბებში, მდინარეებსა და წყაროებში წყალი ან სულ ამოშრა, ანდა ძლივს ფარავდა ფსკერს; მდინარეთა კალაპოტები ხანგრძლივი სიცხეების გამო გამეჩხერდა და დაკნინდა. რაც შეეხება ნაყოფიერი გორაკებით შემორკალულ ალბანის ტბას, იგი, ალბათ ღვთაებრივი მიზეზით, ვინაიდან სხვა მიზეზი არ არსებობდა, შესამჩნევად გაიზარდა, ადიდდა და გორაკთა ძირებს მიაწყდა; მერმე კი, ღელვისა და ტალღების გარეშე ზეაწეული, მაღლობთა მწვერვალებსაც მიწვდა. თავდაპირველად ამ მოვლენამ მწყემსები და მეჯოგენი გააოცა; მაგრამ როცა წყალდიდობის სიმძიმემ დაბლობისაკენ ტბის გადამღობი ყელი გაარღვია და უზარმაზარი ნაკადი ნახნავებსა და ნარგავებზე გადავლით ზღვისკენ დაეშვა, მაშინ მხოლოდ რომაელები კი არ შეძრწუნდნენ, არამედ იტალიის მთელმა მოსახლეობამ მიიჩნია, რომ ეს მცირე სასწაულის ნიშანი არ იყო! ამის თაობაზე განსაკუთრებით დაირხა ხმა ვეის მეალყეთა ბანაკში და ალყაში მოქცეულთათვისაც ცნობილი გახდა ტბაზე ამტყდარი უბედურება.

4. ხანგრძლივი ალყის ჟამს სამტროდ დაპირისპირებულთა შორის მჭიდრო კავშირი მყარდებოდა და საუბრებიც იმართებოდა ხოლმე. და აი, მაშინაც მოხდა ისე, რომ ერთმა რომაელმა ალყაშემორტყმული მოქალაქეთაგანი გაიცნო და მას გულახდილი საუბარი გაუმართა. ეს მოქალაქე მიჩნეული გახლდათ ძველისძველ მისნობებში ჩახედულ კაცად, რომელმაც მარჩიელობის წყალობით სხვებზე მეტი

იცოდა. ამას გაეხარდა ტბის ადიდების ამბავი და რომაელთა ალ-ყას დაცინვა დაუწყო. ამაზე რომაელმა უთხრა: აწმყო დრომ ჩვენ, რომაელებს, მარტოოდენ ეს სასწაული როდი მოგვივლინა; იმათაც ხალისით გაუწყებ შენ, თუკი შეძლებ ამ საერთო უბედურებაში ჩვენი საკუთარი ხვედრის შემსუბუქებასო. გაცნობილი კაცი ყურადღებით უსმენდა და თვითონაც ებმებოდა საუბარში, რათა რაღაც რაღაც საიდუმლოებები შეეტყო. რომაელმა კი ამ მუსაიფით ნელ-ნელა გარეთ გაიტყუა; როცა ქალაქის ჭიშკარს კარგა მანძილით გასცდ-ნენ, ეს მასზე უძლიერესი ვაჟკაცი მიწიდან აიტაცა და ბანაკიდან მოვარდნილ მშველელთა დახმარებით დასძლია, დაიმორჩილა და სარდლებს გადასცა. რაკიღა ასეთ იძულებით ვითარებაში აღმოჩნდა და მიხვდა, რაც ბედით ეწერა, იმას ვერ გაექცეოდა, შეპყრობილმა თავისი სამშობლოს შესახებ საიდუმლო წინასწარმეტყველება მტერს გაუმჟღავნა: ქალაქს ვერ აიღებთ, სანამ ნაპირებზე გადმოსულ და სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე ალბანის ტბის წყალს უკან არ დააბრუნებთ და გზის გადაღობვით ხელს არ შეუშლით, ზღვას შეუერთდესო. ეს ამბავი სენატმა რომ შეიტყო, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა და ყველაზე კარგ ზომად მიიჩნია, დელფოში ღმერთისა-გან მისნობის[7] შემტყობი ელჩობის გაგზავნა. ელჩებად მივლენილმა სახელოვანმა და მაღალი რანგის პირებმა - კოსუს ლიკინიუსმა, ვალერიუს პოტიტუსმა და ფაბიუს ამბუსტუსმა საჭირო მისნო-ბისათვის ზღვა გადაცურეს, ღმერთს დაეთათბირნენ და უკან დაბ-რუნდნენ. თან მოიტანეს სხვადასხვაგვარი წინათქმა: რომაელებს ნა-კლები მზრუნველობა უნდა გაეწიათ წინაპრებისეული დღეობების, ეგრეთ წოდებული ლათინური ზეიმების[8] აღსასრულებლად; ალბანის წყლისათვის უნდა გადაეკეტათ გზა და, თუკი შეძლებდნენ, ზღვიდან ძველი კალაპოტისაკენ დაებრუნებინათ; თუ ამას ვერ იღონებდნენ, თხრილებითა და არხებით ველზე უნდა გადაეგდოთ და სარწყავად დაეხარჯათ. როცა ეს ამბავი ეუწყათ, ქურუმებმა მსხვერპლშეწირვა დაიწყეს, ხალხი კი მუშაობას შეუდგა, რათა წყლისთვის საჭირო მიმართულება მიეცათ.

5. ომის მეათე წლისთავზე სენატმა გააუქმა ყველა საგამგებლო თანამდებობა და დიქტატორად კამილუსი დანიშნა[9]. ამან ცხენო-სანი ლაშქრის მეთაურად კორნელიუს სციპიონი აირჩია და ღმერ-თებს დაუდო აღთქმა, თუ ომი სახელოვნად დასრულდებოდა, დიდი სანახაობა მოეწყო და ღმერთქალისათვის, რომელსაც რომაელები დედა მატუტას ეძახიან, ტაძარი შეეწირა. ამ ღმერთქალისადმი აღ-

სრულებადი წმიდა სამსახურის მიხედვით თუ კაცი იმსჯელებს, შეიძლება ღვთაება ლევკოთეად ჩათვალოს[10]. ქალებს ტაძარში შეჰყავთ მსახური დედაკაცი და ლოყებზე ხელებს უტყაპუნებენ, შემდეგ გარეთ აგდებენ და, საკუთარი შვილების ნაცვლად, დების შვილებს ეხვევიან. მერმე მსხვერპლშეწირვის ისეთ მოქმედებას მოაყოლებენ, რომლებიც დიონისეს აღმზრდელთა და ხარჭა ქალის გამო ინოს ტანჯვათა მოგონებებს შეეფერება[11].

აღთქმათა დადების შემდეგ კამილუსი ფალისკების სამფლობელოში შეიჭრა და დიდ ბრძოლაში ისინიც დაამარცხა და მათ საშველად მოსული კაპენელებიც. მერმე ვეის ალყას მიუბრუნდა და, რაკი დაინახა, პირდაპირი იერიში ძნელი და მძიმე საქმე იყო, შეუდგა მიწისქვეშა გასასვლელის თხრას, რადგან ქალაქის ირგვლივ მდებარე ადგილები იძლეოდა თხრილის ამოღებისა და ისეთ სიღრმეში შეღწევის საშუალებას, სადაც მტრისათვის შეუმჩნევლად იმუშავებდნენ. და აი, როცა წარმატების იმედმა წინ წაიწია, თვითონ კამილუსმა გარედან მიიტანა ქალაქზე იერიში და მტერი კედლებზე ამოიტყუა. ამასობაში სხვები მიწაში გათხრილი გასასვლელებით გაემართნენ წინ და შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ციხესიმაგრეში ჰერას ტაძრის ქვეშ, რომელიც ქალაქში ყველაზე დიდი და ყველაზე საპატიო ტაძარი იყო. ამბობენ, ზუსტად იმ დროს ტირენების მეთაური მსხვერპლშეწირვით იყო გართული; ქურუმმა მსხვერპლთა შიგნეულს რომ დახედა, ხმამაღლა წარმოთქვა: ღმერთი გამარჯვებას ანიჭებს მას, ვინც ამ მსხვერპლშეწირვას განაგრძობსო. როცა ეს ხმა მიწისქვეშ მყოფმა რომაელებმა გაიგონეს, მსწრაფლ ამოანგრიეს იატაკი და ყვირილითა და იარაღის ჟღარუნით ზევით ამოცვივდნენ. თავზარდაცემული მტერი უკუიქცა; რომაელებმა კი სამსხვერპლო შიგნეულს ხელი სტაცეს და კამილუსს მიუტანესო. ეს ამბავი, კაცმა რომ თქვას, ზღაპარს ჰგავს.

ქალაქი ძალის წყალობით აიღეს. რომაელებმა მისი უთვალავი სიმდიდრის დატაცება და გატანა დაიწყეს. ეს კამილუსმა ციხესიმაგრიდან დაინახა, ჯერ გაშეშდა და თვალებზე ცრემლი მოადგა, ხოლო მერმე, როს იქ მყოფთაგან მილოცვები მოისმინა, ხელები ღმერთებისაკენ აღაპყრო და ვედრება წარმოთქვა: „დიდო იუპიტერო და თქვენც, სხვა ღმერთებო, კარგსა და ავ საქმეთ რომ თვალყურს ადევნებთ, დაგვემოწმეთ რომაელთ, რომ ჩვენ არა სამართლის საწინააღმდეგოდ, არამედ თავდაცვისათვის აუცილებლობის გამო ვსჯით ჩვენს მტერთა და უკანონოდ მოქმედთა ქალაქს! მაგრამ თუ აწინ-

დელი წარმატებისათვის ჩვენც უნდა ვზღოთ სამაგიერო, ვვედრებ თქვენდა, რათა იგი ააცილოთ რომაელთა ქალაქსა და მის ჯარს და მცირეოდენი ზიანით საზღაური მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე აღასრულოთ! – წარმოთქვა თუ არა ეს, ლოცვად და თაყვანისცემად დამდგარ რომაელთა ადათის თანახმად, მარჯვნივ მიტრიალდა, მიბრუნებისას წაიქცა. დამსწრენი შეშფოთდნენ, მაგრამ კამილუსმა ფეხზე წამოდგომა მაშინვე მოახერხა და თქვა: „ყველაფერი ჩემი ვედრების თანახმად აღსრულდა – დიდი ბედნიერების ჟამს მცირეოდნად წავიბორძიკეო!“

6. ქალაქის დარბევის შემდეგ კამილუსმა გადაწყვიტა, აღთქმის თანახმად, ჰერას ქანდაკება რომში გადაეტანა. ამ საქმის აღსასრულებლად ოსტატები შეიკრიბნენ. კამილუსმა მსხვერპლი შესწირა და ღმერთქალს შეევედრა, მათი მგზნებარე სურვილი შეეწყნარებინა და რომაელთა წილხვედრილი ღმერთების კეთილი თანამოსაგრე გამხდარიყო. ამბობენ, თითქოს ქანდაკებამ წყნარად ჩაილაპარაკა, რომ მას ამის სურვილი აქვს და განზრახულ საქმეს აქებს. ლივიუსი გადმოგვცემს: კამილუსი ღმერთქალის გამოსახულებას ხელით ეხებოდა და ისე ევედრებოდა, ხოლო ზოგიერთი დამსწრე ვედრებაზე უპასუხებდა, რომ ღმერთქალი თანახმაა, აქებს განზრახულს და ხალისით გაჰყვება რომაელებსო. ისინი, ვინც მტკიცედ იცავენ თავისას, სასწაულის მეტყველ დიდ მოწმედ იშველიებენ თვით რომის ქალაქის ბედს: ეს ქალაქი მცირე და უმნიშვნელო საწყისიდან ღვთაების გარეშე ვერ შეძლებდა ეგზომ სახელოვან და ძლიერ წინსვლას, რაიც მრავალი დიდი მოვლენით გამოიხატება ხოლმე. იმოწმებენ სხვა მსგავს სასწაულებსაც – ქანდაკებიდან ხშირად ოფლის დაღვრას, გმინვა-კვნესის გამოცემას, კერპების თავისთავად შებრუნებასა და თვალების დახუჭვას. იმ ამბებს წარსული დროის მწერალთა არცთუ მცირერიცხოვანი რაოდენობა მოგვითხრობს: ბევრი რამ, რაც გაოცების ღირსია და რომელთა უგულებელყოფაც შეუფერებელი საქმეა, ჩვენ დროშიც გაგვიგონია თანამედროვეთაგან. ასეთი ამბების მეტისმეტად დაჯერებაც და ძლიერი უნდობლობაც საფრთხილოა ადამიანის უძლურების გამო. მან ხომ არ იცის საზღვარი და ვერ იმორჩილებს თავის თავს, როცა მიისწრაფვის ცრურწმენისა და ფუჭი წარმოსახვების მხარდასაჭერად, ანდა როცა უგულებელყოფს და აკნინებს ღმერთებისადმი ნდობას. ყველაფერს სჯობს სიფრთხილე და ზომიერება![12].

7. აღსასრულებელი საქმის სიდიადემ, იმან, რომ ალყის მეათე

წელს აიღო რომის მოწინააღმდეგე ქალაქი, აგრეთვე მრავალთაგან ნეტარ კაცად შერაცხვამ, კამილუსი მეტისმეტად ქედმაღალი და ამაყი გახადა, რაც ყოვლად აუტანელი იყო კანონიერი სახალხო ძალაუფლების მქონე პირის მხრივ. მან ფრიად ზვიადური ტრიუმფი გადაიხადა: რომის ქუჩებში გაიარა ოთხ-თეთრცხენშებმულ ეტლზე ამხედრებულმა. ასეთი რამ არ უქნია არც ერთ მხედართმთავარს, არც მანამდე და არც შემდეგ, ვინაიდან ოთხ-თეთრცხენიან ეტლს თვლიან მეფისა და ღმერთთა მამისათვის მიძღვნილ წმიდა შეწირულებად. ზვიადობასა და ფუფუნებას მიუჩვეველი მოქალაქენი ამიერიდან ზიზღით ეკიდებოდნენ კამილუსს. მეორე მიზეზი თანამოქალაქეთა რისხვისა იყო კამილუსის მიერ ქალაქის განსახლების კანონის წინააღმდეგ წასვლა. სახალხო ტრიბუნებმა წინადადება წამოაყენეს, ხალხი და სენატი ორ თანაბარ ნაწილად გაეყოთ, რათა ერთ ნაწილს იქვე რომში ეცხოვრა, მეორეს კი, რომელსაც წილად ხვდებოდა, გადასახლებულიყო დაპყრობილ ქალაქში. ამით ხალხი უფრო შეძლებული გახდებოდა და ორი დიდი და მშვენიერი ქალაქის ფლობით მიწასაც და სხვა სიკეთესაც უკეთ დაიცავდა. იმ დროისათვის რომის მოსახლეობა გაიზარდა და გაღარიბდა, ამიტომ ხალხმა ხსენებული წინადადება მოიწონა, საორატორო ტრიბუნას შემოეხვია და კენჭისყრა მოითხოვა. სენატი და მოქალაქეთა წარჩინებული ნაწილი თვლიდა, რომ სახალხო ტრიბუნებს განზრახული ჰქონდათ რომის არა გაყოფა, არამედ მისი დამხობა. ამიტომ სენატმა და წარჩინებულებმა დახმარებისათვის კამილუსს მიაშურეს. კამილუსი აშკარა ბრძოლას მოერიდა, სხვადასხვა საბაბი და ხალხისათვის გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა და მათი წყალობით წარმოდგენილი კანონის მიღებას განუწყვეტლივ აბრკოლებდა. ეს მას არასასიამოვნო პიროვნებად ხდიდა. ყველაზე უფრო აშკარა და უდიდესი ზიზღი გამოიწვია ნადავლის მეათედი ნაწილის საკითხმა. საბაბი, რომელსაც ხალხი ჩაეჭიდა, თუ გონივრული არ იყო, არც სამართლიან საფუძველს იყო მოკლებული. როგორც ჩანს, როცა კამილუსი ვეის მიადგა, მან აღთქმა დადო, თუ ქალაქს აიღებდა, იქაური ნადავლის მეათედი ღმერთისათვის შეეწირა. მაგრამ როცა ქალაქი აიღეს და გაძარცვეს, ალბათ მოქალაქეთა განაწყენებას მოერიდა, ანდა მიმდინარე საქმეთა გამო დავიწყებამ მოიცვა, ნადავლი ახალ მოსარგებლეთ შეატოვა. შემდეგ კი, გამგებლობის რწმუნების ვადა რომ გაუვიდა, ხსენებული ამბავი სენატს აუწყა. ამავე დროს მისნებმა განაცხადეს: მსხვერპლშეწირვა გვიჩვენებს ღმერთების რისხვას,

ისინი ლმობიერებასა და მათთვის საამო სამსახურს მოითხოვენო.

8. სენატმა კენჭისყრით დაადგინა, ნადავლი არ გადანაწილებულიყო (გადანაწილება ძნელზე ძნელი იქნებოდა), მაგრამ ვისაც წილი მიღებული ჰქონდა, მეათედი ფიცდადებით უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოსათვის. დადგენილება მეტად შემაწუხებელი და ძალდატანებითი გამოდგა ჯარისკაცებისათვის - ღარიბი და ბევრჭირგადანახადი ადამიანებისათვის, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ, რაც მოიხვეჭეს და რისი ნაწილიც უკვე მოიხმარეს, გადაწყვეტილი რაოდენობით დანიშნულებისამებრ შეეტანათ. მათი საყვედურებით აფორიაქებულმა კამილუსმა, გასასამართლებლად უკეთესი საბაბი რომ ვერ მონახა, სრულ უაზრობას ჩაეჭიდა: აღთქმა დამავიწყდაო. მისგან განაწყენებულნი კი საყვედურობდნენ: აღთქმა დასდე, რომ მტრის ქონების მეათედს შესწირავდი ღვთაებას, მოქალაქეთა საკუთრების მეათედი კი მიგაქვსო. ასე იყო, თუ ისე, ყველამ შეიტანა კუთვნილი გადასახადი და ისიც გადაწყვიტეს, დელფოში გასაგზავნად ოქროს კრატერი გაეკეთებინათ.[13] ქალაქში ოქროს ნაკლებობა იყო და ხელისუფლების წარმომადგენელნი ერთ ფიქრში იყვნენ, როგორ მოეძიათ იგი. მაშინ ქალებმა მოილაპარაკეს და თითოეულმა მოიხსნა ტანიდან ოქროს მორთულობა შესაწირავისათვის. ამ გზით თავმოყრილი ოქროს წონა რვა ტალანტი გამოდგა.[14] ქალებისათვის სამაგიერო და შესაფერი პატივის მისაგებად სენატმა დაადგინა, სიკვდილის შემდგომ მათი ხსოვნის აღსანიშნავად წარმოეთქვათ შესაქები სიტყვა (უწინ არ იყო მიღებული მიცვალებული ქალის შესამკობად საჯარო სიტყვის წარმოთქმა).

წარჩინებულ მოქალაქეთაგან წმინდა ელჩებად აირჩიეს სამი კაცი, მერმე გრძელი სამხედრო ხომალდი საზეიმო მორთულობით და შემადგენლობით აღჭურვეს და გაისტუმრეს. ზღვაზე ქარიშხალიც და წყნარი ამინდიც ზოგჯერ ერთნაირად სახიფათოა. ეს ხსენებული ელჩების მოგზაურობამ დაადასტურა. ისინი დაღუპვის პირზე იყვნენ მისულნი, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადარჩნენ. ეოლოსის კუნძულებთან ისინი მეკობრეებად მიიჩნიეს და, როცა ქარი ჩადგა, თავს დაესხნენ ლიპარას ტრიერები. რომაელმა ელჩებმა თხოვნა ვედრებით ხელები აღაპყრეს და ლიპარელებმა მათ ხომალდს შეჯახება ააცილეს, ბაგირი გამოაბეს, სანაპიროზე ჩაიყვანეს და გასაყიდად გამოაცხადეს ქონებაც და მასზე მყოფი, მეკობრეებად მიჩნეული ადამიანებიც. მხოლოდ ერთმა იქაურმა კაცმა, სარდალმა ტიმესითეოსმა, ვაჟკაცობისა და გავლენიანი ძალის წყა-

ლობით, დაარწმუნა ლიპარელები, გაეთავისუფლებინათ ელჩები, თავისი გემებიც შეაშველა და მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა წამოღებული საჩუქრის შეწირვაში. ამის გამო რომში შესაფერი პატივისცემაც დაიმსახურა.

9. სახალხო ტრიბუნებმა კვლავ აღძრეს საკითხი განსახლების კანონის თაობაზე, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო ომი ფალისკებთან. ამან შესაძლებლობა მისცა წარჩინებულებს, თანამდებობის პირები საკუთარი აზრის შესაბამისად აერჩიათ. რაკი ვითარება მოითხოვდა არა მარტო გამოცდილების მქონე, არამედ ღირსებითა და სახელით შემკულ წინამძღოლს, სხვა ხუთ პირთან ერთად სამხედრო ტრიბუნად კამილუსი დანიშნეს. მისცა თუ არა ხალხმა ხმა, კამილუსმა ძალაუფლება აიღო და ფალისკების მხარეში შეიჭრა. ალყა შემოარტყა ომისათვის ყოველმხრივ მომზადებულ და გამაგრებულ ქალაქ ფალერეს. რაკიღა იცოდა, რომ მცირე გარჯითა და დროით ქალაქს ვერ აიღებდა, გადაწყვიტა, თანამოქალაქენი დაძაბულ მოქმედებაში ჰყოლოდა, რათა შინ უქმად არ მსხდარიყვნენ და წამქეზებელთა სიტყვებს შფოთის ასატეხად არ აჰყოლოდნენ. რომაელები, ვითარცა მკურნალი ექიმები, ყოველთვის მიმართავდნენ ხოლმე ამ შესაფერ წამალს და შფოთის ავადმყოფობას სახელმწიფოდან აძევებდნენ.

10. რაკი ციხე ქალაქი ყოველი მხრიდან გამაგრებული ჰქონდათ, გულდანდობილი ფალერელები რომაელთა ალყას აგდებით უყურებდნენ. იმათ გარდა, ვინც ქალაქის კედლებს დარაჯობდნენ, ყველანი ტოგებში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო მოქალაქეთა ბავშვები სასწავლებელში დადიოდნენ და მასწავლებლის წინამძღოლობით ხშირად კედლის გარეთაც ახერხებდნენ გასვლას სასეირნოდ და სავარჯიშოდ. ფალერელები, ელინების მსგავსად, მხოლოდ ერთ საერთო მასწავლებელს ეყრდნობოდნენ, ვინაიდან სურდათ, ბავშვები ერთად გაზრდილიყვნენ და ერთად ყოფილიყვნენ. და აი, ამ მასწავლებელმა ბავშვები გამოიყენა და ვერაგობა მოუწყო ფალერელებს. მას ყოველდღე ჩაჰყავდა ბავშვები თავდაპირველად კედლების საძირკვლის მახლობლად და ვარჯიშის შემდეგ უკან - ციხესიმაგრის შიგნით აბრუნებდა. მერმე თანდათანობით უფრო შორს დაიწყო მათი გაყვანა და ნელ ნელა ისე დააჩვია, რომ ბავშვები გათამამდნენ, თითქოს სრულ უსაფრთხოებაში იმყოფებოდნენ. ბოლოს ყველა ბავშვი რომაელ დარაჯებთან მიიყვანა, გადასცა მათ და ითხოვა, ყველანი კამილუსთან წაეყვანათ. როცა მის წინაშე წარდგა, მოახსენა:

მე აღმზრდელი და მასწავლებელი ვარ, მაგრამ ბავშვების სამართლიანად მოპყრობას მირჩევნია, შენ გაგიწიო სამსახური; აი, მოველ შენთან და ამ ბავშვების სახით მათი ქალაქიც მომირთმევიაო. კამილუსმა მოისმინა, მაგრამ მასწავლებლის მოქმედება საზარელ საქციელად ჩათვალა და იქ მყოფთ მიმართა: ომი მძიმე საქმეა და მრავალ უსამართლობასა და ძალადობას იქმს, მაგრამ ზნეკეთილი ვაჟკაცები ომშიც იცავენ რაღაც კანონებს. რაოდენ მისადევარი საქმეც არ უნდა იყოს გამარჯვება, სიკეთის წყაროდ ბოროტება როდი უნდა გამოვიყენოთ; დიდმა სარდალმა სხვის ბოროტ საქციელზე კი არა, საკუთარ ქველობაზე დაყრდნობით უნდა იმოქმედოს ბრძოლისა და ლაშქრობის ჟამსო! კამილუსმა ქვეშევრდომებს უბრძანა, მასწავლებისათვის სამოსი შემოეგლიჯათ, ხელები ზურგსუკან გაეკოჭათ, ხოლო ბავშვებისათვის როზგები და მათრახები დაერიგებინათ, რათა გამცემი ცემა-ცემით ისევ შეეგდოთ ციხე-ქალაქში.

როგორც კი შეიტყვეს ფალერელებმა მასწავლებლის გამცემლობა, ქალაქი ესოდენი უბედურების გამო, როგორც ხდება ხოლმე, საერთო გლოვამ მოიცვა. მამაკაცებიცა და ქალებიც თავდაკარგულნი გარბოდნენ ქალაქის კედლებისა და ჭიშკრისაკენ. ამ დროს გამოჩნდნენ ბავშვებიც, რომლებიც შიშველსა და გაკოჭილ მასწავლებელს მოათრევდნენ და თან კამილუსს მხსნელად, მამად და თვით ღმერთად ხმობდნენ. ამის მხილველ არა მარტო მშობლებს, არამედ ყველა სხვა მოქალაქესაც აღფრთოვანება და სიყვარული მოჰგვარა კამილუსის სამართლიანობამ. მათ სასწრაფოდ მოიყარეს თავი სახალხო კრებაზე და კამილუსს ელჩები მიუგზავნეს: გნებდებითო. კამილუსმა ელჩები რომს გაგზავნა. ისინი სენატს წარუდგნენ და განაცხადეს: რომაელებმა იმით, რომ გამარჯვებაზე მეტი პატივი სამართლიანობას დასდეს, ჩვენ შეგვაგონეს, თავისუფლებას დამორჩილება ვამჯობინოთ, არა იმდენად საკუთარი ძალის ურწმუნოების შეგნებით, რამდენადაც მოწინააღმდეგის უკეთესი ზნეობის აღიარებით. საკითხის საბოლოო განსჯა და გადაწყვეტა სენატმა კამილუსს მიანდო. ამან ფალერელებს ხარკი გადაახდევინა, რის შემდეგ ყველა ფალისკელთან მეგობრობა დაამყარა და უკან დაიხია.

11. ჯარისკაცები, რომელთაც ფალერეს გაძარცვის იმედი ჰქონდათ, რომს ცარიელი ხელებით დაბრუნდნენ. კამილუსს სხვა მოქალაქეთა წინაშე ბრალად დასდეს ხალხის სიძულვილი და ღარიბთათვის სასარგებლო საქმის ჩაშლა. მალე სახალხო ტრიბუნებმა კვლავ წამოაყენეს განსახლების კანონი და ხალხს ხმის მისაცემად მოუხმეს.

კამილუსი არ დაერიდა არც ერთ მტრულ და გულახდილ გამოთქმას და ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია უმრავლესობის სურვილს. ხალხი იძულებული გახდა, წამოყენებული კანონის წინააღმდეგ მიეცა ხმა, მაგრამ კამილუსზე ისე გაწყრნენ, რომ პირად მწუხარებაშიც კი არავითარი თანაგრძნობა არ გაუწიეს (მაშინ ავადმყოფობამ ერთ-ერთი ვაჟიშვილი გამოსტაცა ხელიდან კამილუსს). სასოწარკვეთილმა, ბუნებით მშვიდმა და კეთილმა კამილუსმა ეს ტანჯვა ვერ გადაიტანა და, როცა სასამართლოში უხმეს, ვერ შეძლო წარმდგარიყო მათ წინაშე, მთელი ის დრო შინ ჩაკეტილმა მგლოვიარე ქალებთან ერთად გაატარა.

12. მისი ბრალმდებელი იყო ლუკიუს აპულეუსი, ხოლო ბრალდება ტირენიაში ქონების გაქურდვას გულისხმობდა. ლაპარაკი იყო დატაცებული სპილენძის კარებზე, რომლებიც თითქოს ბრალდებულს დაუნახეს. ხალხი მრისხანებდა და ცხადი იყო, ნებისმიერი საბაბის საფუძველზე კამილუსის წინააღმდეგ მისცემდა ხმას. კამილუსმა თავი მოუყარა თავის მეგობრებსა და თანამოლაშქრეებს [სასარგებლო თანამდებობებზე მასთან ერთად მყოფ პირებსაც], რომელთა რიცხვი არცთუ მცირე იყო. მან შეკრებილთ სთხოვა, არ დაეშვათ მისი დასჯა უსამართლოდ, ცრუ ბრალდებით; არ გაეხადათ იგი მტრების დასაცინად. მეგობრებმა იმსჯელეს, ერთმანეთს მოელაპარაკნენ და კამილუსს უპასუხეს: სასამართლოში, როგორც ვფიქრობთ, ვერაფრით დაგეხმარებით, მაგრამ ჯარიმის ნაწილს გადავიხდითო. ეს კი ვეღარ აიტანა კამილუსმა და გამწყრალმა გადაწყვიტა, გადგომოდა და განშორებოდა ქალაქს. გამოეთხოვა ცოლსა და ვაჟიშვილს და შინიდან გასულს ქალაქის ჭიშკრამდე ხმა არ ამოუღია. იქ კი გაჩერდა, უკან შემობრუნდა, ხელები კაპიტოლიუმისაკენ გაიშვირა და ღმერთებს შეევედრა: თუ უსამართლოდ, ხალხის თვითნებობისა და შურის საფუძველზე ვარ პატივაყრილი და განდევნილი, დაე რომაელებს სულ მალე სანანებლად გაუხდეთ ეს და ყოველი კაცისათვის ცხადი გახდეს, რაოდენ ვჭირდები მათ და როგორ მნატრობენო!

13. კამილუსმა, ისე ვით აქილევსმა,[15] წყევლა-კრულვა დაუტოვა თანამოქალაქეებს და ქალაქი დატოვა. დაუსწრებლად მიუსაჯეს ჯარიმა თხუთმეტი ათასი ასარიონის[16] რაოდენობით, რაც ვერცხლის ფულზე გადაყვანით შეადგენს ათას ხუთას დრაქმას: ათი ასარიონი უდრიდა ერთ ვერცხლის ერთეულს, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელი „დენარიუსი“[17]. რომაელთა შორის არავინაა ისეთი, რომელ-

საც არ სჯეროდეს, რომ სამართლიანობის ღმერთქალმა დიკემ სწრაფად შეისმინა კამილუსის ვედრება და მიაგო, მართალია, სამწუხარო და არასასიამოვნო, მაგრამ სახელოვანი და ყველასათვის ცნობილი საზღაური. რომს მაშინ თავს დაატყდა ისეთი შურისძიება, ისეთი დამღუპველი საფრთხე და ისეთი შერცხვენა, რომ ან ბედი შეუტრიალდა, ანდა ეს იყო საქმე რომელიღაც ღმერთისა, რათა სიკეთისათვის უმადურობა უპასუხოდ არ დარჩენილიყო!

14. დიდი უბედურების პირველ ნიშნად მიიჩნიეს იულიუს ცენზორის გარდაცვალება. რომაელები, საერთოდ, დიდ თაყვანს სცემენ ცენზორთა ძალაუფლებას და მას წმიდათაწმიდად თვლიან. მეორე ნიშანი შემდეგი გახლდათ; კამილუსის ლტოლვამდე ერთმა გამოუჩენელმა და არა სენატორმა, მაგრამ სხვამხრივ წესიერ და პატიოსან ადამიანად მიჩნეულმა კაცმა, მარკუს ცედიციუსმა სამხედრო ტრიბუნებს საყურადღებო ცნობა აუწყა. თითქოს წინა ღამით, ეგრეთ წოდებულ „ახალ ქუჩაზე“ მიმავალს, ვიღაცამ დაუძახა. იგი შებრუნდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. მაშინ გაცილებით ძლიერმა ხმამ, ვიდრე ადამიანს აქვს, აი, რა უთხრა: „აბა, მარკუს ცედიციუსო, დილაადრიან გასწი უფროსებთან და აუწყე: მცირე ხანში გალებს დახვდით თქო!“ ამაზე სამხედრო ტრიბუნებმა ერთი სიცილი და ხუმრობა ატეხეს. სწორედ მცირე ხნის შემდგომ დატრიალდა ამბები კამილუსის გარშემო.

15. გალები კელტური წარმომავლობის ხალხია. გადმოგვცემენ, ვინაიდან მოსახლეობის სიმრავლის გამო ყველას გამოკვება არ ძალუძდა, გალებმა მიატოვეს საკუთარი მიწა-წყალი და სხვა მხარის საძებნელად გაემართნენო. ლაშქარი შეიცავდა მრავალ ათეულ ახალგაზრდა, საბრძოლოდ გამოსადეგ კაცს, რომელთაც თან მიჰყავდათ კიდევ უფრო მეტი ბავშვი და ქალი. ნაწილმა გადალახა რიპკოსის მთები, მიაშურა ჩრდილოეთ ოკეანეს და ევროპის უკიდურესი მხარენი დაიკავა; ნაწილი კი პირენეის მთებსა და ალპებს შორის ჩასახლდა და მრავალი ხნის მანძილზე სენებისა და კელტორების[18] მახლობლად ცხოვრობდნენ. გალებმა ძალზე გვიან, მხოლოდ მაშინ იგემეს პირველად ღვინო, რომელიც იტალიიდან ჩამოიტანეს. ამ სასმელმა ისინი ისე აღაფრთოვანა, რომ მანამდე განუცდელი სიამისაგან ყველამ ჭკუა დაკარგა. მათ იარაღი აისხეს, თან გაიყოლეს ოჯახები და გაემართნენ ალპებისაკენ, რათა მოეძებნათ ის მიწა, რომელიც ასეთ ნაყოფს იძლევა; ყველა სხვა მხარეს კი ამიერიდან უნაყოფოდ და უდაბურად თვლიდნენ.

პირველი, ვინც მათ ღვინო მიუტანა და იტალიაში შეჭრა შთააგონა, ამბობენ, იყოო არონ ტირენელი[19], კაცი გამოჩენილი და ბუნებით წაუხდენელი, მაგრამ ასეთნაირ უბედურებას გადაყრილი: იგი იყო მეურვე ერთი ობოლი, ოღონდ თანამოქალაქეთა შორის სიმდიდრით უპირველესი, მეტად ლამაზი შესახედაობის ყმაწვილისა, რომლის სახელიც ლუკუმონი გახლდათ. ის თავიდანვე არონთან ცხოვრობდა და როცა სიმწიფეში შევიდა, მეურვის სახლი როდი მიატოვა: ისე იქცეოდა, თითქოს ხარობდა მასთან ერთად ყოფნით. სინამდვილეში კი დიდი ხნის მანძილზე ფარავდა იმას, რომ მზრუნველის ცოლი წაბილწა, თუ - თვითონვე იქნა ქალისაგან შეცდენილი. როცა მათი ვნებები წინ და წინ წავიდა და უკვე აღარ ძალუძდათ ურთიერთლტოლვის არც უკუგდება და არც დამალვა, ყმაწვილმა კაცმა ქმარს ცოლი წარსტაცა და აშკარად დაეპატრონა. ქმარმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ ლუკუმონის მეგობრების სიმრავლისა და მის მიერ უხვად დახარჯული ფულის წყალობით ძლეულმა მიატოვა თავისი მხარე. როცა მან გალების ამბავი შეიტყო, მივიდა მათთან და ისინი იტალიაზე სალაშქროდ წამოიყვანა.

16. შეიჭრნენ თუ არა დათქმულ ქვეყანაში, მყისვე დაიკავეს ის მხარე, რომელსაც ძველისძველ ხანაში ტირენები ფლობდნენ და რომელიც ალპებიდან ორივე ზღვამდეა გადაშლილი, რასაც მათი სახელებიც გვიდასტურებენ: ჩრდილოეთით მდებარე ზღვას ადრიატიკისას უწოდებენ, ტირენიის ქალაქის ადრიას სახელისაგან, ხოლო მის გადაღმა მდებარეს და სამხრეთით მოქცეულს ტირენიის ზღვა ჰქვია. მთელი ეს მხარე ტყიანია, უხვი საძოვრებითაა დაფარული და დასერილია მდინარეებით. მას ამშვენებდა თვრამეტი ლამაზი და დიდი ქალაქი. ეს ქალაქები ტირენების განდევნის შემდეგ დაიკავეს გალებმა. მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა ბევრად დიდი ხნით ადრე.

17. ახლა კი სალაშქროდ დაძრულმა გალებმა ალყა შემოარტყეს ტირენეულ ანუ ეტრუსკულ ქალაქ კლუზიუმს. კლუზიუმელებმა დახმარებისათვის მიმართეს რომაელებს: ბარბაროსებთან ელჩები და რწმუნების ბარათები გაგზავნეთო. გაგზავნეს ფაბიუსის გვარიდან სამი სახელმოხვეჭილი და ქალაქში დიდი პატივის მქონე კაცი. გალებმა ისინი კეთილად მიიღეს რომის სახელოვნების გამო, ქალაქის კედლებთან ბრძოლაც შეწყვიტეს და მოლაპარაკება გამართეს. მათ ჰკითხეს თავდასხმის მიზეზი. გალების მეფემ ბრენოსმა გაიცინა და უპასუხა: „კლუზიუმელები უსამართლოდ გვექცევიან, დაპატრონებული არიან ვრცელ მიწა-წყალს, ამუშავებენ მეტად

მცირეს, ხოლო ჩვენ, უცხო ხალხს, მრავალრიცხოვანსა და უპოვარს, არაფერს გვითმობენ! განა, რომაელნო, თქვენც ასე უსამართლოდ არ გექცეოდნენ უწინ ალბანები, ფიდენატები და არდეატები, ხოლო ახლახან - ვეიელები, კაპანები და ფალისკებისა და ვოლსკების მრავალი წარმომადგენელი?! თუ ისინი ქონების ნაწილს არ გითმობენ, თქვენ ილაშქრებთ ხოლმე მათ წინააღმდეგ, მონებად აქცევთ მათ, ძარცვავთ და არბევთ მათ ქალაქებს, მაგრამ ამით არაფერ საშინელებასა და უსამართლობას არ სჩადიხართ, თქვენ, უბრალოდ, მიჰყვებით კანონთაგან უძველეს კანონს, რომელიც დაძლეულთა ქონებას აძლევს ძლიერს, ვინც განაგებს ყველას - დაწყებულს ღმერთისაგან და დამთავრებულს - მხეცებით. მხეცებშიც კი ბუნებითაა გამჯდარი სურვილი ,მძლავრი ფლობდეს მეტს, ვიდრე მასზე სუსტები. ამიტომ დაანებეთ თავი ალყაშემორტყმული კლუზიუმელების სიბრალულს, რათა არ ასწავლოთ გალებს, სიკეთითა და ლმობიერებით მოექცნენ რომაელებისაგან უსამართლოდ დაჩაგრულებს!"

ამ სიტყვებით რომაელები მიხვდნენ, ბრენოსი არაფერს დათმობდა. ამიტომ ისინი კლუზიუმში მივიდნენ და იქაურებს გამხნევება და წაქეზება დაუწყეს, მათთან ერთად აღმდგარიყვნენ ბარბაროსთა წინააღმდეგ. რომაელებს ამით ან მათი ძალის გამოცნობა სურდათ, ანდა საკუთარის ჩვენება. კლუზიუმელები ციხე-ქალაქიდან გამოხდნენ და, როცა კედლებთან ბრძოლა გაჩაღდა, ერთმა ფაბიუსთაგანმა, კვინტუს ამბუსტუსმა, თავისი ცხენი ზედ მიაგდო ერთ ახოვანსა და ლამაზი გარეგნობის გალს, რომელიც სხვებზე ბევრად წინ მოაგელვებდა თავის რაშს. დასაწყისში მოწინააღმდეგეთა მკვეთრი შეჯახებისა და იარაღის ბრწყინვალების გამო რომაელს სახე არ უჩანდა და იგი ვერ იცნეს, მაგრამ როცა ხელჩართულ ბრძოლაში მოპირისპირე დასძლია, ძირს დასცა და იარაღის აყრა დაუწყო, ბრენოსმა მაშინ შეიცნო და ღმერთებს მოწმედ მოუხმო: „სად გაგონილა ყველა ხალხში აღიარებული წმინდა და სამართლიანი საერთო ადათ-წესის ასე გადალახვა და ელჩად მოსული კაცის მებრძოლად ქცევა!" ბრენოსმა მყისვე შეწყვიტა ბრძოლა, კლუზიუმელებს მშვიდობა უსურვა და ლაშქარი რომისაკენ დაძრა. მას არ სურდა, ჰგონებოდათ, თითქოს გალები ომის საბაბს წყენინების გამო ეძიებდნენ. ბრენოსმა რომაელებთან კაცი აფრინა, სამაგიეროს მისაზღვევად ის ფაბიუსი გამოითხოვა, თვითონ კი ნელ ნელა წინ გაემართა.

18. რომში სენატი შეიკრიბა. უმრავლესობა ბრალს სდებდა

ფაბიუსს. ქურუმთაგანნი, რომელთაც ფეციალებს ეძახიან, ასევე მკრეხელობად მიიჩნევდნენ მომხდარს და მოითხოვდნენ, სენატს დანაშაული ერთისათვის – ჩამდენისათვის დაეკისრებინა და ამ გზით ყველა სხვა განეწმინდა. ეს ფეციალები მეფეთა შორის ყველაზე სათნო და ყველაზე სამართლიანმა ნუმა პომპილიუსმა დააყენა მშვიდობის დარაჯებად; მათვე მიანდო განესაჯათ და დაემტკიცებინათ საბაბი, რომელიც სამართლიანად იძლეოდა ომის აღძვრის ნებას. როცა სენატმა საქმე ხალხს გადასცა და ქურუმებმა კვლავ დასდეს ბრალი ფაბიუსს, ბრბო ისე აგდებით და დაცინვით მოექცა ღვთიურ კანონებს, რომ ფაბიუსი და მისი ძმები სამხედრო ტრიბუნებადაც კი აირჩია. გაიგეს თუ არა ეს, კელტები გაშმაგდნენ, ყოველგვარ დაყოვნებას თავი ანებეს და მთელი სისწრაფით ლაშქრად დაიძრნენ. ხალხები, რომელთა მიწა-წყალზეც ისინი გადადიოდნენ, შეძრწუნებულნი იყვნენ მათი სიმრავლით და აღკაზმულობის ბრწყინვალებით, მათი ძალითა და შემართებით. ყველას ეგონა, საკუთარი მიწა-წყალი უკვე დარბეულია, ქალაქები კი სულ მალე დასაღუპავად განწირული. მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ, კელტები არავითარ უსამართლობას არ ჩადიოდნენ, მინდორ ყანებიდან არაფერს იტაცებდნენ და, ოდეს ქალაქთა მახლობლად მოუწევდათ ჩავლა, ყვიროდნენ: რომზე მივემართებით, მხოლოდ რომაელებთან გავმართავთ ომს, ყველა სხვას კი მეგობრებად ვთვლითო.

ბარბაროსთა ასეთი სწრაფი მოქმედების საპირისპიროდ სამხედრო ტრიბუნებმა საბრძოლველად გაიყვანეს რომაელი ჯარისკაცები არცთუ მცირე რაოდენობისა, – მარტო სრულად შეიარაღებული მეომრების შემადგენლობა ორმოც ათასს აღწევდა. ოღონდ უმრავლესობა გაუწვრთნელი იყო და ბევრმა იარაღი მხოლოდ მაშინ დაიჭირა პირველად ხელში. უგულებელყვეს ღვთაებრივი ადათ-წესებიც, არ დაელოდნენ მსხვერპლშეწირვის კეთილ ნიშნებს და არც მისნებს დაეკითხნენ, რაც მოსალოდნელი საფრთხისა და ბრძოლის წინ ეგზომ შესაფერისია. საკმაოდ აურ-დაურია საქმე მრავალუფლებიანობამ. უწინ, ბევრად უფრო მცირე ბრძოლის წინ, ხშირად ირჩევდნენ ხოლმე ერთ მბრძანებელს (რომაელები მას დიქტატორს ეძახიან), რადგან ესმოდათ, რაოდენ სასარგებლოა საფრთხის ჟამს ერთი აზრისა და გადაწყვეტილების აღსასრულებლად იმის მორჩილებაში ყოფნა, ვისაც ხელთ უპყრია შეუზღუდავი ძალაუფლება და სამართალი. გარდა ამისა, მცირე ვნება როდი მოუტანა საქმეს კამილუსის წყენინებამ. განსაკუთრებით იგრძნეს ეს, როცა საშიში

გახდა ჯარის მართვა მისი მოფერებისა და გულის მოგების გარეშე. ქალაქიდან ოთხმოცდაათი სტადიონის გავლის შემდეგ რომაელები დაბანაკდნენ მდინარე ალიასთან, რომელიც სწორედ ბანაკის მახლობლად ერთვოდა ტიბრს. მალე აქ ბარბაროსები გამოჩნდნენ; რომაელები მათთან ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ სამარცხვინოდ იბრძოდნენ და უწესრიგობის გამო უკუგდებულ იქნენ. მათი მარცხენა ფრთა კელტებმა მყისვე მიაგდეს მდინარესთან და მოსპეს. მარჯვენა ფრთამ მტრის მოწოლის გამო ველიდან გადაუხვია, ბორცვი დაიკავა და შედარებით ნაკლებად დაზარალდა. ჯარის უდიდესი ნაწილი მტერს ხელიდან დაუსხლტა და ქალაქისაკენ გაეშურა. ზოგიერთი გადარჩა იმის გამო, რომ მტერს მობეზრდა ხოცვა-ულეტა. გადარჩენილთა ნაწილი ვეის ციხესიმაგრისაკენ გაიქცა: ეგონათ, რომი დაეცა და იქ ყველაფერი განადგურდა.

19. ეს ბრძოლა მოხდა საზაფხულო მოქცევისა და მთვარის გავსების ჟამს, სწორედ იმ დღეს, როცა ფაბიუსებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: მათი გვარიდან მაშინ სამასი ვაჟკაცი მოსპეს ტირენებმა[20]. მეორე მარცხის აღსანიშნავად საბედისწერო დღემ[21] მდინარისაგან მიიღო სახელი და აქამდე „ალიას დღედ“ იწოდება.

რაც შეეხება კვიმატ დღეებს, საჭიროა მათი დადგენა, თუ მართალია ჰერაკლიტე, როცა კიცხავს ჰესიოდეს[22]: ამან არ უწყის, რამეთუ ყოველი დღის ბუნება ერთია და ზოგს კარგ დღედ მიიჩნევს, ზოგს კი თარსადო; - აი ეს რთული საკითხი სხვაგან გვაქვს განხილული[23]. მაგრამ წინამდებარე ნაშრომშიც რომ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი, ურიგო არ იქნება.

ბეოტიელებს, მეხუთე დღე რომ დადგა ჰიპოდრომიონის თვისა, რომელსაც ათენელები ბოედრომიონს უხმობენ, წილად ხვდათ ორი ყველაზე გამოჩენილი გამარჯვება, რომლებმაც ბერძნებს თავისუფლება მოუტანეს. ერთი იყო ლევქტრასთან, მეორე კი - ორასი წლით ადრე - კერესოსთან, როცა თესალიელები და მათი წინამძღოლი ლატამია დაამარცხეს. ელინებმა სპარსები დაამარცხეს ბოედრომიონის მეექვსე დღეს მარათონში, მესამე დღეს პლატეასა და ასევე მიკალესთან, ხოლო მეხუთე დღის დამლევს - არბელესთან. ბოედრომიონის თვეშივე, სავსე მთვარის ჟამს, ათენელებმა ნაქსოსთან გაიმარჯვეს საზღვაო ბრძოლაში, რომელსაც ხაბრია წინამძღოლობდა, ხოლო მეოცე დღეს სალამინზე იმძლავრეს, რაც ნაჩვენები გვაქვს წიგნში „დღეთათვის“. თარგელიონის თვემაც აშკარად ბევრი უბედურება მოუტანა ბარბაროსებს[24]. სწორედ თარგელიონის თვეში დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა გრანიკო-

სთან მეფის[25] სარდლები; ამ თვის მეშვიდე დღის გასულს დასძლია კართაგენელები სიცილიასთან ტიმოლეონტმა; თარგელიონის ამ დღეს ვარაუდობენ ილიონის აღებასაც, როგორც გადმოგვცემენ ეფოროსი, კალისთენე, დამასტე და ფილარქე. რაც შეეხება მეტაგეიტნიონის თვეს, რომელსაც ბეოტიელები პანემონს უწოდებენ, იგი არ გამოდგა ელინებისათვის კეთილი. ამ თვის მეშვიდე დღეს ბეოტიელები კრანონთან ბრძოლაში[26] დამარცხდნენ და სავსებით შეიმუსრნენ ანტიპატრესაგან, ხოლო უფრო ადრე მათ ქერონეაში ფილიპეს წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს დაატყდათ თავს უბედურება. იმავე წლის მეტაგეიტნიონის თვის იმავე დღეს არქიდამეს მეთაურობით იტალიაში გადასული ბერძნები მოისრნენ იქაურ ბარბაროსთა ხელით. კართაგენელები ხსენებული თვის მეცხრე დღის მიწურულს ერიდებიან, ვითარცა მათთვის ყველაზე მრავალ და დიდ უბედურებათა მომტანს. ცნობილია, რომ ალექსანდრემ მიწასთან გაასწორა თებე წმიდა საიდუმლოებათა აღსრულების ჟამს,[27] ხოლო ამის შემდეგ ათენელებმა მაკედონელთა მცველი რაზმი მიიღეს ქალაქში ბოედრომიონის თვის ოცი რიცხვისათვის, სწორედ იმ დროს, როცა წმიდა საიდუმლოების აღსასრულებლად იაკოსის გამოსახულება გამოაქვთ ხოლმე. ამის მსგავსადვე რომაელებმა ერთსა და იმავე დღეს, ჯერ იყო და - კიმბრებთან ბრძოლაში დაკარგეს ცეპიონის გამგებლობაში მყოფი ბანაკი, ხოლო მერმე - უფრო გვიან - ლუკულუსის წინამძღოლობით დაამარცხეს სომხები და მათი მეფე ტიგრანი. მეფე ატალე და პომპეუს დიდი თავიანთი დაბადების დღეს დაიხოცნენ. საერთოდ, მრავალი მაგალითის მოხმობა შეიძლება, როცა კაცს ერთი და იგივე დღე ორივე მხრივ - კეთილადაც და ავადაც შემობრუნებია.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებული დღე რომაელთათვის ყველაზე უფრო საბედისწეროდ ითვლება და ასეთივეა ყოველი თვის მომდევნო ორი დღე, ვინაიდან თავს დატეხილი შიში და ცრურწმენა ჩვეულებრივზე მეტად გაფართოვდა. ეს ამბავი საფუძვლიანად არის მოთხრობილი „რომაულ ძიებებში“[28].

20. ხსენებული ბრძოლის შემდეგ გალები რომ მაშინვე ლტოლვილთ გასდევნებოდნენ, ვერაფერი ვერ გადაარჩენდა რომს სრული აღგვისაგან და შიგ თავშეფარებულთ სრული მოსპობისაგან. ლტოლვილებმა მაშინ ქალაქში დამხვდურთ მეტისმეტი შიში მოჰგვარეს და თვითონაც საშინლად იყვნენ შეძრწუნებულნი და გონებადაკარგულნი. საქმე ის გახლდათ, რომ ბარბაროსები რწმენით ვერ მოეკიდნენ მაშინდელ დიდ გამარჯვებას და არც დიდი სიხარული

განუცდიათ. ისინი ხალისით მხოლოდ ბანაკში ნადავლად ჩაგდებული ქონების განაწილებას შეუდგნენ და ამით ქალაქიდან დაძრულ ბრბოს უადვილესი გაქცევისა, ხოლო დარჩენილთ – იმედისა და მომზადების საშუალება მისცეს.

ქალაქში დარჩენილმა რომაელებმა რომის ყველა ნაწილი ბედის ანაბარა მიაგდეს და მხოლოდ კაპიტოლიუმს ამაგრებდნენ კედლებით და ამარაგებდნენ სატყორცნი იარაღით. უწინარეს ყოვლისა, კაპიტოლიუმში დააბინავეს ზოგიერთი წმინდა საგანი, ხოლო ღმერთქალ ვესტას[29] ცეცხლი გაიტაცეს ქურუმებთან ერთად ქალაქიდან ლტოლვილმა ქალწულებმა[30].

ზოგიერთი გადმოგვცემს, რომ ვესტას მსახური ქალწულები არაფერს არ იცავენ მარად ჩაუქრობელი ცეცხლის გარდა, რომლის თაყვანისცემაც, ვითარცა ყოვლის საწყისისა, ჯერ კიდევ მეფე ნუმამ დაადგინა. მართლაც, ბუნებაში ყველაზე უფრო მოძრავი სწორედ რომ ცეცხლია, წარმოშობა და არსებობაც ერთგვარი მოძრაობა ანდა მოძრაობასთან დაკავშირებული მოვლენაა. ნივთიერების ყველა სხვა ნაწილი, რომელიც მოკლებულია სითბოს, გვამების მსგავსად, უმოძრაოდ და ფუჭად ძევს და ნატრობს ცეცხლის ძალას, ვით სულს. როგორც კი დაეუფლება ეს ძალა რაღაცნაირად საგანს, საგანი მაშინვე მიიქცევა მოქმედებისა და მგრძნობელობისაკენ. სწორედ ამიტომ ნუმამ, არაჩვეულებრივად გამორჩეულმა და, როგორც ამბობენ, სიბრძნის წყალობით მუზებთან წილნაყარმა ვაჟკაცმა, ცეცხლი წმინდანად აღიარა და ბრძანა, ფხიზლად დაეცვათ იგი, როგორც ყოვლის მომწესრიგებელი მარადიული ძალის გამოსახულება.

სხვა მწერლები გვამცნობენ, რომ ეს ცეცხლი, ისევე როგორც ბერძნებთან, ტაძრის წინ ანთია ვით განმწმენდი ძალა, ხოლო ტაძრის შიგნით დაფარულია წმინდა საგნები, რომელთა ხილვა ძალუძთ მხოლოდ და მხოლოდ ვესტალებად წოდებულ ქალწულებს, ვინც ზემოთ მოვიხსენიეთ. განსაკუთრებით ჭარბობს გადმოცემა იმის თაობაზე, თითქოს ტაძრის შიგნით ინახებოდეს ენეასის მიერ იტალიაში ჩამოტანილი ტროას პალადიუმი[31].

არიან ისეთებიც, რომლებიც ზღაპრისებრ მოგვითხრობენ, თითქოს დარდანოსმა ტროაში ჩამოიტანა სამოთრაკიული კერპები და, როცა ქალაქი დააფუძნა, მას შესწირა ისინი და წმინდა საიდუმლოებათა აღსრულების წესიც დაადგინა. ტროას აღების შემდეგ ხსენებული კერპები ენეასმა გაიტაცა და იტალიაში დასახლებამდე იცავდა მათ. ისინი კი, რომელთაც სურთ ზოგი რამ დაუმატონ

ამ ამბავს, რაკი მეტი ცოდნა აქვთ, ამბობენ, რომ ტაძარში დგას არცთუ დიდი მოცულობის ორი თიხის კასრი, რომელთაგან ერთი ღიაა და ცარიელი, მეორე კი სავსე და დაბეჭდილი. მათი ხილვა ძალუძთ მხოლოდ ზემოხსენებულ წმინდა ქალწულებს. ზოგიერთი ფიქრობს, ამ გადმოცემაში არის შეცდომა, რაც გამოიწვია იმან, რომ ქალწულებმა ტაძრის კუთვნილი ბევრი საგანი ჩაყარეს თიხის ორ კასრში, რომლებიც მერმე კვირინუსის ტაძრის ქვეშ ჩაფლეს. ამ ადგილს ჯერ კიდევ ახლაც მეტსახელად „პითისკოსი" ანუ „კასრეთი" ეწოდება.

21. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დიადი წმიდა საგნები ქალწულებმა თან წაიღეს. ისინი მდინარის სანაპიროთი გარბოდნენ. ქალაქიდან გაქცეულთა შორის იყო ერთი უბრალო წარმოშობის კაცი ლუციუს ალბინუსი, რომელსაც ურმით მიჰყავდა პატარა ბავშვები, ცოლი და მიჰქონდა აუცილებელი საგნები. როგორც კი დაინახა მის გვერდით მიმავალი, მოუსაფარი და ტანჯული მსახური ქალწულები, რომლებსაც უბით ღმერთთა კუთვნილი წმინდა ნივთები მიჰქონდათ, მყისვე გადმოსვა ურმიდან ცოლ-შვილი, გადმოზიდა ნივთებიც და ურემი ქალწულებს დაუთმო, რათა ზედ დამსხდარიყვნენ და რომელიმე ბერძნულ ქალაქამდე მიეღწიათ. ყველაზე უმძიმეს დროს ალბინუსის მიერ გამომჟღავნებული ღვთისმოშიშობისა და კეთილშობილების მოუხსენიებლად გვერდის ავლა არ იქნებოდა ღირსეული საქმე!

სხვა ღმერთების ქურუმებმა, ხანში შესულმა კონსულყოფილებმა და ტრიუმფატორებმა ქალაქი ვერ დატოვეს; საკვდრებელ წმიდა და ბრწყინვალე სამოსში გამოწყობილებმა ქურუმთუხუცესის ფაბიუსის წინამძღოლობით ღმერთების მიმართ აღთქმა აღავლინეს, რომ სამშობლოს გულისათვის საკუთარ თავებს უზენაესის წინაშე მსხვერპლად დებდნენ. საგანგებოდ მორთულნი ამის შემდეგ ფორუმზე სპილოს ძვლისაგან ნაკეთებ სავარძლებში ჩასხდნენ და თავიანთ ბედს დაელოდნენ.

22. ბრძოლის მესამე დღეს ბრენოსი თავისი ჯარით რომს მიადგა. ქალაქის ჭიშკარი რომ ღია და ზღუდენი უდარაჯონი იხილა, ჯერ შეშინდა: ჩასაფრებასა და ვერაგობას არ ჰქონდეს ადგილი. არ სჯეროდა, რომ რომაელები ასე ხელაღებით მიატოვებდნენ წინააღმდეგობას. მერმე კი, როცა სინამდვილე შეიტყო, „კოლინის ჭიშკრით"[32] რომში შევიდა და ქალაქი აიღო. მოხდა ეს ამბავი სამას სამოცდ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ დაარსებიდან ქალაქისა, თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ დროთა აღრიცხვის სიზუსტეს, მეტადრე,

როცა სადაოა გაცილებით უფრო ახალ ხანათა ამბების ვადის განსაზღვრაც გაურკვევლობის გამო.[33]

უბედურებისა და ქალაქის აღების თაობაზე რაღაც მერყევმა ხმამ, ეტყობა, მაშინვე მიაღწია ელადას. ჰერაკლიდე პონტოელი, ვინც იმ დროზე არცთუ დიდი ხნის შემდეგ ცხოვრობდა, თხზულებაში „სულისათვის" ამბობს, რომ დასავლეთიდან დაირხა ხმა, თითქოს გადაღმა მდებარე ჰიპერბორეებიდან მოვიდა ლაშქარი და აიღო სადღაც იმ მხარეში, დიდი ზღვის სანაპიროზე დასახლებული ელინური ქალაქი რომი. მე სრულიადაც არ მიკვირს, ამ მეზღაპრე და ამბავთა შემთხზველმა ჰერაკლიდემ, რომ ქალაქის აღების თაობაზე ჭეშმარიტ გადმოცემას ტრაბახობისათვის ჰიპერბორეები და დიდი ზღვა მიაკერა. ცხადია, რომ ფილოსოფოს არისტოტელეს კელტების მიერ ქალაქის აღების თაობაზე ზუსტი ამბავი აქვს მოსმენილი, ოღონდ ესაა, ამბობს: რომი ლუციუსმა დაიხსნაო. სინამდვილეში კამილუსი მარკუსი იყო და არა ლუციუსი; თუმცა, უნდა ითქვას, სახელი სავარაუდოა.

დაიკავა თუ არა რომი, კაპიტოლიუმის გარშემო ბრენოსმა დაცვა ჩააყენა, თვითონ კი ფორუმზე ჩავიდა და გაოცებით შეაცქერდა სავარძელში მდუმარედ მსხდარ, საგანგებოდ მორთულ პირთ, რომლებიც ფეხზე არ წამოდგომიან მოსულ მტერს და არც ფერფური შეცვლიათ სახეზე. აუღელვებლად და უდრტვინველად დაყრდნობოდნენ ისინი თავიანთ კვერთხებს და მშვიდი მზერით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამ საოცარმა სანახაობამ გალები დააბნია და კარგა ხანს ვერ გაბედეს მიახლოება და ხელის ხლება: ვაითუ ყოვლისშემძლენი არიანო. ბოლოს ერთმა გალთაგანმა მხნეობა მოიკრიბა, ახლოს დაუდგა მარკუს პაპირიუსს, ნაზად მიუტანა ხელი ნიკაპთან და გრძელი წვერი მოქაჩა. პაპირიუსმა მას კვერთხი დაჰკრა და თავი გაუხეთქა. ბარბაროსმა მახვილი იშიშვლა და პაპირიუსი სიცოცხლეს გამოასალმა. ამის შემდეგ გალები თავს დაესხნენ დანარჩენ მოხუცებს და ამოხოცეს. მერმე კი კლავდნენ ყველას, ვინც ხელთ ჩაუვარდებოდათ, და ძარცვავდნენ სახლებს. მრავალი დღის ძარცვა გლეჯის შემდეგ მათ გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს ქალაქი კაპიტოლიუმის დამცველებზე განრისხებულებმა: ამათ უარყვეს დამორჩილების წინადადება და თავდაცვითი ბრძოლით მომხდურებს დიდ ვნებას აყენებდნენ. განრისხებულმა გალებმა დაარბიეს ქალაქი და ამოჟლიტეს ყველა ტყვე განურჩევლად, კაციცა და ქალიც, მოხუცებიც და ბავშვებიც.

23. ქალაქის ალყა მეტად გაგრძელდა. გალებს სურსათის მომარაგება დასჭირდათ. ამიტომ დაიყვნენ: ერთი ნაწილი მეფესთან დარჩა და

კაპიტოლიუმს დარაჯობდა, მეორე ნაწილი კი ქვეყანას აოხრებდა: თავს ესხმოდნენ და არბევდნენ სოფლებს, ცალ-ცალკე რაზმებად დაყოფილნი, წარმატებით გაყოყოჩებულნი სრულებით უშიშრად მოედნენ იქაურობას. მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად იცავდა წესრიგს, დაიძრა არდეელების ქალაქისაკენ,[34] სადაც რომიდან ლტოლვის შემდეგ ცხოვრობდა კამილუსი. იგი, ვითარცა კერძო პიროვნება, საერთო საქმეში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. მაგრამ როდი ცდილობდა, როგორმე დამალვოდა და დასხლტომოდა მტერს. პირიქით, იმედოვნებდა და გეგმავდა მასთან შეხვედრას; ნატრობდა დროს, როცა მოიგერიებდა მას.

იგი ხედავდა, არდეელები საკმაოდ მრავლად იყვნენ, მაგრამ სარდალთა გამოუცდელობისა და უნებისყოფობის გამო მხნეობა და გამბედაობა აკლდათ. თავდაპირველად მან სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს: ნუ გგონიათ, რომაელთა უბედურება კელტების მამაცობის მიზეზი იყოს; იმ ვნებას, რაც ვითარების ცუდად განმსჯელთ მოუვიდათ, სრულიად ნუ ჩაუთვლით გამარჯვებულს მისეულ საქმედ. იგი ბედისწერის გამოვლენად უნდა მიიჩნიოთ. სასახელოა, თუნდაც დიდი საფრთხის ფასად, იმ უცხო ბარბაროსული ტომის მოგერიება, რომელიც ძლევის საზღვრად, ისე ვით ცეცხლი, დამარცხებულთა სრულ მოსპობას თვლის. მიუხედავად ამისა, თუ მხნეობას მოიკრებთ და სულიერ სიმტკიცეს გამოიჩენთ, დაგიდგებათ დრო და სრულიად უსაფრთხოდ მიაღწევთ გამარჯვებას! ეს სიტყვები ახალგაზრდებმა ხალისით აიტაცეს, ხოლო კამილუსი არდეელთა გამგებლებისა და მათი საბჭოსაკენ გაეშურა. ესენი კამილუსს დაეთანხმნენ და მანაც იარაღი აასხა ყველას, ვისაც კი ბრძოლა ძალუძდა, მაგრამ შეკრებილნი ქალაქის ზღუდეთა შიგნით დააკავა იმ განზრახვით, რომ ახლოს მყოფ მტერს მზადების ამბავი არ გაეგო. ამასობაში ცხენებზე ამხედრებულმა გალებმა მთელი მხარე დააწიოკეს და დატაცებული მძიმე ნადავლით უკან დაბრუნებულნი ველზე დაცემულ ბანაკში უზრუნველსა და უდარდელ განსვენებას მიეცნენ. როცა ღამე კარგად ჩამოწვა და შეზარხოშებულ ბანაკს სრული დუმილი დაეუფლა, მზვერავთაგან გაფრთხილებულმა კამილუსმა არდეელები გარეთ გამოიყვანა. მან მშვიდად გამოიარა მთელი გზა და შუაღამის ჟამს მტრის ბანაკს შეერია. ყოველმხრივ ამტყდარმა განუწყვეტელმა ყიჟინმა და ბუკთა ხმამ თავზარი დასცა მოწინააღმდეგეს; სიმთვრალისა და ღრმა ძილისაგან გაოგნებული მეომრები კარგა ხანს ვერ მიხვდნენ საერთო შეშფოთების მიზეზს – მხოლოდ მცირეოდენნი გამოფხიზლდნენ ში-

შისაგან, დაიქსაქსნენ და კამილუსის ხალხს წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს, მაგრამ მალე ბრძოლაში დაიხოცნენ. გალების უმრავლესობა, რომელიც ჯერ კიდევ ღვინისა და ძილის ძალას ჰყავდა შებოჭილი, არდეელები მოულოდნელად დაესხნენ თავს და ულმობლად დაუწყეს ჟლეტა იარაღაუსხმელთ. იმ მეომართა მცირე რაოდენობა, რომელიც ღამით ბანაკიდან გაიქცა და მიმოიფანტა, ცხენოსნებმა დაიხელთეს და ერთიანად მოსპეს.

24. ხმა ამის თაობაზე სწრაფად დაირხა ქალაქებში და საბრძოლველად აღაგზნო მრავალი კაცი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. ყველაზე მეტად ამ ხმამ ააღელვა ის რომაელები, რომლებიც ალიასა და ვეისთან გამართულ ბრძოლებს გამოექცნენ. ისინი ერთმანეთს შესჩიოდნენ: „რანაირი სარდალი წარსტაცა ღვთაებამ რომს; კამილუსის საბრძოლო წარმატებებით მან არდეელები შეამკო მაშინ, როცა ამ ვაჟკაცის შემქმნელი და გამზადებული ქალაქი დაეცა და შეიმუსრა! ჩვენ, უმხედართმთავროდ დაშთენილნი და იტალიის ბედის ამარა მიმტოვებელნი სხვის ზღუდეთ შევფარვივართ! მოდით, გავგზავნოთ არდეელებთან კაცები და გამოვითხოვოთ მათი სარდალი, ანდა ავისხათ იარაღი და ჩვენ თვითონვე წავიდეთ მასთან! კამილუსი ხომ უკვე ლტოლვილი აღარ არის და არც ჩვენ ვართ მოქალაქენი, რადგან ჩვენი სამშობლო აღარ არსებობს, რამეთუ მას მტერი დაეუფლა!“ აგრე გადაწყვიტეს და აფრინეს კაცები კამილუსთან თხოვნით – მიეღო გამგებლობა. ამან განაცხადა, რომ მანამდე არ შეასრულებდა თხოვნას, სანამ კაპიტოლიუმზე მყოფი მოქალაქენი გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ: მე მათ სამშობლოს მხსნელებად ვთვლი და მათ ბრძანებას ხალისით დავემორჩილები, ხოლო მათი სურვილის გარეშე თითსაც არ გავანძრევო! კამილუსის წინდახედულობამ და ზნეკეთილობამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია; მაგრამ მეტად ძნელი გამოდგა ამ ამბის მიტანა კაპიტოლიუმზე. საერთოდ, შეუძლებელი ჩანდა მაუწყებლის შეღწევა ციხესიმაგრეში, როცა მთელი ქალაქი მტერს ეკავა.

25. რომაელ ჭაბუკთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა პონტიუს კომინიუსი, წარმოშობით საშუალო ფენის მოქალაქე, მაგრამ დიდი სახელისა და პატივის მოყვარე. აი ამ ახალგაზრდამ იკისრა ძნელი საქმის შესრულება. კაპიტოლიუმის დამცველებთან მას წერილი არ წაუღია იმიტომ, რომ თუ შეიპყრობდნენ, კამილუსის განზრახვა მტრებს ამ გზით არ გაეგოთ.

პონტიუსმა ძალიან უბრალო სამოსი ჩაიცვა და შიგ კორპის ხის კანის ნაჭრები ჩაილაგა. ძირითადი ნაწილი გზისა დღისით უსაფრთხ-

ოდ განვლო და შებინდებისას უკვე ქალაქს მიუახლოვდა. მდინარეზე ხიდით გადასვლა შეუძლებელი იყო, რადგან მას ბარბაროსები დარაჯობდნენ. პონტიუსმა თავისი მსუბუქი ტანსაცმელი თავზე მოიხვია და კორპის ნაჭრების მეოხებით წყალზე თავი შეიმაგრა, მდინარე გადალახა და ქალაქში ავიდა. შუქსა და ხმაურს ერიდებოდა და გვერდს უვლიდა ფხიზლად მყოფ დარაჯებს და მიემართებოდა კარმენტის ჭიშკრისაკენ, რომელიც უმშვიდესი ადგილი იყო. კაპიტოლიუმის ბორცვი აქ ყველაზე მეტადაა დაფერდებული და გარშემორკალული ციცაბო კლდეებით. ამ ფერდობზე აცოცდა შეუმჩნევლად პონტიუსი და ზღუდის უვიწროესი და ძნელად მისადგომი ადგილის მცველთ შეერია, მიესალმა, დაუსახელა თავისი თავი და მათი თანხლებით ხელისუფალთ წარუდგა. სასწრაფოდ შეიკრიბა სენატი. პონტიუსმა სხდომას კამილუსის გამარჯვების უცნობი ამბავი აუწყა და ჯარისკაცთა გადაწყვეტილების თაობაზე მოუთხრო. შემდეგ მან სენატს სთხოვა, დაემტკიცებინა კამილუსის ძალაუფლების რწმუნება: ქალაქგარეთ მყოფნი მხოლოდ და მხოლოდ მას დაემორჩილებიანო. სენატმა მოსმენილი განსაჯა და კამილუსი დიქტატორად დანიშნა, პონტიუსი კი იმავე გზით უკან გაგზავნა. ამას ბედმა კიდევ გაუღიმა: შეუმჩნევლად აუქცია გვერდი მტერს და ქალაქგარეთ მყოფ რომაელებს სენატის გადაწყვეტილება აცნობა.

26. რომაელები ხსენებულ გადაწყვეტილებას ხალისით შეეგებნენ და, როცა კამილუსი მათთან მივიდა, ორი ათასი კაცი იარაღასხმული დახვდა.

მეორეგზის დიქტატორად არჩეული და ვეის ციხესიმაგრეში მისული კამილუსი ჯარისკაცებს შეხვდა და მერმე მოკავშირეთაგან დამატებითი ძალების შეკრება დაიწყო, რათა მტერზე იერიში მიეტანა. სწორედ ამ დროს რომში რამდენიმე ბარბაროსმა შემთხვევით იმ ადგილს ჩაუარა, საიდანაც პონტიუსი ღამით კაპიტოლიუმზე აბობღდა. ბარბაროსებმა ბევრ ადგილას შენიშნეს კვალი, – პონტიუსი ცოცვის ჟამს ყველაფერს ეკიდებ–ებღაუჭებოდა; ციცაბოებზე მრავლად იხილეს გადაგლეჯილი მცენარეები, ამოჩიჩქნილი მიწა და ეს ამბავი თავიანთ მეფეს აუწყეს. მეფემ უხმოდ დაათვალიერა, საღამოჟამს კი თავი მოუყარა ყველაზე მარდსა და მთებზე ასვლაში ყველაზე დაოსტატებულ გალებს და უთხრა: „გზას, რომელიც ჩვენთვის უცნობი იყო, მტრები გვიჩვენებენ. იგი სრულიადაც არ ყოფილა გაუვალი და ადამიანისათვის ფეხდაუდგმელი. დიდი სირცხვილი იქნება, დაწყებული საქმე შეუსრულებლად მივატოვოთ და დავაგდოთ ეს ად-

გილი, ვითარცა გაუვალი, მაშინ, როცა თვითონ მტერი გვასწავლის, ვით ავიღოთ იგი! სადაც ძნელია აღსვლა ერთისათვის, სრულიადაც არ არის ძნელი მრავალი კაცისათვის – ერთიმეორეზე მიყოლებით; ერთმანეთის შედგომა და შემწეობა დიდ ძალას მისცემს საქმეს! სამაგიეროდ, გამოჩენილი მამაცობისათვის თითოეული დაჯილდოვდება საჩუქრებითა და შესაფერისი პატივით!"

27. გალები ხალისით დაეთანხმნენ მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, შუალამისას მრავლად მოიყარეს თავი კლდესთან და უჩუმრად დაიწყეს ზეაღსვლა. მართალია, ადგილმდებარეობა, რომელზედაც ბობღვით ადიოდნენ, მეტად დაქანებული იყო და ძნელად დასაძლევი, მაგრამ გაცილებით უფრო მისაწვდომი შეიქნა, ვიდრე მოელოდნენ. წინ მყოფნი, რომლებმაც მწვერვალს მიაღწიეს, უკვე ემზადებოდნენ კედელზე გადასასვლელად, რათა მძინარე მცველებს თავს დასხმოდნენ. არც კაცსა და არც ძაღლს არაფერი უგრძვნია.

იუნოს ტაძარს იმ ხანებში ჰყავდა შეწირული ბატები, რომელთაც უწინ უხვად კვებავდნენ, ახლა კი, როცა ხალხს თვითონ აკლდა საჭმელი, უყურადღებოდ დარჩნენ და შიმშილობდნენ. ბატი ბუნებით, საერთოდ, ძალზე მხდალი და მგრძნობიარე სულდგმულია და ტაძრის ბატებმაც, რომელთაც შიმშილისაგან ძილი და მოსვენება დაკარგული ჰქონდათ, მყისვე იგრძნეს გალების მოახლოება. ისინი საშინელი ყიყინით გაეშურნენ მომხდურებისაკენ და ატეხილი ხმაურით ყველა გააღვიძეს. ბარბაროსები მიხვდნენ, რომ დაფარული მოქმედებით ვერაფერს გახდებოდნენ და ამიტომ უკვე აშკარა იერიშზე გადავიდნენ. რომაელებმა, ვისაც როგორ მოუხდა, ხელი სტაცეს იარაღს და მტერს თავისი ძალა დაახვედრეს. რომაელთაგან მტერს პირველი შეეგება მალიუსი, კონსულად ნამყოფი კაცი, ძლიერი აღნაგობისა და სულიერი სიმტკიცით გამოჩენილი. იგი ორ ბარბაროსს წააწყდა ერთად და პირველს, რომელმაც უკვე აღმართა მახვილი, თავისი ხმლით მარჯვენა მოკვეთა, მეორეს კი ფარი დაჰკრა სახეზე და უკანვე, კლდეზე გადააგდო. მალიუსი ზღუდეზე დადგა და მისაშველებლად მოსული რომაელების დახმარებით უკუაგდო დანარჩენი გალები, რომლებიც კლდეზე არცთუ მრავლად ამოსულიყვნენ და ვერც საჭირო გამბედაობით მოქმედებდნენ. ასე აიცდინეს საფრთხე თავიდან რომაელებმა, ხოლო გამთენიისას დარაჯთა მეთაური კლდიდან მტრებთან გადააგდეს, მალიუსი კი ვაჟკაცობისათვის დააჯილდოვეს. ჯილდო უფრო მეტად საპატიო იყო, ვიდრე ნივთიერად სასარგებლო. სახელდობრ: თითოეულმა მიუტანა

მალიუსს თავისი წილი დღიური საზრდო - იქაური ჰემილიტროსი პური (რომაულად ამ წონას „სემილიბერი“ ეწოდება) და მეოთხედი ბერძნული კოტილე ღვინო.[35]

28. ამ ამბის შემდეგ კელტთა საქმენი უკან უკან წავიდა. შემოაკლდათ სურსათი, რადგან კამილუსის შიშით ჩაკეტილნი იყვნენ და მარაგისათვის გარეთ გაჭრა აღარ ძალუძდათ, თან შემმუსვრელი ავადმყოფობაც შეეყარათ ნანგრევებთან დადგმული კარვების გარშემო დაზვავებული გვამებიდან. დამწვარ ლეშთა სქელი ფერფლი ქარის ქროლითა და სიცხით გამომშრალი, აქოთებულ ჰაერს წამლავდა და სასუნთქად უვარგისს ხდიდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ ჩვეული ცხოვრების ნირის შეცვლა: ჩრდილოვანი და ზაფხულის სიცხისაგან მრავალი და მარჯვე თავშესაფრის მქონე ადგილებიდან ისინი აღმოჩნდნენ დაბლობ და შემოდგომის არეული ამინდების მხარეში; აწუხებდათ კაპიტოლიუმთან ხანგრძლივი და უქმი ჯდომა: მეშვიდე თვე იყო, რაც ალყას იცავდნენ. ბანაკი სრული შემუსვრის პირად იმყოფებოდა; დახოცილებს სიმრავლის მიზეზით ვეღარ მარხავდნენ. არც ალყაში მოქცეულთა მდგომარეობა გახლდათ უკეთესი. შიმშილი ძლიერდებოდა. გუნება განწყობილებას უფუჭებდათ კამილუსის შესახებ ცნობების უქონლობაც, ვინაიდან მისგან ვერავინ ვერ აღწევდა მათთან, ისე ბეჯითად იცავდნენ ბარბაროსები ქალაქს. ორივე მხარე მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა. მათ შორის დაიწყო მოლაპარაკება. მოლაპარაკება, უწინარეს ყოვლისა, დაიწყეს დარაჯებმა, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. როცა ხელისუფლებმა გაიგეს, სამხედრო ტრიბუნმა სულპიციუსმა გამართა მოლაპარაკება ბრენოსთან, შეთანხმდნენ, რომ რომაელები გადაიხდიდნენ ათას გირვანქა ოქროს, ხოლო გალები, როცა დათქმულს მიიღებდნენ, მყისვე გაშორდებოდნენ ქალაქსა და, საერთოდ, რომაელთა ქვეყანას. პირობა ფიცით განამტკიცეს და ოქროც მოიტანეს, მაგრამ კელტებმა სასწორთან ჯერ დაფარულად, მერმე კი აშკარად მრუდობა დაიწყეს და საპირწონეს თავისკენ ხრიდნენ, რაზეც რომაელები წყრომით უპასუხებდნენ. ბრენოსმა ქედმაღლურად და დაცინვით მახვილი იშიშვლა, ქამარიც შემოიხსნა და ორივე სასწორის ცალ მხარეს დააგდო. „რა არის ესო?“ - ჰკითხა სულპიციუსმა. „რა უნდა იყოს, თუ არა დამარცხებულთა ვაი-უბედურება?!“[36] პასუხი შემდგომ ანდაზად იქცა. რომაელთა ერთი ნაწილი ბობოქრობდა და თვლიდა, რომ საჭირო იყო, ოქრო უკან წაეღოთ და ისევ ალყაში დარჩენილიყვნენ; მეორე ნაწილი კი რჩევას იძლეოდა, დაეთმოთ ეს უმნიშვნელო უსამართ-

ლობა, არ ეთქვათ უარი გასაცემის წამატებაზე და არ ჩაეთვალათ ეს სამარცხვინოდ, რაკი ვითარება ხდიდა იძულებულს და არა კეთილი საბაბი - ხარკი გაეცათ.

29. იმ დროს, როცა რომაელები ხსენებული ამბის გამო კელტებთან და ერთმანეთშიც დაობდნენ, კამილუსი თავისი ლაშქრით ქალაქის ჭიშკარს მოადგა. როცა გაიგო, რა ხდებოდა, თავისიანებს უბრძანა, მწყობრად და დინჯი ნაბიჯით მიჰყოლოდნენ მას, თვითონ კი წარჩინებულთა თანხლებით მაშინვე გაეშურა რომაელებისაკენ. გამოჩნდა თუ არა იგი, მყისვე ყველამ გზა უტია და ისეთი დუმილით მიიღეს, როგორიც ერთმმართველს ეკადრებოდა. კამილუსმა სასწორიდან ოქრო ჩამოიღო და ლიქტორებს გადასცა, ხოლო კელტებს წინადადება მისცა, სასწორი თეფშებ გირებიანად აეღოთ და იქაურობას გასცლოდნენ. თან დაუმატა: რომაელებისათვის მამაპაპეული წესია, სამშობლო რკინით დაიხსნან და არა ოქროთი. ბრენოსი ამაზე გაწყრა და გაიძახოდა: შეთანხმების დარღვევით უსამართლობას სჩადიხართო. კამილუსმა უპასუხა: „თქვენი ხელშეკრულება უკანონოა და ამიტომ ძალა არა აქვს. იმის შემდეგ, რაც დიქტატორად ამირჩიეს, მმართველობა კანონით აღარ არსებობს. ხელშეკრულება დადებულია იმათთან, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა. ახლა კი, ვისაც სურვილი აქვს, გამოთქვას თავისი აზრი: კანონმა მე მომანიჭა უფლება, შევიწყალო, ვინც პატიებას მთხოვს, და დავსაჯო ისინი, რომელთაც დანაშაულის მონანიება არ სურთ!“ ამ სიტყვებზე ბრენოსი რისხვით აენთო და ბრძანა, ბრძოლა დაეწყოთ. ორივე მხარემ მახვილი იშიშვლა, მაგრამ ერთმანეთს ხეირიანად ვერ შეებნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შენობებს შორის ვიწრო შუკებში დარაზმვასა და ბრძოლის გაშლას ვერ ახერხებდნენ. ბრენოსი ამას სწრაფად მიხვდა და მცირეოდენი დანაკლისით კელტები ბანაკში გაიყვანა. ღამით ყველა აჰყარა, ქალაქი დატოვა და სამოცი სტადიონი მანძილის გავლის შემდეგ გაბინის გზაზე დაბანაკდა. გამთენიისას ბრწყინვალედ შეიარაღებული კამილუსი წამოეწია მხნეობამოკრებილი რომაელებით. მძაფრი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კამილუსმა ამოხოცა და განდევნა მტერი, ხოლო ბანაკი აიღო. უკუქცეულთა ნაწილი მდევრებმა მყისვე მოსპეს, დიდი ნაწილი კი, რომელიც იმ მხარეში მიმოიფანტა, მახლობლად მდებარე სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობამ ამოჟლიტა.

30. ასე მოულოდნელად აიღეს რომი და კიდევ უფრო მოულოდნელად გადარჩა. სულ შვიდი თვის განმავლობაში იყო იგი ბარბაროსთა მორჩილებაში. ისინი აქ მოვიდნენ კვინტილისის თვის იდებზე

რამდენიმე დღით გვიან, ხოლო დატოვეს თებერვლის იდების მახლობელ ხანებში. კამილუსმა გადაიხადა ტრიუმფი, როგორც ეკადრებოდა უკვე დაღუპული სამშობლოს მხსნელს, რომელმაც ქალაქი თავის თავს დაუბრუნა. კამილუსთან ერთად ქალაქში დაბრუნდნენ ლტოლვილნი ცოლ შვილითურთ. მათ შეეგებნენ კაპიტოლიუმის ალყაში მყოფნი, რომლებიც კინაღამ დაიღუპნენ შიმშილისაგან. არ სჯეროდათ დამდგარი ბედნიერებისა და ტირილით ხვდებოდნენ ერთმანეთს. ქურუმებმა და ღმერთთა სხვა მსახურებმა საჩვენებლად გამოიტანეს გადარჩენილი წმინდა ნივთები, რომელთა ნაწილი ლტოლვის ჟამს აქვე დაეშალათ, ნაწილი თან ჰქონდათ წაღებული. მოქალაქეთათვის ეს სასურველი სანახაობა იყო და სიხარულითაც მიიღეს იგი, თითქოს თვით ღმერთები დაბრუნებულიყვნენ რომში.

კამილუსმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა; მერმე საქმის მცოდნეთა შემწეობით ქალაქი გაწმინდა, უწინ არსებული ტაძრები აღადგინა, ხოლო ის ადგილი, სადაც ღვთაებრივმა ხმამ მარკუს ცედიციუსს ღამით ბარბაროსთა ლაშქრობის ამბავი აუწყა, თვითონ იპოვა და იქ წინასწარმეტყველებისა და წმინდა მოწოდების სავანე ააგო.

31. მართალია, ძნელი საქმე გამოდგა, მაგრამ კამილუსის პატივმოყვარეობისა და ქურუმთა დიდი შრომის წყალობით იპოვნეს ნატაძრალი ადგილები. ახლა საჭირო გახდა მთლიანად დანგრეული ქალაქის აღდგენა. ამ საქმის წარმოდგენაც კი გუნება განწყობას უფუჭებდა ხალხს, რადგან იგი აღკვეთდა ყველაფერს; მას არც ფული ჰქონდა, აღარც ძალ ღონე და იმჟამად, ამდენი უბედურების გადატანის შემდეგ, რაღაცნაირად მოსვენება და ამოსუნთქვა სჭირდებოდა და არა დამქანცველი შრომა და გამოფიტვა. ამის გამო ნელ-ნელა კვლავ მიუბრუნდნენ ვეის, ყველაფრით შემკულსა და თავშენახულ ქალაქს. ხალხის გულის მოსაგებ ლაპარაკს მიჩვეულ პირებს ამან ახალ წაქეზებათა საბაბი მისცა. გაისმა კამილუსის წინააღმდეგ მოწოდების ხმები: ეს კაცი პატივმოყვარეობისა და საკუთარი სახელის გულისათვის თანამოქალაქეებს ხელიდან ართმევს მზამზარეულ ქალაქს და აიძულებს, აღადგინონ ნანგრევებად ქცეული და ნახანძრალი შენობები. მას სურს, უკუაგდოს რომულუსის სახელი და თვითონ არა მარტო წინამძღოლად და სარდლად, არამედ რომის დამფუძნებლადაც იწოდებოდეს!

მოსალოდნელი შფოთის შიშით სენატმა მთელი წლის მანძილზე ნება არ მისცა კამილუსს, თავიდან მოეხსნა თანამდებობრივი რწმუნება, თუმცა არც ერთ დიქტატორს ექვს თვეზე მეტ ხანს არ გად-

აუცილებია. რაც შეეხება ხალხს, სენატი ამხნევებდა, ლმობიერი სიტყვებით არწმუნებდა და ეფერებოდა; მიუთითებდა გმირთა საფლავებსა და მამა-პაპათა სამარეებზე; ახსენებდა წმიდათაწმიდა ადგილებს, რომლებიც რომულუსმა, ნუმამ თუ სხვა მეფეთაგანმა ღმერთებს შესწირა და დასაცავად მათ, რომაელებს დაუტოვა. სენატის წევრებს მაგალითად მოჰყავდათ, უწინარეს ყოვლისა, ღვთიური სასწაული - კაპიტოლიუმის დაფუძნების ჟამს მოვლენილი ახლად მოჭრილი თავი, როგორც ნიშანი იმისა, რომ კაპიტოლიუმს ბედით ეწერა იტალიის თავად გახდომა. ასევე მიუთითებდნენ სენატორები ხალხს ღმერთქალ ვესტას ცეცხლზე, რომელიც ვესტას მსახურმა ქალწულებმა ომის შემდეგ კვლავ დააგზნეს. ამ ცეცხლს, - ამბობდა სენატი, - ჩაანელებენ და ჩააქრობენ მოქალაქენი, თუ ისინი რომს მიატოვებენ. მათთვის სამარცხვინო იქნება იმის ცქერა, ქალაქი გარედან მოსული უცხოელებით თუ დასახლდება, ანდა დაცარიელდება და ცხვრის ფარის საძოვრად იქცევა! აი, ასეთი გულისმომკვლელი სიტყვებით მიმართავდნენ განუწყვეტლივ სენატის წევრები ხალხს, მაგრამ თვითონაც წუხდნენ იმის გამო, რომ ხალხი დასტიროდა იმ-ჟამად შექმნილ თავის მძიმე ვითარებას და მოითხოვდა, არ გაეხადათ იგი იძულებული, ვით ჩაძირული ხომალდიდან გადარჩენილი, გაშიშვლებული და გაჭირვებული მეზღვაურები, დანგრეული ქალაქის ნაშთები შეეკოწიწებინათ მაშინ, როცა აქვე იყო მეორე - ხელუხლებელი და მზამზარეული.

32. კამილუსმა გადაწყვიტა, სენატის სხდომა დაენიშნა. სხდომაზე ბევრი ილაპარაკა და მსმენელთ სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ბევრი ილაპარაკეს სხვებმაც ისე, როგორც კამილუსს სურდა. მერმე ფეხზე წამოდგა და ბრძანა, ლუციუს ლუკრეციუსს, ვინც, ჩვეულებრივ, ყოველთვის პირველი ამბობდა ხოლმე განზრახულს, თავისი აზრი პირველს გამოეთქვა, ხოლო შემდეგ რიგრიგობით - ყველა დანარჩენს. როცა დუმილი ჩამოვარდა და ლუკრეციუსმა ის იყო სიტყვის თქმა დააპირა, შემთხვევით გარედან შემოიჭრა ხმა ცენტურიონისა, რომელმაც თავისი დღის სადარაჯო რაზმით გვერდით ჩაიარა. მან ხმამაღლა უბრძანა მეწინავე მედროშეს, იქ გაჩერებულიყო და დროშაც იქვე დაედგა: ყველაზე მშვენიერი ადგილია დასაჯდომად და მოსასვენებლადო. ეს სიტყვები სწორედ თავის დროზე გაისმა და ბუნდოვან მომავალზე არსებულ ფიქრსა და აზრს უპასუხებდა. ლუკრეციუსმა ღმერთს თაყვანი სცა და თქვა, რომ ემორჩილება მის აზრს; ყველა დანარჩენი სათითაოდ

მიჰყვა ლუკრეციუსს. საოცარი ცვლილება მოხდა ხალხის განწყობილებაშიც: ერთმანეთის მოწოდებით ყველამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ყოველგვარი დანაწილებისა და წესრიგის გარეშე, ვისაც როგორ მოუხდა და მოესურვა, ისე დაეუფლნენ ადგილ მდებარეობას. ქალაქი აჩქარებული სიბეჯითით აღადგინეს, რის გამოც უმწყობრო გამოდგა ვიწრო შუკებითა და არევდარეულად ნაგები სახლებით. ამბობენ: ქალაქის ზღუდენი და სახლები რომაელებმა ერთ წელიწადში აღადგინესო.

ვინაიდან ქალაქში ყველაფერი ერთმანეთში იყო აღრეული, კამილუსმა ზოგიერთებს დაავალა, დაეძებნათ და განესაზღვრათ წმინდა მონაკვეთები; როცა ესენი პალატიუმს გარს უვლიდნენ, მიადგნენ მარსის ტაძარს, რომელიც ვით ყველა ტაძარი, ბარბაროსებს დაენგრიათ და გადაეწვათ. ამ ადგილის დათვალიერებისა და გაწმენდის დროს წააწყდნენ რომულუსის სამისნო კვერთხს, რომელიც ფერფლის სქელი ფენით იყო დაფარული. ეს გახლავთ ორივე მხრივ მოკაუჭებული ჯოხი, რომელსაც ეწოდება ლიტიონი.[37] მას იყენებენ ფრინველთა ფრენაზე მისნობის ჟამს ზეცაზე ოთხკუთხედების შემოსაწერად. სწორედ ასე იყენებდა ამ კვერთხს რომულუსი, ვინც ყველაზე დიდი მისანი გახლდათ. იმ დღიდან, როცა ხალხში მყოფი რომულუსი უეცრად გაუჩინარდა, ქურუმებმა ეს კვერთხი აიღეს და სხვა წმინდა ნივთებთან ერთად შეინახეს ვით ხელუხლებლად დასაცავი საგანი. ყველაფრის შემმუსვრელ მოსპობას გადარჩენილი კვერთხის პოვნამ რომაელებს საამო იმედები შთაუნერგა რომის ბედის გამო. მიიჩნიეს, რომ ეს ნიშანი ამტკიცებდა მის მარადიულ ხსნასა და სიკეთეს.

33. ხსენებულ საქმეთაგან ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსვენებული რომაელები, როცა ერთდროულად დაატყდათ თავს ომი რომის სამფლობელოებში შემოჭრილ ექვებთან, ვოლსკებსა და ლათინებთან, აგრეთვე ტირენებთან, რომლებმაც ალყაში მოაქციეს რომაელთა მოკავშირე ქალაქი სუტრიუმი. როცა ლათინებმა ალყა შემოარტყეს მარკიუსის მთასთან დაბანაკებულ ჯარს და ამ ჯარის წინამძღოლმა სამხედრო ტრიბუნებმა, რომელთაც ბანაკის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა, რომში მაცნე აფრინეს; აი მაშინ კამილუსი მესამეგზის დანიშნეს დიქტატორად.

ხსენებული ომის თაობაზე ორგვარ ამბავს გადმოგვცემენ. ამათგან ჯერ უფრო ზღაპრულად გადმოცემულს გიამბობთ. გადმოგვცე-

მენ კი შემდეგს: ლათინებმა ან ჩხუბის საბაბისათვის, ანდა მართლაც იმისათვის, რომ ხელახლა დამოყვრებულიყვნენ, მაცნეთა პირით რომაელებს ცოლებად მოსთხოვეს თავისუფლად შობილი ქალიშვილები. რომაელებმა არ იცოდნენ, რა ექნათ: თან ომის ეშინოდათ, რადგან ჯერ კიდევ არ იყვნენ ფეხზე მტკიცედ დამდგარნი და ვერც ძალ ღონე აღედგინათ, თანაც ეჭვობდნენ, რომ ლათინები ქალებს მოითხოვდნენ მძევალ ხასებად, ხოლო ლაპარაკი მათთან ქორწინებაზე, უბრალოდ, კეთილი საბაბი იყო. და აი მაშინ ერთმა მონა ქალმა, სახელად ტუტულამ, ანდა როგორც სხვები უწოდებენ ფილოტიდამ, ხელისუფალთ ურჩია: იქ მე გამგზავნეთ და თან გამაყოლეთ მონათაგან ყველაზე ახალგაზრდა, შესახედავად თავისუფალთა მსგავსი ქალიშვილები, საპატარძლოდ კეთილშობილებივით მორთულნი, დანარჩენი კი ჩემზე იყოსო. ხელისუფალნი დათანხმდნენ, აირჩიეს მსახურ ქალთაგან ისეთები, როგორიც ტუტულამ სცნო ვარგისად, მორთეს ისინი სამოსით, ოქროს სამკაულებით და გადასცეს ლათინებს, რომლებიც ქალაქიდან არცთუ მოშორებით დაბანაკებულიყვნენ. ღამით საპატარძლოებმა მტრის მახვილები დაიტაცეს, ტუტულა თუ ფილოტიდა კი ერთ მაღალ ლეღვის ხეზე გავიდა, ზურგსუკან წამოსასხამი გაშალა და ჩირაღდნით რომს ნიშანი მისცა, როგორც შეპირებული იყო ხელისუფლებთან. ამ ნიშნის თაობაზე მოქალაქეებმა არაფერი იცოდნენ, ამიტომ ჯარისკაცები, რომელთაც მეთაურები აჩქარებდნენ, არეულ დარეულად გამოდიოდნენ, ერთმანეთს მოუხმობდნენ და ძლივძლივობით მწკრივდებოდნენ. ისინი მიუახლოვდნენ უდარდელად მძინარე მტრის მიწაყრილს, აიღეს ბანაკი და შიგმყოფთა უმრავლესობა დახოცეს. ეს ამბავი მოხდა ახლა ივლისად, მაშინ კი კვინტილისად წოდებული თვის ნონებში.[38] ამ ამბის მოსაგონარია დღესასწაული, რომელიც დღესაც იმართება: უწინარეს ყოვლისა, ქალაქის ჭიშკრიდან თავმოყრილად გამოსულნი ხმამაღლა გაიძახიან იქაურ გავრცელებულ სახელებს, როგორიცაა - გაიუსი, მარკუსი, ლუციუსი და სხვა ამდაგვარნი. ამით ჰბაძავენ მაშინდელი ფუსფუსის დროს ერთმანეთის ხმობას. შემდეგ სასეირნოდ გამოდიან საგანგებოდ მორთული მონა ქალები და შემხვედრთ მოსწრებულად დასცინიან. მერმე იმართება ბრძოლის გათამაშება მონა ქალთა შორის იმის აღსანიშნავად, რომ მათ თავის დროზე მოუხდათ ლათინებთან ომში ჩაბმა. ლხინის სუ-

ფრას უსხდებიან ლეღვის ხის ჩრდილში და ამ დღესაც „კაპრატინის ნონებს“ უწოდებენ, როგორც ვარაუდობენ, იმ ლეღვის ხის გამო, საიდანაც ქალიშვილმა ჩირაღდანი აღმართა; ლეღვის ხეს კი რომაელები „კაპრიფიკუსს“ ეძახიან. უმრავლესობა ამბობს, ხსენებულ მოქმედებათა და გადმოცემათა დიდი ნაწილი რომულუსის თავსგადამხდარ ამბავს უკავშირდებაო. სწორედ ამ დღეს, ირგვლივ წყვდიადისა და ქარიშხლის დადგომის ჟამს, ხოლო როგორც სხვები ფიქრობენ, მზის დაბნელების დროს, ჭიშკრის გარეთ გაქრა რომულუსი; ხოლო ამ დღეს იმ ადგილის მიხედვით „კაპრატინის ნონები“ იმიტომ ეწოდა, რომ „კაპრა“ თხის აღმნიშვნელი სიტყვაა. ხალხთან მოსაუბრე რომულუსი კი სწორედ ეგრეთ წოდებულ „თხის ჭაობთან“ გაქრა, როგორც ეს მის ცხოვრებაშია აღწერილი.[39]

34. მეორე ამბავს, რომელსაც მწერალთა უმრავლესობა მისაღებ ამბად მიიჩნევს, ასე გადმოგვცემენ: მესამეგზის დიქტატორად დანიშნულმა კამილუსმა, როგორც კი შეიტყო, სამხედრო ტრიბუნების წინამძღოლობაში მყოფი ჯარი ლათინებისა და ვოლსკების ალყაშია მოქცეულიო, იძულების გამო საჭირო ასაკიდან უკვე გამოსული მოქალაქეებიც შეაიარაღა. შორიდან შემოუარა მარკიუსის მთას და მტრისგან უჩუმრად მის ზურგს უკან დააბანაკა ჯარი. მერმე ბევრი კოცონი დაანთო და რომაელებს ამით თავისი მოსვლა აუწყა. ალყაში მოქცეულები გამხნევდნენ და განიზრახეს, ალყა გაეღღვიათ და მტერს შებმოდნენ. მტრისგან ორმხრივ განსაცდელში მყოფმა ლათინებმა და ვოლსკებმა, იმ შეგნებით, რომ შინიდან სხვა დამხმარე ძალის მოსვლასა და აგრეთვე ტირენების შემწეობას დაელოდებოდნენ, თავისიანებს მიწაყრილის შიგნით მოუყარეს თავი, ბანაკი ხშირი მესერით გადაღობეს და ყოველი მხრიდან გაამაგრეს. კამილუსმა გაიგო და იმის შიშით, თვითონვე არ აღმოჩენილიყო მის მიერ ალყაშემორტყმული მტრის განსაცდელში, ყოველ ღონეს მიმართა, ხელსაყრელი ვითარება რომ გამოეყენებინა. რაკი მტრის ღობე ხისა იყო და განთიადზე მთებიდან ძლიერი ქარი უბერავდა, კამილუსმა ცეცხლმტყორცნი იარაღი მოამზადებინა. დილაადრიან კი თავისი ძალები გამოიყვანა, რომლის ნაწილს უბრძანა, ცალი მხრიდან ყვირილით ესროლათ მტრისთვის შუბ ისრები, ხოლო უშუალოდ მის ხელმძღვანელობაში მყოფი მეორე ნაწილი, რომელსაც ცეცხლის ტყორცნა ევალებოდა და ის მხარე ეჭირა, საიდანაც

ქარი ჩვეულებრივ ძლიერ აწყდებოდა მტრის მიწაყრილს, თავის ჟამს დალოდებოდა. როგორც კი დაიწყო ბრძოლა, მზე ამოვიდა და ქარმაც მძლავრად დაუბერა; კამილუსმა თავდასხმის ნიშანი მისცა და მტრის მიწაყრილს უხვად დასცხო ცეცხლოვანი ისრები. ცეცხლის ძლიერი ალი სწრაფად მოედო ხის ღობურს და ირგვლივ გავრცელდა. ლათინებს კი არავითარი საშუალება არ გააჩნდათ მის ჩასაქრობად და მთელი ბანაკი ცეცხლმა მოიცვა. ჯერ ერთ მცირე ადგილას მოიყუჟნენ ლათინები, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ, იქიდან გამოცვენილიყვნენ და მიწაყრილთან გამწკრივებულ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთ ხელთ ჩავარდნოდნენ. მათგან მცირეოდენნი გადარჩნენ, ხოლო ბანაკში დარჩენილები ერთიანად დაიღუპნენ ცეცხლში, რომელიც მერმე რომაელებმა ჩააქრეს, რათა მტრის ქონება დაეტაცათ.

35. ხსენებულ ამბავთა შემდეგ, ტყვეთა და ნადავლის დასაცავად, კამილუსმა ბანაკში დატოვა თავისი ვაჟი ლუციუსი, თვითონ კი მტრის სამფლობელოებში შეიჭრა; აიღო ექვების ქალაქი, დაიმორჩილა ვოლსკები და მყისვე წაიყვანა მხედრობა სუტრიუმისაკენ. კამილუსმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ბედი ეწია სუტრიუმელებს, ამიტომ ჩქარობდა, დახმარება აღმოეჩინა ტირენების მხრივ ჯერ კიდევ საფრთხესა და ალყაში მყოფთათვის. სუტრიუმელებს კი ქალაქი უკვე მტრისთვის ჩაებარებინათ, ხოლო მცხოვრებნი გამოერეკათ მხოლოდ იმის ანაბარა, რაც ტანზე ემოსათ. ისინი ცოლშვილით შეხვდნენ გზად კამილუსს და თავიანთ ბედს დასტიროდნენ. მათ შემხედვარე კამილუსს თვითონაც აუჩუყდა გული და, როცა დაინახა აქვითინებული და მომხდარი ამბის გამო აღშფოთებული რომაელები, რომელთაც სუტრიუმელები მჭიდროდ ეკვროდნენ, გადაწყვიტა, შურისძიება არ გადაედო და დაუყოვნებლივ, იმავე დღეს წაეყვანა ჯარი სუტრიუმისაკენ. იგი ფიქრობდა, რომ ხალხს, რომელმაც ახლახან აიღო სიკეთითა და სიმდიდრით სავსე ქალაქი, შიგ არც ერთი მტერი არ დატოვა და არც გარედან მოელოდა მოწინააღმდეგეს, მთლიანად მოშვებულსა და დაცვაზე ხელაღებულს წააწყდებოდა. კამილუსის ფიქრი ზუსტი გამოდგა. მან არათუ ის მხარე გადაიარა შეუმჩნევლად, არამედ შეუმჩნევლადვე მიადგა ქალაქის ჭიშკარს და მისი ზღუდეც შეუმჩნევლადვე დაიკავა. არც ერთი მცველი არ ჩანდა: ყველანი სახლებში იყვნენ მიმოფანტულნი და ღვინის სმაში ატარებდნენ დროს. როცა ტირენები მიხვდნენ

მტრის გამარჯვებას, ღორმუცელობისა და სიმთვრალისაგან ისე იყვნენ წამხდარნი, რომ ბევრს თავის დაღწევაც არ უცდია და, ან სახლებში დაშთენილნი დაიხოცნენ სამარცხვინოზე სამარცხვინოდ, ანდა მტერს ჩაბარდნენ. სუტრიუმელთა ქალაქს წილად ხვდა ერთ დღეში ორგზის აღება. ახალმა პატრონებმა იგი დაკარგეს, ხოლო ძველმა პატრონებმა კვლავ დაიბრუნეს კამილუსის წყალობით.

36. ამ წარმატებათა გამო გადახდილმა ტრიუმფმა კამილუსს წინანდელ ორ ტრიუმფზე ნაკლები სახელი და აღიარება როდი მოუტანა. ის მოქალაქენიც კი, რომელთაც მეტისმეტად შურდათ მისი და სურდათ, ყველა მისი წარმატება ბედნიერი შემთხვევით აეხსნათ და არა მამაცობის მიზეზით, კამილუსის საგმირო საქმეებმა აიძულა, ვაჟკაცის სიჩაუქე და ძალის სიმტკიცე დამსახურებული სახელით შეემკოთ. მის მოწინააღმდეგეთა და მეშურნეთა შორის ყველაზე გამოჩენილი კაცი იყო მალიუსი, ვინაც პირველმა გადაყარა კაპიტოლიუმის მწვერვალიდან ღამით თავდამსხმელი კელტები და ამის გამო კაპიტოლიუმელი შეარქვეს.

მას დიდი სურვილი ჰქონდა, მოქალაქეებში უპირველესი ყოფილიყო, მაგრამ კამილუსის სახელის გადალახვა წესიერი საშუალებით ვერ შეძლო. ამიტომ გაცვეთილსა და ჩვეულ გზას დაადგა, რომელიც ტირანიის საფუძველს ქმნიდა. მან ბრბოს გულის მოგება დაიწყო ყველაზე მეტად იმით, რომ მოვალეებს გამოექომაგა; ნაწილს მევახშეთაგან იცავდა სასამართლოში, სხვებს კი ძალით გამოსტაცებდა ხოლმე ხელიდან მმართველობას და მათ მიმართ კანონის აღსრულებას აბრკოლებდა. მალე მის ირგვლივ თავი მოიყარა მრავალმა ღარიბ-ღატაკმა, რომლებიც თავხედურად იქცეოდნენ და ფორუმზე წესრიგს არღვევდნენ. საუკეთესო მოქალაქეებს ეს დიდ შიშს ჰგვრიდა. არეულობის ბოლოს მოსაღებად დაინიშნა დიქტატორი - კვინტუს კაპიტოლინუსი, რომელმაც საპყრობილეში ჩასვა მალიუსი. მოხდა თუ არა ეს, ხალხმა სამოსი შეიცვალა, რაც ჩვეულებრივ დიდი და სახელმწიფოებრივი უბედურების ჟამს ხდებოდა. სენატს შფოთის ატეხის შეეშინდა და ბრძანა, მალიუსი გაეთავისუფლებინათ. ციხიდან გამოშვებული მალიუსი უკეთესი როდი გახდა: იგი კიდევ უფრო თავხედურად იბირებდა ბრბოს და აშფოთებდა ქალაქს. მაშინ კამილუსი კვლავ აირჩიეს სამხედრო ტრიბუნად.[40] მალიუსი სამართალში მისცეს, მაგრამ ბრალმდებლებს მეტისმეტად უშლიდათ ხელს ხედი. საქმე ის გახლდათ,

რომ ადგილი, სადაც მალიუსი გავიდა და ღამით კელტებს ბრძოლა გაუმართა, ფორუმიდან კაპიტოლიუმზე მოჩანდა და შემყურეთ სიბრალულს ჰგვრიდა. თვითონ მალიუსმაც გაიშვირა იქითკენ ხელები და თვალებზე ცრემლმორეულმა მოიგონა თავისი ბრძოლები. მოსამართლენი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ბევრჯერ გადადეს საქმის გარჩევა; არც გათავისუფლება უნდოდათ მალიუსისა და ვერც კანონს იყენებდნენ მის წინააღმდეგ: ხსენებული ხედის ცქერისას ყველას თვალწინ ედგა ბრალდებულის საგმირო საქმე. ამას კამილუსი მიხვდა და სასამართლო ქალაქგარეთ, პეტელიუმის ჭალაკში გადაიტანა, საიდანაც კაპიტოლიუმი არ მოჩანდა. ახლა კი ბრალმდებელმაც წარმოთქვა საბრალდებო სიტყვა, მოსამართლეებმაც დაივიწყეს ბრალდებულის ყოფილი წარმატება და რისხვა ახლანდელი დანაშაულისაკენ მიმართეს. მალიუსს სიკვდილი მიუსაჯეს, კაპიტოლიუმზე წაიყვანეს და კლდიდან გადააგდეს. აი, ასე გახდა ერთი და იგივე ადგილი უბედნიერესი წარმატებისა და უდიდესი წარუმატებლობის ძეგლი. რომაელებმა მალიუსის სახლი დაანგრიეს, იქ ააგეს ტაძარი იმ ღმერთქალისა, ვისაც მონეტას უწოდებენ[41], და დაადგინეს, ამიერიდან არც ერთ პატრიციუსს არ ეცხოვრა ციხესიმაგრეში.

37. კამილუსს მეექვსეჯერ მოუხმეს სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე, მაგრამ იგი ამაზე უარს აცხადებდა და მიზეზად ხანდაზმულობას აცხადებდა. თანაც ეტყობოდა, ეშინოდა გადაკიდებისა და შურისძიებისა, რაც ჩვეულებრივ, ასეთ სახელსა და წარმატებას ახლავს.

უმთავრესი მიზეზი მაინც სხეულის უძლურება გახლდათ: სწორედ იმ დღეებში კამილუსი ავად იყო. ხალხი არ ეშვებოდა, ყვირილით უხმობდა: არც ცხენზე ამხედრება დაგჭირდება და არც ბრძოლაში იარაღით მოქმედება, – მხოლოდ რჩევა და ბრძანება გვინდა შენიო!

ერთი სიტყვით, მაშინ კამილუსი აიძულეს, ეკისრა თანამდებობა და თანამმართველთან – ლუციუს ფურიუსთან ერთად მყისვე წაეყვანა ლაშქარი მტრების წინააღმდეგ.[42] ესენი იყვნენ პრენესტინელები და ვოლსკები, რომლებიც დიდი ძალებით რომაელთა მოკავშირეებს არბევდნენ.

კამილუსმა ჯარი წაიყვანა და მტრების პირისპირ დაბანაკდა. მისი აზრით, დრო თავისთავად მოუღებდა ომს ბოლოს, იმიტომ

გადაწყვიტა, თუ ბრძოლა მაინც დასჭირდებოდა, მაშინ გაემართა, როცა ჯანმრთელობას აღიდგენდა. მაგრამ ჯარის მართვაში მისი ამხანაგი ლუციუსი, სახელის მოხვეჭით აღტყინებული, შეუპოვრად მიისწრაფოდა საფრთხისაკენ და ცენტურიონებსა და რაზმთა სხვა მეთაურებსაც აქეზებდა. იმის შიშით, ვინმემ ახალგაზრდების წარმატებისა და სახელის შურისმაძიებლობა არ დამწამოსო, კამილუსმა ჯარის დარაზმვის ნება მისცა, თვითონ კი, შეუძლოდ ყოფნის გამო, მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ბანაკში დარჩა.

ლუციუსი თავდავიწყებით გადაეშვა ბრძოლაში, მაგრამ ძლეულ იქმნა. გაიგო თუ არა რომაელთა უკუქცევა, კამილუსმა თავი ველარ შეიკავა, ლოგინიდან წამოიჭრა, თავის ამალასთან ერთად ბანაკის ჭიშკართან უკუქცეულთ დახვდა და მდევარი მტრის მიმართულებით დაიწყო გზის გაკაფვა. უკუქცეულთა ნაწილი მაშინვე გაბრუნდა და კამილუსს მიჰყვა, ისინი კი, რომლებიც გარედან კამილუსისაკენ გამორბოდნენ, მის წინ ჩერდებოდნენ, ფარებს ამჭიდროებდნენ და ერთმანეთს მოუწოდებდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მთავარსარდალს. მაშინ კი ანებეს თავი მტრებმა რომაელთა დევნას. მეორე დღეს კამილუსმა ჯარი გამოიყვანა, ბრძოლა გამართა და მტრის ძალა მთლიანად შემუსრა. მერმე ბანაკი აიღო, ლტოლვილი მოწინააღმდეგენი შიგ შერეკა და უმრავლესობა ამოჟლიტა. ამის შემდეგ, როცა შეიტყო, ქალაქი სატრიატირენებს აეღოთ და რომაელი მოსახლენი მთლიანად ამოეხოცათ, თავისი ჯარის დიდი და მოუქნელი ნაწილი რომს გაგზავნა, ყველაზე უფრო მარჯვე და მგზნებარე მეომრებთან ერთად კი ქალაქის მპყრობელ ტირენებს თავს დაესხა. მან ისინი დაამარცხა: ნაწილი განდევნა, ნაწილი კი მოაკვდინა.

38. დიდძალი ნადავლით რომს დაბრუნებულმა კამილუსმა დაამტკიცა, რომ ყველაზე გონიერები იყვნენ ისინი, რომლებიც გამოცდილი და მამაცი წინამძღოლის ავადმყოფობასა და სიბერეს არ შეუშინდნენ და, მისი უარისა და სნეულების მიუხედავად, სწორედ იგი აირჩიეს და არა ახალგაზრდა ვინმე, ვინც დაუოკებლად მიისწრაფოდა გამგებლობისაკენ. ამიტომ, როცა ხმა დაირხა, ტუსკულუმელები გადაგვიდგნენო, კამილუსს უბრძანეს მათ წინააღმდეგ გალაშქრება. კამილუსმა ხუთ თანასარდალში ერთი შეიამხანაგა. მართალია, ხუთივეს დიდი სურვილი ჰქონდა, მას გაჰყოლოდა, მაგრამ კამილუსმა დანარჩენებს უარი უთხრა და ყვე-

ლასაგან მოულოდნელად აირჩია ლუციუს ფურიუსი. ეს ის კაცი იყო, ვინც კამილუსის აზრის წინააღმდეგ წავიდა, მცირე ხნის წინ დიდი მგზნებარებით ბრძოლა გამართა და ბედგაუღიმებლად წაა-გო! კამილუსს, ეტყობა, ამ სამწუხარო შემთხვევის მიჩქმალვა და ვაჟკაცისათვის სირცხვილის ჩამოცილება სურდა; ამიტომ ყველას წინაშე მისცა უპირატესობა. ამასობაში ტუსკულუმელებმა თავი-ანთი შეცდომის გამოსწორება მოინდომეს და ხერხს მიმართეს: როგორც კი დაიძრა მათ წინააღმდეგ კამილუსი, მინდორ ველი, ვით მშვიდობიანობის დროს, მიწის მუშაკებით და მწყემსებით გაავსეს, ქალაქის ჭიშკრები ფართოდ გააღეს, ბავშვები სასწავლებ-ლებში ჩვეულებრივ დადიოდნენ, სახელოსნოებში კი მომუშავე ოს-ტატები მოჩანდნენ; განათლებული მოქალაქენი ტოგებში გამოწ-ყობილი დასეირნობდნენ მოედანზე, ხოლო ხელისუფალნი რომაე-ლებს სადგომებში ათავსებდნენ; ერთი სიტყვით, ისე იქცეოდნენ, თითქოს არავინ ავს არ მოელოდა და ავი საქმისა არავინ არაფერი იცოდა. ასეთი მოქმედების მიუხედავად, იქაურთა მოღალატური საქციელი კამილუსს არ გამოჰპარვია, მაგრამ ღალატის მონანიე-ბამ თანაგრძნობა აღუძრა და ტუსკულუმელებს ურჩია, სენატს ხლებოდნენ და რისხვის დაცხრომა გამოეთხოვათ. მერმე თვითონვე დაეხმარა მთხოვნელებს, რათა მათი ქალაქი ყველა ბრალდებისაგან დაეხსნა და თავისი უფლება აღედგინა.

ასეთი გახლდათ კამილუსის ყველაზე გამოჩენილი საქმენი მე-ექვსეჯერ მისი სამხედრო ტრიბუნად ყოფნის ჟამს.

39. აღნიშნული ამბის შემდეგ ლიცინიუს სტოლონმა რომის ქალაქში დიდი შფოთი ატეხა. აღელვებული ხალხი სენატისაგან მოითხოვდა, ორ კონსულში ერთი უსათუოდ უბრალო ხალხისაგან ყოფილიყო და არა ორივე – პატრიციუსი.

სახალხო ტრიბუნები უკვე აირჩიეს, მაგრამ კონსულთა არ-ჩევნების დამთავრებას ხალხი აბრკოლებდა. უხელისუფლებიანობა სახელმწიფო საქმეებს უფრო დიდი შფოთისაკენ მიაქანებდა; ამი-ტომ სენატმა კამილუსი მეოთხედ დანიშნა დიქტატორად[43] ხალხის სურვილის წინააღმდეგ და არც თვითონ კამილუსს ჰქონდა საამი-სოდ დიდი ხალისი. მას როდი სურდა, დაპირისპირებოდა იმათ, რომელთაც ბევრი დიდი გადახდილი ბრძოლა უფლებას აძლევ-და, მასთან თავისუფლად ელაპარაკათ. მის საქმეთა უმრავლესი ნაწილი შესრულებული იყო სწორედ ამ ხალხთან ერთად ბრძო-

ლებში და არა პატრიციუსებთან ერთად სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე. პატრიციუსებმა იგი ახლა შურის გამო აირჩიეს დიქტატორად, რათა დაეძლიათ ხალხის მღელვარება. ანდა, თუ ვერ გაიმარჯვებდა, თვითონ დაემხობოდა. კამილუსი მაინც ცდილობდა, შექმნილი მდგომარეობისათვის ეშველა. გაიგო დღე, როცა სახალხო ტრიბუნებს კანონის გატარება ჰქონდათ განზრახული და ამავე დღისათვის ჯარის შეკრება დანიშნა. საამისოდ ხალხს მოუწოდა, ფორუმიდან ველზე ჩამოსულიყო. ვინც არ დაემორჩილებოდა, დიდი ჯარიმით ემუქრებოდა, თავის მხრივ, ფორუმიდან კამილუსს კვლავ აუმხედრდნენ სახალხო ტრიბუნები და ფიცით ემუქრებოდნენ: ორმოცდაათი ათასი ვერცხლის ფლურით[44] დაგაჯარიმებთ, თუ კანონისათვის ხმის მიცემისაგან ხალხის განრიდებას არ შეწყვეტო. იმის შიშით, კვლავ არ გამასამართლონ და არ გამდევნონო, რაც ესოდენ დიდ საქმეთა შემსრულებელი მისი ასაკის კაცისათვის შეუფერებელი იქნებოდა, ანდა სულაც იმიტომ, რომ არ ძალუძდა და არც სურდა ბრბოს დაუძლეველ ძალას შებრძოლებოდა, კამილუსმა თავი სახლს შეაფარა. მომდევნო დღეებში კი ავადმყოფობის მომიზეზებით თანამდებობაზე ხელი აიღო. სენატმა სხვა დიქტატორი დანიშნა. ამან მხედართა წინამძღოლად[45] თვითონ შფოთის თავი სტოლონი დააყენა და კანონიც გაატარებინა, რითაც მეტისმეტად დაამწუხრა პატრიციუსები. მანვე ბრძანა, არვის ჰქონოდა მფლობელობაში ორმოცდაათ იუგერუმზე[46] მეტი მიწა. სტოლონმა ამ გამარჯვებით ბრწყინვალე სახელი მოიპოვა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, როცა თვითონ შეიძინა იმდენი მიწა, რამდენსაც სხვას უკრძალავდა, თავისივე კანონის საფუძველზე დაისაჯა.

40. სადაო რჩებოდა კონსულების არჩევნების საკითხი – შფოთის ყველაზე მძიმე და პირველი მიზეზი, რომელიც ხალხთან უთანხმოებაში ბევრ ძნელ საქმეს უჩენდა სენატს. სწორედ ამ დროს მოაღწიეს ზუსტმა ცნობებმა: ადრიატიკის ზღვის სანაპიროებიდან კვლავ აღდგა კელტთა მრავალათასიანი ლაშქარი და რომისაკენ მოისწრაფვისო.

მტერი არბევდა ქვეყანას და მოსახლეობა, რომელსაც უჭირდა, რომში შეიხიზნა, მთებში იფანტებოდა. ომის შიშმა შიგა შფოთი შეწყვიტა და ბრბოცა და წარჩინებული მოქალაქენიც ერთ აზრს დაადგნენ; სენატმა და ხალხმა კამილუსი ერთსულოვნად აირჩია

მეხუთეგზის დიქტატორად[47]. იგი ამ დროს ძალზე მოხუცი გახლდათ, ოთხმოც წელს ცოტაღა უკლდა, მაგრამ რაკი დაინახა აუცილებლობა და მოსალოდნელი საფრთხე, წინანდებურად აღარ გამოუყენებია საბაბ მიზეზნი, მაშინვე შეუდგა მთავარსარდლობას და ჯარის შეკრება დაიწყო. მან იცოდა, რომ ბარბაროსთა უმთავრესი ძალა იყო მახვილი, რომელსაც ყოველგვარი ხელოვნების გარეშე ბარბაროსულად იყენებდნენ და მოწინააღმდეგეს, უპირატესად, მხრებსა და თავში ურტყამდნენ. სწორედ ამიტომ ბრძანა, ქვეითებისათვის გამოეჭედათ მთლიანი რკინის მუზარადები გლუვი და სწორი ზედაპირით, რათა მახვილი აესხლიტათ, ანდა სულაც გადაეტეხათ. ფარები ირგვლივ სპილენძის ზოლით შემოაჭედინა, რადგან მარტო ხისაგან ნაკეთები ფარი მეომარს დარტყმისაგან ვერ დაიცავდა. კამილუსმა ჯარისკაცებს ასწავლა ხელჩართულ ბრძოლაში გრძელი შუბების ხმარება და მათი მეშვეობით მტრის მახვილთა ცემის თავიდან აცდენა.

41. როცა კელტები მოახლოვდნენ და მდინარე ანიონთან დასცეს ბანაკი, რომელიც სავსე იყო მძიმე და აურაცხელი ნადავლით, კამილუსმა ჯარი გამოიყვანა და მრავალი ხევით დასერილ ტყიან ბორცვზე დააბანაკა ისე, რომ ძალთა უდიდესი ნაწილი დაფარული იყო, ხოლო ისინი, რომლებიც ჩანდნენ, თითქოს შიშით იყვნენ ჩაკეტილნი მაღლობ ადგილებზე. კამილუსი მოწადინებული გახლდათ, მტრებს ასეთი წარმოდგენა ჰქონოდათ. ამიტომ იგი მათ მიერ ველზე გამართულ რბევას ჯერხნობით არ აბრკოლებდა. თავისი ბანაკი მან მიწაყრილით გაამაგრა და ადგილიდან არ იძვროდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ მტრის ნაწილი საკვების მოსაპოვებლად იყო მიმოფანტული, ნაწილი კი ბანაკში იჯდა და მთელ დროს გაუთავებელ ჭამა სმაში ატარებდა.

და აი მაშინ, ღამით, კამილუსმა წინ გაგზავნა მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, რათა ბარბაროსებისათვის საბრძოლველად დამწკრივებაში ხელი შეეშალათ და უეცარი თავდასხმით მათში არევ დარევა გამოეწვიათ. თვითონ კი დილაადრიან ვაკე ადგილზე ჩაიყვანა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი, მრავალრიცხოვანი და მამაცური და არა რიცხვმცირე და გაუბედავი, მტერი რომ მოელოდა. ამან იმთავითვე გატეხა კელტთა ზვიადობა, რომელთაც ამაოდ ეგონათ, რომაელები თავს ვერ დაესხმოდნენ. შემდეგ წინ გამოიჭრნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები და

განუწყვეტელი იერიშის მიტანით აიძულეს მტერი, ბრძოლაში ჩაბმულიყო, სანამ ჩვეული წესით დალაგდებოდა და რაზმებად დამწკრივდებოდა. ბოლოს კამილუსმა მძიმედ შეიარაღებული მებრძოლები გამოიყვანა; კელტებმა მახვილი იშიშვლეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. რომაელები მათ შუბებითა და რკინისაგან გამოჭედილი თორ მუზარადებით შეეგებნენ. რომაელთა იარაღი მტრის დარტყმას უკუისხლეტდა და კელტების არცთუ მტკიცე და სუსტად ნაწრთობი მახვილები სწრაფად იღუნებოდნენ და იბზარებოდნენ, ხოლო მათ ფარებს დაძგერებული შუბები ხვრეტდნენ და სიმძიმისაგან ზნექდნენ. ამიტომ კელტებმა საკუთარი იარაღი გადაყარეს, რომაელთა შუბებს ხელებით ეჭიდებოდნენ და ცდილობდნენ მათთვის მიმართულება შეეცვალათ. დაინახეს თუ არა რომაელებმა უიარაღო კელტები, სტაცეს ხელი მახვილებს და წინა რიგებში მებრძოლი მრავალი მოწინააღმდეგე შემუსრეს, გადარჩენილები კი ველზე მიმოიფანტნენ. მათ იცოდნენ, რომ კამილუსს ბორცვები და სხვა მაღლობი ადგილები ადრევე დაეკავებინა, და რომ თავიანთი ბანაკი, რომელიც სიმამაცის იმედით გაუმაგრებელი ჰქონდათ, არცთუ ძნელი ასაღები იყო.

ამბობენ, რომ ეს ბრძოლა მოხდა რომის აღების ცამეტი წლის შემდგომ[48], და რომ ამ ბრძოლამ შეაგონა რომაელებს მტკიცე აზრი თავიანთი უპირატესობისა კელტებზე. მანამდე მათ ძალზე ეშინოდათ ბარბაროსებისა და ფიქრობდნენ, რომ პირველად ისინი ავადმყოფობისა და მოულოდნელი შემთხვევის გამო დამარცხდნენ და არა რომაელთა ძალისა და მამაცობის მიზეზით. ეს შიში ისეთი ძლიერი გახლდათ, რომ კანონიც კი გამოსცეს, რომლის ძალითაც ქურუმები, გალებთან ომის შემთხვევის გარდა, ყოველგვარი ლაშქრობისაგან თავისუფლდებოდნენ.

42. ხსენებული ბრძოლა კამილუსის სამხედრო ლაშქრობათა დასასრული იყო. ამ ბრძოლის ჟამს კამილუსმა ველისტრელთა ქალაქი გავლით აიღო. ბრძოლის გარეშე დაუთმეს მას იგი. ყველაზე დიდი და მძიმე ბრძოლა დარჩენილი იყო სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე; ეს გახლდათ მოსალოდნელი ბრძოლა გამარჯვებით დაბრუნებულ და ძალმიცემულ ხალხთან, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, ერთი კონსული მათი ფენიდან აერჩიათ, თუმცა ეს დამკვიდრებულ კანონს არღვევდა და სენატის სურვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. სენატმა კამილუსს ნება არ დართო, რწმუ-

ნება მოეხსნა, რადგან ფიქრობდა, მისი თანამდებობის ძალითა და დიდი უფლებებით უკეთ შეიძლებოდა არისტოკრატიის საქმისათვის ბრძოლა.

ერთხელ კამილუსი ფორუმზე მჯდარი რაღაცა საქმით იყო გართული. ამ დროს მივიდა სახალხო ტრიბუნების მიერ გამოგზავნილი მსახური, რომელმაც უბრძანა, გაჰყოლოდა და წასაყვანად ხელი ჩასჭიდა. ფორუმზე მანამდე გაუგონარი ყვირილი და ხმაური ატყდა. კამილუსის ამალა ზემოდან იმ მსახურის გადაგდებას ლამობდა, ხოლო ქვემოთ მყოფი ბრბო დიქტატორის ძალით ჩამოთრევას მოითხოვდა. კამილუსი მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ რწმუნება მაინც არ მოიხსნა და სენატორებთან ერთად სენატისაკენ გაემართა. სანამ შევიდოდა, კაპიტოლიუმისაკენ მიბრუნდა და ღმერთებს შეევედრა, აწმყო ვითარება კეთილად დაესრულებინათ, თან აღთქმა დადო, თუ შფოთი დაწყნარდებოდა, თანხმობის ტაძარს ააგებდა.[49] სენატში დიდი და ცხარე დავა გაიმართა. საპირისპირო აზრთაგან გაიმარჯვა ყველაზე მშვიდობიანმა, რომელიც ხალხს ნებას რთავდა, ერთი კონსული თავისი ფენიდან აერჩიათ. ეს გადაწყვეტილება დიქტატორმა გამოაცხადა. როგორც მოსალოდნელი იყო, გახარებული ხალხი მყისვე შეურიგდა სენატს, ხოლო კამილუსი ტაშისცემითა და აღფრთოვანებული ყიჟინით გააცილეს სახლამდე. მეორე დღეს რომაელები შეიკრიბნენ და დაადგინეს: თანხმობის ტაძარი, კამილუსის აღთქმისამებრ, და მომხდარი ამბის აღსანიშნავად, ფორუმისა და სენატის პირისპირ აეგოთ; ეგრეთ წოდებულ,ლათინურ ზეიმთათვის დაემატებინათ კიდევ ერთი საზეიმო თარიღი, რომელიც ოთხ დღეს უნდა გაგრძელებულიყო,ყოველ რომაელს დაუყოვნებლივ შეეწირა მსხვერპლი და გვირგვინებით შემკულიყო.

კამილუსის წინამძღოლობით გაიმართა არჩევნები, კონსულები გახდნენ: მარკუს ემილიუსი - პატრიციუსებისაგან და ლუციუს სექსტიუსი - პირველად ხალხისაგან.

ამით დამთავრდა კამილუსის საქმიანობა.

43. მომდევნო წელს რომს თავს დაატყდა გადამდები სენი, რომელმაც აურაცხელი უბრალო ხალხი და თანამდებობის მქონეთა დიდი ნაწილი შემუსრა.[50]

გარდაიცვალა კამილუსიც. მან სიცოცხლე დაასრულა ისეთ ასაკში, რომელსაც ადამიანთაგან ზოგიერთი ვინმე თუ მიაღწევს.

კამილუსის აღსასრულმა რომაელები უფრო მეტად შეაწუხა, ვიდრე იმ დროს ავი სენით შემუსრული ყველა პირის სიკვდილმა.

ლუკულუსი





1. ლუკულუსის[1] პაპა კონსულად ნამყოფი კაცი გახლდათ, ხოლო დედის მხრივ მისი ბიძა იყო მეტელუსი, რომელსაც მეტსახელად ნუმიდიელს ეძახდნენ. რაც შეეხება მის მშობლებს, მამამისი თავის დროზე ამხილეს, როგორც სახელმწიფო ქონების გამფლანგველი, დედას - ცეცილიას კი აღვირახსნილი ცხოვრების გამო სახელი ჰქონდა გატეხილი.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ლუკულუსმა, სანამ რაიმე თანამდებობის აღსრულებას შეუდგებოდა და სახელმწიფო საქმეებში ჩაებმებოდა, უპირველეს მიზნად დაისახა, საჯარო სამართალში მიეცა მამამისის ბრალმდებელი, მისანი სერვილიუსი, როგორც ბოროტმოქმედი. ეს ფრიად ბრწყინვალე საქმედ მიიჩნიეს რომაელებმა; სერვილიუსის გასამართლების ამბავი, როგორც დიდი მიღწევა, ყველას პირზე ეკერა. რომაელებს, საერთოდ, უღირს საქციელად როდი მიაჩნდათ, თუნდაც საბაბის გარეშე ვისმე წინააღმდეგ ბრალდებით გამოსვლა. პირიქით, მათთვის დიდი სიამოვნება იყო, ეცქირათ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ისე მიესეოდნენ დანაშაულის ჩამდენთ, ვით ჯიშიანი ლეკვები ნადირს.

სერვილიუსის გასამართლების დროს მხარეთა შორის საშინელი დავა ატყდა; რამდენიმე კაცი დაჭრეს, ზოგი მოკლეს. ბოლოს და ბოლოს სერვილიუსი გაამართლეს.

ლუკულუსი შესანიშნავად იყო გაწაფული ორსავე ენაში და ჩინებულადაც ლაპარაკობდა[2], ამიტომ სულამ საკუთარი ხელით დაწერილი თავის საქმეთა აღწერილობა უძღვნა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც გაცილებით უკეთ შეძლებდა მის მოწესრიგებასა და დალაგებას[3].

მისი მჭევრმეტყველება უბრალო და გაცვეთილი როდი იყო. ლუკულუსის სიტყვა სრულიადაც არ ჰგავდა ზოგიერთი მჭევრმეტყველის იმ სიტყვას, რომელიც, მართალია, ფორუმს აღელვებს,

ვით ზღვის ზედაპირს ვეება და მოქნილი თევზი,

მაგრამ ფორუმს გარეშე

ხდება უნიჭო, უსიცოცხლო, სულ გამომშრალი.

სილამაზის სიყვარულით ლუკულუსმა სიყმაწვილეში ეგრეთ წოდებული თავისუფალი და ყოველმხრივი განათლება მიიღო. უფრო გვიან, უკვე სიბერის ჟამს, მრავალი ბრძოლით დაქანცულმა ჰკუა გონებას საზრდო მისცა იმით, რომ ფილოსოფიას მოჰკიდა ხელი. ამან ახალი ძალა შემატა მოვლენათა აღქმის უნარში და ამავე დროს პომპეუსთან უთანხმოების შედეგად წარმოშობილ მის მედიდურობას ფრთა შეაკვეცა.

მის განსწავლულობაზე, გარდა ზემო თქმულისა, გადმოგვცემენ შემდეგ ამბავსაც: ერთხელ თურმე ახალგაზრდობაში ჯერ ხუმრობით, მერმე კი მთელი სიდინჯით შეუთანხმდა ვექილ ჰორტენზიუსსა და ისტორიკოს სიზენას[4], რომ მათი თხოვნით შეადგენდა მარსების ომის აღწერილობას ლექსად ბერძნულ ან ლათინურ ენაზე, იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეხვდებოდა კენჭისყრით. როგორც ჩანს, ლუკულუსს წილად ხვდა შეედგინა ეს აღწერილობა ბერძნულ ენაზე. მართლაც, დღემდე შემონახულია მარსების ომის ისტორია ბერძნულად[5].

იმ მრავალ ღირსსახსოვარ შემთხვევათაგან, რომლებიც ადასტურებენ, თუ როგორ უყვარდა ლუკულუსს თავისი ძმა მარკუსი, რომაელები, უწინარეს ყოვლისა, იხსენებენ ხოლმე შემდეგს: ლუკულუსი უფროსი იყო, მაგრამ არ მოინდომა ძმის გარეშე მიეღო რაიმე თანამდებობა და დაიცადა, ვინემ ძმაც კანონით გათვალისწინებულ ასაკს არ მიაღწევდა. ლუკულუსის კეთილშობილური საქციელით ისე კმაყოფილი დარჩა ხალხი, რომ იგი ძმასთან ერთად დაუსწრებლად აირჩიეს ედილის თანამდებობაზე[6].

2. მარსების ომში ახალგაზრდა ლუკულუსმა სიმამაცისა და ღრმა მოსაზრების მრავალი მაგალითი გამოიჩინა. მაგრამ ყველაზე მეტად სულამ სიმტკიცისა და უბოროტო ხასიათისათვის შეიყვარა. სულა მას თავიდანვე დიდმნიშვნელოვან საქმეთა შემსრულებლად იყენებდა. მათ შორის აღსანიშნავია ფულის მოჭრის საქმე. ფულის უდიდესი ნაწილი მითრიდატესთან წარმოებული ომის დროს პელოპონესში სწორედ ლუკულუსის თაოსნობით მოჭრეს. ამ ფულს მის პატივსაცემად „ლუკულუსის ფული“ ეწოდა. მას საკმაოდ დიდხანს ხმარობდნენ და სწრაფადაც ბრუნავდა, ვინაიდან სამხედრო ხარჯები ამ ფულით იფარებოდა.

იმ დროს, როდესაც ათენის აღების წყალობით სულა ხმელეთზე მბრძანებლობდა, ზღვაზე ბატონობა მთლიანად მტრის ხელთ იყო. მტერმა[7] სულას ზღვიდან სურსათის მოსაზიდი გზა გადაუჭრა. ამიტომ სულამ ლუკულუსი ეგვიპტესა და ლიბიაში გაგზავნა, რათა იქიდან ხომალდები ჩამოეყვანა.

შუა ზამთარი იყო. სამი ბერძნული ხომალდითა და ამდენივე როდოსული დიკროტოსით[8] ლუკულუსი ღია ზღვაში გავიდა. იგი დიდი წვალებით დაუსხლტა მტრის ურიცხვ ხომალდებს, რომლებიც ყოველი მხრივ სერავდნენ ზღვას და, რაღა თქმა უნდა, ლუკულუსს საფრთხეს უქმნიდნენ. მიუხედავად ამისა, იგი კრეტას მიადგა და ეს კუნძული თავის მხარეზე გადაიბირა.

კვირენეში[9] რომ მივიდა, ლუკულუსმა იქაური მცხოვრებლები ტირანთა ძალმომრეობისა და შეუწყვეტელი ომების გამო ფრიად აღელვებული იხილა. კვირენელები მან დააშოშმინა და სახელმწიფო წყობილება დაუდგინა. აქ ლუკულუსმა მოქალაქეებს გაახსენა პლატონის ნაწინასწარმეტყველები კვირენელთა მიმართ. კვირენელებმა თურმე პლატონს სთხოვეს, მათთვის კანონები შეედგინა და ხალხი სანიმუშო სახელმწიფოებრივი წყობილების გზაზე დაეყენებინა. პლატონმა უპასუხა: კვირენელებისათვის, რომლებიც ეგზომ ბედნიერ ყოფაში არიან, კანონების შედგენა ადვილი საქმე არ არისო. მართლაც, არაფერია ისე ძნელი, როგორც იმ ადამიანის დამორჩილება, რომელიც თავს ბედნიერად თვლის, და არაფერია იმაზე ადვილი, როგორც ბედისგან დაჩაგრულ კაცზე ბატონობა.

აი, ამიტომ იყო, რომ კვირენელები ხალისით დაემორჩილნენ მაშინ ლუკულუსის მიერ შედგენილ კანონებს.

კვირენედან ლუკულუსი ეგვიპტეში გაემართა. გზაზე მას თავს დაესხნენ მეკობრეები და ხომალდთა დიდი ნაწილი დაკარგა. თვითონ გადარჩა და დიდი ზეიმით შევიდა ალექსანდრიაში. აქ მას შემოეგება ეგვიპტის საგანგებოდ მორთული მთელი ფლოტი, როგორც ეს ჩვეულებრივ ზღვაში გასული მეფის დაბრუნების დროს ხდებოდა ხოლმე. ჭაბუკმა პტოლემეოსმა არაჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინა ლუკულუსის მიმართ. მიუჩინა მოსასვენებელი ბინა სასახლეში და საზრდოც დაუნიშნა, ერთი სიტყვით, ასეთი რამ არც ერთ უცხოელ სარდალს არ ღირსებია მანამდე იქ. ლუკულუსისა და მისი ამალის შესანახავად გაღებული ხარჯი ოთხჯერ აღემატებოდა იმას, რასაც მეფე, ჩვეულებრივ, სხვებს უნიშნავდა. მაგრამ ლუკულუსი არაფერს იღებდა იმაზე მეტს, რაც მისთვის აუცილებელი იყო. ის

კი არა, მეფის მიერ გამოგზავნილი საჩუქარიც არ აიღო, თუმცაღა ეს საჩუქარი ოთხმოცი ტალანტის ფასისა გახლდათ.

ამბობენ, ლუკულუსმა არ მოინდომა არც მემფისში წასვლა და არც ეგვიპტის დიდებული და სახელგანთქმული ძეგლების ხილვაო. მას უთქვამს: „ამ სანახაობათა დათვალიერება მოცლილი და განებივრებული კაცის საქმეა და არა იმის, ვინც ჩემსავით მტრის სიმაგრეთა მახლობლად ღია ცის ქვეშ დაბანაკებული დატოვა თავისი იმპერატორიო“.

3. პტოლემეოსმა მითრიდატეს შიშით რომაელთა მოკავშირეობაზე უარი თქვა, მაგრამ ლუკულუსს მისცა საბადრაგო ხომალდები, რომლებიც კიპროსამდე გააცილებდნენ. გამგზავრების დროს პტოლემეოსი დიდი თავაზით გამოეთხოვა ლუკულუსს და საჩუქრად ოქროს ბუდეში ჩასმული ძვირფასი ზურმუხტი უბოძა. ლუკულუსს ჯერ არ უნდოდა, საჩუქრის აღება, მაგრამ როცა უჩვენეს, მასზე მეფის სახე იყო ამოკვეთილი, საბოლოო უარის თქმა ვეღარ გაბედა. შეეშინდა, მეფემ არ იფიქროს მტრული განწყობილებით ვტოვებდე აქაურობას და ზღვაზე მგზავრობის დროს ხიფათი არ შემამთხვიოსო.

გზადაგზა ლუკულუსმა მრავალი ხომალდი მოაგროვა. ზღვისპირა ქალაქებში. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის ქალაქები, რომლებიც მონაწილეობდნენ მეკობრეთა ავაზაკურ საქმიანობაში. ამგვარად მოპოვებული ხომალდებით იგი მიადგა კიპროსს. აქ შეიტყო, რომ მტრის ხომალდები ჩასაფრებული იყვნენ კონცხებთან და უთვალთვალებდნენ. ლუკულუსმა ყველა თავისი ხომალდი ხმელეთზე ამოათრევინა, მეზობლად მდებარე ქალაქებს კი გამოსაზამთრებლად ვარგისი ბინების მომზადებისა და სურსათის მომარაგების თაობაზე მისწერა, თითქოს განზრახული ჰქონდა, აქ დალოდებოდა გაზაფხულს. მაგრამ დადგა თუ არა გასვლისთვის ხელსაყრელი ამინდი, მყისვე ჩაუშვა ხომალდები წყალში და კიპროსიდან გავიდა. დღისით დაშვებული, ხოლო ღამით გაშლილი იალქნებით მიცურავდა იგი ზღვაზე და ბოლოს მშვიდობიანად მიაღწია როდოსს.

როდოსელებმა ლუკულუსს ბევრი ხომალდი უძღვნეს, რაც შეეხება კოსელებსა და კნიდოსელებს, ისინი დაარწმუნა, განდგომოდნენ მეფეს და მასთან ერთად გაელაშქრათ სამოსელთა წინააღმდეგ[10]. პირადად ლუკულუსმა ქიოსიდან განდევნა მეფის ჯარები, გაათავისუფლა კოლოფონელები და მათი ტირანი ეპიგონე შეიპყრო.

სწორედ ამ დროს მითრიდატემ მიატოვა პერგამოსი და პი-

ტანეში ჩაიკეტა[11]. აქ მას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა ფიმბრიამ[12]. მითრიდატემ თვალები საშველად მხოლოდ ზღვას მიაპყრო. რაკი მამაცსა და გამარჯვებულ ფიმბრიასთან შებრძოლებას ვეღარ ბედავდა, ყოველმხრივ გაფანტულ ფლოტს თავი მოუყარა და თავისკენ გაიწვია. ფიმბრია ამას ხედავდა, მაგრამ საზღვაო ძალები არ გააჩნდა. ამიტომ ლუკულუსს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, მოსულიყო თავისი ფლოტით, რათა შეერთებული ძალებით მოესპოთ მითრიდატე, ყველაზე უფრო მძვინვარე და საშიში მტერი მეფეთა შორის, და მრავალი ბრძოლისა და ტანჯვის ფასად დევნილი ეს სანუკვარი ნადავლი ხელიდან არ დასხლტომოდათ რომაელებს: მით უმეტეს, იგი ასე ახლოა თავდასხმისათვის და უკვე გაბმულია მახეშიო. თუ იგი დაიჭირეს, არავის ექნება ისეთი დიდი სახელი, როგორც მას, ვინც მითრიდატეს გაქცევაში ხელი შეუშალა და რომელმაც იგი შეიპყრო იმ დროს, როცა თავის დახსნას აპირებდაო. ფიმბრია ლუკულუსს სწერდა: ჩვენ ორივენი გავიყოფთ გამარჯვებით მოპოვებულ სახელს, თუ მითრიდატეს მე ხმელეთიდან უკუვაგდებ, შენ კი ზღვიდან გადაუჭრი უკან დასახევ გზას; რომაელები მაშინ აღარაფრად ჩათვლიან ორქომენსა და ქერონეასთან სულას მიერ მოპოვებულ სახელგანთქმულ გამარჯვებებსო.

ფიმბრიას სიტყვებში გადაჭარბებული არა იყო რა. ყველასათვის აშკარა გახლდათ, საკმაოდ ახლო მანძილზე მყოფ ლუკულუსს რომ ფიმბრიასათვის დაეჯერებინა, ხომალდები აქ მოეყვანა და თავისი ფლოტით ნავსადგური ჩაეკეტა, ომი დამთავრდებოდა და მთელი ქვეყანა მრავალ უბედურებას აიცილებდა თავიდან. მაგრამ ლუკულუსი ალბათ უფრო მეტი მოწიწებით ეკიდებოდა სულას დავალებას, ვიდრე საკუთარსა და საზოგადო სურვილებს, ან შეიძლება ეზიზღებოდა უწმინდური ფიმბრია, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ თანამდებობის გულისათვის მოკლა თავისი მეგობარი და სარდალი[13]; ან კიდევ შესაძლებელია, ლუკულუსმა განგების ძალის თანახმად დაზოგა მითრიდატე, ვით მისი მომავალი მოწინააღმდეგე და ფიმბრიას თხოვნა არ შეისმინა. ამით მან საშუალება მისცა მითრიდატეს, პიტანედან ზღვაში გასულიყო და დამცინავი ღიმილით აევლო გვერდი ფიმბრიას მხედრობისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ლუკულუსმა თვითონ გაანადგურა მეფის ის ხომალდები, რომლებიც ტროადის კონცხ ლეკტონთან შემოხვდა. ცოტა ხნის შემდეგ კი შენიშნა, ტენედოსთან[14] ღუზაზე იდგა ნეოპტოლემე[15] გაცილებით უფრო დიდი ფლოტით. ლუკულუსი ყვე-

ლაზე ადრე დაიძრა მის წინააღმდეგ ხუთ რიგზე გამწკრივებული ხოფებიანი როდოსული ხომალდით, რომელსაც რომაელთა ერთგული და საზღვაო ბრძოლაში ფრიად გამოცდილი დამაგორა მესაჭეობდა. ნეოპტოლემე ელვისებური სისწრაფით გაეშურა ლუკულუსთან შესახვედრად და მესაჭეს უბრძანა, ცხვირით დატაკებოდა მტრის ხომალდს. დამაგორას შეეშინდა სამეფო ხომალდის სიმძიმისა და ცხვირის ძალისა და მასთან ბრძოლაში პირისპირ შებმა ვერ გაბედა; მან სწრაფად მიაბრუნებინა ხომალდი გვერდზე და კიჩო, რაც კი შესაძლებელი იყო, დაბლა დაახრევინა. ამგვარად გადახრილ ხომალდს მტრის ხომალდის ცხვირის დარტყმით ოდნავი ზიანიც არ მოსვლია, ვინაიდან ეს დარტყმა მხოლოდ ხომალდის წყალში ჩაშვებულ ნაწილზე მოხდა. ამასობაში ლუკულუსს მოკავშირეთა ხომალდებმაც მოუსწრეს. მან ბრძანა, მისი ხომალდი ისევ მოებრუნებინათ ცხვირით წინ. მრავალი გმირობის ჩადენის შემდეგ მტერი უკუაქცია და ნეოპტოლემეს დაედევნა.

4. ამის შემდეგ ლუკულუსი შეუერთდა სულას, რომელიც ხერონესოსთან[16] იდგა და მცირე აზიაში გადასვლას ლამობდა. ლუკულუსმა მისი გადასვლა საფრთხისაგან დაიცვა და მხედრობაც გადააყვანინა.

ჩქარა ზავიც შეიკრა[17]. მითრიდატემ თავისი ფლოტით ევქსინის პონტოს[18] სანაპიროებისაკენ დაიხია. აზიას სულამ ოცი ათასი ტალანტის ხარკი დაადო და ლუკულუსს დაავალა, ეს თანხა აეკრიფა და იმით რომაული ფული მოეჭრა. სულას სასტიკი მოქმედების შემდეგ ლუკულუსი ერთგვარი ნუგეში იყო აზიის ქალაქებისათვის. ასეთი მძიმე და უწყალო დავალების აღსრულებისას იგი ცდილობდა, სამართლიანი ყოფილიყო და ლმობიერადაც იქცეოდა.

მას, მაგალითად, უნდოდა მიტილენელები, რომლებიც აშკარად აუჯანყდნენ სულას, გონს მოსულიყვნენ და იმ შეცოდებისათვის, რაც მარიუსის მიმხრობით ჩაიდინეს, მაინცდამაინც სასტიკად არ დასჯილიყვნენ[19]. მაგრამ როცა დაინახა, მიტილენელები ჯიუტობდნენ, თავისი ფლოტით მათ წინააღმდეგ დაიძრა, დაამარცხა ისინი საზღვაო ბრძოლაში, ჩაკეტა ქალაქის კედლებში და ალყა შემოარტყა. მერმე კი, დღის სინათლეზე, სრულიად აშკარად, ღუზა აუშვა და ელეასაკენ[20] გაემართა; მაგრამ სულ მალე შეუმჩნევლად დაბრუნდა უკან და ქალაქის მახლობლად ჩასაფრდა. მიტილენელები იმ განზრახვით, რომაელების მიერ ვითომც მიტოვებული ბანაკი რომ დაერბიათ, უწესრიგოდ, გაბედულად გამოცვივდნენ ქალაქიდან. ლუკუ-

ლუსი მყისვე დაესხა მათ თავს; ბევრი მათგანი დაატყვევა, ხოლო ხუთასი კაცი იმ მიტილენელთა შორის, რომლებიც თავს მედგრად იცავდნენ, სიცოცხლეს გამოასალმა. სულ ამ ბრძოლაში ექვსი ათასი მონა ჩაიგდო ხელთ და სხვა უთვალავი ნადავლიც წამოიღო.

ლუკულუსს რაღაც ზეციური განგების ძალით მცირეოდენი წილიც კი არ ედო იმ მრავალგვარ უბედურებაში, რაც სულამ და მარიუსმა იტალიის ხალხებს დაატეხეს თავს, ვინაიდან იგი ხანგრძლივად იმყოფებოდა აზიაში და იქაური ამბებით იყო გართული. მიუხედავად ამისა, სულა მას თავის სხვა მეგობრებზე ნაკლებ პატივს როდი სცემდა. ის კი არა, როგორც ზემოთაც ვთქვით, მისდამი სიყვარულის აღსანიშნავად, საკუთარ მოგონებათა კრებული გადასცა, ხოლო როცა კვდებოდა, პომპეუსს გვერდი აუარა და შვილის მეურვედ დანიშნა.

როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო პირველი მიზეზი ლუკულუსსა და პომპეუსს შორის არსებული მეტოქეობისა და შურისა. ისინი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და სახელის მოხვეჭის ცეცხლით იწვოდნენ.

5. სულას სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ, დაახლოებით ასსამოცდამეთექვსმეტე ოლიმპიადაში[21], ლუკულუსმა მარკუსს კოტასთან ერთად კონსულობა მიიღო. რომაელთა უმრავლესობა ამ დროს მითრიდატესთან ომის განახლებას მოითხოვდა. თვითონ მარკუსიც ამბობდა: ეს ომი კი არ დამთავრებულა, მხოლოდ მცირე ხნით შეწყდაო. ლუკულუსი, რაკი საგამგებლოდ ალპებსამიერი გალია ხვდა წილად, საკმაოდ ნაწყენი იყო; დიად საქმეთა შესასრულებლად აქ ნიადაგი არ გააჩნდა. ყველაზე უფრო მეტად ლუკულუსს მაინც პომპეუსი და მის მიერ ესპანეთში მოპოვებული გამარჯვებები აღიზიანებდა. ადვილი მოსალოდნელი იყო, თუკი პომპეუსი ესპანეთში ომის დამთავრებას მოახერხებდა, მყისვე აირჩევდნენ მთავარსარდლად მითრიდატეს წინააღმდეგ. აი, ამიტომ, როცა პომპეუსი ფულს თხოულობდა და წერილით იმუქრებოდა: თუ არ გამომიგზავნით, ესპანეთსა და სერტორიუსს[22] სულ დავანებებ თავს და მხედრობას იტალიისკენ დავძრავო, ლუკულუსი მეტისმეტად გულმოდგინედ ცდილობდა, გაეგზავნა ფული და არ მიეცა მისთვის ოდნავი საბაბი, რათა უკან დაბრუნებულიყო მისი კონსულობის ვადის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი რომი მრავალრიცხოვანი მხედრობის წინამძღოლის მორჩილებაში აღმოჩნდებოდა.

გარდა ამისა, ლუკულუსს ქალაქშიც ჰყავდა მტერი. ეს იყო ცეთეგუსი, რომელიც სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა

იმის წყალობით, რომ ყოველნაირად, სიტყვით თუ საქმით, ხალხის გულის მოგებას ცდილობდა. ლუკულუსი ზიზღის თვალით უყურებდა გარყვნილ, თავხედსა და უამრავი ცოდვით აღსავსე ცეთეგუსს და აშკარა ომს უცხადებდა. მეორე დემაგოგი ლუციუს კვინკციუსი სულას მიერ დაწესებული მმართველობის წინააღმდეგ აღდგა და არსებული წყობილების დამხობას შეეცადა[23]. ლუკულუსმა პირადი შეგონებით, თუ საჯარო გაკიცხვით ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, მის პატივმოყვარეობას ფრთა შეაკვეცა და, როგორც კი შეეძლო, ბრძნულად და სახელმწიფოსათვის საკეთილდღეოდ დიდი ჭირი ძირშივე მოსპო.

6. ამასობაში კილიკიის მმართველის ოქტავიუსის სიკვდილის ცნობა მოვიდა. რომში მრავალს აღეძრა სურვილი, უმმართველოდ დარჩენილი მხარე საგამგებლოდ მიეღოთ. ისინი, ვინც ამისაკენ მიისწრაფოდნენ, ფეხქვეშ ეგებოდნენ ცეთეგუსს, ვითარცა ყოვლისშემძლე კაცს, რომელსაც ამ საქმის მოგვარება შეეძლო. საკუთრივ კილიკიას ლუკულუსი დიდ რამედ არა თვლიდა, მაგრამ ფიქრობდა, თუ იგი კაპადოკიასთან მახლობლად მდებარე ამ მხარეს საგამგებლოდ მიიღებდა, მითრიდატეს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში, მის გარდა, სხვას არავის გაგზავნიდნენ სარდლად. ამიტომ ყოველმხრივ ეცადა, კილიკიის მხარე სხვისთვის არ დაეთმო. ბოლოს და ბოლოს, ლუკულუსი, მისი ბუნების წინააღმდეგ, იძულებული გახდა, ისეთ გზას დასდგომოდა, რომელიც არ იყო საკადრისი და საქები, მაგრამ მიზნის მისაღწევად კი სასარგებლო ჩანდა.

იმ დროს რომში ცხოვრობდა ვინმე პრეცია, რომელსაც სილამაზისა და სითამამის წყალობით სახელი ჰქონდა განთქმული ქალაქში. ეს პრეცია სხვა მეძავი ქალებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ხშირად თავისი საყვარლების დახმარებით მეგობრებს მისწრაფებების აღსრულებასა და თანამდებობის მიღებაში შველოდა. ამიტომ სხვა მშვენიერებასთან ერთად თავი ისახელა, როგორც მეგობრის მოყვარულმა და საქმიანმა ქალმა. ასეთი მოქმედებით პრეციამ მეტად დიდი გავლენა მოიპოვა. როცა მან იმხანად დიდი სახელის მქონე და ქალაქის სადავეების მპყრობელი ცეთეგუსი მოხიბლა და მისი ხასა გახდა, სახელმწიფოს მთელი ძლიერება თანდათანობით მის ხელში გადავიდა. არაფერი არ კეთდებოდა აქ ცეთეგუსის ჩაურევლად, ცეთეგუსი კი არაფერს აკეთებდა პრეციას ბრძანების გარეშე.

და აი, ლუკულუსმა საჩუქრებითა და პირფერობით პრეციას გული მოიგო (ამ ამაყსა და მედიდურ ქალს ლუკულუსისათვის დახ-

მარების გაწევა სასახელო საქმედ მიაჩნდა). ამის შემდეგ ცეთეგუსმა მაშინვე დაიწყო ლუკულუსის ქება-დიდება და მისთვის კილიკია გამოითხოვა.

მიიღო თუ არა კილიკია საგამგებლოდ, არც პრეციასა და არც ცეთეგუსის დახმარება ლუკულუსს აღარ დასჭირვებია; მითრიდატესთან ომის წარმოება ყველამ ერთხმად მიანდო, როგორც ისეთ სარდალს, რომელიც სხვაზე გაცილებით უკეთესად შეძლებდა ამ ომის დამთავრებას. პომპეუსი ამ დროს ჯერ კიდევ სერტორიუსთან ბრძოლით იყო გართული, ხოლო მეტელუსი[24] სიბერის გამო სამხედრო სამსახურზე უარს აცხადებდა; ლუკულუსისათვის მეტოქეობის გაწევა კი მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ კაცს შეეძლო.

ლუკულუსის თანაკონსული კოტა, დიდი ხნის დაჟინებითი თხოვნის შემდეგ, სენატმა ხომალდთა კრებულით გაგზავნა პროპონტიდის დასაცავად და ბითვინიისათვის საბრძოლველად[25].

7. ლუკულუსი ერთი ლეგიონის თანხლებით, რომელიც თვითონ შეადგინა იტალიაში, მცირე აზიაში გადავიდა. აქ დანარჩენი ძალებიც შემოიკრიბა, მაგრამ მთელი აქაური მხედრობა ნებიერი ცხოვრებისა და ვერცხლისმოყვარეობის წყალობით უკვე ხელიდან წასული იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ეგრეთ წოდებული ფიმბრიანელები, რომლებიც ისე შეთვისებოდნენ ანარქიას, რომ მათი დამორჩილება შეუძლებელი იყო. სწორედ ესენი იყვნენ, ფიმბრიას თაოსნობით რომ კონსული და საკუთარი სარდალი ფლაკუსი მოკლეს და მერმე ფიმბრიასაც უღალატეს და სულას გადასცეს. ამ თავხედ ფიმბრიანელებს კანონები არაფრად მიაჩნდათ, სამაგიეროდ, მეტისმეტად მამაცნი, გაჭირვების ამტანნი და ომში გამოცდილნი იყვნენ. ლუკულუსმა სულ მოკლე ხანში ამათ თავხედობასაც შეაკვეცა ფრთა და სხვებიც აიძულა, დამორჩილებოდნენ მის მბრძანებლობას, მათ მაშინ პირველად იწვნიეს ალბათ, თუ რას ნიშნავდა ნამდვილი მმართველი და მხედართმთავარი, მანამდე კი თავზე ხელის სმას იყვნენ დაჩვეულნი, და სურვილისდა მიხედვით, მიდიოდნენ ხოლმე სალაშქროდ.

რაც შეეხება მტერს, მისი საქმე ასე იყო: მითრიდატე, როგორც ეს სოფისტებს სჩვევიათ ხოლმე, თავდაპირველად დიდი გოროზობითა და მედიდურობით აღდგა რომაელთა წინააღმდეგ და გარეგნულად ბრწყინვალე და სანაქებო, სინამდვილეში კი სრულიად გამოფიტული მხედრობა დაუპირისპირა. მაშინ იგი სასაცილოდ დამარცხდა. სამაგიეროდ, ჭკუა ისწავლა და, როცა რომაელებთან მეორე ომის

გადახდა დასჭირდა, თავისი ძალების მართლაც ნამდვილ და საქმიან მომზადებას შეუდგა. მან თავიდან მოიცილა მეტისმეტად ჭრელი ლაშქარი, მრავალ ენაზე მეტყველი საშიში ბარბაროსებისაგან რომ შედგებოდა, და აკრძალა ოქროთი და ძვირფასი თვლებით იარაღის შემკობა, ვინაიდან ასეთი იარაღი გამარჯვებული მტრისათვის სანუკვარი ნადავლი იქნებოდა, პატრონს კი არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა. ასეთი იარაღის სანაცვლოდ, მითრიდატემ რომაული ყაიდის ხმლები გამოაჭედინა და მძიმე ფარებიც დაამზადებინა. მერმე თავი მოუყარა ცხენებს, რომლებიც გაწვრთნილი უფრო იყვნენ, ვიდრე მოსართავებით შემკულნი. ფეხზე დააყენა რომაულ საბრძოლო წყობას შეთვისებული ას ოცი თაასი მეომრისაგან შემდგარი ქვეითი ჯარი და გარდა ასი ოთხცხენიანი საომარი ეტლისა, რომელთა თვლებზეც ბასრი ცელები იყო დამაგრებული, თექვსმეტი ათასი ცხენოსანიც მოაგროვა. საბრძოლველად მოამზადა მითრიდატემ ხომალდებიც. მათზე უკვე აღარ იყო ოქროთი გადახურული კარვები, ხასებისათვის განკუთვნილი სააბაზანოები და მდიდრული სამეფო ჰარამხანები. თავისი ფლოტი მითრიდატემ ახლა იარაღით, ისრებითა და ფულით აავსო.

ამის შემდეგ იგი ბითვინიაში შეიჭრა. აქაური ქალაქები სიხარულით ეგებებოდნენ. არა მარტო ბითვინიას, არამედ მთელ აზიას მოდებოდა ძველი სენი. იგი მზად იყო განდგომოდა რომს, ვინაიდან რომაელი მევახშეები და გადასახადების ამკრეფნი მეტისმეტად ტანჯავდნენ. უფრო გვიან ლუკულუსმა ეს ჰაპიები[26], აზიის მოსახლეობას რომ საზრდოს სტაცებდნენ, აქედან გააძევა; პირველ ხანებში კი რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ცდილობდა ზომიერების დაცვა ესწავლებინა მათთვის და ამის წყალობით ერთგვარად შეაჩერა კიდეც ჩამოცილება ზოგიერთი ტომისა, რომელთაგანაც, კაცმა რომ თქვას, არც ერთი არ იყო მშვიდად.

8. იმ დროს, როცა ლუკულუსი ზემოაღნიშნული საქმეებით იყო გართული, კოტა, რომელსაც ეგონა, ამისათვის მარჯვე დრო დამიდგაო, მითრიდატესთან საბრძოლველად ემზადებოდა. მას ყოველი მხრიდან ატყობინებდნენ: ლუკულუსი მოახლოვდა და უკვე ფრიგიაში არის დაბანაკებულიო. კოტა ფიქრობდა, გამარჯვების ტრიუმფი თითქმის ჩემ ხელთ არისო. რომ ამ ტრიუმფში ლუკულუსსაც არ დაედო თავისი წილი, ბრძოლის დაწყება მეტისმეტად იჩქარა, მაგრამ ხმელეთსა და ზღვაზე ერთდროულად დამარცხდა. დაკარგა სამოცი ხომალდი თავისი შემადგენლობით და ოთხი ათასი ქვეითი

მეომარი, თვითონ კი ჩაკეტეს და ალყა შემოარტყეს ქალკედონში[27]. დამარცხებული კოტა ლუკულუსს მისჩერებოდა: არიქა, მიშველეო.

იყვნენ ისეთები, რომლებიც ლუკულუსს ურჩევდნენ, ბედის ანაბარა მიეტოვებინა კოტა, წინ წასულიყო და მითრიდატეს სამეფო აეღო. ისინი არწმუნებდნენ: ამ სამეფოს დამცველი არა ჰყავსო. ასეთ რჩევას უპირატესად იძლეოდნენ ჯარისკაცები, რომლებიც გამწყრალნი იყვნენ კოტაზე. მათი აზრით, კოტამ თავისი რეგვენობით არა მარტო საკუთარი თავი და მეომრები დაღუპა, არამედ მათაც შეუშალა ხელი, რადგან შეეძლოთ ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მოეპოვებინათ გამარჯვება. ამ ჯარისკაცებს ლუკულუსმა თავის სიტყვაში ასე უპასუხა: მტრის მთელი ავლა დიდების ხელში ჩაგდებას მოწინააღმდეგისაგან ერთი რომაელის დახსნა მირჩევნიაო.

მითრიდატეს ყოფილი სარდალი ბეოტიაში, არქელაე, რომელიც მეფეს განუდგა და რომაელებთან ერთად ლაშქრობდა, ლუკულუსს უმტკიცებდა: „მარტო შენი გამოჩენაა საკმარისი პონტოში, რომ იქაურობის სრული მბრძანებელი გახდეო". „არა, - უთხრა მას ლუკულუსმა, - მონადირეებზე მხდალი როდი ვარ, ჯერ ნადირს გავერიდო და მერმე მის ცარიელ ბუნაგში შევიჭრეო".

თქვა თუ არა ეს, ოცდაათი ათასი ქვეითი მეომრით და ორი ათას ხუთასი ცხენოსნით მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა. როცა იგი მტრის პირისპირ დადგა, მოწინააღმდეგის ძალთა სიმრავლემ საკმაოდ შეაძრწუნა, ამიტომ გადაწყვიტა, ბრძოლა გადაედო და დრო გაეჭიანურებინა. მაგრამ მას შემოეგება სარდალი მარიუსი[28], რომელიც ესპანეთიდან მაშველი ძალებით სერტორიუსმა გამოუგზავნა მითრიდატეს. მარიუსმა ლუკულუსი საომრად გამოიწვია. ამანაც თავისი ძალები საბრძოლველად დააწყო. ის ის იყო მარიუსი და ლუკულუსი ერთმანეთს უნდა შებმოდნენ, რომ უეცრად ჰაერი შუაზე გაიპო და გამოჩნდა რაღაც უზარმაზარი ცეცხლოვანი სხეული, რომელიც ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის მოექანებოდა; ის ძალიან ჰგავდა კასრს და გავარვარებული ვერცხლისფერი იყო. ამ მოჩვენებამ ისეთი თავზარი დასცა ორივე მხედრობას, რომ ისინი უბრძოლველად დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც ამბობენ, ეს ამბავი მოხდა ფრიგიაში, ეგრეთ წოდებული ოტრიის მახლობლად.

ლუკულუსი ფიქრობდა, მითრიდატეს უთვალავ მხედრობას, ისიც მაშინ, როცა ამ მხედრობის პირისპირ მტერი იდგა, ვერავითარი მარაგი და სიმდიდრე ვერ შეინახავდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამის დასამტკიცებლად ლუკულუსმა მოაყვანინა ერთ ერთი ტყვე და

ორი კითხვა მისცა: პირველი – თუ რამდენ კაცთან ერთად ცხოვრობდა კარავში, მეორე – თუ რამდენი სურსათი დატოვა იქ. როცა ტყვემ პასუხი მისცა, ლუკულუსმა იგი განზე გაიყვანა, მერმე ასევე რიგრიგად დაჰკითხა მეორე და მესამე ტყვეც. ამის შემდეგ ერთმანეთს შეუფარდა მტრის მეომრებისა და სურსათის რაოდენობა და დაასკვნა, რომ მტერს დარჩენილი ჰქონდა საჭმლის სამი თუ ოთხი დღის მარაგი.

ამიტომ ლუკულუსი შეეცადა დროის უფრო მეტად გაჭიანურებას. თვითონ კი ბანაკში უამრავი სურსათი მოაზიდვინა, რათა უხვად მომარაგებული დალოდებოდა მტრის კარზე მიმდგარ გაჭირვებას.

9. ამასობაში მითრიდატემ განიზრახა, თავს დასხმოდა კიზიკოსელებს, რომლებიც ქალკედონთან ბრძოლაში დამარცხდნენ და სამი ათასი მეომარი და ათი ხომალდი დაკარგეს. მითრიდატეს უნდოდა, ეს საქმე ლუკულუსისაგან მალულად მოეყვანა სისრულეში. ამიტომ იგი ნავახშმევს, ბნელსა და წვიმიან ღამეში სწრაფად დაიძრა სალაშქროდ და გათენებისას შეუფერხებლივ დააბანაკა მხედრობა ქალაქის[29] პირისპირ, ადრასტიის მთასთან.

ლუკულუსმა ეს შეიტყო და მითრიდატეს დაედევნა. მეტად უხაროდა, რომ მტერს ბნელ ღამეში ბრძოლისათვის მოუმზადებელი მხედრობით არ შეხვდა. ჯარი ლუკულუსმა თრაკიად წოდებული სოფლის მახლობლად დააყენა და ფრიად მარჯვე, ბუნებრივად გამაგრებული ადგილმდებარეობა დაიკავა. ყველა გზა, რომლებითაც მითრიდატესთვის სურსათი უნდა ეზიდათ, აქ გადიოდა. ლუკულუსმა, რაკი წინასწარ განსაზღვრა ყველაფერი, რაც უნდა მომხდარიყო, ჯარისკაცებს არაფერი არ დაუმალა. როცა ბანაკი მოაწყვეს და ყველა საქმისაგან გათავისუფლდა, ლუკულუსმა შეკრიბა მეომრები და ამაყად განუცხადა: რამდენიმე დღის შემდეგ სისხლის დაუღვრელად გარგუნებთ გამარჯვებასო.

კიზიკოსელებს მითრიდატემ ხმელეთიდან ათი სამხედრო ბანაკით შემოარტყა ალყა, ხოლო ზღვიდან ხომალდებით ჩაუკეტა ვიწრო სრუტე, რომელიც ქალაქს ხმელეთისგან ყოფდა. ამრიგად, ორმხრივ ალყაში მოიმწყვდია კიზიკოსელები. ისინი ამ განსაცდელს მამაცურად შეხვდნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომაელთა გულისთვის ყოველგვარი უბედურება გადაეტანათ. მათ არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა ლუკულუსი და ცნობის უქონლობა მეტისმეტად აწუხებდათ. ლუკულუსის ბანაკი კი სულ ახლოს იყო, თვალით დასანახ მანძილზე; მაგრამ ალყაშემორტყმულნი შეცდომაში შეჰყავდათ მითრიდატეს მეომრებს. ისინი კიზიკოსელებს მაღლობზე განლაგე-

ბულ რომაელებზე უთითებდნენ და ეუბნებოდნენ: „ხედავთ იმათ? ეს სომეხთა და სპარსთა ჯარია, რომელიც ტიგრანმა მითრიდატეს გამოუგზავნა დასახმარებლადო!“ კიზიკოსელებს თავზარი დაეცათ, რა დაინახეს, ურიცხვი მტრით იყვნენ გარშემორტყმულნი. ასე ეგონათ, ლუკულუსის მოსვლაც ვერას გვიშველისო.

ლუკულუსის ახლო ყოფნა პირველად არქელაეს მიერ მოგზავნილმა დემონაქსმა აუწყა კიზიკოსელებს. ამათ არ დაიჯერეს და იფიქრეს: გვატყუებს ალბათ და ამ გაჭირვების ჟამს ამით უნდა ნუგეში გვცესო. სწორედ ამ დროს მათთან მივიდა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც მტრის ტყვეობას გამოქცეოდა. კითხვაზე, თუ სად არის ლუკულუსიო, ბიჭს გაეცინა: ეგონა, ეხუმრებოდნენ; მაგრამ როცა დარწმუნდა, ეს ხუმრობა როდი იყო, რომაელთა ბანაკი ხელით უჩვენა. ამ ამბავმა ალყაშემორტყმულნი ფრიად გაამხნევა.

კიზიკოსელთა ქალაქის მახლობლად არის დასკილიტის ტბა, რომელზედაც საკმაოდ მოზრდილი ნავებით შეიძლება ცურვა. ლუკულუსმა ამ ტბიდან ერთი ყველაზე უფრო დიდი ნავი ხმელეთზე ამოათრევინა და ურმით ზღვის ნაპირამდე მიატანინა. აქ ეს ნავი ზღვაში ჩაუშვეს. ლუკულუსმა შიგ იმდენი მეომარი ჩასვა, რამდენიც ჩაეტეოდა. ეს მეომრები ღამით შეუმჩნევლად გადავიდნენ კუნძულზე და ქალაქში შევიდნენ.

10. კიზიკოსელებს, მათი სიმამაცის მოწონების ნიშნად, როგორც ჩანს, ღმერთმაც შთაუნერგა მხნეობა ზოგიერთი თვალნათლივი სასწაულით. სწორედ იმ დროს ფერეფატიების დღეობა იყო კარზე მომდგარი[30]. ალყაში მომწყვდეულ მოსახლეობას მსხვერპლის შესაწირავად საჭირო შავი ძროხა არ ჰყავდა. ამიტომ ცომისაგან გამოძერწეს იგი და საკურთხეველთან დადგეს. ღმერთქალისათვის გასუქებული სამსხვერპლო დეკეული კი, კიზიკოსელთა სხვა საქონელთან ერთად, სრუტის გადაღმა იყო საძოვარზე გაშვებული. და აი, დღესასწაულის დღეს ეს დეკეული გამოეყო ნახირს, მარტოდმარტომ გადაცურა ზღვა, შევიდა ქალაქში და სამსხვერპლოდ თვითონვე დადგა საკურთხეველთან. ცოტა ხნის შემდეგ სახალხო მასწავლებელ არისტაგორას ღმერთქალი გამოეცხადა ძილში და უთხრა: „აი, მოვედი მე და პონტოელი მებუკის წინააღმდეგ სალამურზე დამკვრელი ლიბიელი მომყავს; უთხარი თანამოქალაქეთ, გამხნევდნენო“[31].

არისტაგორას ნაამბობით გაოცებული კიზიკოსელები ჯერ კიდევ გონს არ იყვნენ მოსულნი, რომ გარიჟრაჟზე მძვინვარე ქარიშხალი ამოვარდა და ზღვა საშინლად ააღელვა. თესალიელი ნიკონიდეს ხელი-

დან გამოსული მეფის სასწაულებრივი მანქანები, რომლებიც ქალაქის კედლებთან ჩაემწკრივებინა მტერს, ჭრიალითა და გრუხუნით იუწყებოდნენ მოსალოდნელ უბედურებას. ჩქარა სამხრეთის ქარი ამოვარდა, წარმოუდგენელი სიმძლავრით დაუბერა და საალყო მანქანები თვალის დახამხამებაში სულ ერთიანად დალეწა. შემაძრწუნებელმა ქარმა ასი წყრთის სიმაღლის ხის კოშკი მოარყია და ძირს დასცა.

გარდა ამისა, გადმოგვცემენ, ილიონში მრავალ იქაურ მცხოვრებს მაშინ ძილში გამოეცხადა ღმერთქალი ათენაო. იგი მთლად ოფლში იყო თურმე გაღვრილი; ხალხს წამოსასხამის ჩამოხეულ კალთას უჩვენებდა და ეუბნებოდა: კიზიკოსელთ ვეხმარებოდი და ახლა სწორედ იქიდან მოვდივარო.

ილიონელები, სხვათა შორის, დღესაც უჩვენებენ იმ სვეტს, რომელზედაც ამ ამბის თაობაზე გადაწყვეტილება და წარწერები იყო ამოკვეთილი.

11. ბანაკში დამკვიდრებულ შიმშილზე მითრიდატემ კარგა ხანს არაფერი იცოდა. სარდლები ატყუებდნენ. ამიტომ მეტისმეტად ცხარობდა, კიზიკოსელები რომ ალყას ამდენ ხანს უძლებდნენ, მაგრამ პატივმოყვარეობა და ჯიუტი სიფიცხე სულ მალე გაუქრა, როცა საკუთარი თვალით დაინახა ის საშინელი გაჭირვება, რაიც ჯარისკაცებს ადგა და იმაშიც დარწმუნდა, რომ ისინი ასეთი მდგომარეობის გამო იძულებულნი იყვნენ ადამიანის ხორციც ეჭამათ.

ლუკულუსი მითრიდატესთან თავის გასართობ ომს როდი ეწეოდა. იგი, ასე ვთქვათ, მტრის მუცელს ვალალას აყრიდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, სურსათის მიწოდების ყველა საშუალება აღეკვეთა მისთვის.

და აი, ერთხელ, როცა ლუკულუსი რომელიღაც ციხესიმაგრის ალყით იყო გართული, მითრიდატემ ისარგებლა მარჯვე შემთხვევით და სწრაფად გაგზავნა ბითვინიაში თითქმის მთელი ცხენოსანი ჯარი აღალითა და ბრძოლისათვის უვარგისი ქვეითებით. შეიტყო თუ არა ეს ლუკულუსმა, ჯერ კიდევ ღამით დაბრუნდა ბანაკში და გარიჟრაჟზე, ქარიშხლიან ამინდში, ათი კოჰორტითა და ცხენოსნებით მითრიდატეს გაგზავნილთ დაედევნა. დიდი წვალებით მიიკვლევდა იგი გზას თოვლიან ქარბუქში. მრავალი მებრძოლი, რომლებმაც სიცივეს ვერ გაუძლეს, უკან ჩამორჩა. დანარჩენი ძალებით ლუკულუსი მტერს მდინარე რინდაკოსის[32] სანაპიროსთან დაეწია და ისე გაანადგურა, რომ დამარცხებულთა აღალის გასატაცებლად და დახოცილთათვის იარაღის ასაყრელად აპოლონიაში[33] მცხოვრები ქალები ქალაქი-

დან გამოდიოდნენ. მოკლული, რაღა თქმა უნდა, ბევრი იყო. გარდა ამისა, ხელთ ჩაიგდეს ექვსი ათასი ცხენი, ფრიად მრავალი საპალნე პირუტყვი და თხუთმეტი ათასი ტყვე. მთელი ეს ნადავლი ლუკულლუსმა თან წაიყვანა და მტრის ბანაკის გვერდით ჩაატარა.

მე ფრიად მაოცებს სალუსტიუსი[34], რომელიც ამბობს, რომაელებმა მაშინ პირველად იხილეს აქლემებიო. ნუთუ მას ჰგონია, იმ რომაელებს, რომლებმაც უწინ სციპიონის წინამძღოლობით ანტიოქე დაამარცხეს, ანდა იმათ, სულ ახლახან რომ ორქომენისა და ქერონეას მახლობლად არქელეასთან იბრძოდნენ, აქლემები ნანახი არ ჰყავდათ?

ასეთმა მარცხმა მითრიდატეს გადააწყვეტინა, რაც შეიძლება სწრაფად დაეხია უკან. იმ განზრახვით, რომ ლუკულლუსი ზურგში დაეყოვნებინა, თავის ნავარქოსს[35], არისტონიკეს, უბრძანა, საბერძნეთის ზღვაში გასულიყო. არისტონიკე ის ის იყო ღუზის აშვებას აპირებდა, რომ ლუკულლუსმა იგი ღალატის წყალობით ხელში ჩაიგდო იმ ათი ათასი ოქროთი, რომელიც არისტონიკეს რომაელთა მხედრობის ნაწილის მოსყიდვის მიზნით მიჰქონდა. მაშინ მითრიდატემ თავის დასაღწევად ზღვას მიაშურა, ხოლო მისმა სარდლებმა ჯარი ხმელეთით წაიყვანეს. ლუკულლუსი მათ თავს დაესხა მდინარე გრანიკთან და ხელთ იგდო უამრავი ტყვე, ოცი ათასამდე კაცი კი გაჟლიტა. ამბობენ, ამ ბრძოლაში აღალის მხლებელი თუ მეომარი ჯარიდან მოკლულთა სახით, სულ ცოტა, სამასი ათასი კაცი დარჩა ბრძოლის ველზეო.

12. უწინარეს ყოვლისა, ლუკულლუსი კიზიკოსში შევიდა. აქ მას სიხარულითა და გულთბილად შეხვდნენ. შემდეგ იგი ჰელესპონტის სანაპიროებისაკენ დაიძრა და გზადაგზა ფლოტი შემოიმტკიცა. ამ ფლოტით ლუკულლუსი ტროადას მიადგა და აფროდიტეს ტაძარში დაბანაკდა. ღამით ძილში სიზმარი იხილა; თითქოს ღმერთქალი გამოეცხადა, ახლო დადგა და უთხრა:

რად გძინავს აგრე ღრმად, ლომო? სულ ახლოა ირმები შენთან!

ლუკულლუსი მყისვე წამოდგა, იმავე ღამეს მოიხმო მეგობრები და სიზმარი უამბო. სწორედ ამ დროს ილიონიდან ვიღაცები მოვიდნენ და ლუკულლუსს აუწყეს: აქაველთა ნავსადგურთან მეფის ცამეტი პენტერესი[36] გამოჩნდა; ისინი ლემნოსისაკენ მიემართებიანო.

ლუკულლუსი დაუყოვნებლივ გავიდა ზღვაში. სწრაფად ჩაიგდო ხელთ ცამეტივე პენტერესი, მოკლა მათი მეთაური ისიდორე და

მერმე მითრიდატეს ფლოტის დანარჩენ წინამძღოლთა წინააღმდეგ დაიძრა. ეს წინამძღოლნი ღუზაზე იდგნენ. საფრთხე რომ დაინახეს, ყველა ხომალდი ხმელეთზე ამოათრიეს და ბრძოლა გემბანებიდან დაიწყეს. მათ ლუკულუსის მრავალი მეომარი დაჭრეს. ადგილმდებარეობა საშუალებას არ აძლევდა რომაელთ, გარშემორტყმოდნენ მტერს და დაეძლიათ. ლუკულუსის ხომალდებს ზღვის ტალღები აქეთ-იქით აქანავებდა მაშინ, როცა მტრის პენტერესები მტკიცედ და უშიშრად იდგნენ ხმელეთზე.

მიუხედავად ამისა, ლუკულუსმა, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა კუნძულზე ხომალდთა მისადგომად მარჯვე ადგილის შერჩევა და იქ ყველაზე მამაცი მეომრები გადასხა. ესენი ზურგიდან ეკვეთნენ მტერს. ზოგი მოკლეს, ზოგიც აიძულეს, საკუთარი ხომალდების ბაგირები გადაეჭრათ და ზღვაში ჩაშვებულიყვნენ. აქ მითრიდატეს პენტერესები ან ერთმანეთს დაეჯახნენ, ან არადა პირდაპირ ლუკულუსის ხელში ჩავარდნენ.

ამ ბრძოლაში გაჟლიტეს უამრავი მტერი. ტყვეთა შორის იყო სერტორიუსის მიერ გამოგზავნილი სარდალი მარიუსი. ეს მარიუსი ცალთვალა გახლდათ. ამიტომ ლუკულუსმა ჯარისკაცებს შეტევის დასაწყისშივე უბრძანა, არ მოეკლათ ცალთვალა კაცი, თუკი ასეთი შეხვდებოდათ. უნდოდა, მარიუსი პატივაყრილი და შერცხვენილი გამოსალმებოდა წუთისოფელს.

13. გადაიხადა თუ არა ეს ბრძოლა, ლუკულუსი ახლა მთელი სისწრაფით თვითონ მითრიდატეს დაედევნა. იმედი ჰქონდა, სადმე ბითვინიაში წააწყდებოდა პონტოს მეფეს, რომელსაც იქ ვოკონიუსი დარაჯობდა. ეს ვოკონიუსი ადრევე გაგზავნა ფლოტის თანხლებით ნიკომედიაში[37], იმ განზრახვით, რომ მითრიდატესათვის გაქცევაში ხელი შეეშალა. მაგრამ ვოკონიუსმა საკმაოდ ბევრი დრო დაკარგა; იგი სამოთრაკზე[38] წმინდა საიდუმლოების აღსრულებითა და დღესასწაულის მოწყობით იყო გართული. ამასობაში მითრიდატე ფლოტით ზღვაში გავიდა და ჩქარობდა, ლუკულუსის დაბრუნებამდე პონტოში შესულიყო. მაგრამ საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო. მისი ხომალდების ნაწილი ქარიშხალმა აქეთ იქით გაფანტა, ნაწილი კი წყალში ჩაძირა. ზღვის მთელი სანაპირო მრავალი დღის განმავლობაში ტალღების მიერ გამორიყული ხომალდების ნამსხვრევებით იყო მოფენილი. თვითონ მითრიდატე საბარგო ხომალდით მიცურავდა. მისმა მესაჭეებმა ეს ხომალდი თავისი სიდიდის გამო ვერც ნაპირს მიაყენეს ასეთ საშინელ ღელვაში, რაკიღა მეტად მძიმე

იყო და უკვე წყალიც შესდიოდა, და ვერც ზღვაში გააჩერეს. მაშინ მითრიდატე მეკობრეთა მსუბუქ ხომალდზე გადაჯდა და თავისი ბედი ზღვის ყაჩაღებს მიანდო. ბოლოს და ბოლოს, სრულიად მოულოდნელად და მშვიდობიანად იგი პონტოს ჰერაკლეას მიადგა.

ის ქედმაღლობა, რაც ლუკულუსმა სენატის მიმართ გამოიჩინა, ღმერთების მხრივ დაუსჯელი დარჩა. საქმე ის იყო, რომ სენატმა თავის დროზე გადაწყვიტა, მითრიდატესთან ომის საწარმოებლად საჭირო ფლოტის ასაგებად სამი ათასი ტალანტი გაეღო. ლუკულუსმა სენატისადმი გაგზავნილ წერილში ამაზე უარი თქვა და კვეხნით განაცხადა: მითრიდატეს ყოველგვარი ხარჯისა და დიდი მზადების გარეშე გავაძევებ ზღვიდან მარტოოდენ მოკავშირეთა ხომალდებითო. მან ეს საქმე ღმერთების წყალობით მართლაც შეასრულა. ამბობენ, პრიაპოსელი არტემიდეს[39] რისხვა იყო მიზეზი იმისა, პონტოს ფლოტს რომ ქარიშხალი დაატყდა თავსო. მითრიდატეს ჯარისკაცებმა თურმე ერთხელ არტემიდეს ტაძარი გაძარცვეს და მისი ქანდაკება გაიტაცეს.

14. ბევრი ურჩევდა ლუკულუსს, საომარი მოქმედება დროებით გადაედო; მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია და მითრიდატეს სამფლობელოში შეიჭრა. პირველ ხანებში იგი სურსათის მეტად დიდ ნაკლებობას განიცდიდა; ამიტომ მხედრობას უკან ოცდაათი ათასი გალატელი მიჰყვებოდა და ყოველ მათგანს საკუთარი ზურგით თითო მედიმნი პური მიჰქონდა. სამაგიეროდ, წინსვლის დროს, როცა ყველაფერი დაიმორჩილა, ისე აივსო ხვავითა და ბარაქით, რომ მის ბანაკში ხარი ერთ დრაქმად, ხოლო მონა ოთხ დრაქმად იყიდებოდა. სხვა სახის ნადავლს ჯარისკაცები აღარაფრად აგდებდნენ. რაკი საყოველთაო სიუხვის დროს მისი გასაღება შეუძლებელი იყო, ნაწილს ადგილზევე ტოვებდნენ, ნაწილს კი ანადგურებდნენ.

ლუკულუსის მხედრები თემისკირამდე და თერმოდონტის[40] ველებამდე ცხენებით თარეშისას სოფლების აოხრებისა და აკლების მეტს ვერაფერს ახერხებდნენ. ამიტომ ჯარისკაცები ლუკულუსზე ბუზღუნებდნენ: იგი რიგ ქალაქებს დაზავების საშუალებით იერთებს, იერიშით არც ერთს არ იღებს და ჩვენ მათი გაძარცვის შესაძლებლობას არ გვაძლევსო. „აი, ახლა, – ამბობდნენ ისინი, – სულ ადვილი საქმეა დიდებული და მდიდარი ქალაქის ამისეს[41] აღება, თუკი კაცი მის ალყას ოდნავ გააძლიერებს, მაგრამ ლუკულუსი ჩვენ მას გვატოვებინებს და მითრიდატესთან საბრძოლველად ტიბარენთა და ქალდეველთა[42] უდაბნო მხარეში მივყავართო“.

ამ ბუზლუნს ლუკულლუსი არაფრად აგდებდა, ვინაიდან იმედი ჰქონდა, მისი მეომრები არ გამოიჩენდნენ ისეთ უგუნურებას, როგორიც მათ შემდგომ გამოამჟღავნეს. იგი ყველაფერს ამჯობინებდა, თავი ემართლებინა იმათ წინაშე, რომლებიც ბრალად სდებდნენ ზანტ მოქმედებას; სახელდობრ, იმას, რომ საკმაოდ დიდხანს აყოვნებდა სრულიად უმნიშვნელო სოფლებსა და ქალაქებთან და ამით მითრიდატეს ძალის მოკრების საშუალებას აძლევდა. „აი, სწორედ მეც ეგ მინდა, – ამბობდა ლუკულლუსი. – მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მოახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა ვერ ხედავთ, რომ ზურგს უკან გადაშლილი აქვს უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? იქვე ახლოს არის კავკასიონი უამრავი ხეობით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლას თავარიდებული ათი ათასობით მეფე. კაბეირადან[43] რამდენიმე დღის სავალ მანძილზე მდებარეობს სომხეთი. სომხეთის ტახტზე ზის მეფეთა მეფე ტიგრანი[44]. მას დიდძალი მხედრობა ჰყავს და ამ მხედრობის წყალობით პართებს გასაქანს არ აძლევს აზიაში, ბერძნულ ქალაქთა შოსახლეობა მიდიაში გადაჰყავს, სირიასა და პალესტინაზე მბრძანებლობს, კლავს სელევკოსის მემკვიდრე მეფეებს და მათი ქალიშვილები და ცოლები მიჰყავს ტყვედ. ეს ტიგრანი მითრიდატეს ახლობელია, მისი სიძე. მითრიდატემ რომ დახმარება სთხოვოს, უარს არ ეტყვის და ჩვენ წინააღმდეგ ომს დაიწყებს. თუ ჩვენ ავჩქარდებით, რათა მითრიდატე განვდევნოთ, ამით ტიგრანის მხრივ თავდასხმის საფრთხეს შევიქმნით. ტიგრანი უკვე დიდი ხანია ჩვენ წინააღმდეგ ომის საბაბს ეძებს და იმაზე უკეთეს მიზეზს, რომ გასაჭირში მყოფ ახლობელ კაცს და ისიც მეფეს დაეხმაროს, იგი ვერასოდეს ვერ მონახავს. ჰოდა, რატომ უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მივცეთ საშუალება მითრიდატეს, ჩაიდინოს ის, რაზეც არ უფიქრია? სახელდობრ, რატომ უნდა ვასწავლოთ მას, თუ ვისთან ერთად იბრძოლოს ჩვენ წინააღმდეგ.? რატომ უნდა ვაიძულოთ იგი, დახმარებისათვის მიმართოს ტიგრანს მაშინ, როდესაც ეს არა სურს და თავისთვის სამარცხვინო საქმედ თვლის? უმჯობესი არ იქნება დრო მივცეთ, რათა საკუთარი ძალები შემოიკრიბოს და კვლავ მოღონიერდეს? მიდიელებსა და სომხებთან ბრძოლას არა სჯობია, შევებრძოლოთ კოლხებს, ტიბარენებსა და კაპადოკიელებს, რომლებიც ჩვენ არაერთხელ დაგვიმარცხებია?“

15. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ლუკულლუსი დიდხანს იდგა ამისეს გარშემო და ეს ქალაქი საკმაოდ სუსტ ალყაში ჰყავდა. გავიდა

თუ არა ზამთარი, ამისეს საალყოდ ლუკულუსმა მურენა დატოვა, თვითონ კი მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა. მითრიდატე ამ დროს კაბეირასთან იდგა და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომაელებს გამკლავებოდა. მის ირგვლივ თავმოყრილი იყო ორმოცი ათასი ქვეითი მეომრისა და ოთხი ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი მხედრობა. იგი ყველაზე უფრო დიდ იმედს მხედრებზე ამყარებდა.

მითრიდატე მდინარე ლიკეზე გადავიდა და რომაელები ვაკეზე გამოიხმო საბრძოლველად. ერთმანეთს ეკვეთნენ ცხენოსნები, მაგრამ ამჯერად რომაელები უკუიქცნენ. ერთი წარჩინებული გვარის ვაჟკაცი პომპონიუსი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ წაიყვანეს. ჭრილობებისაგან გამწარებული პომპონიუსი მითრიდატეს მიჰგვარეს. მითრიდატემ ჰკითხა: სიცოცხლე რომ შეგინარჩუნო, გახდები თუ არა ჩემი მეგობარიო? „დიახ, გავხდები, – უპასუხა პომპონიუსმა, – თუ რომაელებთან ზავს შეკრავ; წინაალმდეგ შემთხვევაში, ისევ მტერი დავრჩები შენიო!“ ასეთი ვაჟკაცობით განცვიფრებულმა მითრიდატემ პომპონიუსს არა ავნო რა.

ლუკულუსი ყოყმანობდა. მტრის ცხენოსანი ჯარის სიმრავლე აშინებდა, ვაკეზე ჩასულიყო; ხოლო მთებში წასვლას ვერ ბედავდა ვინაიდან გზა მეტად გრძელი, ტყით დაბურული და თითქმის გაუვალი იყო. რაღაც ბედზე გამოქვაბულში თავშეფარებული ბერძნები დაიჭირეს. ამათ შორის უფროსი არტემიდორე ლუკულუსს დაჰპირდა, რომ წაიყვანდა და ბანაკისათვის ფრიად უშიშარ ადგილას დააყენებდა, სადაც ისეთი ციხესიმაგრე იყო, კაბეირას ზედ თავზე დაჰყურებდა.

ლუკულუსი არტემიდორეს ერწმუნა. დაღამდა თუ არა, ჩირაღდნები აანთებინა და იმ ადგილისაკენ დაიძრა.

ლუკულუსმა მშვიდობიანად გაიარა ვიწროები და ციხესიმაგრე დაიკავა. გარიჟრაჟზე მტრის განლაგების ზემოთ აღმოჩნდა და ჯარი ისეთ ადგილას დააბანაკა, რომელიც საშუალებას იძლეოდა, თუ უნდოდა, ადვილად წაეყვანა მხედრობა მტერზე, ხოლო თუ სიმშვიდის დაცვა სურდა, სრულიად გულარხეინად ყოფილიყო.

ბრძოლის დაწყების განზრახვა და განსაცდელში თავის ჩაგდების სურვილი ამ დროს არც ერთ მხარეს არ ჰქონდა, მაგრამ მოხდა ასეთი ამბავი. მეფის ჯარისკაცები, როგორც ამბობენ, ირემს დაედევნენ თურმე. რომაელებმა ეს რომ დაინახეს, მყისვე დაუხვდნენ წინ და გზა გადაუჭრეს. მითრიდატეს ჯარისკაცები და დამხვდური რომაელები ერთმანეთს ეკვეთნენ და ბრძოლა გაჩაღდა. თანდათანობით ორივე

მებრძოლ მხარეს მაშველი ძალები ემატებოდა, ბოლოს და ბოლოს, მეფის მეომრებმა გაიმარჯვეს. ზევით მყოფმა რომაელებმა ბანაკიდან რა დაინახეს, ჩვენები გარბიანო, ფრიად შეწუხდნენ, ლუკულუსთან გაიქცნენ და სთხოვეს, ბრძოლის დაწყების ნიშანი მიეცა და ისინი მტერზე თავდასასხმელად წაეყვანა.

ლუკულუსს სურდა მათთვის ეჩვენებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომის ქარცეცხლისა და განსაცდელის ჟამს გვერდით გონიერი წინამძღოლის ყოლას. მან აღელვებულ ჯარისკაცებს უბრძანა, სიმშვიდე დაეცვათ; თვითონ კი ვაკეზე ჩავიდა და პირველ შემხვდურ უკუქცეულთ ბრძანება მისცა, შეჩერებულიყვნენ და მას გაჰყოლოდნენ მტრისკენ. ესენი მაშინვე დაემორჩილნენ. მალე დანარჩენებიც შემობრუნდნენ და მტრის წინააღმდეგ დაირაზმნენ. მათ სულ ადვილად დაძლიეს მოწინააღმდეგე და მეფის ბანაკამდე მირეკეს.

დაბრუნდა თუ არა უკან, ლუკულუსმა იმ რომაელებს, რომლებიც ბრძოლას გაექცნენ, დაწესებული სასჯელის ძალით პატივი აჰყარა. უბრძანა, საგანგებოდ ჩამწკრივებული მხედრობის წინ უსარტყელო ტუნიკების[45] ამარა თორმეტი ფუტის სიმაღლე თხრილი ამოეთხარათ.

16. მითრიდატეს ბანაკში დანდარიების[46] ერთი მთავარი იყო, სახელად ოლთაკე. დანდარიები ერთ-ერთი ტომია იმ ბარბაროსთა, რომლებიც მეოტისის ტბის[47] სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ეს ოლთაკე ყოველგვარ საომარ საქმეში გამოირჩეოდა ღონითა და მამაცობით; მნიშვნელოვან ამბავთა განსჯის დროს მახვილ გონებას ამჟღავნებდა, სხვებთან ურთიერთობაში კი ფრიად ალერსიანი და თავაზიანი კაცი იყო: ოღონდ მუდამ უთანხმოება და მეტოქეობა ჰქონდა პირველობის გულისთვის ერთ-ერთ თანამემამულე მთავართან. აი, ამის გამო ოლთაკემ მითრიდატეს დიდი საქმის შესრულება აღუთქვა: ლუკულუსის მოკვლას დაჰპირდა. მეფემ ეს მოიწონა და ოლთაკეს განგებ შეურაცხყოფა მიაყენა, რათა მისი მოჩვენებითი რისხვა გამოეწვია. ვითომ ნაწყენი ოლთაკე ცხენზე შეჯდა და ლუკულუსთან გაიქცა.

ლუკულუსმა იგი გულთბილად მიიღო, ვინაიდან რომაელთა ბანაკში დიდად ჰქონდა სახელი განთქმული. ცოტა ხნის გამოცდის შემდეგ ლუკულუსი ისე მოიხიბლა ოლთაკეს საზრიანობით და გულისხმიერებით, რომ ხანდახან მასთან ერთად სადილობდა და ბჭობდა კიდევაც.

ბოლოს, როცა დანდარიელმა იფიქრა, განზრახულის სისრულეში მოყვანის დრო დადგაო, მსახურ ბიჭებს უბრძანა, მისი ცხენი ბანაკის გარეთ გაეყვანათ, თვითონ კი, შუადღეზე, როცა ჯარისკაცები წამოწოლილი იყვნენ და ისვენებდნენ, მთავარსარდლის კარვისკენ გაემართა, იმედი ჰქონდა, ლუკულუსის კარავში შესვლას, როგორც შინაურ კაცს, არავინ დაუშლიდა, მით უმეტეს, თუ იტყოდა, რომ მთავარსარდლისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავი ჰქონდა მოსახსენებელი. იგი მართლაც სულ ადვილად შევიდოდა კარავში, რომ ძილს, რომელსაც საკმაოდ მრავალი სარდალი დაუღუპავს, არ ეხსნა ლუკულუსი.

ლუკულუსს ეძინა. ერთ ერთმა პირისფარეშმა მენედემემ, რომელიც კარვის კარის წინ იდგა, ოლთაკეს უთხრა:

– უდროო დროს მოხვედი; დიდიხნის უძილობითა და მრავალი საქმით დაქანცულმა ლუკულუსმა სულ ახლახან ჩაიძინა.

მენედემეს სიტყვებს ოლთაკემ ყური არ ათხოვა და უკან არ დაიხია.

– მართალია, – უთხრა პირისფარეშს, – არ მიშვებ კარავში, მაგრამ მაინც შევალ, რაკიღა მსურს მთავარსარდალს აუცილებელი და დიდი საქმის გარშემო მოველაპარაკო!

მენედემეს გული მოუვიდა:

– მთავარია, ლუკულუსი იყოს კარგად, სხვა არაფერი, – მიუგო ოლთაკეს, ჰკრა ორივე ხელი და კარვიდან გაადგო.

დამფრთხალი ოლთაკე რომაელთა ბანაკიდან ჩუმად გამოვიდა, მოახტა ცხენს და გაწბილებული მითრიდატეს ბანაკში დაბრუნდა.

აი, ამგვარად, გარემოება ადამიანთა მოქმედებას, სამკურნალო წამლის დარად, ხან მხსნელ ძალად ევლინება და ხან კი მომაკვდინებლად.

17. ცოტა ხნის შემდეგ ლუკულუსმა სურსათის გადმოსაზიდად გაგზავნა სორნაციუსი და თან ათი კოჰორტი გააყოლა. მას მაშინვე დაედევნა მითრიდატეს ერთ ერთი სარდალი, მენანდრე. სორნაციუსი შეჩერდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება, მტერი საშინლად დააზარალა და განდევნა.

იმ მიზნით, რომ ჯარისკაცებს პური უხვად ჰქონოდათ, ლუკულუსმა ახლა ადრიანეც გაგზავნა მებრძოლებითურთ საალაფოდ. მითრიდატემ ეს ამბავი უყურადღებოდ არ დატოვა, ადრიანეს წინააღმდეგ მენემაქესა და მირონის წინამძღოლობით მრავალი ცხენოსანი და ქვეითი მეომარი დაძრა. როგორც ამბობენ, ეს მეომრები

სულ ერთიანად აკუწეს რომაელებმა, ორად ორი კაცი გადაურჩა სიკვდილს თურმე.

მითრიდატე ყოველნაირად ცდილობდა, ეს უბედური შემთხვევა როგორმე მიეჩქმალა, თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყო, და ამ ვითომ მცირე მარცხს სარდალთა გამოუცდელობას აბრალებდა, მაგრამ ადრიანემ დიდი ზარ ზეიმით ჩაუარა მის ბანაკს; მას თან პურითა და მტრისთვის წართმეული ნადავლით დატვირთული მრავალი ურემი მიჰყავდა. ამან მითრიდატეს სასო წარუკვეთა, ხოლო მისი ჯარისკაცები შეაშფოთა და შიშში ჩააგდო. ამის გამო გადაწყვიტეს, აქ მეტხანს აღარ დარჩენილიყვნენ.

მეფის კარისკაცებმა მშვიდად დაიწყეს ბანაკიდან პირადი ქონების გატანა, მაგრამ სხვებს ამის ნებას არ აძლევდნენ. ამის გამო ბანაკის გასასვლელთან ძალდატანებით მირეკილი მეომრები მეტისმეტად განრისხდნენ და წინამძღოლთა ქონების დატაცებასა და მათი პატრონების ხოცვას შეუდგნენ. სარდალი დორილაე მოკლეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ტანთ ძოწის კაბა ემოსა. ქურუმი ჰერმაპეოსი ბანაკის კარიბჭესთან გასრისეს. თვითონ მითრიდატე კი, რომელსაც გვერდით არც ერთი მხლებელი და მეჯინიბე არ ახლდა, ჯარისკაცთა ბრბოს შეერია და გამოვარდა ბანაკიდან. მან სამეფო საჯინიბოდან ვერც ერთი ცხენი ვერ გამოიყვანა. კარგა ხნის შემდეგ ლტოლვილთა ნაკადში ჩათრეული მითრიდატე საჭურისმა სტოლემეოსმა დაინახა. იგი მაშინვე ჩამოხდა ცხენიდან და პირუტყვი მეფეს მიჰგვარა.

რომაელები მითრიდატეს კვალდაკვალ დაედევნენ. იგი უკვე თითქმის მათ ხელში იყო, ისინი ისე ახლოს მიადგნენ მეფეს, თითქოს კიდეც უნდა შეეპყროთ, მაგრამ ჯარისკაცთა ანგარებამ და საშინელმა სიხარბემ რომაელებს ხელიდან გამოაცალა ის ნადავლი, რომელსაც ისინი მრავალი ბრძოლისა და განსაცდელის ფასად უკვე დიდი ხანია ხელში ჩასაგდებად დასდევდნენ, ხოლო გამარჯვებულ ლუკულუსს დიდი ჯილდო დააკარგვინა.

მდევრები თითქმის დაეწივნენ იმ ცხენს, მითრიდატეს რომ მიაქროლებდა, მაგრამ ანაზდეულად მეფესა და მის მდევარ რომაელთა შორის ერთი ოქროთი დატვირთული ჯორი ჩადგა. შეიძლება ეს ჯორი თავისთავად შემოიჭრა შუაში, ანდა შესაძლებელია მეფემ განგებ მიუგდო იგი მდევრებს. ასე იყო თუ ისე, რომაელებმა ჯორის გაძარცვა, ოქროს მობოჭვა და ერთმანეთთან ჩხუბი დაიწყეს და დრო დაკარგეს[48].

ჯარისკაცთა სიხარბემ მარტოოდენ ეს ერთი ზარალი როდი მოუტანა ლუკულუსს; მან ბრძანა, მასთან მიეყვანათ მეფის საიდუმლოების მცოდნე ერთ ერთი ტყვე, მდივანი კალისტრატე. ჯარისკაცებმა, რომელთაც ტყვე მიჰყავდათ, დაინახეს, რომ მას სარტყელში ხუთასი ოქრო ჰქონდა. ოქროზე გაგიჟებულმა ჯარისკაცებმა კალისტრატე მყისვე გამოასალმეს სიცოცხლეს.

მიუხედავად ასეთი საქციელისა, ლუკულუსმა მითრიდატეს ბანაკი თავის ჯარისკაცებს გასაძარცვავად დაუთმო.

18. კაბეირასა და სხვა ციხესიმაგრეების აღების შემდეგ ლუკულუსმა აურაცხელი განძეულობა იპოვა. აქ იგი წააწყდა უამრავ საპყრობილესაც, რომლებშიც ბევრი ბერძენი და მეფის ნათესავი იყო ჩამწყვდეული. ეს ხალხი უკვე დიდი ხანია თავს დაღუპულად თვლიდა და ლუკულუსის წყალობამ მათ არა მარტო თავისუფლება, მკვდრეთით აღდგენა და ხელახალი სიცოცხლე მიანიჭა.

რომაელებმა აქ ტყვედ ჩაიგდეს მითრიდატეს და ნისა. მისთვის ტყვეობა პირდაპირ სიკვდილისაგან ხსნას უდრიდა. მეფის დანარჩენი დები და ცოლები, რომელთაც ეგონათ, ფარნაკიის[49] მიდამოებში ყოველგვარი განსაცდელისაგან მოშორებით მშვიდად იმყოფებოდნენ, საცოდავად დაიხოცნენ. საქმე ის იყო, რომ მითრიდატემ გაქცევის ჟამს მათ დასახოცად ფარნაკიაში გაგზავნა საჭურისი ბაკქიდე.

სხვა თავშეფარებულთა შორის იქ, ფარნაკიაში, მეფის ორი გაუთხოვარი და, ასე ორმოც ორმოცი წლის როქსანე და სტატირა იმყოფებოდა. აქვე იყო მისი ორი ცოლი, წარმოშობით ორივე იონიელი, ქიოსელი ბერენიკე და მილეტელი მონიმე.

მონიმეს ბერძნებში დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მითრიდატემ თურმე მისი დამორჩილება სცადა და ძღვნად თხუთმეტი ათასი ოქრო გაუგზავნა, მაგრამ მონიმე მანამდე არ დაჰყვა მეფის ნებას, სანამ ამან ცოლად შერთვა არ აღუთქვა, დიადემა არ გაუგზავნა და დედოფლად არ აღიარა[50]. მიუხედავად ამისა, ეს ქალი მთელ დროს მწუხარებაში ატარებდა და თავის საბედისწერო სილამაზეს დასტიროდა; ამ სილამაზემ ქმრის ნაცვლად მრისხანე ბატონი გაუჩინა, ხოლო საქორწინო სარეცლისა და სასახლის მაგიერ წილად არგუნა საპყრობილე, რომელსაც ბარბაროსები დარაჯობდნენ. ელადას მოშორებული და ჭეშმარიტ ბედნიერებას აღკვეთილი მონიმე მხოლოდ და მხოლოდ სიზმრად ხედავდა იმ ბედნიერებას, რომელზედაც ოცნებობდა.

და აი, როცა ფარნაკიაში ბაკქიდე მოვიდა და ქალებს გამოუცხადა, უნდა დაიხოცოთ, ოღონდაც თითოეულ თქვენგანს შეუძლია ის სიკვდილი აირჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო ადვილი და ყველაზე უფრო უმტკივნეულო ჰგონიაო, მონიმემ ჩამოიგლიჯა თავიდან დიადემა, შემოიხვია ყელზე და ჩამოეკიდა. დიადემა მაშინვე გაწყდა. „ოჰ, წყეულო ძონძო, – შეჰყვირა ქალმა, – შენ ამ საქმეშიც უსარგებლო ყოფილხარ ჩემთვის!“ გაგლეჯილი დიადემა მონიმემ ძირს დააგდო, დააფურთხა მას და ბაკქიდეს ყელი მიუშვირა: მომკალი ჩქარაო.

მითრიდატეს მეორე ცოლმა ბერენიკემ საწამლავით სავსე კათხა აიღო და დალევას აპირებდა. დედამისმა, რომელიც იქვე იყო, სთხოვა: ნაწილი მე დამითმეო. დედა შვილმა ერთი კათხიდან შესვეს შხამი; მაგრამ მისი ძალა მარტოოდენ მისუსტებული დედის მოსაკვდინებლად აღმოჩნდა საკმარისი, ბერენიკეს კი უცბად როდი მოუსწრაფა სიცოცხლე. ქალი საშინელი ტანჯვით ებრძოდა სიკვდილს. მაშინ ბაკქიდე წაეშველა სულთმობრძავს და დაახრჩო იგი.

მეფის გაუთხოვარ დებში ერთმა, როგორც ამბობენ, მითრიდატეს წყევლა-კრულვასა და შეჩვენებაში შესვა საწამლავი, ხოლო მეორეს, სტატირას, ერთი საყვედური და შეუფერებელი სიტყვა არ აღმოხდომია. პირიქით, სტატირამ ქება დიდება დაუწყო ძმას იმისათვის, რომ მან საკუთარი განსაცდელის ჟამს არ დაივიწყა ისინი და ყველაფერი მოიმოქმედა, რათა მისი ახლობელნი თავისუფალნი და ნამუსაუხდელნი გამოსალმებოდნენ სიცოცხლეს.

ამ ამბავმა ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კეთილსა და კაცთმოყვარე ლუკულუსზე.

19. ამის შემდეგ ლუკულუსი სწრაფად მიადგა ტალავრას[51]; მაგრამ რა გაიგო, მითრიდატეს გაესწრო და უკვე ოთხი დღით ადრე ტიგრანთან გაქცეულიყო, უკანვე გამობრუნდა. დაიმორჩილა ქალდეველები და ტიბარენები, აიღო მცირე სომხეთი, დაიკავა იქაური ციხესიმაგრეები და ქალაქები და მერმე ტიგრანთან აპიუსი[2] გაგზავნა წინადადებით, მითრიდატე გადმომეციო; თვითონ კი მიადგა ამისეს, რომელიც ჯერ კიდევ ალყაში იყო.

ამისეს ხანგრძლივი ალყისა და მისი აუღებლობის მიზეზი გახლდათ ქალაქის სტრატეგოსი კალიმაქე. იგი თავისი გამოცდილებით ნაირ-ნაირ მანქანებს იგონებდა და ქალაქის დასაცავად, რამდენადაც ეს საალყო პირობებში იყო შესაძლებელი, მეტისმეტად მარჯვე ფანდებს მიმართავდა. ამით რომაელებს მრავალ ვნებას აყენებდა, რის გამოც შემდგომ სასტიკი პასუხი აგო.

ამჯერად ლუკულუსმა აჯობა მას სამხედრო ხერხში და ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ იმ დროს, როდესაც მეომრები, ჩვეულებისამებრ, დასასვენებლად გაჰყავდა ხოლმე, მოულოდნელად იერიშზე გადავიდა და ქალაქის კედლის მცირე ნაწილი დაიკავა. კალიმაქე გაიქცა, ოღონდ ქალაქს წინასწარ ცეცხლი წაუკიდა. ეს ან ჯიბრით ჩაიდინა, რომ რომაელებს აქ სარგებელი ვეღარ ენახათ, ანდა იმიტომ, რომ თავისი გაქცევა გაეადვილებინა.

ასე იყო თუ ისე, გაქცეულ მტერს, რომელმაც ხომალდს მიაშურა ზღვაში გასასვლელად, ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც კი მოედო ხანძარი და ქალაქის კედლის უმეტესი ნაწილი ცეცხლის ალში გაეხვია, რომაელი ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯას შეუდგნენ. დასაღუპავად განწირული ქალაქის სიბრალულით ლუკულუსმა გარედან დახმარების გაწევა სცადა და ბრძანება გასცა, ცეცხლი ჩაექროთ, მაგრამ ამაოდ; მას აღარავინ ემორჩილებოდა. გააფთრებული ჯარისკაცები საშინელი კიჟინითა და იარაღის ჟღარუნით ქალაქის ქონებას მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს, ლუკულუსი იძულებული გახდა, დაეთმო იმ იმედით, რომ ცეცხლისაგან მაინც გადაარჩენდა ქალაქს. მაგრამ ჯარისკაცებმა ეს იმედიც გაუცრუეს. ისინი აბრიალებული ჩირაღდნებით დარბოდნენ და დაეძებდნენ ნადავლს; მათ ყველგან შეჰქონდათ ცეცხლი და მრავალი შენობა გადაწვეს.

გარიჟრაჟზე, შევიდა თუ არა ქალაქში, თვალცრემლიანმა ლუკულუსმა მეგობრებს უთხრა: „ყოველთვის ბედნიერ კაცად ვთვლიდი სულას, მაგრამ დღევანდელ დღეს ყველაზე უფრო მეტად მაოცებს მისი ბედნიერება. მას უნდოდა გადაერჩინა ათენი და შეძლო კიდევაც ეს. მე მსურდა მიმებაძა მისთვის, მაგრამ რომელიღაც ბოროტმა სულმა მუმიუსის სახელი მარგუნა წილად“[53].

მიუხედავად ამისა, ლუკულუსი შეეცადა შეძლებისდაგვარად აეღორძინებინა ქალაქი. მისი აღების დროს ღვთის წყალობით ბედზე წამოსულმა წვიმამ ხანძარი ჩააქრო.

ამისეში ყოფნის დროს ლუკულუსმა მრავალი დანგრეული შენობა აღადგინა, ლტოლვილი ამისელები ალერსიანად მიიღო და დანარჩენ ბერძნებსაც, რომელთაც კი სურდათ, ქალაქში დასახლების უფლება მისცა და ოცდაოთხი სტადიონი მიწა მიუზომა.

ქალაქი ამისე ათენელთა ახალშენი იყო. იგი დაარსდა იმ ხანებში, როდესაც ათენელების ძლიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და როცა ისინი ზღვაზე მბრძანებლობდნენ. აი ეს იყო იმის მიზეზი,

რომ ის ათენელები, რომელთაც სურდათ არისტონის ტირანიას გაქცეოდნენ, აქ მოვიდნენ, დასახლდნენ და აქაური მოქალაქეობის უფლება მიიღეს. მაგრამ მას, ვინც შინაურ უბედურებას თავი დააღწია, ახლა უცხოეთში უნდა ეგემა ტანჯვა.

გადარჩენილი ათენელები ლუკულუსმა შესაფერისი ტანსაცმლით შემოსა, თითოეულ მათგანს ორას-ორასი დრაქმა მისცა და უკან, სამშობლოში, გაისტუმრა.

ამისეს აღების ჟამს რომაელებმა ტყვედ ჩაიგდეს გრამატიკოსი ტირანიონი.[54] მურენამ[55] იგი თავისთვის გამოითხოვა და, როდესაც ტყვე საკუთარ გამგებლობაში მიიღო, თავისუფლება მიანიჭა. კაცმა რომ თქვას, მურენა ასეთ ბრწყინვალე საჩუქარს კეთილშობილურად როდი მოექცა. ლუკულუსი მეტად უღირს საქციელად მიიჩნევდა, ისეთი სახელგანთქმული სწავლული, როგორც ტირანიონი იყო, ჯერ მონად გაეხადათ და მერმე გაეაზატებინათ. მართლაც, მოჩვენებითი განტევება ტირანიონისათვის ჭეშმარიტი თავისუფლების აღკვეთას ნიშნავდა.

სხვათა შორის, მარტოოდენ ამ შემთხვევით როდი გამოამჟღავნა მურენამ, რომ თავის უფროსს ბევრად ჩამორჩებოდა კეთილშობილებაში.

20. ახლა ლუკულუსი აზიის სხვა ქალაქებისაკენ გაემართა იმ განზრახვით, რომ საომარ საქმეთაგან მოცლილობის ჟამს ის სამართალი და კანონები დაეწესებინა, რომლებიც ენით გამოუთქმელსა და წარმოუდგენელ უბედურებაში მომწყვდეულ აზიის საგამგებლოს უკვე დიდი ხანია ესაჭიროებოდა.

მოიჯარენი და მევახშენი ძარცვავდნენ ამ მხარეს და მის მოსახლეობას მონებად ხდიდნენ. ცალკეული პირები იძულებული იყვნენ, საკუთარი ლამაზი ქალ-ვაჟები გაეყიდათ, ხოლო ქალაქები ტაძრის ქონებას, სურათებსა და წმინდა ქანდაკებებს ჰყიდდნენ, მაგრამ საბოლოოდ თვითონაც განწირულნი იყვნენ და მონობა არ ასცდებოდათ. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი მაინც ის წამება იყო, რასაც იქაურები მონად გახდომამდე განიცდიდნენ. მათ თოკებით სცემდნენ, საპყრობილეებში ჰყრიდნენ, ცხენებით ათრევდნენ, პაპანაქება სიცხეში ღია ცის ქვეშ მზეზე აყენებდნენ, ხოლო სიცივეში ტალახში ან ყინულზე ყრიდნენ. ასე რომ, ამ წამებასთან შედარებით ხალხს მონობა მოსვენებად ეჩვენებოდა.

აი ასეთი საშინელება იხილა ლუკულუსმა აზიის ქალაქებში და უსამართლოდ დაჩაგრულები მყისვე დაიხსნა მარწუხებისაგან.

უწინარეს ყოვლისა, ბრძანება გასცა, თავნის მეასედ ნაწილზე მეტი სარგებელი არ მიერიცხათ; მერმე გააუქმა ყოველი სარგებელი, რომელიც თავნს აღემატებოდა. მესამე ღონისძიება, რაც გაატარა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ის გახლდათ, რომ მევალეს მოვალის შემოსავლიდან მხოლოდ მეოთხედი წილით უნდა ესარგებლა; ის პირი, ვინც თავნს სარგებელსაც მიათვლიდა, ერთსაც და მეორესაც დაკარგავდა.

ამ ღონისძიებათა წყალობით სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე ხალხმა მთელი ვალები დაფარა; ყადაღიდან დახსნილი ქონება კი პატრონებს დაუბრუნდა.

ვალებში ასეთი საყოველთაო ჩავარდნა იმ ოცი ათასი ტალანტის ბრალი იყო, რომელიც ხარკის სახით სულამ აზიას დააადო. მევალეები გასესხებულს ორმაგად ღებულობდნენ და მათი წყალობით ვალმა სარგებლითურთ ას ოც ათას ტალანტს მიაღწია.

მევახშეებმა, თითქოს საშინლად დაზარალებულებმა, რომში ყვირილი ატეხეს ლუკულუსის წინააღმდეგ: უსამართლოდ მოგვექცაო. მათ ფულით მოისყიდეს ზოგიერთი სახალხო ტრიბუნი და ლუკულუსზე აამხედრეს. ამ მევახშეებს ფრიად დიდი ძალა ჰქონდათ ქალაქში იმის წყალობით, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის საკმაოდ მრავალი მოვალე ჰყავდათ[56].

რაც შეეხება ლუკულუსს, მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ არა მარტო ის ხალხები, რომელთაც კეთილი საქმე უყო, არამედ სხვა საგამგებლო პროვინციებიც. ამ პროვინციების მოსახლეობა ბედნიერად თვლიდა იმათ, რომელთაც ასეთი წინამძღოლის ყოლა ერგოთ წილად.

21. ტიგრანთან გაგზავნილი აპიუს კლოდიუსი (იგი, სხვათა შორის, ლუკულუსის ცოლისძმა გახლდათ) მეფის ეტიკებმა პირველად ჩრდილოეთისაკენ წაიყვანეს შემოვლითი გზით და ტყუილუბრალოდ ბევრი დრო დააკარგვინეს. მაგრამ როცა ერთმა სირიელმა აზატმა სწორი გზა უჩვენა, სოფიზმივით გრძელსა და დახლართულ გზას თავი მიანება და ბარბაროს ეტიკებს გამოეთხოვა. რამდენიმე დღის შემდეგ ევფრატზე გადავიდა და ეგრეთ წოდებულ „დაფნესთან მდებარე“ ანტიოქიას მიადგა[57].

აქ ბრძანება მიიღო, ტიგრანისათვის დაეცადა, რომელიც მაშინ ფინიკიაში იმყოფებოდა და იქ ზოგიერთ, ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ ქალაქებს იპყრობდა. ტიგრანის მოლოდინში აპიუსმა თავის მხარეზე გადაიბირა მრავალი მთავარი, რომლებიც სომხეთის მეფის მბრძანებლობის ქვეშ იტანჯებოდნენ. მათ შორის იყო გორდიენეს[58]

მეფე ზარბიენოსიც. გარდა ამისა, ტიგრანის მიერ დამონებულმა ბევრმა ქალაქმა აპიუსთან ფარულად გამოგზავნა ელჩები. აპიუსმა მათ ლუკულუსის სახელით შემწეობა აღუთქვა და სთხოვა, ჯერჯერობით სიმშვიდე დაეცვათ.

სომხეთის მბრძანებლობა ბერძნებისათვის აუტანლად მძიმე იყო. საოცარი წარმატებებით ფრთაშესხმული მეფე ტიგრანი ნამეტნავად ზვიადი გახდა. მას ეგონა, ყველაფერი ის, რაც ხალხის მისწრაფებისა და გაოცების საგანს წარმოადგენდა, არათუ მას ეკუთვნოდა, არამედ მარტოოდენ მისთვის იყო შექმნილი.

დასაწყისში ტიგრანის ზრახვანი და შესაძლებლობანი უმნიშვნელო იყო. მაგრამ მერმე მრავალი ხალხი დაიმორჩილა და პართების ძლიერება ისე დააკნინა, რაც მანამდე ვერავინ შეძლო. მესოპოტამია ტიგრანმა ბერძნებით აავსო. ისინი იძულებით გადმოასახლა აქ კილიკიიდან და კაპადოკიიდან. ასევე წამოიყვანა სამშობლოდან მომთაბარე არაბები[59] და თავისი დედაქალაქის მახლობლად დაასახლა. უნდოდა, ეს ხალხი სავაჭრო საქმეებში გამოეყენებინა.

ტიგრანის გარშემო თავმოყრილი იყო მრავალი მეფე, რომლებიც ემსახურებოდნენ. ოთხი მეფე მაინც, პირისფარეშთა და პირად მცველთა მსგავსად, მუდამ თან ახლდა. თუ ტიგრანი სადმე ცხენით მიდიოდა, ეს მეფეები მოკლე კაბებით ქვეითად მისდევდნენ უკან, ხოლო როცა იჯდა და ვინმესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, გულხელდაკრეფილნი გაუნძრევლად ედგნენ გვერდით. ეს მათ აშკარა მონობას გამოხატავდა. ისინი, ასე ვთქვათ, ხელს იღებდნენ თავისუფლებაზე და საკუთარ თავს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მბრძანებელს უმორჩილებდნენ.

ამ სანახაობამ ვერც შეაშინა და ვერც გააკვირვა აპიუსი. მან ტიგრანს შეხვედრისთანავე პირდაპირ აუწყა თავისი მოსვლის მიზანი: მითრიდატე უნდა წავიყვანო, ვინაიდან იგი ლუკულუსის ტრიუმფის დროს უნდა გაატარონ, როგორც ტყვე; წინააღმდეგ შემთხვევაში, დავალებული მაქვს ომი გამოგიცხადოო.

ტიგრანი თუმცა ცდილობდა მხიარული და მომღიმარი სახე მიეღო და ისე მოესმინა აპიუსის სიტყვები, ყველამ შეამჩნია მის სახეზე აღბეჭდილი აღშფოთება, რაც ახალგაზრდა კაცის პირდაპირმა ლაპარაკმა გამოიწვია: ასეთი თამამი სიტყვები მან თითქმის პირველად მოისმინა თავისი მეფობის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ძალადობის ოცდახუთი წლის მანძილზე.

ტიგრანმა აპიუსს უპასუხა: მითრიდატეს არ გავცემ, მაგრამ თუ რომაელები ომს დამიწყებენ, თავს დავიცავო.

ლუკულუსზე გამწყრალმა ტიგრანმა, ვინაიდან თავის წერილში უბრალოდ „მეფე“ უწოდა მას და არა „მეფეთა მეფე“, საპასუხო ბარათში იგი იმპერატორად არ მოიხსენია.

აპიუსს ტიგრანმა საუცხოო საჩუქრები მიართვა. აპიუსმა არ მიიღო. მაშინ სომეხთა მეფემ ამ საჩუქრებს კიდევ მიუმატა სხვა რამეებიც და ისე გაუგზავნა. აპიუსს როდი უნდოდა ეფიქრათ, რომ იგი ტიგრანის მტრობის გამო ამბობდა უარს ნაბოძვარზე, ამიტომ ერთი ფიალა აიღო, დანარჩენი საჩუქრები კი ისევ უკან დაუბრუნა ტიგრანს და სასწრაფოდ თავისი სარდლისკენ გაემართა.

22. აქამდე ტიგრანი არც ნახვისა და არც მასთან საუბრის ღირსად არ თვლიდა მითრიდატეს, თუმცაღა მისი ახლობელი კაცი იყო და თანაც ესოდენ დიდი სამეფო ჰქონდა დაკარგული. ტიგრანი მას ფრიად უპატივცემულოდ და ამპარტავნულად მოექცა და, თითქოს ტყვე ყოფილიყო, მოშორებით ერთი ჭაობიანი, მავნე ადგილი მიუჩინა სამყოფად. მაგრამ ახლა, აპიუსის ელჩობის შემდეგ, დიდი პატივითა და მოწიწებით მიიწვია სასახლის კარზე.

სასახლეში გამართულ საიდუმლო თათბირზე, ახლობელ პირთა საუბედუროდ, ტიგრანმა და მითრიდატემ ურთიერთ შორის არსებულ ეჭვსა და უნდობლობას ბოლო მოუღეს და ყველაფერი ახლობლებს გადააბრალეს.

ამ ბრალდებულთა რიცხვში იყო ნიჭიერი ორატორი და დიდი სწავლული მეტროდორე სკეფსისელი, რომელსაც ისეთი მეგობრობა ჰქონდა მითრიდატესთან, რომ მეტსახელად „მეფის მამას“ ეძახდნენ. ერთხელ თურმე მითრიდატემ რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად იგი ტიგრანთან გაგზავნა. ტიგრანმა, როგორც ამბობენ, მეტროდორეს ჰკითხა: „შენ თვითონ რას მირჩევ ამ შემთხვევაშიო?“ მეტროდორემ, ან ტიგრანის სასარგებლოდ, ანდა, შეიძლება იმიტომ, რომ მითრიდატეს გადარჩენა არ უნდოდა, სომეხთა მეფეს ასე უპასუხა: „ვითარცა ელჩი, გთხოვ დაეხმარო მითრიდატეს, ხოლო ვითარცა მრჩეველი, გირჩევ უარი შეუთვალოო“.

ეს ამბავი ტიგრანმა მითრიდატეს გადასცა და თან დაუმატა: იმედი მაქვს, ამისათვის ცუდს არაფერს შეამთხვევ მეტროდორესო. მიუხედავად ამისა, მეტროდორე მითრიდატეს ბრძანებით მყისვე მოკლეს. ტიგრანმა ბევრი ინანა; მაგრამ ამ კაცის უბედურების მიზეზი მთლად იგი არ ყოფილა. მან, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ბიძგი მისცა მეტროდორეს მოძულე მითრიდატე მეფის უკეთურ ზრახვებს.

მითრიდატე უკვე კარგა ხანია ფარულად მტრობდა მას. ეს ამბავი

გამომჟღავნდა მითრიდატეს საიდუმლო ბარათებით, რომლებიც რომაელებმა ჩაიგდეს ხელთ. ამ ბარათებში იპოვეს ბრძანება მეტროდორეს სიკვდილით დასჯაზე.

მეტროდორე დიდი პატივით დაკრძალა ტიგრანმა და იმ კაცის გვამის გასაპატიოსნებლად, რომელიც სიცოცხლეში ვერაგულად გასცა, არაფერი არ დაზოგა.

ტიგრანის კარზე გამოესალმა სიცოცხლეს რიტორი ამფიკრატეც. იგი ათენელი იყო და ღირსია მოვიხსენიოთ აქ. როგორც გადმოგვცემენ, ამფიკრატე სამშობლოდან ტიგროსთან მდებარე სელევკიაში გაიქცა[60]. როცა აქ სთხოვეს, ხალხისათვის მჭევრმეტყველება ესწავლებინა, მან ათვალწუნებითა და კვეხნით განაცხადა: „გეჯა დელფინს ვერ დაიტევსო"[61]. აქედან იგი მითრიდატეს ასულთან და ტიგრანის მეუღლე კლეოპატრასთან გაემართა. მაგრამ აქ მალე რაღაც ცილი დასწამეს და ბერძნებთან ურთიერთობა აუკრძალეს. ამის გამო შიმშილით მოიკლა თავი. კლეოპატრამ იგიც დიდი პატივით მიაბარა მიწას. მისი გვამი ეგრეთ წოდებულ დაბა საფას მახლობლად განისვენებს.

23. ლუკულუსმა, რომელმაც აზიაში სრული სამართლიანობა და მშვიდობა დაამყარა, არც სიამოვნება და გართობა დაივიწყა. ეფესოში ყოფნის ჟამს იგი საუცხოო ზეიმს, გამარჯვებისადმი მიძღვნილ დღესასწაულს, ათლეტთა და გლადიატორთა შეჯიბრებას აწყობდა. ამით მან მეტისმეტად მოხიბლა მოსახლეობა. აზიის მადლიერმა ქალაქებმა, თავის მხრივ, მის პატივსაცემად „ლუკულუსის დღეობა" დააწესეს და რომაელ სარდალს ჭეშმარიტი ერთგულება აღუთქვეს, რომელიც ყველა პატივისცემაზე ძვირფასი საჩუქარია.

დაბრუნდა თუ არა აპიუსი, ტიგრანთან ომის დაწყება გადაწყვიტეს. ლუკულუსი მხედრობით კვლავ პონტოს მიადგა და ალყა შემოარტყა სინოპს[62], ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მეფის მომხრე კილიკიელებს, რომელთაც ეს ქალაქი ეკავათ. კილიკიელებმა მრავალი სინოპელი გაჟლიტეს, ქალაქი ცეცხლს მისცეს და ღამით იქიდან გაიქცნენ.

როცა ლუკულუსმა ეს გაიგო, ქალაქში შეიჭრა, იქ დარჩენილი რვა ათასი კილიკიელი ააკუწინა და ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ქონება დაუბრუნა. გარდა ამისა, ქალაქზეც დაიწყო ზრუნვა. ამის მიზეზი სიზმარი გახლდათ. ლუკულუსს ეზმანა, თითქოს ვიღაც თავთან დაუდგა და უთხრა: „ცოტა წინ წამოიწიე, ლუკულუსო; აქ ავტოლიკე მოვიდა, შენთან საუბარი სურს".

ლუკულუსმა გაიღვიძა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, თუ რას ნიშნავდა სიზმარი. იმ დღეს მან ქალაქი აიღო და კილიკიელთა დევნის დროს, რომლებიც ხომალდებისაკენ გარბოდნენ, ზღვის ნაპირზე დაგდებული ერთი ქანდაკება დაინახა. იგი კილიკიელებს წამოეღოთ ქალაქიდან, მაგრამ ხომალდზე ატანა ვეღარ მოასწრეს. ეს ქანდაკება სთენისის[63] ერთ-ერთი ულამაზესი ნაწარმოები იყო. ლუკულუსს ვიღაცამ უთხრა, რომ ეს სინოპის დამფუძნებლის, ავტოლიკეს ქანდაკება არისო. გადმოცემის თანახმად, ავტოლიკე დეიმაქეს ძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებიც თესალიიდან წამოვიდნენ და ჰერაკლესთან ერთად ამაძონების წინააღმდეგ იბრძოდნენ. როცა ავტოლიკე ამ ლაშქრობიდან ზღვით სამშობლოში ბრუნდებოდა დემოლეონტისა და ფლოგიოსის თანხლებით, ხერონესოსის მახლობლად მდებარე ეგრეთ წოდებულ პედალიონთან ხომალდი დაეღუპა. თვითონ კი, თავისი იარაღებითა და მეგობრებით, გადარჩა და სინოპს მიადგა. მან ეს ქალაქი სირიელებს წაართვა. სინოპი მაშინ, როგორც ამბობენ, აპოლონის და ასოპოსის ასულ სინოპეს ძის, სიროსის ნაშიერ სარდლებს ეკავათ[64].

როცა ლუკულუსმა ეს გაიგო, მყისვე გაახსენდა სულას დარიგება. თავის „მოგონებებში“ სულა ამბობს, არაფერი არ უნდა ჩათვალოს კაცმა ისე სანდოდ და ისე ჭეშმარიტად, როგორც ის, რაც სიზმრად გამოგვეცხადება ხოლმეო.

როცა ლუკულუსმა შეიტყო, მითრიდატე და ტიგრანი მზად არიან აზიაში შესაჭრელად და ლიკაონიისა და კილიკიის მხარეებში მხედრობის გადასაყვანადო, მეტისმეტად გაუკვირდა. მას აოცებდა ის ამბავი, რომ სომეხთა მეფემ, რომელსაც რომაელებთან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული, არ გამოიყენა მითრიდატე მისი ძლევამოსილების ხანაში და მის დიდ ძალებს თავისი არ შეუერთა. ახლა კი, როცა მითრიდატეს ყველაფერი დააკარგვინა და განადგურებამდე მიიყვანა, ფრიად უმწეო იმედებით მოინდომა ომის დაწყება და თავს საფრთხეში იგდებდა იმათთან ერთად, რომელთაც ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლოთ[65].

24. მითრიდატეს შვილმა მახარემ[66], რომელსაც ბოსფორის სამეფო ეკავა, ლუკულუსს ათას ოქროდ ღირებული გვირგვინი გამოუგზავნა და სთხოვა, რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ მიეღო. ამის საფუძველზე ლუკულუსმა იფიქრა, პირველი ომი უკვე დამთავრდაო. პონტოს სანაპიროთა დასაცავად აქ ექვსთვიანი მხედრობით სორნაციუსი დატოვა, თვითონ კი თორმეტი ათასი ქვეითი

და, სულ ცოტა, სამი ათასი ცხენოსნით კვლავ საომრად დაიძრა. იგი, როგორც ჩანდა, რაღაც დიდი, უგუნური გამბედაობით წაქეზებული თამამად მიემართებოდა იმ მეომარ ტომთა წინააღმდეგ, რომელთაც მრავალი ათასი ცხენოსანი ჰყავდათ და ღრმა მდინარეებით დასერილი და მარადიული თოვლით დაფარული მთებით გარშემორტყმული უსაზღვრო მიწა-წყალი ეკავათ. ჯარისკაცები რომლებიც ისედაც არ იცავდნენ ხოლმე წესრიგს, ახლა ფრიად უხალისოდ მიჰყვებოდნენ ლუკულუსს და აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. დემაგოგებმა რომში ყვირილი ატეხეს. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსმა ერთ ომს მეორე მიაყოლა მაშინ, როცა სახელმწიფოს ეს სრულებით არ სჭირდებაო. იგი მხოლოდ იმიტომ იქცევა ასე, რომ მთავარსარდლის სახელი შეინარჩუნოს, იარაღს არ ყრის და ქვეყნის განსაცდელის ფასად პირად გამდიდრებაზე ზრუნავსო.

დემაგოგებმა ბოლოს და ბოლოს თავიანთ მიზანს მიაღწიეს; მაგრამ ეს შემდეგ მოხდა.

ლუკულუსი დიდი სისწრაფით მიიწევდა წინ და ევფრატს მიადგა. როცა ეს მდინარე იქაური ზამთრის წვიმების შედეგად ადიდებული და ამღვრეული დაინახა, შეწუხდა. ეგონა, აქ ნავების მოსაგროვებლად და ტივების შესაკვრელად დიდი შრომა და დრო დასჭირდებოდა. მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, საღამო ჟამს წყლის დონემ საგრძნობლად დაიწია, ღამით სულ შემცირდა, ხოლო გარიჟრაჟზე მდინარე თვალნათლივ მთლიანად ჩაჯდა კალაპოტში. როცა იქაურმა მკვიდრებმა მდინარეში, ფონის მთელ სიგრძეზე პატარ-პატარა, ახლად ამოზიდული კუნძულები დაინახეს, რომელთა ირგვლივ წყალი უმოძრაოდ იდგა, ლუკულუსის წინ პირქვე დაემხნენ. ასეთი რამ უწინ ფრიად იშვიათად ხდებოდა. იქაურებმა იფიქრეს, მდინარე ლუკულუსის მონა-მორჩილი ყოფილა, მას ემსახურება და ადვილი გადასვლის საშუალებას აძლევსო.

ისარგებლა რა ამ შემთხვევით, ლუკულუსმა ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. ამ დროს კარგის მომასწავებელი ნიშანი იხილა. იქ, მდინარის ნაპირებზე, ბალახობდნენ სპარსელ არტემიდესადმი შეწირული ძროხები. ევფრატის გაღმა ნაპირზე მცხოვრები ბარბაროსები ყველაზე უფრო დიდ თაყვანს ღმერთთაგან ამ ღმერთქალს სცემდნენ. იმ ძროხებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლშეწირვისათვის იყენებდნენ. ასე რომ, ეს ძროხები, რომელთაც დაღად ღმერთქალის ნიშანი - ჩირაღდანი ესვათ, თავისუფლად დანავარდობდნენ იმ

მხარეში. საჭიროების დროს ასეთი ძროხის დაჭერა ადვილი საქმე როდია.

და აი, როცა ლუკულუსის მხედრობა ევფრატზე გადავიდა, ერთ-ერთი ძროხა ნახირს გამოეყო, ღმერთქალისადმი შეწირულ ერთ წმინდა ლოდთან მივიდა, შედგა ზედ, ჩაქინდრა თავი, თითქოს თოკით ჩამოქაჩესო, და ლუკულუსს შესაწირველად დამორჩილდა.

გარდა ამისა, წყალზე მშვიდობით გადასვლის აღსანიშნავად, ლუკულუსმა ერთი ხარი მდინარე ევფრატსაც შესწირა.

იმ დღეს მან იქ დაისვენა, ხოლო მეორე დღეს და მომდევნო დღეებში სულ სოფენეზე[67] გავლით მიემართებოდა. მოსახლეობას, რომელიც ეგებებოდა და მის მხედრობას გულითადად ღებულობდა, ცუდი არაფერი შემთხვევია, ის კი არა, როცა ჯარისკაცებმა ერთი იქაური ციხესიმაგრის აღება მოისურვეს, სადაც მათი ფიქრით, დიდძალი ქონება უნდა ყოფილიყო, ლუკულუსმა ხელი საკმაოდ შორს მდებარე ტავროსის მთებისაკენ გაიშვირა და მეომრებს უთხრა: „ჯერ ის ციხესიმაგრე უნდა ავიღოთ; დანარჩენი ისედაც გამარჯვებულთა ხვედრიაო“.

ლუკულუსმა კვლავ სწრაფი ნაბიჯით გასწია წინ, გადალახა ტიგროსი და სომხეთში შეიჭრა.

25. პირველსავე მაცნეს, რომელმაც ტიგრანს ლუკულუსის მოახლოება აუწყა, ჯილდოს ნაცვლად თავი მოჰკვეთეს. ამის შემდეგ ლუკულუსის მოახლოებაზე სიტყვას ვერავინ სძრავდა. ტიგრანმა არც კი იცოდა, რომ უკვე გარს ომის ცეცხლი ჰქონდა შემონთებული, მშვიდად იჯდა და მლიქვნელთა ლაპარაკს უსმენდა. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსი მართლა დიდ სარდლად ჩაითვლება, თუკი ტიგრანს ეფესოში მოუცდის და მაშინვე არ გაიქცევა აზიიდან, როგორც კი სომხეთის უზარმაზარ მხედრობას დაინახავსო.

როგორც ყველა სხეულს არ შეუძლია ბევრი შუმი ღვინის ატანა, ისე ყველა ადამიანს არ შეუძლია ჭკუა-გონების შენარჩუნება დიდი ბედნიერების ჟამს.

ახლო მეგობართაგან მარტოოდენ მითრობარძანემ გაბედა პირველად, სიმართლე ეთქვა ტიგრანისათვის. ასეთი სითამამის სანაცვლოდ საკმაოდ ცუდი საჩუქარი მიიღო. იგი მყისვე გაგზავნეს ლუკულუსის წინააღმდეგ სამი ათასი ცხენოსნითა და დიდძალი ქვეითი ჯარისკაცით და უბრძანეს, ცოცხლად მოეყვანათ რომაელთა სარდალი, ხოლო ყველა დანარჩენი შეუბრალებლად გაეჟლიტათ.

ლუკულუსის მხედრობის ნაწილი ამ დროს უკვე ადგილზე იყო

დაბანაკებული, დანარჩენი კი ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა და თანდათან ახლოვდებოდა. როცა მზვერავებმა ლუკულუსს აუწყეს, ჩვენკენ ბარბაროსი მოდისო, შეშინდა. არ უნდოდა, მტერი მის შუაზე გაყოფილსა და ბრძოლისათვის დაუწყობელ მხედრობას დასხმოდა თავს და მის რიგებში ჩოჩქოლი შეეტანა.

ლუკულუსმა ჯარის დაბანაკება განაგრძო, ხოლო მტრის წინააღმდეგ ექვსი ათასი ცხენოსნითა და ოდნავ მცირერიცხოვანი მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებით ლეგატი სექსტილიუსი გაგზავნა: უბრძანა, ახლოს მისულიყო მტერთან და მანამ მოეცადა, ვინემ არ შეიტყობდა, რომაელთა ჯარი მთლიანად დაბანაკდაო.

სექსტილიუსი მზად იყო, მთავარსარდლის ბრძანება შეესრულებინა, მაგრამ მითრობარძანე მამაცურად ეკვეთა მას და ისიც იძულებული გახდა, ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ამ დროს მითრობარძანე დაეცა, მისი მეომრები უკუიქცნენ და მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რომაელებმა ყველა გაჟლიტეს.

მაშინ ტიგრანმა მიატოვა მის მიერ აგებული დიდი ქალაქი ტიგრანოკერტა[68], დაიხია ტავროსისაკენ და იქ მთელი თავისი ძალების თავმოყრა დაიწყო. ლუკულუსმა, რომელიც ტიგრანს მომზადებისათვის დროს არ აძლევდა, მურენა გაგზავნა დავალებით, მოსვენება არ მიეცა და გზა გადაეჭრა იმ ძალებისათვის, რომლებიც ტიგრანის გარშემო იკრიბებოდნენ, სექსტილიუსს კი უბრძანა, უკუეგდო მეფის დასახმარებლად მიმავალ არაბთა უშველებელი ურდო.

სექსტილიუსი ანაზდეულად დაესხა თავს არაბებს, რომლებიც, ის-ის იყო, ბანაკს სცემდნენ და მათი უმრავლესობა შემუსრა. მურენა კი ფეხდაფეხ მისდევდა ტიგრანს, რომელიც დიდი მხედრობისათვის ვიწრო და გაუვალი ხეობით მიემართებოდა. აქ მურენამ იხელთა მარჯვე დრო და სომხეთის მეფეზე იერიში მიიტანა.

ტიგრანმა მიატოვა მთელი თავისი აღალი და გაიქცა. ამ ბრძოლაში ბევრი სომეხი დაეცა, უფრო მეტი კი ტყვედ ჩავარდა.

26. ლუკულუსმა რომ თავისიანების წარმატება დაინახა, მხედრობა ტიგრანოკერტასკენ დაძრა, იქ დაბანაკდა და ქალაქს ალყა შემოარტყა.

ტიგრანოკერტაში კილიკიიდან გადმოსახლებული მრავალი ბერძენი ცხოვრობდა. აქვე იყვნენ, ბერძენთა მსგავსად, ძალით გადმოსახლებული ბარბაროსებიც: ადიაბენელები[69], ასირიელები, გორდიენელები და კაპადოკიელები. ტიგრანმა მათი სამშობლო ადგილები მიწასთან გაასწორა, ხოლო ისინი აიძულა აქ, ტიგრანოკერტაში დასახლებულიყვნენ.

ქალაქი ტიგრანოკერტა სავსე იყო დიდძალი განძითა და საუცხოო ძეგლებით. როგორც უბრალო, ისე წარჩინებული მოქალაქე თავგამოდებით ეჯიბრებოდა მეფეს ქალაქის გაზრდასა და გამშვენიერებაში.

აი, ლუკულუსმაც ამის გამო უფრო მეტად გააძლიერა ალყა. იგი დარწმუნებული იყო, ტიგრანი ამას ვერ აიტანდა, რისხვა აზრს შეაცვლევინებდა და ბრძოლის გასაჩაღებლად უკან დაბრუნდებოდა. ლუკულუსი არც შემცდარა.

მითრიდატე წამდაუწუმ შიკრიკებსა და წერილებს უგზავნიდა ტიგრანს და ურჩევდა, ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, მხოლოდ ცხენოსანი ჯარით მტრისათვის სურსათის მისაზიდი გზები გადაეჭრა. ასევე დაჟინებით სთხოვდა მეფეს, გაფრთხილებულიყო, რომაელთა დაუძლეველ იარაღს გაქცეოდა მასთან მითრიდატეს მიერ მიგზავნილი ტაქსილე, რომელიც ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ[70].

პირველ ხანებში ტიგრანი მათ გულდასმით უსმენდა, მაგრამ როცა მასთან სომეხთა და გორდიენელთა მთელი მხედრობა მივიდა, როცა უკლებლივ გამოცხადდა მიდიელთა და ადიაბენელთა ლაშქარი თავ თავიანთი მეფეების წინამძღოლობით, როცა მოზღვავდნენ ბაბილონის ზღვის[71] სანაპიროდან წამოსულ არაბთა უთვალათი ურდოები, კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და არაქსის[72] სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი ჯარები, რომლებიც ტიგრანის ალერსიანმა თხოვნამ და უხვმა საჩუქრებმა მოიზიდეს, მაშინ მეფის სუფრასა თუ საბჭოზე იმედითა და გამბედაობით აღსავსე ხმები და რომაელთა მისამართით ბარბაროსული მუქარა გაისმა.

ტაქსილემ, რომელიც ბრძოლის დაწყების წინააღმდეგი იყო, კინაღამ თავი არ დაკარგა. ტიგრანს ეჭვი ჰქონდა, რომ მითრიდატე შურის გამო ცდილობდა აეცდინა იგი ბრძოლიდან, რომელიც დიდი წარმატების მიღწევას უქადდა.

ამის გამო ტიგრანმა მითრიდატეს აღარ დაუცადა. არ უნდოდა, მითრიდატესაც ჰქონოდა წილი დიდ გამარჯვებაში და მთელი თავისი მხედრობით რომაელთა წინააღმდეგ გაემართა. როგორც ამბობენ, მაშინ თურმე მეომრებს შესჩივლა, რომ, მისდა სამწუხაროდ, ბრძოლა მოუწევს მარტოოდენ ლუკულუსთან და არა რომაელთა ყველა სარდალთან.

ტიგრანის გამბედაობა, სხვათა შორის, სრულიადაც არ იყო უგუნური და უაზრო: სომხეთის მეფე ხედავდა, რომ მას უკან მიჰყვებოდნენ აურაცხელი ტომები, მრავალი მეფე და დიდძალი ქვეითი თუ ცხენოსანი ჯარი. მას საბრძოლველად მიჰყავდა ოცი ათასი მშვილდოსანი და მეშურდულე, ორმოცდათხუთმეტი ათასი მხედარი, აქედან ჩვიდმეტი ათასი – როგორ ლუკულუსი სენატს სწერდა – აბჯარში იყო ჩამჯდარი და კიდევ – ას ორმოცდაათი ათასი კოჰორტებად და ფალანგებად დაწყობილი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. გარდა ამისა, ტიგრანის ლაშქარში ირიცხებოდა ოცდათხუთმეტ ათასამდე გზისა და ხიდის მკეთებელი, მდინარეთა ფონის გამწმენდი, ტყის მკაფავი და სხვა სამუშაოთა შემსრულებელი კაცი. ისინი ზურგში უდგნენ მებრძოლებს და მთელი ჯარის გარეგნულ იერს ძალას ჰმატებდნენ.

27. აი, ამ ძალებით ტიგრანმა ტავროსი გადალახა და ტიგრანოკერტა რომაელთა ჯარით ალყაშემორტყმული დაინახა. ქალაქში მყოფი ბარბაროსები ტიგრანის გამოჩენას სიხარულის ყიჟინითა და ტაშისცემით შეხვდნენ. ისინი რომაელებს ემუქრებოდნენ და ქალაქის კედლებიდან სომხეთის მხედრობაზე უთითებდნენ.

ლუკულუსმა მომავალი ბრძოლის თაობაზე თათბირი გამართა. ზოგიერთი ურჩევდა, მოეხსნა ალყა და ტიგრანის წინააღმდეგ დაეძრა ჯარი, ზოგიერთი კი შეუძლებლად თვლიდა ზურგში ამდენი მტრის დატოვებასა და ალყის მოხსნას. ლუკულუსმა განაცხადა, ცალ-ცალკე არც ერთი რჩევა არ ვარგა, მაგრამ ორივე ერთად ჭკვიანურიაო, და თავისი მხედრობა ორ ნაწილად გაყო. მურენა ექვსი ათასი ქვეითი ჯარისკაცით ქალაქის საალყოდ დატოვა, თვითონ კი თან წაიყვანა ოცდაოთხი კოჰორტი, რომლებიც ათი ათასამდე მძიმედ შეიარაღებულ ქვეით მეომარს მოითვლიდნენ, მთელი ცხენოსანი ჯარი, დაახლოებით ათას კაცამდე მეშურდულე და მშვილდოსანი, და მტრისკენ გაეშურა. იგი ერთ ვრცელ მინდორზე, მდინარის გაყოლებაზე დაბანაკდა.

ლუკულუსის მხედრობა ფრიად უმნიშვნელო მოეჩვენა ტიგრანს, მლიქვნელებს კი ქილიკობის საბაბი მიეცათ. ერთნი დასცინოდნენ ლუკულუსს, მეორენი კი მომავალი ნადავლის გასაყოფად უკვე წინასწარ ყრიდნენ წილს. ყოველი სარდალი და პატარა მეფე ცალ-ცალკე ეხვეწებოდა ტიგრანს: მაგ საქმის მოსაგვარებლად მარტო მე გამიშვი, შენ კი მშვიდად იჯექი და უცქირეო. ტიგრანმა მხიარული გუნებისა და ენამახვილობის გამომჟღავნების სურვილით,

ცნობილი სიტყვები წარმოთქვა: „თუ ეს რომაელები ელჩებად მოვიდნენ აქ, მეტისმეტად ბევრნი არიან, თუ ჯარისკაცებად – ფრიად მცირენიო“.

აი, ასე ლუკულუსის დაცინვასა და ქილიკობაში გაატარეს ის დღე ტიგრანმა და მისმა ამალამ.

გარიჟრაჟზე ლუკულუსმა იარაღასხმული გამოიყვანა თავისი მხედრობა. ბარბაროსთა ჯარი მდინარის აღმოსავლეთით იყო დაბანაკებული. რაკი მდინარე დასავლეთის მიმართულებით უხვევდა, სადაც ყველაზე უფრო ადვილი იყო მასზე გადასვლა, ლუკულუსმაც ჯარი იქითკენ წაიყვანა. ეს მეტად სწრაფად გააკეთა. ტიგრანს კი ეგონა, ლუკულუსმა უკან დაიხიაო. მან დაუძახა ტაქსილეს და სიცილით უთხრა: „ვერ ხედავ, როგორ გარბიან რომაელთა უძლეველი ჯარისკაცები?“ „მეფეო, – უპასუხა ტაქსილემ, – მე ძალიან მინდა, შენდა საბედნიეროდ, რამე სასწაული მოხდეს; მაგრამ რომაელი მეომრები, როცა ისინი გზად მიდიან, ძვირფას ტანსაცმელს არ იცვამენ, არც ასე ახურავთ მუზარადები და იარაღიც, როგორც აი ახლა, ასე როდი აქვთ ტყავის ბუდიდან ამოწვდილი. მათი ბრწყინვალე იერი იმას ამტკიცებს, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან მზად და უკვე იერიშზე მოდიანო“.

ტაქსილეს ტიგრანთან საუბარი ჯერ არც დაემთავრებინა, რომ ლუკულუსის პირველი ლეგიონი ყველასათვის აშკარად შემობრუნდა. მდინარეზე გადასასვლელად კოჰორტებიც ცალ-ცალკე რაზმებად დაიყო. ტიგრანი თითქოს ახლაღა გამოფხიზლდა და ორჯერ თუ სამჯერ შეჰყვირა: „ნუთუ ჩვენ წინააღმდეგ მოდიან რომაელები?!“ მისმა ურდომ დიდი ალიაქოთით დაიწყო საბრძოლველად დარაზმვა.

შუა ადგილი მეფემ დაიკავა, მარცხენა ფრთის წინამძღოლობა ადიაბენელთა მთავარს მისცა, ხოლო მარჯვენაზე მიდიელთა მეფე დააყენა. მარჯვენა ფრთის წინა ხაზზე აბჯარში ჩამსხდარ მხედართა დიდი ნაწილი ჩამწკრივდა.

ის-ის იყო ლუკულუსმა მდინარეზე გადასვლა დააპირა, რომ ზოგიერთმა მისმა ხელქვეითმა ურჩია, გაფრთხილებოდა დღევანდელ დღეს, ერთ-ერთ იმ კვიმატ დღეთაგანს, რომელთაც „ნავს დღეებს“ ეძახიან: სწორედ ამ დღეს კიმბრებთან ბრძოლაში დაიღუპა ცეპიონის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რომაელთა მხედრობაო[73]. ლუკულუსმა მათ ცნობილი სიტყვებით უპასუხა: „რომაელებისათვის მე ამ დღესაც ბედნიერ დღედ ვაქცევო“. ეს იყო ოქტომბრის ნონების წინადღე.

28. თქვა თუ არა ეს, ლუკულუსმა თავისიანები გაამხნევა, მდინარეზე გადავიდა და პირველი დაიძრა მტრის წინააღმდეგ. მას თვალისმომჭრელად ელვარე ქიცვიანი რკინის აბჯარი ეცვა, რომელზედაც ფოჩებიანი სამხედრო წამოსასხამი ჰქონდა მოგდებული. ხელში ლუკულუსს ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი ეჭირა და ზევით სწევდა იმის ნიშნად, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჰკვეთებოდნენ მტრის მშვილდოსნებს, რომლებიც სეტყვასავით აყრიდნენ რომაელებს ისრებს, და სწრაფი იერიშით მათთვის ისრის სატყორცნი მანძილი წაერთმიათ.

მალე მან დაინახა თავით ფეხამდე აბჯარში ჩამჯდარი ცხენოსანი ჯარი, რომელზედაც მტერი დიდ იმედებს ამყარებდა. ამ ჯარს დაეკავებინა ერთი განიერი გორაკი. მასზე ასასვლელად მოწინააღმდეგეს სულ რაღაც ოთხი სტადიონის გავლა დასჭირდებოდა, თანაც გზა სრულიადაც არ იყო დამრეცი და ძნელი სავალი. ლუკულუსმა მის განკარგულებაში მყოფ თრაკიელ და გალატელ მხედრებს უბრძანა, გვერდიდან შემოევლოთ გორაკისათვის, დასხმოდნენ თავს მტრის ცხენოსნებს და მათი შუბები ხმლის დაკვრით მოეგერიებინათ. ერთადერთი ძალა აბჯარში ჩამსხდარი ცხენოსნებისათვის შუბი არის. ასეთი ჯარი, მძიმე და უხეში საჭურვლის გამო, მეტად ზანტად მოძრაობს და შუბის გარდა სხვა იარაღით ვერც საკუთარ თავს დაიცავს, ვერც მტერს მიაყენებს ვნებას.

თვითონ ლუკულუსი ორი კოჰორტით გორაკის დასაკავებლად გაეშურა. ჯარისკაცები მამაცურად მისდევდნენ უკან. ისინი ხედავდნენ, იარაღასხმული წინამძღოლი ყველაზე წინ რომ მიდიოდა ქვეითად, არ ერიდებოდა განსაცდელს და თავგამოდებით მიიწევდა გორაკისაკენ.

ავიდა თუ არა გორაკზე, ლუკულუსი ერთ საჩინო ადგილზე დადგა და მთელი ძალ-ღონით შეჰყვირა: „ჩვენ გავიმარჯვეთ, მეგობრებო, ჩვენ გავიმარჯვეთ!“ ამ სიტყვებით ჯარი მტრის აბჯარში ჩამჯდარი მხედრობისაკენ დაძრა და ჯარისკაცებს უბრძანა, ოროლები აღარ ეხმარათ, ყოველ მათგანს ხელში ხმალი მოემარჯვებინა და მტრისათვის ფეხებსა და თეძოებზე დაეცხოთ, ვინაიდან აბჯარში ჩამჯდარ ცხენოსნებს მხოლოდ ეს ადგილები ჰქონდათ დაუფარავი.

ამ ბრძანების შესრულება საჭირო აღარ იყო. ტიგრანის აბჯროსანმა ცხენოსნებმა რომაელების შემოტევას აღარ დაუცადეს, შემაძრწუნებელი ყვირილი ატეხეს და სამარცხვინოდ გაიქცნენ. ისი-

ნი ჯავშნისაგან დამძიმებული ცხენებით საკუთარი ქვეითი ჯარის რიგებში შეიჭრნენ. მოწინააღმდეგის ქვეითებმა ბრძოლის დაწყება ვეღარ მოახერხეს. ასე რომ, ტიგრანის მრავალათასიანი მხედრობა ბრძოლისა და სისხლის ღვრის გარეშე დამარცხდა.

დიდი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა მხოლოდ მტრის უკან გაქცევის ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ამის ცდის დროს. მტერმა გაქცევა ვერ შეძლო. მისი ხშირი რიგები ამ შემთხვევაში ფრიად დამაბრკოლებელ გარემოებად გადაიქცა.

ტიგრანმა ჯერ კიდევ დასაწყისშივე უშველა თავს რამდენიმე კაცის თანხლებით. როცა დაინახა, შვილიც მის ბედს იზიარებდა, თავიდან გვირგვინი ჩამოიღო, აცრემლებული თვალებით შვილს გადასცა და უთხრა, როგორმე თავი გადაერჩინა და სხვა გზით გაქცეულიყო. მაგრამ ჭაბუკმა გვირგვინის თავზე შემოდგმა ვერ გაბედა და ერთ ყველაზე სანდო მსახურს გადასცა შესანახად. ეს მსახური შემთხვევით ტყვედ ჩავარდა. იგი ლუკულუსთან მიიყვანეს. ისე რომ, სხვა ნადავლთან ერთად, ტიგრანის გვირგვინიც რომაელთა ხელში აღმოჩნდა.

როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში ასი ათასზე მეტი ქვეითი მეომარი დაკარგა მტერმა, ხოლო მის ცხენოსანთაგან თითქმის არავინ გადარჩენილა. რაც შეეხება რომაელებს, მათ ასამდე კაცი დაუჭრეს, ხუთი კი მოუკლეს[74].

ანტიოქე ფილოსოფოსი[75], რომელიც ამ ბრძოლას მოიხსენიებს, აცხადებს: რომაელები სირცხვილისაგან წითლდებოდნენ და თავის თავს დასცინოდნენ, ამისთანა ღვთის გლახებზე როგორ აღვმართეთ იარაღიო.

ლივიუსი კი ამბობს: მტრის რიცხობრივად ასე ჭარბ ძალებს რომაელები აქამდე არასოდეს შეხვედრიან საბრძოლველად; გამარჯვებულნი თითქმის ორჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ ნაკლებნი იყვნენ დამარცხებულებზეო[77].

რომაელთა შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი და მრავალმგადახდილი სარდლები უპირატესად იმისთვის აქებდნენ ლუკულუსს, რომ ორი მეტისმეტად სახელგანთქმული და უძლიერესი მეფე ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საშუალებით – სისწრაფითა და დაყოვნებით დაამარცხა. მართლაც, მითრიდატე ლუკულუსმა მისი ძლიერების ჟამს დროის გაჭიანურებითა და ნელი მოქმედებით დაასუსტა, ხოლო ტიგრანი სწრაფი იერიშით გატეხა.

ლუკულლუსი იმ მცირერიცხოვან სარდალთა რიგს ეკუთვნოდა, რომლებიც თავ თავის დროზე გადამწყვეტ საქმეში აუჩქარებელ მოქმედებას, ხოლო თავის დასაცავად გაბედულ იერიშს მიმართავდნენ.

29. სწორედ ამის გამო მითრიდატე მაინცდამაინც დიდი სიჩქარით არ მიისწრაფოდა ბრძოლისაკენ. იგი ფიქრობდა, ლუკულლუსი მისთვის ჩვეული სიფრთხილითა და დაყოვნებით იომებდა და ამიტომ ტიგრანის დასახმარებლად ფრიად დინჯად მიემართებოდა. მაგრამ როცა გზაზე რამდენიმე დაფეთებული და შეშინებული სომეხი ლტოლვილი შემოეყარა, მაშინვე მიხვდა, საქმე ცუდად იყო. მერმე და მერმე მითრიდატეს მრავალი უიარაღო დაჭრილი მეომარი ხვდებოდა გზაში. მან აქ შეიტყო სომეხთა მარცხი და ტიგრანის ძებნას შეუდგა.

მითრიდატემ ტიგრანი ყველასაგან მიტოვებული და სასოწარკვეთილი იხილა, მაგრამ სამაგიერო კი არ გადაუხადა და ამპარტავნულად როდი მოექცა, პირიქით, ცხენიდან ჩამოხდა და მასთან ერთად საერთო უბედურება დაიტირა; მერმე მთელი თავისი ამალა დაუთმო და მომავლის იმედით გაამხნევა. ამის შემდეგ მითრიდატე და ტიგრანი კვლავ ახალი ძალების შეგროვებას შეუდგნენ.

ამასობაში ქალაქ ტიგრანოკერტას ბერძნული მოსახლეობა იქაურ ბარბაროსთა წინააღმდეგ აღდგა და მოინდომა, ქალაქი ლუკულლუსისათვის ჩაებარებინა. მაშინ ლუკულლუსი იერიშზე გადავიდა და ქალაქი აიღო. სამეფო განძეულობა თავისთვის დაიტოვა, ქალაქი კი გასაძარცვავად დაუთმო ჯარისკაცებს, რომლებმაც იქ სხვა ქონებასთან ერთად რვა ათასი ტალანტი ლითონის ფული ნახეს. ამის გარდა, ლუკულლუსმა ყოველ ჯარისკაცს რვაასი დრაქმაც მისცა ნადავლიდან[78]. მალე მან შეიტყო, რომ ქალაქში იმყოფებოდა დიონისეს საქმის მრავალი ოსტატი[79], რომლებიც ტიგრანს მის მიერ აგებული თეატრის გახსნისათვის ყოველი მხრიდან შემოეკრიბა. ლუკულლუსმა ისინი გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებასა და სანახაობაში გამოიყვანა.

ტიგრანოკერტაში მყოფ ბერძნებს ლუკულლუსმა საგზაო მარაგი დაურიგა და სამშობლოში გაისტუმრა. ასევე მოიქცა აქ ძალით გადმოსახლებულ ბარბაროსთა მიმართაც. მართალია, ერთი ქალაქი დაინგრა, სამაგიეროდ, მრავალი ქალაქი ისევ აღორძინდა და ამ ქალაქებმა თავ-თავიანთი მოსახლეობა უკან დაიბრუნა. სამშობლოში დაბრუნებულმა ხალხმა ლუკულლუსს, როგორც კეთილმოქმედსა და ქალაქთა ამაღორძინებელ კაცს, თაყვანი სცა.

ლუკულუსი დანარჩენ საქმეებშიც იმ კაცის ღირსებისათვის შესაფერ წარმატებებს აღწევდა, რომელიც სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის შექებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ომში მოპოვებული გამარჯვებებისათვის შესხმულ ხოტბას. ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებაში საკმაოდ დიდი წილი ედო მხედრობას და კიდევ უფრო მეტი ბედს; სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა კი ლუკულუსის სათნოებისა და ზრდილობის მაუწყებელი იყო. იგი სწორედ ამის წყალობით იარაღის გარეშე ახერხებდა ბარბაროსთა მოთვინიერებას. არაბთა მეფენი თავისი ნებით ეახლნენ და მთელი თავიანთი ქონება გადასცეს. ასევე მოვიდნენ მასთან სოფენეს მკვიდრნი, გორდიენეს მოსახლეობა კი ისე მიენდო ლუკულუსს, რომ ყველანი მზად იყვნენ საკუთარი ქალაქები მიეტოვებინათ და მას გაჰყოლოდნენ უკან. ამის მიზეზი ისევ და ისევ მისი სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა გახლდათ.

გორდიენეს მეფე ზარბიენოსი, რომელიც ვერ იტანდა ტიგრანის ტირანიას, აპიუსის მეშვეობით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ლუკულუსთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა მოკავშირეობის თაობაზე, მაგრამ იგი მანამდე გასცეს და მოკლეს ცოლშვილთან ერთად,. ვიდრე რომაელები სომხეთში შეიჭრებოდნენ. ლუკულუსს ეს ამბავი კარგად ახსოვდა და, როცა გორდიენეში შევიდა, დიდი ამბით დაკრძალა ზარბიენოსი. ამ შემთხვევისათვის საჭირო კოცონი სამეფო ტანსაცმლით, ოქროულობითა და იმ ნადავლით მორთო, რომელიც ტიგრანს წაართვა. ლუკულუსმა კოცონი საკუთარი ხელით აანთო და მიცვალებულს მის მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ზედაშე დაუქცია. ამ წესის აღსრულების დროს იგი ზარბიენოსს თავის მეგობრად და რომაელთა მოკავშირის სახელით მოიხსენიებდა. გარდა ამისა, ლუკულუსმა ბრძანა, გორდიენეს მეფისათვის ძვირფასი ძეგლი აეგოთ. ზარბიენოსის სასახლეში დიდძალი ოქრო-ვერცხლი აღმოჩნდა. აქვე იყო შენახული სამი მილიონი მედიმნი ხორბალი[80]. ასე რომ, ნადავლმა ჯარისკაცებიც გაამდიდრა და ლუკულუსმაც საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. საქმე ის იყო, რომ ლუკულუსს სახელმწიფო ხაზინიდან ერთი დრაქმაც არ მიუღია. საომარ ხარჯებს ომში მოპოვებული ნადავლით ფარავდა.

30. იმ ხანებში ლუკულუსთან პართების მეფის გამოგზავნილი ელჩები მოვიდნენ. ისინი მეგობრულ კავშირს სთხოვდნენ მას. ლუ-

კულუსს ეს ძალიან ესიამოვნა და პართების მეფეს თავის მხრივ მანაც გაუგზავნა ელჩები. ლუკულუსის ელჩებმა გამოარკვიეს, რომ პართების მეფე ორპირობდა და დახმარების გაწევისათვის ტიგრანს ჯილდოდ მესოპოტამიას სთხოვდა.

ლუკულუსმა ეს რომ გაიგო, გადაწყვიტა, ტიგრანისა და მითრიდატესათვის, როგორც უკვე წელში გატეხილი მოწინააღმდეგეთათვის, თავი დაენებებინა[81], პართების წინააღმდეგ გაელაშქრა და მათი ძალა გამოეცადა. იგი დიდ გმირობად თვლიდა, ათლეტის მსგავსად, ერთი ომით სამი მეფის ზედიზედ დამარცხებას და მზის ქვეშ არსებული სამი უზარმაზარი სამეფოს დაუძლეველი და გამარჯვებული კაცის სახელით გადაქელვას.

გორდიენედან ლაშქრობის დაწყების მიზნით ლუკულუსმა ბრძანება გაუგზავნა პონტოში სორნაციუსსა და მის ხელქვეით მეთაურებს, იქაური მხედრობა მასთან მოეყვანათ.

სორნაციუსი და მისი სხვა ლეგატები, რომლებმაც მანამდე იწვნიეს ჯარისკაცების უხეშობა და სიჯიუტე, ახლა სავსებით დარწმუნდნენ მათ თვითნებობაში. ვერავითარი რჩევითა და ძალით ვერ დაიყოლიეს ისინი ლუკულუსთან წაყვანაზე. ისინი ყვირილით ფიცულობდნენ: იქ კი არა, აქაც არ მოვიცდით, სულ წავალთ და პონტოს დაუცველად დავტოვებთო.

აუწყეს თუ არა ეს ამბავი ლუკულუსს, მისი მხედრობაც მაშინვე წახდა ზნეობრივად. ლუკულუსის ჯარისკაცები, რომლებმაც გამდიდრება და განებივრება მოასწრეს, ისედაც უხალისოდ ასრულებდნენ მეომრის მოვალეობას და დასვენებას მოითხოვდნენ. როცა პონტოს დამცველი ჯარისკაცების სითამამე გაიგეს, ისინი მამაცებად ჩათვალეს და განაცხადეს: იმათ მაგალითს უნდა მივბაძოთ; ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთეთ და უშიშრად ყოფნისა და დასვენების უფლება დავიმსახურეთო.

31. ამისთანა და ამაზე კიდევ უარესი სიტყვების მოსმენის შემდეგ ლუკულუსმა პართების წინააღმდეგ ლაშქრობა გადაიფიქრა და შუა ზაფხულში კვლავ ტიგრანისაკენ გაემართა. როცა ტავროსი გადალახა, მეტისმეტად შეწუხდა, ჯერ კიდევ მწვანედ მოღაღანე ყანები რომ იხილა[82]. ცივი ჰაერის გამო აქ გაზაფხული ძალზე იგვიანებს ხოლმე.

მიუხედავად ამისა, ლუკულუსი ველზე დაეშვა, ორჯერ თუ სამჯერ უკუაქცია სომხები, რომლებიც თავს დაესხნენ, და დაუბრკოლებლივ მათი სოფლების აოხრება და ტიგრანისათვის მომზადებული

პურის მარაგის დატაცება დაიწყო. ამით მტერს დაატეხა თავს ის გაჭირვება, რომლისაც თვითონ ეშინოდა.

ლუკულუსი სომხების ბანაკის გარშემო თხრილებს ავლებდა, მტერს თვალწინ მიწა-წყალს უოხრებდა და ბრძოლაში იწვევდა; მაგრამ მრავალგზის დამარცხებული მხედრობა ადგილიდან ვერ დაძრა. მაშინ ლუკულუსი ტიგრანის დედაქალაქისაკენ, არტაქსატასაკენ, დაიძრა[83]. იქ ტიგრანის მცირეწლოვანი შვილები და კანონიერი ცოლები იმყოფებოდნენ. ლუკულუსი დარწმუნებული იყო, ტიგრანი ამ ქალაქს უბრძოლველად არ დათმობდა.

გადმოგვცემენ, როცა რომაელებმა ანტიოქე დაამარცხეს, კართაგენელი ჰანიბალი სომხეთის მეფე არტაქსასთან[84] მივიდა და მრავალი კეთილი და სასარგებლო რჩევა დარიგება მისცაო. ჰანიბალმა ამ ქვეყანაში თურმე ერთი მეტად ნოყიერი და მშვენიერი, მაგრამ გამოუყენებელი ადგილმდებარეობა შეამჩნია და იქ ქალაქის გეგმა მოხაზა. მან ამ ადგილზე არტაქსა მიიყვანა, უჩვენა იგი და წააქეზა: ეს ადგილი დაასახლეო. სომხეთის მეფეს გაუხარდა და ჰანიბალს სთხოვა, ამ საქმეს თვითონ ჩასდგომოდა სათავეში. მართლაც, აქ უზარმაზარი და მეტისმეტად ლამაზი ქალაქი აღიმართა. მას მეფის სახელი დაერქვა და სომხეთის დედაქალაქად გადაიქცა[85].

აი, სწორედ ამ ქალაქისაკენ გაემართა ლუკულუსი. ტიგრანმა თავი ვეღარ შეიკავა. მხედრობა აქეთკენ წამოიყვანა და მეოთხე დღეს რომაელების პირისპირ დაბანაკდა. მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან ყოფდა მდინარე არსანია[86], რომელიც აუცილებლად უნდა გადაელახათ რომაელებს, თუკი არტაქსატასთან მისვლა უნდოდათ.

ლუკულუსმა, თითქოს გამარჯვება უკვე ხელთ ჰქონდა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. წინ თორმეტი კოჰორტი მიდიოდა, ხოლო დანარჩენი კოჰორტები, მტრის ალყის თავიდან ასაცილებლად, ზურგში იყვნენ დაწყობილნი. ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა ჩამწკრივდა. ამ მხედრობის წინ ცხენოსანი მშვილდოსნები – მარდები[87] და შუბოსანი იბერები[88] იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანი სწორედ ამათ უცხადებდა. მაგრამ არავითარი ბრწყინვალე გმირობა მათ მაშინ არ ჩაუდენიათ. რომაელ მხედრებთან მცირეოდენი შეტაკების შემდეგ იერიშზე წამოსულ ქვეითებს ვეღარ გაუმკლავდნენ, ორ ნაწილად გაიყვნენ და უკუ-

იქცნენ. რომაელმა მხედრებმა ამით ისარგებლეს და უკუქცეულებს გამოედევნენ. მტრის დევნაში რომაელი ცხენოსნები დაიქსაქსნენ და ახლა ამათ წინააღმდეგ ტიგრანის მხედრები გაეშურნენ. ტიგრანის ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი მხედრობის დანახვამ ლუკულუსი შეაშინა, მტრის მადევარი რომაელი ცხენოსნები უკან გამოიწვია და პირველად მის წინააღმდეგ საუკეთესო რაზმებად განლაგებულ ატროპატენებს[89] ეკვეთა. მან ჯერ კიდევ ბრძოლის გაჩაღებამდე დასცა ატროპატენებს თავზარი და უკუაქცია.

ლუკულუსის წინააღმდეგ ამხედრებულ სამ მეფეთაგან, როგორც ამბობენ, ყველაზე სამარცხვინოდ მითრიდატე პონტოელი გაიქცა. მან თურმე რომაელთა საომარ ყიჟინასაც კი ვერ გაუძლო.

მტრის დევნა მეტისმეტად გახანგრძლივდა. რომაელები მთელი ღამის განმავლობაში ჟლეტდნენ მტრებს, ტყვედ მიჰყავდათ ისინი და ფულსა და სხვა ნადავლს აგროვებდნენ. ამან ლუკულუსის მეომრები ფრიად დაქანცა.

ლივიუსი ამბობს, პირველ ბრძოლაში გაცილებით მეტი მტერი შემუსრეს, სამაგიეროდ, მეორე ბრძოლაში მტერმა საკმაოდ ბევრი წარჩინებული კაცი დაკარგა მოკლულთა თუ დატყვევებულთა სახითო.

32. ამ გამარჯვებით აღტაცებულმა და გამხნევებულმა ლუკულუსმა გადაწყვიტა, წინ წასულიყო და მტერი საბოლოოდ მოესპო. მაგრამ მისთვის სრულიად მოულოდნელად შემოდგომის ბუნიაობის ჟამს საშინელი ამინდი დადგა. დაიწყო გაუთავებელი თოვა. შიგადაშიგ, როცა ცა მოიწმინდებოდა, დედამიწა ჭირხლით იფარებოდა და ყინავდა. მდინარეებში ისე ცივი იყო წყალი, ცხენები დასალევად ვეღარ ეკარებოდნენ. გაყინულ მდინარეებზე გადასვლაც მეტისმეტად გაძნელდა, ყინული ტყდებოდა და მისი ბასრი წვეტები ცხენებს ფეხის ძარღვებს უჭრიდა. ამ ქვეყნის უდიდესი ნაწილი ჯაგნარით დაფარული, ხეობებით დასერილი და ტყიანი იყო. გზად მიმავალ ჯარისკაცებს თოვლი ზვინებად ეყრებოდათ თავზე. ხშირად უხდებოდათ ნესტიან მიწაზე დიდი ტანჯვით ღამის გატარება.

ბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ჯარისკაცები მორჩილად მიჰყვებოდნენ ლუკულუსს, მაგრამ მერე დრტვინვა დაიწყეს. ჯერ ათასისთავთა მეშვეობით სთხოვდნენ ლუკულუსს: დაგვზოგეო, მერმე და მერმე კი აჩოჩქოლებულ ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ღამით კარვებს ყვირილით იღებდნენ. ეს უკვე ჯარის ამბოხების

ნიშანი იყო. ლუკულუსი ხვეწნა მუდარით სთხოვდა ჯარისკაცებს, სულგრძელობა და მოთმინება გამოეჩინათ მანამდის, ვიდრე სომხების კართაგენს არ აიღებდა და რომაელთა უდიდესი მტრის – აქ იგი ჰანიბალს გულისხმობდა – ქმნილებას არ დაანგრევდა[90].

ლუკულუსმა მხედრობა ვერ დააჯერა. მაშინ უკან წაიყვანა, სხვა გადასასვლელით ტავროსი გადალახა და ეგრეთ წოდებულ მიგდონიაში, ნოყიერსა და თბილ ქვეყანაში ჩავიდა. აქ იყო დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, რომელსაც ბარბაროსები ნისიბისს, ხოლო ბერძნები მიგდონიის ანტიოქიას ეძახდნენ[91]. ამ ქალაქს დიდად წარჩინებული ტიგრანის ძმა გურა მართავდა. მაგრამ, სინამდვილეში, ნისიბისი გამოცდილსა და მანქანათა გამოგონებაში დახელოვნებულ კალიმაქეს ხელში იყო. ეს ის კალიმაქე გახლდათ, რომელმაც ლუკულუსს მრავალი ვნება მიაყენა ამისესთან.

ლუკულუსი ქალაქის მახლობლად დაბანაკდა, ყოველგვარი საალყო ხრიკი გამოიყენა და სულ მოკლე ხანში ქალაქი იერიშით აიღო. გურას მიმართ, რომელიც თავისი ნებით ჩაბარდა, კაცთმოყვარეობა გამოიჩინა; მაგრამ კალიმაქე, მიუხედავად იმისა, რომ ჰპირდებოდა, დიდძალ გადამალულ ქონებას გაჩვენებო, არ დაინდო. ლუკულუსმა ბრძანა, კალიმაქესათვის ბორკილები დაედოთ და სამართალში მიეცათ, რათა პასუხი ეგო ამისეს დაწვისათვის, რისი მიზეზით რომაელებმა პატივმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილეს და ამისეს ბერძნული მოსახლეობის მიმართ სულგრძელობა ველარ გამოიჩინეს.

33. აქამდე კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ბედი მუდამ თან სდევდა ლუკულუსს ლაშქრობაში; მაგრამ ამიერიდან, თუ შეიძლება ითქვას, მისი კეთილისმყოფელი ზურგქარი ჩადგა. ლუკულუსი ახლა ყველაფერს ძალდატანებით აკეთებდა და მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა[92]; მართალია, იგი კვლავ ამჟღავნებდა კარგი სარდლისათვის დამახასიათებელ ვაჟკაცობასა და სიმტკიცეს, მაგრამ მის საქმეებს უწინდებური სახელი და მადლი მოაკლდა. ის კი არა, რიგი მარცხისა და მხედრობასთან უსარგებლო უთანხმოების წყალობით, ძველი დიდებაც კინაღამ დაკარგა.

საკუთარი ბედის ცვლილებაში საკმაოდ დიდი ბრალი თვითონ ლუკულუსს მიუძღოდა. ჯარისკაცთა ბრბოს წინაშე პირფერობა არ შეეძლო და ხელქვეითის გულის მოსაგებად გაწეულ ყოველ მოქმედებას ძალაუფლების შეურაცხყოფად და დაკნინებად თვლიდა... ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ბუნებით ვერ ეგუებოდა

ვერც მასზე ძლიერებს და ვერც მის სიმაღლეზე მდგომ ხალხს. ყველა ეზიზღებოდა და თავის ღირსად არავის თვლიდა.

აი, ყველა ის ნაკლი, რომელიც ლუკულუსს, როგორც ამბობენ, მრავალ კარგ თვისებასთან ერთად ჰქონდა. იგი იყო ტანადი, ლამაზი, მჭევრმეტყველი და შეეძლო ერთნაირად გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი როგორც ფორუმზე, ისე სამხედრო ბანაკში. სალუსტიუსი ამბობს, ლუკულუსმა ომის დასაწყისშივე დაიმსახურა ჯარისკაცების წყრომაო; ისინი აიძულა ორი ზამთარი ზედიზედ ბანაკში გაეტარებინათ, ერთი კიზიკოსის მახლობლად და მეორე ამისესთანო. რომაელ მეომრებს ამის შემდეგაც მრავალი მძიმე ზამთრის გადატანა მოუხდათ. მტრის ქვეყანაში იქნებოდა ეს თუ მოკავშირის ქვეყანაში, სულერთია, ისინი მაინც ღია ცის ქვეშ დაბანაკებულნი ზამთრობდნენ ხოლმე. ბერძნულსა და, საერთოდ, მოკავშირეთა ქალაქში ლუკულუსი არც ერთხელ არ შესულა თავისი მხედრობით.

ლუკულუსის მიმართ ჯარისკაცების ასეთი ცუდი განწყობილებით რომში მყოფმა დემაგოგებმა ისარგებლეს და ეს მტრული ურთიერთობა კიდევ უფრო გაზარდეს. შურით აღსავსე დემაგოგები ლუკულუსს ბრალად სდებდნენ იმას, თითქოს სარდლის რწმუნების შენარჩუნებისა და ანგარების მიზნით ახანგრძლივებდა ომს. ისინი ამბობდნენ: ლუკულუსს თავის ხელში ჰყავს მომწყვდეული კილიკია, აზია, ბითვინია, პაფლაგონია, გალატია, პონტო, სომხეთი და სხვა ქვეყნები, ვიდრე ფაზისამდეო; მან ახლახან ტიგრანის სამეფოც კი ააოხრა; იგი ისე იქცევა, თითქოს მეფეთა გასაძარცვავად იყოს მივლინებული და არა საომრადო.

როგორც გადმოგვცემენ, ასე ლაპარაკობდა თურმე ერთ-ერთი პრეტორი - ლუციუს კვინკციუსი. სწორედ მან დაარწმუნა ხალხი, გამოეტანათ გადაწყვეტილება ლუკულუსის ხელქვეით მყოფი საგამგებლო მხარის სამართავად შემცვლელი პირის გაგზავნის თაობაზე. დაადგინეს აგრეთვე ისიც, რომ ლუკულუსის მხედრობის უდიდესი ნაწილი დაშლილიყო.

34. ამ დიდ უსიამოვნებას მალე კიდევ სხვაც დაერთო ზედ და ლუკულუსის საქმეები სულ ერთიანად არივ დარია. ამის მიზეზი იყო გარეწარი და თავხედი პუბლიუს კლოდიუსი, ლუკულუსის ცოლისძმა, ძმა იმ ფრიად გარყვნილი ქალისა, რომელთანაც ბილწი კავშირისათვის მას საქვეყნოდ კიცხავდნენ[93].

კლოდიუსი იმხანად ლუკულუსის ლაშქარში მსახურობდა, მა-

გრამ ის პატივი, რომლის ღირსადაც თავის თავს სცნობდა, არ ჰქონდა. კლოდიუსს უნდოდა, ყველაფერში პირველი ყოფილიყო, მაგრამ მისი ცუდი ხასიათის გამო მუდამ უკან რჩებოდა. მაშინ იგი ფიმბრიას სარდლობის ქვეშ მყოფ ჯარს შეუჩნდა და ლუკულუსის წინააღმდეგ აამხედრა. მაცდუნებელ სიტყვებს, რომელთაც კლოდიუსი დაუზოგავად ხარჯავდა, პირმოთნეობას მიჩვეული ჯარისკაცები ხალისით უსმენდნენ. ეს ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც ფიმბრიამ თავის დროზე დაიყოლია, კონსულ ფლაკუსის მოკვლის შემდეგ თვითონ აერჩიათ სარდლად. აი ამიტომ ისინი კლოდიუსსაც სიხარულით ეგებებოდნენ და „ჯარისკაცის მეგობარს" ეძახდნენ. კლოდიუსი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ძალიან წუხდა მათ ბედზე. იგი ეკითხებოდა: როდისღა უნდა მოეღოს ბოლო ამდენ ომსა და ტანჯვას? ნუთუ ყველა ხალხებთან ბრძოლასა და მთელ დედამიწაზე წანწალში უნდა დაამთავრონ სიცოცხლე ამ საცოდავმა ჯარისკაცებმა და მძიმე ლაშქრობის სანაცვლოდ არაფერი მიიღონ? განა ის ეყოფათ, პატიოსანი თვლებით დატვირთულ ურმებსა და აქლემებს მისდიონ? პომპეუსის ჯარისკაცები უკვე ჩვეულებრივ ხალხად გადაიქცნენ. ისინი თავ თავიანთი ცოლ შვილით მდიდარ ქვეყნებში ცხოვრობენ და ქალაქებიც აქვთ. მათ არ დასჭირვებიათ მითრიდატესა და ტიგრანის დევნა ისეთ უდაბნოებში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, არც აზიის სამეფოთა ნგრევა. მშვიდობიანი ცხოვრება პომპეუსელებმა იმის საფასურად მოიპოვეს, რომ ესპანეთში გაძევებულთ, ხოლო იტალიაში გაქცეულ მონებს ებრძოდნენო. „თუ ჩვენ ლაშქრობის დამთავრება არ გვიწერია, – ასკვნიდა კლოდიუსი, – განა არ ჯობია, დარჩენილი ჯანი და სიცოცხლე იმ სარდლისთვის დავზოგოთ, რომელიც ყველაზე დიდ განძად საკუთარ მეომართა სიმდიდრეს თვლის?"

ამ მიმართვამ ისეთი ავი ზეგავლენა მოახდინა ლუკულუსის მხედრობაზე, რომ მან უარი განაცხადა, გაჰყოლოდა ლუკულუსს ტიგრანისა და მითრიდატეს წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა მითრიდატე კვლავ პონტოში შეიჭრა და თავისი ძალაუფლების აღდგენა დააპირა.

რომაული მხედრობა, დაზამთრების საბაბით, გორდიენეში იდგა და ლუკულუსის შემცვლელის, პომპეუსისა თუ სხვა რომელიმე სარდლის მოსვლას ელოდებოდა[94].

35. სწორედ ამ დროს მოვიდა ცნობა, მითრიდატემ ფაბიუსი დაამარცხა და ახლა სორნაციუსისა და ტიარიუსის წინააღმდეგ

მიემართებაო[95]. ჯარისკაცებს შერცხვათ და ლუკულუსს გაჰყვნენ. პატივმოყვარე ტრიარიუსი მზად იყო სწრაფი გამარჯვება მოეპოვებინა და ლუკულუსისათვის, რომელიც უკვე უახლოვდებოდა, არ დაეცადა, მაგრამ იგი დიდ ბრძოლაში დამარცხდა. როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში შვიდი ათასზე მეტი რომაელი დაეცა. მოკლულთა შორის ას ორმოცდაათი ცენტურიონი და ოცდაოთხი სამხედრო ტრიბუნი იყო. ბანაკს მითრიდატე დაეუფლა. რამდენიმე დღის შემდეგ ლუკულუსიც მოვიდა და შეიფარა ტრიარიუსი, რომელსაც განრისხებული რომაელი ჯარისკაცები მოსაკლავად დაეძებდნენ.

მითრიდატე ლუკულუსთან ბრძოლას თავს არიდებდა და ელოდებოდა ტიგრანს, რომელიც დიდძალი მხედრობით უკვე მოდიოდა მისკენ. ლუკულუსმა გადაწყვიტა, სანამ ისინი შეერთებას მოასწრებდნენ, ტიგრანს დახვედროდა და შებრძოლებოდა.

სწორედ ამ დროს ფიმბრიას ჯარისკაცები ამბოხდნენ და თავიანთი რიგები მიატოვეს: თანახმად გადაწყვეტილებისა, ლაშქრობიდან ჩვენ უკვე თავისუფალი ვართ; ლუკულუსი ამიერიდან ჩვენ სარდლად აღარ ითვლება, ვინაიდან მისი საგამგებლო მხარე კანონმა სხვებს გადასცა სამართავადო.

არ დარჩენილა ადამიანის ღირსების დამამცირებელი არა ხერხი, რომლისთვისაც ლუკულუსს მაშინ არ მიემართოს. იგი ყოველ ჯარისკაცს სათითაოდ ეხვეწებოდა, დარჩენილიყო. სასოწარკვეთილი და თვალაცრემლებული ლუკულუსი კარავ-კარავ დადიოდა მუდარით და ზოგ მეომარს ხელსაც კი ჰკიდებდა: შემიბრალეო. ჯარისკაცები მის ხვეწნა-მუდარას არ ისმენდნენ, ცარიელ ქისებს ფეხებში ესროდნენ და ეუბნებოდნენ: წადი და მარტოდმარტო ებრძოლე მტერს, იმის წყალობით ხომ მხოლოდ შენ გამდიდრდიო!

სხვა ჯარისკაცთა დაჟინებული თხოვნით, ფიმბრიას მეომრები იძულებული გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ და ერთი ზაფხული კიდევ დარჩენილიყვნენ. პირობა ასეთი იყო: თუ ამ ხნის განმავლობაში მათ მტერი თავს არ დაესხმოდა, ისინი სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ.

ლუკულუსი იძულებული იყო, დაკმაყოფილებულიყო ამით, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო რჩებოდა და ქვეყანა ბარბაროსებისათვის უნდა დაეთმო. მასთან დარჩენილ ჯარისკაცებს უკვე ძალას არაფერში ატანდა, არც ბრძოლაში მიჰყავდა ისინი და გულგრი-

ლად უყურებდა იმას, თუ როგორ არბევდა კაპადოკიას ტიგრანი და როგორ იწყებდა უწინდებურად ყოყოჩობას მითრიდატე. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ლუკულუსმა სენატს წერილობით აუწყა: მითრიდატე საბოლოოდ დავძლიეო! მასთან რომიდან მოხელეებიც კი ჩამოვიდნენ, რათა პონტოში, ვითარცა უკვე მთლიანად დამორჩილებულ ქვეყანაში, მოეწესრიგებინათ საქმეები, მაგრამ მოვიდნენ თუ არა, მყისვე დარწმუნდნენ, რომ ჯარისკაცთა მიერ აბუჩად აგდებული და შეურაცხყოფილი ლუკულუსი საკუთარი თავის პატრონიც აღარ იყო. ჯარისკაცთა თავხედობა სარდლის მიმართ იქამდე მივიდა, რომ როცა ზაფხული გავიდა, იარაღი აისხეს, ხმლები იშიშვლეს და მტერს ეძახდნენ. მტერი კი იქ არსად იყო. მას უკვე მოესწრო აქედან წასვლა. ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მხედრული ყიჟინა დასცეს, ხმლები ჰაერში შეათამაშეს: ის დრო, რაც ლუკულუსს შევპირდით დასარჩენად, უკვე გავიდაო, თქვეს და ბანაკიდან წავიდნენ.

დანარჩენი მეომრები პომპეუსმა გაიწვია ლუკულუსის ბანაკიდან. ხალხის კეთილგანწყობილებისა და დემაგოგთა მლიქვნელობის წყალობით, პომპეუსი უკვე დანიშნეს მითრიდატესა და ტიგრანთან წარმოებული ომის მთავარსარდლად[96].

სენატი და რომის წარჩინებულთა ფენა თვლიდნენ, ლუკულუსი უსამართლოდ დაჩაგრესო. მათი აზრით, ლუკულუსი ომში კი არა, ტრიუმფში შემცვლელს ღებულობდა და იძულებული იყო, არა მარტო სარდლობაზე აეღო ხელი, არამედ ამ სარდლობით მოპოვებული ჯილდოც დაეთმო და სხვისთვის გადაეცა.

36. ასეთი უსამართლობით ყველაზე მეტად მაინც მასთან მყოფი ხალხი იყო აღშფოთებული: ლუკულუსს აღარ ჰქონდა უფლება, დაეჯილდოებინა, თუ დაესაჯა ჯარისკაცები. პომპეუსი ლუკულუსთან მისვლისა და იმის მიერ რომიდან ჩასულ ათ მოხელესთან ერთად გამოცემული ბრძანებების შესრულების ნებას არავის აძლევდა. მან საგანგებო განკარგულებით აკრძალა ლუკულუსის ბრძანებები და თავისი მრავალრიცხოვანი მხედრობით ყველას შიში ჩაუნერგა.

მიუხედავად ამისა, მათმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, ისინი ერთმანეთისათვის შეეხვედრებინათ. შეხვედრა მოხდა გალატიის ერთ სოფელში. პომპეუსი და ლუკულუსი ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ და ერთმანეთს წარმატებები მიულოცეს. ასაკით ლუკულუსი უფროსი იყო, მაგრამ პომპეუსი თავისი ღირსებით ლუკულუსზე წინ იდგა: ის უფრო მეტჯერ იყო სარდლად და ორი ტრიუმფიც ჰქონდა გადახდილი.

როგორც ეს გამარჯვებულთ შეეფერებოდა, მათ წინ მიუძღოდათ ლიქტორები, რომელთაც ხელთ დაფნის შტოებით შემოსილი წკეპლის კონები ეპყრათ. პომპეუსს დიდი გზა ჰქონდა გამოვლილი. იგი უწყლო და გადახრუკული ადგილებით მოდიოდა. ამიტომ მისი ლიქტორების წკეპლის კონებზე შემოხვეული დაფნის შტოები დამჭკნარიყო. ეს რომ დაინახეს, ლუკულუსის ლიქტორებმა პომპეუსის ლიქტორებს პატივი სცეს და საკუთარი, ჯერ კიდევ ახალი და მწვანე შტოები მიართვეს. პომპეუსის მეგობრებმა ეს ამბავი კეთილის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალეს. მართლაც, პომპეუსის სარდლობა ლუკულუსის საგმირო საქმეებმა შეამკო[97].

პომპეუსისა და ლუკულუსის მოლაპარაკებამ კეთილი შედეგი ვერ გამოიღო. ისინი ერთმანეთს კიდევ უფრო დიდ მტრებად დაშორდნენ.

პომპეუსმა ლუკულუსის მიერ გამოცემული ბრძანებები გააუქმა და მთელი მხედრობა ჩამოართვა. ლუკულუსს მომავალი ტრიუმფისათვის მხოლოდ ათას ექვსასი ჯარისკაცი დაუტოვა. ყოფილ მთავარსარდალს ეს ჯარისკაცებიც ფრიად უგულოდ გაჰყვნენ.

არ ვიცი, უუნარობით იყო ეს გამოწვეული თუ უბედობით, ოღონდაც ლუკულუსს აკლდა ის, რაც სარდლობის ჟამს უპირველესი და უდიდესია. მას რომ სხვა დიდ ღირსებებთან, მამაცობასა, მუყაითობასა, ცოდნასა და სამართლიანობასთან ერთად სარდლისათვის აუცილებელი ეს ღირსებაც ჰქონოდა, რომაელთა საბრძანებლის საზღვრად აზიაში ევფრატი კი არ იქნებოდა, არამედ ქვეყნიერების კიდე და ჰირკანიის ზღვა[98]. დანარჩენი ხალხები კი ტიგრანს ჰყავდა დამორჩილებული. რაც შეეხება პართებს, მათი ძლიერება ლუკულუსის დროს ისეთი როდი იყო, როგორც კრასუსის ლაშქრობის ჟამს[99]. პართები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაერთიანებულნი; შინაური შფოთი და მეზობელ ხალხებთან წარმოებული ომები მათ საშუალებას არ აძლევდა, სომეხი შეურაცხმყოფლები მოეგერიებინათ. აი ამის გამო, ჩემი აზრით, ლუკულუსმა მაშინ უფრო მეტი ვნება მოუტანა სამშობლოს სხვების მეშვეობით, ვიდრე სარგებლობა თავისი მოქმედებით. მისმა გამარჯვებამ სომხეთში, პართების მახლობლად, ტიგრნოკერტისა და ნისიბისის აღებამ, აქედან რომში გაზიდულმა უთვალავმა სიმდიდრემ და ტრიუმფისათვის წამოღებულმა ტიგრანის გვირგვინმა, – ყველაფერმა ამან წააქეზა კრასუსი, აზიაში გალაშქრებულიყო. მას ეგონა, იქაური ბარბაროსები მდიდარ ნადავლს წარმოადგენდნენ და სხვას არაფერს; მაგრამ

კრასუსმა მალე იგემა პართების ისართა სიმწვავე და საკუთარი მარცხით დაამტკიცა, რომ ლუკულუსმა გამარჯვება მოიპოვა არა მტრის უგუნურებისა და სისუ სტის წყალობით, არამედ საკუთარი მამაცობითა და გამოცდილებით. მაგრამ ამის თაობაზე შემდეგ[100].

37. ჩამოვიდა თუ არა რომში, პირველი, რაც ლუკულუსმა გაიგო, ის იყო, რომ გაიუს მემიუსს[101] სამართალში მიეცა მისი ძმა მარკუსი კვესტორობის დროს სულას ბრძანებით ჩადენილი მოქმედებისათვის. მარკუსი გამართლდა; მაგრამ ახლა ლუკულუსზე მიიტანა იერიში მემიუსმა და ხალხი დაიყოლია, მისთვის ტრიუმფის უფლება არ მიეცათ, იმ მიზეზით, ლუკულუსმა ბევრი ფული მიითვისა და ომი გაახანგრძლივაო.

ლუკულუსი დიდ გასაჭირში ჩავარდა; მაგრამ წარჩინებული და გავლენიანი მოქალაქენი ტრიბებში შეერივნენ და დაჟინებული თხოვნით ძლივძლივობით დაარწმუნეს ხალხი, ლუკულუსისათვის ტრიუმფის გადახდის ნება დაერთოთ[102].

ლუკულუსის ტრიუმფი, სხვა ტრიუმფების მსგავსად, საზეიმო პროცესიის სიგრძითა და გამოტანილი ნივთების სიმრავლით ხალხის განსაცვიფრებლად როდი იყო მოწყობილი. ლუკულუსმა ფლამინიუსის ცირკი მტრის ნაირ ნაირი იარაღითა და მეფეებისაგან წამოღებული საალყო მანქანებით მორთო. ეს სანახაობა თავისთავადაც საყურადღებო აღმოჩნდა.

საზეიმო სვლაში მონაწილეობდა რამდენიმე ჯავშანში ჩამჯდარი ცხენოსანი, ათი საბრძოლო, ორმხრივ ცელდამაგრებული ეტლი და მეფის სამოცამდე კარისკაცი და სარდალი. ტრიუმფში ჩაატარეს აგრეთვე სპილენძისცხვირიანი ას ათი გრძელი ხომალდი, მითრიდატეს ოქროს ქანდაკება, რომელსაც ექვსი წყართა სიმაღლე ჰქონდა, მისი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ფარი და ოცი ვერცხლის ჭურჭლით სავსე ყუთი; გარდა ამისა, ოცდათორმეტი ყუთი ოქროს თასებით, იარაღითა და ფულით გაჭედილი გამოატარეს. ყველაფერი ეს საგანგებოდ დანიშნულ ხალხს მოჰქონდა.

დანარჩენი ნადავლი ჯორებს ჰქონდათ აკიდებული: რვა ჯორს ოქროსაგან ნაკეთები საწოლები მოჰქონდა, ორმოცდათექვსმეტს – ვერცხლის ზოდები, ხოლო სხვა ას შვიდ ჯორზე თითქმის ორ მილიონ შვიდას ათას დრაქმამდე ვერცხლის ფული იყო აკიდებული.

ტრიუმფში გამოტანილ დაფებზე აღნიშნული იყო ის თანხა, რომელიც ლუკულუსმა მეკობრეებთან ომის საწარმოებლად პომპეუსს მისცა და ის თანხაც, რაც მან სახელმწიფო ხაზინაში

შეიტანა. ცალკე იყო აღნიშნული ისიც, რომ თითოეულმა ჯარისკაცმა ცხრა

კრასუსი და პომპეუსი დასცინოდნენ განცხრომასა და ფუფუნებაში ჩაძირულ ლუკულუსს: ამ ასაკის კაცს ნებივრობაში ყოფნა კი არა, სახელმწიფო მოღვაწეობა და სარდლობა შეჰფერისო!

39. მართლაც, ლუკულუსის ცხოვრება შეიძლება შევადაროთ ძველ კომედიას, სადაც ჯერ პოლიტიკური მოღვაწეობისა და გმირის სარდლობის ამბებს ვხვდებით, მერმე კი ღვინის სმას, ღრეობასა და მრავალგვარ ხუმრობა-გართობას ვხედავთ[105]. გართობათა რიგს ვაკუთვნებ მე ლუკულუსის მიერ აგებულ ძვირფას შენობებს, სასეირნო ხეივნებისა და აბანოების მოწყობას და კიდევ უფრო მეტად სურათებს, ქანდაკებებსა და ხელოვნების სხვა ამდაგვარ ნიმუშებს, რომელთაც ლუკულუსი გულმოდგინედ აგროვებდა და რომელთა გულისთვისაც დაუზოგავად ფანტავდა ლაშქრობებში მოხვეჭილ აურაცხელ სიმდიდრეს. აი, დღესაც, როცა ფუფუნებამ საოცარ სიმაღლეს მიაღწია, ლუკულუსის ბაღები კეისართა დიდებულ ბაღებთან ერთად იხსენიება.

ზღვის სანაპიროსა და ნეაპოლის მიდამოებში მან ბევრი რამ გააკეთა; მთებში დიდი გვირაბები გათხარა, ზღვიდან გაიყვანა თევზსაცავი თხრილები, რომელიც მის საცხოვრებელ სახლებს გარს ევლებოდა, და ზღვის პირზე შენობები აღმართა. სტოელი ტუბერონი[106], რომელმაც ყველაფერი ეს საკუთარი თვალით იხილა, ლუკულუსს ტოგაში გამოწყობილ ქსერქსეს[107] ეძახდა.

ტუსკულუმის ახლომახლო ლუკულუსს ჰქონდა აგარაკები, მაღალი კოშკები, საიდანაც ყველაფერი შესანიშნავად ჩანდა, მამაკაცთა მრავალი ღია დარბაზი და სასეირნო ხეივნები. პომპეუსმა, რომელიც ერთხელ იქ იყო, ლუკულუსს უსაყვედურა: საზაფხულოდ მშვენიერი სახლები აგიგია, ზამთარში კი შიგ ყოფნა ყოვლად შეუძლებელიაო. ლუკულუსს ამაზე გაეცინა და უპასუხა: „იქნებ გგონია, წეროებსა და ყარყატებზე ნაკლები ჭკუა მაქვს და წლის დროთა მიხედვით საცხოვრებელ ადგილს არ გამოვიცვლიო?“

ერთხელ ერთმა პრეტორმა, რომელსაც დიდებული სანახაობის მოწყობა ჰქონდა განზრახული, გუნდის მოსაკაზმავად ლუკულუსს მეწამული ფერის ქლამიდები[108] სთხოვა. ლუკულუსმა უპასუხა: ვნახავ და, თუ აღმოჩნდა, რომ მაქვს, მოგცემო. მეორე დღეს მან პრეტორს ჰკითხა: რამდენი გჭირდებაო? პრეტორმა უპასუხა: ასი ცალი მეყოფაო. ლუკულუსმა მას ორჯერ მეტი გაატანა. აი, სწორედ ამაზე ამბობს პოეტი ფლაკუსი[109], იგი სიმდიდრეს არ თვლის სიმდიდრედ, თუ ის ქონება, რომელიც არა ჩანს და რომელზეც პა-

ტრონმა არაფერი იცის, რასაც თვალნათლივ ვხედავთ, იმას არ აღემატებაო.

40. ლუკულუსის ყოველდღიური სუფრა, როგორც ეს ახლად გამდიდრებულ კაცს შეეფერება, ყოველმხრივ დიდებული იყო. იგი ცდილობდა, განცვიფრებაში მოეყვანა უბრალო ხალხი არა მარტო ძოწეულის ძვირფასი ხალიჩებით, ძვირფასი თვლებით მოჭედილი თასებით და ლხინზე შიგადაშიგ გამართული გუნდური ფერხულითა და მუსიკით, არამედ მრავალგვარი ნუგბარ-ნუგბარი საჭმლითა და საგანგებოდ დამზადებული ძვირფასი ნამცხვრებით.

სხვათა შორის, საყოველთაო ქება დაიმსახურა პომპეუსმა იმ სიტყვისათვის, რომელიც ავადმყოფობის ჟამს წარმოთქვა. ექიმმა მას საჭმელად შაშვის ხორცი დაუნიშნა. მსახურებმა განაცხადეს: ზაფხულში შაშვის შოვნა შეუძლებელია, ეს ფრინველი მხოლოდ და მხოლოდ ლუკულუსს ჰყავსო. პომპეუსმა შაშვისათვის ლუკულუსთან წასვლის ნება მსახურებს არ დართო და ექიმს უთხრა: „როგორ? ლუკულუსი რომ განცხრომით არ ცხოვრობდეს, პომპეუსი ვერ იცოცხლებს?“ მან ექიმს სთხოვა, რამე ხელმისაწვდომი საჭმელი დაენიშნა მისთვის[110].

კატონი ლუკულუსის მეგობარი და მოყვარე კაცი იყო, მაგრამ მისი ცხოვრების ნირი ისეთ ბრაზს ჰგვრიდა, რომ ერთხელ, როდესაც სენატში ერთი ახალგაზრდა კაცი სრულიად უდროო დროს გრძელსა და მოსაწყენ სიტყვას ამბობდა უბრალო და თავდაჭერილი ცხოვრების თაობაზე, ფეხზე წამოხტა და ამ ყმაწვილს მიმართა: „ღარ გაათავებ? შენ მდიდარი ხარ, როგორც კრასუსი, ცხოვრობ, როგორც ლუკულუსი და ლაპარაკობ კი, ვით კატონიო!“

ზოგიერთი ამბობს, ეს ნამდვილად ასე იყო ნათქვამი, ოღონდ ამის მთქმელი კატონი არ ყოფილაო.

41. ლუკულუსი ასეთი ნებიერი ცხოვრებით არამარტო კმაყოფილი, გაამაყებულიც იყო. ეს ცხადია შემდეგი ღირსსახსოვარი ამბიდან. ამბობენ, ლუკულუსი მრავალი დღის განმავლობაში ეპატიჟებოდა და უმასპინძლდებოდა საქმეზე რომში ჩამოსულ ბერძნებს. ამათ, ბოლოს და ბოლოს, ბერძნული მოკრძალება გამოიჩინეს, შერცხვათ და მოწვევაზე უარის თქმა დაიწყეს; ასე ეგონათ, ყოველდღიური დიდი ხარჯი მათი მიზეზით იყო გამოწვეული. ლუკულუსმა მაშინ სიცილით უთხრა ბერძნებს: „ზოგიერთი რამ ამ ხარჯიდან, რა თქმა უნდა, თქვენთვისაც კეთდება, ჩემო ბერძნებო, მაგრამ უდიდესი წილი მაინც ლუკულუსისთვისაა განკუთვნილიო“.

ერთხელ ლუკულუსი მარტოდმარტო ვახშმობდა. მას ერთი მაგიდა და უბრალო ვახშამი მიართვეს. გამწყრალმა ლუკულუსმა ამ საქმისათვის დანიშნულ მონას დაუძახა და ლანძღვა დაუწყო. მონამ უპასუხა: რაკიღა მოწვეული არავინ გყავდა, არ მეგონა, თუ ძვირფასი ვახშამი დაგჭირდებოდაო. „რას ამბობ, – შეჰყვირა ლუკულუსმა, – განა არ იცოდი, დღეს ლუკულუსთან ლუკულუსი სადილობდაო?“

როგორც ჩანს, ამის თაობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქალაქში. ერთხელ, როდესაც ლუკულუსი ფორუმზე უქმად დადიოდა, მასთან მივიდნენ ციცერონი და პომპეუსი. ციცერონი მისი დიდი მეგობარი და თითქმის შინაური კაცი იყო. რაც შეეხება პომპეუსს, მართალია, ლუკულუსს მასთან მთავარსარდლის რწმუნების გამო თავის დროზე უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად ხვდებოდა მას და ერთმანეთს მეგობრულად ესაუბრებოდნენ. ციცერონი ლუკულუსს მიესალმა და ჰკითხა: ხომ შეიძლება გეწვიოთო? ლუკულუსმა უპასუხა: დიდად მოხარული ვარ და გთხოვთ მობრძანდეთო. „ჩვენ გვინდა, – უთხრა ციცერონმა, – დღეს შენთან შინაურულად ვისადილოთ; საგანგებო მომზადება საჭირო არაა, რაც შენთვისაა გაკეთებული, იმაზე გადავიდეთო!“ ლუკულუსმა თავი მოიკატუნა და მოითხოვა, ასეთ შემთხვევაში დარბაზობა გადაედოთ. ციცერონმა და პომპეუსმა ლუკულუსს ამაზე უარი უთხრეს და იმ მიზნით, რომ სამზადისზე ბრძანება არ გაეცა, მსახურებთან გამოლაპარაკების საშუალება არ მისცეს. ერთ თხოვნაზე დაეთანხმნენ მხოლოდ, რომ მათი თანდასწრებით თავისი მსახურისათვის ეთქვა: დღეს „აპოლონის დარბაზში“ უნდა ვისადილოთო. აპოლონის დარბაზი კი მის ერთ ერთ უძვირფასეს სასადილო ოთახს ერქვა სახელად. ამით ლუკულუსმა სტუმრებს ეშმაკობაში აჯობა. საქმე ის იყო, რომ მისი ყოველი სასადილო დარბაზისათვის, როგორც ჩანს, დაწესებული იყო განსაკუთრებული ხარჯი და ის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სუფრის თადარიგი. ამიტომ, როცა მონები გაიგებდნენ, თუ სად უნდოდა სადილობა ლუკულუსს, იცოდნენ, რამდენი დაეხარჯათ, როგორ მოერთოთ დარბაზი და, საერთოდ, როგორი თადარიგით მომზადებულიყო სადილი. „აპოლონის დარბაზში“ სადილობა, ჩვეულებრივ, ორმოცდაათი ათასი დინარი ჯდებოდა. აი, ამდენი დაიხარჯა ციცერონისა და პომპეუსის სტუმრობის დროსაც. პომპეუსი და მისი მხლებლები კი მეტისმეტად გააოცა ასეთმა დიდმა ხარჯმა და სუფრის სწრაფმა გაწყობამ.

აი, ასე თავქარიანად ხარჯავდა ლუკულუსი ქონებას. იგი ისე ექცეოდა სიმდიდრეს, როგორც ტყვეებსა და ბარბაროსებს.

42. ყურადღებისა და მოგონების ღირსია, სხვათა შორის, ლუკულუსის ლტოლვა წიგნებისადმი. იგი ბევრ ლამაზად დაწერილ წიგნს აგროვებდა. ამ წიგნების შეძენაზე უფრო მეტად საქები საქმე მაინც ლუკულუსის მიერ მათი გამოყენება იყო. მისი ყველა ბიბლიოთეკა, ამ ბიბლიოთეკების გარშემო მოწყობილი სასეირნო ხეივნები და სამეცადინო ოთახები მუდამ ღია იყო. ლუკულუსი ხალისით ღებულობდა იქ სწავლულ ბერძნებს. ისინიც, მორჩებოდნენ თუ არა სხვა საქმეებს, სიამოვნებით მოდიოდნენ აქ, როგორც მუზების ნავსაყუდელში, და მთელ დღეს ერთმანეთთან საუბარში ატარებდნენ. ხშირად თვითონ ლუკულუსიც ჩამოდიოდა ხეივნებში, ესაუბრებოდა ფილოლოგებს და აქ მოსულ სახელმწიფო მოღვაწეებსაც, თუკი სჭირდებოდათ, დახმარებას უწევდა. ერთი სიტყვით, მისი სახლი ნამდვილი თავშესაფარი იყო რომში ჩამოსული ბერძნებისათვის.

ლუკულუსი თაყვანს სცემდა ფილოსოფიას საზოგადოდ; იგი მის ყოველ მოძღვრებას პატივითა და სიყვარულით ეკიდებოდა; მაგრამ განსაკუთრებით შეიყვარა აკადემიის ფილოსოფია, ოღონდ ეგრეთ წოდებული ახალი აკადემიის ფილოსოფია კი არა, თუმცაღა იგი ფილონის მიერ განმარტებული კარნეადეს თხზულებების წყალობით მაშინ დიდ პატივში იყო, არამედ ძველი აკადემიის ფილოსოფია, რომლის წარმომადგენლად იმ ხანებში შესანიშნავი და დახელოვნებული მჭევრმეტყველი ანტიოქე ასკალონელი ითვლებოდა. ლუკულუსმა იგი დიდი გულმოდგინეობის შედეგად მეგობრად და თავისი წრის კაცად გაიხადა და დაუპირისპირა ფილონის მოწაფეებს, რომელთა რიცხვშიც ციცერონი იყო. ციცერონმა, სხვათა შორის, ამ აკადემიის ფილოსოფიის სისტემაზე შესანიშნავი წიგნი დაწერა, რომელშიც ლუკულუსი ძველი აკადემიის ფილოსოფიის დამცველად გამოჰყავს, თავისი თავი კი ამ ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ. ციცერონის ამ წიგნის სათაურია „ლუკულუსი“[111].

ლუკულუსი და ციცერონი, როგორც ეს ზემოთ ვთქვით, დიდი მეგობრები იყვნენ და ერთ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდნენ. ლუკულუსი მთლიანად არ ჩამოშორებია პოლიტიკურ მოღვაწეობას; მაგრამ პირველობისა და დიდი გავლენის მოპოვებისათვის გამართული პატივმოყვარული მეტოქეობა და ბრძოლა,

როგორც საშიში და ამპარტავნული საქმე, თავიდანვე კრასუსსა და კატონს დაუთმო. როცა ლუკულუსმა პირველობაზე ხელი აიღო, იმ პირებმა, რომელნიც ეჭვისა და შიშის თვალით უყურებდნენ პომპეუსის ძლიერებას, კრასუსი და კატონი სენატის უპირველეს დამცველებად გამოიყენეს.

ლუკულუსი ამიერიდან ფორუმზე მხოლოდ მეგობრების გულისთვისღა ჩამოდიოდა და სენატში მაშინ გამოჩნდებოდა, როცა საჭირო იყო პომპეუსის რაიმე პატივმოყვარე მისწრაფებათა აღკვეთა. მან დაარღვია ის განკარგულებები, რომლებიც პომპეუსმა აზიაში მეფეთა დამარცხების შემდეგ გამოიტანა და კატონის დახმარებით საშუალება არ მისცა მას, გაეტარებინა კანონი ჯარისკაცთათვის მიწების განაწილების თაობაზე. პომპეუსმა მაშინ კრასუსთან და კეისართან შეკრა პირი, უკეთ რომ ვთქვათ, შეთქმულებას მიმართა[112]. მან ქალაქი შეიარაღებული ჯარისკაცებით აავსო, ძალით გაატარა თავისი კანონები და კატონი და ლუკულუსი თავ-თავიანთი მომხრეებით ფორუმიდან გააძევა.

ამ ამბავმა წარჩინებულთა ფენაში დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მაშინ პომპეუსელებმა მოიყვანეს ვიღაც ვეტიუსი და განაცხადეს: ეს კაცი პომპეუსზე ხელყოფის დროს შევიპყარითო. სენატში დაკითხვაზე ამ ვეტიუსმა ბრალი დასდო სხვებს, ხოლო ხალხის წინაშე ლუკულუსი დაასახელა: პომპეუსის მოკვლაზე მაგან წამაქეზაო. ეს არავინ დაიჯერა და მაშინვე აშკარა გახდა, ეს კაცი პომპეუსელთა მიერ იყო მოსყიდული საზიზღარი ცილისწამებისათვის. უფრო მეტად ნათელი შეიქნა ეს ამბავი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ვეტიუსის გვამი ციხიდან გად მოაგდეს. პომპეუსელები ამტკიცებდნენ: ვეტიუსი თავისი სიკვდილით მოკვდაო; მაგრამ მოშთობისა და ცემის ნიშნები, გვამს რომ აჩნდა, აშკარად ხდიდა იმას, რომ ვეტიუსი ვერაგულად იყო მოკლული.

43. ამ ამბავმა კიდევ უფრო ჩამოაცილა ლუკულუსი პოლიტიკას. ხოლო როცა ციცერონი რომიდან გააძევეს და კატონი კიპროსზე გაგზავნეს, მაშინ კი სავსებით ხელი აიღო სახელმწიფო მოღვაწეობაზე.

ამბობენ, სიკვდილის წინ თანდათანობით გონება დაკარგა და სულით დაავადდაო. კორნელიუს ნეპოტი გადმოგვცემს: ლუკულუსი არც სიბერისა და არც ავადმყოფობის მიზეზით არ შერყეულა ჭკუაზე; იგი ერთ ერთი მისი აზატი კალისთენეს მიერ მიცემული წამლის წყალობით შეიშალაო. კალისთენემ ეს წამალი იმი-

ტომ მისცა, რომ ლუკულუსს იგი უფრო მეტად შეჰყვარებოდა; მას თურმე ეგონა, ამ წამალს ასეთი ძალა ჰქონდა; მაგრამ სინამდვილეში წამალმა ლუკულუსი შეარყია და გონება დაუბნელა; ამის გამო, ჯერ კიდევ სიცოცხლეში, ლუკულუსის ქონებას მისი ძმა განაგებდაო[113].

ასე იყო თუ ისე, როცა ლუკულუსი გარდაიცვალა, ხალხი ფრიად შეწუხდა. ისე გეგონებოდა, თითქოს იგი თავისი სარდლობისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ნიჭის გაფურჩქვნის ჟამს გამოსალმებოდა სიცოცხლეს. ყველა გარბოდა მის დაკრძალვაზე და მოითხოვდნენ, ლუკულუსის გვამი, რომელიც კეთილშობილ ახალგაზრდებს ფორუმზე მიჰქონდათ, მარსის ველზე დაესაფლავებინათ, აი იქ, სადაც სულა იყო დაკრძალული. რაკიღა ლუკულუსის სიკვდილი მეტისმეტად მოულოდნელად მოხდა და მარსის ველზე დაკრძალვისათვის მომზადება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ამიტომ ხალხი დაეთანხმა ლუკულუსის ძმას, რომელიც თხოულობდა, გვამი ტუსკულუმის მამულში დაემარხათ, სადაც საამისოდ ყველაფერი მზად იყო.

ამის შემდეგ ლუკულუსის ძმას დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი არც ასაკით და არც სახელით დიდად არ ჩამორჩებოდა ლუკულუსს და ამიტომაც მალე მიჰყვა უკან თავის საყვარელ ძმას.

১১৪১৫১



1. დურისის გადმოცემით, ევმენე კარდიელი[1] ერთი ხერესონესელი ღარიბი მეეტლის შვილი გახლდათ, რომელმაც თავისუფალი კაცისათვის შესაფერი განათლება მიიღო და პალესტრაშიც გაიწაფა[2]. ერთხელ, მის ბავშვობაში, კარდიაში იმყოფებოდა ფილიპე[3] და თავისუფალ დროს ესწრებოდა იქაურ ყრმათა შეჯიბრს პანკრატიონსა[4] და ჭიდაობაში. ევმენემ აქ ისეთი წარმატება, მკვირცხლი გონება და სიმამაცე გამოიჩინა, ფილიპეს მეტისმეტად მოეწონა და თან წაიყვანა. როგორც ჩანს, უფრო სწორი უნდა იყოს სხვათა გადმოცემა, რომლებიც ამბობენ: ფილიპე სტუმართმასპინძლობით იყო დაკავშირებული ევმენეს მამასთან და ამიტომ წაიყვანა თან მისი შვილიო. ფილიპეს სიკვდილის შემდეგ, რაკი ყველამ მიიჩნია, რომ ალექსანდრეს[5] გარშემო დარაზმულ ვაჟკაცებს ევმენე არც გონიერებით და არც ერთგულებით არ ჩამოუვარდებოდა, იგი სამეფო კარის მთავარ მდივნად გამოაცხადეს, მაგრამ პატივი ისეთივე ჰქონდა, როგორც მეფის მეგობრებსა და მახლობლებს. მერმე ლაშქრის ნაწილი ჩააბარეს და სარდლის ჩინით ინდოეთს მიავლინეს; ხოლო როცა ჰეფესტიონი გარდაიცვალა და მისი თანამდებობა პერდიკას მისცეს, პერდიკას ნაცვლად მთელი ცხენოსანი ჯარის მეთაურად დანიშნეს[6]. ამის გამო მაკედონელები, რომლებმაც იცოდნენ, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად რომ მეფემ ევმენე თავისი მოყვრობის ღირსიც გახადა, ჩუმ ჩუმად დასცინოდნენ არქიიპასპისტს[7] ნეოპტოლემეს, ვინც ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ხშირად ამბობდა: მე ფარითა და შუბით ვახლდი ხოლმე მეფეს, ევმენე კი საწერი ჩხირებით და ფირფიტებით დასდევდაო. პირველი ქალი, რომელიც ალექსანდრემ აზიაში გაიცნო, არტაბაძოსის ასული ბარსინე გახლდათ. ამ ქალისაგან მას ჰყავდა ვაჟი, სახელად ჰერაკლე. როცა ალექსანდრემ თავის მეგობრებს შესაუღლებლად სპარსთა ასულები

დაუნაწილა, ბარსინეს ერთი და, აპამა, პტოლემეს მისცა, მეორე კი, რომელსაც სახელად ასევე ბარსინე ერქვა, ევმენეს უბოძა.

2. მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, ალექსანდრე ხშირად ჯავრობდა მასზე და ჰეფესტიონის გამო კიდეც გაურისხდა. ერთხელ ჰეფესტიონმა ფლეიტაზე დამკვრელ ევიოსს გადასცა სახლი, რომელიც მონებს ევმენესათვის ჰქონდათ დაქირავებული. გაბრაზებული ევმენე მენტორთან[8] ერთად ალექსანდრეს მივარდა და ყვირილი მორთო: როგორც ჩანს, გაცილებით უკეთესია, იარაღი დაჰყაროს კაცმა და ფლეიტაზე დაკვრას ან ტრაგედიაში თამაშს მიჰყოს ხელიო! ალექსანდრემ მაშინ ევმენეს მხარი დაუჭირა, გაწყრა და ჰეფესტიონი კარგად გამოლანძღა. მაგრამ სულ ჩქარა აზრი შეიცვალა და ახლა ევმენე შერისხა: შენი საქციელით ჰეფესტიონის გულწრფელი გამომჟღავნება კი არა, ჩემი შეურაცხყოფა გინდოდაო! ერთხელ კიდევ აი, რა მოხდა. ალექსანდრე ნეარქეს ხომალდებით შორეულ ნაოსნობაში აგზავნიდა, მაგრამ რაკი სამეფო ხაზინა იმ დროს დაცარიელებული იყო, საჭირო ფული მეგობრებს სთხოვა. ევმენემ, რომელსაც სამასი ტალანტი მოსთხოვა, სიძუნწე გამოიჩინა და მხოლოდ ასი მისცა: ესეც ძლივძლივობით შევაგროვე ჩემი მმართველების მეშვეობითო. ალექსანდრე არ შესდავებია, მაგრამ მისი ფული არ აიღო, მონა ბიჭებს კი უბრძანა, ევმენეს კარვისათვის ჩუმად ცეცხლი წაეკიდებინათ და, როცა იქიდან ფულის გამოტანას დაიწყებდნენ, ცრუპენტელა ტყუილში დაეჭირათ. მოხდა ისე, რომ კარავი უფრო ადრე დაიწვა, ვიდრე იქიდან რაიმეს გამოტანას მოასწრებდნენ. ალექსანდრე მეტისმეტად შეწუხდა ამ კარავში შენახული მიმოწერის განადგურების გამო, მაგრამ შიგ აღმოჩნდა ცეცხლში გადამდნარი ათასზე მეტი ტალანტის ოქრო და ვერცხლი. ალექსანდრემ არაფერი არ აიღო, ოღონდ ყველა სატრაპსა და სარდალს მისწერა, განადგურებული საბუთების პირები გამოეგზავნათ, ევმენეს კი ყველა ასლის მიღება უბრძანა.

ერთხელაც ევმენე რაღაც საჩუქრის გამო წაეკინკლავა ჰეფესტიონს, ბევრი ავი სიტყვა უთხრა, ბევრიც მას აკადრეს, მაგრამ ამ დავაში გამარჯვება მაინც მას ხვდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჰეფესტიონი გარდაიცვალა, დიდად დამწუხრებულმა მეფემ მრისხანე თვალით დაუწყო ცქერა ყველას, ვისაც, მისი აზრით, სიცოცხლეში შურდა ჰეფესტიონის და ვისაც მისი სიკვდილი გაუხარდა. ყველაზე მეტი ეჭვი ევმენეზე მიიტანა და ხშირად საყვედურით მოაგონებდა ჰეფესტიონთან მის წარამარა დავასა და კინკლაობას. მოხერხ-

ებულმა და დარწმუნებაში დახელოვნებულმა ევმენემ სცადა თავის გადასარჩენად გამოეყენებინა ის, რაც დაღუპვას უქადდა. იცოდა რა ალექსანდრეს მეგობრული განწყობილება ჰეფესტიონის მიმართ, გადაწყვიტა დიდი პატივი ეცა მიცვალებულისათვის და ჰეფესტიონის დასაკრძალავად დაუზოგავად გაიღო საკმაოდ დიდი თანხა.

3. როცა ალექსანდრე გარდაიცვალა, მაკედონურ ფალანგასა და მეფის მეგობრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა[9]. ევმენე გულში პირველს უჭერდა მხარს, სიტყვით კი აცხადებდა: ჩემთვის, როგორც უცხოური წარმოშობის კაცისთვის, ორივე მხარე ერთია და მაკედონელთა დავაში ვერ ჩავერევიო. ცოტა ხნის შემდეგ მეფის მეგობრები ბაბილონიდან გაემგზავრნენ, ევმენე კი ქალაქში დარჩა, თითქმის მთელი ფეხოსანი ლაშქარი დაამშვიდა და მეფის ახლობლებთან შერიგებაზე დაიყოლია. როცა შფოთი ჩაცხრა და სარდლები ერთმანეთს შეხვდნენ, სასატრაპოებისა და უმაღლეს სამხედრო თანამდებობათა განაწილებას შეუდგნენ. ევმენეს წილად ხვდა კაპადოკია, პაფლაგონია და პონტოს ზღვის გაყოლებაზე მდებარე ქვეყნები ტრაპეზუნტამდე. ეს მხარე ჯერ კიდევ არ იყო მაკედონელთა გამგებლობაში და იქ არაარათე მეფობდა. საჭირო იყო ლეონატესა და ანტიგონეს[10] დიდი მხედრობით ჩაეყვანათ ევმენე და ამ ქვეყნის სატრაპად გამოეცხადებინათ. მაგრამ ანტიგონე პერდიკას ბრძანებებს არ ემორჩილებოდა, დიად საქმეებზე ოცნებობდა და ყველას აგდებით უყურებდა; ლეონატე კი ფრიგიაში ჩავიდა, რათა ევმენეს ჯარით მიშველებოდა. სწორედ ამ დროს კარდიელთა ტირანმა ჰეკატემ ლეონატეს სთხოვა, უწინარეს ყოვლისა, ანტიპატრესა და ლამიაში[11] ალყაშემორტყმულ მაკედონელებს დახმარებოდა. ლეონატე ევროპაში გადასასვლელად გაემზადა და ევმენეც დაარწმუნა, მას გაჰყოლოდა. ლეონატეს სურდა, ევმენე ჰეკატესთან შეერიგებინა. საქმე ის გახლდათ,რომ ევმენე და ჰეკატე სახელმწიფოებრივი უთანხმოების გამო კარგა ხანია ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ევმენე ხშირად და აშკარად სდებდა ხოლმე ბრალს ჰეკატეს და ალექსანდრეს მოუწოდებდა კარდიელებისათვის თავისუფლება დაებრუნებინა. ამის გამო მაშინ ევმენემ ბერძნების წინააღმდეგ ლაშქრობაზე უარი თქვა: ვშიშობ, ანტიპატრემ, რომელსაც იმთავითვე ვძულვარ, ჰეკატეს გულის მოსაგებად არ მომკლასო. ლეონატემ დაუჯერა და ყველა თავისი ზრახვა გაუმჟღავნა: ჩემგან ალყაში მყოფთა დახმარების გაწევა მხოლოდ ცარიელი დაპირება და საბაბია, სინამდვილეში კი განზრახული მაქვს, როგორც კი გადავალ ევროპაში, მაკედონია დავიმორჩილოო. ამასთან ერთად ლეონატემ

ევმენეს უჩვენა კლეოპატრას[12] რამდენიმე წერილი. ამ წერილებში კლეოპატრა ლეონატეს პელაში[13] იწვევდა და ცოლობას სთავაზობდა. ანტიპატრეს შიშით, თუ იმის გამო, რომ ვერ ენდო თავქარიან, მერყეევსა და მოუფიქრებელი მისწრაფებებით გატაცებულ ლეონატეს, ევმენე თავისი ქონებით ღამით ბანაკიდან აიყარა. მას ჰყავდა სამასი ცხენოსანი, ორასი შეიარაღებული მონა და ჰქონდა ოქრო, რომლის ფასიც ხუთი ათასი ტალანტის ღირებულების ვერცხლს შეესაბამებოდა. მთელი ამალით ევმენემ პერდიკას მიაშურა და ლეონატეს ზრახვები აუწყა. პერდიკამ მას მყისვე დიდი ძალა და პატივი მიანიჭა და ერთ ერთ მრჩევლად გაიხადა.

გამოხდა ხანი და ევმენე დიდი მხედრობით, რომელსაც თვითონ პერდიკა სარდლობდა, კაპადოკიაში ჩაიყვანეს, ხოლო არიარათეს დატყვევებისა და ქვეყნის დამორჩილების შემდეგ სატრაპად დანიშნეს. ევმენემ იქაური ქალაქები თავის მეგობრებს დაუნაწილა, შიგ მცველები ჩააყენა და, რაკი პერდიკა ამ საქმეებში არ ერეოდა, საკუთარი სურვილის მიხედვით მოსამართლეები და გამგებლები დანიშნა. ამის შემდეგ ევმენემ კაპადოკია დატოვა და პერდიკას გაჰყვა, რათა მისთვის მხარი დაემშვენებინა. თანაც არ სურდა, მაკედონიის სამეფო კარს მოსწყვეტოდა.

4. პერდიკა დარწმუნებული გახლდათ, განზრახულს თვითონვე შეასრულებდა, მაგრამ მიტოვებულ მხარეებში რომ ფხიანი და ერთგული მცველი იყო საჭირო, ამასაც კარგად გრძნობდა. ამიტომ ევმენე კილიკიიდან უკან დააბრუნა, ვითომდა სასატრაპოს სამართავად, სინამდვილეში კი სურდა, ხელში ჰყოლოდა მეზობლად მდებარე სომხეთი, რომელიც ნეოპტოლემემ შფოთის ბუდედ აქცია. ევმენემ, უწინარეს ყოვლისა, სცადა ზვიადი და თავქარიანი ნეოპტოლემე თავაზიანი ურთიერთობითა და საუბრით დაეწყნარებინა. მერმე, როცა მაკედონელთა გაყოყოჩებული და გათავხედებული ფალანგა იხილა, მის საპირისპიროდ ცხენოსანი ჯარის მომზადებას შეუდგა. ამ მხარის მკვიდრნი, ვისაც ცხენზე ჯდომა შეეძლო, ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლა. თავისიანებს კი, რომელთაც ენდობოდა, საკუთარი სახსრებით ნაყიდ ცხენებს ურიგებდა, პატივისცემითა და უხვი საჩუქრებით მხნეობას ჰმატებდა და სხეულის გასაკაჟებლად განუწყვეტლივ ავარჯიშებდა. მაკედონელთა ნაწილი გაოცებული იყო, ნაწილმა კი სიმამაცის ფრთა შეისხა, როცა დაინახეს, რომ ევმენემ სულ მოკლე ხანში ექვსი ათას სამასამდე მხედარი შემოიკრიბა.

5. ამასობაში კრატერემ[14] და ანტიპატრემ დაამარცხეს ბერძნები და პერდიკას ძალაუფლების დასამხობად აზიაში გადავიდნენ. სწრაფად გავრცელდა ხმა: მათ კაპადოკიაში შეჭრა აქვთ განზრახულიო. პერდიკამ, რაკი თვითონ პტოლემეს ეომებოდა[15], სომხეთსა და კაპადოკიაში მყოფი ძალების სარდლად ევმენე დანიშნა და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა. ამის თაობაზე მან წერილები დაგზავნა, რომელთა მეშვეობითაც ალკეტასა[16] და ნეოპტოლემეს უბრძანებდა, ევმენეს დამორჩილებოდნენ, ევმენეს კი ურჩევდა, საქმე საკუთარი სურვილის მიხედვით წარემართა. ალკეტამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე აშკარა უარი განაცხადა: ჩემს გამგებლობაში მყოფ მაკედონელებს ანტიპატრესთან ბრძოლა რცხვენიათ, ხოლო რაც შეეხება კრატერეს, ისე უყვართ ეს კაცი, რომ მზად არიან, სიხარულით მიიღონო. ნეოპტოლემეც აღარ მალავდა, რომ ევმენეს უღალატა. როცა ევმენემ ბრძანება გაუგზავნა, მასთან გამოცხადებულიყო, არ დაემორჩილა და მის წინააღმდეგ თავისი ძალები დარაზმა. ევმენემ მაშინ პირველად იგემა თვისი წინდახედულობისა და თადარიგიანობის ნაყოფი. საქმე ის გახლდათ, რომ მისი ქვეითი ჯარი ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ მხედართა შემართების წყალობით ნეოპტოლემე უკუაქცია და მთელი მისი აღალი ხელთ იგდო. მტრის დევნის დროს მიმოფანტულ თავის ფეხოსნებს ევმენემ დიდი გარჯით თავი მოუყარა, იარაღი დააწყობინა და აიძულა, ფიცი დაედოთ, რომ მასთან ერთად იბრძოლებდნენ.

ნეოპტოლემემ უკუქცევის დროს რამდენიმე კაცი შეკრიბა და კრატერესა და ანტიპატრესთან გაეშურა. ამათ კი ევმენესთან უკვე ელჩები გაეგზავნათ და სთხოვდნენ, მათ მხარეზე გადასულიყო; სამაგიეროდ, ჰპირდებოდნენ, რომ შეუნარჩუნებდნენ ყველა სასატრაპოს, რომელსაც განაგებდა და დამატებით გადასცემდნენ ახალ ლაშქარსა და სამფლობელოს. ამ პირობის ძალით ანტიპატრესთან მტრობა მეგობრობად შეეცვლებოდა, ხოლო კრატერე, ვინც მისი მეგობარი იყო, მტრად აღარ გადაექცეოდა. როცა ევმენემ შეთავაზებული პირობები მოისმინა, ასეთი პასუხი გასცა: „მე დიდი ხანია ანტიპატრეს მტერი ვარ და ახლა მეგობრად ვერ გავუხდები, მით უმეტეს, ვხედავ, იგი თავის მეგობრებს მტრებივით ექცევა. რაც შეეხება კრატერეს, მზად ვარ, იგი პერდიკას შევახვედრო და ეს ორი ვაჟკაცი თანაბარი და სამართლიანი პირობებით შევარიგო. თუ რომელიმე მათგანი პატივმოყვარეობას გამოიჩენს და პირობას დაარღვევს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უსამართლოდ განაწყენ-

ებულს დავეხმარები და უმალ სიცოცლეს შევწირავ, ვიდრე სიმართლეს ვუღალატებო".

6. როცა ეს პასუხი მოისმინეს, ანტიპატრე და მისიანები გულდასმით შეუდგნენ მთელი არსებული ვითარების განხილვას. სწორედ ამ დროს მათთან გამოცხადდა უკუქცეული ნეოპტოლემე, დამხვდურთ ბრძოლის შედეგი ამცნო და დახმარება სთხოვა: კარგი იქნება, თუ ორივე, ანტიპატრეც და კრატერეც, დამეხმარება, მაგრამ კრატერეს შემწეობა კი აუცილებელია; მაკედონელებს იგი განსაკუთრებით უყვართ, საკმარისია მისი ფართოფარფლებიანი თავსარქმელი[17] იხილონ, ანდა მისი ხმა გაიგონონ, რომ მყისვე იარაღი აისხან და მასთან გაეშურონ. კრატერეს, მართლაც, დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ძალზე ბევრსა სურდა, სწორედ იგი ეხილათ მბრძანებლად. ყველას ახსოვდა, თუ რა ხშირად იმსახურებდა იგი ქვეშევრდომთა მიზეზით ალექსანდრეს რისხვას, როცა შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა მაკედონელთა მთავარსარდლის მისწრაფებას, ყველგან სპარსული ჩვეულებები დაენერგა. კრატერე თავგამოდებით იცავდა ხოლმე სპარსული ყოყოჩობითა და ფუფუნებით შებღალულ მამაპაპისეულ ადათებს[18]

კრატერემ ანტიპატრე კილიკიაში გაგზავნა, თვითონ კი ლაშქრის დიდ ნაწილს ჩაუდგა სათავეში და ნეოპტოლემესთან ერთად ევმენეს წინააღმდეგ დაიძრა. იგი იმედოვნებდა, რომ მტრის ჯარს, რომელიც ახლახან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაქსაქსული და ლხინს გადაყოლილი იქნებოდა, ანაზდეულად დაესხმოდა თავს.

ევმენემ რომ წინასწარ იგრძნო კრატერეს მოახლოება და საამისოდ თადარიგიც დაიჭირა, ეს სარდლისთვის დამახასიათებელი სიფხიზლე გახლდათ და არა რაღაც სასწაული. ევმენე მტერსაც ატყუებდა, არ აძლევდა საშუალებას გაეგო ის, რაც საქმეს ავნებდა, და თავის მეომრებსაც არ უმჟღავნებდა, თუ ვისთან უნდა ებრძოლათ.

ისინი კრატერეს ჯარს ისე შეებნენ, რომ არ უწყოდნენ, ვინ იყო ამ ჯარის სარდალი. აი ამ საქმეშიც, ვფიქრობ, დიდი და ნიჭიერი წინამძღოლის ხელოვნება უნდა დავინახოთ. ევმენემ წინასწარ ხმა დაარხია, ნეოპტოლემე დაბრუნდა უკან პიგრეტთან ერთად და თან კაპადოკიელთა და პაფლაგონელთა მხედრობა მოჰყავსო.

ევმენეს განზრახული ჰქონდა, ბანაკიდან ღამით აყრილიყო. სანამ ამ საქმეს შეუდგებოდა, ღონის მოსაკრებად თავი ძილს მისცა და საოცარი სიზმარი იხილა. ეზმანა ორი ალექსანდრე, რომლებიც თავთავი-

ანთ ფალანგებს წინამძღოლობდნენ და ერთმანეთთან შესარკინებლად ემზადებოდნენ, მერმე ერთი მათგანის დასახმარებლად ღმერთქალი ათენა მობრძანდა, მეორის დასახმარებლად კი – ღმერთქალი დემეტრე. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. ათენას შემწეობის ქვეშ მყოფი ალექსანდრე დამარცხდა, ხოლო გამარჯვებულს ღმერთქალმა დემეტრემ ახლად მოჭრილი თავთავებისაგან გვირგვინი დაუწნა. ევმენემ სიზმარი მაშინვე თავის სასარგებლოდ ახსნა: იგი ხომ იბრძოდა საუკეთესო მიწისათვის, რომელიც სწორედ იმ დროს ტურფად იყო გადაბიბინებული მწიფე პურის თავთავებით. მთელი მიდამო ნათესებით გახლდათ მოფენილი და საამოდ აღაღანებული ნოყიერი მინდვრები ადამიანის თვალს მშვიდობიანი და ლაღი ცხოვრების სურათს სთავაზობდა. ევმენეს კიდევ უფრო შეემატა მხნეობა, როცა გაიგო, მტრის დათქმული ნიშანი „ათენა და ალექსანდრე“ იყო. მაშინ მან თავის პირობით ნიშნად „დემეტრე და ალექსანდრე“ გამოაცხადა და ჯარისკაცებს უბრძანა, თავზე პურის თავთავების გვირგვინი დაედგათ და იარაღიც თავთავებით შეემკოთ. მან ბევრჯერ მოინდომა, სარდლებისა და მეთაურებისათვის გაემხილა, თუ ვისთან მოუხდებოდათ ბრძოლა; არ სურდა მარტო მას სცოდნოდა საიდუმლო, რომლის დაცვასაც მდგომარეობა აიძულებდა, მაგრამ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ უღალატა და საფრთხის წინაშე მხოლოდ საკუთარ ჭკუას მიენდო.

7. კრატერესთან საბრძოლველად ევმენემ არც ერთი მაკედონელი არ გაუშვა. მის წინააღმდეგ მან გაგზავნა უცხოელთაგან შემდგარი ორი ცხენოსანი რაზმი, რომელთაც არტაბაზეს შვილი ფარნაბაზოსი და ფენიქს ტენედოსელი მეთაურობდნენ. ევმენემ მათ უბრძანა, როგორც კი დაინახავდნენ მტერს, მყისვე თავს დასხმოდნენ, ბრძოლა გაეჩაღებინათ და ისე გაედევნათ მოწინააღმდეგე, უკან მოხედვის საშუალება არ მიეცათ. ამასთან მტრის არავითარი მოწოდებისათვის ყური არ დაეგდოთ და მისი არც ერთი ელჩი ახლოს არ გაეკარებინათ. ევმენე ძალზე შიშობდა, მაკედონელებს კრატერე არ ეცნოთ და მის მხარეზე არ გადასულიყვნენ, ამიტომ მარჯვენა ფრთისაკენ გაეშურა, რათა ნეოპტოლემეს შებმოდა. როცა გამოჩნდნენ ველის შუაგულში აღმართული გორაკიდან მომავალი ევმენეს მხედრები, რომლებიც სწრაფად და მთელი აღტყინებით მტერთან შესახვედრად მოქროდნენ, გაოცებულმა კრატერემ ნეოპტოლემე საშინლად გაკიცხა და საყვედურით აავსო: შენ მე მომატყუე და მაკედონელთა ღალატი დამიმალეო. მან თავის მეთაურებს უბრძანა, მხნედ ყოფილიყვნენ და თვითონაც მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა.

პირველი შეხლა ისეთი უეცარი და ცხარე გახლდათ, მეომრებს შუბები მყის დაელეწათ და ხმლებით გააჩაღეს ბრძოლა. კრატერემ ალექსანდრეს სახელი როდი შეარცხვინა. მან მრავალი დასცა ძირს, მრავალიც უკუაქცია, მაგრამ ბოლოს გვერდიდან ერთი თრაკიელი მხედარი გამოუხტა და მთელი ძალით დაჰკრა მახვილი. კრატერე ცხენიდან ჩამოვარდა. მიწაზე განრთხმულს მრავალმა მხედარმა ჩაუქროლა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეამჩნია. მხოლოდ ევმენეს ერთმა სარდალმა, გორგიამ იცნო იგი. გორგია მაშინვე ჩამოქვეითდა და უკვე სულთმობრძავ კრატერეს მცველები დაუყენა.

სწორედ ამ დროს ნეოპტოლემე ევმენეს ეკვეთა. მათ ძველი ზიზღი და რისხვა ამოქმედებდათ, მაგრამ პირველ ორ შეტაკებაში ერთმანეთი ვერ შეამჩნიეს; ხოლო ახლა, ამ მესამე ბრძოლის ჟამს, როგორც კი დალანდეს ერთიმეორე, მაშინვე მახვილები იშიშვლეს და ყიჟინით პირისპირ შესახვედრად გაიჭრნენ. როცა მათი რაშები, ვით ორი ტრიერი[19], საშინელი ძალით შეეჯახნენ, მხედრებმა აღვირებს ხელი უშვეს, ერთმანეთს ჩაეჭიდნენ და ერთიმეორისათვის ცუზარადის ჩამოგლეჯასა და მხრებთან ჯავშნის გახევას ცდილობდნენ. ამ ჭიდილში ცხენები თავიანთ პატრონებს გამოუსხლტნენ და ორივე მხედარი ძირს ჩამოაგდეს. მიწაზე დაცემულები კიდევ უფრო ძლიერად ჩაებღაუჭნენ ერთმანეთს და ბრძოლა განაგრძეს. ნეოპტოლემემ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ევმენემ მუხლი გადაუმსხვრია და თვითონ დაასწრო ფეხზე დადგომა. მუხლგადამტვრეული ნეოპტოლემე ჯანსაღ მუხლს დაეყრდნო და მამაცურად იცავდა თავს, მაგრამ მის დარტყმებს დიდი ზიანის მიყენება აღარ შეეძლო. ბოლოს კისერში დაიჭრა, დაეცა და მიწაზე განერთხო. რისხვითა და ძველი სიძულვილით ანთებულმა ევმენემ მიწაზე განრთხმულს იარაღის აყრა და ლანძღვა გინება დაუწყო. ნეოპტოლემემ მას ჯავშნის ქვემო ნაწილში აძგერა მახვილი, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, და საზარდულთან დაჭრა. მომაკვდავის სუსტმა დარტყმამ უფრო მეტად შეაშინა ევმენე, ვიდრე დააზიანა. აჰყარა თუ არა მკვდარს იარაღი, ბარძაყებსა და მკლავებზე მიღებული მრავალი ჭრილობის გამო თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცხენს მოახტა და მეორე ფრთისაკენ გაქუსლა, სადაც, მისი აზრით, მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო. აქ მან კრატერეს აღსასრული შეიტყო და მასთან გაქანდა. დაინახა თუ არა სულთმობრძავი, მაგრამ ჯერ კიდევ გონებაზე მყოფი კრატერე, მაშინვე ჩამოქვეითდა, მომაკვდავს მწარე ტირილით მარჯვენა ხელი გაუწოდა და ნეოპტოლემეს ათასი

წყევლა კრულვა გაუგზავნა. ევმენე დასტიროდა კრატერეს ბედს და საკუთარ ხვედრს, რომელმაც აიძულა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ეგზომ ახლობელ კაცსა და მეგობარს.

8. ეს ბრძოლა ევმენემ მოიგო პირველი გამარჯვებიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ[20]. ხოლო რაკი იგი სიბრძნისა და მამაცობის წყალობით მიიყვანა სასურველ შედეგამდე, დიდი სახელი მოიხვეჭა. მაგრამ ამასთან ერთად შური და სიძულვილიც დაიტეხა თავს როგორც მოკავშირეთა, ისე მტრების მხრივ: ამ მოთრეულმა გადამთიელმა პირველსა და ყველაზე წარჩინებულ მაკედონელს მაკედონელებისავე იარაღით და ხელით მოუსპო სიცოცხლეო. პერდიკას რომ კრატერეს დაღუპვის ამბის შეტყობა მოესწრო, პირველ ადგილს მაკედონელებში იგი დაიკავებდა და არა სხვა ვინმე, მაგრამ პერდიკა მოკლეს ეგვიპტეში აფეთქებული აჯანყების დროს, სწორედ ორი დღით ადრე, სანამ მის ბანაკში ევმენესთან ბრძოლის ამბავი მიაღწევდა. განრისხებულმა მაკედონელებმა ევმენეს მაშინვე სიკვდილი მიუსაჯეს და მის წინააღმდეგ გადაწყვეტილი ომის სარდლობა ანტიგონესა და ანტიპატრეს მიანდეს.

ევმენე ამ დროს იდეს მთაგრეხილთან[21] სამეფო რემას წააწყდა და იქიდან წაიყვანა ცხენები, რამდენიც სჭირდებოდა, ზედამხედველებს კი ამის თაობაზე ხელწერილი გაუგზავნა. ამბობენ, როცა ეს ამბავი გაიგო, ანტიპატრემ გაიცინა და თქვა: მაკვირვებს ევმენეს წინდახედულობა; მას იმედი აქვს, რომ შეუძლია სამეფო ქონების სარგებლობისათვის ანგარიში ჩაგვაბაროს და თვითონაც მოგვთხოვოს იგიო.

ევმენემ გადაწყვიტა, ბრძოლა გაემართა ლიდიის ველზე სარდეს მახლობლად, ვინაიდან მტერს ცხენოსანი ჯარით აღემატებოდა და თან დიდი სურვილი ჰქონდა, კლეოპატრასთვის თავისი ძალები ეჩვენებინა. მაგრამ კლეოპატრამ, რომელსაც ანტიპატრეს მხრივ ბრალდებისა ეშინოდა, დაჟინებით სთხოვა: აქ ნუ იბრძოლებო. მაშინ ევმენე ზემო ფრიგიაში წავიდა და გამოსაზამთრებლად კელენესთან[22] დაბანაკდა. აქ მას მთავარსარდლობის გამო დავა გაუმართეს ალკეტამ, პოლემონმა და დოკიმოსმა. ევმენემ მათ უთხრა: „თქვენ საქციელზეა ნათქვამი: ზოგიერთს ფეხებზე ჰკიდია, რაც მოხდებაო“.

ევმენე ჯარისკაცებს შეჰპირდა, რომ სამ დღეში დათქმულ ქირას გადაუხდიდა. მალე მათ მიჰყიდა იმ მხარის სოფლები და სიმაგრენი, რომლებიც მონებითა და პირუტყვით იყო სავსე. მყიდველი, იქნებო-

და ეს მაკედონური რაზმის მეთაური თუ დაქირავებულ მეომართა უფროსი, ევმენესაგან იარაღსა და საალყო მანქანებს ღებულობდა და საყიდლად დანიშნულ ადგილს გარს ერტყმოდა. ამ გზით მოპოვებულ ნადავლს, კუთვნილი ქირის შესაბამისად, ჯარისკაცები ერთმანეთში ინაწილებდნენ. ასეთი ხერხის წყალობით, ევმენემ კვლავ დიდი სიყვარული დაიმსახურა და, როცა ბანაკში მტრის სარდალთა მიერ შემოგზავნილი წერილები აღმოჩნდა, რომლებშიც ას ტალანტსა და პატივს ჰპირდებოდნენ მას, ვინც ევმენეს მოკლავდა, მაკედონელები საშინლად აღშფოთდნენ. მათ სასწრაფოდ გადაწყვიტეს, გამოეყოთ მეთაურთა შემადგენლობიდან ათასი კაცი, რომლებიც მორიგეობით დაიცავდნენ ევმენეს დღისით საქმიანობის დროს და ღამესაც გაუთევდნენ. მცველებად არჩეულები უყოყმანოდ დამორჩილდნენ გადაწყვეტილებას და სიხარულით იღებდნენ ევმენესაგან იმ პატივსა და წყალობას, რომელთაც მეფეებისაგან ღებულობენ ხოლმე ჩვეულებრივ მათი ახლო მეგობრები. ევმენეს უფლება ჰქონდა, გაებოძებინა მეწამული თავსარქმლები და ქლამიდები, სწორედ ის საგნები, რომლებიც ყველაზე მეფურ საჩუქრად ითვლება მაკედონელებში.

9. ბედის წყალობა და წარმატება პატარა ბუნების კაცსაც ამაღლებს ერთგვარად. როცა იგი საჩინო ადგილიდან დაუწყებს ჭვრეტას საკუთარ თავს, ბედნიერება დიდებულებისა და ღირსების გრძნობასაც უნერგავს. მაგრამ ჭეშმარიტი დიდსულოვნება და სიმტკიცე წარუმატებლობისა და უბედურების გადატანის ჟამს გამომჟღავნდება ხოლმე. ამის სანიმუშო მაგალითი ევმენე გახლავთ.

ჯერ იყო და ღალატის წყალობით ანტიგონემ დაამარცხა იგი კაპადოკიელი ორკინიების სამკვიდრებელთან. ევმენე, მართალია, გაიქცა, მაგრამ მოღალატეს მტერთან გადასვლის საშუალება როდი მისცა: მან იგი შეიპყრო და ხეზე ჩამოკიდა. მერმე მტრისგან შეუმჩნევლად შემობრუნდა, მოწინააღმდეგეს გვერდი უქცია და სხვა გზით კვლავ იმ ადგილთან მივიდა, სადაც ცოტა ხნის წინ ბრძოლა მოხდა. აქ ევმენემ ბანაკი დასცა და დახოცილ მეომართა გვამები შეკრიბა. შემდეგ მახლობელი სოფლების სახლებს დაუარა, ყოველ მათგანს კარები ჩამოხსნა და მათი საშუალებით გვამთა დასაწვავად კოცონი გააჩაღა. მეთაურთა გვამები მან ცალკე დაწვა, რიგითი ჯარისკაცებისა კი – ცალკე. მერმე ორი ტაგრუცი აღმართა და უკან გაბრუნდა. როცა აქ ანტიგონე მოვიდა, იგი გაოცებული დარჩა ევმენეს სიმამაცითა და ვაჟკაცობით.

ცოტა ხნის შემდეგ ევმენე ანტიგონეს აღალს წააწყდა. მას სულ

ადვილად შეეძლო მტრის მრავალი თავისუფალი თუ მონა ჯარისკაცი ჩაეგდო ხელთ და გაუთავებელი ომებით და ძარცვა გლეჯით მოხვეჭილ სიმდიდრეს დაჰპატრონებოდა, მაგრამ შეშინდა: მოპოვებული ნადავლი მის მეომრებს დაამძიმებდა, უკან დახევაში ხელს შეუშლიდა და მოუქნელებს გახდიდა. ისინი ველარ გაუძლებდნენ გამუდმებულ წანწალსა და გაჭიანურებულ ომს, რომლის იმედიც მას ჰქონდა; იგი სწორედ ამ გზით ვარაუდობდა ანტიგონეს თავიდან მოცილებას. მაგრამ რა დაინახა, ვერაფრით ვერ აიძულებდა მაკედონელებს, არ შეხებოდნენ იმ განძს, რომელიც თითქმის უკვე ხელთ ჰქონდათ, ჯარისკაცებს უბრძანა, ჯერ თავი წესრიგში მოეყვანათ, ცხენებისათვის საკვები მიეცათ და მერმე დაძრულიყვნენ მტრის წინააღმდეგ. თვითონ კი აღალის მეთაურ მენანდრეს, თითქოს მისი მეგობარი და ახლობელი ყოფილიყო, საგანგებოდ გაგზავნილი კაცის პირით შეუთვალა: გაფრთხილდი და თავდასხმისათვის მისაწვდომ მაგ დაბლობიდან დაუყოვნებლივ შეაფარე თავი მახლობლად მდებარე ფერდობს, რომელსაც ჩემი მხედრები ვერ მიუდგებიან და ვერც ალყას შემოგარტყამენო. როცა მენანდრე მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა და თავისი ბარგით დაკავებული ადგილიდან აიყარა, ევმენემ ყასიდად გაგზავნა მზვერავები, ჯარისკაცებს კი უბრძანა, იარაღი აესხათ და ცხენებზე ამხედრებულიყვნენ, თითქოს უკვე აპირებდა მტერზე თავდასხმას. მაგრამ მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: მენანდრეს კაცი ვერ მიეკარება, ისეთი მიუვალი ადგილისათვის შეუფარებია თავიო. ევმენემ ამის გაგონებაზე თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძალზე შეწუხდა და ჯარს უკან დაახევინა. მენანდრემ, როგორც ამბობენ, ეს ამბავი ანტიგონეს აუწყა. მაკედონელებმა მაშინ ევმენეს ქება დაუწყეს და მისდამი მეგობრული გრძნობით განიმსჭვალნენ: ამ კაცმა ჩვენი ცოლ შვილი დაზოგა, ჩვენს ბავშვებს მონის ხვედრი არ არგუნა და ჩვენი ქალების შერცხვენა არ მოინდომაო. „ჩემო კეთილებო, – უთხრა ანტიგონემ თავისიანებს, – არ დაიჯეროთ ეგ! ევმენემ თქვენი გულისათვის კი არ მისცა ჩვენს ჯარს თავის დაღწევის საშუალება, არამედ შეეშინდა, წართმეულმა ნადავლმა გაქცევაში ხელი არ შემიშალოსო!“

10. ამის შემდეგ ევმენე სულ ხეტიალსა და თავშესაფრის ძებნაში იყო. ამიტომ ბევრ ჯარისკაცს შინ დაბრუნება ურჩია. იგი მარტო მათი კეთილდღეობისათვის როდი ზრუნავდა, არ სურდა ტვირთად ჰყოლოდა ჯარი, რომელიც ბრძოლისათვის მცირე იყო, დასამალავად კი მეტისმეტად მრავალრიცხოვანი. ხუთასი მხედრისა და ორასი

ჰიპოლიტის თანხლებით ევმენემ თავი შეაფარა ლიკაონიისა და კაპადოკიის საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრე ნორას. ის მეომრები, რომლებმაც ვერ აიტანეს ამ მხარეში ყოფნა, ცხოვრების მძიმე პირობები და გათავისუფლება ითხოვეს, ევმენემ ხალისით გაათავისუფლა და გულთბილად გაისტუმრა.

ცოტა ხნის შემდეგ ნორას ანტიგონე მიადგა. სანამ ციხესიმაგრეს ალყას შემოარტყამდა, მან ევმენეს მოლაპარაკება შესთავაზა. ევმენემ შეუთვალა: შენ მრავალი მეგობარი გახვევია გარს და მრავალი მეთაურიც გყავს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეგცვლიან; მე კი იმ ხალხში, რომლის გულისთვისაც ვომობ, არავინ მეგულვის ისეთი, ჩემს მემკვიდრედ რომ დავტოვო. ამიტომ, თუ მოლაპარაკება გსურს, მძევლები გამომიგზავნეო. ანტიგონემ მტკიცედ მოსთხოვა: როგორც უძლიერესს, სწორედ შენ უნდა მეახლო მოსალაპარაკებლადო. ევმენემ ამაზე მიუგო: სანამ ხელთ მახვილი მიჭირავს, ჩემზე ძლიერად არავის არ ვთვლიო. ანტიგონე მაინც დაემორჩილა მის მოთხოვნას და ციხესიმაგრეში მძევლად თავისი ძმისშვილი ნეოპტოლემე გაუგზავნა. მაშინ ევმენე ანტიგონესთან ჩავიდა. ისინი მეგობრული ხვევნა კოცნით შეხვდნენ ერთმანეთს და გაიხსენეს ძველი სიყვარული და ახლო ურთიერთობა. მოლაპარაკებამ დიდხანს გასტანა. საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაზავების თაობაზე ევმენეს სიტყვაც არ დაუძრავს, მაგრამ მოითხოვა მისთვის შემოემტკიცებინათ სასატრაპოები და დაებრუნებინათ ადრე ნაბოძები ყველა პატივი. დამსწრენი გაოცდნენ მისი დიდსულოვნებითა და მამაცობით. მოლაპარაკების ადგილზე მორბოდნენ მაკედონელები, რომელთაც სურდათ ეხილათ, თუ როგორი იყო ევმენე, ის კაცი, ვისაც კრატერეს სიკვდილის შემდეგ ყველაზე მეტად გაეთქვა სახელი ლაშქარში. ანტიგონე შეშინდა, მოზღვავებულ ბრბოს რაიმე ვნება არ მიეყენებინა ევმენესათვის, ამიტომ ჯერ ყვირილით უკრძალავდა ყველას მასთან მიახლოებას, მერმე კი ქვების სროლა დაუწყო მის სანახავად გამოშურებულ მეომრებს. ბოლოს ხელი მოხვია ევმენეს, შუბოსან მცველთა დახმარებით, როგორც იქნა, ბრბო გაარღვია და უსაფრთხო ადგილზე გაიყვანა.

11. მოლაპარაკების შემდეგ ანტიგონემ ნორას კედელი შემოავლო, მცველები ჩაუყენა და იქაურობა დატოვა. ევმენე უძლიერეს ალყაში მოექცა. ციხესიმაგრეში პური, წყალი და მარილი უხვად ჰქონდათ, მაგრამ ეს იყო და ეს, სხვა არაფერი ჰქონდათ და მშრალ პურზე გადადიოდნენ. მიუხედავად ამისა, ევმენე ცდილობდა ალყაში მყოფთა ცხოვრება ხალისიანი ყოფილიყო. იგი რიგრიგობით

იწვევდა საკუთარ სუფრასთან მეომრებს და საერთო პურის ჭამას ტკბილი და მიმზიდველი საუბრით ამშვენებდა.

ევმენე მეტად მოხდენილი გარეგნობის ვაჟკაცი გახლდათ და მუდამ იარაღასხმულ მეომარს როდი ჰგავდა. არაჩვეულებრივი შნო და ლაზათი, ახალგაზრდული იერი და ჩამოქნილი სხეული ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ხელოვნების მთელი სიფაქიზე და დახვეწილობა ამ კაცში იყო ხორცშესხმული. დიდი მჭევრმეტყველი იგი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, უაღრესად სასიამოვნო და დამარწმუნებელი ლაპარაკი იცოდა.

ალყით გარემოცულ მის მხედრობას ყველაზე მეტად სივიწროვე ტანჯავდა. ჯარი უბადრუკ ქოხმახებში იყო განლაგებული და სამოძრაოდ მხოლოდ და მხოლოდ ორი სტადიონი[23] ფართობი ეკავა. ჯარისკაცებს განძრევისა და ვარჯიშის არავითარი საშუალება არ ჰქონდათ და ცხენებიც მუდამ უქმად მიბმული ჰყავდათ და ისე კვებავდნენ. ევმენეს სურდა, არა მარტო დაეთრგუნა უმოქმედობა, რაც ჯარისკაცებს ძალას აცლიდა, არამედ ამზადებდა მეომრებს პირველივე მარჯვე შემთხვევის დროს გაქცევა არ გაძნელებოდათ. ამიტომ ჯარისკაცებს სასეირნოდ მიუჩინა ციხესიმაგრის ყველაზე დიდი ფართობი, რომელსაც თოთხმეტი წყართა სიგრძე ჰქონდა და ბრძანა სეირნობის დროს თანდათანობით გაერთულებინათ მოძრაობა. ცხენების გასავარჯიშებლად მან ასეთ ხერხს მიმართა: ჭერზე დამაგრებული ფართო და გრძელი ღვედები ყოველ ცხენს კისერზე მიაბეს, ჭოჭონაქების საშუალებით კი პირუტყვს ზევით სწევდნენ, ისე რომ უკანა ფეხებზე მტკიცედ დამდგარიყო, ხოლო წინა ფლოქვებით ოდნავ შეხებოდა მიწას. ჭერზე ასეთნაირად გამოკიდებულ ცხენებს საგანგებოდ მიჩენილი მეჯინიბენი შეძახილითა და მათრახების ცემით აიძულებდნენ განძრეულიყვნენ. თანდათანობით გაღიზიანებული და ბრაზით ანთებული ცხენები ყალყზე დგებოდნენ, უკანა ფეხებს გაშმაგებით იქნევდნენ აქეთ იქით და ოფლში გაღვრილნი მთელი ტანის დაძაბვით ცდილობდნენ, ზეაწეული წინა ფეხებით ნიადაგს დაყრდნობოდნენ. მათი სიფიცხისა და ძალის შესანარჩუნებლად ეს ვარჯიში ამაო როდი იყო. ამასთან ერთად ცხენებს საკვებად აძლევდნენ დანაყილ ქერს, რათა ადვილად გადაემუშავებინათ და მოენელებინათ.

12. ამ გაჭიანურებული ალყის დროს ანტიგონეს აუწყეს: მაკედონიაში ანტიპატრე გარდაიცვალა და აქ დიდი შფოთი და არეულობა დაიწყო, რაც კასანდრესა და პოლისპერქონტის დავამ გამოიწვიაო[24].

როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, ანტიგონემ თავისი ძველი იმედები უკუაგდო, უმაღლეს გამგებლად ყოფნა მოიწადინა და განიზრახა, ევმენე მეგობრად და ამ საქმის მონაწილედ გაეხადა. მან ევმენეს ჰიერონიმე[25] მიუგზავნა, მისი მეშვეობით დაეზავა და ფიციის პირობები შესთავაზა. ევმენემ ფიციის შინაარსი გაასწორა და მაკედონელებს, რომლებსაც იგი ალყაში ჰყავდათ, მიმართა: თქვენ გადაწყვიტეთ, რომელი ფიცია უფრო სამართლიანიო. ფიციის დასაწყისში ანტიგონე მეფეებს მოიხსენიებდა, მაგრამ ეს მოსაჩვენებლად, ვითომ დამკვიდრებული წესის დასაცავად იყო გაკეთებული. ფიციის მთელ დანარჩენ ნაწილში ანტიგონე მხოლოდ მისადმი ერთგულებას მოითხოვდა. ევმენემ ფიცში მეფეთა შემდეგ პირველ ადგილზე ოლიმპიადა[26] ჩაწერა. მერმე კი აღთქმას დებდა, რომ არა მარტო ანტიგონეს კეთილისმზრახველი, არამედ ოლიმპიადასა და მეფეთა ერთგულიც იქნებოდა და მტერ მოყვარეც საერთო ეყოლებოდათ.

მაკედონელებმა შესწორებული ფიცი უფრო სამართლიანად მიიჩნიეს და ევმენეს აღთქმა დაადებინეს, რომ დაიცავდა მას. ამის შემდეგ ალყა მოხსნეს და ანტიგონეს შეუთვალეს: ახლა შენც უნდა დადო ფიცი ევმენეს წინაშეო.

ევმენემ ის კაპადოკიელი მძევლები, რომლებიც ნორაში ჰყავდა, უკლებლივ დააბრუნა, თვითონ კი სანაცვლოდ ცხენები, სასაპალნე პირუტყვი და კარვები მიიღო. მერმე თავი მოუყარა უკუქცევის დროს მიმოფანტულ და იმ მხარეში უქმად მოხეტიალე თავის ჯარისკაცებს. ამ გზით მან ათასამდე ცხენოსანი შემოიკრიბა და მათთან ერთად ციხესიმაგრიდან გაიქცა. ევმენეს ანტიგონესი ეშინოდა და ამის სრული საფუძველიც ჰქონდა. საქმე ის გახლდათ, რომ ანტიგონემ ბრძანა ხელახლა მოემწყვდიათ ალყაში იგი და ამასთან ერთად საგანგებო წერილით სასტიკად გაიცხა მაკედონელები, რომლებმაც მის მიერ შედგენილ ფიცში შეტანილი შესწორება მოიწონეს.

13. გაქცევის დროს ევმენემ მაკედონიიდან იმათი წერილები მიიღო, რომელთაც ანტიგონეს გაძლიერებისა ეშინოდათ. ოლიმპიადა უთვლიდა: ჩამოდი და აღსაზრდელად ჩაიბარე ალექსანდრეს ვაჟი, რომელსაც ვერაგობას უწყობენო. პოლისპერქონტი და ფილიპე მეფე[27] კი უბრძანებდნენ, კაპადოკიაში მყოფ ჯარს სათავეში ჩასდგომოდა და ანტიგონეს შებმოდა. ამასთან ნებას აძლევდნენ კვინდეს[28] საგანძურიდან ხუთასი ტალანტი პირად საქმეთა მოსაწესრიგებლად აეღო, ხოლო ომის საწარმოებლად იმდენი დაეხარჯა, რამდენსაც მოისურვებდა. ამის თაობაზე ადრევე მისწერეს არგირასპიდების[29]

მეთაურებს, ანტიგონესა და ტევტამოსს. რაკი წერილი მიიღეს, ისინი სიტყვით ტკბილად შეხვდნენ ევმენეს, მაგრამ გულში შური და პატივმოყვარეობა ახრჩობდათ და მეორე ადგილზე ყოფნას უღირს საქმედ თვლიდნენ. მათი შური ევმენემ იმით დააოკა, რომ ფული არ აიღო, თითქოს არ სჭირდებოდა; ხოლო რადგან ამ მოშურნეებს არც წინამძღოლობა შეეძლოთ და არც სხვის მორჩილებაში ყოფნა სურდათ, მათ ავადმყოფურ პატივმოყვარეობასა და ძალაუფლების სიყვარულს მათივე ცრუმორწმუნეობა დაუპირისპირა. ევმენემ მათ აუწყა: სიზმარში გამომეცხადა ალექსანდრე და მაჩვენა ერთი მეფურად მორთული კარავი, რომელშიც სამეფო ტახტი იდგა. მერმე მითხრა: თუ ამ კარავში შეიკრიბებით ხოლმე და ბჭობას გამართავთ, მე ყოველთვის დაგესწრებით და თქვენ მიერ წამოწყებული ყოველი თათბირისა და საქმის მონაწილე ვიქნებიო. ევმენეს ნათქვამი ანტიგონემ და ტევტამოსმა ადვილად დაიჯერეს, მით უმეტეს, რომ არ სურდათ ევმენეს კარავში სიარული და არც ევმენე თვლიდა ღირსეულ საქმედ სხვის კარზე გამოჩენას. შეთანხმების შედეგად ახალი კარავი დადგეს, შიგ ალექსანდრეს სახელზე შეწირული სამეფო ტახტი მოათავსეს და თავმოყრა და უდიდეს საქმეთა თაობაზე თათბირი ამ კარავში დაიწყეს.

როცა ქვეყნის შუაგულში შევიდნენ, მათ შემოხვდათ ევმენეს მეგობარი პევკესტა[30] და სხვა სატრაპები. აქ ძალები გააერთიანეს. იარაღის სიმრავლემ და ჩინებულმა მომზადებამ მაკედონელებს ძალღონე შეჰმატა. მაგრამ მათი სარდლები ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ძალაუფლების წყალობით აუტანელი გახდნენ და ნებიერ ცხოვრებას მიეცნენ. ბარბაროსულად გაამპარტავნებულნი ტირანებს დაემსგავსნენ, ერთმანეთი შეიძულეს და მათ შორის ყოველგვარი თანხმობა დაირღვა. ისინი მაკედონელი მეომრების წინაშე ურცხვად მლიქვნელობდნენ და მათთვის დიდებულ ნადიმებსა და საზეიმო მსხვერპლშეწირვას აწყობდნენ. მოკლე ხანში ბანაკი გარყვნილებისა და თავაწყვეტილი ღრეობის ბუდედ აქციეს, ხოლო ჯარისკაცები მორჩილ ბრბოდ გახადეს, რომელიც პირფერობის წყალობით ირჩევდა წინამძღოლებს ისე, როგორც ცრუ დემოკრატიული მმართველობის დროს ხდება ხოლმე. როცა ევმენემ იგრძნო, სარდლებს ერთმანეთი ეზიზღებათ, ჩემი კი ეშინიათ და ელოდებიან მარჯვე დროს, რათა მომკლანო, ყველას მოაჩვენა თავი, თითქოს ფული სჭირდებოდა და მრავალი ტალანტი ისესხა სწორედ იმათგან, რომელთაც იგი ყველაზე მეტად სძულდათ. ევმენეს იმედი ჰქონდა, ეს ხალხი მიენდო-

ბოდა და ვალის დაკარგვის შიშით მისი მოკვლის განზრახვაზე ხელს აიღებდა. მოხდა ისე, რომ სხვისი სიმდიდრე მან საკუთარი სიცოცხლის დასაცავად გამოიყენა; მაშინ როცა სხვები თავის გადასარჩენად თვითონ იძლევიან ხოლმე ფულს, ევმენე ერთადერთი კაცი იყო, ვინც უსაფრთხოება ვალის აღებით მოიპოვა.

14. ასეთ ვითარებაში მაკედონელები თავს არხეინად გრძნობდნენ; საჩუქრების წყალობით ზნე მთლად წაიხდინეს, ურცხვად დადიოდნენ იმათ კარზე, რომელთაც პირადი მცველების ყოლა სურდათ და სარდლის თანამდებობის მიღებას ლამობდნენ. მაგრამ როცა ანტიგონემ დიდძალი ჯარი მათ მახლობლად დააბანაკა და შექმნილმა მდგომარეობამ თვითონ მოითხოვა ნამდვილი სარდალი, მაშინ არა მარტო უბრალო მეომრებმა მიაპყრეს თვალი ევმენეს, არამედ მშვიდობასა და განცხრომაში აღზევებულნიც დაემორჩილნენ და უსიტყვოდ შეუდგნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ამასობაში ანტიგონემ მდინარე პასიტიგრის[31] გადალახვა სცადა. სარდლებმა, რომელთაც სანაპირო ზოლი უნდა დაეცვათ, მტრის განზრახვა ვერ შენიშნეს. მხოლოდ ევმენემ გადაუღობა მას გზა და ბრძოლა გაუმართა. მან მრავალი მოწინააღმდეგე შემუსრა, მდინარის კალაპოტი გვამებით აავსო და ოთხი ათასი კაცი ტყვედ წაიყვანა.

მაკედონელებმა თავიანთი შეხედულება ევმენეზე მისი ავადმყოფობის დროს გამოამჟღავნეს. მათი აზრით, სხვა სარდლები თავს მხოლოდ ბრწყინვალე ნადიმებისა და დღესასწაულების მოწყობით იჩენდნენ, წინამძღოლობა და ომის წარმოება კი მხოლოდ ევმენეს შეეძლო. პევკესტამ, რომელსაც პირველობის იმედი ჰქონდა, პერსიდაში ჯარისკაცებს დიდებული ლხინი მოუწყო და ყოველ მათგანს სამსხვერპლო ვერძი უბოძა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მტერზე სალაშქროდ გაემართნენ. სწორედ ამ დროს მძიმე ავადმყოფი ევმენე საკაცით ჯარისაგან მოშორებით მიჰყავდათ, რათა უძილობით დატანჯული მოსვენებით ყოფილიყო. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მოლაშქრეებმა უცბად დაინახეს მტერი, რომელიც გორაკებზე გადმოდიოდა და ველზე ეშვებოდა. მწვერვალებიდან მწყობრად მომავალი ჯარის მოოქრული იარაღი მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. მრავლად მოჩანდა სპილოებზე დადგმული კოშკურები და ძოწეულის საბურველები, რომლითაც მტრის მეომრები ბრძოლის ჟამს ირთვებოდნენ. ამის მხილველმა მაკედონელებმა, რომლებიც პირველ რიგებში მიდიოდნენ, სვლა შეაჩერეს და ყვირილი მორთეს.

ისინი ევმენეს მოუხმობდნენ: მაგის სარდლობის გარეშე ნაბიჯსაც არ გადავდგამთო. მირმე იარაღი მიწაზე დაყარეს და ერთმანეთს მოუწოდებდნენ, არ განძრეულიყვნენ; ხოლო მეთაურებს ურჩევდნენ, სიმშვიდე დაეცვათ, ევმენეს გარეშე ბრძოლაში არ ჩაბმულიყვნენ და თავი საფრთხეში არ ჩაეგდოთ. ეს რომ გაიგონა, ევმენემ მხლებლებს საკაცე სწრაფად წააღებინა, ჯარს თავში მოექცა და საკაცის ფარდები ორივე მხრივ გადაწია. მერმე მარჯვენა ხელი გამოყო და ჯარისკაცებს მხიარულად დაუქნია. დაინახეს თუ არა იგი, ჯარისკაცები მყისვე მიესალმნენ მაკედონურ ენაზე; მერმე ფარები აიტაცეს,ზედ შუბები დასცხეს და, რაკი სარდალი უკვე მათთან იყო, მამაცური ყიჟინით მტერი ბრძოლაში გამოიწვიეს.

15. როცა ანტიგონემ ტყვეებისაგან გაიგო, ევმენე ავად არის და დასუსტებულს საკაცით დაატარებენო, იფიქრა: რაკი ევმენე დასნეულებულა, სხვების დამარცხება ძნელი საქმე აღარ არისო. ამიტომ აჩქარდა და საომრად დაიძრა. მაგრამ როცა ახლოს ჩაუარა მტრის ლაშქარს, რომელიც რაზმებად ეწყობოდა და მისი სიდიდე და მხედრული გამართულობა იხილა, გაოცებული შეჩერდა და კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა. მალე დაინახა საკაცე, რომელიც ჯარის ერთი ფრთიდან მეორე ფრთისაკენ დაჰქონდათ. ანტიგონემ, ჩვეულებისამებრ, ხმამაღლა გაიცინა და მეგობრებს უთხრა: „აი ეს გახლავთ ის საკაცე, ჩვენ წინააღმდეგ რომ ამხედრებულა!“ ამის შემდეგ მან უკან დახია ჯარი და ბანაკი მოშორებით დასცა.

ევმენეს მეომრებმა შვებით ამოისუნთქეს და კვლავ ძველ თავაშვებულობას მიეცნენ. აიგდეს რა აბუჩად მეთაურები, საზამთრო ბინები გაბენეს[32] მთელ მხარეში დაიდეს და ისე დაიფანტნენ, მანძილი პირველი საზამთრო სადგომიდან უკანასკნელამდე ათას სტადიონს აღწევდა. შეიტყო თუ არა ეს, ანტიგონე მოულოდნელად გაემართა მტრისკენ ძნელად სავალი და უწყლო, მაგრამ ხელსაყრელი და მოკლე გზით. იგი იმედოვნებდა, თუ საზამთრო ბინებში მიმოფანტულ მტრის მეომრებს დაესხმოდა თავს, მათ მეთაურებს მეტად გაუჭირდებოდათ ძალთა ერთ ადგილზე შეკრება. მაგრამ როცა ანტიგონე უკაცრიელ მხარეში შეიჭრა, საშინელმა ქარმა და სიცივემ სვლა გააძნელა და ჯარისკაცები მეტისმეტად შეაწუხა. ისინი იძულებულნი იყვნენ კოცონები დაენთოთ და, ცხადია, მტრისთვის შეუმჩნეველი ვერ იქნებოდნენ. კოცონთა სიმრავლით გაკვირვებულმა ბარბაროსებმა, რომლებიც უდაბნოს მახლობელ მთებზე ცხოვრობდნენ, სამგზავრო აქლემებზე მაცნეები შესხეს და პევკე-

სტასთან გააგზავნეს. მოტანილმა ამბავმა პევკესტა მეტად შეაშინა და თავგზა აუბნია. როცა სხვებიც ასეთ მდგომარეობაში დაინახა, მთელი ძალით მოკურცხლა და თან გაიყოლა მხოლოდ ის მეომრები, რომლებიც გზად შემოხვდნენ. ევმენემ არეულობა და შიში ჩააქრო იმით, რომ თავისიანებს დაჰპირდა: მტრის სწრაფ სვლას ისე შევაჩერებ, განზრახულ ვადაზე სამი დღით გვიან მოაღწიონ აქო. როცა ეს ირწმუნეს, ევმენემ ყველგან დაგზავნა მალემსრბოლები ბრძანებით, რათა ჯარისკაცებს საზამთრო სადგომები დაეტოვებინათ და რაც შეიძლება სწრაფად შეკრებილიყვნენ. თვითონ კი სხვა სარდლებთან ერთად ცხენზე ამხედრებული გავიდა იმ ადგილზე, რომელიც უდაბნოზე გამვლელთათვის ადვილად დასანახავი იყო. მერმე საკმაოდ დიდი სივრცე გადაზომა და ბრძანა ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე დაენთოთ კოცონები, როგორც ამას დაბანაკებული ლაშქარი აკეთებს ხოლმე. როცა ბრძანება შესრულდა და ანტიგონემ აელვარებული კოცონები დაინახა, ცალკე რისხვამ და ცალკე სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. იფიქრა: ჩემი გამოლაშქრება მტერს ადრევე შეუტყვია და ახლა ჩვენთან შესახვედრად მოდისო.

ანტიგონეს სულაც არ სურდა მისი დაღლილი და დაუძლურებული ჯარი მომზადებულ და კარგად გამოზამთრებულ ლაშქართან ბრძოლაში ჩაბმულიყო. ამიტომ მოკლე გზაზე უარი თქვა და გეზი სოფლებსა და ქალაქებზე აიღო, რათა მხედრობას სული მოებრუნებინა და ძალ-ღონე მოეკრიბა. მას არ შეხვედრია არავითარი დაბრკოლება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხოლმე მტრის სიახლოვის ჟამს; იქაურმა მოსახლეობამ კი აუწყა: არავითარი ლაშქარი არ გვიხილავს იმ ადგილზე, სადაც მტერი გეგულებოდათ; იქ მხოლოდ და მხოლოდ მრავალი კოცონი ანთიაო. ანტიგონე მიხვდა, მტერმა რომ მოატყუა, და განრისხებული გადამწყვეტი და აშკარა ბრძოლისათვის მოემზადა.

16. ამასობაში ევმენეს გარშემო თავი მოიყარა ლაშქრის დიდმა ნაწილმა. ყველა აღტაცებული იყო მისი საზრიანობით და მოითხოვეს წინამძღოლად მხოლოდ იგი ყოფილიყო. განაწყენებულმა და შურით აღვსილმა არგირასპიდების მეთაურებმა ანტიგონემ და ტევტანოსმა ევმენეს შეთქმულება მოუწყვეს; შეკრიბეს მრავალი სატრაპი და მეთაური და დაიწყეს ბჭობა, თუ როდის და როგორ მოესპოთ იგი. ბოლოს შეთანხმდნენ, ევმენე ბრძოლისათვის გამოეყენებინათ, ბრძოლის დამთავრებისთანავე კი მოეკლათ. სპილოთა რაზმის გამგებელმა ევდამოსმა და ფედიმოსმა შეთქმულთა განზ-

რახვა საიდუმლოდ აუწყეს ევმენეს. მისადმი კეთილგანწყობილებამ ან სიყვარულმა როდი აიძულა ისინი, ასე მოქცეულიყვნენ. იმის შიში ჰქონდათ, მისთვის სესხად მიცემული ფული არ დაჰკარგვოდათ. ევმენემ მათ მადლობა გადაუხადა, თავის კარავში წავიდა და მეგობრებს უთხრა: მძვინვარე მხეცებით ვარ გარშემორტყმულიო. მერმე ანდერძი დაწერა და მოსპო ყველა პირადი წერილი. არ უნდოდა საიდუმლო ცნობები მათ შემდგენელთა წინააღმდეგ ბრალდებისა და ცილისწამების საბაბად გამოეყენებინათ მისი სიკვდილის შემდეგ.

ეს საქმე რომ მოათავა, იმის ფიქრს მიეცა, როგორ მოქცეულიყო: ჩაბარებოდა მტერს, თუ გაქცეოდა და მიდიასა და სომხეთზე გავლით თავი კაპადოკიაში შეეფარებინა. მიუხედავად მეგობრების დაჟინებული თხოვნისა, ვერაფერი ვერ გადაწყვიტა. ბედის უკუღმართობა აიძულებდა, ხან ერთ აზრს დასდგომოდა ხან მეორეს, მაგრამ ბოლოს ფიქრს თავი ანება და ჯარის საბრძოლველად დაწყობას შეუდგა. მან ელინებსა და ბარბაროსებს შემაგონებელი სიტყვა უთხრა. თავის მხრივ მაკედონურმა ფალანგამ და არგირასპიდებმა ევმენეს მოუწოდეს, გამხნევებულიყო: მტერი ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებსო. ესენი იყვნენ ფილიპესა და ალექსანდრეს ძველისძველი მეომრები, როგორც იტყვიან, ომის ათლეტები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა იყო დამარცხება და ქედის მოხრა. სამოც წელზე ნაკლები ასაკისა არც ერთი არ იყო მათ შორის, ბევრს კი უკვე სამოცდაათ წლამდეც მიეღწია. როცა იერიშზე გადავიდნენ, ანტიგონეს ჯარისკაცებს ზიზღით შესძახეს: „არამზადებო, თქვენ საკუთარ მამებზე აღგიმართავთ ხელი!" ისინი რისხვით ეკვეთნენ მტერს, მისი მთელი ფალანგა ისე შემუსრეს, რომ ვერავინ ვერ გაუძლო შეტევას და ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა ხელჩართულ ბრძოლაში განადგურდა.

ანტიგონეს ქვეითი ჯარი, მართალია, დამარცხდა, მაგრამ მისმა მხედრობამ გაიმარჯვა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პევკესტა უნდილად, ლაჩრულად იბრძოდა. ანტიგონე მთელ მის აღალს დაეუფლა. ამაში მას ხელი შეუწყო გონივრულმა სიფრთხილემ და ადგილმდებარეობამაც. ბრძოლა ხდებოდა უზარმაზარ ველზე, რომლის ნიადაგი ადვილად ფეხმოსაკიდებელი როდი გახლდათ. ეს იყო ქვიშიანი და გადამხმარი მლაშობი. ბრძოლის დროს ცხენთა და მეომართა უსაზღვრო სიმრავლემ და ფერხთა ცემამ აქ ისეთი მტვერი დააყენა, ჰაერი კირისფერი ბუღით აივსო და თვალთახედვა დააბ-

ნელა. ამის წყალობით ანტიგონემ სულ ადვილად და შეუმჩნევლად ჩაიგდო ხელში მტრის აღალი.

17. როგორც კი დამთავრდა ბრძოლა, ტევტამოსმა მაშინვე გაგზავნა „ანტიგონესთან შიკრიკები და აღალის დაბრუნება სთხოვა. ანტიგონემ ასეთი პირობა შეუთვალა: აღალსაც დაგიბრუნებ და არგირასპიდებს საერთოდ კაცთმოყვარულად მოვექცევი, თუ ევმენეს შეიპყრობთო. მაშინ არგირასპიდებმა საშინელი ვერაგობა განიზრახეს; გადაწყვიტეს ცოცხლად გადაეცათ ევმენე მტრისათვის. ევმენეს რომ ეშვი არ აეღო, არგირასპიდები ჯერ ისე მივიდნენ მასთან. ზოგი დაკარგულ აღალს შესჩიოდა, ზოგი, ვითარცა გამარჯვებულს, პირში აქებდა და გამხნევებას უსურვებდა, ზოგიც სხვა სარდლებს სიმხდალეში სდებდა ბრალს. მერმე უცბად თავს დაესხნენ, მახვილი გამოსტაცეს და ხელები ღვედით შეუკრეს.

როცა ანტიგონეს მიერ გამოგზავნილი ნიკანორი შეპყრობილის წასაყვანად გამოცხადდა და იგი მაკედონელთა რაზმების თვალწინ გაატარა, ევმენემ სიტყვის წარმოთქმის ნება ითხოვა: შეწყალებას როდი გთხოვთ, მინდა ზოგი რამ თქვენთვის სასარგებლო გითხრათო. ჩამოვარდა თუ არა სიჩუმე, ევმენე ერთ შემაღლებულ ადგილზე შედგა, შეკრული ხელები გამოაშვირა და მაკედონელებს მიმართა: „არამზადებო, ანტიგონეც კი უარს არ იტყოდა თქვენზე გამარჯვების აღსანიშნავად და თქვენდა შესარცხვენად დაედგა ისეთი ძეგლი, როგორსაც ახლა თქვენივე ხელით დგამთ იმით, რომ საკუთარ სარდალს მტერს უგდებთ ხელში! განა საშინელ და სამარცხვინო საქმეს არ სჩადით, როცა გამარჯვებული ხალხი თავს დამარცხებულად აღიარებთ აღალის დაკარგვის გამო, თითქოს გამარჯვება სიმდიდრეს მოჰქონდეს და არა იარაღს?! განა მკრეხელობა არ არის, აღალის გამოსასყიდ ფასად რომ სარდალს მტერთან გზავნით?! მე, უძლეველი და გამარჯვებული კაცი, ჩემივე თანამებრძოლებს მტერთან მივყავარ და სურთ დასაღუპავად გამწირონ! გავედრებთ მეომართა მფარველ ზევსსა და ფიცის დამცველ ღმერთებს, თქვენივე ხელით მომისწრაფეთ სიცოცხლე აქ! სულერთია, იქ რომ მომკლან, მაინც თქვენ ჩადენილ საქმედ ჩაითვლება ეს! ანტიგონე ამის გამო საყვედურს როდი გეტყვით: მას მკვდარი ევმენე სჭირდება და არა ცოცხალი! თუ თქვენი ხელები გინდათ დაზოგოთ, ჩემი ცალი ხელიც საკმარისი იქნება; გამიხსენით იგი და თქვენთვის სანუკვარი საქმეც აღსრულდება! თუ მახვილს ვერ მანდობთ, მაშინ მხეცებს მიუგდეთ ჩემი თავი შესაჭმელად! თუ ამას გააკეთებთ, ჩემი მხრივ ყოველგ-

ვარი ბრალდებისაგან თავისუფალი იქნებით და ვიტყვი, რომ თქვენი სარდლის წინაშე ყველაზე პირნათელი და ყველაზე სამართლიანი ხალხი ბრძანდებით!“

ევმენეს სიტყვებმა ლაშქრის უდიდეს ნაწილს მწუხარება მოჰგვარა, ბევრგან გოდებაც კი გაისმა. მაგრამ არგირასპიდები ყვირილით მოითხოვდნენ, წაეყვანათ ევმენე და მისი ლაყბობისათვის ყური არ ეგდოთ: „არაფერია ცუდი იმაში, თუ ხერსონესელი თავისი სიცოცხლით ზღავს იმას, რომ მაკედონელები უთვალავი ომით დაქანცა! განა უარესი არ იქნება, ალექსანდრესა და ფილიპეს საუკეთესო მეომრებმა ამდენი წვალების შემდეგ სიბერეში დაკარგონ დამსახურებული ჯილდო და ლუკმაპურისთვის სხვებს გაუშვირონ ხელი?! ისიც კმარა, რომ ჩვენი ქალები უკვე სამი ღამეა მტრის სარეცელში წვანანო!“ ამ სიტყვებთან ერთად არგირასპიდებმა ევმენე წინ გაიგდეს და აიძულეს, აჩქარებულიყო.

მოზღვავებულმა ბრბომ ანტიგონე ძალიან შეაშინა: საქმე ის გახლდათ, რომ ევმენეს ბანაკში ერთი კაციც არ დარჩენილა. ბრბოს მოსაგერიებლად ანტიგონემ ათი საუკეთესო სპილო და მრავალი მიდიელი და პართელი შუბოსანი გაგზავნა. რაც შეეხება ევმენეს, მისი ხილვა ძველი მეგობრობისა და მოყვრობის გამო მან ვერ გაბედა. როცა მცველებმა ჰკითხეს: როგორ მოვუაროთ ტყვესო? ანტიგონემ უპასუხა: ისე, როგორც სპილოსა და ლომს უვლიანო! მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტყვე შეებრალა და ბრძანა მისთვის მძიმე ბორკილები აეხსნათ. მერმე ყველაზე ერთგული მონა მტკივან ადგილებზე მალამოს წასასმელად მიუჩინა, ხოლო მის მეგობრებს, ვისაც კი სურდა, მასთან დღის გატარებისა და საჭმლის მიწოდების ნება მისცა.

ამის შემდეგ ანტიგონე მრავალი დღის განმავლობაში ფიქრობდა, როგორ მოქცეოდა ტყვეს. ამის თაობაზე სათათბიროდ სხვებსაც იწვევდა და მათ რჩევას გულისყურით ისმენდა. მისი ვაჟი დემეტრიოსი[33] და ნეარქე კრეტელი გულწრფელად ურჩევდნენ, ევმენესათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ სხვები დაჟინებით და ერთხმად მის სიკვდილს მოითხოვდნენ.

ევმენეს, როგორც გადმოგვცემენ, დარაჯად დაყენებულ ონომარქესათვის უკითხავს: რას ელოდება ანტიგონე? რად არ კლავს მის მტერსა და მოწინააღმდეგეს, ვინც უკვე ხელთ ჰყავს, ან არადა დიდსულოვნად რად არ უნდა გაათავისუფლოსო? ონომარქეს თავხედური პასუხი გაუცია: მამაცურად ბრძოლაში უნდა შეხვედროდი სიკვდილს და არა ასეთ ვითარებაშიო! ევმენეს ამაზე უთქვამს: „ვფი-

ცავ ზევსს, რომ სწორედ ბრძოლაში ვიყავი მამაცი! ჰკითხე იმათ, ვინც ხელჩართულ ბრძოლაში შემბმია. ვერ დავასახელებ ვერც ერთ კაცს, რომ ჩემზე ძლიერი შემხვედროდეს!" ონომარქემ ასე მიუგო თურმე: „აი, ახლა ხომ შეხვდი შენზე ძლიერს; რატომ არ გსურს მის დანიშნულ დროს დაელოდოო?!"

19. ბოლოს და ბოლოს, ანტიგონემ ევმენეს სიკვდილი გადაუწყვიტა და ბრძანა, მისთვის საჭმელ-სასმელი აღარ მიეცათ. ორი თუ სამი დღის უჭმელ უსმელობით იგი უკვე სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მაგრამ როცა ანტიგონე ანაზდეულად ბანაკიდან აიყარა, საგანგებოდ მოგზავნილმა კაცმა ევმენეს სიცოცხლე მახვილით მოუსწრაფა.

ევმენეს გვამი ანტიგონემ მის მეგობრებს გადასცა და უბრძანა დაეწვათ, ხოლო ფერფლი ვერცხლის ლარნაკში მოეგროვებინათ და მოკლულის ცოლ შვილისათვის გადაეცათ.

აი, ასე დაიღუპა ევმენე. უზენაესმა განგებამ მისი ორგული სარდლებისა და ჯარისკაცების დასჯის საქმე სხვებს კი არ დააკისრა, არამედ თვითონ ანტიგონეს მიანდო. როცა ანტიგონე დარწმუნდა არგირასპიდების უწმინდურებასა და მხეცობაში, ისინი არახოსიის მმართველს სიბირტიოსს გადასცა და უბრძანა, ყველა დახოცე, რათა ვერც ერთი ვერ დაბრუნდეს მაკედონიაში და ელინური ზღვა იხილოსო.

სერტორიუსი



1. საკვირველი იქნებ სრულიადაც არ იყოს, რომ ბედის ჩარხის წაღმა უკუღმა ტრიალზე დამოკიდებული შემთხვევა დროთა უსაზღვრო სრბოლაში ხშირად ერთსა და იმავე შედეგს იწვევს. თუკი სამყაროს ძირითად ნაწილთა რაოდენობა განუსაზღვრელია, ბედისწერას დაუსრულებელი შესაძლებლობა აქვს, ცალკეული მოვლენები ერთმანეთს დაამსგავსოს, ხოლო თუ პირიქითაა და შემთხვევები ძირითად ნაწილთა შეზღუდულ რიცხვთაგან იქმნება, მაშინ პირდაპირ აუცილებელია, ერთსა და იმავე მიზეზთაგან წარმოქმნილი მსგავსი ამბები მრავალგზის განმეორდეს. ასეთ ამბავთა მოყვარული ხალხი გატაცებით აგროვებს საისტორიო წყაროებსა და ზეპირ გადმოცემებში შემთხვევების საფუძველზე წარმოქმნილ მსგავსებათა მაგალითებს, რომლებიც ზენარი ნებისა და განგების ნამოქმედარსა ჰგავს. აი, ზოგიერთი მაგალითიც: იყო ორი სახელოვანი ატისი, ერთი სირიელი, მეორე – არკადიელი: გარეულმა ტახმა მოუსწრაფა სიცოცხლე ორივეს[1]. იყო ორი აკტეონი: ერთი ძაღლებმა დაგლიჯეს, მეორე კი მეტრფეებმა[2]. სციპიონიც ორი იყო: პირველმა დაამარცხა კართაგენელები, ხოლო მეორემ დედაბუდიანად ამოჟლიტა[3]. ილიონი ჯერ ჰერაკლემ აიღო ლაომედონტის ფაშატების გამო, მერმე აგამემნონმა დაიპყრო ეგრეთ წოდებული ხის ცხენის წყალობით, მესამედ კი ქარიდემემ დაიმორჩილა, იმანაც იმის შემწეობით, რომ ერთი ცხენი კარიბჭეში შეიჭრა და ილიონელებმა მისი ჩაკეტვა ვეღარ მოასწრეს[4]. ორი ქალაქი ყველაზე უფრო კეთილსურნელოვან მცენარეთა სახელებს ატარებს, ეს ქალაქებია: იოსი და სმირნა. ამბობენ, პოეტი ჰომეროსი პირველში დაიბადა, მეორეში გარდაიცვალაო[5]. მოდით და ამ მაგალითებს დავუმატოთ ისიც, რომ უმამაცესი მხედართმთავრები, რომლებმაც მოხერხებულობით და ნიჭით მრავალი დიდი საქმე შეასრულეს, ცალთვალანი იყვნენ. ესენია: ფილიპე,

ანტიგონე, ჰანიბალი და სერტორიუსიც, რომელსაც ეს თხზულება ეხება[6]. სერტორიუსი ფილიპეზე თავშეკავებული გახლდათ ქალებთან დამოკიდებულებაში, ანტიგონეზე ერთგული მეგობრებთან ურთიერთობაში და ჰანიბალზე ლმობიერი მტრების მიმართ. ჭკუა გონებით არც ერთ მათგანს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ბედი ყველაზე ნაკლებ წყალობდა. უიღბლობა გაცილებით მეტ ვნებას აყენებდა ყველა საქმეში, ვიდრე აშკარა მტრები. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გაუტოლდა გამოცდილებით მეტელუსს, გამბედაობით პომპეუსს და წარმატებით სულას. სამშობლოდან ლტოლვილი და ბარბაროსთა მეთაურად დამდგარი უცხო კაცი ძლიერებით რომაელებს დაუპირისპირდა. ამ კაცს ყველაზე უფრო მეტად შეიძლება ბერძენთაგან შევუდაროთ ევმენე კარდიელი. ორივე კარგი სარდალი და მარჯვე მეომარი იყო, ერთიცა და მეორეც სამშობლოდან გააძევეს და უცხოელებს წინამძღოლობდნენ, ბედმა ორივეს ნაძალადევი და უსამართლო სიკვდილი განუმზადა: ორივეს შეთქმულება მოუწყვეს, ორივეს იმ ხალხმა მოუსწრაფა სიცოცხლე, ვისთან ერთადაც მტრებს ებრძოდნენ.

2. კვინტუს სერტორიუსი დაიბადა საბინთა მხარეში, ქალაქ ნურსიაში, საკმაოდ წარჩინებულ ოჯახში. მამით ადრე დაობლდა, მაგრამ დაქვრივებულმა დედამ, რომელიც, ჩანს, ძლიერ უყვარდა, მშვენივრად აღზარდა. ამბობენ, დედას რეა ერქვაო. თავდაპირველად სერტორიუსი სამართლის შესწავლას დაეწაფა და გვარიან წარმატებებსაც მიაღწია: ჯერ კიდევ სულ ყმაწვილმა საკმაო გავლენა მოიპოვა ქალაქში როგორც კარგმა მჭევრმეტყველმა, მაგრამ ბრძოლებში მოხვეჭილმა ბრწყინვალე წარმატებებმა მისი პატივმოყვარეობა სამხედრო საქმისაკენ წარმართა.

3. ლაშქრობაში მონაწილეობა სერტორიუსმა პირველად მიიღო ცეპიონის ხელმძღვანელობით მაშინ, როცა გალიაში კიმბრები და ტევტონები შეიჭრნენ[7]. რომაელები ცუდად იბრძოდნენ, მტერს ვერ გაუმკლავდნენ და უკუიქცნენ. სერტორიუსს ამ ბრძოლაში ცხენი მოუკლეს, თვითონ კი დაჭრეს. დაჭრილი სერტორიუსი აბჯრითა და ფარით როდანოსში გადაეშვა, ძლიერ დინებას შეერკინა და მეორე ნაპირზე გავიდა. აი ასეთი ნავარჯიშევი და გაკაჟებული სხეული ჰქონდა სერტორიუსს.

როცა კიმბრებისა და ტევტონების ათასობით ლაშქარი მეორედ დაესხა თავს გალიას, როცა მეტისმეტად გაძნელდა რომაელი ჯარისკაცის დაკავება საბრძოლო მწკრივში და მისი დამორჩილება

სარდლისადმი, იმ დროს რომაელთა მხედრობას მარიუსი მეთაურობდა, სერტორიუსს კი მტრის დაზვერვის საქმე მიენდო. იგი კელტური ტანსაცმლით შეიმოსა, გალთა ენაზე ყველაზე ხშირად ხმარებული რამდენიმე წინადადება გაიზეპირა, რათა საჭირო შემთხვევაში გამოლაპარაკება შეძლებოდა, და ბარბაროსებს შეერია. როცა აქ იხილა და საკუთარი ყურით გაიგონა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მარიუსთან დაბრუნდა. ასეთი მამაცობისათვის მაშინ დამსახურებული ჯილდოც მიიღო. მერმინდელ ბრძოლებშიც მრავალგზის გამოიჩინა ჭკუა გონება, ამით სახელი მოიხვეჭა და მხედართმთავრის ნდობაც დაიმსახურა.

კიმბრებსა და ტევტონებთან ომის შემდეგ იგი გაგზავნეს ესპანეთში სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე პრეტორ დიდიუსის გამგებლობაში. სერტორიუსი დასაზამთრებლად კელტიბერების[8] ქალაქ კასტულონში დაბანაკდა. რომაელი ჯარისკაცები, რომელთაც ყველაფერი უხვად ჰქონდათ, უსაზღვროდ თავხედობდნენ და განუწყვეტლივ ლოთობდნენ. ზიზღით ავსილმა ბარბაროსებმა დრო იხელთეს, ერთხელ ღამით მეზობლად მოსახლე გირისენებს[9] დამხმარედ მოუხმეს, მათთან ერთად რომაელთა სადგომებს თავს დაესხნენ და შიგ მყოფთა ჟლეტა დაიწყეს. სერტორიუსმა რამდენიმე ჯარისკაცითურთ თავის გადარჩენა მოახერხა. შეკრიბა ის მეომრებიც, რომლებიც ასევე დაუსხლტნენ ხიფათს და მათი თანხლებით ქალაქს შემოუარა. კარიბჭე, საიდანაც ბარბაროსები შეუმჩნევლად შემოვიდნენ ქალაქში, ღია დაუხვდა. მაშინ სერტორიუსი ბარბაროსებივით წინდაუხედავად როდი მოიქცა, კარიბჭეს მცველები ჩაუყენა, მთელი ქალაქი ხელთ იგდო და, სრულწლოვანი ასაკისა ვინც იყო, ყველა ამოხოცა. ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ სერტორიუსმა რომაელ მეომრებს უბრძანა, საკუთარი იარაღი და ტანსაცმელი მოეცილებინათ, ბარბაროსთა სამოსითა და საჭურვლით აღკაზმულიყვნენ და იმ ქალაქისაკენ გაჰყოლოდნენ, საიდანაც გამოგზავნეს ისინი, რომაელებს ღამით თავს რომ დაესხნენ. თავიანთი საჭურვლის ხილვამ ბარბაროსები მწარედ მოატყუა. რომაელებს კარიბჭე გაუღეს და მრავლადაც მოიყარეს თავი იქ, ეგონათ, გამარჯვებულ მეგობრებსა და თანამოქალაქეთ შევეგებებითო. ამით ისარგებლეს რომაელებმა და ბარბაროსთა დიდი ნაწილი კარიბჭესთანვე ამოჟლიტეს, დანარჩენები კი ტყვედ ჩაიგდეს და მონებად დაყიდეს.

4. ამიერიდან სერტორიუსმა სახელი გაითქვა ესპანეთში. როგორც კი დაბრუნდა რომში, მაშინვე დანიშნეს პადუსის სანაპიროებზე მდე-

ბარე გალიის[10] კვესტორად, ვინაიდან ეს აუცილებელი იყო. იწყებოდა მარსების ომი[11]. სერტორიუსს მეომართა შეკრება და იარაღის დამზადება ებრძანა. მაშინ, როცა სხვა ახალგაზრდები ზანტად და უხალისოდ მოქმედებდნენ, სერტორიუსი დიდი გულისხმიერებით მოეკიდა დაკისრებულ საქმეს და ისეთი კაცის სახელი მოიპოვა, რომელიც მომავალშიც სასახელო მოღვაწეობის იმედს იძლეოდა. რიგითი ჯარისკაცის გულადობა მაშინაც კი არ დაუკარგავს, როცა მხედართმთავრის ღირსებას მიაღწია. იგი თვითონ ახდენდა სასწაულებს და ბრძოლებში არასოდეს თავს არ ზოგავდა. ასე დაკარგა ცალი თვალი, რომელიც ომში ამოთხარეს. ამით მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაყობდა: სხვები ყოველთვის ვერ ატარებენ საგმირო საქმეთა დამამტკიცებელ ჯილდოებს, იხსნიან საპატიო ყელსაბამებს, ინახავენ შუბებსა და გვირგვინებს, მე კი ჩემი სიმამაცის დასტური მუდამ თანა მაქვსო, ისე რომ ჩემი მხილველნი ჩემს უბედურებასთან ერთად ჩემი სიქველის ნიშანსაც ხედავენო. ხალხმა საკადრისი პატივიც მიაგო: როცა თეატრში შევიდა, ტაშის გრიალითა და მხიარული ყიჟინით შეეგებნენ. ასეთი წარმატების მიღწევა კი იმ პირთაც გაძნელებიათ, ვინც ასაკითა თუ სახელით ბევრად აღემატებოდნენ. მაგრამ როცა სახალხო ტრიბუნის თანამდებობის მოპოვება სცადა, სულა აღუდგა წინ და სერტორიუსი დამარცხდა. როგორც ჩანს, ეს იყო მიზეზი იმ ზიზღისა, რასაც ის სულას მიმართ გამოხატავდა.

როცა სულასაგან ძლეული მარიუსი გაიქცა, სულა კი მითრიდატესთან საომრად გაემართა, ერთმა კონსულმა – ოქტავიუსმა სულას მხარე დაიჭირა, მეორე კონსულმა – ცინამ კი გადატრიალების მოხდენა განიზრახა და მარიუსის დაუძლურებული პარტიის აღდგენას შეეცადა. სერტორიუსი ცინას მიემხრო, მით უფრო, რომ ხედავდა, ოქტავიუსი უსიცოცხლო კაცი იყო და თანაც მარიუსის მეგობრებს უნდობლობით ეკიდებოდა. როცა ფორუმზე კონსულთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა და ოქტავიუსმა გაიმარჯვა, ცინა და სერტორიუსი, რომლებმაც ათი ათასამდე კაცი დაკარგეს, გაიქცნენ. მერმე კი იტალიის სხვადასხვა ნაწილში მიმოფანტულ მხედრობათა დიდი ნაწილი გადაიბირეს და სულ მალე დაუპირისპირდნენ ოქტავიუსს, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგენი.

5. ამასობაში აფრიკიდან ჩამოვიდა მარიუსი იმ განზრახვით, რომ კონსულ ცინას მიმხრობოდა როგორც რიგითი მოქალაქე. ყველა თანახმა იყო მიეღოთ იგი, მხოლოდ სერტორიუსი იდგა უარზე: ან იმიტომ, რომ, ფიქრობდა, ასეთი დიდი წინამძღოლის აქ ყოფნას

მისი ურთიერთობა ცინასთან არ გაეფუჭებინა, ანდა ეშინოდა მარიუსის მძვინვარე ხასიათისა, რათა ამ კაცს, რომელიც განრისხებისას ზომიერების გრძნობას კარგავდა, ყველაფერი არ აერ დაერია და გამარჯვების ჟამს სამართლიანობის საზღვარი არ გადაელახა. სერტორიუსი ამბობდა, გასაკეთებელი ბევრი აღარაფერი დაგვრჩენია, საცაა გავიმარჯვებთ და თუ ახლა მივიღებთ მარიუსს, კაცს უნდოსა და თანაც ძალაუფლების გაზიარების მტერს, მთელი სახელი და ძლიერება მას დარჩებაო. ცინამ დაადასტურა: სერტორიუსის მოსაზრებანი სწორია, მაგრამ სირცხვილში ვარ ჩავარდნილი და უხერხულია, ხელი ვკრათ მარიუსს, ვინც საერთო საქმეში მონაწილეობის მისაღებად მე თვითონ მოვიხმეო. მაშინ სერტორიუსმა შენიშნა: „მეგონა, მარიუსი საკუთარი თაოსნობით ჩამოვიდა იტალიაში და ჩემი მოსაზრებაც ამას ემყარებოდა. შენი მხრივ კი არ იყო სწორი, გემსჯელა კაცზე, ვინც უკვე ჩამოვიდა და ვინც შენ თვითონ მოიწვიე. იგი, ცხადია, უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ: რაკიღა ნდობა გამოცხადებულია, განსჯას ადგილი აღარ უნდა ჰქონდესო“.

აი ასე მოიწვია [illegible]ეაა მარიუსი და ლაშქარი სამად გაინაწილა სამმა წინამძღოლმა.

ომის დამთავრების შემდეგ ცინა და მარიუსი ისე თავხედურად და მძვინვარედ იქცეოდნენ, რომ ომში გადატანილი ვაი ვაგლახი ოქროს ხანად ეჩვენებოდათ რომაელებს. როგორც გადმოგვცემენ, მხოლოდ სერტორიუსი არ აჰყოლია რისხვას, არ მოუკლავს არავინ და ბოროტად არ გამოუყენებია გამარჯვებულის ძალა, პირიქით, საშინლად წყრებოდა თურმე მარიუსზე და, როგორც კი დაიხელთებდა ცინას, ემუდარებოდა, უფრო ლმობიერი ყოფილიყო. მარიუსმა ის მონები, რომლებიც ომში მისი თანამოსაგრენი და მისი ტირანიის დამცველები იყვნენ, გავლენიან და მდიდარ ხალხად აქცია: ისინი ხან მარიუსის ბრძანებით ღებულობდნენ ჯილდოს, ხან კი, ყოველგვარ წრეს გადასულნი, ძალდატანებით იტაცებდნენ თავიანთი ბატონების ქონებას, ხოცავდნენ მათ, ძალას ხმარობდნენ მათ ცოლებზე და აუპატიურებდნენ მათ ბავშვებს. სერტორიუსმა ეს აუტანელ მოქმედებად ჩათვალა და, როცა ისინი ერთ ადგილზე დაბანაკებულად მოიხელთა, ყველა, რიცხვით ოთხი ათასამდე კაცი, ერთიანად ამოხოცა[12].

6. მალე გარდაიცვალა მარიუსი, ცოტა ხნის შემდეგ კი მოკლეს ცინა. კონსულობა ხელთ იგდო მარიუს უმცროსმა სერტორიუსის სურვილისა და კანონის წინააღმდეგ. კარბონები, ნორბანები და

სციპიონები უღიმღამოდ ეომებოდნენ შეტევაზე გადმოსულ სულას. ყველაფერი იღუპებოდა, ნაწილობრივ წინამძღოლთა სილაჩრითა და მოუქნელობით, ნაწილობრივ კი მოღალატეთა მოქმედებით. რაკიღა საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა, სერტორიუსის აქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა, მით უფრო, რომ ისინი, ვისაც მეტი ძალა შესწევდათ, უგუნურად იქცეოდნენ. ამას დაემატა შემდეგიც: როცა სულა სციპიონის პირისპირ დაბანაკდა, თვალთმაქცობა დაიწყო, ვითომცდა დაზავება სურდა, და მთელი მხედრობა გადაიბირა. სერტორიუსი წინასწარ აფრთხილებდა სციპიონს, დარიგებას აძლევდა, მაგრამ ვერა და ვერ დააჯერა, მაშინ კი იმედი გაიწყვიტა ქალაქზე და ესპანეთისაკენ გაეშურა. სურდა მოესწრო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამ ქვეყნის გადაქცევა იმ მეგობართა თავშესაფრად, რომლებიც რომში დამარცხდნენ[13].

ესპანეთის მთაგორიან ადგილებში სერტორიუსს საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო, ადგილობრივი ბარბაროსები კი გზაზე გასატარებლად ბაჟის გადახდას სთხოვდნენ. აღშფოთებული მისი მხლებლები გულისწყრომით ამბობდნენ: სად გაგონილა, პროკონსულის ღირსებით აღჭურვილმა რომაელმა ამ ცუღლუტ ბარბაროსებს ბაჟი უხადოსო. სერტორიუსი არად აგდებდა ამას, რაც მათთვის თითქმის სამარცხვინო ჩანდა, და ირწმუნებოდა: მე ვყიდულობ დროს, დროზე ძვირფასი არაფერია ვაჟკაცისათვის, ვინც დიდი საქმისკენ მიისწრაფვისო. მან ფულით დააშოშმინა ბარბაროსები და ესპანეთს სწრაფად დაეუფლა. მის ხელქვეით აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი მეომარი ტომები, რომლებიც ყოველგვარ მბრძანებლობას ზიზღით ეკიდებოდნენ რომიდან განუწყვეტლივ მოვლინებულ პრეტორთა სიხარბისა და თავხედობის გამო. სერტორიუსმა კი მყისვე გადაიბირა ესპანეთის დიდებულები თავაზიანი მოპყრობით, ხოლო ხალხი – ბეგარის შემცირებით. განსაკუთრებული სიყვარული მაინც იმით დაიმსახურა, რომ გააუქმა მკვიდრთა სადგომში ჯარის ჩაყენების წესი. ჯარისკაცები აიძულა, საზამთრო ბინები გარეუბნებში დაედოთ და, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უჩვენა ამის მაგალითი. მაგრამ სერტორიუსი თავის ზრახვებს მთლიანად ბარბაროსთა კეთილგანწყობილებაზე როდი ამყარებდა: მან იარაღში ჩასხა აქ გადმოსახლებული და საომრად ვარგისი რომაელები, დაიწყო ნაირგვარი სამხედრო მანქანების დამზადება, ტრიერების მშენებლობა და ქალაქთა გამგებლობის სადავეების საკუთარ ხელში მოზიდვა. მშვიდობიან საქმეებში ლმობიერად მოღვაწე სერტორიუსი თავისი მზადებით მტერს თავზარს სცემდა.

7. როცა სერტორიუსმა შეიტყო, სულა რომს დაეუფლა და მარიუსისა და კარბონის პარტია დაემხოო, მყისვე მიხვდა, მის წინააღმდეგ საომრად გამოგზავნიდნენ ლაშქარს ვინმე სარდლის მეთაურობით, ამიტომ ლივიუს სალინატორის[14] მეშვეობით, რომელსაც თან ექვსი ათასი ლეგიონერი ჰყავდა, პირენეის მთები დაიკავა. ცოტა ხნის შემდეგ სულამ მართლაც გამოგზავნა გაიუს ანიუსი. მაგრამ რაკიღა ლივიუსი დაუძლეველად მიიჩნია, ანიუსი უმოქმედოდ დადგა მთების ძირში. მერმე კი, როცა ვიღაცა კალპურნიუსმა, მეტსახელად ლანარიუსმა, ვერაგულად მოკლა ლივიუსი და მისმა ლეგიონერებმა პირენეის მწვერვალები მიატოვეს, ანიუსმა მთები გადალახა, დიდი მხედრობით დაიძრა და შემუსრა ყველა, ვინც წინ ეღობებოდა.

სერტორიუსმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და სამი ათასი მეომრის თანხლებით ახალ კართაგენში გაიქცა[15]. აქ ხომალდებში ჩასხდნენ, გადასერეს ზღვა და მიადგნენ ლიბიას მავრუსიასთან[16]. მეომრები წყლის მოსამარაგებლად ნაპირზე გადავიდნენ, მაგრამ ისე, რომ გამაფრთხილებელი ზომები არ მიიღეს. ამით ისარგებლეს ბარბაროსებმა და თავს დაესხნენ. სერტორიუსმა მრავალი ჯარისკაცი დაკარგა აქ და კვლავ ესპანეთისაკენ გამოსცურა. აქედან იგი უკუაგდეს; მაგრამ როცა მას კილიკიელი მეკობრენი შეუერთდნენ, კუნძულ პიტიუსას[17] მიადგა, გადავიდა ხმელეთზე და ანიუსის ჩაყენებული მცველი რაზმი დაამარცხა. არ გასულა დიდი დრო და აქ გამოჩნდა ანიუსი მრავალი ხომალდით და თავით ფეხამდე შეიარაღებული ხუთი ათასი მეომრით. სერტორიუსმა გადაწყვიტა ანიუსს ზღვაზე შებრძოლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ მომცრო, მსუბუქი ხომალდები იყო, რომლებიც სწრაფი ცურვისთვის იყვნენ აგებულნი და არა ბრძოლისათვის. მაგრამ ამ დროს ამოვარდა ძლიერი ზეფირი, რომელმაც ზღვა აატორტმანა და სერტორიუსის მსუბუქ ხომალდთა უმრავლესობა კლდოვან ნაპირზე გარიყა. სერტორიუსი გარიყვას გადაურჩა. იგი რამდენიმე ხომალდით ღია ზღვაში გასვლას ცდილობდა, მაგრამ მძვინვარე ქარიშხალი ამის საშუალებას არ აძლევდა, ნაპირს კი მტერი არ აკარებდა. ისე რომ, იძულებული გახდა ათი დღე აზვირთებულ ტალღებთან ბრძოლაში გაეტარებინა.

8. როცა ქარი ჩადგა, სერტორიუსი მიადგა ზღვაში მიმოფანტულ რომელიღაც უწყლო კუნძულებს და ერთხანს აქ დაჰყო. მერმე აქედან დაიძრა, გაიარა გადირის სრუტე[18], მოუხვია მარჯვნივ და გადავიდა ესპანეთის სანაპიროზე ბეტისის შესართავის ოდნავ ზე-

მოთ. ბეტისი ატლანტის ოკეანეს ერთვის, ესპანეთის იქაური მიდამო კი ამ მდინარის სახელით მოიხსენიება[19]. აქ სერტორიუსს შეხვდნენ ვიღაც მეზღვაურები, რომლებიც ის ის იყო ბრუნდებოდნენ ატლანტის კუნძულებიდან. ესაა ერთმანეთისაგან მეტად ვიწრო სრუტით გამოყოფილი, ლიბიიდან ათი ათას სტადიონზე მდებარე ორი კუნძული, რომელთაც ნეტართა კუნძულებს უწოდებენ[20]. წვიმები აქ იშვიათია და ზომიერი. თითქმის განუწყვეტლივ ქრის წყნარი, ნოტიო ქარი. ამის გამო აქაური მიწა არა მარტო სახნავ-სათესადაა კარგი და ნოყიერი, არამედ თავისთავად იძლევა ნაყოფს, რომელიც სიუხვითა და სიტკბოებით საშუალებას აძლევს აქაურ ხალხს, შრომისა და გარჯის გარეშე ირჩინოს თავი. ჰაერი კუნძულზე დიდებული და ჯანსაღია რბილი ჰავისა და წლის დროთა ზომიერი ცვალებადობის წყალობით. ჩვენს მხარეში ამოვარდნილ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ყველა ქარს, რომელიც კი აქეთ მოისწრაფის, ხანგრძლივი გზა და უსაზღვრო სივრცე ძალას უკარგავს, ხოლო ზღვიდან მობერილ სამხრეთისა და დასავლეთის ქარებს ხანდახან თუ მოაქვთ შხაპუნა წვიმა, უპირატესად კი იქაურობას ნოტიო სიოთი აგრილებენ და ნიადაგს საზრდოს აწვდიან. სწორედ ამიტომაც ბარბაროსთა შორის დამკვიდრებულია მტკიცე რწმენა, რომ აქ არის ელისიონის ველი და ნეტართა სავანე, რომელსაც ჰომეროსმა უმღერა[21].

9. როცა სერტორიუსმა ეს ამბავი მოისმინა, საოცრად დიდი სურვილი აღეძრა ამ კუნძულებზე დასახლებულიყო და ტირანიისა და გაუთავებელი ომებისაგან მოშორებით ეცხოვრა. როგორც კი იგრძნეს სერტორიუსის განზრახვა, კილიკიელები, რომელთაც სიმდიდრე და ნადავლი სწყუროდათ და არა ზავი და სიმშვიდე, მყისვე გავიდნენ ზღვაში ლიბიის მიმართულებით, რათა მავრუსიელთა სამეფო გამგებლობა იფთას ძის ასკალისისათვის დაებრუნებინათ. კილიკიელთა საქციელმა სერტორიუსი სასოწარკვეთილებაში როდი ჩააგდო, პირიქით, მტკიცედ გადაწყვიტა, დახმარებოდა ასკალისის წინააღმდეგ მებრძოლთ. იგი დარწმუნებული იყო, ახალი იმედებით ფრთაშესხმული მისი ჯარისკაცები შემდგომი წარმატებების მოლოდინში ყოყმანს თავს დაანებებდნენ და არ დაიფანტებოდნენ. მავრუსიელებმა სიხარულით მიიღეს სერტორიუსი. მან მყისვე მოჰკიდა საქმეს ხელი, დაამარცხა ასკალისი და ალყა შემოარტყა. სულამ ასკალისის დასახმარებლად მხედრობით გაგზავნა პაკციანუსი. სერტორიუსი ბრძოლაში ჩაება, პაკციანუსი მოკლა, ძლეული მისი ჯარი

თავის მხარეზე გადაიბირა და იერიშით აიღო ტინგისი[22], რომელშიც ასკალისი და ამისი ძმები იყვნენ თავშეფარებულნი.

ლიბიელთა გადმოცემით, ტინგისში დაკრძალული იყო ანტეოსი[23]. სერტორიუსს არ სჯეროდა ბარბაროსთა ნაამბობი ანტეოსის გოლიათური აღნაგობის შესახებ, ამიტომ საფლავი გაათხრევინა და, როცა სამოცი წყრთის სიგრძე სხეული იხილა, როგორც ამბობენ, განცვიფრდა. მერმე მიცვალებულს მსხვერპლი შესწირა, საფლავი კვლავ ამოავსებინა, ზედ ტაგრუცი აღმართა და ამით ანტეოსის სახელი მეტი დიდებით შემოსა. ტინგისელები მოგვითხრობენ, რომ ანტეოსის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი ტინგე შეეუღლა ჰერაკლეს, ამათგან გაჩნდა სოფაკე, რომელიც ამ ქვეყნის მეფე გახდა და ქალაქს დედის სახელი უწოდა. სოფაკეს ძე იყო დიოდორე, რომელსაც ლიბიის მრავალი ტომი დაემორჩილა იმის წყალობით, რომ ამ მხარეში ჰერაკლეს მიერ დასახლებული ოლბიელებისა და მიკენელებისაგან შემდგარი ბერძნული ჯარი ჰყავდა.

ეს ამბავი აქ მეფეთა შორის ყველაზე დიდი ისტორიკოსის იუბას[24] ხათრით გავიხსენეთ. საქმე ისაა, რომ, გადმოცემის თანახმად, იუბას წინაპრები სოფაკესა და დიოდორეს ჩამომავალნი იყვნენ.

გამარჯვებული სერტორიუსი უსამართლოდ როდი მოექცა იმ ხალხს, ვინც იგი აქ მოიხმო და ნდობა გამოუცხადა, პირიქით, დაუბრუნა ქონება, ქალაქები და ძალაუფლება, თვითონ კი აიღო მხოლოდ ის, რაც საკუთარი სურვილით მისცეს.

10. ვინემ სერტორიუსი იმ ფიქრით იყო გართული, თუ საითკენ აეღო ახლა გეზი, ლუზიტანებმა[25] ელჩები გამოუგზავნეს თხოვნით, ჩვენს ლაშქარს წინამძღოლად დაუდექიო. რომაელთაგან დაშინებულ ლუზიტანებს ძალზე სჭირდებოდათ ღირსებით შემოსილი და გამოცდილი მეთაური და ამიტომ გადაეწყვიტათ, თავისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ სერტორიუსისათვის მიენდოთ, მით უმეტეს, რომ ამ კაცის ხასიათი მისი მხლებლებისაგან შეიტყვეს.

ამბობენ, სერტორიუსს არ სჩვეოდა არც სიამოვნების აყოლა და არც შიშისთვის ქედის მოხრა, საფრთხეში თუ ბედნიერების ჟამს ერთნაირად თავშეკავებით იყო. მისი დროის სარდალთაგან ვერც ერთი ვერ გაუტოლდებოდა ცხარე ბრძოლაში; იგი იყო უდიდესი ოსტატი საომარ საქმეთა ფარული წარმოებისა, გასაოცარ მოხერხებასა და სიფხიზლეს იჩენდა ბრძოლისათვის მარჯვე ადგილის შერჩევისა თუ მდინარეზე ფონით გასვლისას. როცა საჭირო იყო, არ ერიდებოდა არც ხრიკსა და არც ტყუილს. გმირობის ჩამდენს ხალ-

ისით და გულუხვად აჯილდოებდა, დამნაშავეს კი დიდი თავშეკავებითა და ზომიერებით სჯიდა. თუმცაღა სერტორიუსის ნამდვილ ხასიათს მაინც ის სისასტიკე და ულმობლობა გვიჩვენებს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში მძევლების მიმართ გამოიჩინა. ბუნებით იგი კეთილი კაცი ალბათ არ იყო და ვითარება აიძულებდა, სიკეთის ნიღაბი აეფარებინა. ჩემი აზრით, ჰეშმარიტს და გონიერებაზე დამყარებულ სიკეთეს ვერარა ბედი ვერ აქცევს ბოროტებად, მაგრამ ადვილი შესაძლებელი, წესიერსა და ბუნებით კარგ კაცს დაუმსახურებლად გადატანილ უბედურებათა გამო, ბედთან ერთად ხასიათიც შეეცვალოს. ვფიქრობ, სწორედ ეს დაემართა სერტორიუსს, როცა ბედმა ზურგი აქცია; უკუღმა დატრიალებულმა საქმემ იგი მრისხანე და დაუნდობელ კაცად აქცია იმათ მიმართ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა.

11. ერთი სიტყვით, ლუზიტანების მიერ მიწვეული სერტორიუსი მაშინ ლიბიიდან წამოვიდა. მან, ვითარცა განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილმა მთავარსარდალმა, მყისვე შეადგინა ლუზიტანებისაგან ლაშქარი და ესპანეთის მეზობლად მდებარე მხარეები დაიმორჩილა. ამ მხარეთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ლმობიერებითა და ენერგიული მოქმედებით მოხიბლა, საკუთარი ნებით დაექვემდებარა მას. ზოგიერთი ტომი კი ტყუილებითა და ცბიერებით მიიმხრო. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადმოგცეთ ამბავი ფურირმის თაობაზე. საქმე ასე იყო: ერთი იქაური მდაბიო კაცი, სახელად სპანოსი, წააწყდა ფურირემს, რომელიც ახლადშობილი ნუკრით მონადირეებს დასხლტომოდა. რაკი დედა ირემს ვერ დაეწია, სპანოსი ნუკრს დაედევნა და მისი არაჩვეულებრივი ფერით გაოცებულმა (ნუკრი მთლიანად თეთრი გახლდათ) კიდეც დაიჭირა იგი. იმ ადგილებში შემთხვევით იმყოფებოდა სერტორიუსი, რომელიც ხალისით ღებულობდა ხოლმე ძღვნად ყოველგვარ ნანადირევსა და სოფლის ნაწარმს, ხოლო საჩუქრის მომტანს თვითონაც გულუხვად უხდიდა სამაგიეროს. ამიტომ სპანოსმა ნუკრი მას მიუყვანა. სერტორიუსმა საჩუქარი მიიღო. პირველ ხანებში ნაჩუქარ ცხოველს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისე მოიშინაურა და ისეთი თვინიერი გახადა, რომ დაძახებაზე მყისვე მიირბენდა ხოლმე მასთან და, ხალხსა და ბანაკის ხმაურს შეჩვეული, ყველგან უკან დასდევდა. ამის შემდეგ სერტორიუსმა ფურირემი ღმერთქალ არტემიდეს ნაბოძარ ღვთაებრივ ცხოველად გამოაცხადა: იგი მე მრავალ საიდ-

უმლოს მიხსნისო. სერტორიუსმა კარგად უწყოდა, რომ ბარბაროსები ბუნებით ცრუმორწმუნენი იყვნენ და ადვილად დაუჯერებდნენ. მერმე ასეთი რამეც მოიგონა: თუ ფარულად შეიტყობდა, მის მიერ დამორჩილებული ქვეყნის რომელიმე ნაწილს მტერი დაესხა თავს, ანდა მტერმა ესა და ეს ქალაქი განსადგომად წააქეზაო, მაშინვე გამოაცხადებდა: ეს ამბავი სიზმარში ფურირემმა გამიმჟღავნა და საჭიროა, სწრაფად მოემზადოთ საბრძოლველადო. ასევე იქცეოდა სერტორიუსი იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე მისი სარდლის გამარჯვებას აუწყებდნენ. იგი მაცნეს საგულდაგულოდ დამალავდა, სიკეთის მომასწავებელი ამბის აღსანიშნავად გვირგვინით შემკულ ფურირემს გამოიყვანდა და ბრძანებდა: აბა, მხნეობა მოიკრიბეთ და ღმერთებს მსხვერპლი შესწირეთ, სულ მალე კარგ ამბავს შეიტყობთო.

12. ამგვარი ფანდებით სერტორიუსმა ლუზიტანები ისე მოათვინიერა, რომ ყოველ საქმეში მორჩილად მიჰყვებოდნენ და დარწმუნებული იყვნენ: ვიღაც გადამთიელის ნება-სურვილს კი არა, თვითონ ღმერთს ვემსახურებითო. მოვლენათა მსვლელობამ კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა მათ ასეთი რწმენა, მით უმეტეს, რომ სერტორიუსის გაზრდილმა ძლიერებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ლაშქარში მას ჰყავდა ორი ათას ექვსასი კაცი, რომელთაც რომაელებს ეძახდა; ამას ემატებოდა შვიდასი ლიბიელი, რომლებიც მას ლუზიტანიაში გამოჰყვნენ; ჰყავდა კიდევ ოთხი ათასი ლუზიტანელი პელტასტი[26] და შვიდასი ცხენოსანი. ეს იყო და ეს. ამ ძალებით ეომებოდა იგი ოთხ რომაელ სარდალს, რომელთა ხელქვეით იმყოფებოდა ას ოცი ათასი ქვეითი მეომარი, ექვსი ათასი ცხენოსანი და ორი ათასი მშვილდოსან-მეშურდულე. გარდა ამისა მათ ემორჩილებოდა აურაცხელი ქალაქი, სერტორიუსი კი დასაწყისში მხოლოდ და მხოლოდ ოცამდე ქალაქს განაგებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სერტორიუსი საომარ მოქმედებას სუსტი და მცირერიცხოვანი ძალებით შეუდგა, მან არა მარტო დიდ დიდი ტომები დაიმორჩილა და მრავალი ქალაქი აიღო, არამედ მის წინააღმდეგ დაძრული სარდლებიც სასტიკად დაამარცხა: რომაელთა მხედართმთავარი კოტა მელარიის[27] მახლობელ სრუტესთან გაანადურა საზღვაო ბრძოლაში, ბეტიკის მმართველი ფუფიდიუსი მდინარე ბეტისთან დაამარცხა და ორი ათასი რომაელი ჯარისკაცი მოუსპო, ხოლო პირაქეთა ესპანეთის პროკონსული დომიციუს კალვიზიუსი თავისი კვესტორის მეშვეობით შემუსრა. თვითონ მან

საკუთარი ხელით მოკლა სარდალი თორანიუსი, რომელიც მის წინააღმდეგ მხედრობით გამოგზავნა მეტელუსმა. რაც შეეხება მეტელუსს, იმ დროისათვის ყველაზე უფრო გამოჩენილსა და ღირსეულ რომაელს, იგი სერტორიუსმა თავისი მარჯვე თავდასხმებით ისეთ მძიმე ვითარებაში ჩააყენა, რომ ლუციუს მანლიუსი იძულებული გახდა, მის საშველად ნარბონის გალიიდან[28] წამოსულიყო, ხოლო სენატმა სერტორიუსის დასათრგუნავად სასწრაფოდ გამოუშვა რომიდან პომპეუს დიდი საჭირო ჯარებით. მეტელუსი დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ამ თავზეხელაღებულ კაცთან, რომელიც ესპანური ჯარის მოქნილობის წყალობით წარამარა ინაცვლებდა ადგილს და პირისპირ შებმას გაურბოდა. მძიმედ შეიარაღებული, საგულდაგულოდ გაწვრთნილი ჯარების ბრძოლაში გამოცდილი მეტელუსი ახლაც წინამძღოლობდა მტკიცე, დინჯსა და საგანგებოდ შეკრულ მხედრობას, რომელიც ფრიად გამოცდილი იყო, ხელჩართულ ბრძოლაში როგორ უკუეგდო და შეემუსრა მტერი, მაგრამ ძალზე უჭირდა მთებზე გადასვლა, ქარივით სწრაფი და განუწყვეტლივ მოძრავი მტრის დევნა, შიმშილის ატანა და, სერტორიუსის ლაშქრის მსგავსად, უცეცხლოდ და უკარვოდ ცხოვრება.

13. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკვე ხანდაზმულსა და მრავალი დიდი ბრძოლის გარდამხდელ მეტელუსს ახლა უზრუნველი, ფუფუნებით სიცოცხლე სურდა. სერტორიუსი კი, ვისაც მეტელუსი ეომებოდა, ახალგაზრდული მხნეობით აღსავსე და საოცარი ჯანღონის პატრონი გახლდათ. იგი მოქნილი იყო და ცხოვრებაში დიდს არაფერს მოითხოვდა. სმასა და ღრეობას მოცლილობის ჟამსაც არ სწყალობდა. იგი მძიმე შრომას, შორეული გზების გადალახვასა და გამუდმებულ სიფხიზლეს იყო ჩვეული, ყოველთვის მცირე და უბრალო საჭმლით კმაყოფილდებოდა. როცა დრო ჰქონდა, სულ დახეტიალობდა ანდა ნადირობდა. ასე გაიცნო ყოველი ადგილის ასავალ დასავალი და იცოდა, რომელი იყო გაუვალი და რომელი იოლად დასაძლევი. ნაცნობი ადგილების წყალობით ადვილად შეეძლო უკან დახევის დროს ხელიდან დასხლტომოდა მტერს, დევნის ჟამს კი ალყაში მოექცია იგი. ერთი სიტყვით, სერტორიუსმა მეტელუსს ნამდვილ ბრძოლაში ჩაბმის საშუალება არ მისცა და დამარცხებული კაცის ვითარებაში ჩააგდო. ხოლო თვითონ სერტორიუსი, ვინც მტერს გაურბოდა, მტრის მდევნელის ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა. იგი რომაელებს წყლისა და სურსათის მისაზიდ გზას უღობავდა, წინ დაძრულ ლაშქარს თვალთაგან ეფარებოდა, დაბა-

ნაკებულს კი მოსვენებას არ აძლევდა. თუ მეტელუსის მეომრები რომელიმე დასახლებულ ადგილს ალყას შემოარტყამდნენ, მოულოდნელად გამოჩნდებოდა, მტერს თავის მხრივ მოიქცევდა ალყაში და საარსებო სახსარს უსპობდა. ბოლოს და ბოლოს, ჯარისკაცებმა ყოველგვარი წარმატების იმედი დაკარგეს, გაჭირვებას ვეღარ გაუძლეს და, როცა სერტორიუსმა მეტელუსი ორთა ბრძოლაში გაიწვია, წინამძღოლს ყვირილით მოსთხოვეს გამოწვევა მიეღო: დაე შეებას სარდალი სარდალს და რომაელი რომაელსო! მეტელუსმა უარი განაცხადა. როცა გაქირდვა დაუწყეს, მათი მოთხოვნა სასაცილოდ აიგდო და კარგადაც მოიქცა. აკი ბრძანა თეოფრასტემ: სარდალი სარდალივით უნდა მოკვდეს და არა უბრალო პელტასტის სიკვდილითო.

მალე მეტელუსმა შეიტყო, რომ შეეძლო წყურვილით დაემორჩილებინა ლანგობრიგელები[29], რომლებიც სერტორიუსს მცირე დახმარებას როდი უწევდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ქალაქში მათ ერთადერთი ჭა ჰქონდათ, ქალაქის ახლომახლო და კედლებთან მდებარე წყაროებს კი ალყის შემომრტყმელი ადვილად დაეუფლებოდა. ამის იმედით მეტელუსი ქალაქს მიადგა. იგი დარწმუნებული იყო, მოსახლეობა უწყლობას ვერ გაუძლებდა და ორი დღის ალყის შემდეგ ქალაქს ჩააბარებდა. ამიტომ ჯარისკაცებს უბრძანა: თან მხოლოდ ხუთი დღის სურსათი წამოიღეთო. სერტორიუსმა დახმარება როდი დააყოვნა. მან მყისვე გასცა ბრძანება, ორი ათასი ტყავის გუდა წყლით აევსოთ. პირობა დადო, რომ ყოველი გუდა წყლისთვის საკმაოდ დიდ თანხას გაიღებდა. მრავალმა ესპანელმა და მავრუსიელმა მეომარმა იკისრა ამ საქმის შესრულება. მაშინ სერტორიუსმა შეარჩია მათში ყველაზე უფრო ღონიერნი და მკვირცხლნი და დაავალა, გადასულიყვნენ მთაზე, გადაეცათ გუდები ქალაქში მყოფთათვის და მერმე გამოეყვანათ იქიდან ბრძოლისათვის უვარგისი ხალხი, რათა ქალაქის დამცველებს სამყოფი წყალი ჰქონოდათ. როცა ამ ამბავმა მეტელუსამდე მიაღწია, იგი ფრიად ცუდ გუნებაზე დადგა, ვინაიდან მის მეომრებს საკვები უკვე გამოლეოდათ. მან სურსათისათვის ექვსიათასიანი რაზმით აკვინუსი გაგზავნა. სერტორიუსმა ეს გაიგო და უკან დაბრუნებულ აკვინუსს გზაზე ჩაუსაფრდა. როგორც კი გამოჩნდა იგი, ერთ დაბურულ ხეობაში ჩამჯდარი სამი ათასი კაცი ზურგიდან დაასხა თავს, თვითონ კი პირისპირ ეკვეთა და უკუაქცია. რომაელ ჯარისკაცთა ნაწილი სერტორიუსმა მთლიანად შემუსრა, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანა. აკვინუსმა ბრძოლაში იარაღი და ცხენი

დაკარგა და ისე დაბრუნდა. მეტელუსი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა და სამარცხვინოდ უკან დახეულიყო. რომაელთა გაწბილებულ სარდალს ესპანელებმა წყევლა კრულვა და ათასგვარი დამცინავი სიტყვა გააყოლეს.

14. ასეთი წარმატებებით აღფრთოვანებულ ბარბაროსებს კიდევ უფრო მეტად შეუყვარდათ სერტორიუსი, რამეთუ ისინი რომაულ ყაიდაზე შეიარაღებას, რომაულ წესრიგსა და დათქმული ნიშნების ხმარებას მიაჩვია, საზღვარი დაუდო მათ ველურ და პირუტყვულ ყოფას და ავაზაკთა დიდი ბრბოსაგან ნამდვილი ჯარი ჩამოაყალიბა. სერტორიუსმა სახელი გაითქვა იმითაც, რომ დაუზოგავად ხარჯავდა ოქროსა და ვერცხლს ბარბაროსთა მუზარადების შესამკობად და მათი ფარების მოსაჭედად. იგი ბარბაროსებს ჭრელი ქლამიდებისა და ტოგების ტარებას ასწავლიდა და ხალისით შველოდა ასეთი ტანსაცმლის შეძენაში.

ბარბაროსთა გული სერტორიუსმა ყველაზე უფრო მეტად მაინც ბავშვებზე ზრუნვით მოიგო. დიდ ქალაქ ოსკაში[30] მან თავი მოუყარა ადგილობრივ ტომთა წარჩინებული ოჯახების ბავშვებს და ბერძნულ რომაულ მეცნიერებათა დასაუფლებლად მასწავლებლები მიუჩინა. სინამდვილეში ეს ბავშვები სერტორიუსმა მძევლებად აიყვანა, სიტყვით კი აცხადებდა: ამათ განათლებას იმიტომ ვაძლევ, რომ მოწიფულობის ხანაში სახელმწიფო საქმეები და ქვეყნის გამგებლობა გადავცეო. მამებს განსაკუთრებით უხაროდათ, როცა ხედავდნენ, თუ როგორ დარაზმულნი დადიოდნენ სკოლაში მეწამულ ტოგებში გამოწყობილი მათი შვილები, როგორ იხდიდა მათთვის გასამრჯელოს სერტორიუსი, როგორ აწყობდა ხშირად გამოცდებს, როგორ ურიგებდა საჩუქრებს ღირსეულთ და აჯილდოებდა მათ ოქროს ყელსაბამებით, რომელთაც რომაელები „ბულებს“ ეძახიან. ესპანეთში ასეთი ადათი იყო: თუ ვინმე წინამძღოლი დაიღუპებოდა, ყველა მისი თანამებრძოლი მასთან ერთად უნდა მომკვდარიყო. ასეთ საქციელს იქაურ ბარბაროსებში „აღთქმით თავშეწირვა“ ეწოდება. სხვა სარდლებს ძალზე ცოტა თუ ჰყავდათ ისეთი ერთგული მეომრები, რომლებიც მათთვის სიცოცხლეზე ხელს აიღებდნენ, სერტორიუსს კი თან ახლდა თავშესაწირავად გამზადებული მრავალზე მრავალი მებრძოლი. ამბობენ, ერთხელ რომელიღაც ქალაქთან ბრძოლაში დამარცხებულ სერტორიუსს მტერი რკალში იმწყვდევდა. მაშინ ესპანელმა მეომრებმა საკუთარი თავი დაივიწყეს და მხოლოდ და მხოლოდ მთავარსარდლის ხსნაზე ფიქრობდნენ.

მათ სერტორიუსი მხრებზე შეისვეს, მერმე ერთმანეთს გადასცეს და ასე აიყვანეს გალავნის კედელზე. როცა დარწმუნდნენ, წინამძღოლი საფრთხეს გადაურჩაო, მხოლოდ ამის შემდეგ უშველეს თავს და გაიქცნენ.

15. სერტორიუსს მარტო ესპანელები როდი სცემდნენ თაყვანს, მას იტალიიდან მოსული მეომრებიც შენატროდნენ. აი მაგალითიც: ესპანეთში დიდძალი ფულით და მრავალრიცხოვანი მხედრობით გამოცხადდა პერპენა ვენტონი, ვინც იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, რომელშიც სერტორიუსიც შედიოდა. მას გადაეწყვიტა, დამოუკიდებელი ომი ეწარმოებინა მეტელუსთან. როცა ეს გაიგეს, ჯარისკაცები საშინლად აღშფოთდნენ: მთელი ბანაკი სიყვარულით იხსენებდა და ნატრობდა სერტორიუსს. წარჩინებული გვარიშვილობითა და სიმდიდრით გაყოყოჩებულ პერპენას ამან დიდზე დიდი წყენა მოჰგვარა. ჩქარა ამბავი მოიტანეს: პომპეუსი პირენეის მთებზე გადმოვიდაო. ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს იარაღსა და ლეგიონთა დროშებს და პერპენას ყვირილით მიეჭრნენ: ახლავე წაგვიყვანე სერტორიუსთან. თუ ამას არ იზამ, ჩვენ თვითონვე გადავალთ იმ ვაჟკაცის მხარეზე, ვისაც ძალუძს, თავისი თავი და სხვებიც დაიხსნასო. პერპენამ უწინდელ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღო, წაიყვანა ისინი და თავისი ორმოცდაცამეტი კოჰორტით სერტორიუსს შეუერთდა.

16. სერტორიუსს აურაცხელი ძალა ჰყავდა: მის მხარეზე დადგა მდინარე იბეროსის გამოღმა მოსახლე ყველა ტომი, მის ისედაც დიდ ლაშქარს უწყვეტ ნაკადად უერთდებოდა ყოველი მხრიდან დაძრული ხალხი. მაგრამ სერტორიუსს აშფოთებდა ბარბაროსთა უწესრიგობა და უგუნური სიმამაცე. ისინი დაყოვნებას ოდნავადაც ვერ იტანდნენ და ყვირილით მოითხოვდნენ: დროა მტერთან ბრძოლა დავიწყოთო. სერტორიუსი ამაოდ ცდილობდა, შეგონებებით დაეშშვიდებინა ძალამოჭარბებული ბრბო. როცა დაინახა, ესპანელები უსაზღვროდ ბობოქრობდნენ და მზად იყვნენ, აეძულებინათ იგი, უდროო დროს ჩაბმულიყო ბრძოლაში, მაშინ დათმობაზე წავიდა და მეომრებს უფლება მისცა, თავის ნებაზე შეტაკებოდნენ მოწინააღმდეგეს. სერტორიუსი იმედოვნებდა: მტერი მთლიანად ვერ მოსპობს ამათ, მაგრამ ჭკუას კი ასწავლის და მომავალში უფრო მორჩილთ გახდისო. მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სერტორიუსი ვარაუდობდა. იგი მტრისაგან შევიწროებულ ესპანელთა საშველად გაეშურა, უკუქცეულთ თავი მოუყარა და მშვიდობით დააბრუნა ბანაკში.

შერცხვენილ ესპანელთა სასოწარკვეთილების გასაფანტავად სერტორიუსმა რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ლაშქარი მოედანზე შეკრიბა და იქვე ორი ცხენი მოაყვანინა, ერთი მთლად ქანცგაწყვეტილი და ბებერი, მეორე კი ტანადი და ღონიერი, რომელსაც საოცრად ხშირი და მბზინავი ლამაზი კუდი ჰქონდა. დაჩაჩანაკებულ ცხენს ერთი წარმოსადეგი და მკლავძლიერი ვაჟკაცი ამოუდგა უკან, ხოლო ღონიერს - ტანდალეული და საცოდავი შესახედაობის მეომარი. დათქმულ ნიშანზე ძლიერი ვაჟკაცი ორივე ხელით ჩაეჭიდა კუდში თავის ცხენს და მოსაგლეჯად მთელი ძალით დაექაჩა, სუსტმა კი ღონიერ პირუტყვს ღერ-ღერად დაუწყო ძუის ამოცლა. პირველმა მაყურებელთა სიცილი გამოიწვია. იმანაც ხანგრძლივი და ამაო გარჯის შემდეგ ცხენს თავი დაანება, მეორემ კი ამასობაში ნელ-ნელა გაბდღვნა თავისი წილი კუდი. მაშინ წამოდგა სერტორიუსი და შეკრებილთ მიმართა: „ხომ ხედავთ, ჩემო თანამებრძოლნო, მოთმინება და დაჟინება რომ ჯობია ძალას? ის, რაც ერთი ხელის მოქნევით დაუძლეველია, ადვილად კეთდება თანდათანობით. განუწყვეტელ, დაჟინებულ მოქმედებას ვერაფერი ვერ დაუდგება წინ, მისი შემწეობით დრო ამსხვრევს და ანადგურებს ყოველგვარ ძალას. იგი კეთილი მოკავშირეა იმისა, ვინც გონების თვალით ზომავს თავის დროსა და ჟამს და სასტიკად მტრობს უდროოდ აჩქარებულ კაცს“. ამდაგვარი შეგონებებით სერტორიუსი ყოველთვის ცდილობდა, ხელსაყრელი დროის შერჩევა ესწავლებინა ბარბაროსებისათვის.

17. სერტორიუსის სამხედრო წარმატებათა შორის ყველაზე გასაოცარი ეგრეთ წოდებული ხარაკიტანებზე გამარჯვება გახლდათ. ეს ტომი მდინარე ტაგონიუსის გადაღმა იმყოფება[31]. ხარაკიტანები ქალაქებსა და სოფლებში კი არ ცხოვრობენ, არამედ განლაგებული არიან ერთ საკმაოდ დიდსა და მაღალ გორაკზე, რომლის ჩრდილოეთით მდებარე კლდოვანი ფერდობი სავსეა გამოქვაბულებითა და გვირაბებით. გორაკის ძირას მთელი მიდამო აყალო მიწისაა, ნიადაგი აქ ისეთი ფაშარი და სუსტია, კაცის ფეხის დადგმას ვერ უძლებს, ოდნავი შეხებითაც კი კირისა და ნაცრის მსგავსად იშლება და კარგა შორს მანძილზე მტვრის კორიანტელს აყენებს. იქაური ბარბაროსები ომის საფრთხის მოახლოებისთანავე მთელი თავისი ქონებით გამოქვაბულებში იმალებოდნენ და ძალით მათი დამორჩილება შეუძლებელი გახლდათ. სერტორიუსმა,

რომელიც მეტელუსს თავს არიდებდა, ერთხელ ბანაკი სწორედ ამ გორაკთან დასცა. ხარაკიტანები მას, როგორც დამარცხებულსა და უკუქცეულ კაცს, ქედმაღლურად და აგდებით უყურებდნენ. გაჯავრებულ სერტორიუსს უნდოდა, ბარბაროსებისათვის დაემტკიცებინა, რომ სრულიადაც არ იყო ლაჩარი და დამარცხებული, ამიტომ გათენებისთანავე ცხენზე შეჯდა და იქაური ადგილმდებარეობის დაზვერვას შეუდგა. რაკი გორაკთან მისადგომი ვერ იპოვნა, ტყუილად იხეტიალა და ხარაკიტანებს ამაო მუქარა უთვალა. უცებ შენიშნა, რომ ფაშარი ნიადაგიდან ქარისგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი მაღლა, ბარბაროსებისაკენ მიემართებოდა. მათი გამოქვაბულები, როგორც ვთქვი, ჩრდილოეთის მხარესაა მიქცეული, იქაურ ქართა შორის კი ყველაზე ძლიერი და ხშირი სწორედ ჩრდილოეთის ქარია, რომელსაც ზოგიერთი კეკიას[32] უწოდებს. იგი ნოტიო ველებიდან და დათოვლილი მთებიდან მოქრის ხოლმე აქეთ.

მაშინ შუა ზაფხული იდგა, ჩრდილოეთში ყინულის დნობის შედეგად ამძლავრებული ქარი საამოდ უბერავდა და დღის განმავლობაში ბარბაროსებსა და მათ პირუტყვს აგრილებდა.

სერტორიუსმა ყველაფერი ეს გონებით აწონ დაწონა, ზოგი რამ ახლომახლო მოსახლეთაგან შეიტყო და მერმე ჯარისკაცებს უბრძანა ფუყე, ნაცარა მიწა მოეგროვებინათ, გადმოეტანათ და გორაკის პირისპირ დაეხვავებინათ. ბარბაროსებს ეგონათ, სერტორიუსი იერიშისათვის მიწაყრილს ამზადებსო, და დაცინვა დაუწყეს. მან ჯარისკაცები დაღამებამდე ამუშავა, შემდეგ კი ბანაკში დააბრუნა. გარიჟრაჟზე სუსტმა ქარმა დაქროლა, მოზიდული მიწა მჩატედ აიტაცა და მზესავით მიმოფანტა. ამოიწვერა თუ არა მზე, ახლა თავაწყვეტილმა კეკია ქარმა გაინავარდა და გორაკები მტვრით აავსო. მაშინ ჯარისკაცები კვლავ მიადგნენ მიწის გროვას და გადააბრუნეს იგი. ერთნი ფუყე ბელტებს აქუცმაცებდნენ, სხვები ცხენებს დააჭენებდნენ აღმა დაღმა და ფაშარი ნიადაგიდან ავარდნილ მტვერს ძლიერ ქარს ატანდნენ. დაქუცმაცებული მიწა ქარს საშინელი ძალით მიჰქონდა ზემოთ, ბარბაროსებისკენ, და კეკიას მოლოდინში კარდაღებულ სადგომებს ავსებდა. რაკი გამოქვაბულთ მხოლოდ ის ერთადერთი მხარე ჰქონდათ ღია, საიდანაც ქარი უბერავდა, მტვრით დამძიმებულმა, დანისლულმა და სულის შემხუთავმა ჰაერის ძლიერმა ნაკადმა ბარბაროსებს თვალები

დაუბნელა და სუნთქვა შეუკრა. ისინი დიდი წვალების ფასად ორ დღეს ითმენდნენ ამას, მაგრამ მერმე ველარ გაუძლეს და მესამე დღეს მოწინააღმდეგეს ჩაბარდნენ. ამ გამარჯვებამ ძალაზე უფრო დიდება შეჰმატა სერტორიუსს, რადგან გამჭრიახობით დასძლია ის, რისი დაძლევაც იარაღით არ ხერხდებოდა.

18. სანამ ომი მეტელუსთან წარმოებდა, ასე ჩანდა, თითქოს სერტორიუსის ყველა წარმატების მიზეზი იყო სიბერე და თანდაყოლილი სიზანტე რომაელი მხედართმთავრისა, რაკი ვერ უმკლავდებოდა მამაც მეომარს, ვინც სათავეში ედგა ავაზაკთა ბრბოს და არა ნამდვილ სამხედრო ლაშქარს. მაგრამ როცა სერტორიუსი პირენეის მთებზე გადმოსული პომპეუსის პირისპირ დაბანაკდა და სამხედრო ხელოვნებაში გაწვრთნილი კაცის სახელის მოსახვეჭად ორ სარდალს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა, სერტორიუსმა გაცილებით უფრო დიდი ნიჭი გამოიჩინა იერიშისა თუ თავდაცვის უკეთესად მომზადების საქმეში. ამიტომ მისი დიდების ხმა რომს მიწვდა და იგი ერთხმად აღიარეს საომარ ხელოვნებაში ყველაზე უფრო გამოცდილ და ნიჭიერ მხედართმთავრად მაშინდელ მხედართმთავართა შორის. პომპეუსს ნაკლები სახელი როდი ჰქონდა. იგი დიდების მწვერვალს იყო უკვე მიღწეული. განსაკუთრებით ისახელა თავი პომპეუსმა სულას საქმისათვის თავდადებულ ბრძოლაში. სულამ ხომ ამისათვის მას მეტსახელად „მაგნუსი" ანუ „დიდი" შეარქვა და ჯერ კიდევ პირტიტველ ყმაწვილკაცს სატრიუმფო პატივიც მიანიჭა. სერტორიუსისადმი დაქვემდებარებულ მრავალ ქალაქს თვალი უკვე პომპეუსისაკენ ეჭირა და მის მხარეზეც კი აპირებდნენ გადასვლას, მაგრამ მალე შეიცვალეს აზრი ლავრონთან[33] მომხდარი მოულოდნელი მარცხის გამო. სერტორიუსმა ლავრონს ალყა შემოარტყა. მაშინ პომპეუსი მთელი თავისი ჯარით ქალაქის დასახმარებლად გაეშურა. სერტორიუსმა განიზრახა დაეკავებინა ერთი გორაკი, რომელიც ქალაქის ასაღებად მეტად მარჯვე ადგილი ჩანდა. მტრის განზრახვისათვის რომ ხელი შეეშალა, მხედრობა პომპეუსმა სწორედ იქით წაიყვანა, მაგრამ სერტორიუსმა დაასწრო. პომპეუსმა თავისი ჯარი შეაჩერა. იგი გახარებული იყო შექმნილი ვითარებით. ეგონა: მტერი ქალაქსა და ჩემს ლაშქარს შორის გამოიმწყვდევაო. მან ლავრონელებთან მაცნე აფრინა და შეუთვალა: გამხნევდით, ქალაქის კედლებზე დასხედით და უცქირეთ, როგორ მოვიქცევ სერტორიუსს ალყაშიო. ეს რომ სერტორიუსმა შეიტყო,

გაიცინა და თქვა: სულას მოწაფეს (ასე ეძახდა დაცინვით პომპეუსს) მე ვასწავლი, რომ სარდლისთვის სჯობია ხშირად უკან იცქიროს, ვიდრე წინო. ამ სიტყვებთან ერთად თავისიანებს დაანახვა ექვსი ათასი ჰოპლიტი, რომლებიც მან ბანაკში დატოვა, როცა ზემოხსენებული გორაკის დასაკავებლად გამოემართა. ეს ჰოპლიტები ზურგიდან უნდა დასხმოდნენ თავს პომპეუსს, როცა იგი სერტორიუსზე იერიშს მიიტანდა. ცოტა უფრო გვიან პომპეუსი ყველაფერს მიხვდა. მაგრამ ვერც ხელის გამოღება გაბედა იმის შიშით, ალყაში არ მოვექცეო, და სირცხვილით ვერც საფრთხეში მყოფი ლავრონელები მიატოვა. იგი იძულებული გახდა, უმოქმედოდ დარჩენილიყო ადგილზე და ქალაქის დაცემისათვის ეყურებინა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ლავრონელმა ბარბაროსებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და სერტორიუსს ჩაბარდნენ. სერტორიუსმა მათ სიცოცხლეც შეუნარჩუნა და თავისუფლადაც გაუშვა, მაგრამ ქალაქი ცეცხლს მისცა. მრისხანებამ და ულმობლობამ როდი ჩაადენინა ეს (სერტორიუსი სარდალთა შორის ყველაზე ნაკლებ ემორჩილებოდა თავის ვნებებს). მას სურდა, შეერცხვინა და გაეწბილებინა პომპეუსის თაყვანისმცემლები, სურდა, ბარბაროსებში დარხეულიყო ხმა, განწირულ ქალაქთან მდგარი პომპეუსი მოკავშირეებს კი არ ეხმარებოდა, არამედ ცეცხლს ეფიცხებოდაო.

19. მართალია, არანაკლები მარცხი სერტორიუსსაც მოუვიდა, მაგრამ დამნაშავე ამაში მისი სარდლები იყვნენ. ისა და მისი რაზმი მუდამ დაუძლეველი და უვნებელი რჩებოდა. მარცხის შემდეგ სერტორიუსის ჯარების ფეხზე სწრაფი დადგომა გაცილებით უფრო დიდ გაოცებას იწვევდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე მხედართმთავრების გამარჯვებები. ამის მაგალითია ბრძოლა სუკრონთან პომპეუსის წინააღმდეგ და მერმე ბრძოლა დურიის მახლობლად პომპეუსისა და მეტელუსის გაერთიანებულ ძალებთან[34].

ამბობენ, პომპეუსი სუკრონთან ბრძოლის დაწყებას ძალზე ჩქარობდა, რათა გამარჯვებაში წილი მეტელუსს არ დაედოო. თავის მხრივ, სერტორიუსსაც სურდა პომპეუსს მეტელუსის მოსვლამდე შებმოდა. ამიტომ ჯარი საღამო ჟამს გამოიყვანა და საბრძოლველად დააწყო. ფიქრობდა, მოახლოებული ღამის წყვდიადი უკუქცევისა თუ დევნის დროს ხელს შეუშლიდა უცხო ქვეყნიდან მოსულ მტერს, რომელიც იქაურ ადგილმდებარეობას არ იცნობდა. ჩქარა ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა და მარჯვენა

ფრთაზე განლაგებული სერტორიუსი აღმოჩნდა არა პომპეუსის, არამედ აფრანიუსის პირისპირ, ვინც მტრის მხედრობის მარცხენა ფრთას ხელმძღვანელობდა. როცა სერტორიუსს აუწყეს, პომპეუსის წინააღმდეგ დარაზმული ლაშქრის მარცხენა ფლანგი მტრის იერიშს ვერ უძლებს და დამარცხებული უკან იხევსო, მარჯვენა ფრთის მეთაურობა სხვებს მიანდო და სასწრაფოდ დამარცხებულთა საშველად გაემართა. მან თავი მოუყარა უკუქცეულ მეომრებს, დარაზმა ისინი მწკრივში დარჩენილებთან ერთად, გაამხნევა და ახალი ძალით ეკვეთა იერიშზე წამოსულ პომპეუსს. რომაელებს შავი დღე დაადგათ და მთლიანად უკუიქცნენ. დაჭრილი პომპეუსი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. საქმე ის იყო, რომ სერტორიუსის ლაშქარში მყოფმა ლიბიელებმა ხელთ იგდეს მისი ოქროთი დარახტული შეკაზმული ცხენი და ნადავლის გასაყოფად ერთმანეთთან გაჩაღებულ დავაში რომაელთა მხედართმთავრის დევნას თავი მიანებეს.

როცა სერტორიუსი მარცხენა ფლანგის დასახმარებლად გაეშურა, აფრანიუსმა დრო იხელთა, მის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმები უკუაგდო და ბანაკისაკენ გარეკა. კარგად რომ დაღამდა, გაქცეულ მტერთან ერთად ბანაკში შეიჭრა და იქაურობის აოხრებას შეუდგა. აფრანიუსმა პომპეუსის გაქცევის ამბავი არ იცოდა და ვერ შეძლო თავისი თავაწყვეტილი ჯარისკაცები შეეჩერებინა და აეკრძალა ბანაკის ძარცვა. ამასობაში მარცხენა ფრთაზე გამარჯვებული სერტორიუსი დაბრუნდა, აფრანიუსის არეულ-დარეულ მეომრებს ეკვეთა და მრავალი მათგანი ამოჟლიტა. დილაადრიან კვლავ აისხა იარაღი და საბრძოლველად გამოვიდა, მაგრამ როცა შეიტყო, მეტელუსი მოახლოვდაო, ჯარი ბანაკში დააბრუნა და ასე თქვა: „ეს დაჩაჩანაკებული დიაცი რომ არა, იმ ლაწირაკ პომპეუსს კარგად გავშოლტავდი და ისე გავაბრუნებდი რომშიო“.

20. სერტორიუსს დიდი მწუხარება მოჰგვარა ფურირმის დაკარგვამ. ის აღარსად ჩანდა და მხედართმთავარსაც ბარბაროსებზე ზეგავლენის საოცარი საშუალება აღეკვეთა. ესპანელთ კი სწორედ ახლა სჭირდებოდათ შეგონება და გამხნევება. მაგრამ სულ ჩქარა ღამით სახეტიალოდ წასული რამდენიმე მეომარი დაკარგულ ფურირემს წააწყდა. ის ფერით იცნეს, დაიჭირეს და პატრონს მიჰგვარეს. სერტორიუსმა მეომრები დაარიგა, ნაპოვნის თაობაზე არავისთვის არაფერი ეთქვათ, სამაგიეროდ დიდი თანხის გადახდა აღუთქვა

და ფურირემი საგულდაგულოდ დამალა. რამდენიმე დღის შემდეგ გაბრწყინებული სახით გამოვიდა ბანაკში, მისთვის განკუთვნილი შემაღლებული ადგილისაკენ გაემართა და გზადაგზა ბარბაროსთა თავკაცებს ამცნო: ძილში ღვთაება გამომეცხადა და დიდი სიკეთე მიწინასწარმეტყველაო. მერმე იმ შემაღლებულ ადგილზე ავიდა, დაჯდა და მასთან საქმეზე მოსულ ხალხს საუბარი გაუმართა. ამ დროს იქვე მახლობლად მყოფმა, წინასწარ დარიგებულმა მცველებმა ფურირემი გამოუშვეს. როგორც კი დაინახა პატრონი, გახარებული პირუტყვი კუნტრუშით გაეშურა მისკენ, მერმე გვერდით დაუდგა, თავი მუხლებზე დაუდო და, ჩვეულებისამებრ, მარჯვენა ხელის ლოკვა დაუწყო. სერტორიუსი, თავის მხრივ, დიდი სიყვარულით მიეალერსა ფურირემს, ხოლო როცა თვალებზე ცრემლიც მოადგა, იქ მყოფი ესპანელები საკვირველების ხილვამ ადგილზე გააქვავა. ამის შემდეგ მხნეობითა და კეთილი იმედებით აღვსილმა მეომრებმა სერტორიუსი, ვითარცა საოცარი და ღმერთებისათვის საყვარელი ვაჟკაცი, ტაშისცემითა და ყიჟინით საკუთარ კარვამდე გააცილეს.

21. სერტორიუსმა მტერი საგუნტინების ველზე რკალში მოიმწყვდია და მეტისმეტად შეავიწროვა. მაგრამ როცა რომაელები სურსათის დასატაცებლად ბანაკიდან აიყარნენ, იძულებული გახდა, ბრძოლაში ჩაბმულიყო. ორივე მხარე ბრწყინვალედ იბრძოდა. ცხარე ბრძოლაში დაეცა პომპეუსის ყველაზე ნაცადი სარდალი მემიუსი[35]. სერტორიუსი გააფთრებით უტევდა რომაელებს და გაიმარჯვა კიდეც. მერმე მეტელუსისაკენ გაეშურა და დაუზოგავად ანადგურებდა ყველას, ვინც გზაზე გადაეღობებოდა. მიუხედავად ასაკისა, მეტელუსი მტკიცედ იდგა და შეუპოვრად იბრძოდა, სანამ შუბით არ დაჭრეს. რომაელები, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს თუ სხვებისაგან შეიტყვეს მთავარსარდლის დაჭრა, მტერზე უსაზღვროდ განრისხდნენ და დიდ სირცხვილად ჩათვალეს დაჭრილი წინამძღოლის მიტოვება. მეტელუსი მყისვე ხელში აიტაცეს, წინ ფარებით დაუდგნენ და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, შეტევაზე გადმოსული ესპანელები კი შეუპოვარი ბრძოლით უკუაგდეს. რაკი გამარჯვებამ ზურგი შეაქცია, სერტორიუსმა ყველა ხერხს მიმართა, თავისიანების უკანდახევა უზრუნველეყო, ლაშქარი მარჯვე ადგილზე გაეყვანა და მაშველ ძალას მშვიდად დალოდებოდა. მან მიაშურა მთაზე განლაგებულ ერთ საიმედოდ დაცულ ქალაქს და

მისი კედლები და კარიბჭე საგანგებოდ გაამაგრა. მას ალყაში მოქცევის ფიქრი სულ არ ჰქონდა, მტერი კი სასტიკად მოატყუა. რომაელებმა სერტორიუსს ალყა შემოარტყეს და დარწმუნებულიც იყვენენ, ქალაქს ადვილად აიღებდნენ, მაგრამ ბარბაროსები ნებაზე მიუშვეს, არ მიაქციეს ყურადღება, ისინი რომ გარბოდნენ, ხოლო სერტორიუსის მაშველი ძალები დასახმარებლად ემზადებოდნენ. ძალთა შეკრება ხდებოდა ქალაქებში გაგზავნილ მეთაურთა მეშვეობით, რომელთაც სერტორიუსმა უბრძანა, როგორც კი ჯარის საკმაო რაოდენობა მოგროვდებოდა, ეს მისთვის დაუყოვნებლივ ეუწყებინათ. როცა მაცნე მოვიდა, სერტორიუსმა სულ ადვილად გაარღვია მტრის რკალი და თავისიანებს შეუერთდა. აღორძინებული მრავალრიცხოვანი ლაშქრით სერტორიუსი კვლავ ფეხდაფეხ მისდევდა მტერს, ხან ჩაუსაფრდებოდა, ხან ალყას შემოარტყამდა, ხან კი ანაზდეული სისწრაფით იქ გამოჩნდებოდა, სადაც არ ელოდნენ, და რომაელებს ხმელეთით სურსათის მისაზიდ გზას უჭრიდა. ასევე მოუჭრა მან მტერს საზღვაო გზაც. ზღვის მთელი სანაპირო ზოლი მეკობრეთა ხომალდებს ჰქონდა დაკავებული.

ბოლოს და ბოლოს, რომაელი სარდლები იძულებული გახდნენ, გათიშულიყვნენ. მეტელუსი გალიაში წავიდა, სრულიად უსახსროდ დარჩენილმა პომპეუსმა კი ზამთარი ვაკეების[36] მხარეში გაატარა. იგი სენატს სწერდა: თუ ფულს არ გამომიგზავნით, ჯარს უკან დავაბრუნებ, მთელი ჩემი ქონება კარგა ხანია იტალიისათვის ომში დავხარჯეო[37]. რომში ხმა დაირხა: პომპეუსზე ადრე იტალიაში სერტორიუსი გამოცხადდებაო. აი, რა ვითარებაში ჩააყენა სერტორიუსის სიმარჯვემ იმ დროის უპირველესი და უძლიერესი მხედართმთავრები!

22. მეტელუსმა სულ ჩქარა გამოამჟღავნა, რომ სერტორიუსისა ეშინოდა და ამ ვაჟკაცის ძალას დიდად აფასებდა. მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ რომაელს, ვინც სერტორიუსს მოკლავდა, ას ტალანტ ვერცხლს მისცემდა და ოცი ათას იუგერ[38] მიწას მიუზომავდა; თუ მკვლელი გაძევებული კაცი აღმოჩნდებოდა, მას რომში დაბრუნების უფლება მიენიჭებოდა. მეტელუსმა აშკარა ბრძოლაში გამარჯვების იმედი დაკარგა და ახლა ღალატის შემწეობით სურდა სერტორიუსის თავი ეყიდა.

კიდევ მეტი, ერთ რომელიღაც შეტაკებაში მან სერტორიუსი დაამარცხა. ამ პატარა გამარჯვებამ ისე გააყოყოჩა და ისეთი ბედ-

ნიერების ფრთები შეასხა, რომ ჯარისკაცებს თავი იმპერატორად გამოაცხადებინა. ის ქალაქები კი, რომლებშიც შედიოდა, მსხვერპლის შეწირვითა და ბომონთა აგებით ეგებებოდნენ. იმასაც გადმოგვცემენ, რომ მეტელუსი ხალისით იდგამდა თავზე გვირგვინებს და მის პატივსაცემად გამართულ ძვირფას წვეულებებში სასმელს სატრიუმფო სამოსელში გამოწყობილი სვამდა. ლხინის დროს საგანგებო იარაღების მეშვეობით ჰერიდან ეშვებოდა თურმე გამარჯვების ღმერთქალ ნიკეს ქანდაკებები, რომლებიც მას ძლევის აღსანიშნავ ოქროს სამკაულებსა და გვირგვინებს აწვდიდნენ, ხოლო ყრმათა და ქალთა გუნდები გამარჯვების ჰიმნებს უმღეროდნენ.

ასეთი საქციელით მეტელუსმა თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. იგი ქედმაღლობდა და ხარობდა იმით, რომ უკან დაახევინა სერტორიუსს, რომელსაც სულასაგან გაქცეულ მაწანწალასა და კარბონის განადგურებული ხროვის ნაბოლარას ეძახდა.

სერტორიუსის დიდსულოვნება მის მოქმედებაში ჩანდა. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ რომიდან ლტოლვილ და მის მხარეზე გადასულ სენატორთა კრებას სენატი უწოდა. ამათაგან ნიშნავდა იგი კვესტორებსა და პრეტორებს და სხვა საქმეებსაც სამშობლოში მოქმედი მამაპაპური კანონებით აწესრიგებდა. მართალია, სერტორიუსი ესპანელთა იარაღს, ფულად სახსრებსა და ქალაქებს ეყრდნობოდა, მაგრამ ერთხელაც კი არ დასცდენია, რომ იგი მათ უმაღლეს ძალაუფლებას დაანებებდა. ესპანელების სარდლებად და გამგებლებად ყოველთვის რომაელებს აყენებდა. იგი რომაელთა თავისუფლებისათვის იბრძოდა და სრულიადაც არ სურდა ესპანელთა აღზევება რომაელებზე. სერტორიუსი სამშობლოს მოყვარული კაცი იყო და შინ დაბრუნების ძლიერი სურვილი მუდამ თან სდევდა; მაგრამ წარუმატებლობის ჟამს თავი მამაცურად ეჭირა და მტერს ქედს როდი უხრიდა. როცა კი გაიმარჯვებდა, მეტელუსსა და პომპეუსს მოციქულს უგზანიდა: მზად ვარ იარაღი დავაწყო და ვიცხოვრო როგორც კერძო პიროვნებამ, თუ შინ დაბრუნების უფლებას აღმითქვამთ; მირჩევნია რომში ყველაზე კნინი მოქალაქე ვიყო, ვიდრე სამშობლოდან ლტოლვილი და მთელი დანარჩენი სამყაროს აღიარებული მბრძანებელიო. ამბობენ, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი გამოწვეული იყო მისი უსაზღვრო სიყვარულით დედისადმი, რომელმაც ობლობაში გამოზარდა და ვისიც საოცრად ერთგული იყოო. სწორედ იმ

დროს, როცა მეგობრებმა მიიხმეს და ესპანეთში მხედართმთავ-
რობა შესთავაზეს, დედის სიკვდილი შეიტყო. მწუხარებამ კინაღამ
სიცოცხლე არ მოუსწრაფა. შვიდი დღის განმავლობაში გაუნძრევ-
ლად იწვა თავის საწოლზე, არც ბრძანებებს იძლეოდა და არც არ-
ავის იკარებდა. სარდლებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა, რომ-
ლებიც მისი კარვის გარშემო ტრიალებდნენ, ბოლოს და ბოლოს,
ძლივძლივობით დაიყოლიეს იგი, გარეთ გამოსულიყო, ჯარისკაცებს
დალაპარაკებოდა და ხელი მოეკიდა საქმეებისათვის, რომელთაც
იმხანად კარგი პირი უჩანდა. აი ამის გამო იყო, რომ სერტო-
რიუსს ბევრი თვლიდა ბუნებით ლმობიერ და მშვიდი ცხოვრების
მოტრფიალე კაცად, რომელმაც სამხედრო საქმეთა წინამძღოლობა
საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა წყალობით იკისრა.
რაკიღა თავშესაფარი ვერსად იპოვა და მტრებმა ხელთ იარაღი
დააჭერინეს, თავის გადასარჩენად მიმართა ომს, ვითარცა აუცი-
ლებელ საშუალებას.

23. სერტორიუსის დიდსულოვნება მითრიდატესთან ურთიერ-
თობაშიც გამომჟღავნდა. იმ დროს, როცა სულას მიერ დამარცხ-
ებულმა მითრიდატემ ხელახალი ბრძოლისათვის წამოყო თავი და
აზიის დასაუფლებლად კვლავ აღმართა ხელი, სერტორიუსის სახე-
ლი უკვე ყველგან ჰქუხდა. დასავლეთიდან ზღვით მოსული ხალხი
ისე ავრცელებდა პონტოში სერტორიუსის წარმატებათა ამბებს,
თითქოს გარედან შემოტანილი უცხოური საქონელი ყოფილიყო.
მითრიდატემ გადაწყვიტა, სერტორიუსთან ელჩები გაეგზავნა. გან-
საკუთრებით წააქეზეს იგი ენაგაქლესილმა მლიქვნელებმა, რომ-
ლებიც სერტორიუსს ჰანიბალს ადარებდნენ, მითრიდატეს კი
– პიროსს[39]. ისინი ამბობდნენ: თუ საუკეთესო მხედართმთავარი
უდიდეს მეფეს შეუკავშირდა, მათ გაერთიანებულ ძალას რო-
მაელები წინ ვერ დაუდგებიან და ვერ შეძლებენ ორი ერთიმეო-
რეზე ნიჭიერი წინამძღოლის მიერ ორმხრივ მიტანილი იერიშის
მოგერიებასო. ერთი სიტყვით, მითრიდატემ ესპანეთში გააგზავნა
ელჩები სერტორიუსისათვის განკუთვნილი წერილებითა და სიტყ-
ვიერი დავალებებით. იგი სერტორიუსს ჰპირდებოდა ფულსა და
ხომალდებს ომის საწარმოებლად, თვითონ კი მოითხოვდა მისთვის
შემოემტკიცებინათ აზიის მთელი ის ნაწილი, რომელიც სულასთან
დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რომაელებს გადასცა.
სერტორიუსმა მოიწვია საბჭო, რომელსაც სენატს ეძახდა. ყველამ

ერთხმად ურჩია, მიეღო შემოთავაზებული პირობები: ბოლოს და ბოლოს, მითრიდატეს ვუთმობთ სახელსა და ცარიელ უფლებას იმაზე, რაც არ გვეკუთვნის, სანაცვლოდ კი მივიღებთ ჩვენთვის ყველაზე უფრო აუცილებელსო. სერტორიუსი საბჭოს აზრს არ დაეთანხმა და განაცხადა: „მე არა ვარ წინააღმდეგი, მითრიდატეს გადაეცეს ბითვინია და კაპადოკია, რომელთა ტომებიც იმთავითვე მეფის გამგებლობას ექვემდებარებიან და რომაელებს მათთან არაფერი ესაქმებათ. რაც შეეხება რომაელთა მიერ სამართლიანი გზით მოპოვებულ პროვინციას, იგი მითრიდატემ ძალით ჩაიგდო ხელთ და განაგებდა მანამ, სანამ იქიდან ფიბრიამ არ გააძევა და მერმე, სულასთან დადებული ხელშეკრულებით, თვითონვე უარი არ თქვა მასზე. მე ვერ დავუშვებ, ეს პროვინცია კვლავ მის ხელში გადავიდეს. სრულიადაც არა მსურს, ჩემმა გამარჯვებამ სამშობლოს ვნება მოუტანოს, პირიქით, იგი რომის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს. კეთილშობილი ვაჟკაცი პატიოსან გამარჯვებას უნდა ესწრაფებოდეს და არა შერცხვენის ფასად საკუთარი თავის ხსნას“.

24. სერტორიუსის პასუხმა მითრიდატე მეტად გააოცა. ამბობენ, თავის მეგობრებს ასე მიმართაო: „განა რა მოთხოვნებს წამოგვიყენებდა სერტორიუსი, პალატიუმზე რომ დაბრძანდეს[40], თუ ახლა ატლანტის ზღვისაკენ განდევნილი კაცი ჩვენს სამეფოს საზღვრებს უნიშნავს და აზიის დაუფლებისათვის ომით გვემუქრებაო?!“ ასე იყო თუ ისე, შეთანხმება დაიდო და ფიციანაც შეიკრა: კაპადოკია და ბითვინია მითრიდატეს რჩებოდა, სერტორიუსი მას სარდალსა და მეომრებს გაუგზავნიდა, თვითონ კი მითრიდატესაგან სამი ათას ტალანტსა და ორმოც ხომალდს მიიღებდა. აზიაში სარდლად სერტორიუსმა გაგზავნა სენატიდან გამოქცეული და მასთან თავშეფარებული მარკუს მარიუსი. მისი დახმარებით მითრიდატემ აიღო აზიის რამდენიმე ქალაქი. როცა მარიუსი ამ ქალაქებში შედიოდა, წინ მას მიუძღოდნენ წკეპლის კონებითა და ცულებით აღკაზმული მხლებლები[41], ხოლო მითრიდატე, როგორც მისი მორჩილი ხელქვეითი, მეორე მწკრივში მიჰყვებოდა. მარიუსმა ზოგიერთ ქალაქს თავისუფლება მიანიჭა, ზოგიერთი კი სერტორიუსის სახელით ხარკისაგან გაათავისუფლა. სულ ახლახან გადასახადის ამკრეფთაგან შეწუხებულმა და იქ დაბანაკებულ ჯარისკაცთა გაუმაძღრობით და ქედმაღლობით დაჩაგრულმა აზიამ მარიუსის

წყალობით იმედის ფრთა შეისხა და ძალაუფლების შეცვლას მოუთმენლად ელოდა.

25. როცა ესპანეთში სერტორიუსთან მყოფმა სენატორებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა შიშისაგან თავი დახსნილად იგრძნეს და იმედი მიეცათ, მტერს ღირსეულად დაუპირისპირდებოდნენ, სწორედ ამ დროს მათ შორის თავი იჩინა შურისა და უსაფუძვლო მეტოქეობის გრძნობამ სერტორიუსის ძლიერების მიმართ. ეს ამბავი წამოიწყო პერპენამ, რომელიც კარგი გვარიშვილობით ყოყოჩობდა და ოცნებაში ძალაუფლებას ეპოტინებოდა. იგი თავის მომხრეებს საიდუმლოდ ეთათბირებოდა და მკრეხელურ სიტყვებს ეუბნებოდა: „განა რომელმა ბოროტმა დემონმა შეგვიპყრო, რომ ავისაგან კიდევ უფრო უარესისაკენ მიგვაქანებს? სამშობლოში მყოფნი უღირს საქმედ ვთვლიდით დავმორჩილებოდით ბრძანებებს, რომელთაც იძლეოდა მთელი ხმელეთისა და ზღვის გამგებელი სულა, აქ მოსვლით კი თავი დავიღუპეთ; გვეგონა, თავისუფლად ვიცხოვრებდით, სინამდვილეში კი ლტოლვილი სერტორიუსის მცველებად ვიქეცით და საკუთარი ნებით მონურ ყოფას ვეწიეთ. ჩვენს თავყრილობას სენატი ჰქვია და ამ სახელს, ვინც კი გაიგონებს, ყველა დასცინის. ჩვენ ესპანელებსა და ლუზიტანებზე ნაკლებ როდი გვიწევს ლანძღვა-გინების, ბრძანებებისა და მძიმე შრომის ატანა?!" ასეთი და ამის მსგავსი სიტყვების წარამარა მოსმენის მიუხედავად, ბევრი ვერ ბედავდა აშკარა განდგომას სერტორიუსის ძლიერების შიშით, მაგრამ ფარულად საერთო საქმეს ზიანს აყენებდნენ. პერპენას მომხრენი ბარბაროსებს სერტორიუსის სახელით სასტიკად სჯიდნენ, უამრავ გადასახადებს აწერდნენ და ასეთი მოპყრობით საშინლად აბოროტებდნენ. ქალაქებში აჯანყებები და შფოთი დაიწყო. ისინი, ვისაც სერტორიუსი საქმეთა მოსაწესრიგებლად და ამბოხებულთა დასამშვიდებლად აგზავნიდა, კიდევ უფრო ამძაფრებდნენ ხალხის დაუმორჩილებლობისაკენ სწრაფვას, კიდევ უფრო მეტად აღვივებდნენ მტრობას, ახალ ახალ აჯანყებებს აწყობდნენ და უკან ისე ბრუნდებოდნენ. ამის გამო სერტორიუსმა ძველებურ ლოიალობასა და ლმობიერებაზე ხელი აიღო და წრესგადასული მრისხანება ოსკაში აღსაზრდელად გაბარებულ ესპანელთა შვილებს დაატეხა თავს: ნაწილი დახოცა, ნაწილი კი გაყიდა.

26. სერტორიუსზე თავდასასხმელად პერპენას უკვე მრავალი

შეთქმული ჰყავდა გამზადებული. მან მიიმხრო აგრეთვე ერთ-ერთი სარდალიც, სახელად მალიუსი. ამ მალიუსს უყვარდა ერთი ლამაზი ყრმა, რომელსაც კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად შეთქმულთა მთელი განზრახვა აუწყა და ურჩია: ყველა თაყვანისმცემელს მოერიდე და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იყავიო; იცოდე, სულ რამდენიმე დღეში დიდი კაცი გავხდებიო. ყრმამ მთელი ეს ამბავი მიუტანა მის მეორე მეტრფეს აუფიდიუსს, რომელსაც უფრო თანაუგრძნობდა. ნაამბობმა აუფიდიუსი მეტისმეტად გააოცა: თვითონ სერტორიუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების წევრი იყო, მაგრამ არ იცოდა, თუ მასში მალიუსიც მონაწილეობდა. როცა ყრმამ დაასახელა მისთვის ცნობილი შეთქმულნი პერპენა, გრეკინუსი და კიდევ სხვები, აუფიდიუსი დაფრთხა. მართალია, მან ნაამბობი სასაცილოდ აიგდო და ყრმას უბრძანა, განრიდებოდა ქარაფშუტა და ტრაბახა მალიუსს, მაგრამ თვითონ პერპენასთან გაეშურა. ამცნო მას ვითარების სიმწვავე, ის, თუ რა საფრთხე იყო მოსალოდნელი დაყოვნებით და ურჩია, სწრაფად ემოქმედა. შეთქმულებმა აუფიდიუსს დაუჯერეს, ერთი კაცი მოამზადეს, საგანგებო წერილით აღჭურვეს და სერტორიუსს მიუგზავნეს. წერილი ერთ ერთი სარდლის გამარჯვებასა და მრავალრიცხოვანი მტრის განადგურებას იუწყებოდა. გახარებულმა სერტორიუსმა სიკეთის მაუწყებელი ცნობის აღსანიშნავად ღმერთებს სამსხვერპლო ცხოველი შესწირა. პერპენამ, თავის მხრივ, ლხინი გამართა და გამოაცხადა, რომ იწვევდა სერტორიუსსა და თავის მეგობრებს (ისინი ყველანი შეთქმულნი იყვნენ). პერპენამ დიდი თხოვნით დაიყოლია სერტორიუსი, წვეულებაზე მისულიყო. ყველა ლხინი, რომელთაც იგი მანამდე ესწრებოდა, თავდაჭერილობისა და წესიერების ნიმუში გახლდათ. ურცხვ სანახაობასა და ბილწსიტყვაობას სერტორიუსი ვერ ითმენდა, წვეულებაზე მყოფთ იგი ყოველთვის ზრდილობიან ქცევასა და ზომიერსა და უწყინარ გართობას აჩვევდა. მაგრამ ამჯერად, როცა სმა გაჩაღდა, სტუმრებმა, რომლებიც ჩხუბის ასატეხად საბაბს ეძებდნენ, დაუფარავად დაიწყეს უწმაწური სიტყვების სროლა. მერმე თავი მეტისმეტად მოიმთვრალეს და თავაწყვეტილად იქცეოდნენ, რათა სერტორიუსი გაებრაზებინათ. უწესრიგობით იყო უკმაყოფილო თუ შეთქმულთა თავხედური ლაყბობისა და წრეგადასული ქცევის წყალობით, სერტორიუსი მათ განზრახვას მიხვდა. მან სარეცელზე მდგომარეობა

შეიცვალა და გულაღმა დაწვა, რათა აურზაურისათვის ყურადღება არ მიექცია და არაფერი გაეგონა. მაშინ პერპენამ შუმი ღვინით სავსე თასი აიღო, მაგრამ მოსვა თუ არა, მყისვე ხელიდან გაუშვა. თასი წკრიალით დავარდა ძირს. ეს შეთქმულთა ნიშანი გახლდათ. ანტონიუსმა, რომელიც იქვე იყო მხარ თეძოზე წამოწოლილი, აღარ დააყოვნა და სერტორიუსს მახვილი დაჰკრა. სერტორიუსი მაშინვე შებრუნდა მისკენ, ფეხზეც წამოდგა, მაგრამ ანტონიუსი მკერდზე ეცა და ორივე ხელი გაუკავა. სერტორიუსმა თავის დაცვა ვეღარ შეძლო და მრავალგზის დაჭრილმა სული განუტევა[42].

27. ესპანელთა დიდმა ნაწილმა მაშინვე შეაქცია ზურგი პერპენას და მოციქულთა მეშვეობით პომპეუსსა და მეტელუსს მორჩილება გამოუცხადა. შერჩენილ რაზმებზე დაყრდნობით პერპენამ მოიწადინა რაღაც წამოეწყო, მაგრამ როგორც კი სცადა სერტორიუსის მიერ შექმნილ საომარ ძალთა გამოყენება, მაშინვე შეირცხვინა თავი და გამოააშკარავა, რომ არც მბრძანებლად ვარგოდა და არც მორჩილებისთვის. პერპენა საკუთარი გადაწყვეტილებით პომპეუსს დაესხა თავს და მყისვე დამარცხდა. პომპეუსმა მთლიანად გაანადგურა იგი და ტყვედ ჩაიგდო. ეს უკანასკნელი უბედურებაც ვერ გადაიტანა პერპენამ, როგორც სარდალს შეეფერებოდა. მას ხელთ ჰქონდა სერტორიუსის პირადი წერილები და პომპეუსს შეჰპირდა: ყოფილი კონსულებისა და რომის სხვა გავლენიან პირთა მიერ საკუთარი ხელით ნაწერ ბარათებს გაჩვენებ, რომელთა მეშვეობითაც ისინი სერტორიუსს იტალიაში იწვევდნენ და აუწყებდნენ: აქ ძალზე ბევრია მსურველი არსებული მმართველობის წინააღმდეგ აღდგეს და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინოსო. პომპეუსი უგუნური ყმაწვილივით როდი მოიქცა: მან დიდი სიდინჯითა და ჭკუით მოუარა ამ საქმეს და რომს საშინელი საფრთხე და შფოთი ააცდინა. პომპეუსმა სერტორიუსის მთელ მიწერ მოწერას თავი მოუყარა, არც თვითონ წაიკითხა რამე, არც სხვას დაანება და ყველა წერილი დაწვა. რაც შეეხება პერპენას, იგი მყისვე სიკვდილით დასაჯა იმის შიშით, რომ მას არ დაესახელებინა ვინმე და ამას შფოთი და ამბოხება არ აეტეხა.

პერპენას მომხრეთა ერთი ნაწილი პომპეუსს წარუდგინეს და სიკვდილით დასაჯეს, მეორე ნაწილი კი ლიბიაში გაიქცა და მავრუსიელთა შუბების მსხვერპლი გახდა. არც ერთი შეთქმული არ გადარჩენილა, გარდა იმ აუფიდუსისა, რომელიც მალიუსს

ყრმის ტრფობაში ეცილებოდა. დამალვა მოახერხა თუ ყურადღება არ მიაქციეს, ძნელი სათქმელია, ეს კია, აუფიდიუსმა თავი ერთ სოფელს შეაფარა და ყველასაგან დავიწყებულმა საშინელ სიღარიბეში დალია ბოლოს სული.

ევმენესა და სერტორიუსის შეთანასწორება

1. ასეთია ის ღირსშესანიშნავი ამბები, რომლებიც ევმენესა და სერტორიუსის ირგვლივ მოვიპოვეთ. თუ მათ ერთმანეთს შევუდარებთ, ორივესთვის საერთო აღმოჩნდება ის, რომ უცხონი და სამშობლოდან ლტოლვილნი იყვნენ და ბოლომდე წინამძღოლობდნენ სულ სხვადასხვა ტომებს, მამაცურად მებრძოლ ჯარებსა და ძალთა დიდ დიდ შენაერთებს. მაგრამ მათ შორის სხვაობაც გახლავთ: სერტორიუსს, მისი ღირსების გამო, ყველა თანამებრძოლმა ერთსულოვნად მიანიჭა ძალაუფლება, ევმენეს კი მრავალი მოშურნე ედავებოდა წინამძღოლობას და თვითონ თავისი წარმატებებით მოიპოვა პირველობა. ხალხი, რომელიც სერტორიუსს მიჰყვებოდა, სამართლიან საქმედ მიიჩნევდა მის გამგებლობაში ყოფნას, ხოლო ევმენეს ისინი ემორჩილებოდნენ, რომელთაც თვითონ არ შეეძლოთ სარდლობა და მხოლოდ პირადი გამოჩენის სურვილი ამოძრავებდათ. სერტორიუსი რომაელი იყო და ესპანელებსა და ლუზიტანებს განაგებდა, ევმენე კი ხერსონესელი გახლდათ და მაკედონელებს წინამძღოლობდა; პირველნი ძველთაგანვე რომაელების მონები იყვნენ, მეორენი კი მაშინ მთელ კაცობრიობაზე მბრძანებლობდნენ. სერტორიუსმა ძალაუფლებას მიაღწია როგორც აღიარებულმა სენატორმა და სარდალმა, ევმენემ კი მხოლოდ იმის შემდეგ მიიღო წინამძღოლობა, რაც სამეფო კარის მდივნობისათვის შეიზიზღეს. წარმატებებისათვის ევმენეს დასაწყისშიც მცირე ხელსაყრელი პირობები ჰქონდა და შემდეგშიც დიდი დაბრკოლებები გადაეღობა. მას მრავალი აშკარა და ფარული მტერი ჰყავდა მაშინ, როცა სერტორიუსს ცხადად არავინ მტრობდა და ფარულადაც მხოლოდ რამდენიმე თანამებრძოლმა შეუტია, ისიც ბოლო ხანებში. სერტორიუსისათვის მტრის ძლევა საფრთხის დასასრული იყო, ევმენეს კი, მოშურნეთა მიზეზით, გამარჯვება დიდ განსაცდელს უქადდა.

2. ევმენესა და სერტორიუსს ბევრი რამ ჰქონდა საერთო როგორც სარდლებს, მაგრამ სხვა მხრივ მათი შეთანასწორება გაჭირდებოდა:

ევმენე ომისა და დავის მოყვარული კაცი გახლდათ, სერტორიუსს კი მშვიდობისმოყვარეობა და ლმობიერება ახასიათებდა. პირველს შეეძლო უშიშრად და პატივში ეცხოვრა, თუ ძალაუფლების მაძიებელთ გზიდან ჩამოეცლებოდა, მაგრამ მან სიცოცხლე გამუდმებულ ბრძოლასა და საფრთხეში გაატარა. მეორეს სრულიად არ სჭირდებოდა დიდ და სადაო საქმეებში ჩაბმულიყო, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ომი დაეწყო მათთან, რომელთაც მშვიდობა არ სურდათ. ანტიგონე დიდი ხალისით შეივრდომებდა ევმენეს, იგი რომ პირველობისათვის ბრძოლაში არ შებმოდა და მისთვის გზა დაეთმო, პომპეუსი და მისი მომხრენი კი სერტორიუსს, თუნდაც ბრძოლაზე ხელი აეღო, მაინც არ მოასვენებდნენ. ასე რომ, პირველი საკუთარი სურვილით იბრძოდა მბრძანებლობისათვის, ხოლო მეორე ძალაუნებურად იცავდა ძალაუფლებას, რაკი მის წინააღმდეგ ომობდნენ. ომის მოყვარულია ის, ვინც პატივმოყვარეობას საკუთარ უშიშროებას ანაცვალებს, ნამდვილი მეომარი კი ის გახლავთ, ვინც ომით თავის სიცოცხლეს იცავს.

სიკვდილმა მაშინ უწია სერტორიუსს, როცა არ მოელოდა, ევმენესათვის კი სიცოცხლის აღსასრულის მოახლოება მოულოდნელი როდი იყო. პირველმა დიდსულოვნება გამოიჩინა სიკვდილის წინ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მეგობრებს ენდობოდა, ხოლო მეორე უძლურებამ დასცა და, როცა გაქცევა დააპირა, მაშინ შეიპყრეს. სიკვდილმა სერტორიუსის სიცოცხლეს ლაქა ვერ მოსცხო, რადგან იგი თანამებრძოლებმა მოკლეს და ჩაიდინეს ის საქმე, რასაც ვერც ერთმა მისმა მტერმა ვერ მიაღწია. ევმენე კი, როცა ტყვეობას ვერ გადაურჩა, მზად იყო იქაც ეცოცხლა. იგი ღირსეულად ვერც შეხვდა და ვერც დაუსხლტა სიკვდილს; მტერს, ვისაც ხვეწნა-მუდარა დაუწყო, სხეულთან ერთად სულიერი მხნეობაც ჩააბარა.

ტიბერიუს გრაკხუსი
გაიუს გრაკხუსი





1. ჩვენ უკვე გადმოვეცით ორი ბერძენის ისტორია, რომელსაც ახლა ტიბერიუსისა და გაიუსის ცხოვრება უნდა შევუდაროთ. ამ რომაელთა ცხოვრება ნაკლებ ბედკრული როდი გახლავთ[1].

ტიბერიუსი და გაიუსი რომაელთა ცენზორის ტიბერიუს გრაკხუსის შვილები იყვნენ[2]. ეს ტიბერიუსი ორჯერ კონსულად ნამყოფი და ორჯერ ტრიუმფგადახდილი კაცი იყო, მაგრამ ბრწყინვალე სახელი მაინც საკუთარი ზნეობრივი თვისებების წყალობით მოიხვეჭა. აი, სწორედ ამის გამო იგი ღირს იქმნა ცოლად შეერთო ჰანიბალზე გამარჯვებული სციპიონის ასული კორნელია. ამ ქალიშვილის მამის მეგობარი ტიბერიუსი არასოდეს არ ყოფილა; პირიქით, ერთ ერთი დაუძინებელი მტერი იყო მისი. ამიტომ კორნელიასთან დაქორწინება სციპიონის გარდაცვალების შემდეგ მოხდა[3].

როგორც გადმოგვცემენ, ერთხელ თურმე ტიბერიუსმა თავის სარეცელში ორი გველი იხილა. მისნებმა ეს სასწაული აუხსნეს და ორივე გველის ერთდროულად მოკვლა ან გაშვება სასტიკად აუკრძალეს. ამასთან, მისნებმა განაცხადეს: თუ არჩევანის მიხედვით მამალ გველს მოკლავდნენ, ეს შემთხვევა თვითონ ტიბერიუსს მოუტანდა სიკვდილს, დედალი გველის მოკვლა კი კორნელიას წარსტაცებდა სიცოცხლეს. ტიბერიუსმა, რომელსაც ცოლი ძალიან უყვარდა, გადაწყვიტა: თუ სიკვდილია, სჯობს მე მოვკვდე, უკვე ხანში შესული კაცი, ვიდრე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჩემი ცოლიო. ამ გადაწყვეტილებით მან მამალი გველი მოჰკლა, დედალი კი თავისუფლად გაუშვა. ამის შემდეგ ტიბერიუსი სულ მალე გარდაიცვალა და კორნელიასაგან შეძენილი თორმეტი შვილი დატოვა.

ოჯახის პატრონობა და ბავშვების აღზრდა თავის თავზე კორნელიამ აიღო. მან ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა და შვილებისადმი ისეთი სიყვარული და დიდსულოვნება გამოამჟღავნა, რომ გადაწყვეტილება,

რომლის ძალითაც ტიბერიუსმა საკუთარი სიკვდილი არჩია ეგზომ ღირსეული ქალის სიკვდილს, სრულიად არ აღმოჩნდა მცდარი.

მეფე პტოლემეოსმა კორნელიას დედოფლის გვირგვინი შესთავაზა და ცოლობა სთხოვა, მაგრამ ქალმა უარი განუცხადა[4].

დაქვრივებულ კორნელიას ბევრი შვილი დაეხოცა და შერჩა მხოლოდ ერთი ქალი, რომელიც სციპიონ უმცროსს მისთხოვდა[5], და ორი ვაჟი - ტიბერიუსი და გაიუსი, რომელთაც ახლა ჩვენი მოთხრობა ეხება.

შერჩენილი შვილები კორნელიამ დიდი მზრუნველობით გამოზარდა. მართალია, რომაელებში ისინი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების სახელით სარგებლობდნენ, მაგრამ სინამდვილეში კეთილი თვისებები უფრო მეტად მინიჭებული ჰქონდა არა ბუნებით, არამედ აღზრდით.

2. ვით დიოსკურთა[6] გამომსახველ ქანდაკებებსა და სურათებში აღბეჭდილი მსგავსება შეიცავს ამავე დროს ერთგვარ სხვაობასაც, რაიც არსებობს მამაც მოკრივესა და ჩაუქ ცხენოსანს შორის, ისე ახალგაზრდა გრაკხუსთა მოქმედებებსა და პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკვეთრად ჩანს საკმაოდ დიდი განსხვავება იმ მრავალ მსგავსებათან ერთად, რაც იყო მათ მამაცობასა და თავმდაბლობაში, კეთილშობილებასა, მშევრმეტყველებასა და დიდსულოვნებაში. მე მგონი, ურიგო არ იქნება, ამაზე შევჩერდეთ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიბერიუსის სახის იერს, გამოხედვასა და მოძრაობას დიდი სიმშვიდე და თავდაჭერილობა ახასიათებდა, გაიუსი კი მგზნებარე და ფიცხი კაცი იყო. საჯაროდ სიტყვის წარმოთქმის დროს ტიბერიუსი ერთ ადგილზე იდგა ხოლმე მშვიდად, ხოლო გაიუსი პირველი იყო რომაელთა შორის, რომელიც ლაპარაკის ჟამს ტრიბუნაზე აქეთ იქით დადიოდა და მხრებიდან ტოგას იშორებდა. ასევე იქცეოდა თურმე, როგორც გადმოგვცემენ, ათენელი კლეონი[7]: იგი პირველი მჭევრმეტყველი იყო, რომელიც ტრიბუნაზე ტანიდან წამოსასხამს იშორებდა და სიტყვის წარმოთქმის დროს თეძოზე ხელს ირტყამდაო. გაიუსის სიტყვა, მრისხანე და მგზნებარე, შიშს იწვევდა. ტიბერიუსის სიტყვა კი მეტად სასიამოვნო გახლდათ და იქითკენ იყო გამიზნული, მსმენელებში გულშემატკივრობისა და სიბრალულის გრძნობა აღეძრა. ტიბერიუსს მეტისმეტად დახვეწილი და ფაქიზად დამუშავებული მეტყველება ჰქონდა, ხოლო გაიუსს - დამაჯერებელი და ფერადოვანი. ტიბერიუსი ცხოვრებაშიც უბრალო და ჭამაშიც გაურჩეველი კაცი იყო. გაიუსი, თუ ჩვენ მას სხვა რომაელებს შევუდარებთ, ასევე

მოკრძალებული და თავდაჭერილი ჩანდა, მაგრამ ძმასთან შედარებით საშინლად ჟინიანი იყო და ყველაფერი ზომას გადასული უყვარდა. მაგალითად, დრუზუსი[8] კიცხავდა მას იმის გამო, რომ დელფოსური ვერცხლის მაგიდები იყიდა და ყოველ გირვანქაში ათას ორას ორმოცდაათი დრაქმა გადაიხადა.

ტიბერიუსსა და გაიუსს, მეტყველების გარდა, ხასიათიც სხვადასხვაგვარი ჰქონდა. ტიბერიუსი ალერსიანი და მშვიდი ხასიათის ადამიანი იყო, გაიუსი - სასტიკი და ფიცხი. ამიტომ სიტყვის წარმოთქმისას ხშირად ისე გაფიცხდებოდა, ხმას იმაღლებდა ხოლმე, ლანძღვა გინებას იწყებდა და ყველაფერს ერთმანეთში ურევდა. ის ზურგს უკან იყენებდა ერთ გონიერ მონას, სახელად ლიციინიუსს, რომელსაც ხელთ ეპყრა საგანგებო საკრავი იარაღი, რასაც ხმის დასაყენებლად ხმარობდნენ. და აი, როცა ლიციინიუსი შეატყობდა, გაიუსი ლაპარაკის დროს ხმას უმაღლებს და გაფიცხებული სადაცაა ძირითად თემას დაშორდებაო, თავისი საკრავით რბილ ხმას გამოსცემდა ხოლმე; მაშინ გაიუსი მყისვე ცხრებოდა, დაბლა უწევდა ხმას, მშვიდდებოდა და დამთმობი ხდებოდა.

3. აი, ასეთი გახლდათ მათ შორის არსებული სხვაობანი. მაგრამ სიმამაცე მტრების წინაშე, სამართლიანობა მდაბიოთა მიმართ, დარბაისლობა სახელმწიფო თანამდებობათა აღსრულების დროს და განცხრომა ნებივრობაში თავდაჭერილობა ერთსაც და მეორესაც ერთნაირად ახასიათებდა...[1]

ტიბერიუსი ცხრა წლით უფროსი იყო გაიუსზე[9]. ამ გარემოებამ საკმაოდ ხანგრძლივი დროით გათიშა ძმათა პოლიტიკური მოღვაწეობა და მცირედ როდი შეუწყო ხელი მათ მიერ წამოწყებულ საქმეთა მარცხს. რაკიღა ძმებმა სრულწლოვანებას სხვადასხვა დროს მიაღწიეს, ამიტომ ვერ შეძლეს ძალების გაერთიანება, რაიც დაუძლეველ ძლიერებად გადაიქცეოდა.

ახლა ჩვენ ცალ-ცალკე უნდა გიამბოთ ძმების შესახებ. ჯერ უფროსიდან დავიწყოთ.

4. შევიდა თუ არა სიმწიფის ხანაში, ტიბერიუსმა მაშინვე მოიხვეჭა ისეთი სახელი, რომ ეგრეთ წოდებულ ავგურთა საქურუმო საზოგადოების წევრად აირჩიეს[10]. ამის ღირსად ცნეს არა იმდენად დიდი გვარიშვილობის გამო, რამდენადაც პირადი სიკეთისა და ღირსების მიზეზით. ეს აშკარა გახადა აპიუს კლავდიუსმა, ყოფილმა კონსულმა და ცენზორად ნამყოფმა ვაჟკაცმა, რომელიც საკუთარი ღირსების წყალობით, რომაელთა სენატში უპირველეს კაცად იყო

1 ტექსტი დაზიანებულია.

აღიარებული და თავისი დიდსულოვნებით გარშემო მყოფ ხალხზე მაღლა იდგა. ერთხელ აპიუსი ქურუმთა სერობაზე შეხვდა ტიბერიუსს, დიდი ხალისით დაუმეგობრდა და წინადადება მისცა, მის ქალიშვილზე დაქორწინებულიყო. ტიბერიუსმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. საქორწინო შეთანხმება იქვე შეიკრა. როცა აპიუსი შინ დაბრუნდა, კარიდანვე შესძახა ცოლს ხმამაღლა: „ანტისტიავ, ჩვენი კლავდია ერთ ვაჟკაცზე დავნიშნეო". „რამ აგაჩქარა ასე? – ჰკითხა აპიუსს გაკვირვებულმა ცოლმა, – განა სასიძო, კლავდიასათვის რომ განგიზრახავს, ტიბერიუს გრაკხუსი არისო?"

ჩემთვის სრულიად არაა უცნობი ის, რომ ზოგიერთი ამ ამბავს გრაკხუსთა მამას ტიბერიუსს და სციპიონ აფრიკელსაც მიაწერს, მაგრამ უმრავლესობა მაინც ისე გადმოგვცემს, როგორც მე ვწერ. პოლიბიოსი[11] კი ამბობს: სციპიონ აფრიკელის სიკვდილის შემდეგ მისმა ნათესავებმა ყველას არჩიეს ტიბერიუსი და ცოლად მისცეს კორნელია, რომელიც მამამისმა გაუთხოვარი დატოვაო.

ახალგაზრდა ტიბერიუსი მონაწილეობდა ლიბიის ლაშქრობაში[12] მეორე სციპიონთან ერთად, რომელსაც ცოლად მისი და ჰყავდა. აქ ტიბერიუსი სარდალთან ცხოვრობდა კარავში და ამის წყალობით სულ მალე გაიცნო სციპიონი, მისი ქეთილშობილი სული, მისი საოცარი თვისებები, რომელნიც სხვებში მამაცობისაკენ სწრაფვისა და დიდი სარდლის ბრწყინვალე საქმეთა მიბაძვის სურვილს აღძრავდა. ლიბიის ლაშქრობის ჟამს ტიბერიუსმა თანატოლებთან შედარებით მალე გამოიჩინა თავი დიდი წესრიგითა და სიმამაცით. ფანიუსის[13] გადმოცემით, იგი პირველად ავიდა თურმე მტრის ქალაქის კედელზე. ფანიუსი იმასაც ამბობს, რომ თვითონაც ტიბერიუსთან ერთად ავიდა ამ კედელზე და მის მიერ ჩადენილი გმირობის მონაწილე გახდა. ტიბერიუსი მხედრობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა; ამიტომ ბანაკიდან მისმა წასვლამ საყოველთაო მწუხარება გამოიწვია.

5. ლიბიის ლაშქრობის დამთავრების შემდეგ ტიბერიუსი კვესტორად აირჩიეს და ამ თანამდებობის აღსრულების დროს წილად ხვდა კონსულ გაიუს მანცინუსთან ერთად მონაწილეობა მიეღო ნუმანციელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში[14]. გაიუს მანცინუსი ურიგო კაცად როდი ითვლებოდა, მაგრამ რომაელ სარდალთა შორის ყველაზე ბედუკულმართი იყო. მისი ხელმძღვანელობით წარმოებული ავბედითი ლაშქრობის დროს, რასაც შედეგად მრავალი მარცხი მოჰყვა, ტიბერიუსმა გამოიჩინა არა მარტო უსაზღვრო გონიერება და სიმამაცე, არამედ, რაც უფრო საკვირველია, დიდი მოკრძალება და

პატივისცემა თავისი უფროსისადმი, რომელიც ისე იყო გაოგნებული წარუმატებლობით, რომ აღარც კი ახსოვდა, სარდალი თუ იყო.

მრავალ დიდ ბრძოლაში დამარცხებულმა მანცინუსმა ერთ მშვენიერ ღამეს უკან დახევა გადაწყვიტა და ბანაკი ბედის ანაბარა მიატოვა. შეამჩნიეს თუ არა ეს, ნუმანციელები მყისვე დაეპატრონენ რომაელთა ბანაკს; მერმე უკუქცეულთ დაესხნენ თავს, ამოჟლიტეს მათი უკანა რაზმი, რკალში მოიმწყვდიეს მთელი მხედრობა და ისეთ ვიწროებში შერეკეს, რომ იქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. რაკი მანცინუსმა დაკარგა ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის იმედი, მტერს ელჩები მიუგზავნა და ბრძოლის შეწყვეტა და დაზავება მოსთხოვა. ნუმანციელებმა მანცინუსს შეუთვალეს:

ტიბერიუსის გარდა ჩვენ არავის არ ვენდობით, ამიტომ მოსალაპარაკებლად ის გამოგზავნე ჩვენთანო.

ნუმანციელები ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ პატივს სცემდნენ ყმაწვილ კაცს, რომელსაც მათ მხედრობაში მეტად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გარდა ამისა, კარგად ახსოვდათ ტიბერიუსის მამა, რომელიც ომს ეწეოდა ესპანელებთან და რომელმაც აქ მრავალი ტომი დაამარცხა, ნუმანციელებთან შეკრა ზავი და რომაელ ხალხს შეაგონა, ეს ზავი პირიანად და სამართლიანად დაეცვა[15].

ამგვარად, ნუმანციელებთან გაგზავნეს ტიბერიუსი. იგი შეხვდა მათ წარმომადგენლებს, გამართა მოლაპარაკება, ზოგიერთ რამეზე დაიყოლია ნუმანციელები, ზოგი პირობა თვითონ მიიღო და შეკრა ზავი[16]. ამით მან აშკარად იხსნა განადგურებისაგან ოცი ათასი რომაელი მოქალაქე, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით მრავალ მეაღალეს და იმ ხალხს, რომელიც უკან მიჰყვებოდა მანცინუსის მხედრობას.

6. რომაელთა მიერ ბანაკში დატოვებულ მთელ ქონებას ნუმანციელები დაეპატრონენ და სულ ერთიანად დაიტაცეს. ამ ქონებაში იყო, სხვათა შორის, ტიბერიუსის ფირფიტებიც, რომლებიც მისი კვესტორული მოღვაწეობის აღნუსხვასა და სხვადასხვა ანგარიშებს შეიცავდა. ტიბერიუსმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეს ფირფიტები უკან დაებრუნებინა. მიუხედავად იმისა, რომ რომაელთა მხედრობა უკვე საგრძნობლად წინ იყო წასული, იგი სამი თუ ოთხი ამხანაგის თანხლებით ნუმანციელთა ქალაქისაკენ გაბრუნდა, აქ ნუმანციელთა მეთაურები გამოიძახა და სთხოვა, მისთვის ფირფიტები დაებრუნებინათ, რათა მტრებს არ მისცემოდა ცილისწამების საბაბი: ამ ფირფიტების გარეშე იგი რწმუნების აღსრულების ანგარიშს ვერ ჩააბარებდა.

ნუმანციელებს ძალიან გაუხარდათ, ტიბერიუსისათვის სამსახურის გაწევის შემთხვევა რომ მიეცათ, და ქალაქში შეიპატიჟეს. მაგრამ იგი შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. მაშინ ნუმანციელები მიუახლოვდნენ მას, მოჰკიდეს ხელი და მხურვალედ დაუწყეს ვედრება: ამიერიდან მტრებად ნუღარ ჩაგვთვლი, შენს მეგობრებად გვიგულე და გვერწმუნეო. ტიბერიუსს ძალიან უნდოდა თავისი ფირფიტები უკან დაებრუნებინა; გარდა ამისა, შიშობდა: ვაითუ ჩემი უნდობლობით ნუმანციელები განვარისხოო - და გადაწყვიტა მათი სურვილი შეესრულებინა. იგი ქალაქში შევიდა. უწინარეს ყოვლისა, ნუმანციელებმა მას საუზმე შესთავაზეს და დაჟინებით დაუწყეს თხოვნა, მათთან ერთად დამჯდარიყო სუფრასთან და ეჭამა რამე. ამის შემდეგ დაუბრუნეს ფირფიტები და წინადადება მისცეს, ნადავლად წამოღებული ქონებიდან აეღო, რაც კი მოესურვებოდა. მაგრამ ტიბერიუსი ასე როდი მოიქცა. მან აიღო მხოლოდ საკმეველი, რასაც საჯარო მსხვერპლშეწირვის დროს ხმარობდა ხოლმე, მეგობრულად გამოემშვიდობა ნუმანციელებს და წავიდა.

7. დაბრუნდა თუ არა ტიბერიუსი რომში, მის მიერ ნუმანციელებთან დადებული ზავი აქ შეაფასეს, როგორც საშინელი და სამარცხვინო რამ რომის რესპუბლიკისათვის. გრაკხუსთა ნათესავები და მეგობრები, რომლებიც ნუმანციის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და რომლებიც ხალხის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, მაშინვე მიემხრნენ ტიბერიუსს და ამბობდნენ: ტიბერიუსის წყალობით მრავალი რომაელი მოქალაქე გადარჩაო. დამარცხების მთელ სირცხვილს ისინი სარდალს მიაწერდნენ. მაგრამ სხვებიც, ვინც უკმაყოფილონი იყვნენ ტიბერიუსის მოქმედებით, წინადადებას იძლეოდნენ ამ შემთხვევაში წინაპრებისათვის მიებაძათ: ძველმა რომაელებმა ის მხედართმთავრები, რომლებიც სამნიტებთან სამარცხვინო ზავის დადების შემდეგ თავს ბედნიერად გრძნობდნენ, გააშიშვლეს და უკანვე მტრებთან გარეკესო. ასევე გადასცეს სამნიტებს ისინიც, ვინც სამარცხვინო ზავის შეკვრაში მონაწილეობდნენ ანდა ამ ზავს თანაუგრძნობდნენ. სახელდობრ, ასე მოექცნენ ისინი კვესტორებსა და სამხედრო ტრიბუნებს და ფიცის გატეხა და საზავო ხელშეკრულების დარღვევაც მათ დააბრალესო[17].

აი ასეთი ვითარების დროს ხალხმა ტიბერიუსის მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობა და სიყვარული გამოიჩინა. მან დაადგინა, რომ კონსული მანცინუსი, გაშიშვლებული და ბორკილგაყრილი, ნუმანციელებისათვის გადაეცათ, ყველა დანარჩენი კი ტიბერიუსის ხათრით ხალხმა შეიწყალა.

როგორც ჩანს, ტიბერიუსს დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმეში სციპიონმა, რომელიც იმ დროს რომაელთა შორის ყველაზე უფრო დიდი გავლენისა და ძალის მქონე კაცად ითვლებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სციპიონს ბრალად სდებდნენ, ერთი მხრივ, იმას, რომ მან არ დაიხსნა მანციენუსი, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, რომ ხელი არ შეუწყო თავის ნათესავ და მეგობარ ტიბერიუსის მიერ ნუმანციელებთან დადებული საზავო ხელშეკრულების განმტკიცებას. ამ ორ კაცს შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილების საბაბი, როგორც ჩანს, ორივეს პატივმოყვარეობა და ტიბერიუსის მეგობართა და სოფისტთა წაქეზება იყო. ისინი ცდილობდნენ, ტიბერიუსი სციპიონის წინააღმდეგ აემხედრებინათ. მაგრამ ამ უთანხმოებას მძიმე, სავალალო შედეგი არ მოჰყოლია. ის კი არა, ჩემი აზრით, ტიბერიუსს, როცა იგი პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი კანონებით გამოვიდა, უბედურება არ შეემთხვეოდა, სციპიონ აფრიკელი რომ იმ დროს რომში ყოფილიყო. სციპიონი ნუმანციაში იმყოფებოდა და იქ ომს აწარმოებდა მაშინ, როცა ტიბერიუსმა თავისი კანონების გატარება სცადა. აი, ამ ცდის მიზეზიც.

8. რომაელები მეზობლად მოსახლე ხალხის იმ მიწებს, რომლებიც ომით დაიპყრეს, ნაწილობრივ ჰყიდდნენ, ნაწილობრივ კი სახელმწიფო საკუთრებად აქცევდნენ და, არცთუ ისე დიდი გადასახადის ფასად, რაც ხაზინაში შედიოდა, სარგებლობაში აძლევდნენ ღარიბსა და არაფრის მქონე მოქალაქეთ. მდიდრებმა საიჯაროდ გასაცემი მიწის ფასის გაზრდა დაიწყეს და ღარიბებს თანდათანობით მათი ნაკვეთებიდან აძევებდნენ. მაშინ გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც აღარავის არ ეძლეოდა უფლება, ხუთას იუგერზე მეტი მიწა ჰქონოდა[18]. ამ კანონმა ერთხანს ლაგამი ამოსდო მდიდართა სიხარბეს და დაეხმარა ღარიბებს იმაში, რომ ისინი იჯარით აღებულ მიწებზე დარჩენილიყვნენ და შეენარჩუნებინათ ადგილ მამულის ის წილი, რაც თითოეულ მათგანს პირველი დანაწილების დროს ერგო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ღარიბთა მეზობლად მოსახლე მდიდრებმა სხვისი სახელით დაიწყეს საიჯაროდ გასაცემი მიწის დაპატრონება და ბოლოს უკვე აშკარად დაიმკვიდრეს თავისთვის ასეთი მიწების უდიდესი ნაწილი. მიწის ნაკვეთებიდან გამოძევებული ღარიბები აღარც სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ ხალისიანად და აღარც შვილების აღზრდაზე ზრუნავდნენ. ამის გამო მთელ იტალიაში სულ მალე საგრძნობი გახდა, ერთი მხრივ, თავისუუფალ მოქალაქეთა რიცხვის შემცირება, მეორე მხრივ კი ბარბაროს მო-

ნათა რაოდენობის უსაზღვრო ზრდა. ამ მონათა შემწეობით მდიდრები ამუშავებდნენ იმ მიწებს, საიდანაც რომაელი მოქალაქენი განდევნეს.

გაიუს ლელიუსმა, სციპიონის ახლო მეგობარმა, გადაწყვიტა ეშველა ამ უბედურებისათვის, მაგრამ მას საშინელი წინააღმდეგობა გაუწიეს წარჩინებულებმა. მოსალოდნელი შფოთის შიშით ლელიუსმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე[19]. ამის გამო მას მეტსახელად „ბრძენი" თუ „გონიერი" შეარქვეს. როგორც ჩანს, „საპიენს" ლათინურად ერთსაც აღნიშნავს და მეორესაც.

როგორც კი ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს[20], მან მყისვე მთელი მგზნებარებით მოჰკიდა ხელი ლელიუსის წამოწყებულ საქმეს. ბევრი მწერალი ამბობს, ამისათვის ტიბერიუსი რიტორმა დიოფანემ და ფილოსოფოსმა ბლოსიუსმა წააქეზესო. დიოფანე მილილენელი ლტოლვილი იყო, ბლოსიუსი კი იტალიის კუმიდან იყო წარმოშობით. ეს ბლოსიუსი რომში დაუახლოვდა ანტიპატრე ტარსელს, რომელმაც მას პატივი სცა და ზოგიერთი თავისი ფილოსოფიური თხზულება მიუძღვნა[21].

ზოგიერთი გადმოგვცემს, ყველაფრის მიზეზი ტიბერიუსის დედა კორნელია იყო. იგი თურმე ხშირად კიცხავდა შვილებს: რომაელები ჯერ კიდევ სციპიონის სიდედრს მეძახიან და არა გრაკხუსთა დედასო!

სხვები კი ამტკიცებენ, რომ მთელი წამოწყების მიზეზი იყო ვინმე სპურიუს პოსტუმიუსი, ტიბერიუსის ტოლ სწორი და მისი მეტოქე ორატორულ ხელოვნებაში. როცა ტიბერიუსი ლაშქრობიდან დაბრუნდა და დაინახა, სპურიუსს უფრო დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოხვეჭილი და საყოველთაო მოწიწებას იმსახურებდა, როგორც ჩანს, მოისურვა ეჯობნა მისთვის და ფრიად სახიფათო საქმეს მოჰკიდა ხელი. მის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს ხალხი დიდი იმედებით შეეგება.

ტიბერიუსის ძმა გაიუსი, თავის მხრივ, ერთ ერთ ჩანაწერში ამბობს: როცა ნუმანციაში მიმავალმა ტიბერიუსმა ეტრურიაზე გადაიარა, აქ უდაბნოდ ქცეული მხარე იხილა და დაინახა, რომ ისინი, ვინც მიწას ხნავდნენ და საქონელს აძოვებდნენ, სულ უცხოელები და ბარბაროსები იყვნენ. აი, მაშინ მოუვიდა პირველად გონებაში ის პოლიტიკური განზრახვა, რამაც მასაც და მეც ათასი უბედურება დაგვატეხა თავსო.

ყველაზე მეტად ტიბერიუსის პატივმოყვარეობა და მისწრა-

ფება ხალხმა აღაგზნო. ხალხი სხვადასხვა წარწერებით სვეტებზე, კედლებსა და ქანდაკებებზე მხურვალედ მოუწოდებდა ტიბერიუსს, სახელმწიფო მიწები ღარიბებისათვის დაებრუნებინა.

9. უნდა ითქვას, კანონი ტიბერიუსს ერთპიროვნულად არ შეუდგენია. ამ საქმეში იგი ხელმძღვანელობდა იმ მოქალაქეთა რჩევა დარიგებებით, რომელნიც თავიანთი ვაჟკაცობისა და სახელის წყალობით რომში პირველობდნენ. მათ შორის იყვნენ: უზენაესი ქურუმი კრასუსი, კანონთა მცოდნე და იმხანად კონსულად მყოფი მუციუს სცევოლა და ტიბერიუსის სიმამრი აპიუს კლავდიუსი. ტიბერიუსის კანონივით რბილი და ზომიერი კანონი, რომელიც საშინელი უსამართლობისა და სიხარბის წინააღმდეგ იყო მიმართული, კაცმა რომ თქვას, არასოდეს დაწერილა. იმ პირთ, რომელთაც ეკადრებოდათ ურჩობისათვის პასუხი ეგოთ და ჯარიმის გადახდევინებით გაეძევებინათ უკანონოდ მითვისებული მიწებიდან, ტიბერიუსის კანონი მხოლოდ იმას უბრძანებდა, რომ სასყიდლის მიღების შემდეგ ხელი აეღოთ მითვისებულ მიწებზე და გადაეცათ ისინი იმ მოქალაქეთათვის, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა. მართალია, ბოროტების ასეთი გამოსწორება საკმაოდ ლმობიერი ჩანდა, ხალხი მაინც კმაყოფილი დარჩა. იგი მზად იყო, დაევიწყებინა წარსული, თუკი მომავალში უსამართლობით აღარ შეავიწროებდნენ. მაგრამ სიხარბით გატაცებული მდიდრები და შეძლებულები აღდგნენ ამ კანონის წინააღმდეგ და პატივმოყვარეობის გრძნობით აღვსილნი გააფთრებით დაუპირისპირდნენ კანონის შემდგენელს. ისინი ცდილობდნენ, რომ ხალხი განდგომოდა ამ კანონს და არ მიეღო იგი. ამ მიზნით ავრცელებდნენ ხმებს, მიწების ხელახალი გადანაწილებით ტიბერიუსს სახელმწიფო წყობილების დარღვევა და ყველაფრის არევ დარევა აქვს განზრახულიო! ასეთი ხრიკებით მდიდრებმა ვერაფერს ვერ მიაღწიეს. კეთილშობილურსა და სამართლიან საქმეს ტიბერიუსი იცავდა ისეთი სიტყვით, რომელსაც კარგი კი არა, ავი საქმის გაპატიოსნებაც კი შეეძლო. შეუპოვარი და უძლეველი ჩანდა ტიბერიუსი, როდესაც იგი ხალხით გარშემორტყმულ ტრიბუნაზე იდგა და ღარიბთა დასაცავად სიტყვას ამბობდა.

„იტალიაში მცხოვრებ ნადირებსაც კი, – ამბობდა თავის სიტყვაში ტიბერიუსი, – თავთავიანთი სოროები და ბუნაგები აქვთ. თავშესაფრად; მაგრამ იმ ხალხს, ვინც იტალიისათვის იბრძვის და საცოცხლეს სწირავს, არაფერი გააჩნია საკუთარ ქვეყანაში ჰაერისა და სინათლის მეტი. ეს ადამიანები უსახლკარონი არიან, მათ არა აქვთ მუდმივი ადგ-

ილსამყოფელი და ცოლ შვილით აქეთ იქით დაძრწიან. სარდლები ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ და არწმუნებენ, მტრისაგან დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები. ეს მაშინ, როდესაც რომაელთა უმრავლესობას არც მამისეული საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაოები არ გააჩნია. ჯარისკაცები მხოლოდ სხვისი ფუფუნებისა და სიმდიდრის გულისათვის ომობენ და იხოცებიან. მათ მსოფლიოს მბრძანებლებს უწოდებენ, სინამდვილეში კი მათ საკუთარი მიწის ერთი ნაგლეჯიც არ გააჩნიათ!"

10. ამ სიტყვას, რომელიც დიდი გატაცებითა და ჭეშმარიტი მგზნებარებით წარმოთქვა, ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. რაც შეეხება ტიბერიუსის მოწინააღმდეგეთ, ვერც ერთმა მათგანმა სამაგიეროს თქმა ვერ გაბედა. ტიბერიუსთან კამათზე ხელი აიღეს და მიაშურეს ერთ ერთ სახალხო ტრიბუნს, დარბაისელ, ფაქიზი ზნეობის მქონე ახალგაზრდა კაცს მარკუს ოქტავიუსს. ოქტავიუსი ტიბერიუსის უახლოესი მეგობარი იყო. ამიტომ პატივს სცემდა მას და პირველ ხანებში მასთან ბრძოლას თავს არიდებდა. მაგრამ მერმე, რომის მრავალი წარჩინებული მოქალაქის დაჟინებულ თხოვნას ძალაუნებურად დაუთმო, დაუპირისპირდა ტიბერიუსს და მისი კანონის გატარების წინააღმდეგ გამოვიდა[22]. სახალხო ტრიბუნატში კი ამა თუ იმ კანონის მიმართ გამოთქმულ უარყოფით აზრს ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; საკმარისია, წინააღმდეგ გამოვიდეს ერთი ტრიბუნი, რომ ყველა დანარჩენის თანხმობამ ძალა დაკარგოს. ამ მარცხით გაჯავრებულმა ტიბერიუსმა უკან წაიღო მდიდართა მიმართ საკმაოდ ლმობიერად შედგენილი კანონი და მერმე შემოიტანა ახალი, ხალხისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი და უფრო მკაცრი მოძალადეთათვის. ახალი კანონით ტიბერიუსი წინადადებას აძლევდა მდიდრებს, უყოყმანოდ, დაეცალათ ის მიწები, რომელთაც ისინი ძველი კანონების წინააღმდეგ ფლობდნენ.

ამან ტიბერიუსსა და ოქტავიუსს შორის მწვავე ბრძოლა გამოიწვია. მიუხედავად გაცხარებული კამათისა, ტიბერიუსსა და ოქტავიუსს, როგორც გადმოგვცემენ, ერთმანეთის შეურაცხმყოფელი არაფერი უთქვამთ და რისხვის ჟამს არც ერთი უკადრისი სიტყვა არ წამოსცდენიათ. თანდაყოლილი ზნეობრივი სიფაქიზე და კარგი აღზრდა, როგორც ჩანს, ზომიერების ჩარჩოში აკავებს და ლაგამს სდებს ადამიანის ჭკუა გონებას არა მარტო ბახუსის გავლენის ქვეშ ყოფნის დროს, არამედ პატივმოყვარულ მისწრაფებათა და განრისხების დროსაც.

როცა ტიბერიუსმა დაინახა, კანონი ეხებოდა ოქტავიუსსაც, როგორც საკმაოდ დიდი საზოგადო მიწების მფლობელს, სთხოვა დავაზე ხელი აეღო და მიწების საფასურის ანაზღაურებას საკუთარი ქონებიდან დაჰპირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. ოქტავიუსმა ამ წინადადებაზე უარი თქვა. მაშინ ტიბერიუსმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოვალეობის აღსრულებას უკრძალავდა თანამდებობათა მქონე პირთ მანამ, სანამ მისი კანონი კენჭის საყრელად არ იქნებოდა წარმოდგენილი. მერმე საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა სატურნუსის ტაძარი, რათა კვესტორებს არაფერი გამოეტანათ იქიდან და არც შეეტანათ[23]. ამასთან ტიბერიუსმა პრეტორებს აუწყა, რომ ურჩობის შემთხვევაში ყველას დააჯარიმებდნენ. მოსალოდნელი სასჯელით დაშინებულმა თანამდებობის პირებმა თავთავიანთი მოვალეობის შესრულებაზე ხელი აიღეს.

ამის გამო მდიდრები ძაძებით შეიმოსნენ და ფორუმზე სასოწარკვეთილნი და დამწუხრებულნი დადიოდნენ. მათ შეთქმულება მოაწყვეს და ტიბერიუსს მკვლელები მიუჩინეს. ტიბერიუსმა ეს გაიგო და აშკარად დაიწყო მოკლე მახვილის ტარება, რომელსაც რომაელები „დოლოს" ეძახიან და რომელსაც, ჩვეულებრივ, ავაზაკები ატარებენ ხოლმე.

11. სახალხო კრებისათვის დანიშნულ დღეს, როცა ტიბერიუსმა თავისი კანონისათვის ხმის მისაცემად ხალხი მოიწვია, მდიდრებმა საარჩევნო ურნები მოიტაცეს. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. ტიბერიუსის მომხრენი იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ ძალით შეეძლოთ გაეტანათ თავისი და ამ მიზნით კიდეც დაიწყეს თავმოყრა. მაშინ ყოფილი კონსულები მანლიუსი და ფულვიუსი ფეხებში ჩაუცვივდნენ ტიბერიუსს, ხელში სწვდნენ და ცრემლმორეულნი ევედრებოდნენ, კანონზე კენჭისყრა შეეწყვიტა. ტიბერიუსი წინასწარ გრძნობდა, მალე საშინელი ამბები დატრიალდებოდა, თანაც ყოფილ კონსულებს დიდ პატივს სცემდა და ამიტომ ჰკითხა: აბა, თქვენ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო? მანლიუსმა და ფულვიუსმა ტიბერიუსს მიუგეს, რომ მათ არ ძალუძთ ასეთ დიდ საქმეში რჩევის მიცემა და დაჟინებით დაუწყეს თხოვნა, სენატისათვის მიემართა. ტიბერიუსი მყისვე დაეთანხმა მათ.

სენატი მალე შეიკრიბა, მაგრამ რაკი იქ მდიდრები მბრძანებლობდნენ, ვერაფერი გააწყო. მაშინ ტიბერიუსმა, ვინაიდან სხვანაირი საშუალებით კანონის გატარება აღარ შეეძლო, ფრიად უკანონო და

სათაკილო გზას მიმართა. მან განიზრახა ოქტავიუსის გადაყენება ტრიბუნის თანამდებობიდან. სანამ ამ უკიდურესობამდე მივიდოდა, ტიბერიუსი მეგობრულად ავლებდა ხელს ხელებზე ოქტავიუსს და ტკბილი სიტყვებით საჯაროდ ემუდარებოდა, მოეხსნა თავისი აკრძალვა და დაეკმაყოფილებინა სამართლიანი მოთხოვნილება იმ ხალხისა, რომელსაც განუწყვეტელი ჯაფისა და მძიმე განსაცდელის სამაგიეროდ სულ მცირე გასამრჯელო ეძლეოდა. ოქტავიუსმა ტიბერიუსის თხოვნა უკუაგდო. მაშინ ტიბერიუსმა განაცხადა: „როცა ერთნაირი უფლებით მოსილი ორი ტრიბუნი მნიშვნელოვან საქმეში ერთმანეთს ვერ უთანხმდება, მაშინ ბრძოლა აუცილებელია. ერთადერთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან მე იმაში ვხედავ, რომ ერთ ერთმა ჩვენგანმა თანამდებობაზე ხელი უნდა აიღოს. დაე, ჯერ ოქტავიუსმა შეიტანოს სახალხო კრებაში საკითხი ჩემი შეცვლის თაობაზე. თუ ხალხი ამას მოისურვებს, მე მაშინვე გადავდგები და რიგითი ადამიანის ცხოვრებას დავუბრუნდები“.

ოქტავიუსმა ამაზეც უარი თქვა. „ასეთ შემთხვევაში, – უთხრა მას ტიბერიუსმა, – მე შევიტან საკითხს სახალხო კრებაში შენი ტრიბუნად ყოფნა არყოფნის შესახებ, თუკი, რა თქმა უნდა, დაფიქრების შემდეგ აზრს არ გამოიცვლი!“

12. იმ დღეს ზემოხსენებული სიტყვებით დაშალა ტიბერიუსმა კრება. მეორე დღეს, როცა ხალხი შეიკრიბა, ტიბერიუსი ტრიბუნაზე ავიდა და კვლავ შეეცადა დაეყოლიებინა ოქტავიუსი. ოქტავიუსმა უკან არ დაიხია. მაშინ ტიბერიუსმა წინადადება შეიტანა, ოქტავიუსისათვის სახალხო ტრიბუნის რწმუნება ჩამოერთმიათ და ხალხს სთხოვა, ახლავე ეყარათ კენჭი ამ წინადადებისათვის. რომის ოცდათხუთმეტი ტრიბიდან ჩვიდმეტმა ტრიბმა ოქტავიუსის წინააღმდეგ მისცა ხმა. საკმარისი იყო ამათ ერთი ტრიბი მიმატებოდა კიდევ, რომ ოქტავიუსს რიგით ადამიანად გახდომა მოუწევდა; მაგრამ ტიბერიუსმა კენჭისყრა შეაწყვეტინა და კვლავ დაუწყო თხოვნა-ვედრება ოქტავიუსს. მან ხალხის თვალწინ ხელი მოხვია მას, აკოცა და დაჟინებით სთხოვა: ნურც თავს შეირცხვენ და ნურც მე მაიძულებ, გავხდე მიზეზი ასეთი მკაცრი და უკიდურესი ზომებისაო. ამ სიტყვებს ოქტავიუსი, როგორც ამბობენ, უკვე მორჩილად და გრძნობამორევით უსმენდა. იგი ატირდა თურმე და თვალებაცრემლებული დიდხანს მდუმარედ იდგა. მაგრამ როცა იქვე თავმოყრილ მდიდრებსა და შეძლებულებს გადახედა, როგორც ჩანს, შერცხვა თავისი საქციელის და იმის შიშით, ძლიერთა თვალში არ

დამცირებულიყო, გადაწყვიტა მამაცურად შეგებებოდა ყოველგვარ საფრთხეს. „ტიბერიუსს, - თქვა მან, - შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც ნებავს!“

წინადადება ოქტავიუსის გადაყენების თაობაზე მიიღეს. გაიუსი ამ დროს რომში არ იმყოფებოდა. იგი სციპიონის ხელმძღვანელობით ნუმანციაში ლაშქრობდა. ტიბერიუსმა უბრძანა ერთ აზატს (ტიბერიუსი თავის აზატებს ლიქტორებად იყენებდა), ოქტავიუსი ტრიბუნიდან ძირს ჩაეთრია. შეურაცხყოფითა და ძალადატანებით ოქტავიუსის ტრიბუნიდან ჩამოგდება მეტისმეტად სამწუხარო სანახაობა იყო. ხალხი მყისვე დაიძრა ოქტავიუსისაკენ, მაგრამ მდიდრები მოვარდნენ და ბრბო შეაკავეს. ოქტავიუსი ძლივს გადარჩა, იგი ხალხს ხელიდან გამოგლიჯეს. ოქტავიუსი ბრბოს გაექცა, მაგრამ მის ერთგულ მონას, რომელიც დამცველად ედგა წინ, თვალები გამოთხარეს. ხალხის თავდასხმა ოქტავიუსზე ტიბერიუსის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. როცა ტიბერიუსმა დაინახა, რა ხდებოდა, სწრაფად ჩამოიჭრა ტრიბუნიდან იმ განზრახვით, რომ მღელვარება დაეშოშმინებინა.

13. ამის შემდეგ მიწის კანონი ძალაში შევიდა. მიწების გამოსაკვლევად და გასანაწილებლად აირჩიეს სამი კაცი: თვითონ ტიბერიუსი, მისი სიმამრი აპიუს კლავდიუსი და მისი ძმა გაიუს გრაკხუსი[24]. გაიუსი ამ დროს რომში არ იმყოფებოდა. იგი სციპიონის ხელმძღვანელობით ნუმანციაში ლაშქრობდა.

რაკი საქმე დაუბრკოლებლივ და მშვიდობიანად დასრულდა, ტიბერიუსმა სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე, ოქტავიუსის ნაცვლად, დააყენა არა ვინმე წარჩინებულთაგანი, არამედ ვიღაც მუციუსი, თავისი კლიენტი. წარჩინებულები აღშფოთებით შეხვდნენ ასეთ საქციელს. მათ ეშინოდათ ტიბერიუსის აღზევებისა და ამიტომ ყოველნაირად ამცირებდნენ მას სენატში. მაგალითად, როცა ტიბერიუსმა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე, წესის თანახმად, კარავი მოითხოვა, რაც მიწების გადანაწილების დროს სჭირდებოდა, მას უარი უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვები, გაცილებით უფრო მცირე საქმეთა აღსრულების დროს, ხშირად ღებულობდნენ ხოლმე ასეთ კარვებს. გარდა ამისა, ყოველდღიური ხარჯისათვის ტიბერიუსს დაუნიშნეს მხოლოდ ცხრა ობოლი[25]. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა პუბლიუს ნაზიკამ და ამით თავი გამოიჩინა, როგორც ტიბერიუსის აშკარა და დაუძინებელმა მტერმა. პუბლიუს ნაზიკას შეძენილი ჰქონდა უამრავი სახელმწიფო მიწა და ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ახლა ამ მიწებზე ხელი უნდა აეღო[26].

ხალხი უფრო და უფრო ცხარდებოდა მდიდართა წინააღმდეგ. სულ მალე ანაზდეულად მოკვდა ტიბერიუსის ერთი მეგობარი. მის გვამზე რაღაც საეჭვო ლაქები აღმოჩნდა. ხალხმა ყვირილი მორთო: ეს კაცი მოწამლულიაო, და მის დაკრძალვაზე შეიკრიბა. ცხედარი სამგლოვიარო სარეცლით გარეთ გამოასვენეს და ხალხი მიცვალებულის კოცონს გარს შემოეხვია. ეჭვი მოწამვლის შესახებ გამართლდა. საქმე ის იყო, – რომ გვამს კანი დაუსკდა და იქიდან დიდძალი მყრალი სითხე გადმოიღვარა, რამაც კოცონის ალი დააქრო. ხელახლა სცადეს ცეცხლის გაჩაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს სხვა ადგილზე გადაიტანეს კოცონი და აქაც დიდი წვალების ფასად დაანთეს იგი.

ხალხის უფრო მეტად აღგზნების მიზნით, ტიბერიუსი ძაძებით შეიმოსა; მან თავისი ბავშვები ფორუმზე გამოიყვანა და ხალხს თხოვნით მიმართა: ეს ბავშვები და ამათი დედა შეიფარეთ, ვინაიდან მე აღარ მაქვს იმედი, მტრებს გადავურჩეო.

14. პერგამონის მეფის ატალე ფილომეტორის სიკვდილის შემდეგ ევდემე პერგამონელმა რომში ჩამოიტანა ანდერძი, რომელშიც მეფის მემკვიდრედ რომაელი ხალხი იყო აღიარებული. ტიბერიუსმა ხალხის გულის მოსაგებად მაშინვე წამოაყენა კანონი, რომ პერგამონის სამეფოს ხაზინა გადასცემოდა იმ მოქალაქეთ, რომლებმაც მიწები მიიღეს, რათა ამ ფულით მათ სამიწათმოქმედო მეურნეობის მოწყობაში შეშველებოდა. რაც შეეხება ატალეს სამეფოში შემავალ ქალაქებს, ამ საკითხზე ტიბერიუსმა განაცხადა: მათი ბედის განსჯა სენატს სრულებითაც არ ეხება და ეს საქმე მთლიანად ხალხს უნდა მივანდოთო.

ტიბერიუსის ასეთმა გამოსვლამ სენატის ღირსება მეტისმეტად შეურაცხყო. სენატის სხდომაზე სალაპარაკოდ წამომდგარმა პომპეუსმა[27] თქვა: „მე ტიბერიუსის მეზობლად ვცხოვრობ და ამიტომ ძალიან კარგად ვიცი, ევდემემ მას პერგამონის მეფეთა დიადემა და პორფირი გადასცა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს რომში უნდა გამეფდესო“. კვინტუს მეტელუსმა[28] კი სასტიკად გაკიცხა იმის გამო, რომ იგი მამამისივით წესიერად არ იქცეოდა. „ყოველთვის, – უთხრა მეტელუსმა ტიბერიუსს, – როცა მამაშენი ცენზორად ყოფნისას ვახშმობიდან სახლში ბრუნდებოდა ხოლმე, მოქალაქენი შიშით აქრობდნენ თავ თავიანთ ბინებში სინათლეს, რათა ცენზორს არ ჰგონებოდა, მეტისმეტ დიდ დროს ატარებენო მხიარულებასა და ღრეობაში. შენ კი თვითონვე გინათებენ ღამ-

ით გზას ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული და მაწანწალა მოქალაქენიო!“.

ერთი ტიტე ანიუსი იყო, ყოვლად უზნეო და დავდაუჭერელი კაცი, მაგრამ კამათის დროს ისეთი კითხვებისა და პასუხების მიცემა იცოდა, რომ ამ მხრივ უძლეველი ვინმე ჩანდა. აი, ამ ტიტე ანიუსმა პატივი აჰყარა ამხანაგს, რომელიც კანონთა ძალით უწმინდეს და ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლებოდა. ამან ბრბო აღაშფოთა. ტიბერიუსი გარეთ გამოიჭრა, შეკრიბა ხალხი და ბრძანება გასცა, ანიუსი მოეყვანათ. მას სურდა, ანიუსის წინააღმდეგ ბრალდებით გამოსულიყო. ანიუსმა, რომელიც ბევრად ჩამორჩებოდა ტიბერიუსს მჭევრმეტყველებაში და არც მასავით ცნობილი პიროვნება იყო, თავის საყვარელ ხერხს მიმართა. მან ტიბერიუსს სთხოვა: სანამ სიტყვით გამოხვიდოდე, ერთ კითხვაზე მიპასუხეო. ტიბერიუსი დათანხმდა: მკითხე, რა გინდაო? დუმილი ჩამოვარდა. მაშინ ანიუსმა ასე მიმართა ტიბერიუსს: „დავუშვათ, რომ შენ ჩემი პატივის აყრა და შეურაცხყოფა მოინდომე, მე კი დახმარებისათვის ერთ-ერთ შენს ამხანაგს მივმართე; იმან რომ ჩემი შველა განიზრახოს და შენ განრისხდე, წაართმევ თუ არა მას თანამდებობასო?“

15. ერთი სიტყვით, მან მაშინ სახალხო კრება დაშალა. ტიბერიუსმა იგრძნო, მის პოლიტიკურ ღონისძიებათა შორის ოქტავიუსის გადაყენება იყო ის ნაბიჯი, რომელმაც შეაძრწუნა არა მარტო დიდებულნი, არამედ ხალხიც. ისე ჩანდა, თითქოს ოქტავიუსის გადაყენებით სახალხო ტრიბუნების დიდი და ბრწყინვალე ღირსება შეილახა და გაითელა. აი, ამიტომ ტიბერიუსმა ხალხს გრძელი სიტყვით მიმართა. ამ სიტყვიდან ზოგიერთი დასკვნის მოყვანა, მე მგონი, უადგილო არ იქნება, ვინაიდან ეს ნათლად წარმოგვიდგენს ტიბერიუსის გონივრულობასა და მისი სიტყვების დამაჯერებელ ძალას.

„სახალხო ტრიბუნი, - თქვა ტიბერიუსმა, - უწმინდესი და ხელშეუხებელი პიროვნებაა იმიტომ, რომ ის ხალხისთვის სწირავს თავს და ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. მაგრამ თუ ტრიბუნი ხალხს ზურგს შეაქცევს, უსამართლოდ მოექცევა, შეუსუსტებს ძალას და კენჭისყრის უფლებას აღუკვეთავს, მაშინ იგი თვითონვე ხსნის თავისთავს ამ თანამდებობიდან, რამეთუ არ ასრულებს მოვალეობას, რისთვისაც ტრიბუნის რწმუნება მიენიჭა. ტრიბუნმა რომ კაპიტოლიუმი დაანგრიოს, მან რომ ჩვენი იარაღის საწყობები გადაწვას, ესეც კი შეიძლება ასატანად ჩაითვალოს; ოღონდ ასეთი საქციე-

ლის ჩამდენი ტრიბუნი ცუდი ტრიბუნის სახელს დაიმსახურებს. მაგრამ ის, ვინც ხალხის ძლიერებას ხელყოფს, სახალხო ტრიბუნი აღარ არის. განა საშინელება არაა, რომ ტრიბუნს საკუთარი ნება-სურვილით შეუძლია საპყრობილეში წაიყვანოს კონსული მაშინ, როცა ხალხს ნება არა აქვს წაართვას ტრიბუნს ძალაუფლება, რომელსაც ბოროტად იყენებს იმის მიმართ, ვინც მას ეს პატივი მიანიჭა? კონსულსაც და ტრიბუნსაც ხომ ორივეს ხალხი ირჩევს! მეფის ხელისუფლება ყველა სახელმწიფო თანამდებობას შეიცავს და ამასთან ერთად უზენაესი ღვთისმსახურების შემწეობით ღვთაებრიობას აღწევს. მიუხედავად ამისა, რომმა გააძევა ტარკვინიუსი[29], ვინაიდან უსამართლოდ იქცეოდა; ამგვარად, ერთი კაცი ქედმაღლობის მიზეზით დაემხო თვით რომის დამფუძნებელი მამაპაპეული ხელისუფლება. განა რომში მოიპოვება ვინმე იმაზე წმინდანი და თაყვანსაცემი, როგორიც დაუქრობელი ცეცხლის მეთვალყურე ვესტას ქურუმი ქალები არიან?[30] მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ცოდვას ჩაიდენს, მას ცოცხლად მარხავენ მიწაში: ღმერთების წიაში შემცოდველი ქურუმი ქალები მაშინვე კარგავენ ღმერთების მიერვე ბოძებულ შეუვალობის უფლებას. აი, ამიტომ სრულიად არაა დასაშვები, ხალხის შეურაცხმყოფელმა ტრიბუნმა ხალხისაგან მინიჭებული ხელშეუხებლობა შეინარჩუნოს; ვინაიდან იგი თვითონვე აცამტვერებს იმ ძალას, რომელმაც იგი აღაზევა. თუკი სამართლიანად ჩაითვალა ტრიბუნის ტრიბუნობა ტრიბთა უმრავლესობის მიერ ხმის მიცემის საფუძველზე, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს უფრო სამართლიანად თანამდებობიდან მისი გადაყენება იმ შემთხვევაში, როცა ყველა ტრიბმა მის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა? ღმერთებისადმი მიძღვნილ შეწირულებებზე უწმინდესი და ხელშეუხებელი არა არის რა. მაგრამ ხალხისათვის არავის აუკრძალავს ასეთი საგნებით სარგებლობა, მათი ხელის ხლება და სურვილის მიხედვით მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. ასევე სრული უფლება აქვს ხალხს, შეწირულების მსგავსად, ტრიბუნის თანამდებობა ერთი პიროვნებიდან მეორეზე გადაიტანოს. ასე რომ, ტრიბუნობა სრულებითაც არ არის ხელშეუვალი და აღუკვეთელი თანამდებობა. ეს მრავალი მაგალითით მტკიცდება. ტრიბუნის რწმუნებით შემოსილი პიროვნებანი საკმაოდ ხშირად თვითონვე იღებდნენ ხელს ტრიბუნობაზე და განთავისუფლებას მოითხოვდნენ".

16. აი ასეთი იყო ტიბერიუსის მიერ თავის გასამართლებლად

წამოყენებული მთავარი დებულებები. ტიბერიუსის მეგობრები, რაკი ხედავდნენ, მტრები ირაზმებოდნენ და ტიბერიუსს ემუქრებოდნენ, ფიქრობდნენ: საჭიროა ტიბერიუსმა მომავალი წლისათვის კვლავ მიიღოს ტრიბუნობაო. მაშინ იგი შეეცადა ისევ მოეგო ხალხის გული ახალი კანონებით. ამ კანონთა ძალით მან შეამცირა სამხედრო სამსახურის ვადა, დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სახალხო კრებაზე, ხოლო იმ სენატორთა რიცხვს, რომლებიც მანამდე დამოუკიდებლად აწარმოებდნენ სასამართლო საქმეებს, თანაბარი რაოდენობის მოსამართლენი დაუმატა მხედართა წოდებიდან. ერთი სიტყვით, ტიბერიუსი ყოველგვარი ხერხით ცდილობდა, დაეკანონებინა სენატის ძლიერება; ამას იგი აკეთებდა არა იმდენად სამართლიანი და სასარგებლო მოსაზრებით, რამდენადაც პირადი რისხვისა და ჯიუტობის მიზეზით.

ახალი კანონების გატარებისათვის საჭირო კენჭისყრის დროს ტიბერიუსის მომხრეებმა იგრძნეს, რომ მოწინააღმდეგენი იმარჯვებდნენ (ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ხმის მისაცემად ხალხის დიდი ნაწილი არ გამოცხადებულა). მაშინ ტიბერიუსმა და მისმა მეგობრებმა სხვა ტრიბუნებს ლანძღვა-გინება დაუწყეს და ამით დრო მოიგეს. მერმე სახალხო კრება დაშალეს და მეორე დღისათვის გადადეს. ტიბერიუსი დამწუხრებული ჩამოვიდა ტრიბუნიდან ფორუმზე და ცრემლმორეულმა ვედრებით მიმართა ხალხს: „მეო, - ამბობდა იგი, - მეშინია, მტრები ამაღამ სახლში არ შემომეჭრან და არ მომკლანო". ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე, ტიბერიუსის სახლის წინ იმ ღამეს მრავალი მდაბიო შეიკრიბა. ისინი მცველებად დაუდგნენ ტიბერიუსს და ღამე გაუთიეს.

17. მეორე დღეს დილით სამისნო ფრინველთა გამგებელმა გალიით ქათმები გამოიყვანა გარეთ და საკენკი დაუყარა. მიუხედავად იმისა, რომ ღონივრად შეანჯღრია გალია, ერთის გარდა, ქათმები გარეთ არ გამოვიდნენ, მაგრამ საკენკს ამ ქათამმაც არ ახლო პირი. მან მარცხენა ფრთა შეარხია მხოლოდ, მერმე ფეხი გამოსწია წინ და ისევ გალიაში შებრუნდა. ამ ავმა ნიშანმა ტიბერიუსს ადრე ნანახი უბედურების მომასწავებელი ნიშანი მოაგონა: ტიბერიუსს ერთი შესანიშნავი და ძვირფასად შემკული საომარი მუზარადი ჰქონდა. ამ მუზარადში ერთხელ გველები ჩამძვრალიყვნენ, შიგ კვერცხები დაედოთ და წიწილები გამოესხათ. სამისნო ქათმების ქცევით გამოწვეული შეშფოთება ამ მოგონებამ კიდევ უფრო გაუძლიერა ტიბერიუსს; მაგრამ როგორც კი გაიგო, კაპიტოლიუმზე უკვე შეიკრიბა ხალხიო,

მაინც გამოვიდა სახლიდან იქ ასასვლელად. სახლიდან გამოსვლისას ისე მაგრად წამოკრა ფეხი ზღურბლს, რომ ცერზე ფრჩხილი მოსძვრა და სისხლმა ფეხსაცმელში გამოჟონა. მცირეოდენი მანძილის გავლის შემდეგ ტიბერიუსმა ერთი სახლის სახურავზე, მარცხენა მხრიდან, დაინახა ყვავები, რომლებიც ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. კაპიტოლიუმისაკენ მიმავალ ტიბერიუსს, რა თქმა უნდა, მთელი ამალა ახლდა თან, მაგრამ ერთ-ერთი ყვავის მიერ ჩამოგდებული ქვა მაინცდამაინც მის ფერხთა წინ დავარდა. ამ შემთხვევამ ტიბერიუსის ყველაზე უმამაცესი მომხრეებიც კი საგონებელში ჩააგდო. მაგრამ კუმელმა ბლოსიუსმა, რომელიც ტიბერიუსის ამალაში იმყოფებოდა, თქვა: „დიდი სირცხვილი და თავლაფის დასხმა იქნება, თუ ტიბერიუსს, გრაკხუსის ძეს, სციპიონ აფრიკელის შვილისშვილსა და რომაელი ხალხის წინამძღოლს ყვავის შეეშინდება და თანამოქალაქეთა მოწოდებას არ გამოეხმაურება; მართალია, მტრები ამ სილაჩრეს სიცილის საგნად არ გაიხდიან, მაგრამ მყისვე დაიწყებენ ხალხში ყვირილს: ტიბერიუსი თვითნებობს და ტირანის მსგავსად იქცევაო“.

სწორედ ამ დროს ტიბერიუსთან მეგობრების მიერ კაპიტოლიუმიდან გამოგზავნილმა შიკრიკებმა მოირბინეს და მათი შემონათვალი მოახსენეს: სწრაფად ამოდი, აქ ყველაფერი რიგზეაო. პირველად, მართლაც, ყველაფერი წარმატებით მიმდინარეობდა ტიბერიუსისათვის. დაინახეს თუ არა იგი, მეგობრები ყიჟინით მიეგებნენ; ხოლო როცა ტიბერიუსი კაპიტოლიუმზე ავიდა, სიხარულით მიიღეს და მჭიდროდ შემოერტყნენ გარს, რათა უცხო ვინმეს მასთან ახლოს მისვლა არ შეძლებოდა.

18. მუციუსმა კვლავ დაიწყო ტრიბების მიხედვით ხმების შეგროვება, მაგრამ იმას, რასაც უწინ ადვილად აკეთებდა, ახლა ვერაფერი მოუხერხა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გვიან მოსულებმა საშინელი ალიაქოთი ატეხეს. ისინი ძალით ცდილობდნენ, წინ გასულიყვნენ, სხვები კი ხელს უშლიდნენ და ამან დიდი არეულობა გამოიწვია.

ამ დროს სენატორი ფულვიუს ფლაკუსი[31] ერთ საჩინო ადგილზე შედგა. მაგრამ რაკი ლაპარაკით ვერაფერს გახდებოდა და ხმას ვერავის მიაწვდენდა, კაპიტოლიუმზე მყოფთ ხელის ქნევით ანიშნა: ტიბერიუსს პირადად მინდა რაღაც ვუთხრაო. ტიბერიუსმა მაშინვე უბრძანა ხალხს, გაწევ-გამოწეულიყვნენ და ფლაკუსისათვის გზა მიეცათ. ფლაკუსი დიდი გაჭირვებით ავიდა კაპიტოლიუმზე, მიუახ-

ლოვდა ტიბერიუსს და აუწყა: „სენატის სხდომაზე, როცა კონსული ვერ დაიყოლიეს, მდიდრებმა გადაწყვიტეს, თვითონვე მოგკლან; ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მზად ჰყავთ მრავალი შეიარაღებული მონა და მეგობარი“.

19. როცა ტიბერიუსმა ფლაკუსის ნათქვამი თავის მომხრეებს გადასცა, ამათ მყისვე შემოირტყეს ქამრები ტოგებზე, დალეწეს ის შუბები, რომლებსაც ლიქტორები ბრბოს გასარეკად იყენებდნენ და თავდამსხმელთაგან თავის დასაცავად ამ შუბთა ნამტვრევებით შეიარაღდნენ. უკანა რიგებში მყოფი ხალხი, რომელმაც არ იცოდა, თუ რა ხდებოდა წინ, ჰკვირობდა და კითხულობდა: რაშია საქმეო? ტიბერიუსს უკანა რიგებამდე ხმის მიწვდენა არ შეეძლო, ამიტომაც მან ხელი თავზე მიიდო და ამით ხალხს ანიშნა: განსაცდელი მელისო. როცა მისმა მტრებმა ხელის ასეთი მოძრაობა დაინახეს, მაშინვე გაიქცნენ სენატში და სხდომას აუწყეს: ტიბერიუსმა მეფის გვირგვინი მოითხოვა, რამეთუ ხალხის წინაშე თავზე ხელი დაიდოო. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა. ნაზიკამ კონსულს თხოვნა დაუწყო: უშველე რომს და ტირანი მოსპეო. კონსულმა მას აუღელვებლად უპასუხა: „ძალადობით ვერ ვიმოქმედებ და ვერც ერთ მოქალაქეს ვერ მოვაკვლევინებ გაუსამართლებლად. მაგრამ თუ ხალხი ტიბერიუსის მხრივ შეგონებით ან ძალდატანებით კანონთა საწინააღმდეგო რასმე დაუჭერს მხარს და ხმას მისცემს, ასეთ გადაწყვეტილებას მე არამც და არამც არ დავამტკიცებ“. კონსულის ასეთ პასუხზე ნაზიკა ადგილიდან წამოიჭრა და შეჰყვირა: „რაკი კონსული რესპუბლიკას ღალატობს, წინადადებას გაძლევთ, ვისაც ჩვენი კანონების გადარჩენა გინდათ, მე გამომყევითო!“ თქვა თუ არა ეს, ნაზიკამ ტოგის ყური თავზე წამოიგდო და პირდაპირ კაპიტოლიუმისაკენ გაემართა. მას სხვებიც მიჰყვნენ. ნაზიკას გამყოლებმა მარცხენა მკლავზე ტოგები დაიხვიეს, მარჯვენათი კი შემხვდურებს გზიდან იშორებდნენ. ისეთ წარჩინებულ ვაჟკაცებს, როგორიც ნაზიკა და მისი მომხრენი იყვნენ, წინ ვერავინ უდგებოდა, ყველანი გზას უთმობდნენ, გარბოდნენ და ერთმანეთს აწყდებოდნენ.

ნაზიკასი და მის საშველად წამოსულ სენატორთა მომხრენი სახლებიდან წამოღებული კეტებითა და ჭოკებით იყვნენ შეიარაღებულნი. თვითონ სენატორებმა კი დამფრთხალი ბრბოს მიერ დამტვრეული სკამების ნამსხვრევებს სტაცეს ხელი და ყველანი ტიბერიუსისაკენ გაეშურნენ. გზადაგზა სცემდნენ მათ, ვინც ტიბერიუსის დასაცავად თავს იდებდა. ზოგიერთი მათგანი მოკლეს,

დანარჩენები კი უკუაქციეს. გაიქცა ტიბერიუსიც, მაგრამ ვიღაცამ ტოგაზე სტაცა ხელი. ტიბერიუსმა ტოგა მყისვე შეატოვა მტერს და ტუნიკის ამარა გაიქცა. მაგრამ ახლა ფეხი წამოსდო რაღაცას და მის წინ დაცემულთა გროვაზე დავარდა. როცა წამოდგომა დააპირა, ერთ ერთმა მისმა მოწინააღმდეგე ტრიბუნმა პუბლიუს სატურეიუსმა მთელი ხალხის თვალწინ სკამის ფეხი დაჰკრა თავში. ეს იყო პირველი დარტყმა. მეორე დარტყმას თავისად იკვეხნიდა ლუციუს რუფუსი და ისე ამაყობდა ამით, როგორც დიდი საგმირო საქმით. ტიბერიუსის მომხრეთაგან სამასზე მეტი კაცი მოკლეს მხოლოდ კეტებითა და ქვებით. მახვილით აქ არც ერთი კაცი არ მოუკლავთ.

20. მემატიანენი გადმოგვცემენ, მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ეს პირველი განხეთქილება იყო რომში, რომელიც მოქალაქეთა სისხლის ღვრით და მკვლელობით დასრულდაო. ყველა სხვა ამბოხება, რა ძლიერიც უნდა ყოფილიყო ის და რა მნიშვნელოვანი მიზეზებიც უნდა ჰქონოდა, ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდებოდა მოწინააღმდეგე მხარეთა მორიგების საფუძველზე: წარჩინებულთ ხალხის ეშინოდათ და დათმობაზე მიდიოდნენ, ხოლო ხალხი პატივს სცემდა სენატს და თავის მხრივ ასევე თმობდა.

ჩემი აზრით, ტიბერიუსისათვის რომ მაშინ თხოვნით მიემართათ და შეგონებით ემოქმედათ მასზე, მისი დაყოლიება ძნელი როდი იქნებოდა. კიდევ უფრო ადვილად წავიდოდა იგი დათმობაზე, თავდამსხმელთ რომ სისხლის ღვრისა და მკვლელობისაგან თავი შეეკავებინათ. ტიბერიუსს ხომ სამი ათას კაცზე მეტი მომხრე არა ჰყავდა იქ!

როგორც ჩანს, ტიბერიუსის წინააღმდეგ ამხედრების საფუძველი უფრო მეტად მდიდართა რისხვა და სიძულვილი იყო და არა ის ნაირნაირი საბაბი, რასაც წარჩინებულნი იმიზეზებდნენ. ამას აშკარად ამტკიცებს ის, რომ ტიბერიუსის გვამს საშინლად უდიერად და უკანონოდ მოექცნენ. მისი ძმის თხოვნა, ცხედარი წაეღო და ღამით დაემარხა, უარყვეს. ტიბერიუსის გვამი სხვა მოკლულთა გვამებთან ერთად მდინარეში გადააგდეს.

საქმე ამით როდი დამთავრდა. ტიბერიუსის მეგობართაგან ზოგი გაუსამართლებლად გააძევეს რომიდან, ზოგი კი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მოკლულთა შორის იყო რიტორი დიოფანე. ვინმე გაიუს ვილიუსი, ტიბერიუსის ერთ ერთი მომხრე, გველებით სავსე კასრში ჩააგდეს და ასე გამოასალმეს წუთისოფელს.

კუმელი ბლოსიუსი კონსულებთან მიიყვანეს და აქ მომხდარი ამ-

ბების გარშემო დაკითხვა დაუწყეს. ბლოსიუსმა აღიარა: ყველაფერს ტიბერიუსის ბრძანების თანახმად ვაკეთებდიო. ნაზიკამ ჰკითხა:

– რას იზამდი, ტიბერიუსს რომ შენთვის კაპიტოლიუმის გადაწვა ებრძანებინა?

– ასეთ ბრძანებას, – მიუგო ბლოსიუსმა, – ტიბერიუსი არასოდეს მომცემდა.

მრავალმა სენატორმა დაჟინებით მოითხოვა ბლოსიუსისაგან ნაზიკას კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა. მაშინ ბლოსიუსმა განაცხადა: „თუკი ტიბერიუსი ამას მიბრძანებდა, მე ხალისით დავემორჩილებოდი და შევასრულებდი დავალებას, ვინაიდან ტიბერიუსი ისეთ ბრძანებას არ მომცემდა, ხალხისათვის სასარგებლო რომ არ ყოფილიყო!“ ამ პასუხით მაშინ ბლოსიუსმა თავი დაიხსნა განსაცდელისაგან, მერმე კი არისტონიკესთან წავიდა აზიაში. ხოლო როცა არისტონიკეს საქმეები უკუღმა წავიდა, ბლოსიუსმა თავი მოიკლა[32].

21. სენატმა მომხდარი ამბების გამო ხალხის დაშოშმინება მოინდომა, მიწების გადამიჯვნა აღარავისთვის დაუშლია და ნება მისცა, ამ საქმისათვის ტიბერიუსის ნაცვლად ახალი რწმუნებული აერჩიათ. კენჭისყრის საფუძველზე ხალხმა აირჩია პუბლიუს კრაპსუსი, გრაკხუსების მოყვარე კაცი; მისი ქალიშვილი ლიციინია ცოლად ჰყავდა გაიუს გრაკხუსს. სხვათა შორის, კორნელიუს ნეპოტი[33] ამბობს, გაიუსი კრასუსის ქალიშვილზე კი არა, ლუზიტანებზე გამარჯვებული და ტრიუმფგადახდილი ბრუტუსის ასულზე იყო დაქორწინებულიო; მაგრამ უმრავლესობა მაინც ისე გადმოგვცემს, როგორც ჩვენ ვწერთ.

ასე იყო თუ ისე, ტიბერიუსის სიკვდილს ხალხი მაინც მეტისმეტად განიცდიდა. აშკარა იყო, იგი შურისძიებისათვის ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. ნაზიკას ხალხი გასამართლებით ემუქრებოდა. სენატმა, რომელსაც ეს ამბავი აშინებდა, საჭიროების გარეშე დაადგინა, ნაზიკა აზიაში გაეგზავნათ. საქმე ის იყო, რომ ხალხი ყოველი შეხვედრის დროს აშკარად ამჟღავნებდა თავის ზიზღს ნაზიკას მიმართ. აღელვებული მოქალაქენი, სადაც კი წააწყდებოდნენ მას, უყვიროდნენ, რომ ის ღმერთების მიერ შეჩვენებული ტირანი და ღვთისმკრეხელია; რომ მან წმინდანი კაცის სიკვდილით შებილწა ყველაზე უწმინდესი და ყველაზე უფრო სათაყვანო ტაძარი რომის ტაძართა შორის. ნაზიკა, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც უზენაეს ქურუმს, უდიდესი მსხვერპლშეწირვის გამგებლობა ჰქონ-

და დაკისრებული, იძულებული გახდა, იტალიიდან წასულიყო. იგი დამწუხრებული და შერცხვენილი დაეხეტებოდა უცხო ქვეყნებში და მალე პერგამონის მახლობლად გარდაიცვალა.

საკვირველი არაა, რომ ხალხს ნაზიკა ასე ეზიზღებოდა. ის კი არა, სციპიონ აფრიკელმა, რომელიც სრულიად დამსახურებულად სარგებლობდა ხალხის უსაზღვრო სიყვარულით, რაც სხვას არ ღირსებია, კინაღამ არ დაკარგა ხალხის ასეთი განწყობა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, როცა ნუმანციაში ტიბერიუსის სიკვდილი შეიტყო, უმალ ჰომეროსის სიტყვები წამოიძახა:

„დაე ასე ჩაძაღლდეს იგი, ვინც ამის მსგავსს ჩაიდენს საქმეს!“[34]

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გაიუს გრაკხუსმა და ფულვიუსმა ჰკითხეს: რას ფიქრობ ტიბერიუსის სიკვდილზეო, მან უპასუხა, ტიბერიუსის პოლიტიკური ნაბიჯები არ მომწონდაო. ამიერიდან ხალხი ყოველთვის აწყვეტინებდა ხოლმე სიტყვას სციპიონს ყრილობაზე ლაპარაკის დროს და იმას აკეთებდა, რასაც უწინ არ კადრულობდა. თვითონ სციპიონი კი იქამდე მივიდა, რომ ხალხის ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი. ეს ამბავი დაწვრილებით გვაქვს აღწერილი სციპიონის ცხოვრებაში[35].

გაიუს გრაკხუსი

1. ძმის სიკვდილის შემდეგ გაიუს გრაკხუსი, მტრების შიშით თუ იმიტომ, რომ მათ მიმართ ხალხის სიძულვილი გაეღვიძებინა, ერთხანს ფორუმს თავს არიდებდა და დროს მშვიდად ატარებდა სახლში. იგი ისე იქცეოდა, თითქოს არაფერს აკეთებდა და თითქოს მომავალშიც ასევე უმოქმედოდ აპირებდა ცხოვრებას. ამის გამო ხმები დადიოდა: გაიუსი ტიბერიუსის პოლიტიკურ მოღვაწეობას გმობს და ოდნავადაც არ ემხრობა მასო. გაიუსი იმხანად მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდათ. იგი ცხრა წლით უმცროსი იყო ძმაზე! ტიბერიუსი კი ისე გამოესალმა წუთისოფელს, ოცდაათ წელსაც ვერ მიაღწია.

როცა გავიდა დრო და თანდათანობით გამომჟღავნდა გაიუსის ხასიათი, აშკარა გახდა, გაიუსისათვის უცხო რამ იყო უქნარობა და განცხრომა, ღრეობა და ანგარება: იგი მჭევრმეტყველებაში იწაფებოდა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად, ასე ვთქვათ, ფრთებს ისწორებდა. ცხადი იყო, გაიუსი ცხოვრებას უმოქმედობაში არ გაატარებდა.

მისი ერთ ერთი მეგობარი, ვინმე ვეტიუსი სამართალში მისცეს. მისი დაცვა გაიუსმა იკისრა და ისეთი სიტყვა წარმოთქვა, ხალხი სიამოვნებისაგან უსაზღვრო აღტაცებაში მოვიდა. ამით გაიუსმა დაამტკიცა, რომ სხვა ორატორები მასთან შედარებით ბალღები იყვნენ[1].

გაიუსის ასეთი წარმატების გამო წარჩინებულნი ისევ შიშს მიეცნენ. ისინი განუწყვეტლივ ეთათბირებოდნენ ერთმანეთს, როგორმე ხელი შეეშალათ გაიუსისათვის და მისთვის სახალხო ტრიბუნად გახდომის საშუალება არ მიეცათ.

მოხდა ისე, რომ ცოტა ხნის შემდეგ გაიუსი კვესტორად აირჩიეს და იგი სარდინიაში გაემგზავრა კონსულ ორესტესთან ერთად[2]. ამ ამბავმა მტრები ძალიან გაახარა, თვითონ გაიუსი კი მაინცდამაინც არ შეწუხებულა: იგი ჭეშმარიტი მეომარი იყო და ლაშქრად წასვლა მჭევრმეტყველებაზე ნაკლებ როდი ეხერხებოდა. თანაც საქმე ის იყო, რომ პოლიტიკურ ასპარეზსა და ტრიბუნას ჯერხნობით შიშის თვალით შესცქეროდა და, რაკი არ შეეძლო უკუეგდო ხალხისა და მეგობრების მოწოდება – ტრიბუნი გამხდარიყო, სამშობლოდან

გამგზავრება კიდევაც გაუხარდა. მიუხედავად ამისა, მეტისმეტად გავრცელდა მოსაზრება, რომ გაიუსი შეუპოვარი დემაგოგი იყო და ტიბერიუსზე უფრო მეტად ცდილობდა ბრბოში სახელის მოპოვებას. ამ მოსაზრებას ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს. როგორც ჩანს, სახელმწიფო საქმეებში გაიუსის გარევის მიზეზი უფრო მეტად იძულება იყო და არა საკუთარი სურვილი. ორატორი ციცერონი გადმოგვცემს: გაიუსს, რომელიც ყოველგვარ თანამდებობას გაურბოდა და სიმშვიდეში ცხოვრებას არჩევდა, ერთხელ სიზმარში ძმა გამოეცხადა და ასე უთხრა: „რაღას აყოვნებ, გაიუს? უკან დასახევი გზა არ არის; ჩვენ ორივეს ერთნაირი სიცოცხლე და ხალხის კეთილდღეობის გულისათვის, ერთნაირი სიკვდილი გვიწერიაო!“[3].

2. სარდინიაში ყოფნის ჟამს გაიუსმა კეთილშობილება და ვაჟკაცობა მრავალი მაგალითით დაამტკიცა. იგი დიდად გამოირჩეოდა სხვა ახალგაზრდებს შორის მამაცობით, სამართლიანობით, რასაც ხელქვეითებთან ურთიერთობაში იჩენდა, ბოლოს იმით, რომ საკუთარ სარდალს დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. რაც შეეხება გონივრულობას, უბრალოებასა და შრომისმოყვარეობას, გაიუსი ამ მხრივ უფროსებსაც კი აღემატებოდა.

იმ წელიწადს სარდინიაში მკაცრი და ჯანმრთელობისათვის პირდაპირ დამღუპველი ზამთარი დადგა. კონსულმა ორესტემ სარდინიის ქალაქებს ჯარისკაცებისათვის თბილი ტანსაცმელი მოსთხოვა, მაგრამ ამ ქალაქებმა რომში ელჩები აფრინეს და სენატს სთხოვეს, ასეთი ხარკისაგან გაგვათავისუფლეთო. სენატმა თხოვნა შეიწყნარა და კონსულს დაავალა, სხვაგან ეშოვა ტანსაცმელი ჯარისკაცებისათვის. კონსულმა ეს ვერაფრით ვერ მოახერხა, ჯარისკაცები კი სიცივით იყინებოდნენ. მაშინ გაიუსმა სათითაოდ ჩამოიარა სარდინიის ქალაქები და ისეთი ზეგავლენა მოახდინა მათზე, რომ ისინი მაშინვე დაეხმარნენ რომაელებს და ჯარისკაცებს ტანსაცმელი გაუგზავნეს.

როცა გაიუსის ასეთი მოქმედების ამბავი რომს ჩაიტანეს, იქ ეს დემაგოგიის დასაწყისად ჩათვალეს. სენატი მეტისმეტად შეშფოთდა. სწორედ ამ დროს ლიბიიდან რომში ჩამოვიდნენ მეფე მიციფსას[4] გამოგზავნილი ელჩები, რომლებმაც განაცხადეს: ჩვენმა მეფემ გაიუს გრაკხუსის ხათრით კონსულ ორესტეს სარდინიაში პურის მარაგი გაუგზავნაო. სენატორები ამაზე მთლად გაცოფდნენ და მიციფსას ელჩები რომიდან გარეკეს. სენა-

ტორებმა ამის შემდეგ დადგენილება გამოიტანეს, სარდინიაში მყოფი ჯარი ახალი ჯარით შეეცვალათ; კონსულ ორესტეს კი წინადადება ეძლეოდა, ადგილზევე დარჩენილიყო. მათი აზრით, რაკიღა უფროსი რჩებოდა, თავის მოვალეობას გაიუსიც იქვე გააგრძელებდა.

მივიდა თუ არა ამ დადგენილების ამბავი გაიუსის ყურამდე, იგი გაჯავრდა, ჩაჯდა ხომალდში და ყველასათვის მოულოდნელად რომში გაჩნდა. ასეთი საქციელი გაიუსს ბრალდებად შეურაცხეს მტრებმა და ხალხსაც უცნაურად მოეჩვენა ის, რომ კვესტორად მყოფი კაცი თავის უფროსზე ადრე ტოვებდა თანამდებობას.

გაიუსი სამართალში მისცეს. მას ცენზორთა სასამართლო ასამართლებდა. აქ მან სიტყვა მოითხოვა და ისე შეუცვალა მსმენელთ გუნება განწყობილება, რომ გაამართლეს და უსამართლოდ დაჩაგრულ კაცად ჩათვალეს. მთელი სასამართლო ამ აზრით დაიშალა. გაიუსმა თავის სიტყვაში შემდეგი თქვა: „მე მონაწილეობა მივიღე თორმეტ ლაშქრობაში, მაშინ როცა სხვებმა, კანონის თანახმად, მხოლოდ ათჯერ ილაშქრეს. მე კვესტორად ვახლდი კონსულ ორესტეს მთელი სამი წლის მანძილზე, მაშინ როცა კანონი უფლებას მაძლევდა, ერთი წლის სამსახურის შემდეგ წამოვსულიყავი სარდინიიდან. ყველა მოლაშქრეთაგან მხოლოდ მე წავიღე ფულით სავსე ქისა და უკან ცარიელი ჩამოვიტანე, მაშინ როცა სხვებმა შინიდან წამოღებული ღვინით სავსე ამფორები გამოცალეს და უკან ოქროთი და ვერცხლით სავსე ჩამოიტანეს“.

3. ამის შემდეგ გაიუსი კვლავ რამდენჯერმე მისცეს სამართალში. ახლა ბრალად სდებდნენ სხვა დანაშაულს. მაგალითად, აბრალებდნენ მოკავშირეთა აჯანყებას და ფრეგელის შეთქმულებაში მონაწილეობას[5]. მაგრამ გაიუსმა ყოველგვარი ეჭვებისაგან დაიხსნა თავი, დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა და მყისვე დაიწყო სწრაფვა სახალხო ტრიბუნის თანამდებობისაკენ. მთელი წარჩინებულობა, როგორც ერთი კაცი, ამის წინააღმდეგ დაირაზმა; სამაგიეროდ, არჩევნებში გაიუსის დასახმარებლად იმდენი ხალხი მოაწყდა რომს იტალიიდან, რომ ძალიან ბევრმა თავშესაფარი ვერ იშოვა ქალაქში. არჩევნებში მონაწილეთა ასეთი სიმრავლე ფორუმმა ვერ დაიტია. ამიტომ ხმის მიცემა სახლის სახურავებიდან და ბანებიდანაც კი ხდებოდა.

წარჩინებულებმა იმით დაძლიეს ხალხი და იმით შეაკვეცეს ფრთა გაიუსის იმედებს, რომ გაიუსი, საკუთარი მოლოდინის

წინააღმდეგ, აირჩიეს არა პირველ, არამედ მეოთხე ტრიბუნად[6]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიიღო თუ არა თანამდებობა, მაშინვე პირველი ადგილი დაიკავა. ეს იმიტომ, რომ მის მჭევრმეტყველებას ისეთი ძალა ჰქონდა, როგორიც არავისას. დასტიროდა რა თავის ძმას, გაიუსს ეს საშუალებას აძლევდა, ფრიად თამამად და თავისუფლად ელაპარაკა. როგორც კი ჩაიგდებდა ხელში რაიმე საბაბს, გაიუსი მყისვე აგონებდა ხალხს ტიბერიუსის თავზე დატრიალებულ შემაძრწუნებელ ამბავს და ამ მოგონებას წარსულის მაგალითებს ურთავდა. მაგალითად, იგი ახსენებდა ხალხს, თუ როგორ გამოუცხადეს ომი რომაელთა წინაპრებმა ფალისკებს[7] იმიტომ, რომ ფალისკებმა მათი სახალხო ტრიბუნი – ვინმე გენუციუსი გალანძღეს; თუ როგორ მიუსაჯეს სიკვდილი გაიუს ვეტურიუსს მხოლოდ იმისათვის, რომ მან ერთადერთმა არ დაუთმო გზა ფორუმზე მომავალ სახალხო ტრიბუნს. „ტიბერიუსი კი, – ეუბნებოდა გაიუსი ხალხს, – თქვენ თვალწინ კეტებით მოკლეს მდიდრებმა და მის გვამს გულშემზარავად მიათრევდნენ კაპიტოლიუმიდან შუაგულ ქალაქამდე მდინარეში გადასაგდებად. ტიბერიუსის მეგობრები, რომლებიც შეპყრობილ იქნენ, გაუსამართლებლად დახოცეს მაშინ, როცა ჩვენ მამა პაპათაგან დანატოვარი კანონი გვაქვს; კანონი, რომლის ძალითაც, თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი სასამართლოში არ გამოცხადდება, მის კარზე დილით ადრე მიდის მებუკე და სასამართლოში იწვევს. მანამდე ამ კანონის თანახმად მოსამართლეთ განაჩენი არ გამოაქვთ. აი, როგორი ფრთხილნი და წინდახედულნი იყვნენ ჩვენი წინაპრები ადამიანის ბედის განკითხვის საქმეში!“

4. გაიუსმა (იგი ხმამაღლა, მეტად ძლიერი ხმით ლაპარაკობდა ხოლმე) ასეთი სიტყვებით ხალხი ძლიერ ააღელვა და მერმე ორი კანონი შეიტანა დასამტკიცებლად სახალხო კრებაში. პირველი კანონი ხელმეორედ თანამდებობის დაკავების ნებას არ აძლევდა იმ პირს, ვისაც ხალხმა ერთხელ უკვე ჩამოართვა ეს თანამდებობა; მეორე კანონი კი უფლებას ანიჭებდა ხალხს, თვითონვე გაესამართლებინა ის თანამდებობის პირები, რომლებიც გაუსამართლებლად აძევებდნენ რომიდან რომის მოქალაქეს. პირველი კანონი აშკარად ყრიდა ღირსებას მარკუს ოქტავიუსს, რომელიც სახალხო ტრიბუნის თანამდებობიდან ტიბერიუსის დაჟინებით გადააყენეს. რაც შეეხება მეორე კანონს, მას მხედველობაში ჰყავდა პოპილიუსი, რომელმაც თავისი პრეტორობის დროს გაუსამართლებლად

გააძევა რომიდან ტიბერიუსის მეგობრები[8]. პოპილიუსმა ხალხის სამსჯავროს აღარ დაუცადა და იტალიიდან გაიქცა; პირველი კანონი კი გაიუსმა უკანვე წაიღო. მან განაცხადა: დედაჩემ კორნელიას თხოვნით ოქტავიუსისათვის მიპატიებიაო. ხალხს ესიამოვნა ასეთი წყალობა და გაიუსს კანონის უკან წაღება დაუდასტურა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხალხი პატივს სცემდა კორნელიას, როგორც სციპიონის ქალიშვილს, უფრო მეტად კი როგორც გრაკხუსების დედას. შემდეგ ხანებში რომაელებმა მას სპილენძის ქანდაკება დაუდგეს და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთეს: კორნელია, გრაკხუსების დედა[9].

სხვათა შორის, ჩვენ გადმოგვცემენ მრავალ სიტყვას, რომლებიც დიდი მჭევრმეტყველებით წარმოუთქვამს გაიუსს დედამისზე ერთ-ერთ თავის მტერთან პაექრობის დროს ფორუმზე. „განა შენ ბედავ, – მიუმართავს მას მტრისათვის, – გაკიცხო კორნელია, ვინც ტიბერიუსი შობა?“ რაკი კორნელიას გამკიცხველი სახელგავარდნილი მრუში იყო, გაიუსს მისთვის უთქვამს: „განა შენ ბედავ ასე უტიფრად შეუდარო თავი კორნელიას? განა შენც გაგიჩენია შვილები, როგორც მას? ყველა რომაელმა იცის, რომ კორნელიამ, ქალმა, გაცილებით უფრო დიდხანს გაძლო უმამაკაცოდ, ვიდრე შენო!“

აი, ასეთი გესლიანი იყო გაიუსის სიტყვები; ამის მსგავსი კი შეგვიძლია მრავლად ამოვკრიფოთ მისი ნაწერებიდან.

5. იმ კანონთაგან, რომლებიც გაიუსმა ხალხის საკეთილდღეოდ და სენატის ძლიერების დასასუსტებლად წამოაყენა, ერთი კანონი ღარიბებისათვის საზოგადო მიწის დარიგებას ითვალისწინებდა; მეორე – სამხედრო კანონი იყო და წინადადებას იძლეოდა, ჯარისკაცები ჯამაგირის დაუკლებლად მოემარაგებინათ ტანსაცმლით სახელმწიფო ხარჯზე და ჩვიდმეტ წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქე ჯარში არ წაეყვანათ. მესამე კანონი მოკავშირეთა საკითხს ეხებოდა და იტალიის მთელ მოსახლეობას ხმის მიცემის უფლებას ანიჭებდა რომის მოქალაქეთა თანაბრად. მეოთხე კანონი პურის კანონი იყო; იგი ღარიბთათვის პურზე დაბალ ფასებს აწესებდა. რაც შეეხება მეხუთე კანონს, ეს კანონი სასამართლო წარმოების შესახებ იყო შედგენილი და სენატორებს სამოსამართლო უფლების უდიდეს ნაწილს ართმევდა. ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს აქამდე მხოლოდ სენატორები იხილავდნენ და ამის გამო ისინი ხალხისა და მხედრებისათვის ფრიად საშიშნი იყვნენ. სამას მოსამართლე სენატორს გაიუსმა ამდენივე კაცი დაუმატა და ამგვარად ექვსასკაციანი, შერეული სახის

სასამართლო დააწესა. ამ კანონის გატარების დროს, ამბობენ, გაიუსი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა სხვა რამესაცო. სახელდობრ: ყველა მის წინ გამოსული ორატორი სენატისაკენ და ეგრეთ წოდებულ კომიციისაკენ პირმიბრუნებული ლაპარაკობდა, გაიუსმა კი პირველად შეაქცია ზურგი სენატს, მიბრუნდა ფორუმისაკენ და ისე წარმოთქვა სიტყვა. ამიერიდან იგი ყოველთვის ასე იქცეოდა. პირის ამ უბრალო შებრუნებით, უბრალო მოძრაობით გაიუსმა ფრიად დიდი საქმე გააკეთა. მან სახელმწიფოს არისტოკრატიულ წყობილებას, ასე ვთქვათ, დემოკრატიული იერი მისცა და ორატორები დაავალდებულა, ლაპარაკის დროს პირი ხალხისაკენ ექნათ ხოლმე და არა სენატისაკენ.

6. ხალხმა არა მარტო მიიღო ზემოაღნიშნული სასამართლო კანონი, არამედ იმის უფლებაც მიანიჭა გაიუსს, რომ მას პირადად აერჩია მოსამართლენი მხედართა წრიდან. ამ უფლებამ გაიუსი თითქმის მონარქის ძალით აღჭურვა და სენატი იძულებული შეიქნა, მის გადაწყვეტილებებს დამორჩილებოდა ხოლმე. მაგრამ გაიუსს მუდამ ისეთი წინადადებანი შემოჰქონდა, რომელნიც სენატის ღირსებას შეეფერებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ფრიად სამართლიანი და შესანიშნავი გადაწყვეტილება იმ პურის შესახებ, რომელიც პროპრეტორმა ფაბიუსმა გამოგზავნა ესპანეთიდან. გაიუსმა დაიყოლია სენატი, ეს პური გაეყიდათ, აღებული ფული ესპანეთის ქალაქებისათვის გაეგზავნათ და ფაბიუსი სასტიკად გაეკიცხათ იმისათვის, რომ თავისი ძალმომრეობით რომის მბრძანებლობას შემაძრწუნებელ და აუტანელ რამედ ხდიდა პროვინციის ხალხისათვის.

გარდა ამისა, გაიუსმა შეადგინა კანონები ახალშენთა დაარსების, გზების გაყვანისა და საზოგადო ბეღლების აშენების თაობაზე. ყველა ამ საქმეს იგი თვითონვე ჩაუდგა სათავეში და არა მარტო არ იღლებოდა ეგზომ დიდ საქმეთა სიმძიმით, არამედ გაკვირვებასაც კი იწვევდა თავისი სისწრაფითა და შრომისმოყვარეობით. ამას იგი თითოეულ საქმეში იჩენდა და ისე მიჰყავდა ბოლომდე ესა თუ ის წამოწყება, თითქოს ამის მეტი საზრუნავი არა ჰქონოდა. გაიუსის დაუცხრომლობით და გულმოდგინეობით, რასაც ყოველ საქმეში აქსოვდა, ისინიც კი გაოცებულნი იყვნენ, ვინც მას ზიზღითა და შიშით შესცქეროდნენ.

ხალხს უკვირდა, როცა ხედავდა, გაიუსს ბუზივით გარს ეხვივნენ მოიჯარენი, ოსტატები, ელ[illegible]-ბი. თანამდებობის პირები, ჯარისკაცები

და სწავლულები; გაიუსი ყველას თავაზიანად ექცეოდა; ამ თავაზიანობის გამოჩენისას თავი დარბაისლურად ეჭირა და თითოეულს ისე ეპყრობოდა, როგორც საჭირო იყო. ამით მან გამოამჟღავნა, რაოდენ უსამართლოდ იქცეოდნენ მისი ცილისმწამებლები, რომლებიც მას საშიშ, უხეშ და მოძალადე კაცს ეძახდნენ. ერთი სიტყვით, გაიუსი რომ ხალხის ჭეშმარიტი წინამძღოლი იყო, ეს ადამიანებთან ურთიერთობასა და საქმიანობაში უფრო კარგად ჩანდა, ვიდრე ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვებში.

7. ყველაზე უფრო მეტი შრომა გაიუსმა გზების მშენებლობაზე გასწია. იგი თავგამოდებით ცდილობდა, ყოველი გზა მარჯვე და ამასთან ლამაზი ყოფილიყო. ოლქებზე გამავალი შარაგზები ლარივით სწორად იგებოდა და მიხვეულ-მოხვეული ადგილები არსად არა ჰქონდა. ზოგიერთ მათგანს გათლილი ქვებით კირწყლავდნენ, ზოგს კი დატკეპნილი ქვიშით ამაგრებდნენ. წყალდიდობისგან გაჩენილ ნაღვარევ ადგილებსაც და ხევებს ან მიწით ავსებდნენ, ანდა ხიდებით აკავშირებდნენ. ამიტომ გზა ყველგან სწორი, ერთნაირი სიმაღლისა და სიგანის გამოდიოდა. ეს მეტად ლამაზ სანახაობას ქმნიდა. გარდა ამისა, გაიუსმა ყველა გზა მილებად დაპყო (რომაული მილი, სხვათა შორის, რვა სტადიონზე ცოტა უფრო ნაკლებ მანძილს შეიცავს) და ყოველი მილის აღსანიშნავად ქვის ბოძები აღმართა. გზების ორივე მხარეზე, ახლომახლო შუალედებში დადგეს სხვა ქვებიც. მათი დანიშნულება ის იყო, რომ ცხენოსანს ცხენზე შეჯდომა გაადვილებოდა და ამისათვის სხვისი დახმარება არ დასჭირებოდა.

8. ასეთი მოღვაწეობისათვის ხალხი გაიუსს ცამდე ადიდებდა და ყოველთვის მზად იყო, გაიუსის საამებლად ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც იგი მოითხოვდა. ერთხელ სახალხო კრებაზე გაიუსმა ხალხს უთხრა: თქვენგან ერთ წყალობას ვითხოვო, და დაუმატა, თუ ამ წყალობას მიიღებდა, ეს მისთვის ყველაზე უფრო სანუკვარი რამ იქნებოდა, თუ არადა, არც ამაზე დაიწყებდა ჩივილს. მისი ეს გამოსვლა კონსულის თანამდებობის მოთხოვნა ეგონათ და ყველა მოელოდა იმას, რომ ერთდროულად კონსულობისა და სახალხო ტრიბუნობის მიღებას შეეცდებოდა. მაგრამ საკონსულო არჩევნების დღეს, როცა ყველანი დაძაბულ მდგომარეობაში იყვნენ, გაიუსი მარსის ველზე გაიუს ფანიუსთან ერთად გამოცხადდა. მან ხელჩაკიდებული მოიყვანა ფანიუსი და აქ მეგობრების დახმარებით კონსულად წამოაყენა. ამან ფანიუსს ძალიან უშველა და კონსულად აღიარეს; გაიუსი კი მეორედ აირჩიეს ტრიბუნად. ხოლო ამას მიაღწია არა ხვეწნითა თუ

ძალდატანების გზით, არამედ იმ სიყვარულის წყალობით, რომელიც ხალხს მის მიმართ ჰქონდა.

გაიუსმა მალე დაინახა, რომ სენატი მას აშკარად მტრობდა და ფანიუსსაც გაუცივდა უკვე მის მიმართ კეთილგანწყობილების გრძნობა. ამიტომ კვლავ დაიწყო ხალხის მიმხრობა ახალი კანონების შემწეობით. სახელდობრ, შეადგინა კანონი ტარენტუმსა და კაპუაში ახალშენების მოწყობის შესახებ, აგრეთვე კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო უფლებათა მინიჭებას ლათინებისათვის მთლიანად.

სენატმა, რომელსაც შეეშინდა, გაიუსის ძლიერება მეტისმეტად არ გაზრდილიყო, მისგან ხალხის ჩამოშორების მიზნით, ახალსა და უჩვეულო ფანდს მიმართა. მანაც, თავის მხრივ, ხალხის გამოქომაგება დაიწყო და ისეთი რამეებით ცდილობდა მისი გულის მოგებას, რაც მაინცდამაინც ხელსაყრელი არ ჩანდა.

სახალხო ტრიბუნთა კოლეგიაში გაიუსს ერთი ამხანაგი ჰყავდა, სახელად ლივიუს დრუზუსი. გვარიშვილობითა და ზრდილობით ეს კაცი არც ერთ რომაელს არ ჩამორჩებოდა, ხოლო თავისი ბუნებრივი თვისებებით, მჭევრმეტყველებითა და სიმდიდრით შეეძლო ყველაზე უფრო საპატიო და გავლენიან პირთ შეჯიბრებოდა. დიდებულებმა დახმარებისათვის სწორედ ამ ლივიუსს მიმართეს და მოუწოდეს, მათ მხარეზე დამდგარიყო და მათთან ერთად გაიუსის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ლივიუსს, სენატის რჩევით, ძალმომრეობა კი არ უნდა ეხმარა ხალხის მიმართ, არამედ რწმუნების აღსრულების დროს მისი გული მოეგო; მას ისეთი საქმეებით უნდა ეამებინა ხალხისათვის, რომელთა შეუსრულებლობაც, მართალია, მისდამი ზიზღს გამოიწვევდა ხალხში, მაგრამ სხვა მხრივ საპატიო იქნებოდა.

9. ლივიუს დრუზუსმა თავისი რწმუნება, როგორც სახალხო ტრიბუნისა, მთლიანად სენატის სამსახურს დაუქვემდებარა და ისეთი კანონების გატარება დაიწყო, რომლებშიც კარგი და სასარგებლო არაფერი იყო. ლივიუსი, როგორც ეს კომედიაში ხდება ხოლმე, მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა მიზნად: იგი იქითკენ მიისწრაფოდა, რომ პირმოთნეობისა და მაამებლობის გზით თვითონ ამაღლებულიყო ბრბოს თვალში, გაიუსი კი დაემცირებინა.

ასეთი ფანდებით სენატმა ცხადზე უცხადესი გახადა ის, რომ მისი მტრობა მიმართული იყო არა გაიუსის კანონთა, არამედ პირადად გაიუსის წინააღმდეგ, და რომ იგი, სენატი, მოწადინებული იყო ან სულ მოესპო გაიუსი, ანდა მეტისმეტად დაესუსტებინა. აი, ამისი

მაგალითებიც. როცა გაიუსმა წინადადება შეიტანა, ორი ახალშენის დაარსებასა და იქ ყველაზე ღირსეულ მოქალაქეთა გადაყვანაზე, სენატმა გაიუსს ბრალად დასდო მლიქვნელობა ხალხის წინაშე; მაგრამ როცა ლივიუსმა წამოაყენა კანონი თორმეტი ახალშენის მოწყობისა და თითოეულ ახალშენში სამ-სამი ათასი უღარიბესი მოქალაქის გაგზავნისა, სენატმა ეს მოიწონა. სენატმა სასტიკად გაკიცხა გაიუსი, როგორც ბრბოს გამრყვნელი, იმისათვის, რომ მან ღარიბებს მიწები დაურიგა და ყოველ მათგანს ხაზინის სასარგებლო გადასახადი დაუწესა, ხოლო ლივიუსი, რომელმაც გააუქმა ეს გადასახადი დარიგებულ მიწებზე, მეტისმეტად შეაქო. როცა გაიუსმა მთელ ლათინებს სამოქალაქო უფლებები მიანიჭა, სენატი საშინლად შეშფოთდა; მაგრამ როცა ლივიუსმა წამოაყენა კანონი, რომელიც კრძალავდა ლათინების გაჯოხვას თვით სამხედრო სამსახურშიც კი, სენატმა მხარი დაუჭირა ამ კანონს.

გარდა ამისა, ლივიუსი ყოველთვის, როცა თავის კანონთა გამოცხადებამდე ტრიბუნიდან სიტყვას ამბობდა, ამტკიცებდა, ესა და ეს კანონი მე შევადგინე ხალხისათვის მზრუნველი სენატის მითითებითო. ლივიუსის მოღვაწეობაში ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი ყველაზე უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, რამეთუ ლივიუსმა ამით ჩააქრო ის ეჭვი და ზიზღი, რომლითაც ხალხი დიდებულთ შესცქეროდა და დაასუსტა ძველი გულღრძოობა და მტრობა სენატის მიმართ. იგი ხალხს არწმუნებდა, რომ ყველა კანონი შემოჰქონდა სენატის რჩევით და რომ ამ კანონთა ძირითადი მიზანი ხალხის დაკმაყოფილება და სიკეთე იყო.

10. უდიდესი ნდობა ხალხისადმი კეთილგანწყობილებასა და სამართლიანობაში დრუზუსმა იმით მოიპოვა, რომ იგი, როგორც ჩანდა, კანონთა შედგენის დროს არასოდეს პირად სარგებლობას არ ითვალისწინებდა. ახალშენთა მოწყობისას ლივიუს დრუზუსი ამ საქმის ხელმძღვანელად ყოველთვის სხვა ვინმეს ნიშნავდა და არა თავის თავს; ის არც საზოგადო ქონებათა გამგებლობას კისრულობდა ხოლმე; გაიუსი კი ყოველთვის თვითონ უდგებოდა სათავეში ასეთ საქმეთა უმრავლესსა და უდიდეს ნაწილს.

ერთ ერთმა სახალხო ტრიბუნმა რუბრიუსმა გაატარა კანონი სციპიონის მიერ დანგრეული კართაგენის აღდგენისა და იქ ახალშენის მოწყობის შესახებ. ამ საქმის ხელმძღვანელობა წილად ხვდა გაიუსს და იგი ლიბიაში გაემგზავრა. ისარგებლა რა გაიუსის არყოფნით რომში, დრუზუსმა კიდევ უფრო მძლავრად დაიწყო

გალაშქრება მის წინააღმდეგ, გადაიბირა ხალხი თავის მხარეზე და ათასგვარი ბრალდებით ყველაზე მეტად თავს დაესხა გაიუსის ამხანაგ ფულვიუსს, რომელიც გაიუსთან ერთად არჩეული იყო მიწათა განაწილების საბჭოს წევრად. ეს ფულვიუსი ფრიად მოუსვენარი კაცი იყო; სენატს ჭირივით ეზიზღებოდა იგი და სხვებიც ეჭვის თვალით შესცქეროდნენ. ფიქრობდნენ, ფულვიუსი მოკავშირეებს აღელვებს და იტალიოტებს ფარულად აჯანყებისაკენ მოუწოდებსო. ეს ეჭვები გამოთქმული იყო სრულიად უსაფუძვლოდ, დაუმტკიცებლად; მაგრამ ამ ეჭვებს თვითონ ფულვიუსი აძლევდა საბაბს თავისი მოქმედებით, როგორც შფოთისმოყვარული და მშვიდობისმოძულე კაცი.

ყველაზე მეტად სწორედ ამ ამბავმა დაატეხა თავს გაიუსს ზიზღი და კიდევაც დაღუპა იგი.

როდესაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა სციპიონ აფრიკელი და მის ცხედარზე ძალადობის ნიშნები ნახეს, როგორც ეს ჩვენ მისი ცხოვრების აღწერაში გვაქვს გადმოცემული, ამ საქმეში ბრალი, უწინარეს ყოვლისა, ფულვიუსს დასდეს[10]. საქმე ის იყო, რომ ფულვიუსი სციპიონის დიდ მტრად ითვლებოდა და გარდაცვალების დღეს კიდევაც შეურაცხყო იგი ტრიბუნიდან. სციპიონის მკვლელობის ეჭვი შეეხო გაიუსსაც. ეს შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედება, სხვათა შორის, ყოველგვარი მისაგებლის გარეშე დარჩა; კვლევა-ძიებაც კი არ უწარმოებიათ. კვლევა-ძიების წარმოების წინააღმდეგ წავიდა ხალხი და იმის შიშით, მკვლელობის გამორკვევის დროს დამნაშავედ გაიუსიც არ აღმოჩენილიყო, საქმე მოსპო. მაგრამ ეს ამბავი უფრო ადრე მოხდა.

11. ლიბიაში დანგრეული კართაგენის ადგილას იმ ახალშენის დაარსებას, რომელსაც გაიუსმა იუნონია, ესე იგი ჰერაია უწოდა, ამბობენ, თან მრავალი ავის მომასწავებელი ნიშანი ახლდაო.

პირველი ალამი, თუმცა მებაირაღე მთელი ძალ-ღონით ცდილობდა მის შენარჩუნებას, ქარმა გაიტაცა და დაფლითა. მძლავრად მოვარდნილმა ქარმა გაფანტა აგრეთვე საკურთხევლებზე დაწყობილი სამსხვერპლო საქონლის შიგნეული და ახალშენისათვის შემოხაზულ საზღვრებზე გადაიტანა. მერმე მგლები მოცვივდნენ, ამოგლიჯეს სამიჯნო ბოძები და შორს გაიტაცეს.

მიუხედავად ასეთი ნიშნებისა, გაიუსმა სულ რაღაც სამოცდაათ დღეში მოაგვარა ყველაფერი, რაც კი ახალშენის დაარსებისათვის იყო საჭირო. ამის შემდეგ რომში დაბრუნდა, ვინაიდან შეიტყო,

დრუზუსი ფულვიუსს სდევნისო, და თანაც გრძნობდა, ამბავთა მსვლელობა მის რომში ყოფნას მოითხოვდა.

ლუციუს ოპიმიუსი, ოლიგარქიული დაჯგუფების მომხრე და სენატში დიდი გავლენის მქონე კაცი, წინა წელს, როცა კონსულობისაკენ მიისწრაფოდა, დამარცხდა[11]. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გაიუსმა ფანიუსი წამოაყენა კონსულად. ოპიმიუსს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და დაიმედებული იყო, რომ ნამდვილად მიიღებდა კონსულობას, ამ თანამდებობის აღსრულების დროს კი გაანადგურებდა გაიუსს, ვისი ძალაც დაკნინებას იწყებდა. ოპიმიუსს იმის იმედიც ჰქონდა, რომ ხალხი, რომლის წინაშე სენატი უკვე დათმობაზე მიდიოდა, გამაძღარი იყო სხვადასხვა წარჩინებულ პირთა მიერ გამოცემული გულის მოსაგები კანონებით.

12. ჩამოვიდა თუ არა რომში, გაიუსი, უწინარეს ყოვლისა, ხალხთან დასაახლოებლად პალაციუმიდან ფორუმს ქვემოთ მდებარე ადგილზე გადასახლდა; ეს ადგილი თითქმის სულ უბრალო და ღარიბი მოქალაქეების სამკვიდრებელს წარმოადგენდა. ამის შემდეგ გაიუსმა გამოაქვეყნა თავისი დანარჩენი კანონები, რათა ისინი კენჭისყრის საშუალებით ძალაში შესულიყო. როცა სენატმა დაინახა, კანონისათვის ხმის მისაცემად გაიუსის ირგვლივ ყოველმხრივ იკრიბებოდა ბრბო, მაშინ დაიყოლია კონსული ფანიუსი, უკლებლივ გაეძევებინა ქალაქიდან ყველა ის პირი, ვინც რომაელი არ იყო. როდესაც გამოაქვეყნეს ეს უჩვეულო და უცნაური ბრძანება, რომელიც სასტიკად უკრძალავდა რომაელი ხალხის ყველა მოკავშირესა და მეგობარს იმ დღეებში უბრალო გამოჩენასაც კი, გაიუსმა თავის მხრივ გამოსცა განცხადება, რომლითაც კონსულის მოქმედების წინააღმდეგ ილაშქრებდა და მოკავშირეთ დახმარებას ჰპირდებოდა, თუ ისინი რომში დარჩენას მოისურვებდნენ. მაგრამ გაიუსმა დაპირებული დახმარება მათ ვერ გაუწია. ასე, მაგალითად, როცა დაინახა, ერთ ერთი მისი სტუმარი და ახლობელი კაცი ფანიუსის ლიქტორებს შეპყრობილი მიჰყავდათ, მის დასაცავად ხელი ვერ გამოიღო და გვერდი აუარა. იგი ან იმიტომ მოიქცა ასე, რომ შეეშინდა ამაო გამოსარჩლებით საკუთარი ძალისა და გავლენის დაკნინება არ გამოემჟღავნებინა, ანდა, როგორც თვითონ ამბობდა, არ უნდოდა მტრებისათვის მიეცა ხელჩართული ბრძოლის საბაბი, რასაც ისინი უამისოდაც დაეძებდნენ.

გაიუსი თავის ამხანაგებსაც კი წაეკიდა. აი ამის მიზეზი. ქალაქის მმართველებმა მოედანზე გლადიატორთა ბრძოლის სანახაობის

მოწყობა განიზრახეს ხალხისათვის. ამ საქმის გამგებლებმა მოედნის ირგვლივ მერხები დადგეს და მათ დასაკავებლად ფასი დააწესეს. გაიუსმა უბრძანა, დაუყოვნებლივ აეღოთ ეს მერხები, რათა ღარიბ ხალხს დაცლილი ადგილიდან უფასოდ შეძლებოდა სანახაობის ცქერა. მის ბრძანებას არავინ არ დაემორჩილა. მაშინ გაიუსმა სანახაობისათვის დანიშნული დღის წინა ღამეს დაუცადა და როცა ეს ღამე დადგა, წაიყვანა თან დაქირავებული მუშები, რამდენიც კი გამგებლობაში ჰყავდა, დააშლევინა მერხები და მეორე დღეს ხალხს თავისუფალი ადგილი მიუჩინა. ასეთმა საქციელმა გაიუსს მამაცი კაცის სახელი მოუპოვა ბრბოში, მაგრამ შეურაცხყოფილმა ამხანაგებმა, მასავით სახალხო ტრიბუნებმა, იგი თავხედ და მოძალადე ადამიანად ჩათვალეს.

ამ შემთხვევამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმას, რომ იგი მესამედ აღარ აირჩიეს სახალხო ტრიბუნად. ამბობენ, ხმის უმრავლესობა მაშინ გაიუსმა მიიღო, მაგრამ მისმა ამხანაგმა ტრიბუნებმა ხმები განგებ დაითვალეს ცუდად და ყალბი შედეგი გამოაცხადესო. სხვათა შორის, ეს კარგა ხანს სადაო საკითხი იყო.

ასეთმა მარცხმა გაიუსზე მძიმედ იმოქმედა. ამბობენ, მტრებს, რომლებიც მას დასცინოდნენ, მეტისმეტი სითამამით უთხრაო, რომ ისინი სარდონიული სიცილით იცინიან და არ ესმით, თუ როგორ წყვდიადს ქმნის მათ გარშემო მისი პოლიტიკური ნაბიჯები.

13. გაიუსის მტრებმა ოპიმიუსი კონსულად დააყენეს, გაიუსის მიერ გამოცემული მრავალი კანონი გააუქმეს და კართაგენში ახალშენის დაარსების საკითხი სამსჯავროდ გახადეს. ისინი ამით ცდილობდნენ, გაეღიზიანებინათ გაიუსი და გამწყრალისათვის ისეთი რამ ჩაედინათ, რაც მისი მოკვლის საბაბს შექმნიდა. გაიუსი ერთხანს ამ ანკესზე არ წამოეგო; მაგრამ ბოლოს მეგობრებისა და განსაკუთრებით ფულვიუსის წაქეზებით კვლავ დაიწყო მომხრეთა გარშემოკრება, რათა ისინი კონსულის წინააღმდეგ დაერაზმა. ამბობენ, ამ საქმეში მას დედამისიც ეხმარებოდაო; კორნელიამ თურმე უცხოელები დაიქირავა საიდუმლოდ და მომკელთა სახით რომში გაგზავნა. ამის შესახებ გადაკრულადაა ლაპარაკი თითქოს შვილისადმი მიწერილ მის წერილებში. სხვები კი ამტკიცებენ, გაიუსის პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა კორნელიას სურვილის წინააღმდეგ მოხდაო.

იმ დღეს, როდესაც ოპიმიუსსა და მის მომხრეებს გაიუსის კანონები უნდა გაეუქმებინათ, ორივე მოწინააღმდეგე მხარემ გარიჟრა-

ეზევე დაიკავა კაპიტოლიუმი. როცა კონსულმა აქ მსხვერპლი შესწირა, მისმა ერთ ერთმა ლიქტორმა, ვინმე კვინტუს ანტილიუსმა, რომელსაც სამსხვერპლო შიგნეული ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ფულვიუსსა და მის მომხრეთ შესძახა: „თქვენ, ჰეი, მაწანწალა მოქალაქენო, გზა მიეცით რიგიან ხალხსო!“ ამ სიტყვებს მან, როგორც ზოგიერთი გადმოგვცემს, ზედ ისიც დააყოლა, რომ მოწინააღმდეგეთ გაშიშვლებული ხელით ფრიად შეურაცხმყოფელი რამ უჩვენა. ანტილიუსი მყისვე განგმირეს თითქოს საგანგებოდ ასეთი საქმისათვის გაკეთებული გრძელი საწერი ჯოხებით.

ამ მკვლელობამ ხალხი მეტად შეაშფოთა, ხოლო მტრულ დაჯგუფებათა ბელადებზე სხვადასხვაგვარი გავლენა იქონია. გაიუსი უზომოდ წუხდა და თავისიანებს კიცხავდა, რომ ისინი თვითვე აძლევდნენ ბრძოლის დაწყების საბაბს მტრებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია სხვას არაფერს დაეძებდნენ. რაც შეეხება ოპიმიუსს, მან ეს ამბავი, როგორც მოქმედების დაწყების ნიშანი, ხელზე დაიხვია და ხალხს შურისძიებისაკენ მოუწოდა.

14. რაკიღა მაშინ დიდი წვიმა წამოვიდა, მოწინააღმდეგე მხარენი იძულებული შეიქნენ დაშლილიყვნენ. მეორე დღეს, დილაადრიან კონსულმა სენატი შეკრიბა კურიაში და ბჭობა დაიწყო. სწორედ ამ დროს საგანგებოდ დანიშნულმა პირებმა, რომელთაც ანტილიუსის გაშიშვლებული სხეული საკაცეზე დაედოთ, ფორუმი გადმოიარეს და გვამი თვალთმაქცური მოთქმითა და ტირილით კურიის კარებამდე მიიტანეს. ოპიმიუსმა კარგად იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ თავი მოიკატუნა და უკვირდა: რა ამბავიაო? მაშინ სენატორები ამბის გასაგებად გარეთ გამოვიდნენ და, როცა მოედნის შუაგულში დასვენებული ცხედარი იხილეს, წუხილი დაიწყეს, თითქოს რაღაც საშინელი და მეტისმეტად დიდი უბედურება მომხდარიყოს. ამ თვალთმაქცობამ უსაზღვრო ზიზღი და წყრომა გამოიწვია ხალხში წარჩინებულთა მიმართ. „მათ, – ამბობდა ხალხი, – საკუთარი ხელით მოკლეს კაპიტოლიუმზე სახალხო ტრიბუნი ტიბერიუს გრაკხუსი და მისი გვამი მდინარეში გადააგდეს; ლიქტორი ანტილიუსი კი, რომელიც შეიძლება დაუმსახურებლად მოკლეს, თუმცა ამის მიზეზი თვითონვე იყო, აგერ ფორუმზეა დასვენებული! მის წინ დგას რომაელი ხალხის სენატი, დასტირის მას და უბრალო, დაქირავებულ კაცს პატივით ასაფლავებს. ამას კი სენატი იმისათვის აკეთებს, რომ მოსპოს ერთადერთი გადარჩენილი მზრუნველი საწყალი ხალხისა!“

სენატორები კურიაში შებრუნდნენ, გამოიტანეს საგანგებო გად-

აწყვეტილება და კონსულ ოპიმიუსს დაავალეს, როგორც კი შეეძლო, გადაერჩინა ქალაქი და გაენადგურებინა მოძალადე ტირანები. ოპიმიუსმა სენატორებს წინადადება მისცა იარაღი აესხათ, მხედრებს კი უბრძანა, მეორე დღეს გარიჟრაჟზე ყოველ მათგანს ორ-ორი შეიარაღებული მონა მოეყვანა. ფულვიუსიც თავის მხრივ მოემზადა და მრავალრიცხოვანი ბრბო შეკრიბა. გაიუსი, როცა ფორუმიდან მიდიოდა, მამამისის ქანდაკების წინ შეჩერდა, დიდხანს უცქირა დუმილით და მერმე ცრემლების ღვრითა და ოხვრით გაშორდა. ამ სურათის დანახვამ ხალხს გული აუჩუყა. გაიუსის მწუხარების მოწმეებმა გაკიცხეს თავიანთი თავი, რომ ასეთი კაცი ბედის ანაბარა მიატოვეს და გასცეს; მერმე სახლამდე გაჰყვნენ მას, იქ, კარის წინ, დარაჯად დაუდგნენ და ღამე გაუთიეს. ესენი ფულვიუსის მცველთა მსგავსად როდი მოიქცნენ. ფულვიუსის გათამამებულმა მცველებმა მთელი ღამე ღვინის სმაში, ტაშისკვრასა და ღრიანცელში გაატარეს. ყველაზე უწინ თვითონ ფულვიუსი დათვრა და ისეთ უხეშ ლაპარაკსა და მოქმედებას მოჰყვა, რაც მის ასაკს სრულებითაც არ შეეფერებოდა. გაიუსის სახლის წინ დარაჯად მდგარნი კი, ვით ეს საყოველთაო უბედურების ჟამს შეშვენოდა, სრულ სიწყნარეს იცავდნენ, მყოფადის შესახებ დინჯად მსჯელობდნენ და წასაძინებლად ერთმანეთს რიგრიგობით ცვლიდნენ.

15. მეორე დღეს, გარიჟრაჟზე, როცა ძლივძლივობით გამოაფხიზლეს ღრმად ჩაძინებული მთვრალი ფულვიუსი, მისი მომხრენი შეიარაღდნენ იმ საჭურვლით, რომელიც ფულვიუსის სახლში მოიპოვებოდა და მან ხელთ იგდო კონსულობის დროს, როცა გალები დაამარცხა. ამის შემდეგ ფულვიუსის შეიარაღებული ხალხი დიდი მუქარითა და ყიჟინით ავენტინუმის გორაკის დასაკავებლად გაეშურა.

რაც შეეხება გაიუსს, იმ დღეს იარაღის ასხმა არ მოისურვა და ახლიდან ტოგის ამარა გამოვიდა ისე, როგორც ჩვეულებრივ გამოდიოდა ხოლმე ფორუმზე წასასვლელად. წელზე ახლაც მხოლოდ მოკლე მახვილი ერტყა.

როცა სახლიდან გამოსვლას აპირებდა, კართან ცოლი ჩაუვარდა ფეხებში. ცალი ხელი მას ჩასჭიდა, ცალიც პაწაწინა ვაჟსა და ასე უთხრა: „დღეს შენ, ჩემო გაიუს, უწინდებურად ტრიბუნაზე როდი გაცილებთ, ვით სახალხო ტრიბუნსა და კანონმდებელს; არც სახელოვან ომში მიდიხარ, სადაც შეიძლება სხვებთან ერთად დაღუპულიყავ, მაგრამ ამით ისეთ ტანჯვას მაინც მომგვრიდი, რომელსაც საამაყო

ნუგეში შემოსავდა. ახლა შენს თავს ტიბერიუსის მკვლელთ უგდებ ხელში და შენს სიმართლეში დარწმუნებული უიარაღოდ მიდიხარ. მზად ხარ, ყველაფერი აიტანო და სხვაზე ხელი არ აღმართო; შენ დაიღუპები, მაგრამ შენი სიკვდილი საერთო საქმეს სარგებლობას როდი მოუტანს. აი, ხომ ხედავ, ბოროტმოქმედებმა გაიმარჯვეს და სამართალს ახლა ძალითა და მახვილით ქმნიან. შენი ძმა რომ ნუმანციაში მოეკლათ, დაზავების შემდეგ მის გვამს მაინც მოგვცემდნენ. როგორც ჩანს, ალბათ მე უბედურსაც მომიწევს, რომელიმე მდინარეს ან ზღვას ვემუდარო, მაჩუქოს ზღვის ტალღებში ჩაძირული შენი საბრალო სხეული. ტიბერიუსის მკვლელობის შემდეგ განა სანდოა კანონები ანდა ღმერთები?"

აი, ასე ამბობდა ლიცინია და თან ცრემლებად იღვრებოდა. გაიუსმა წყნარად მოიცილა იგი თავიდან და მეგობრების თანხლებით წასასვლელად დაიძრა. საბრალო ლიცინია მას ტოგაში ჩაეჭიდა, მაგრამ იატაკზე დაეცა და დიდხანს ეგდო უგრძნობლად ძირს. ბოლოს გონებამიხდილი ქალი მონებმა ხელში აიყვანეს და მის ძმას, კრასუსს მიჰგვარეს.

16. როდესაც ყველანი შეიკრიბნენ დანიშნულ ადგილზე, ფულვიუსმა, გაიუსის რჩევით, თავის უმცროს შვილს შიკრიკის კვერთხი გადასცა და მტერთან მოსალაპარაკებლად ფორუმზე ჩაგზავნა. ეს ყმაწვილი მეტად ლამაზი იყო. ზრდილობიანად, კრძალვით წარდგა იგი კონსულისა და სენატორების წინაშე და მათ ცრემლების ღვრით საზავო პირობები გადასცა. სენატორთა უმრავლესობა უკვე თანახმა იყო დაზავებაზე, მაგრამ ოპიმიუსმა განაცხადა: „დამნაშავე მოქალაქენი მაცნეთა შემწეობით კი არ უნდა აწარმოებდნენ სენატთან მოლაპარაკებას, არამედ თვითონვე უნდა ჩამოვიდნენ გორაკიდან; ისინი სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგნენ მორჩილად და შეწყალება ითხოვონ". ამის შემდეგ ოპიმიუსმა ფულვიუსის ვაჟს უბრძანა: „აი, ამ პირობებით შეგიძლია მოხვიდე ისევ აქ, თუ არა და თვალით აღარ დაგინახოთო".

როგორც ამბობენ, გაიუსს უნდოდა, თვითონვე მისულიყო სენატთან და დაზავებაზე დაეყოლიებინა იგი; მაგრამ არავინ დაეთანხმა. მაშინ ფულვიუსმა კვლავ გაგზავნა შვილი ძველი პირობებით. ოპიმიუსმა, რომელიც ისედაც ჩქარობდა ბრძოლის გაჩაღებას, ყმაწვილი ამჯერად დააჭერინა და საპყრობილეში გაგზავნა, თვითონ კი მრავალრიცხოვან მძიმედ შეიარაღებულ მეომართა და კრეტელ მოისართა თანხლებით ფულვიუსის წინააღმდეგ დაიძრა. კრეტელთა

რაზმმა სეტყვასავით დააყარა ისრები ფულვიუსსა და მის მომხრეთ, დასჭრა მრავალი, საშინელი აურზაური შეიტანა მტრის რიგებში და მოწინააღმდეგე უკუაქცია. ფულვიუსმა თავი ერთ უპატრონოდ მიგდებულ აბანოს შეაფარა, მაგრამ სულ მალე იპოვეს და უფროს ვაჟთან ერთად აკუწეს.

გაიუსი ამ ბრძოლაში ჩაბმული არვის უნახავს. იგი ფრიად შეძრწუნებული იყო მომხდარი ამბებით და იმ განზრახვით, რომ თავი მოეკლა, დიანას ტაძარში შევიდა. მაგრამ ერთგულმა მეგობრებმა, პომპონიუსმა და ლიციინირუსმა ამის საშუალება არ მისცეს. ხელიდან მახვილი გამოგლიჯეს და ურჩიეს, გაქცეულიყო. მაშინ, ამბობენ, გაიუსი მუხლებზე დაეცა ღმერთქალის წინაშე, ხელები აღაპყრო და შეემუდარა, რომაელ ხალხს ასეთი უმადურობისა და ღალატისათვის არასოდეს არ ასცდენოდა მონობის უღელი. ხალხის უდიდესმა ნაწილმა მართლაც აშკარად უღალატა მას მაშინვე, როცა სენატმა საყოველთაო პატიება გამოაქვეყნა.

17. გაქცეულ გაიუსს მტრები დაედევნენ და ერთ ბოგირთან წამოეწივნენ. ერთგულმა მეგობრებმა, პომპონიუსმა და ლიციინიუსმა გაიუსი აიძულეს, კვლავ განეგრძო გზა, თვითონ კი მდევრებს გადაუდგნენ წინ, შეებრძოლნენ და, სანამ არ დაიხოცნენ, არც ერთი მათგანი ხიდთან არ მიუშვეს.

ლტოლვილ გაიუსს თან მიჰყვებოდა ერთი მონა, სახელად ფილოკრატე. შემხვედრი ხალხი მხოლოდ ამხნევებდა გაიუსს, თითქოს იგი რაღაც უბრალო შეჯიბრებაში მონაწილეობდა და არა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, დახმარებით კი არავინ დახმარებია; ის კი არა, ცხენიც არ ათხოვეს, თუმცა მეტად იხვეწებოდა. მდევრები გაიუსს ისევ მიუახლოვდნენ. მან დაასწრო და ფურიათა პატარა, წმინდა ჭალაში შევიდა. აქ იგი მისივე თხოვნით მოკლა ფილოკრატემ, რომელმაც მერმე თვითონაც მოიკლა თავი. ზოგიერთის გადმოცემით კი ისინი ცოცხლად ჩაუვარდნენ ხელში მტრებს; ფილოკრატე ისე მჭიდროდ მიეკრა თურმე მაშინ თავის პატრონს, რომ გაიუსისათვის მახვილის დაკვრა ვერც ერთმა მდევარმა ვერ მოახერხა მანამ, სანამ მონა მრავალი დაკვრით არ მოკლესო.

იმასაც ამბობენ, ვიღაც უცნობმა კაცმა გაიუსს თავი მოჰკვეთა და კონსულთან მიჰქონდაო; მაგრამ ეს თავი ოპიმიუსის ერთმა მეგობარმა, ვინმე სეპტიმულეიუსმა წაართვა, ვინაიდან ბრძოლის დაწყების წინ გამოაცხადეს, რომ გაიუსისა და ფულვიუსის თავების მომტანთ ამ თავების წონა ოქრო მიეცემათ ჯილდოდო. შუბზე

წამოცმული თავი სეპტიმულეიუსმა კონსულ ოპიმიუსს მიართვა. მოიტანეს სასწორი და გაიუსის თავი აწონეს. იგი ჩვიდმეტ-ნახევარი გირვანქა გამოვიდა თურმე. საქმე ის იყო, რომ სეპტიმულეიუსმა აქაც ითაღლითა და გაიძვერობა გამოიჩინა; მან თავიდან ტვინი ამოიღო, გათავისუფლებული სივრცე კი ტყვიით ამოავსო. ფულვიუსის თავის მომტანთ, ვინაიდან ისინი უბრალო ადამიანები აღმოჩნდნენ, არაფერი მიუღიათ.

გაიუსისა და ფულვიუსის ცხედრები მოკლულთა სხვა გვამებთან ერთად, რომელთა რიცხვიც სამი ათასამდე აღწევდა, მდინარეში გადაყარეს. მათი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. დახოცილთა ცოლებს სამგლოვიარო წესის აღსრულება სასტიკად აეკრძალათ, ხოლო გაიუსის ქვრივს ლიცინიას მზითევიც კი წაართვეს.

გაიუსის მტრები მეტისმეტად შეუბრალებლად მოექცნენ ფულვიუსის უმცროს ვაჟს. ამ ყმაწვილს ხელი არავის წინააღმდეგ არ აღუმართავს და არც ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. ბრძოლის დაწყების წინ იგი საზავო პირობებით მივიდა კონსულთან, მაგრამ მაშინ შეიპყრეს, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ მოკლეს. კონსულის ამ საქციელისა თუ სხვა ამგვარ მოქმედებათა გარდა, ხალხი უფრო მეტად მაინც იმან აღაშფოთა, რომ ოპიმიუსმა თანხმობის ტაძარი ააგო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ოპიმიუსი ამაყობდა თავისი მოქმედებით, დიდგულობდა და ამდენი ხალხის დაღუპვის აღსანიშნავად თითქოს ერთგვარ ტრიუმფს იხდიდა. აი, ამიტომ ვიღაცებმა ტაძარს ღამით ასეთი ტაეპი წააწერეს:

უგუნურმა აუგო საქმემ ეს ტაძარი თანხმობის ღმერთქალს.

18. ოპიმიუსი პირველი კაცი იყო, რომელმაც კონსულობაში დიქტატორის უფლებები მიიღო; მან გაუსამართლებლად დახოცა სამი ათასი მოქალაქე, მათ შორის კონსულად ნამყოფი და ტრიუმფგადახდილი ფულვიუს ფლაკუსი და ტოლ-სწორებში სიქველითა და სახელით გამორჩეული გაიუს გრაკხუსი. აი, ამ ოპიმიუსმა მერმე მექრთამეობასაც მიჰყო ხელი. როცა იგი ნუმიდიის მეფე იუგურთასთან ელჩად გაგზავნეს, ამ მეფისაგან ფული მიიღო ქრთამად. მექრთამეობისათვის ოპიმიუსი გაასამართლეს და სასტიკად შეარცხვინეს. პატივაყრილი დაბერდა იგი საყოველთაო ზიზღსა და კიცხვაში.

რომაელი ხალხი ოპიმიუსის წყალობით გაჩაღებული ხოცვა ჟლეტის ჟამს სასოწარკვეთილი და ხელებშებორკილი იყო, მაგრამ

მცირე ხნის შემდეგ მან დაუბრკოლებლივ გამოამჟღავნა, თუ როგორ უსაზღვროდ განიცდიდა გრაკხუსთა სიკვდილს. დახოცილ ძმებს ქანდაკებები გაუკეთეს და საჯარო ადგილზე დადგეს; ის ადგილები კი, სადაც ტიბერიუსი და გაიუსი დახოცეს, წმინდა ადგილებად აღიარეს. რომაელ ხალხს აქ შესაწირავად მოჰქონდა წლის დროთა ყველა ის პირველი ნაყოფი, რასაც დედამიწა იძლევა. მოქალაქენი მრავლად მოდიოდნენ ხოლმე ამ ადგილებთან, ვით ღმერთთა ტაძრებთან, სწირავდნენ მსხვერპლს და პირქვე ემხობოდნენ.

19. კორნელიამ, როგორც გადმოგვცემენ, ეს მეორე უბედურებაც დიდი სულგრძელობით გადაიტანა. იმ წმინდა ადგილთა შესახებ, სადაც მისი შვილები დახოცეს, ასე თქვა თურმე: „ჩემს შვილებს ღირსეული საფლავები აქვთო“.

ტიბერიუსისა და გაიუსის სიკვდილის შემდეგ კორნელია ეგრეთ წოდებულ მიზენუმის[13] მახლობლად ცხოვრობდა და ცხოვრების ჩვეული ნირი ოდნავადაც არ შეუცვლია. მას მრავალი მეგობარი ჰყავდა და ისეთი სტუმართმოყვარე იყო, რომ პურმარილი ყველასათვის მზად ჰქონდა. მასთან ხშირად იყვნენ ბერძნები და სწავლული კაცები. სხვადასხვა ქვეყნის მეფენი საჩუქრებს უგზავნიდნენ და, თავის მხრივ, ისიც სამაგიეროს უხდიდა. კორნელია მეტად სასიამოვნოდ უყვებოდა ხოლმე სტუმრებსა და შინაურებს თავისი მამის – სციპიონ აფრიკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბებს. ყველაზე უფრო დიდ გაკვირვებას იწვევდა, როცა კორნელია სრულიად უდარდელად მოიგონებდა ხოლმე საკუთარი შვილების საგმირო საქმეებსა და დაღუპვას. გეგონებოდათ, თითქოს ვიღაც ძველისძველ დროში მცხოვრებ პირთა ამბებს უყვებოდა მსმენელთ. აი, ამიტომ ფიქრობდა ზოგიერთი: სიბერისაგან კორნელიამ ჭკუაგონება დაკარგა და აუწერელ უბედურებათა მიზეზით გრძნობები დაუჩლუნგდაო. სინამდვილეში კი თვითონ ისინი იყვნენ გრძნობადაჩლუნგებულნი, რომელთაც ასე ეგონათ. მათ არ ესმოდათ, თუ რაოდენ მხნეობას აძლევს ადამიანს თანდაყოლილი კეთილი თვისებები და კარგი აღზრდა. არ ესმოდათ, რომ გასაჭირის ჟამს ბედი ხშირად მძლავრობს ხოლმე სიკეთეზე, მაგრამ ამავე ბედს სრულიად არ ძალუძს, მწუხარების დიდსულოვნად გადატანის უნარი წაართვას სიკეთეს თუნდაც უსაზღვრო უბედურების დროს.

ალკიბიადე



1. ალკიბიადეს გვარი ძველთაგანია და, ფიქრობენ, ამ გვარის დამწყებია აიანტის ძე ევრისაკე; დედის - მეგაკლეს ასულის, დინომაქეს მხრივ კი ალკიბიადე ალკმეონიდების მოდგმას ეკუთვნოდა. მამამისმა კლინიამ თავი გამოიჩინა არტემისიონთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში, რომელშიც საკუთარი სახსრით აგებული ტრიერი გამოიყვანა[1]. იგი დაიღუპა კორონეასთან, როცა ბეოტიელებს ებრძოდა. ალკიბიადეზე მეურვეობა მისმა ნათესავებმა, ქსანთიპეს ვაჟიშვილებმა, პერიკლემ და არიფრონმა იკისრეს. არცთუ უსაფუძვლოდ ამბობენ: სახელის მოხვეჭაში ალკიბიადეს საკმაოდ შეეშველა სოკრატეს მხრივ გამოჩენილი კეთილგანწყობა და სიყვარულიო. მისი თანამედროვენი იყვნენ გამოჩენილი პირები: ნიკია, დემოსთენე, ლამაქე, ფორმიონი, თრასიბულე, თერამენე. ამათგან არც ერთის დედის სახელიც კი არ გვხვდება სადმე. ეს კი ვიცით, რომ ალკიბიადეს ძიძა იყო ლაკედემონელი ქალი სახელად ამიკლე, ხოლო მოძღვარი - ძოპირე. პირველს ანტისთენე[2] გვაუწყებს, მეორეს - პლატონი.[3]

ალკიბიადეს სილამაზის თაობაზე არა მგონია, ბევრი ლაპარაკი იყოს საჭირო. აქ მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ მისი ცხოვრების ყოველ ასაკში, დროის ყოველ მონაკვეთში - ბავშვობაშიც, ჭაბუკობაშიც და მოწიფულობაშიც ეს სილამაზე ალკიბიადეს სხეულს მშვენებასა და მომხიბლაობას ანიჭებდა. ევრიპიდეს ნათქვამი, რომ ყოველი მშვენიერი შემოდგომაზეც მშვენიერია, თუ ყოველთვის არა, ალკიბიადესა და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე პიროვნების მიმართ, მათი სხეულის მოხდენილი და მომხიბლავი აღნაგობის გამო, მისასადაგებელ ნათქვამად უნდა ჩაითვალოს. ამბობენ, ალკიბიადე ენას უბორძიკებდაო და ეს ენაბორძიკობა უხდებოდა კიდეც და მის ლაღ მეტყველებას დამაჯერებელსა და მადლიან ძალას აძლევდაო. ამ ენაბორძიკობას მოიხსენიებს არისტოფანეც თავის სალექსო კარედებში, სადაც თეორეს დასცინის:

ალკიბიადემ ასე მითხრა ენაბორძიკით:

„ხხედავ თ-თეორეს? ყვავის თავი გამოუბია!“
სწორადაც უთქვამს ეგ ენაჩლიქ ალკიბიადეს.[4]

არქიპეც ასე დასცინის ალკიბიადეს ვაჟიშვილს: აი, მოდისო ეს აზიზი წამოსასხამის თრევით და, მამას რომ დაემსგავსოს,

უბორძიკებსო ისიც ენას ყელმოღერებით!

2. სრულიად ბუნებრივია, დიდი საქმიანობისა და ბედის ტრიალის გამო რომ ალკიბიადეს ხასიათში გზადაგზა მერყეობა და ცვალებადობა გამომჟღავნდა. ბუნებით თანდაყოლილ მრავალ და დიდ ჟინიანობაში განსაკუთრებული მგზნებარებით გამოირჩეოდა ალკიბიადეს პატივმოყვარეობა და პირველობისაკენ მისწრაფება, რაც ცხადად ჩანს მისი ბავშვობის ხანის ამსახველ მოგონებებში. ერთხელ, ჭიდაობაში, მოწინააღმდეგისაგან ტანშებოჭილმა, რომ არ წაქცეულიყო, მეტოქის შემომსალტველი ხელები პირთან მიიტანა და პირდაპირ დაჭმა დაუწყო. გამწარებულმა მეტოქემ ხელი შეუშვა და შესძახა: „ჰეი, ალკიბიადევ, ქალივით იკბინები!“ – „ქალივით კი არა – ლომივითო!“ – უპასუხა ამან. ერთხელაც, პატარაობაში, ვიწრო შუკაში კოჭაობას თამაშობდა. ის-ის იყო, კოჭების სროლის რიგი დაუდგა, რომ ამ დროს მძიმედ დატვირთული ურემი გამოჩნდა, რომელიც მისკენ მოემართებოდა. ყმაწვილმა მეურმეს უყვირა: დააყენე ცოტა ხანს ურემიო! – და კოჭები ურმის სავალ გზაზე წაყარა. გლეხუჭამ არ შეისმინა და არ შეჩერდა. მაშინ სხვა ბალღები იქით-აქეთ მიმოიფანტნენ, ალკიბიადე კი მიწას პირქვე დაემხო და მომავალი ურმის წინ გაშხლართულმა მეურმეს შესძახა: აბა, გადამიარე, თუ გინდაო! შეშინებულმა მეურმემ ურემი უკან დახია. ამის დამნახველი ბალღები ჯერ გაშეშდნენ, მერმე კი ყიჟინით გაქანდნენ ალკიბიადესაკენ.

როცა სწავლას შეუდგა, ყველა მასწავლებელს ემორჩილებოდა და ბეჯითად უსმენდა, მაგრამ ავლოსზე[5] დაკვრის შესწავლას თავს არიდებდა: უგვანო, მდაბიური საქმეაო! აი, სულ სხვაა პლექტრონი და ჩანგი; ისინი წესიერი კაცის შესაფერ სახეს არ ამახინჯებენ; ავლოსის ჩამბერავს კი პირ სახე ისე ებერება, ახლობლებიც კი ვეღარ ცნობენო. ჩანგზე დამკვრელს შეუძლია, ზედ ხმა დააყოლოს, დაამღეროს, ავლოსი კი კაცს პირს უბამს, ხმასა და სიტყვას გზას უღობავსო. „დაე, – ამბობდა ალკიბიადე, – ავლოსზე ჩაბერვით თე-

ბელების ბალღები გაერთონ: ლაპარაკი მათ მაინც არ იციან. ჩვენ, ათენელებს, ვითარცა ჩვენი მამები იტყვიან, ათენა გვწინამძღოლობს და აპოლონი გვმფარველობს: ათენამ ავლოსი შორს მოისროლა, აპოლონმა კი ავლეტს ტყავი გააძრო!"[6] ასეთი ხუმრობა-შეგონებებით თვითონაც განუდგა ავლოსზე დაკვრის შესწავლას და სხვებსაც ააღებინა ამაზე ხელი. ბავშვებში სწრაფად დაირხა ხმა, რომ ალკიბიადე სრულიად მართებულად ეკიდება სიძულვილით ავლეტიკას[7] და დასცინის მათ, ვინც მას სწავლობსო. იმ დროიდან მოკიდებული თავისუფალ მოქალაქეთა შესასწავლ საქმეთაგან სრულიად გააძევეს და სამარცხვინო ხელობად აღიარეს ავლოსზე დაკვრა.

3. ანტიფონტი განმაქიქებელ სიტყვებში წერს: ჯერ კიდევ ბიჭობაში ალკიბიადე შინიდან გაიქცა თავის ერთ ერთ სატრფო დემოკრატესთანო. ამის გამო არიფრონმა განიზრახა, რომ საჯაროდ ეთქვა უარი ალკიბიადეს წვრთნაზე, მაგრამ პერიკლემ შეაჩერა თურმე: თუ ბიჭი მკვდარია, შენი უწყებით კი გამყლავნდება მხოლოდ ერთი დღით ადრე, თუ საღადაა, მთელი მისი ცხოვრება განადგურდებაო. ანტიფონტივე ამბობს, ალკიბიადემ სიბირტიოსის პალესტრაში[8] ჯოხის დაკვრით ერთი მხლებელთაგანი მოკლაო. ასეთი კიცხვა ძაგება არაა დამაჯერებელი, ვინაიდან ყველა სისაძაგლე, რაც კი ვინმემ თქვა, ალკიბიადეს ზიზღითაა ნათქვამი.

4. ალკიბიადეს გარს ეხვია და თან დასდევდა მთელი ამალა წარჩინებული ათენელებისა. მას მეტისმეტად ელოლიავებოდნენ და ყველასათვის ცხადად ჩანდა, აღტაცებულნი იყვნენ მისი მოხდენილობით. მაგრამ სოკრატეს სიყვარული ყველაზე დიდი მოწმობა იყო ყმაწვილი კაცის შინაგანი, თანდაყოლილი სიქველისა და კეთილშობილებისა, რაც სოკრატეს თვალთახედვით, გარეგანი მშვენებით იყო გამობრწყინებული. სოკრატეს აშინებდა ალკიბიადეს სიმდიდრე და აღზევებული მდგომარეობა, მის გარშემო დაჯარული თანამოქალაქეთა, უცხოელთა და მოკავშირეთა ბრბო, რომელიც ყმაწვილ კაცს მლიქვნელობითა და განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა. სოკრატე ცდილობდა, დაეცვა იგი საფრთხისაგან ისე, ვითარცა მცენარეს იცავენ ყვავილობის ჟამს, რათა თავისი ნაყოფი არ დაკარგოს და არ დაჭკნეს. ბედი, როგორც ცნობილია, არავის არ ავლებს ეგრეთ წოდებულ კეთილდღეობათა ისეთ ზღუდეს, რომ შეუვალი იყოს ფილოსოფიისათვის და მიუწვდომელი გულახდილი და მწარედ მსუსხავი სიტყვებისათვის. თავიდანვე განებივრებულმა ალკიბიადემ, იმათ გარემოცვაში მომწყვდეულმა, ვინც მისი მადლიერე-

ბის მოპოვებას ესწრაფოდნენ და მოძღვარ აღმზრდელის მიმართ უყურადღებობას შეაგონებდნენ, თანდაყოლილი კეთილი. ბუნების წყალობით მაინც შეიცნო სოკრატე, დაუახლოვდა მას და ზურგი აქცია მდიდარსა და წარჩინებულ მეტრფეებს. იგი მალე სოკრატეს მეგობარი გახდა და მისგან ისმენდა არა ვაჟკაცისათვის შეუფერებელი ტკბობის მადევარი მეტრფის სიტყვებსა და კოცნისა და ხვევნა ალერსისათვის დაჟინებულ თხოვნას, არამედ მისი სულის საზიანო მანკიერების მხილებასა და ფუჭი და სულელური მედიდურობის ასალაგმავ შეგონებას. კარგადაა ნათქვამი:

ყინჩა მამალო, ფრთა დაკეცე, ვით მხდალმა მონამ.[9]

სოკრატეს მოღვაწეობაში ალკიბიადე ხედავდა ახალგაზრდებზე მზრუნველობისა და მათი ხსნისათვის საჭირო ღმერთების სამსახურს. ალკიბიადე საკუთარ თავს ზიზღით ეკიდებოდა, მოძღვრით კი აღტაცებული იყო, მადლიერი იყო მისი კეთილგანწყობილებისა და მისი სიქველის წინაშე კრძალვით იხრიდა თავს. ასე თანდათანობით და ქვეცნობიერად ჩამოიყალიბა თავისთვის ხატი ტრფობისა, ანუ ვითარცა პლატონი იტყვის „გაზიარებული ტრფობა".[10] ყველა გაოცებით შესცქეროდა, ვით სადილობდა იგი სოკრატესთან ერთად, როგორ ვარჯიშობდა ჭიდილში მასთან ერთად, როგორ ცხოვრობდა მასთან ერთ კარავში და როგორ პირქუშად და აგდებით ეკიდებოდა სხვა მეტრფეებს, ყველა დანარჩენს როგორი ზვიადობით ექცეოდა. აი, მაგალითად, ანიტეს - ანთემიონის ძეს. რაკიღა უყვარდა, ამან ერთხელ, როცა ვიღაც უცხოელებს უმასპინძლდებოდა, ალკიბიადეც მიიწვია ლხინზე. ალკიბიადემ მიპატიჟებაზე უარი თქვა და მეგობრებთან ერთად შინ შეექცეოდა სასმელს. როცა შეზარხოშდნენ, ყველანი ანიტესთან გაემართნენ. ალკიბიადე მამაკაცთა დარბაზის კართან გაჩერდა და როცა ვერცხლისა და ოქროს თასებით სავსე მაგიდას შეავლო თვალი, ბიჭებს უბრძანა, ნახევარი აეკრიფათ და მასთან შინ წაეღოთ; თვითონ შიგ შესვლა არ იკადრა, ნაბრძანები აღასრულებინა და იქაურობას გაეცალა. უცხოელები აღშფოთდნენ და განაცხადეს: ალკიბიადე ამპარტავნული თავხედობით მოექცა ანიტესო. „პირიქით, - შენიშნა ანიტემ, - ლმობიერად და კაცთმოყვრულად მოიქცა, რამეთუ ძალუძდა, ყველაფერი წაეღო, მან კი ნახევარი დაგვიტოვა".

5. ასევე ექცეოდა ალკიბიადე სხვა მეტრფეებსაც. გამონაკლისი დაუშვა ერთი მეტოიკოსის[11] მიმართ. იგი, როგორც ამბობენ, მდი-

დარი კაცი არ იყო, მაგრამ ყველაფერი გაყიდა, თავი მოუყარა ას სტატერს,[12] მიუტანა ალკიბიადეს და სთხოვა, ძღვნად მიეღო. ალკიბიადეს ეს ესიამოვნა, გაიცინა და პატივისმცემელი სადილზე მიიწვია. გულთბილად გამასპინძლების შემდეგ ის ოქროს ფული დაუბრუნა და უბრძანა, ხვალვე მიეღო მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში და საზოგადო გადასახადთა იჯარის აღებით სხვა მოიჯარადეები დაემარცხებინა. ამან დაბეჯითებით სთხოვა: ეგ მრავალი ტალანტი ჯდება და მაგ საქმისაგან გამათავისუფლეო. ალკიბიადე, რომელსაც მოიჯარადრეებთან რაღაც პირადი ანგარიშები ჰქონდა, გაროზგვით დაემუქრა მას, თუ ნაბრძანებს არ შეასრულებდა. მეტოიკოსი ადრე დილითვე გამოცხადდა მოედანზე, გამოსასყიდ თანხას ერთი ტალანტი დაუმატა. შეშფოთებული მოიჯარადრენი ამაზე გაწყრნენ და უბრძანეს, თავდები დაესახელებინა. დარწმუნებული იყვნენ, ასეთს ვერ იპოვიდა. მეტოიკოსი შეშინდა და უკან დახევა მოინდომა. ამ დროს ალკიბიადე წამოხტა ფეხზე და არქონტებს შესძახა: „მე ჩამწერეთ! ეგ კაცი ჩემი მეგობარია და თავდებად მე დავუდგებიო“. მოიჯარადრეები ამის გაგონებაზე მძიმე და გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ისინი დაჩვეული იყვნენ, წინა საიჯარო ვალი ყოველთვის მომდევნო იჯარის შემოსავლით დაეფარათ და ახლა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავდნენ. ბოლოს მეტოიკოსს სთხოვეს: გვიხსენიო, და ფული შესთავაზეს. ალკიბიადემ ნება არ მისცა, ერთ ტალანტზე ნაკლები აეღო. როცა ეს ტალანტი შემოიტანეს, მეტოიკოსს უბრძანა, იჯარაზე ხელი აეღო. აი როგორ დაეხმარა მას ალკიბიადე.

6. სოკრატეს სიყვარულს ალკიბიადესადმი მრავალი ძლიერი მეტოქე ჰყავდა. ამიტომ სოკრატეს უწევდა, დროდადრო დაემორჩილებინა ალკიბიადე ბუნებით თანდაყოლილ მის კეთილ თვისებებზე დაყრდნობით: ხიბლავდა სიტყვებით, უჩუყებდა გულს და ცრემლსაც აღვრევინებდა. მაგრამ ზოგჯერ ყმაწვილი მლიქვნელთაგან შეპირებულ ნაირ-ნაირ სიამეთა მოლოდინს აძლევდა თავს და სოკრატეს გაურბოდა. მაშინ სოკრატე გაქცეულ მონასავით დასდევდა უკან ბიჭს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მისი რიდი და შიში ჰქონდა და სხვებს არაფრად აგდებდა. კლეანთე[13] ამბობს: სოკრატეს თავისი საყვარელი ყმაწვილი ყურებით ეჭირა, ხოლო სხეულის მისგან შეუხებელი სხვა მრავალი ხელწასავლები ნაწილი – მუცელი, სარცხვინელი, კისერი და მისთანა – მეტოქე მეტრფეებს დაუტოვაო. ალკიბიადეს წრეგადასული ცხოვრების ნირისა და ხორციელი მრუ-

შობის თაობაზე ეჭვის საფუძველს თუკიდიდეს ნათქვამიც გვაძლევს.[14] მაცდუნებელნი კიდევ უფრო მეტად აღვივებდნენ ალკიბიადეს პატივმოყვარეობასა და დიდებისაკენ მისწრაფებას. ცდილობდნენ, ნაადრევად აღეძრათ მასში დიდ საქმეთა ხელმიმყოფლობის სურვილი და არწმუნებდნენ: როგორც კი მოჰკიდებ ხელს სახელმწიფო საქმიანობას, არა მარტო სხვა სტრატეგოსებსა და ხალხის რჩეულებს დაადგამ ჩრდილს, არამედ ელინებში თვით პერიკლეს ძალასა და სახელს გადააჭარბებო. როგორც ცნობილია, ცეცხლში დარბილებული რკინა, სიცივეში კვლავ მაგრდება და ყოველი მისი ნაწილაკი მტკიცედ ერთიანდება. სწორედ ასევე, როგორც კი ჩაეჭიდებოდა სოკრატე ამაო ოცნებებით აღსავსე და გაზულუქებულ ალკიბიადეს, მყისვე აკავებდა და მარწუხებში ამწყვდევდა თავისი სიტყვით, მორჩილსა და მორიდებულს ხდიდა და შეაგონებდა, რომ ჯერ კიდევ უმწიფარს ბევრი რამ სჭირდება სიქველის მისაღწევად.

7. ბალღობის ასაკიდან უკვე გამოსული გახლდათ ალკიბიადე, როცა ერთხელ გრამატიკის მასწავლებელთან მივიდა და ჰომეროსისეული თხზულება სთხოვა. მასწავლებელმა უპასუხა: არ მაქვს ჰომეროსიო. მაშინ ალკიბიადემ მუშტი ჩასცხო მას და გაეცალა. მეორე მასწავლებელმა უთხრა: ჩემ მიერ გასწორებული ჰომეროსი მაქვსო. „ჰომეროსის გასწორება თუ ძალგიძს, მარტო ანბანს რაღაზე ასწავლი? რატომ არ ზრდი ახალგაზრდებს?“ – უსაყვედურა ალკიბიადემ.

ერთხელ პერიკლესთან შეხვედრა მოიწადინა და მისი სახლის კარს მიადგა. უთხრეს: პერიკლეს არ სცალია, ათენელებისათვის წარსადგენ ანგარიშზე ფიქრობსო. გამობრუნებისას ალკიბიადეს უთქვამს: „განა არ აჯობებდა, ის მოიფიქროს, როგორ არ ჩააბაროს ანგარიში ათენელებს?“.

ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იგი პოტიდეას წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობაში მონაწილეობდა.[15] მისი თანამოკარვე და ბრძოლებში თანამოსაგრე სოკრატე გახლდათ. ერთ-ერთ გაცხარებულ ბრძოლაში ორივემ ჩინებულად გამოიჩინა თავი, მაგრამ ალკიბიადე დაჭრეს; სოკრატე მას გადაეფარა, განსაკუთრებული თავგამოდებით დაიცვა და გადაარჩინა თვითონაც და მისი იარაღიც. სოკრატეს მამაცობა უაღრესად სამართლიანი სიტყვით გამოითქვა, მაგრამ რაკიღა სტრატეგოსებმა განიზრახეს, საპატიო ჯილდო და სახელი ღირსების გამო ალკიბიადესათვის მიენიჭებინათ, სოკრატემ, რომელიც მუდამ ცდილობდა ახალგაზრდა კაცში კეთილი სახელის მოხვეჭის წადი-

ლის გაზრდა გაღვივებას, ახლაც პირველმა აღნიშნა მისი წარმატება და მოითხოვა, გვირგვინით შეემკოთ იგი და პანოპლიით[16] დაეჯილდოებინათ.

დელიონთან გამართული ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ათენელები დამარცხდნენ და უკუიქცნენ, ცხენზე ამხედრებულმა ალკიბიადემ დაინახა, სოკრატე რამდენიმე კაცთან ერთად ქვეითად იხევდა უკან. ალკიბიადემ იგი კი არ ჩამოიტოვა, არამედ გვერდით მიჰყვა და თავგამოდებით იცავდა მტრის განუწყვეტელი თავდასხმისა და გაუთავებელი ხოცვა-ჟლეტის ვითარებაში.[17]

8. ერთხელ ალკიბიადემ მუშტი ჰკრა კალიასის მამა ჰიპონიკეს – თავისი სიმდიდრისა და გვარის წყალობით დიდი სახელისა და გავლენის მქონე კაცს. ალკიბიადემ ეს მოიმოქმედა არა რისხვისა ან მასთან წაკინკლავების მიზეზით, არამედ ისე, თავის შესაქცევად, მეგობრებთან დადებული სანაძლეოსათვის. ხმა ამ თავხედური საქციელის თაობაზე ქალაქში გავრცელდა და, რასაკვირველია, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დილით ადრე ალკიბიადე ჰიპონიკეს სახლს მიადგა, კარზე დააკაკუნა და ჰიპონიკეს წარუდგა. მერმე წამოსასხამი ძირს დააგდო, ჰიპონიკეს სხეული მიუშვირა და მორჩილად სთხოვა: აჰა, მცემე და დამსაჯეო. ჰიპონიკემ მიუტევა და წყენა დავიწყებას მისცა; მომდევნო ხანებში კი თავისი ასული ჰიპარეტეც მიათხოვა. სხვები ამბობენ, ჰიპონიკემ კი არა, კალიასმა, მისმა ვაჟიშვილმა, გააყოლა ალკიბიადეს ჰიპარეტე ათი ტალანტის შემცველი მზითევითო. შემდეგ, როცა ჰიპარეტემ მოიმშობიარა, ალკიბიადემ თითქოს დამატებით მოითხოვა კიდევ ათი ტალანტი: ასეთი იყო პირობა, შვილები თუ გაგვიჩნებოდაო. კალიასს მოსალოდნელი ვერაგული ზრახვისა შეეშინდა და განაცხადა: თუ უშვილოდ გადავშენდი, ჩემს ქონებასა და სახლს ხალხს ვუტოვებო. კეთილი ხასიათისა და ქმრის მოყვარული ჰიპარეტე მეტად იტანჯებოდა იმის გამო, რომ ქმარი უცხოელ თუ ქალაქელ ჰეტერებთან[18] სატრფიალო ურთიერთობით ქორწინებას ბილწავდა. ამ მიზეზით ჰიპარეტემ ქმრის სახლი დატოვა და ძმასთან გადავიდა. ალკიბიადე ამით არ შეწუხებულა და ცხოვრებით გართობა-ტკბობას აგრძელებდა. გაყრისათვის საჭირო წერილი არქონტისათვის უნდა წარედგინა არა მეორე პირს, არამედ თვითონ მეუღლეს. და აი, როცა ჰიპარეტე კანონის დაცვით არქონტთან მივიდა, იმ დროს იქ ალკიბიადე შევარდა, სტაცა ხელი ქალს და ატატებული, მოედანზე გავლით, შინ წაიყვანა. ვერავინ გაბედა, წინ აღსდგომოდა და ქალი ხელიდან

გამოეტაცებინა. ამის შემდეგ ჰიპარეტე სიცოცხლის ბოლომდე ქმართან დარჩა. გარდაიცვალა იგი ალკიბიადეს ეფესოზე გამგზავრების ცოტა ხნის შემდგომ. ის ძალდატანება არავის ჩაუთვლია უკანონო და არაადამიანურ საქციელად: კანონს, როგორც ჩანს, იმიტომ მიჰყავს ხალხის თავშეყრის ადგილას ოჯახის მიმტოვებელი ქალი, რომ ქმარს შესაძლებლობა მიეცეს, ცოლს იქ შეხვდეს და განზრახულზე ხელი ააღებინოს.

9. ალკიბიადეს ერთი საოცარი სიდიდისა და შესახედაობის ძაღლი ჰყავდა. იგი მას სამოცდაათი მნა[19] დაუჯდა. ალკიბიადემ ძაღლს მეტად ლამაზი კუდი მოაჭრა. მეგობრებმა უსაყვედურეს და აუწყეს: ყველა წუხს ძაღლის გამო და გაიცხავენო. ალკიბიადეს გაეცინა და ასე თქვა თურმე: „სწორედ ის ხდება, რაც მსურს; მსურს კი ის, რომ ათენელებმა ამაზე იყბედონ და რამე უარესი არ ილაპარაკონ ჩემზე!“.

10. პირველი მისი გამოსვლა ხალხის წინაშე ფულად შეწირულებებს ეხებოდაო. ლაპარაკობდა თურმე წინასწარი მომზადების გარეშე. მერმე თავის გზას გაუდგა და ათენელების მიერ ატეხილი ხმაური შემოესმაო. ხმაურის მიზეზი როცა იკითხა და შეიტყო, შესაწირი შეაქვთო, თვითონაც მივიდა იქ და თავისი წვლილი გაიღო. ხალხის ტაშის ცემითა და შეძახილით ნასიამოვნებს სულ დაავიწყდა, წამოსასხამის ქვეშ რომ მწყერი ჰყავდა. როცა ათენელებმა წამოსასხამიდან გამოფრენილი დამფრთხალი ჩიტი იხილეს, კიდევ უფრო მეტი ჟრიამული ატეხეს; ბევრი მათგანი წამოხტა და მწყერს გამოედევნა. დაიჭირა იგი ანტიოქე მესაჭემ და პატრონს დაუბრუნა. ამიერიდან იგი უსაყვარლესი კაცი გახდა ალკიბიადესათვის.

მართალია, წარმომავლობა, სიმდიდრე, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობა, მრავალი მეგობრისა და ნათესავის მხრივ მხარდაჭერა ფართოდ უღებდნენ კარს ალკიბიადეს სახელმწიფო მოღვაწეობაში, მაგრამ მას მაინც ყველაფერს ერჩია, თავისი სიტყვის მადლით ჰქონოდა ხალხზე გავლენა. ის, რომ სიტყვის წარმოთქმის ოსტატი იყო, ამას კომიკოსებიც გვიმოწმებენ და რიტორთა შორის ყველაზე ძლიერი რიტორიც, რომელიც მიდიელთა წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში ამბობს: სხვა ღირსებებთან ერთად ალკიბიადე საუკეთესო მჭევრმეტყველიც იყოო.[20] თუ დავუჯერებთ თეოფრასტეს, ფილოსოფოსთა შორის ღრმად ჩახედულ და ისტორიის ჩინებულად მცოდნე კაცს, ალკიბიადე ყველაზე ძლიერი იყო საჭირო სიტყვის მოძიებასა და მოფიქრებაში. როცა იგი ეძიებდა არა მარტო იმას, რა ეთქვა, არამედ იმასაც, თუ როგორ გამოეხატა აზრი ცალკე სიტყვებით თუ

წინადადებით, ხშირად აწყდებოდა სიძნელეს, წაიბორძიკებდა კიდეც, ლაპარაკს შეწყვეტდა, დადუმდებოდა და დასხლეტილ სიტყვას ბეჯითი დაკვირვებით კვლავ დაეუფლებოდაო.

11. მეტად სახელგანთქმული გახლდათ და განსაკუთრებით ეტლთა სიმრავლით გამოირჩეოდა ალკიბიადეს საჯინიბოები. მის გარდა არავის, არც ვინმე კერძო პირს, არც რომელიმე მეფეს, არ გამოუყვანია ოლიმპიურ შეჯიბრებებზე შვიდი ეტლი. მან შეჯიბრებებში გაიმარჯვა და, როგორც თუკიდიდე ამბობს,[21] მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავა, ევრიპიდეს სიტყვით კი - მესამე ადგილი მოუპოვებია. ამ შეჯიბრებებში ალკიბიადემ თავისი ბრწყინვალე და სახელოვანი ასპარეზობით ყველა ღირსებას გადააჭარბა. თავის სახოტბო საგალობელში ევრიპიდე შემდეგს ამბობს: „კლინიას ძეო, მსურს შენ გიმღერო! მშვენიერია გამარჯვება, მაგრამ უმშვენიერესია ის, რომ ელინთა შორის არვის რგებია წილად შენს გარდა, მობრძანებულიყო ეტლით ვითარცა პირველი, ვითარცა მეორე და მესამეც და დაუშრომლად ორგზის ზეთისხილის გვირგვინდადგმულს მაცნეს პირით ხმამაღლა გამოეცხადებინა თავისი სახელი!“.

12. ალკიბიადეს ასეთმა პეწმა და ელვარე სახელმა კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა ქალაქთა მხრივ მისადმი მიმართული პატივი. ეფესოელებმა მას დიდებულად მორთული კარავი დაუდგეს, ქიოსელთა ქალაქმა ცხენებისათვის საკვები და მრავალი სამსხვერპლო ცხოველი მიართვა, ხოლო ლესბოსელებმა უხვ ლხინთათვის საჭირო დიდძალი ღვინო და სხვა სურსათ-სანოვაგე მიუტანეს. მაგრამ ცილისწამება თუ მისი ავზნიანობა მიზეზი გახდა ამ პატივისცემის გამო ატეხილი მითქმა მოთქმისა. მაგალითად, გადმოგვცემენ შემდეგს: იყო თურმე ერთი წესიერი ათენელი კაცი, სახელად დაომედე - ალკიბიადეს მეგობარი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა, ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოეპოვებინა. მან შეიტყო, რომ არგოსელებს შეჯიბრებისათვის კარგი ეტლი ჰყავდათ და, რაკი იცოდა, ალკიბიადე არგოსში დიდი ძალისა და მრავალი მეგობრის პატრონი იყო, სთხოვა, ის ეტლი ეყიდა. ალკიბიადემ ეტლი იყიდა, მაგრამ თავისთვის მიიწერა, დიომედეს კი, მისი წყალობით, ისღა დარჩა, აღშფოთებულიყო და მოწმედ ღმერთნი და მოკვდავი კაცნი მოეხმო. ეს საქმე სასამართლომდე მისულა. ყოველ შემთხვევაში, სოკრატეს თხზულებებში არის სიტყვა ცხენშებმული ეტლის თაობაზე ალკიბიადეს ვაჟიშვილის დასაცავად. მაგრამ აქ მოსარჩელად ტისიაა დასახელებული და არა დიომიდე.

13. ერთი სიტყვით, ალკიბიადე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ასაკში გამოვიდა სახელმწიფოებრივი საქმიანობის ასპარეზზე. მან მალე დაამარცხა ხალხში გავლენის ყველა სხვა მაძიებელი. მხოლოდ ორი მეტოქეღა ჰყავდა: ფეაკე ერასისტრატეს ძე და ნიკია ნიკერატეს ვაჟიშვილი. საუკეთესო სტრატეგოსად აღიარებული ნიკია უკვე ასაკში იყო შესული. რაც შეეხება ფეაკეს, ისიც ალკიბიადესავით ახლახან იწყებდა ძალისა და გავლენის მოპოვებას. მამა პაპით იგი სახელოვანი კაცი გახლდათ, მაგრამ სხვა მხრივ, განსაკუთრებით მჭევრმეტყველებაში, ბევრად ჩამორჩებოდა თავის მეტოქეს. იგი, ეტყობა, პირად ურთიერთობაში თავაზიანობითა და მომხიბლაობით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე თავყრილობაში დავა კამათის უნარით. კარგად აქვს მასზე ნათქვამი ევპოლისს:[22]

ლაყბობა ძალუძს, საუბარი არ შეუძლია.

ცნობილია ფეაკეს ერთი სიტყვა ალკიბიადეს წინააღმდეგ, რომელშიც, სხვათა შორის, წერია, რომ ალკიბიადე ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვით პირად საკუთრებას, ისე ხმარობდა სახელმწიფოს კუთვნილ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, რომლებსაც საზეიმო დანიშნულება ჰქონდათო.

ათენელთა შორის იყო ერთი ჰიპერბოლე პერითედელი, რომელსაც ავი კაცის სახელით მოიხსენიებს თუკიდიდე[23] და ვინც კომედიების ყველა მწერალს სათეატროდ დაცინვის საბაბს აძლევდა. ლანძღვა-გინებას სრული გულგრილობითა და უგრძნობლობით ისმენდა, ვინაიდან კეთილ სახელს უგულებელყოფდა. სხვათა შორის, ასეთ ურცხვობასა და უგუნურებას ზოგიერთი შემართებასა და მამაცობას ეძახის! გულზე იგი არავის ეხატებოდა, მაგრამ ხალხი ხშირად მიმართავდა ხოლმე დასახმარებლად, როცა წარჩინებულ პირთა განქიქებასა და ცილისწამებას დააპირებდა. და აი, მაშინ, მისი შეგონებით, ათენელმა ხალხმა განიზრახა, განეხორციელებინა ოსტრაკისმოსი, რომლის მეშვეობითაც – უფრო მეტად შურის, ვიდრე შიშის საფუძველზე – ყველაზე სახელოვან და გავლენიან თანამოქალაქეებს უსწორდებოდნენ ხოლმე და ქალაქიდან აძევებდნენ. ცხადი იყო, გაძევება ხსენებული სამეულიდან ერთს მოუწევდა. ალკიბიადე ნიკიას შეუთანხმდა, მომხრე ჯგუფს თავი მოუყარა და გაძევების გადაწყვეტილება თვითონ ჰიპერბოლეს წინააღმდეგ მიმართა. როგორც ზოგიერთი ამბობს, ალკიბიადე ნიკიას კი არა, ფეაკეს შეუთანხმდა, მისი დაჯგუფება მიიმხრო და გააძევა კიდეც ჰიპერბოლე, რომელიც

ამას სრულიად არ მოელოდა; არ მოელოდა კი იმიტომ, რომ მანკიერი და უგვანო კაცი ასეთ სასჯელში არ ვარდებოდა. კომედიების მწერალ პლატონს მართებულად აქვს ნათქვამი ჰიპერბოლეზე:

> დაიმსახურა მან სასჯელი სამართლიანად;
> მაგრამ ასეთი დამღის ღირსი როდია იგი:
> ასეთ კაცთათვის არ შექმნილა ოსტრაკისმოსი!

სხვათა შორის ცნობები ამ ამბავთა თაობაზე სხვაგანაა უფრო მეტად გადმოცემული.[24]

14. ალკიბიადეს მოსვენებას არ აძლევდა თანამოქალაქეთაგან ნიკიას პატივისცემა და ის მორიდება, რასაც მტრები იჩენდნენ მისადმი. ლაკედემონელების პროქსენოსი[25] სინამდვილეში ალკიბიადე იყო და პილოსთან ტყვედ წამოყვანილებსაც იგი მზრუნველობდა;[26] მაგრამ რაკი უპირატესად ნიკიას წყალობით მიაღწიეს ზავს და ტყვეებიც უკან დაიბრუნეს, ლაკედემონელები განსაკუთრებულ სიყვარულს სწორედ მისადმი ამჟღავნებდნენ, ხოლო ბერძნებში ხმა იყო დარხეული: სპარტელებთან ომი პერიკლემ წამოიწყო, საზღვარი კი ნიკიამ დაუდო. უმრავლესობა დადებულ ზავს სწორედ „ნიკიას ზავს“ ეძახდა.[27] ამის გამო ზომაზე მეტად შეწუხებული და შურით აღვსილი ალკიბიადე დადებული ხელშეკრულების დარღვევას ცდილობდა. და აი, როგორც კი გაიგო, სპარტელთა ზიზღითა და შიშით ამოძრავებული არგოსელები მათგან განდგომას აპირებენო, უწინარეს ყოვლისა, მათ ფარულად შთაუნერგა ათენელებთან კავშირის იმედი. მერმე მაცნეთა მეშვეობით არგოსელთა წინამძღოლებთან მოლაპარაკება გამართა და მოუწოდებდა, გამხნევებულიყვნენ, არ შეშინებოდათ და ლაკედემონელებს არ დამორჩილებოდნენ: მთელი გულისყური ათენელებს მიაპყარით და დაელოდეთ, სანამ აზრს შეიცვლიან და დადებულ ზავს გაწყვეტენო. როცა ლაკედემონელებმა ბეოტიელებთან კავშირი შეკრეს და ათენელებს გადასცეს პანაკტონი[28], რომელიც, როგორც ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, ხელუხლებელი სახით კი არ ჩააბარეს, არამედ წინასწარ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს, ალკიბიადემ მაშინ ისედაც განრისხებულ ათენელებს კიდევ უფრო მეტად შეუნთო ცეცხლი. იგი საყვედურით იკლებდა ნიკიას და სამართლიანად სდებდა ბრალს იმაში, რომ სტრატეგოსად ყოფნისას არ ინება, დაეტყვევებინა სფაქტერიაში ჩარჩენილი მტრები და, როცა ისინი სხვებმა მაინც დაატყვევეს, გაათავისუფლა და გადასცა ლაკედემონელებს მათი გულის მოსაგე-

ბად[29]. ბრალად სდებდა იმასაც, რომ იყო რა ლაკედემონელების მეგობარი, მათ არ შეაგონა, კავშირი არ შეეკრათ არც ბეოტიელებთან და არც კორინთელებთან, ხოლო თუ ელინთა რომელიმე ქალაქი ლაკედემონელებთან შეუთანხმებლად ათენელების მეგობრობასა და მოკავშირეობას განიზრახავდა, მას ყოველნაირად ხელს უშლიდა.

ამ ბრალდებათა შემდეგ ნიკიას საქმე ცუდად მიდიოდა, მაგრამ, თითქოს ბედზეო, ლაკედემონიიდან კეთილსახიერი წინადადებებით ჩამოვიდნენ ელჩები, რომლებმაც განაცხადეს: შეუვალი რწმუნებით ვართ აღჭურვილი სამართლიანი პირობების საფუძველზე სრული მორიგების მისაღწევადო. ელჩები საბჭომ მიიღო, მეორე დღეს კი სახალხო კრებას მოიწვევდნენ. შეშინებულმა ალკიბიადემ მოახერხა, ელჩები სალაპარაკოდ თავისთან მიეხმო და, როცა თავი მოიყარეს, უთხრა: „რა დაგემართათ, სპარტელო ვაჟკაცნო? ნუთუ არ იცით, საბჭო რომ ყოველთვის ლმობიერად და კაცთმოყვრულად ღებულობს მასთან მიმსვლელებს, მაშინ როცა ხალხი მეტად ქედმაღლობს და მისწრაფებაც განუზომლად დიდი აქვს? თუ თქვენ განაცხადებთ, რა ძალა უფლებით აღჭურვილნი მობრძანდით, ათენელები ეცდებიან, თავისი წრესგადასული მოთხოვნები წამოგიყენონ. მოდით და მოეშვით მაგ გულწრფელობას, თუ გსურთ, ათენელები დაიყოლიოთ და თქვენი ნების წინააღმდეგ არაფერი გაიძულონ. მოლაპარაკება ისე წარმართეთ, თითქოს დამოუკიდებელი ძალა და რწმუნება არ გქონდეთ. მე კი, ლაკედემონელებისათვის კეთილის მსურველი, თქვენ დაგეხმარებით“. ასე თქვა ალკიბიადემ და ნათქვამი ფიცით დაუდასტურა ელჩებს, რომლებიც ამ გზით სავსებით ჩამოაშორა ნიკიას. ისინი ახლა ალკიბიადეს მიენდნენ და გაოცებულნი იყვნენ მისი მჭევრმეტყველებითა და კეთილგონიერებით ისე, რომ უბადლო კაცად მიიჩნიეს. მეორე დღეს ხალხი შეიკრიბა; მოვიდნენ ელჩებიც. ალკიბიადემ მათ სრული კაცთმოყვრული იერით ჰკითხა: რა რწმუნებებით და ძალაუფლებით მოსილნი ხართ ჩამობრძანებულებიო? ამათ უპასუხეს: ყოველგვარი რწმუნებისა და ძალაუფლების გარეშე ჩამოვედითო! ალკიბიადემ მყისვე ყვირილით და ბრაზით დაიწყო თავდასხმა, თითქოს მას კი არ გაეცურებინოს სხვები, არამედ თვითონ ყოფილიყო მოტყუებული. მან ელჩებს მუხანათები და ვერაგები უწოდა: თქვენ კეთილი საქმისა და სიტყვისათვის არა ხართ ჩამოსულიო! საბჭო აღშფოთდა და ხალხიც მრისხანებდა. რაკი ტყუილსა და მუხანათობას ვერ მიუხვდა, ნიკია გაოცებამ და სირცხვილმა შეიპყრო ელჩთა ასეთი ცვალებადობისა და მერყეობის გამო.

15. ლაკედემონელები კუდამოძუებულნი გაბრუნდნენ, ალკიბიადე კი სტრატეგოსად აირჩიეს. მან დაუყოვნებლივ გახადა ათენელთა მოკავშირეებად არგოსელები, მანტინელები და ელეელები. მართალია, მისი მოქმედების ხასიათს ქებით არავინ მოიხსენიებდა, მაგრამ მის მიერ მოპოვებული წარმატებები უთუოდ დიდი იყო: მან გათიშა და შეაზანზარა თითქმის მთელი პელოპონესი; მხოლოდ ერთი დღის მანძილზე ისე დიდძალი ჯარი დაუპირისპირა ლაკედემონებს მანტინეასთან და ისეთი ბრძოლა გაუმართა მათ ათენიდან ასე მოშორებით და ისეთი საფრთხე შეუქმნა, რომ გამარჯვებამ დიდი ვერაფერი სიკეთე მოუტანა მტერს, მაგრამ, რომ დამარცხებულიყო, ავად წაუვიდოდა საქმე თვით ლაკედემონს ანუ სპარტას.

სულ მალე ამ ბრძოლის შემდეგ „ათასეულმა“[30] გადაწყვიტა არგოსში დემოსის დამხობა და ქალაქის დაქვემდებარება ლაკედემონელთათვის. ლაკედემონელებმაც მოსვლა აღარ დააყოვნეს და დემოკრატია დაამხეს. მაგრამ არგოსელებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და კვლავ გაიმარჯვეს. ალკიბიადეც მალე მოვიდა, დემოსის გამარჯვება განამტკიცა და არგოსის მოსახლეობას შეაგონა, გრძელი კედელი აეგოთ და ქალაქი ზღვასთან დაეკავშირებინათ, რათა ამ გზით მთლიანად შეერთებოდა იგი ათენელთა ძალაუფლებას.[31] მან ათენიდან ჩამოიყვანა ოსტატები, ქვისმთლელები და მთელ თავის სიბეჯითეს იჩენდა, საკუთარი თავისთვის უფრო მეტად მოეპოვებინა მადლი და გავლენის ძალა, ვიდრე ათენისათვის. ასე დაარწმუნა პატრელები, თავიანთი ქალაქი[32] გრძელი კედლებით შეეერთებინათ ზღვასთან. ვიღაცამ მაშინ პატრელებს უთხრა: „გადაგვყლაპავენ ათენელებიო!“ ალკიბიადემ ამაზე შენიშნა: „შესაძლოა, ასეც მოხდეს; მაგრამ ათენელები ნელ ნელა დაიწყებენ გადაყლაპვას და თანაც ფეხებიდან შეუდგებიან ამ საქმეს; ლაკედემონელები კი ერთბაშად აღასრულებენ ამას,- ოღონდ, ჯერ თავს მოიგდებენ პირშიო!“ იგი ათენელებს იმასაც ურჩევდა, ხმელეთიც მათი ყურადღების არეში ყოფილიყო და ეფებოსებს[33] მოუწოდებდა, ყოველთვის საქმით განემტკიცებინათ აგლავრეს ტაძარში დადებული ფიცი.[34] ეფებოსები ფიცს სდებდნენ ხოლმე: ესწავლათ დამუშავებული და ნაყოფის მომცემი მიწის გაშინაურება და ატიკის საზღვრების გაშენება პურითა და ქერით, ვაზითა და ზეთისხილის ხეხილით.

16. ალკიბიადეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასა და სიტყვებს, მის სიბრძნესა და მჭევრმეტყველებას თან ახლდა უსაზღვრო ფუფუნება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს გახლდათ: წრესგადასული

ღრეობა და ტრფობით ტკბობა; დიაცურ ქარგზე შეკერილი მეწამული შესამოსელნი, რომელთა კუდები მოედანს გვიდნენ; ყოველ ზომას გადაცილებული მფლანგველობა; ტრიერებზე საგანგებოდ გამოჭრილი დასაგებელნი, რომელნიც ფიცრებზე კი არა, ღვედებზე იყო დაფენილი, რაც შეიძლება რბილ საწოლში დასაძინებლად; მოოქროვილი ფარი, რაზეც მამაპაპისეული ნიშანი კი არ იყო აღბეჭდილი,[35] არამედ ხელთ მეხის მპყრობელი ეროსი ეხატა. ზიზღითა და წყრომით შესცქეროდნენ ყველაფერ ამას საპატიო მოქალაქენი და თან შიშობდნენ ალკიბიადეს ასეთი თავხედობისა და უკანონობის წინაშე, რაც, მათი აზრით, ტირანული და შემაძრწუნებელი უცნაურობის სულისკვეთებას ამჟღავნებდა. ხალხის განწყობა ალკიბიადესადმი ცუდად როდი აქვს გამოთქმული არისტოფანეს, როცა ამბობს:

უნდა, არც უნდა, ურჩევნია – მაინც რომ ჰქონდეს!

და კიდევ უკეთ აქვს ნართაულად ნათქვამი:

დედაქალაქში ლომის ლეკვი არ უნდა ზარდო;
თუ გაიზარდა, მაშინ უნდა დაემორჩილო.[36]

ალკიბიადეს მიერ გაღებული შეწირულობანი, გულუხვი ქორეგია,[37] ქალაქისათვის მირთმეული უბადლო საჩუქრები, წინაპართა პატივისცემა, მჭევრმეტყველება, სხეულის მშვენება და ძალა, სამხედრო გამოცდილებასა და მამაცობასთან ერთად, ათენელებს აიძულებდა, ყველაფერი მიეტევებინათ მისთვის, მოთმინებით მოჰკიდებოდნენ და მისი გადაცდომებისათვის მუდამ ულმობიერესი სახელები დაედოთ და ხან ხუმრობად, ხანაც კეთილ საქმეებად მოეხსენებინათ ისინი. აი, ალკიბიადეს შეცოდებათა მაგალითები: ერთხელ მან ჩაჰკეტა შინ მიწვეული მხატვარი აგათარქე, მოახატვინა მთელი სახლი და დასაჩუქრებული გაისტუმრა; ერთხელაც ქორეგიაში თავისი მეტოქე ტავრეა გალახა, რადგან გამარჯვების მისაკუთრებას ცდილობდა; ბრძოლის შედეგად მოპოვებულ ტყვეებში მან ერთი მელოსელი ქალი შეარჩია და მასთან თანაცხოვრებით შეძენილი ბავშვი გაზარდა. მის ამ საქციელს, სხვათა შორის, კაცთმოყვარულ საქციელს ეძახდნენ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ თვითონ იყო მთავარი მიზეზი ყველა მოწიფული მელოსელი ვაჟკაცის დახოცვისა, რასაც კენჭისყრითაც დაუჭირა მხარი. არისტოფონტმა დახატა თურმე ნემეა[38], რომელსაც ჩახუტებული ესვა

მუხლებზე ალკიბიადე: ათენელები ჯგუფ ჯგუფად მოისწრაფოდნენ ამ სურათის სანახავად და თავის სიხარულს ხმამაღლა ამჟღავნებდნენო. უხუცესებს კი ასეთი რამეებიც არ მოსწონდათ, რადგან მათში ტირანიისა და უკანონობის გამოვლინებას ხედავდნენ. ეტყობა, უსაფუძვლოდ არ უთქვამს არქესტრატეს:[39] ორ ალკიბიადეს ელადა ნამდვილად ვერ აიტანდაო. ერთხელ, როცა წარმატებას მიღწეული ალკიბიადე სახალხო კრებიდან ამალის თანხლებით ზარზეიმით ბრუნდებოდა, ავყია ტიმონმა მას გვერდი კი არ აუარა და განზე კი არ გადგა, რაც ჩვეულად ჰქონდა სხვებთან შეხვედრის დროს, არამედ შეეგება, მიესალმა და უთხრა: „კარგად იქცევი, აგრე რომ იზრდები, შვილო... ბოლოს და ბოლოს, უდიდეს ბოროტებად გაეზრდები ყველა ამათ!“ ზოგმა გაიცინა, ზოგმაც გალანძღა ტიმონი; მაგრამ ზოგიერთი მეტად შეაშფოთა ნათქვამმა. აი, ასეთი მერყევი გახლდათ აზრი ალკიბიადეზე მისი ბუნების არამდგრადი ხასიათის გამო.

17. სიცილიის დამორჩილებას ჯერ კიდევ პერიკლეს სიცოცხლეში იზრახავდნენ ათენელები, მაგრამ ამ საქმეს მისი გარდაცვალების შემდეგ მოჰკიდეს ბეჯითად ხელი იმ მოკავშირეთა დახმარების საბაბით, რომელთაც სირაკუზელები ავიწროებდნენ. ათენელები ყოველი ცალკე შემთხვევის დროს გზავნიდნენ დამხმარე ძალას იქ და ამით მოსალოდნელ უფრო დიდ ლაშქარს უკაფავდნენ გზას. ნამდვილი საამისო ვნების ცეცხლი მათ ალკიბიადემ შეუნთო. მან ათენელები დაარწმუნა, ამიერიდან ნაწილ-ნაწილ და ნელ-ნელა კი არ ემოქმედათ, არამედ დიდი საზღვაო ძალით დაძრულიყვნენ სიცილიისაკენ და ეცადათ, ერთბაშად დაეპყროთ კუნძული. ალკიბიადემ ხალხს დიდი იმედები შთაუნერგა, მაგრამ თვითონ კიდევ უფრო დიდი მიზნებისაკენ მიისწრაფოდა: სიცილია, მისი აზრით, განზრახული ლაშქრობის დასაწყისი იყო და არა დასასრული, როგორც სხვები ფიქრობდნენ. სირაკუზეს აღებას ნიკია უძნელეს საქმედ თვლიდა და ხალხს მისგან განარიდებდა; ალკიბიადე კი უკვე კართაგენსა და ლიბიაზე ოცნებობდა, მერმე ამათ იტალიასა და პელოპონესს ამატებდა, ხოლო სიცილიას ომის მხოლოდ საწყის გზად თვლიდა. ახალგაზრდები მან მყისვე მოხიბლა იმედებით; უხუცესები კი მათ უამბობდნენ იმ სასწაულებრივ სანახაობებზე, რომელთაც ლაშქრობის ჟამს იხილავდნენ. გარდა ამისა, ბევრი ხალხი იყრიდა თავს პალესტრებსა თუ სხვა ადგილებში და ნახევარ რკალად დადგმულ მერხებზე ჩამომსხდარნი მიწაზე ხატავდნენ კუნძულის სქემას, ლიბიისა და კართაგენის მდებარეობას. ამბობენ, ფილოსო-

ფოსი სოკრატე და ასტროლოგოსი მეტრონი ამ ლაშქრობისაგან კარგს არაფერს მოელოდნენ ათენის სახელმწიფოსათვისო. ეტყობა, სოკრატე მისთვის ჩვეული შინაგანი დემონისაგან იყო შეგონებულ-გაფრთხილებული,[40] რაც შეეხება მენტორს, იგი მომავლის გონებით განსჯამ, თუ რომელიღაც მისნობაზე დაკვირვებამ შეაშინა, თითქოს ჭკუაც დაკარგა, წაავლო ხელი ანთებულ ჩირაღდანს და თავის სახლს ცეცხლი წაუკიდაო. ზოგიერთი კი გადმოგვცემს, არაფერი ჭკუა არ დაუკარგავს, უბრალოდ, ღამით სახლი გადაწვა, ხოლო დილით თავყრილობაში გამოცხადდა და ითხოვა, უბედურებაში შეშველებოდნენ და მისი ვაჟი ლაშქრად არ წაეყვანათ. ამ ხერხით თანამოქალაქენი გააცურა და რაც ითხოვა, შეუსრულესო.

18. ნიკია მაშინ სტრატეგოსად აირჩიეს, თუმცა მას ამის სურვილი არ ჰქონდა: ამ თანამდებობისაგან განრიდების არცთუ მცირე მიზეზი მისი თანაამხანაგი გახლდათ. მაგრამ ათენელებს მიაჩნდათ, ომის საქმე უკეთ წარიმართებოდა, თუ სიცილიაში გაგზავნიდნენ არა მარტო ალკიბიადეს, არამედ თუ მის მამაცობას ნიკიას წინდახედულებასაც შეუზავებდნენ. მესამე სტრატეგოსი - ლამაქე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბრძოლაში ალკიბიადეზე ნაკლებ მგზნებარებას როდი იჩენდა.

ჯარის რაოდენობასა და საჭირო სამზადისზე მსჯელობის დროს ნიკიამ კვლავ სცადა, წინ აღდგომოდა ომს და თავიდან აეცდინა იგი. მას დაუპირისპირდა ალკიბიადე და დასძლია კიდეც, ხოლო რიტორმა დემოსტრატემ წინადადება შეიტანა, სტრატეგოსებისათვის დამოუკიდებელი ძალაუფლება მიეცათ ომის მომზადებისა თუ მსვლელობის მთელი ხნის მანძილზე. ხალხმა მხარი დაუჭირა გალაშქრებას და უკვე ყველა და ყველაფერი მზად იყო ზღვაში გასასვლელად, ავის მომასწავლებელი ნიშნები რომ არ გამოჩენილიყო და ერთი დღესასწაულიც არ დამთხვეოდა. სწორედ იმ დღეებში დადგა ადონისის დღეობა; ქალებმა ყველგან გამოდგეს მიცვალებულთა გვამების გამოსახულებანი; მერმე, დაკრძალვის წესთა მიბაძვით, გულ მკერდში ხელების ცემა დაიწყეს და გლოვის სიმღერები გააბეს. ამის შემდეგ ერთ ღამეში ვიღაცებმა დაამახინჯეს ჰერმესის თითქმის ყველა გამოხატულება[41]. ამ ამბავმა ისინიც კი ააფორიაქა, ვინც ასეთ რამეს უწინ ყურადღებას არ აქცევდა, ჯერ ითქვა, თითქოს ეს საქმე ჩაიდინეს კორინთელებმა, რომლებმაც სირაკუზე დააფუძნეს და დაასახლეს და ახლა წინამოსწავების ნიშნების საბაბით, ომის შეყოვნებას, ანდა სულაც იმას ცდილობენ, ათენელებს

მასზე ხელი ააღებინონო. ხალხმა არც ეს ხმა იწამა და არც იმათ დაუჯერა, რომელთა აზრითაც, მომხდარი ამბავი ავის მომასწავებელი ნიშანი კი არ იყო, არამედ იმ თავაშვებული ახალგაზრდების მიერ ჩადენილი საქმე, რომელთაც ჩვევად აქვთ, ხუმრობიდან თავხედობაზე გადავიდნენ. წყრომითა და შიშით იუწყა მომხდარი საბჭომ და ხალხმა; ჩათვალა იგი შეთქმულთა მიერ დიდ ზრახვათა აღსასრულებლად მოწყობილ საქმედ, შეუდგა მის მკაცრ გამოძიებას და რამდენიმე დღის განმავლობაში საამისოდ ბევრჯერ შეიკრიბა.

19. სწორედ მაშინ ხალხის ერთმა წინამძღოლმა ანდროკლემ მოიყვანა რამდენიმე მონა და მეტოიკოსი, რომლებმაც განაცხადეს: ალკიბიადე და მისი მეგობრები ღვთაებათა სხვა ქანდაკებებს ამახინჯებდნენ და ღვინით შეზარხოშებულნი წმიდა საიდუმლოებათა აღსრულებას ბაძავდნენო. გარდა ამისა, მაუწყებლებმა თქვეს: ვინმე თეოდორე მაცნე - შიკრიკს ასახიერებდა, პულიტიონი - დადუქოსს, ხოლო თვითონ ალკიბიადე - ჰიეროფანტეს, მათი დანარჩენი მეგობრები კი იქვე იყვნენ და წმიდა საიდუმლოებათა აღმასრულებელ მისტებს ეძახდნენ ერთიმეორესო[42]. ყველაფერი ეს წერილობით იყო გადმოცემული კიმონის ძის თესალეს წერილობით პატაკში. თესალე ბრალს სდებდა ალკიბიადეს ორივე ღმერთქალის[43] მიმართ გამოჩენილ მკრეხელობაში. ხალხი მეტისმეტად აღელდა და სასტიკად კიცხავდა ალკიბიადეს. ამისი ყველაზე დიდი მტერი ანდროკლე კიდევ უფრო მეტად აღვივებდა საყოველთაო მრისხანებას. ალკიბიადე და მისი მეგობრები ჯერ შეშფოთდნენ, მაგრამ მერმე, როცა გაიგეს, ის მეზღვაურები, რომლებიც სიცილიაში უნდა გამგზავრებულიყვნენ, მათი ერთგულნი რჩებოდნენ და სახმელეთო ჯარიც კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ; აგრეთვე, როცა შეიტყვეს, რომ რიცხვით ათასამდე არგოსელი და მანტინეელი ჰოპლიტი აშკარად აცხადებდა: ჩვენ ალკიბიადეს ხათრით დავთანხმდით ასეთ შორეულ, ზღვის გადაღმა გალაშქრებაზე და თუ ვინმე მას აწყენინებს, მყისვე დავბრუნდებით უკანო; - აი, მაშინ ალკიბიადეც და მისი მახლობლებიც გამხნევდნენ და დანიშნული ჟამისათვის თავდასაცავი სიტყვის წარმოსათქმელად განემზადნენ. ალკიბიადეს მტრებს კვლავ წარეკვეთათ სასო და შეშინდნენ: ვაითუ ხალხმა მეტად ლმობიერი განაჩენი გამოუტანოს ალკიბიადეს იმის გამო, რომ მისი სამსახური სჭირდებაო. მაშინ მათ ასეთ ხერხს მიმართეს: შეაგონეს რიტორებს, რომლებიც ალკიბიადეს აშკარა მტრებად არ ჩანდნენ, მაგრამ იგი შეთქმულთა ნაკლებ არ ეზიზღებოდათ, გამოსულიყვნენ თავყრი-

ლობაზე და ეთქვათ, რომ – უაზრობაა, შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვილმა და ასეთი დიდი მხედრობის მეთაურად დაყენებულმა სტრატეგოსმა ახლა, როცა ჯარიც თავმოყრილია და მოკავშირენიც, ფუჭად დაკარგოს დრო, სანამ აქ მსაჯულებს ირჩევენ და წყლის საათებს უკვირდებიან: „დაე, მშვიდობით გავიდეს ახლავე ზღვაში და მერმე, როცა ომი დამთავრდება, დაბრუნდეს და ამავე კანონების წინაშე გამოვიდეს თავდასაცავი სიტყვით!“ თავის დასაცავად გამოსვლის ამ მზაკვრული გადადების აზრს ალკიბიადე მაშინვე ჩაწვდა, წინ წამოდგა და განაცხადა: „საზარელი საქმეა, ამ უზარმაზარი ლაშქრის სათავეში მყოფი კაცი საომრად გამგზავნოთ ისე, რომ ჩემ წინააღმდეგ აღძრული ბრალდებანი და ცილისწამებანი მოუხსნელად დავიტოვო; სჯობს, მოვკვდე, თუ ბრალდებებს თავიდან არ მოვიცილებ; და თუ ამ ბრალდებებისაგან თავს დავიხსნი და გავმართლდები, მაშინ ცილისმწამებელთა შიში აღარ მექნება და ხალისით გავემართები ჩვენი მტრების წინააღმდეგ!“.

20. ალკიბიადემ თავისი ვერ გაიტანა: უბრძანეს, ზღვაში გასულიყო და მან თანასტრატეგოსებთან ერთად ღუზები ამოიღო.[44] ალკიბიადეს ჰყავდა ასორმოცამდე ტრიერი, ხუთი ათას ასი ჰოპლიტი, ათასსამასამდე მშვილდოსანი, მეშურდულე და მსუბუქად შეიარაღებული მეომარი; ჰქონდა აგრეთვე ყველა საჭირო აღჭურვილობა. როცა იტალიას მიადგა და ქალაქი რეგიუმი აიღო, ალკიბიადემ წამოაყენა თავისი აზრი, რა ხერხით ეწარმოებინათ ომი. ნიკიამ დაიწუნა მისი გეგმა, ლამაქემ კი მხარი დაუჭირა. მაშინ ალკიბიადემ სიცილიისაკენ გასცურა და დაიკავა ქალაქი კატანე. სხვა ვერაფრის გაკეთება ვეღარ შეძლო, ვინაიდან ათენელებმა გამოუძახეს, რათა დაუყოვნებლივ წარმდგარიყო სამსჯავროს წინაშე. თავდაპირველად, როგორც ითქვა, ალკიბიადეს წაუყენეს მონებისა და მეტოიკოსების ჩვენებებზე დამყარებული საკმაოდ უღიმღამო და საეჭვო, ცილისმწამებლური ბრალდებები. შემდეგ კი, როცა იგი სალაშქროდ გავიდა, მტრებმა გააძლიერეს მასზე თავდასხმა; შეაწნეს ერთმანეთს ჰერმებზე მიტანილი ძალადობა და მისტერიათა გამართვა, ვითარცა შედეგი ერთი შეთქმულებისა ამბოხებისა და სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად. ყველა, ვისაც კი რაღაცნაირად ედებოდა ბრალი ამ საქმეში, გაუსამართლებლად ჩაყარეს საპყრობილეში. ნანობდნენ, დადგენილების ძალით რომ თავის დროზე არ შეიპყრეს ალკიბიადე და არ დასაჯეს ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. მის წინააღმდეგ აღძრული წყრომა და რისხვა თავს დაატყდა

მის ყოველ ნათესავს, მეგობარსა და ახლობელს. თუკიდიდე გვერდს უვლის დამბეზღებელთა და ბრალდებათა აღმძვრელების დასახელებას, სხვები კი ასახელებნ დიოკლიდასა და ტევკრეს. მათ შორისაა აი ამ სტრიქონების შემთხზველი კომიკოსი ფრინიქე:

ძვირფასო ჰერმეს, ფრთხილად იყავ, ძირს არ დაეცე,
არრა იტკინო და არ მისცე სხვა დიოკლიდას,
ავის მომქმედსა, საშუალება, ცილი დაგწამოს!

ჰერმესი: ფრთხილად ვიქნები, არ ვისურვებ ჯილდო მიიღოს
ჩემი დაღუპვით ვინმე ტევკრე გადამთიელმა!

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, დამბეზღებლებმა ვერაფერი უჩვენეს მტკიცე და ხელჩასაჭიდი. ერთმა მათგანმა კითხვაზე, თუ ვით შეიცნო სახე ჰერმეების შემბილწველისა, უპასუხა: „მთვარის შუქზე შევიცანიო". იგი მწარედ მოტყუვდა: სინამდვილეში ყველაფერი მოხდა ძველი და ახალი მთვარის გასაყარზე. ამან შეაშფოთა ყველა, ვისაც კი გონება ერჩოდა, მაგრამ ხალხის ყურადღება მაინც ვერ შეანელა ცილისწამებათა მიმართ. ათენელებმა თავიდანვე დაწყებული მგზნებარებით, შეუწყვეტლივ განაგრძეს ყოველი დაბეზღებულის შეპყრობა და საპყრობილეში ჩაგდება.

21. ბორკილდადებულთა და პატიმრობაში მყოფთა შორის სამსჯავროს მოლოდინში იყო რიტორი ანდოკიდეც, რომელსაც ჰელანიკე ოდისევსის შთამომავლობას მიაკუთვნებს. ეს ანდოკიდე დემოსის მოძულე და ოლიგარქიის მომხრე კაცად ითვლებოდა, მაგრამ უმთავრესი ეჭვი მის მიმართ ჰერმეების შებილწვის საქმესთან დაკავშირებით აღძრა ეგეიდის ფილეს მიერ მის სახლთან დადგმულმა ჰერმესის დიდმა ქანდაკებამ. ათენის ყველაზე თვალსაჩინო და მცირერიცხოვან ჰერმეებში მხოლოდ ის აღმოჩნდა ხელუხლებლად გადარჩენილი. სწორედ ამის გამო იგი ახლაც „ანდოკიდეს ქანდაკებად" იწოდება და ყველა აგრე ეძახის, მიუხედავად ზედ ამოკვეთილი წარწერისა. იმავე საქმის გამო საპყრობილეში მყოფთაგან ანდოკიდე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ერთ ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ჭკუითა და გამბედაობით გამორჩეულ კაცს, სახელად ტიმეოსს. აი რა ურჩია მან ანდოკიდეს: „შენ და რამდენიმე კაცმა, და არა ყველამ, საკუთარ თავზე აიღეთ ბრალდება: ხალხის დადგენილებით, ვინც დანაშაულს აღიარებს, შეწყნარებული იქნება; სამსჯავროს შედეგი კი ყველა ბრალდებულისათვის უკლებლივ ბურუსითაა მოცული

და განსაკუთრებით საშიშია წარჩინებულ პირთათვის. უმჯობესია თავის გადარჩენა ტყუილის აღიარებით, ვიდრე უსახელო სიკვდილი საზარელი ბრალდებით. საერთო სიკეთის თვალსაზრისიც ამას მოითხოვს. რამდენიმე და ისიც საეჭვო პირთა განწირვა რისხვისაგან დაიხსნის მრავალსა და საუკეთესო ადამიანს". ტიმეოსის ამ რჩევასა და შეგონებას ანდოკიდემ დაუჯერა და, გახდა რა საკუთარი თავისა და სხვათა დამბეზღებელი, გადაწყვეტილების თანახმად, თვითონ შეწყნარებულ იქნა, მაგრამ სხვები, ვინც კი დაასახელა, ყველა სიკვდილით დასაჯეს, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს. ნდობის მოსაპოვებლად ანდოკიდემ დაბეზღებულებს საკუთარი მონები დაუმატა. ხალხმა თავისი მრისხანება მაინც არ შეწყვიტა; ის კი არადა, ჰერმეების შემბილწველთა თავიდან მოშორების შემდეგ თითქოს ზრუნვისაგან შესვენებულმა მთელი თავისი რისხვის ძალა ალკიბიადეს დაატეხა თავს. ბოლოს, ალკიბიადეს წამოსაყვანად გაგზავნეს „სალამინია",[45] ოღონდ მივლინებულთა მკაცრი გაფრთხილებით - ძალა არ ეხმარათ და თითიც არ დაეკარებინათ; თავაზიანად უნდა მიეცათ წინადადება ალკიბიადესათვის, მათ გამოჰყოლოდა, რათა სამსჯავროს წარდგომოდა და თავი გაემართლებინა ხალხის წინაშე. ათენელები შიშობდნენ, მტრის მიწაზე მყოფ მხედრობაში მღელვარება და ამბოხება არ დაწყებულიყო, რაც, ალკიბიადეს სურვილით, სულ ადვილად მოხდებოდა. ალკიბიადეს წასვლისთანავე მეომრებს გული გაუტყდათ, რადგან წინასწარ გრძნობდნენ, ნიკიას მეთაურობაში ომი დაყოვნდებოდა და ფუჭად გაგრძელდებოდა. ალკიბიადეს განშორებით საქმეს თითქოს წამქეზებელი ნესტარი წაერთვა. მართალია, რჩებოდა ლამაქე, კაცი მეომარი და მამაცი, მაგრამ სიღარიბის გამო მას საჭირო ღირსება და წონა აკლდა.

22. სანამ ზღვაში გავიდოდა, ალკიბიადემ მოასწრო და ათენელებს წაართვა მესენე. მესენელებში იყვნენ ისეთები, რომელთაც ქალაქის ჩაბარება უნდოდათ. ალკიბიადე მათ ცხადზე ცხადად იცნობდა; ისინი მან სირაკუზელთა მეგობრებს გადასცა და ამით ათენელებს საქმე ჩაუფლავა. თურიეში ალკიბიადე ტრიერიდან ჩამოვიდა და ისე გაქრა, მაძიებელ მდევრებს კვალი დაუკარგა. ვიღაცამ იცნო იგი და ჰკითხა: „ალკიბიადევ, ნუთუ არ ენდობი სამშობლოს?" „როგორ არა, - უპასუხა ალკიბიადემ, - ყველაფერში ვენდობი, მაგრამ, თუ საქმე ჩემს სიცოცხლეს ეხება, საკუთარ დედასაც ვერ ვერწმუნები, ვაითუ შეეშალოს და შავი კენჭი ჩამიგდოს თეთრის ნაცვლად!" შემ-

დგომ ხანებში, როცა გაიგო, ათენის პოლისმა მას სიკვდილი გადაუწყვიტა, ასე თქვა: „ჰო, მაგრამ მე ათენელებს დავუმტკიცებ, რომ ცოცხალი ვარ!“

წერილობით შედგენილი საჩივარი ალკიბიადეზე შემდეგს შეიცავდა: „თესალე, კიმონის ძე, ლაკიადელი, კლინიას შვილს ალკიბიადე სკამბონიდელს ბრალად სდებს იმას, რომ შეურაცხყო ორი ღმერთქალი, დემეტრე და კორე,[46] თავის საკუთარ სახლში საიდუმლო ღვთისმსახურებას ჰბაძავდა და ამას მეგობრებს ახილვებდა იმ წამოსასხამში გახვეული, რომელსაც უზენაესი ქურუმი ატარებს ხოლმე, როცა წმიდათაწმიდა სამსახურს ეწევა; ამასთან თავისთავს ალკიბიადე უწოდებდა ჰიეროფანტეს, პოლიტიონს - დადუქოსს, ფეგეელ თეოდორეს - მაცნე-შიკრიკს, ხოლო სხვა მეგობრებს - მისტებსა და ეპოპტებს;[47] და ამას სჩადიოდა ევმოლპიდების, კერიკებისა და ელევსინელი ქურუმების მიერ შემოღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ“.[48] ალკიბიადე დაუსწრებლად გაასამართლეს, მისი ქონება საზოგადოებას გადასცეს და ამასთან ერთად გადაწყვიტეს, ყველა ქურუმსა და ქურუმიხეს დაეწყევლა იგი. ამბობენ, ქურუმ ქალთაგან მხოლოდ მენონის ასული აგრავლელი თეანო წავიდა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ იგი ქურუმიხედ მოვლენილია ლოცვა ვედრებისათვის და არა წყევლისათვის.

23. სანამ ხსენებულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და განაჩენს ამზადებდნენ, თურიედან პელოპონესში გადახვეწილი ალკიბიადე ჯერ არგოსში შეჩერდა. მერმე, რაკი მტრების ეშინოდა და სამშობლოზე მთლიანად აიღო ხელი, სპარტაში კაცი გაგზავნა ხელშეუვალობის თხოვნით და იმის რწმუნებით, რომ იგი სპარტელებს ამიერიდან გაცილებით მეტ სიკეთესა და სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ის ვნება იყო, რომელიც მათ მტრობის ჟამს მიაყენა. სპარტელებმა ალკიბიადე შეიფარეს და აღთქმაც დაუდეს. ალკიბიადემ კვლავ მოიკრიბა მხნეობა და ერთი, რაც მაშინვე გააკეთა, ის იყო, რომ სპარტელები, რომლებიც სირაკუზელთა დახმარებას აყოვნებდნენ, წაქეზებით აიძულა, სიცილიაში გაეგზავნათ რაზმი გილიპეს წინამძღოლობით და იქ ათენელთა ძალები შეემუსრათ. მეორე ის გახლდათ, რომ ომი აქედან ათენელთა მხარეში გადაატანინა. მესამე და უდიდესი საქმე კი ის იყო, რომ დეკელია[49] კედლების შემოვლებით გაამაგრებინა და ამით ათენის პოლისს შავზე შავი დღე დაუყენა, რადგან ამაზე უარესს ვერაფერს უზამდა.

სახელმწიფოებრივი საქმიანობით ალკიბიადემ კეთილი სახელი და მოწიწება დაიმსახურა, მაგრამ არანაკლებ აღაფრთოვანა და მოხიბლა ხალხი თავისი პირადი ცხოვრების ნირით, რაკი ლაკონების ჩვეულებს იცავდა.[50] ყველა ხედავდა, როგორ მოკლედ იკრეჭდა თმას, ვით ბანაობდა ცივ წყალში და როგორ შეეწყო ქერის კვერსა და შავ შეჭამადს.[51] ძალზე უჭირდათ, დაეჯერებინათ, რომ ამ კაცს თავის დროზე შინ მზარეული ჰყავდა, რომ იგი ნელსაცხებელთა ოსტატთან დადიოდა, ანდა – თითს რომ არ აკარებდა ასაკრეფად მილეტური მოსასხამის კალთას. როგორც ამბობენ, სხვა მრავალ უნართან ერთად, მას ჰქონდა ადამიანთა ოსტატური მონადირეების დიდი ნიჭი და ამას ახერხებდა უცხო ჩვეულებისა და ცხოვრების ნირის მიბაძვა შეგუების გზით; მას ძალუძდა, ზნე ხასიათი ქამელეონზე მეტი სისწრაფით გამოეცვალა. ქამელეონს, ამბობენ, ყველა ფერის მიღება შეუძლია, გარდა ერთი – თეთრი ფერისაო. ალკიბიადესათვის კი არ არსებობდა არაფერი, არც კარგი და არც ავი, რის ბუნებრივად მიბაძვაც არ შესძლებოდა: სპარტაში იგი იყო თავგამოდებული მოვარჯიშე, უბრალო და პირქუში კაცი; იონიაში – ნებიერი, ავხორცი და უდარდელი; თრაკიაში –თრობის მოტრფიალე; თესალიაში – ცხენოსნობის მოყვარული; ტისაფერნე სატრაპის კარზე მყოფი ზვიადობითა და ნებივრობით სპარსულ ფუფუნებას აჭარბებდა. ოღონდ ეს იყო, რომ მთლად ადვილად კი არ იცვლიდა სახესა და ხასიათს, არამედ, როცა თავისი ნამდვილი ბუნებით ვინმეს შეაწუხებდა, აი მაშინ იფარებდა ყოველ ხელსაყრელ ნიღაბს.

ასე იყო თუ ისე, ლაკედემონში მისი გარეგნობის დანახვაზე ასე იტყოდნენ: „ეს აქილევსის ძე კი არა, თვითონ აქილევსი უნდა იყოს, ოღონდ – ისეთი, ლიკურგემ რომ გამოზარდა“. ვინც მის ნამდვილ მისწრაფებებს და ქცევებს დაუკვირდებოდა, ალბათ შესძახებდა: „ეს ხომ იგივე ქალია“![52] ალკიბიადემ შეაცდინა ცოლი მეფე აგისისა იმ ხანებში, როცა აგისი სამშობლოდან სალაშქროდ იყო გასული. ქალი ფეხმძიმედ შეიქნა და ამას არც მალავდა. როცა ბიჭი შვა, სააშკარაო სახელად ლეოტიქიდე დაარქვა, ხოლო შინ, მეგობრებსა და მსახურებთან, ბიჭს ჩურჩულით ალკიბიადეს ეძახდა. აი, ასე იყო სიყვარულით შეპყრობილი ეს ქალი! ალკიბიადე სიცილით ამბობდა: ეს საქმე თავხედობით და საკუთარი სიამოვნებისათვის კი არ ჩავიდინე, არამედ იმისათვის, რომ ლაკედემონელებზე ჩემმა შთამომავლობამ იმეფოსო. ამ უხამსობის ამბავი ბევრს მიჰქონდა აგისთან; მაგრამ ყველაზე სანდო მოწმე მისთვის დრო გამოდგა. ერთხელ მიწა

იძრა თურმე; შეშინებული აგისი ცოლის საწოლი ოთახიდან გამოვარდა და მთელი ათი თვის განმავლობაში მეუღლეს არ მიჰკარებია. ლეოტიქიდე სწორედ ამ ვადის შემდეგ გაჩნდა და აგისმა, ცხადია უარყო მისი მამობა. ამის გამო ლეოტიქიდეს გამეფების უფლება აღეკვეთა.

24. სიცილიაში ათენელთა დამარცხების შემდეგ ქიოსელებმა, ლესბოსელებმა და კიზიკოსელებმა სპარტაში ელჩები გაგზავნეს მის მხარეზე გადასვლისათვის. ლესბოსელებს ბეოტიელები შუამდგომლობდნენ, კიზიკოსელებს ფარნაბაზე[53] უჭერდა მხარს, მაგრამ ლაკედემონელებმა, ალკიბიადეს რჩევით, ამჯობინეს, უწინარეს ყოვლისა, ქიოსელებს დახმარებოდნენ. ალკიბიადე თვითონაც გავიდა ზღვაში, გადაიბირა თითქმის მთელი იონია და ლაკედემონელ სარდლებთან თანადგომით დიდი ზიანი მიაყენა ათენელებს. ცოლის შეურაცხყოფის გამო ისედაც მტრად გადაკიდებულმა აგისმა ახლა უკვე შურის თვალითაც დაუწყო ცქერა ალკიბიადეს სახელს, ვინაიდან თითქმის ყოველ წამოწყებასა და წარმატებას დარხეული ხმა ალკიბიადეს მიაწერდა. შურის გამო ალკიბიადეს უკვე ვეღარც სხვა წარჩინებული და პატივმოყვარე სპარტელები იტანდნენ. მათ აიძულეს შინაური მმართველ-გამგებლები, იონიაში ალკიბიადეს მოკვლის ბრძანება გაეგზავნათ. ალკიბიადემ საიდუმლოდ შეიტყო ეს და, მართალია, ყოველ საქმეს კვლავინდებურად ლაკედემონელებთან ერთსულოვნებით ასრულებდა, მაგრამ შეშინებული ყოველნაირად ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა მათ. ბოლოს და ბოლოს, თავის გადასარჩენად იგი სპარსთა მეფის სატრაპს ტისაფერნეს ჩაბარდა და მის კარზე სულ მალე პირველი და დიდი გავლენის მქონე კაცი გახდა. მისი ხერხიანობის გასაოცარი მრავალმხრივობა აღფრთოვანებას იწვევდა ბარბაროსისას, რომელიც თვითონაც არ იყო უბრალო კაცი, მაგრამ უზნეობითა და მანკიერებით გამოირჩეოდა. ალკიბიადესთან ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად გამოწვეულ ხიბლს წინ ვერ აღუდგებოდა ვერავითარი ბუნებისა და ნებისყოფის პატრონი. მასთან ერთად ყოფნა და მისი ცქერა იმათაც კი სიამესა და ხალისს ჰგვრიდა, რომელთაც მისი შიში და შური ჰქონდათ. სპარსებში ელინების ყველაზე მეტად მოძულე და, საერთოდ, მძვინვარე ხასიათის ტისაფერნეც კი ისე მოდრიკა ალკიბიადეს ქათინაურმა და თავაზიანმა საქციელმა, რომ სამაგიერო ლოიალობითა და ქლესაობით კიდეც აჯობა მას. თავის უმშვენიერეს ბაღთაგანს, რომელიც ჯანმრთელობისათვის სასარგებლო წყლებითა და

მდელოებით გამოირჩეოდა და ამის გამო მოსალხენი ადგილებით და თავშესაფრებით მეფური სიდიადით იყო მორთული, ტისაფერნემ ალკიბიადეს სახელი დაარქვა. ამ ბაღს დიდი ხნის მანძილზე ყველა „ალკიბიადეს ბაღს“ ეძახდა.

25. ამგვარად, ალკიბიადემ ხელი აიღო ვერაგ სპარტელებთან თანადგომაზე და აგისის შიშით მათ დიდ ზიანს აყენებდა. მან ტისაფერნეს გადააფიქრებინა, ძველებური ხალისით დახმარებოდა სპარტელებს და საბოლოოდ დაერბია ათენელები. ურჩია, მოზომილად გაეღო სახსრები და ნელ ნელა დაეკნინებინა ორივე ხალხი, რომლებიც, ერთმანეთის დასუსტებით, სპარსთა მეფის მორჩილი გახდებოდნენ. ტისაფერნე ადვილად დაჰყვა მის რჩევას და ისე აშკარად ამჟღავნებდა მისადმი სიყვარულსა და აღფრთოვანებას, რომ ელინთა ორივე მოწინააღმდეგე ბანაკი იმედის თვალს ალკიბიადესღა აპყრობდა. ათენელები, რომლებიც დიდ გასაჭირში აღმოჩდნენ, ახლა ნანობდნენ მისთვის გამოტანილი განაჩენის გამო და, თავის მხრივ, ალკიბიადეც წუხდა და შიშობდა, ათენის პოლისი არ დაქცეულიყო და თვითონაც საძულველ ლაკედემონელთა ხელში არ ჩავარდნილიყო.

იმ ხანებში ათენელების თითქმის მთელი საქმიანობის ბედი სამოსზე წყდებოდა. აქედან საზღვაო ძალებით დაძრული ათენელები კვლავ იმორჩილებდნენ ქალაქებს და თავიანთ სამფლობელოებსაც იცავდნენ. მათ ჯერ კიდევ ძალუძდათ, ასე თუ ისე, ზღვაზე გამკლავებოდნენ მტერს, მაგრამ ეშინოდათ ტისაფერნესი და იმ ასორმოცდაათი ფინიკიური ტრიერისა, რომლებიც, გავრცელებული ხმების მიხედვით, მალე უნდა გამოჩენილიყვნენ. მათი მოსვლა კი ათენის პოლისს ხსნის არავითარ იმედს აღარ უტოვებდა. ალკიბიადემ რომ ეს ამბავი შეიტყო, სამოსზე მყოფ ათენელ თავკაცებთან ფარულად გაგზავნა მაცნე და მისი პირით იმედი შეუთვალა: ტისაფერნეს მოწყალედ გაგიხდით, მაგრამ არა ბრბოს გულის მოსაგებად, რომელსაც არ ვენდობი, არამედ საუკეთესოთა ფენის ხათრით, თუ მამაცობით აღვსილნი ბრბოს ზვიადობას დათრგუნავთ და ათენის სახელმწიფოს ხსნის საქმეს თვითონ აიღებთ ხელთო. ალკიბიადეს შემონათვალს დიდი მოწონებით შეხვდნენ. მხოლოდ ერთმა სტრატეგოსმა, დირადეელმა ფრინიქემ, სრულიად საფუძვლიანი ეჭვი გამოთქვა: ალკიბიადეს არც ოლიგარქია სჭირდება და არც დემოკრატია, იგი ყოველნაირად ცდილობს, უკან დაბრუნდეს და ამიტომ ხალხის ცილისწამებით ძლიერთა წინაშე მლიქვნელობასა და მათი გულის

მოსაგებ ხერხს მიმართავსო. ფრინიქეს მოსაზრება უარყვეს და ისიც ცხადი გახდა, ეს კაცი ალკიბიადეს მტერი იყო. მაშინ ფრინიქემ მალულად აუწყა მტრის ნავარქოსს[54] ასტიოქეს ყველაფერი და ურჩია, განრიდებოდა ალკიბიადეს და სულაც შეეპყრო ეს ორპირი და თვალთმაქცი. მოხდა ის, რომ ერთმა მოღალატემ მეორე მოღალატესთან გამართა მოლაპარაკება: ასტიოქემ, რომელსაც ტისაფერნეს შიში ჰქონოდა და იმასაც ხედავდა, ალკიბიადე ტისაფერნეს დიდ პატივში ჰყავდა, ფრინიქე ორივესთან დაბეზღა. ალკიბიადემ მყისვე აფრინა კაცები სამოსზე ფრინიქეს მოღალატეობის საუწყებლად. ყველა აღშფოთდა და შეერთებული ძალით ფრინიქეს ეკვეთნენ. შექმნილი ვითარებიდან სხვა გამოსავალი რომ ვეღარ ნახა, ფრინიქემ სცადა ერთი ბოროტება მეორე ბოროტებით განეკურნა. მან კვლავ გაუგზავნა ასტიოქეს წერილი, რომელშიც კიცხავდა მას დაბეზღებისათვის, მაგრამ მაინც ჰპირდებოდა: ათენელთა ხომალდებსა და მხედრობას ხელში ჩაგაგდებინებო. ფრინიქეს გამცემლობამ ვერავითარი ვნება ვერ მიაყენა ათენელებს ასტიოქეს სამაგიერო გამცემლობის წყალობით. ამან ამჯერადაც აუწყა ალკიბიადეს და მის გარშემო მყოფთ ფრინიქეს ზრახვები. ფრინიქემ რაკი წინასწარ იგრძნო: ალკიბიადე მეორეჯერაც დამდებს ბრალსო, დაასწრო მას და ათენელებს განუცხადა: მტერს განზრახული აქვს, ზღვიდან შემოგვიტიოს; ამიტომ ხომალდებთან იყავით და ბანაკიც შემოგარენით გავამაგროთო. ათენელები ასეც მოიქცნენ. ალკიბიადესაგან კვლავ მოვიდა წერილი: მოერიდეთ ფრინიქეს, მტრისთვის ბანაკის ჩაბარებას აპირებსო. ათენელებმა არ დაიჯერეს: ალკიბიადემ ჩვენი მტრის ყოველი წინასწარი მზადება და ზრახვა კარგად უწყის და თავის ჩახედულობას ფრინიქეს ცილის დასაწამებლად იყენებსო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთ ერთმა მესაზღვრემ, ჰერმონმა, მოედანზე მახვილით განგმირა ფრინიქე. ათენელებმა საქმე გამოიძიეს და მოკლული ფრინიქეს მოღალატეობა დაადგინეს, ჰერმონი და მისი თანადგომები კი გვირგვინებით შეამკეს.

26. მაშინ სამოსზე ალკიბიადეს მომხრეებმა გაიმარჯვეს და ათენში სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად პისანდრე მიავლინეს. მას უნდა წაექეზებინა ყველაზე გავლენიანი ათენელები, ძალაუფლება აეღოთ და დემოკრატია დაეთრგუნათ: ალკიბიადე ამ პირობით გახდის ტისაფერნეს თქვენ მეგობრად და მოკავშირედო. აი, ასეთი იყო საბაბიცა და საფარიც ოლიგარქიის დამყარების მომხრეთათვის. მაგრამ, როცა ეგრეთ წოდებულმა „ხუთი ათასმა“, სინამდვილეში კი

„ოთხასთა“ საბჭომ“, გაიმარჯვა და ძალაუფლება აიღო, ალკიბიადესადმი ყურადღება მეტად შეამცირეს და ომის მსვლელობაც შეასუსტეს. ასე მოიქცნენ, ან იმის მიზეზით, რომ არ ენდობოდნენ თანამოქალაქეებს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებას ჯერ კიდევ ვერ შეეჩვევნენ, ანდა იმ მოსაზრებით, რომ ოლიგარქიის მუდამ მხარდამჭერი ლაკედემონელები ახლა დათმობებზე წავიდოდნენ. შიშის გამო ხალხი იძულებული გახდა, მშვიდად ყოფილიყო: „ოთხასთა“ აშკარად მოწინააღმდეგეების არცთუ მცირე რაოდენობა სიკვდილით დაისაჯა. როცა ეს ამბავი სამოსზე მყოფებმა შეიტყვეს, საშინლად აღშფოთდნენ და გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ პირეოსისაკენ.[55] მათ ალკიბიადე გამოიწვიეს, სტრატეგოსად გამოაცხადეს და მიმართეს: წინ გაგვიძეხ ტირანების დასამხობადო! ალკიბიადე ხალხის წყალობით მოულოდნელად აღზევებული ზოგიერთი კაცისათვის დამახასიათებელი ფრთაშესხმული სიხარულით როდი მოიქცა. იგი სრულიადაც არ ფიქრობდა, გულის მოსაგებად დაუყოვნებლივ დამორჩილებოდა და წინ არ აღდგომოდა იმათ, ვინც იგი – ლტოლვილი და გაძევებული ამდენი ხომალდისა და ძლიერი მხედრობის წინამძღოლად და სტრატეგოსად აღიარეს. პირიქით, როგორც დიდ სარდალს შეეფერებოდა, მან წინააღმდეგობა გაუწია რისხვით ანთებულთა სურვილებს, არ მისცა საშუალება, შეცდომები დაეშვათ და ამით ათენის პოლისი მაშინ აშკარად დაიხსნა მოსალოდნელი საფრთხისაგან. სამოსიდან რომ ხომალდები დაძრულიყვნენ და შინისაკენ გამოეწიათ, მტერს მაშინვე მიეცემოდა საშუალება, უბრძოლველად დაეკავებინა მთელი იონია, ჰელესპონტი და კუნძულები, ხოლო ათენელები თანამოქალაქეებს შეებრძოლებოდნენ და ომს შიგ ქალაქში ატეხდნენ. ამას ძირითადად მხოლოდ ალკიბიადემ შეუშალა ხელი. იგი არა მარტო არწმუნებდა და მოძღვრავდა საერთოდ ხალხს, არამედ სათითაოდაც მიმართავდა მეომრებს, ზოგს – თხოვნით, ზოგსაც – საყვედურით. მას თანადგომითა და შეძახილებით ეშველებოდა თრასიბულე სტირიელი. იგი, როგორც გადმოგვცემენ, ათენელებში ყველაზე მაღალი ხმის პატრონი ყოფილა თურმე. მეორე სიკეთე, რომელიც ალკიბიადემ გამოიჩინა, შემდეგი გახლდათ: იგი შეჰპირდა ათენელებს, რომ სპარსთა მეფის მიერ გამოგზავნილ ფინიკიურ ხომალდებს, რომელთაც ლაკედემონელები ელოდებოდნენ, ან მათ მხარეზე გადაიყვანდა, ანდა გააკეთებდა ისე, რომ ისინი ლაკედემონელებთან არ მისულიყვნენ. ამ პირობით ალკიბიადე სასწრაფოდ გავიდა ზღვაში. ის ხომალდები, მართალია,

უკვე ასპენდოსთან[56] გამოჩნდნენ, მაგრამ ტისაფერნემ მათ აღარ დაანება, მისულიყვნენ ლაკედემონელებთან, რომლებიც ამგვარად მოტყუებული დატოვა. ხომალდთა უკან გაბრუნებას ორივე მხარე ალკიბიადეს აბრალებდა; განსაკუთრებით ლაკედემონელები ცხარობდნენ. მათი აზრით, სწორედ ალკიბიადემ შეაგონა ბარბაროსს, მოთმინებით ეცქირა, როგორ მოუღებდნენ ერთმანეთს ბოლოს ელინები. ცხადი იყო, ელინთა ერთ მხარეს რომ ხსენებული ასეთი დიდი ძალა შემატებოდა, მეორე მხარეს ეს უთუოდ აღუკვეთდა ზღვაზე მბრძანებლობას.

27. ამის შემდეგ „ოთხასთა" ძალაუფლება დაემხო. ამ საქმეში დემოკრატიის მომხრეთ ბეჯითად ეხმარებოდნენ ალკიბიადეს მეგობრები. მოქალაქეებს სურდათ და მოითხოვდნენ კიდეც, ალკიბიადე დაბრუნებულიყო. მაგრამ იგი ფიქრობდა, რომ დაბრუნება საჭიროა არა ცარიელი ხელებით და არა ბრბოს არაფრის მაქნისი შებრალებისა და წყალობის საფუძველზე, არამედ სახელოვანი საქმით. სწორედ ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე ხომალდით სამოსიდან გამოვიდა და კნიდოსსა და კოსს შემოუცურა. აქ გაიგო, რომ სპარტელი მინდარე მთელი ხომალდთკრებულით ჰელესპონტისაკენ მიემართებოდა, ხოლო ათენელები მის მდევრად დაძრულიყვნენ. ალკიბიადე მყისვე გაეშურა სტრატეგოსების დასახმარებლად. თავისი თვრამეტი ტრიერით მან ბედზე მიუსწრო აბისდოსთან გამართულ ბრძოლას სწორედ გადამწყვეტ ვითარებაში. დიდი საზღვაო ბრძოლა, რომელშიც ყველა ხომალდი მონაწილეობდა, ორივე მებრძოლი მხარისათვის შენაცვლებითი უპირატესობით, – ხან ერთისა და ხან მეორე მხარის დამარცხება გამარჯვებით, მიმდინარეობდა. ასე გასტანა ამ ბრძოლამ საღამომდე. ალკიბიადეს გამოჩენამ ორივე მხარეს ყალბი აზრი შეუქმნა: მტერი გამხნევდა, ათენელები კი შეშფოთდნენ. მალე ნავარქოსის ხომალდზე მეგობრობის მაუწყებელი ნიშანი აღიმართა და ალკიბიადე მყისვე ეკვეთა გამარჯვებულსა და უკუქცეული მეტოქის მდევარ პელოპონესელებს. ისინი მან ნაპირისაკენ აოტა და ისე მიუახლოვდა, რომ მათ ხომალდებს შეუწყვეტელი დარტყმით ზიანს ზიანზე აყენებდა. ხომალდებიდან გადმოცვენილ მეომრებს ხმელეთზე შველას უწევდა ფარნაბაზე და ზღვის სანაპიროზე გამართული ბრძოლით ხომალდების გადარჩენას ლამობდა.

ბოლოს და ბოლოს, ათენელებმა ხელთ იგდეს მტრის ოცდაათი ხომალდი, თავისი გემებიც დაიხსნეს და ტროპეონი აღმართეს.[57]

ასე ბედგაღიმებულმა და სიამაყით გულზე მოსულმა ალკიბიადემ

დაუყოვნებლივ მოინდომა, ტისაფერნესათვის თავი მოეწონებინა. ძღვენითა და საჩუქრებით ხელდამშვენებული, წინამძღოლისათვის შესაფერი მოსამსახურე ამალის თანხლებით, იგი მასთან გაემართა. მაგრამ საქმე ისე როდი წარიმართა, როგორსაც მოელოდა. ტისაფერნეს იმთავითვე ესმოდა ლაკედემონელების მისადმი მიმართული ლანძღვა-გინება და ახლა, იმის შიშით, მეფემ ბრალი არ დამდოსო, ალკიბიადეს გამოცხადება დროულად ჩათვალა, სტაცა მას ხელი და სარდეში დაამწყვდია. იმედოვნებდა, ამ უსამართლობით თავს დაიხსნიდა ბრალდებისაგან.

28. გავიდა ოცდაათი დღე. ალკიბიადემ საიდანღაც ცხენის შოვნა მოახერხა, დაუსხლტა მცველებს და კლაზომენეში გაიქცა. აქ ტისაფერნეს დააბრალა: ამან გამათავისუფლაო, და ათენელთა ბანაკისაკენ გაემგზავრა ზღვით. აქ შეიტყო, რომ მინდარე და ფარნაბაზე შეერთებულად კიზიკოში იმყოფებოდნენ. ამიტომ ჯარისკაცებს წაქეზებით მიმართა: თქვენ აუცილებლად გმართებთ, შეებრძოლოთ მტერს ზღვაზეც, ხმელეთზეც და, ვფიცავ ზევსს, თვით ქალაქის კედლებთანაც. თუ ბოლომდე არ გაიმარჯვებთ, ფულსაც ვერ ეღირსებითო! მან ხომალდები მეომრებით აავსო და პროკონესოსისაკენ გაცურა. აქ ბრძანება გასცა, მცირე გემები დიდ-დიდ ხომალდთა შორის ჩაემალათ და ყოველი ღონე ეხმარათ, რათა მტერს ვერსაიდან ვერ გაეგო მისი წინამძღოლობით ხომალდების აქ შემოსვლა. ბედზე, უეცრად საშინელი ბურუსი ჩამოწვა, მეხი გასკდა და თავსხმა წვიმა წამოვიდა. ამან ხელი შეუწყო ალკიბიადეს, მზადება ფარულად წარემართა. არათუ მტერმა ვერ შენიშნა ეს მზადება, თვით ათენელებიც ვერაფერს მიხვდნენ, სანამ ალკიბიადემ არ უბრძანა, ხომალდებზე ასულიყვნენ, და სანამ პირადად არ ახსნა ღუზა. ცოტა ხნის შემდეგ ბურუსი გაიფანტა და კიზიკოსელთა ნავსადგურის შესავალში წყალზე მოტორტმანე პელოპონესელთა ხომალდები გამოჩნდა. ალკიბიადე შეშინდა, ასეთი დიდი ძალის დამნახავი მტერი ხმელეთისაკენ არ უკუქცეულიყო. ამიტომ სტრატეგოსებს უბრძანა, ჩამორჩენოდნენ და ნელა ეცურათ. თვითონ კი ორმოცი ხომალდით სააშკარაოზე გავიდა და მტერი ბრძოლაში გამოიწვია. სპარტელები მოტყუვდნენ, მეტოქის ძალა უმნიშვნელოდ ჩათვალეს და მასზე იერიში მიიტანეს. ისინი დაუყოვნებლივ მიეახლნენ მეტოქეს და ბრძოლა გაუმართეს; მაგრამ უკვე გაცხარებულ ბრძოლაში ჩაბმულთ, ალკიბიადეს დანარჩენი ხომალდები ეკვეთნენ და შეშფოთებულმა პელოპონესელებმა უკუქცევა დაიწყეს. ალკიბიადე ოცი საუკეთესო ტრიერით დაედევნა

უკუქცეულ მტერს და ხმელეთთან მიიჭრა. მერმე, ნაპირზე გადავიდა, ხომალდებიდან გაქცეულ მტრის მეომრებს კვალდაკვალ მიჰყვა, დაეწია და მათი დიდი ნაწილი შემუსრა. მინდარე და ფარნაბაზე ცდილობდნენ, თავისიანებს შეშველებოდნენ, მაგრამ ალკიბიადემ ისინიც დაამარცხა: თავგამოდებულად მებრძოლი მინდარე მოკლა, ხოლო ფარნაბაზემ გაქცევით უშველა თავს. ათენელები დაეუფლნენ მოკლულებსა და მათ იარაღს, ხელთ იგდეს მეტოქის ყველა ხომალდი და დაიკავეს კიზიკოსიც, რომელიც ფარნაბაზემ მიატოვა. კიზიკოსის დაკავებისას გაულიტეს ქალაქის დასაცავად ჩაყენებული პელოპონესელები. ათენელები არა მარტო ჰელესპონტს დაეუფლნენ მტკიცედ, არამედ ბრძოლის შედეგად ზღვის დანარჩენი ნაწილიდანაც გარეკეს ლაკედემონელები. ათენელებს ხელთ ჩაუვარდათ ლაკონიკურად დაწერილი ბარათი, რომელიც ეფორებს[58] მომხდარ უბედურებას აუწყებდა: „ყოველი სიკეთე დაიღუპა. მინდარე მოკლულია. მეომრები შიმშილობენ. არ ვიცით, რა ვქნათ“.

29. ამ წარმატების შემდეგ ალკიბიადეს მეომრები ისე გაყოყოჩდნენ, რომ თავი უძლეველებად მიიჩნიეს და უღირს საქმედ თვლიდნენ, მრავალგზის დამარცხებანაგემ სხვა მეომრებს აღრეოდნენ. ცოტა ხნის წინ ეფესოსთან დამარცხდა თრასილე და ეფესოელებმა ათენელების შესარცხვენად ბრინჯაოს ტროპეონი დადგეს. ალკიბიადეს მეომრები ამის გამო კიცხავდნენ თრასილეს ჯარისკაცებს, ადიდებდნენ საკუთარ თავსა და თავიანთ სტრატეგოსს და არ სურღათ, დამარცხებულებთან ერთად ევარჯიშათ და მათთან ერთად ერთ ბანაკში ეცხოვრათ. მაგრამ მერმე, როცა ისინი აბიდოსელთა მხარეში შეიჭრნენ და მათ მრავალრიცხოვანი ცხენოსანი და ქვეითი რაზმებით ფარნაბაზე დაესხა თავს, ხოლო ალკიბიადემ დასახმარებლად ხელი გამოიღო და თრასილესთან ერთად მტერი უკუაქცია და საღამომდე კვალდაკვალ სდია. აი მაშინ ორივე ჯარი შეერთდა და საერთო მეგობრული განწყობითა და სიხარულით ბანაკში დაბრუნდა. მეორე დღეს ალკიბიადემ ტროპეონი დადგა და ფარნაბაზეს სამფლობელოს ძარცვა-რბევას შეუდგა ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. აქ მან ტყვედ ჩაიგდო ქურუმები და ქურუმიხენი, მაგრამ მერმე ყველა გაათავისუფლა გამოსასყიდის გარეშე.

ამჯერად ალკიბიადემ განიზრახა ომი გაემართა ათენელთაგან გადამდგარი ქალკედონელებისათვის, რომლებმაც ლაკედემონელების რაზმი და მისი მეთაური შეიკედლეს. მაგრამ, როცა გაიგო, ამათ მთელი ქონება შეაგროვეს და თავისი მხარიდან მეგობარ ბითვინ-

იელებთან გაიტანესო, თავისი ლაშქრით ბითვინიის საზღვრებს მიადგა და მაცნეს პირით ბითვინიელებს თავისი საყვედური შეუთვალა. შეშინებულმა ბითვინიელებმა ალკიბიადეს ქალკედონელების ქონებაც გადასცეს და მეგობრობაც დაამყარეს მასთან.

30. ალკიბიადე ქალკედონს ზღვიდან ზღვამდე კედელს ავლებდა, როცა ალყის გასარღვევად ფარნაბაზე მოადგა. მცველთა მეთაური ჰიპოკრატეც გამოვიდა ქალაქიდან თავისი რაზმით და ათენელებს ეკვეთა. ალკიბიადემ თავისი ჯარი ორივე მოწინააღმდეგის პირისპირ დარაზმა და ბრძოლაში ფარნაბაზე სამარცხვინოდ უკუაქცია, ჰიპოკრატე კი თავის ძლეულ მეომრებთან ერთად შემუსრა. შემდეგ იგი შევიდა ჰელესპონტში, სადაც ხარკის აკრეფას შეუდგა და იმავე დროს აიღო სელიბრია, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა და ძლივს გადარჩა. ისინი, რომლებსაც ქალაქის ჩაბარება ჰქონდათ გადაწყვეტილი, ალკიბიადეს შეჰპირდნენ, შუაღამისას ანთებული ჩირაღდნის აწევით მისცემდნენ ნიშანს, მაგრამ იძულებული გახდნენ, ეს ვადაზე ადრე გაეკეთებინათ, ვინაიდან შეეშინდათ ერთი თანაშეთქმულისა, ვინც ანაზდეულად გამცემი გახდა. როცა ჩირაღდანი აინთო, ჯარი ჯერ კიდევ არ იყო მზად; ალკიბიადემ თან წაიყვანა სულ ოცდაათი მეომარი, რომლებიც მასთან აღმოჩნდნენ და კედლებისაკენ გაიჭრა; დანარჩენ მეომრებს უბრძანა, ჩქარა მიჰყოლოდნენ. ქალაქის ჭიშკარი ღია დაუხვდა. როგორც კი შევიდა ქალაქში თავისი ოცდაათი მეომრით, რომლებსაც ოცი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი შეუერთდა, მყისვე დაინახა მის წინააღმდეგ დაძრული შეიარაღებული სელებრიელები. წინააღმდეგობის გაწევა, ჩანდა, ხსნას არ მოუტანდა; გაქცევაც შეუძლებელი იყო პატივმოყვარეობით გამსჭვალული კაცისთვის, რომელსაც მრავალგზის სტრატეგოსობაში ამ დღემდე არც ერთი დამარცხება არ უგემნია. მაშინ ალკიბიადემ ბუკით დუმილის დაცვის ნიშანი მიაცემინა და ერთ ერთ თავისიანთაგანს უბრძანა, სელებრიელებისათვის გადაეცა, რომ მათ ათენელების წინააღმდეგ იარაღი არ აღემართათ. მაცნის მოწოდებამ სელებრიელთა ნაწილს ბრძოლის ხალისი დაუკარგა: ეგონათ, მტრის მთელი ძალა უკვე კედლებს შიგნითაა შემოსულიო; ნაწილი კი დაზავების იმედით გაახარა. სანამ ესენი თავმოყრილად ერთმანეთში ბჭობდნენ, ალკიბიადეს მთელი ჯარი მოუვიდა. რაკიღა დარწმუნდა, სელებრიელები მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი, და ეს, მართლაც, ასე იყო, ალკიბიადეს შიში დაეუფლა: ვაითუ თრაკიელებმა ქალაქის გაძარცვა მოინდომონო.

თრაკიელები მრავლად იყვნენ მის ჯარში და მისადმი სიყვარულისა და კეთილგანწყობილების გამო ჯარისკაცის სამსახურს ბეჯითად ეწეოდნენ. ალკიბიადემ ისინი უკლებლივ გაისტუმრა ქალაქიდან, ხოლო სელებრიელებს, რომლებიც მიტევებას სთხოვდნენ, არაფერი ავნო; მან ფული აიღო მათგან მხოლოდ; მერმე ქალაქში მცველი რაზმი ჩააყენა და იქაურობას გაეცალა.

31. ქალკედონის ალყის მომცველმა სტრატეგოსებმა ამასობაში ფარნაბაზესთან შეთანხმება დადეს; მისგან უნდა მიეღოთ ფულადი ხარკი; ქალკედონელები კვლავ ათენელებს უნდა დამორჩილებოდნენ; ათენელები, თავის მხრივ, ფარნაბაზეს სამფლობელოს ხელს არ დააკარებდნენ; ფარნაბაზე კი სპარსთა მეფესთან მივლინებულ ათენელთა ელჩებს სრულ უსაფრთხოებას შეუქმნიდა.

როცა ალკიბიადე დაბრუნდა, ფარნაბაზემ სთხოვა: შენც დადე შეთანხმების ფიციო. ალკიბიადემ უპასუხა: პირველად მე არ ვიქმ ამას; ჯერ შენ უნდა შემოგვფიცოო!

ბოლოს და ბოლოს, ფიცი შეკრეს. ალკიბიადე ახლა ათენელთაგან გადამდგარ ბიზანტიელებს მიადგა და მათ ქალაქს საალყო კედლის შემოვლება დაუწყო. ბიზანტიელები – ანაქსილაე, ლიკურგე და კიდევ რამდენიმე კაცი ალკიბიადეს შეუთანხმდნენ, თუ უშიშროებას აღუთქვამდა, ქალაქს ჩააბარებდნენ. დადეს თუ არა საურთიერთო პირობა, ალკიბიადე მთელი თავისი ხომალდებით დღის სინათლეზე ზღვაში გავიდა იმ მიზეზით, თითქოს ათენელებს აქედან წასვლას აიძულებდა იონიაში დატრიალებული ახალი ამბები. მაგრამ ღამით უკან დაბრუნდა, ნაპირზე გადმოვიდა, მძიმედ შეიარაღებულ მეომართა რაზმით ქალაქის კედლებს მიადგა და იქ ჩასაფრდა. მისი ხომალდები კი ნავსადგურს მიადგნენ და შიგ შეიჭრნენ მეზღვაურთა მიერ ატეხილი საშინელი ყვირილით, ხმაურითა და ზათქით. მოულოდნელობით ზარდაცემული ბიზანტიელები თავისი ნავსადგურისა და ხომალდების დასახმარებლად გაეშურნენ, ხოლო ათენელთა მომხრეებს საშუალება მიეცათ, ალკიბიადე სრულიად უშიშრად შემოეშვათ ქალაქში. მაგრამ ათენელებმა უბრძოლველად წინ მაინც ვერ წაიწიეს. ბიზანტიონში მყოფმა პელოპონესელებმა, ბეოტიელებმა და მეგარელებმა ხომალდიდან გადმოსულები მოიგერიეს და კვლავ ხომალდებზე არეკეს, ხოლო როცა გაიგეს, ათენელები ქალაქში არიანო, შეერთებულად დაირაზმნენ და მტრისკენ გაეშურნენ. გააფთრებულ ბრძოლაში ალკიბიადემ მარჯვენა ფრთაზე გაიმარჯვა, თერამენემ – მარცხენაზე. ცოცხლად გადარჩენილი მოწი-

ნააღმდეგე სამასი მეომარი ტყვედ ჩაიგდეს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ არც ერთი ბიზანტიელი არ მოუკლავთ და არც გაუძევებიათ. ასეთი პირობის საფუძველზე ჩააბარეს ქალაქი ზემოთ მოხსენიებულმა ბიზანტიელებმა, რომელთაც თავისთვის განსაკუთრებული უპირატესობა არ მოუთხოვიათ. სწორედ ამიტომ ლაკედემონში ღალატისათვის სამართალში მიცემულმა ანაქსილაემ თავისი სიტყვით დაადასტურა, რომ სამარცხვინო საქმე არ ჩაუდენია. მან განაცხადა: მე ლაკედემონიელი კი არა, ბიზანტიელი გახლავართ; ჩემს თვალწინ საფრთხე ელოდა არა სპარტას, არამედ ბიზანტიონს. ქალაქის კედლით იყო ალყაშემორტყმული; შიგ ვეღარაფერი შემოჰქონდათ; საკვებს, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილი იყო ქალაქში, პელოპონესელები და ბეოტიელები ჭამდნენ, ბიზანტიელები კი თავიანთი ცოლ შვილით შიმშილობდნენ. მე ქალაქი მტრისთვის კი არ გადამიცია, არამედ ომსა და უბედურებას გადავარჩინე საუკეთესო ლაკედემონელ ვაჟკაცთა მიბაძვით, რომლებისათვისაც მხოლოდ ერთი რამაა ნამდვილად მშვენიერი და სამართლიანი - მამულის კეთილდღეობა. ამის მომსმენი ლაკედემონიელები შეცბუნდნენ და ანაქსილაეც და ამ საქმეზე სამართალში მიცემული სხვა პირებიც გაათავისუფლეს.

32. სამშობლოს ნახვას მოწყურებული და კიდევ უფრო მეტად იმის მსურველი, თანამოქალაქეებს მისი სახით წარსდგომოდა კაცი, რომელმაც ასე მრავალგზის მოიპოვა მტრებზე გამარჯვება, ალკიბიადე ახლა ზღვაში გავიდა.[59] ატიკური ტრიერები მას ორივე მხრივ მრავალი ფარითა და მტრისგან წართმეული სხვა ნადავლით მოერთო; თან მიჰყავდა მრავალი ნაალაფევი ხომალდი; მიჰქონდა აგრეთვე მის მიერ ძლეული და განადგურებული ხომალდების ცხვირთაგან დახსნილი მოკაზმულობა. ხომალდების რაოდენობა, რომელთა თანხლებითაც ალკიბიადე მიემართებოდა, ორასზე ნაკლები არ იყო. სამოსელი დურისი, რომელსაც თავისი გვარი ალკიბიადესაგან გამოჰყავს, ზემოხსენებულს უმატებს შემდეგს: მსვლელობის ჟამს პითიურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქრისოგენე სალამურზე მენიჩბეთა სიმღერას უკრავდა მეზღვაურებისათვის, რომელთაც სათაო ბრძანებებს ტრაგიკული მსახიობი კალიპედე აძლევდაო. ორივენი სტატოსებით, ქსისტიდებითა და შეჯიბრებაში საჭირო სხვა მორთულობით იყვნენ შემოსილნი.[60] ნავარქოსის ხომალდი მეწამული იალქნით ზარზეიმით შეიჭრა ათენის ნავსადგურში, ვით ღრეობიდან დაბრუნებული აშარი ვინმეო.

არც თეოპომპე, არც ეფოროსი და არც ქსენოფონტი ასეთ რამეებს არ წერენ. მართლაც, შეუფერებელი საქმე იქნებოდა, ასე აბუჩად აეგდო ალკიბიადეს ათენელები ამდენი უბედურების შემდეგ განძევებიდან დაბრუნების ჟამს. სინამდვილეში იგი რიდითა და კრძალვით უახლოვდებოდა ნავსადგურს და როცა მიადგა, მანამდე არ გადმოვიდა ტრიერიდან ნაპირზე, სანამ ერდოზე მდგარმა არ დაინახა თავისი ბიძაშვილი ევრიპტოლემე და თავმოყრილი მეგობრები და ნათესავები, რომლებიც მას გამამხნევებელი შეძახილებით ხვდებოდნენ. ბოლოს, როცა ნაპირზე გადმოვიდა, შესახვედრად მოსული ხალხი, თითქოს სხვა სტრატეგოსებს ვერ ხედავსო, მისკენ გაეშურა ყიჟინით. ყველანი მას ესალმებოდნენ, უკან მისდევდნენ და, თუ მიუახლოვდებოდნენ, გვირგვინებით ამკობდნენ. ვინც მიახლოებას ვერ ახერხებდა, შორიდან უცქეროდა, ხოლო უხუცესები ახალგაზრდებს მასზე უთითებდნენ. ქალაქის სიხარულს ბევრი ცრემლიც შეერია და ახლანდელ ბედნიერებას წარსულის უბედურების მოგონებაც ახლდა თან. ნანობდნენ: ალკიბიადესათვის რომ სახელმწიფოსა და მისი მხედრობის მეთაურობა მაშინაც დაგვენებებინა, სიცილიის შეცდომა არ მოხდებოდა და არც სხვა რამ განზრახულთაგანი გამოგვეცლებოდა ხელიდანო. ახლაც კი, რაკი გამგებლობა ხელთ აიღო, მიუხედავად იმისა, რომ ათენის პოლისი ზღვის სამფლობელოდან თითქმის სრულიად გამოძევებული, ხოლო ხმელეთზე მხოლოდ ქალაქის მისადგომების პატრონიღა დახვდა, ხოლო შიგნით ყველა ერთიმეორეს უპირისპირდება, ალკიბიადემ მაინც შეძლო დაკნინებული და დაქვეითებული ძლიერების აღდგენა და არათუ ზღვაზე ბატონობა დაუბრუნდა სახელმწიფოს, არამედ ხმელეთზეც ყველგან გამოაჩინა მისი ძალა მტრებზე მოპოვებული გამარჯვებებითო.

33. გადაწყვეტილება ალკიბიადეს დაბრუნების თაობაზე ადრევე მიიღეს კასქრეს ძის კრიტიას[61] წარდგინების საფუძველზე. კრიტია თვითონ გადმოგვცემს ამას ელეგიაში, რომელშიც ალკიბიადეს თავის წყალობას მოაგონებს:

ყველას წინაშე მე გამოვთქვი ხმამაღლა აზრი;
წერილობითაც დაგიმტკიცე აქ დაბრუნება,
და ბეჭდის დასმით დავადუმე ბაგენი ჩემნი...

და აი მაშინ, როცა ხალხმა თავი მოიყარა, ალკიბიადე კრების წინაშე წარდგა. ცრემლმორევითა და მწუხარებით ილაპარაკა გადატანილ ტანჯვა ვაებაზე; ოდნავ და თავშეკავებით გამოთქვა საყვედური

ხალხის მიმართ და ყველაფერი თავის უკუღმართ ბედსა და ღვთაების შურს დააბრალა. უპირატესად კი ხალხს მხნეობის მოსაკრებად მოუწოდა და მტრების დაძლევის იმედით აღავსო. ათენელებმა იგი ოქროს გვირგვინებით დააჯილდოვეს და ხმელეთისა და საზღვაო ძალების შეუზღუდველ სტრატეგოსად აირჩიეს. დაადგინეს აგრეთვე, დაებრუნებინათ მისთვის ჩამორთმეული ქონება და ევმოლპიდებისა და კერიკების მიერ ხალხის ბრძანებით დადებული შეჩვენება გაეუქმებინათ. ყოველი ქურუმი დაემორჩილა ამას, ოღონდ უზენაესმა ქურუმმა თეოდორემ განაცხადა: „თუკი სახელმწიფოსათვის ალკიბიადეს არავითარი ვნება არ მოუტანია, არც მე გამომითხოვია არც ერთი უბედურება მის თავზე დასატეხად".

34. ასე ბრწყინვალედ მიდიოდა ალკიბიადეს საქმენი, მაგრამ ზოგიერთები შეაშფოთა მისი დაბრუნების დრომ. სწორედ იმ დღეს, როცა იგი ათენის სანაპიროს მიადგა, ღმერთქალისადმი მიძღვნილ პლინტერიას იხდიდნენ. ამ წმიდა საიდუმლო ზეიმს პრაქსიერგიდები[62] თარგელიონის თვის მიწურულამდე ექვსი დღით ადრე იხდიან: ჩამოხსნიან ხოლმე ღმერთქალის ქანდაკებას ყველა მორთულობას და თვითონ ქანდაკებას შებურავენ. ეს დღე კვიმატ დღეთა შორის ყველაზე საბედისწერო დღედ მიაჩნიათ ათენელებს და ამის გამო ისინი ფიქრობდნენ: ღმერთქალი ალკიბიადეს კეთილგანწყობილებითა და ხალისით არ ღებულობს, ამიტომაც იბურება და თავიდან იცილებს დაბრუნებულსო.

მიუხედავად ამისა, ალკიბიადეს ყველაფერი განზრახულისდა მიხედვით რიგზე მისდიოდა; ის ასი ტრიერი, რომლებითაც ზღვაში უნდა გასულიყო, ყოველმხრივ მომზადებული ელოდა, მაგრამ არცთუ კეთილშობილებას მოკლებულმა პატივმოყვარეობამ შეიპყრო და საიდუმლო დღეობის დამთავრებამდე დააკავა. იმის შემდეგ, რაც მტრებმა დეკელია კედლებით გაამაგრეს და ელევსინისაკენ მიმავალ სახმელეთო გზას დაეპატრონენ, ზღვის გზით მიმავალ საზეიმო წმიდა სვლას თავისი მშვენება აღარ ჰქონდა: მსხვერპლთშეწირვა, ფერხულთა ჩაბმა და მსვლელობის ჟამს აღსასრულებელი მრავალი სხვა წმიდა წეს ჩვეულება, იაკქეს გამოსახულების ტარებას რომ ახლდა თან, იძულების გამო ვეღარ სრულდებოდა. ალკიბიადემ მიიჩნია, ღმერთების წინაშეც კეთილ სამსახურს გასწევდა და ხალხში სახელსაც მოიპოვებდა, თუ წმიდა საიდუმლოების ასრულების საქმეს მამაპაპეულ სახეს დაუბრუნებდა და საზეიმო სვლას მტრის თავდასხმისაგან დაცვით ხმელეთით მოაწყობდა: ან განძრევის სა-

შუალებას არ მივცემ აგისს[63] და სრულიად დავაკნინებ და დავცემ, ანდა მამულის თვალწინ გავმართავ წმიდა და ღმერთებისათვის სასურველ ბრძოლას უწმიდესი და უდიდესი საქმისათვის და ჩემი მამაცობის მოწმე ყველა თანამოქალაქე იქნებაო.

ასე გადაწყვიტა ალკიბიადემ და თავისი ეს გადაწყვეტილება ევმოლპიდებსა და კერიკებს აუწყა. მაღლობებზე მეთვალყურენი ჩასხა და გათენებისთანავე ჯერ რამდენიმე მალემსრბოლი გაგზავნა წინ, მერმე კი შეიარაღებული მეომრებით გარშემოჯარული მისტები და მისტაგოგები[64] წაიყვანა სრული წესრიგისა და დუმილის დაცვით. ეს მხედრული სვლა ისეთი მნიშვნელოვანი და საოცარი სანახაობა იყო, რომ მოშურნეთა გარდა, ყველა ჭეშმარიტად წმიდა საიდუმლოების აღსრულებას უწოდებდა. მტერთაგან ვერავინ ვერ გაბედა, თავს დასხმოდა მსვლელობის მონაწილეთ; ალკიბიადემ ყველა უსაფრთხოდ დააბრუნა ქალაქში. იგი ამ საქმით თვითონაც ამაყობდა და მისგან გაამაყებული ჯარიც თვლიდა, ალკიბიადეს წინამძღოლობით მუდამ უძლეველი და დაუმარცხებელი იქნებოდა. უბრალო და ღარიბი ხალხის გული ისე მოიგო, რომ საოცარი სიყვარულით შეიყვარეს და მისი ტირანობის ქვეშ ყოფნას ნატრობდნენ. ზოგიერთი პირდაპირ ამბობდა ამას და ალკიბიადეს მოუწოდებდნენ: აღმაღლებულიყო ყოველგვარ შურზე, დაეძლია გადაწყვეტილებანი და კანონები, ყური არ ეგდო მოლაყბეთათვის, რომლებიც სახელმწიფოს ღუპავდნენ და ცილისმწამებელთა შიშის გარეშე ემოქმედა და სახელმწიფო საქმეს გასძღოლოდა.

35. ცნობილი არაა, რა აზრისა იყო თვითონ ალკიბიადე ტირანიაზე. რაც შეეხება ათენის ყველაზე გავლენიან მოქალაქეებს, ისინი დაშინებულნი იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გასულიყო იგი ზღვაში. ამასთანავე მხარს უჭერდნენ ყველაფერში და იმ პირთა სასარგებლოდაც მისცეს თავიანთი ხმები, რომლებიც ალკიბიადეს თანამოსაგრეებად სურდა.

გავიდა თუ არა ასი ხომალდით ზღვაში, ალკიბიადე მალე მიადგა ანდროსს და ბრძოლაში დაამარცხა ანდროსელებიც და მათთან მყოფი ლაკედემიენიელებიც, მაგრამ ქალაქი არ აუღია. ამით მან თავის წინააღმდეგ ახალ ბრალდებათა პირველი საბაბი მისცა მტრებს. ეტყობა, თუ ვინმეს საკუთარი დიდება ღუპავდა, ამის მაგალითი სწორედ ალკიბიადე გახლდათ. დიდი იყო მისი მამაცობისა და გონებაგამჭრიახობის სახელი, რაც მისმა წარმატებებმა შექმნეს. ამიტომ ყოველი მისი წარუმატებლობა ეჭვს იწვევდა: სი-

ზანტეს სწამებდნენ და არ უჯერებდნენ, რომ იყო ისეთი რამ, რის გაკეთებაც არ ძალუძდა: თუ მოინდომა, წინ ვერაფერი დაუდგებაო! ათენელები იმედოვნებოდნენ, მალე ეუწყებოდათ ქიოსისა და, საერთოდ, მთელი იონიის აღების ამბავი; მაგრამ, როცა გებულობდნენ, ყველაფერი ისე სწრაფად და დაუყოვნებლივ არ სრულდებოდა, როგორც სურდათ, საშინლად წყრებოდნენ. მათ სრულიადაც არ აფიქრებდათ ის ვითარება, რომ ალკიბიადე მეტისმეტი ნივთიერი გაჭირვებით ომობდა იმ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც თანხით დიდი მეფე[65] ამარაგებდა. ამის გამო ალკიბიადე ხშირად იძულებული იყო, დაეტოვებინა ბანაკი და ზღვად გასულიყო ჯარისკაცთა ქირისა და საკვების მოსაპოვებლად. ამ მიზეზით მან კიდევ ერთი ბრალდება დაიტეხა თავს. ლაკედემონიელების მიერ ფლოტის მეთაურად დაყენებული ლისანდრე, რომელიც ფულს კიროსისაგან[66] ღებულობდა, ყოველ მეზღვაურს ქირად, წინანდელი სამი ობოლის ნაცვლად, ოთხ ობოლს აძლევდა; ალკიბიადეს კი ამ დროს ძალზე უჭირდა და თავის მეომრებს სამ ობოლსაც ძლივს უხდიდა. იგი ფულის შესაგროვებლად კარიაში გაემგზავრა, ხომალდთა გამგებლად კი დატოვა ანტიოქე, მესაჭედ ვარგისი, მაგრამ სხვაფრივ უგუნური და უხეში კაცი. ალკიბიადესაგან მას ნაბრძანები ჰქონდა, მტრებს სულ ახლოსაც რომ მოეცურათ თავდასასხმელად, არამც და არამც ზღვაზე ბრძოლაში არ ჩაბმულიყო; მაგრამ იგი ისე გაყოყოჩდა და ისე აბუჩად აიგდო ნაბრძანები, რომ მოამზადა ერთი თავისი და ერთიც სხვა ტრიერი, მიცურდა ეფესოსთან და მტრის ხომალდთა ცხვირებს ხან აღმა დაუყვა, ხან დაღმა და თან მეტოქეს პრანჭვა-გრეხითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გაღიზიანება დაუწყო. ლისანდრე ჯერ რამდენიმე ხომალდით დაედევნა მას, მერმე კი, როცა თავისიანებს ათენელები წამოეშველნენ, მან ყველა ხომალდი გამოიყვანა და გაიმარჯვა კიდეც. ანტიოქე მოკლეს. ლისანდრემ ხელთ იგდო მრავალი ხომალდი, მრავალი ტყვე და ტროპეონი აღმართა. როცა ეს ამბავი გაიგო, ალკიბიადე სამოსზე დაბრუნდა, მერმე მთელი ფლოტით ზღვაში გავიდა და ლისანდრეს ბრძოლაში იწვევდა; მაგრამ ლისანდრე თავისი გამარჯვებით ხარობდა და მტრის ეს გამოწვევა აღარ მიიღო.

36. ალკიბიადეს ბანაკში იმყოფებოდა ერთ ერთი მისი მოძულე და მტერი თრასიბულე თრასონის ძე, რომელიც ალკიბიადესათვის ბრალის დასადებად ათენში გაემგზავრა. აქ მან ათენელები გააღიზიანა და თავყრილობაზე ხალხს განუცხადა: ალკიბიადემ საქმე გაა-

ფუჭა და ხომალდებიც დაკარგა იმის გამო, რომ აგდებით მოეკიდა თავის ძალაუფლებას და მეთაურობა გადასცა იმ პირთ, რომლებმაც მასთან დიდი გავლენა მოიპოვეს ლოთობისა და მეზღვაურული ცუნდრუკ სიტყვაობის წყალობით. თვითონ კი ხელები გაიხსნა, ფულის საშოვრად აღმა დაღმა ცურვა დაიწყო და ლოთობასა და აღვირახსნილ ცხოვრებას შეუდგა აბიდოსელ და იონიელ ჰეტერებთან მაშინ, როცა მტრები სულ ახლო არიან ჩასაფრებულნიო! ბრალად სდებდნენ ალკიბიადეს აგრეთვე ციხესიმაგრის აგებას თრაკიაში ბისანეთესთან: ეს თავისთვის ააგო თავშესაფრად, თუ სამშობლოში ცხოვრება ვერ შეძლო ან არ მოისურვაო. ათენელებმა ყველაფერი ეს დაიჯერეს, სხვა სტრატეგოსები აირჩიეს და ამით ალკიბიადესადმი თავისი წყრომა და ცუდი განწყობილება გამოხატეს. ეს რომ შეიტყო, ალკიბიადე შეშინდა და ბანაკი მთლიანად დატოვა. აქედან წასულმა მოქირავნენი შეკრიბა, დამოუკიდებლად გაუმართა ომი მეფეთაგან დაუმორჩილებელ თრაკიელებს და დატყვევებულთაგან გამოსასყიდი თანხის აღებით დიდძალ ფულს მოუყარა თავი; იქ მოსახლე ელინებს კი ხსენებულ ბარბაროსთაგან ხელშეუვალობა და უსაფრთხოება მოუპოვა.

კარგა ხნის შემდეგ სტრატეგოსები ტიდევსი, მენანდრე და ადიმანტი ყველა იმ ხომალდით, რომლებიც მაშინ ათენელების განკარგულებაში იყო, ეგოსპოტამოსის შესართავთან განლაგდნენ. როგორც კი გათენდებოდა, ისინი, ჩვეულებრივ, მიცურდებოდნენ ხოლმე ლამფსაკოსთან, სადაც ლისანდრე იდგა თავისი ფლოტით. ათენელი სტრატეგოსები ცდილობდნენ, იგი ბრძოლაში გამოეწვიათ, მერმე კი უკან ბრუნდებოდნენ და მტრის სრული უგულებელყოფით მთელ დღეს უწესრიგობასა და უზრუნველობაში ატარებდნენ. ახლოს მყოფმა ალკიბიადემ ამას თვალი ვერ აარიდა, ვერც უზრუნველობა მოითმინა; იგი ცხენზე ამხედრებული მიიჭრა სტრატეგოსებთან და რჩევა დარიგებით მიმართა: მეტად მოუხერხებელ ადგილზე ჩაგიშვიათ ღუზა; აქ არც ნავსადგურია, არც ქალაქი; სურსათის წამოღებაც მოშორებული სესტოსიდან გიწევთ! თქვენ ამაოდ არიდებთ თვალს ხმელეთზე გადასულ თქვენს მეზღვაურებს, რომლებიც მიმოფანტულნი დაყიალობენ, ვისაც სად მოესურვება მაშინ, როცა აგერ საპირისპიროდ დგას მტრის ხომალდთა კრებული, რომელიც მიჩვეულია ერთპიროვნულ ბრძანებას დაემორჩილოს და ყველაფერი სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულოს!

37. ამას ამბობდა ალკიბიადე და რჩევას იძლეოდა, ფლოტი

სესტოში გადაეყვანათ, მაგრამ სტრატეგოსებმა მისი დარიგება ახლოს არ მიიკარეს. ის კი არადა, ტიდევსმა ქედმაღლურად უბრძანა: „აქედან მოგვშორდი; შენ კი არა გაქვს დავალებული მეთაურობა, არამედ სხვებს!" ალკიბიადემ ისინი მოღალატეებად ჩათვალა და გადაწყვიტა, იქაურობას გასცლოდა. წასვლის წინ მის გასაცილებლად ბანაკიდან გამოსულ ნაცნობებს უთხრა: სტრატეგოსებს რომ ასე არ გაველანძღე, ლაკედემონიელებს სულ რამდენიმე დღეში ვაიძულებდი, საკუთარი სურვილის მიუხედავად, საზღვაო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ ათენელებთან, თუ არადა – ხომალდებს დაკარგავდნენო. ზოგიერთს ეგონა, იგი ბაქიბუქობდა, ზოგიერთის აზრით კი – სრულიად შესაძლებელს ამბობდა. ესენი ფიქრობდნენ: მან რომ ხმელეთიდან წამოიყვანოს ბევრი შუბოსანი და ცხენოსანი თრაკიელი და შეუტიოს, სპარტელთა ბანაკს თავ გზას დაუკარგავსო. ასე იყო თუ ისე, ალკიბიადემ ათენელთა შეცდომები სწორად შენიშნა და ეს მალე დაადასტურა საქმემ. ათენელებისათვის სრულიად მოულოდნელად, ლისანდრე უცებ დაესხა მათ თავს და მხოლოდ რვა ხომალდი დაუსხლტა მას კონონის მეთაურობით, დანარჩენი კი – თითქმის ორასი გემი მტრის ნადავლი გახდა. სამი ათასი კაცი ლისანდრემ ტყვედ ჩაიგდო და ყველა გამოასალმა სიცოცხლეს. ცოტა ხნის შემდეგ კი ათენიც აიღო, მეტოქის ხომალდები ცეცხლს მისცა და გრძელი კედლებიც დაანგრია.[67]

ამ ამბის შემდეგ ზღვასა და ხმელეთზე გაბატონებული ლაკედემონიელების შიშით ალკიბიადე ბითვინიაში გადავიდა; მან თან წაიღო დიდძალი ქონება და კიდევ უფრო მეტი იმ სიმაგრეში დატოვა, რომელშიც ცხოვრობდა. მაგრამ ბითვინიაში მან კვლავ დაკარგა თავისი ქონების არცთუ მცირე ნაწილი, რომელიც იქაურმა თრაკიელებმა წაართვეს. ახლა მან გადაწყვიტა, წასულიყო არტაქსერქსესთან[68] იმ იმედით, რომ მეფე მას კარგად გაიცნობდა და იმაზე ნაკლებ საჭირო კაცად არ მიიჩნევდა, როგორც თემისტოკლე მიიჩნიეს თავის დროზე. არტაქსერქსესთან გადასვლის საბაბიც ალკიბიადეს უკეთესი ჰქონდა: იგი სპარსთა მეფისათვის თავის დახმარების შეთავაზებას, თემისტოკლეს მსგავსად, თანამოქალაქეთა წინააღმდეგ საბრძოლველად კი არ აპირებდა, არამედ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი მტრების საწინააღმდეგოდ და სწორედ ეს უნდოდა მეფისათვის ეთხოვა. ალკიბიადე ფიქრობდა, მგზავრობაში მას ყველაზე მეტად ფარნაბაზე უზრუნველყოფდა ხელშეწყობითა და უსაფრთხოებით. ამიტომ ჯერ ფრიგიაში გაემართა ფარნაბაზ-

ესთან, ერთხანს მასთან ცხოვრობდა, პატივისცემით ეკიდებოდა და თვითონაც სამაგიერო პატივში ჰყავდათ.

38. ათენელები მეტისმეტად წუხდნენ ჰეგემონიის დაკარგვას. როცა ლისანდრემ მათ თავისუფლებაც წაართვა და ქალაქი „ოცდაათს“[69] გადასცა, როცა ყოველი წამოწყება დაიღუპა, მაშინ მიხვდნენ, რომ არ გამოიყენეს ის მოსაზრებანი, რომლებითაც თავის გადარჩენა შეეძლოთ. დიდი დარდითა და ვაებით განიხილეს თავიანთი შეცდომები და უგუნურებით განცდილი ყველა მარცხი და ყველაზე დიდ გადაცდომად მიიჩნიეს ალკიბიადესადმი მიმართული მეორეგზისი წყრომა და რისხვა. მართლაცდა, უდანაშაულოდ იქნა იგი გაძევებული მაშინ, როცა ათენელები რამდენიმე ხომალდის სამარცხვინოდ დაკარგვის გამო მის თანაშემწეზე, ატიოქეზე, გაწყრნენ, მაგრამ თვითონ უფრო სამარცხვინოდ დაუკარგეს სახელმწიფოს უძლიერესი და უმამაცესი სტრატეგოსი. მიუხედავად აწმყოში შექმნილი ვითარებისა, მათ მაინც ჰქონდათ სუსტი იმედი, რომ ათენის მოქალაქეთათვის ყველაფერი დაკარგული არ იყო, სანამ ალკიბიადე ცოცხლობდა; პირველი გაძევების ჟამსაც არ მოუნდომებია ალკიბიადეს უქმი და მშვიდი ცხოვრება და, თუ შესაძლებლობა და სახსარი ექნა, არც ახლა აარიდებს თვალს ლაკედემონიელების თავხედობასა და „ოცდაათის“ მძვინვარებასო. ხალხის ოცნება აზრს როდი იყო მოკლებული. თავის მხრივ, „ოცდაათის“ მმართველობაც შეწუხებული გახლდათ იმაზე ფიქრით, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დაბეჯითებით ცდილობდა, გაეგო, რას აკეთებდა და რას იზრახავდა ამჟამად ალკიბიადე. ბოლოს და ბოლოს, კრიტიამ ლისანდრეს შეაგონა, ლაკედემონიელები უშიშრად ვერ იბატონებდნენ ელადაში, თუ ათენში დემოკრატია იმძლავრებდა: მართალია, ათენელები ახლა ლმობიერად და მოთმინებით ეკიდებიან ოლიგარქიას, მაგრამ ალკიბიადე, სანამ ცოცხალია, არ დაანებებს მათ, მშვიდად შეურიგდნენ არსებულ ვითარებასო. ლისანდრე ამ მოსაზრებებს მანამდე არ დაეთანხმა, სანამ სპარტიდან საიდუმლო წერილით[70] არ უბრძანეს, მოესპო ალკიბიადე. ჩანს, სპარტელებსაც აფრთხობდა ალკიბიადეს სიმძაფრე, და დიდ საქმეთა მისი ხემიმყოფლობა. ანდა, შესაძლოა, მათ უბრალოდ მეფე აგისის გულის მოგება სურდათ.

39. ლისანდრემ ეს ბრძანება შესასრულებლად გაუგზავნა ფარნაბაზეს. მან ეს საქმე თავის ძმას მაგეოსსა და ბიძას – სუსამითრეს დააკისრა. ალკიბიადე ამ დროს ფრიგიის ერთ სოფელში ცხოვრობდა ჰეტერა ტიმანდრესთან ერთად. აქ მან ერთხელ ასეთი სიზმარი

ნახა: ეზმანა, თითქოს გახვეული იყო თავისი საყვარელი ქალის სამოსში; ამას კი თავი კალთაში ჩაედო და სახეზე, ისე ვით ქალს, ფერ-უმარილს სცხებდა. სხვები კი ამბობენ: ეზმანა, ვითომ მაგეოსმა და მისმა დამქაშებმა თავი მოჭრეს და სხეული დაწვესო. იმასაც ამბობენ: ასეთი სიზმარი უშუალოდ სიკვდილის წინ არ უხილავსო.

მიგზავნილმა მკვლელებმა სახლში შესვლა ვერ გაბედეს თურმე: სახლს გარს შემოერტყნენ და ცეცხლი წაუკიდესო; როგორც კი შენიშნა ცეცხლი, ალკიბიადემ ხელი სტაცა ყველა წამოსასხამს და ფარდაგებს და ცეცხლს დააყარა; მარცხენა ხელზე ქლამიდი დაიხვია, მარჯვენათი ამოწვდილი მახვილი დაიჭირა და უვნებლად გამოვარდა ცეცხლიდან, სანამ იგი წამოსასხამებსა და ფარდაგებს მოედებოდა. საკმარისი გახდა ალკიბიადეს დანახვა, რომ ბარბაროსები მყისვე მიმოიფანტულიყვნენ. ვერავინ ვერ დაუდგა მას წინ და ვერ გაუმართა ხელჩართული ბრძოლა. ყველამ უკან დაიხია და მოშორებით მდგარნი ესროდნენ შუბებსა და ისრებს. ბოლოს და ბოლოს, ალკიბიადე დაეცა და ბარბაროსებიც წავიდნენ. ტიმანდრამ გვამი მიწიდან „იღო, წამოსასხამებში გაახვია და რაც კი შესაძლებლობა ჰქონდა, ჩინებულად და პატივით დაკრძალა[71].

ამბობენ, ტიმანდრას ასული იყოო ლაისე, ვისაც „კორინთელ ქალს“ ეძახდნენ და ვინც სიცილიის ქალაქ ჰიკარადან იყო ტყვედ წამოყვანილი.

ზოგიერთები, ეთანხმებიან რა საერთოდ ალკიბიადეს აღსასრულის თაობაზე აქ გადმოცემულ ამბებს, მის დაღუპვას ფარნაბაზეს, ლისანდრესა და ლაკედემონიელებს კი არ აბრალებენ, არამედ თვითონ ალკიბიადეს. მან თურმე შეაცდინა ერთი წარჩინებული გვარის ქალი, რომელიც მერმე თავისთან ჰყავდა. ქალის ძმებმა ასეთი შეურაცხყოფა ვერ აიტანეს, ღამით ცეცხლი წაუკიდეს იმ სახლს, რომელშიც ალკიბიადე ცხოვრობდა და, როგორც ითქვა, იგი მაშინ მოკლეს, როცა ცეცხლს დაუსხლტა და გარეთ გამოიჭრაო.

კორიოლანუსი



1. პატრიციული წარმომავლობის მარციუსების სახლმა რომს მრავალი სახელოვანი ვაჟკაცი შესძინა. მათ შორის გახლდათ ანკუს მარციუსი, ნუმას ბადიში, ვინც ტულუს ჰოსტილიუსი მეფობაში შეცვალა. მარციუსები იყვნენ აგრეთვე პუბლიუსი და კვინტუსი, რომლებმაც რომში ყველაზე უხვი და საუკეთესო წყალსადენი გამოიყვანეს.[1] მარციუსის გვარისა იყო ცენზორინუსიც,[2] რომელიც რომაელმა ხალხმა ორგზის აირჩია ცენზორად, ვისი რჩევითაც მიიღო კანონი და დაადგინა, ამ თანამდებობის ორჯერ დაკავების ნება არავისთვის აღარ მიეცათ. რაც შეეხება გაიუს მარციუსს, ვის გამოც ეს თხრობა დაიწერა, მამით ობოლი და ქვრივი დედის გაზრდილი იყო, მაგრამ პირადი მაგალითით აჩვენა, რომ ობლობა, რასაც თან ბევრი უკეთღმართობა ახლავს, სრულიადაც ვერ უშლის ხელს ადამიანს, ღირსეული და მრავალთა შორის გამორჩეული კაცი გახდეს, და რომ საჩივარსა და საყვედურს იმსახურებენ მხოლოდ უვარგისები, რომლებიც საკუთარ წახდენას უპატრონობას აბრალებენ. მეორე მხრივ, ამ კაცის მაგალითი იმათი აზრის დასადასტურებლადაც გამოდგა, რომლებიც ფიქრობენ, კეთილშობილსა და კარგ არსებასაც კი, თუ იგი მშობლიურ აღზრდას მოკლებულია, სიკეთესთან ერთად ბევრი უკეთურებაც დაჰყვება თან, ვით ზრუნვისა და დამუშავების გარეშე დარჩენილ ნოყიერ ნიადაგს.

გაიუს მარციუსის სულისა და აზრის სიმტკიცესა და შეუპოვრობას ყოველ საქმეში, დიდ მისწრაფებათა შედეგად, სიკეთეც მოჰქონდა, მაგრამ დაუოკებელი რისხვისა და გადაჭარბებული პატივმოყვარეობის სათავეც იყო, რაც ხალხთან ურთიერთობას მეტად აძნელებდა. ისინი, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ მისი გულგრილობით განცხრომისადმი, ცხოვრებისეული დაბრკოლებებისა და სიმდიდრისადმი, ხშირად იმოწმებდნენ მის თავშეკავებას, სამართლიანობასა და მამაცობას, - აი ისინიც კი ვერ იტანდნენ მასთან ურთიერთობას სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მისი უმადურობისა

და ოლიგარქიული მიდრეკილების გამო. ადამიანები ვერაფერში ვერ ჰპოვებენ ხოლმე იმდენ კმაყოფილებას, რამდენსაც იღებენ მუზების კეთილგანწყობილების წყალობით, რადგან სწორედ ეს მადლი ათვინიერებს კაცის ბუნებას ცოდნისა და აღზრდის გზით, აჩვევს კაცს გონიერ ზომიერებას.

იმ ხანებში რომის სახელმწიფო ზნეობრივი სრულყოფილების ყველაზე აღმატებულ გამოვლინებად საომარ საქმიანობაში წარმატებასა და მხედრულ გმირობას მიიჩნევდა. ამას გვიმოწმებს ის, რომ ზნეობრივი სრულყოფილების, ანუ უზენაესი სიკეთისა და მამაცობის ცნებებს რომაელები ერთი სიტყვით გამოხატავენ.[3] უზენაესი სიკეთის ეს სახელი, რომლითაც მამაცობას აღნიშნავენ, საზოგადო სახელად იხმარება.

2. მარციუსს თავის ტოლ-სწორებში ყველაზე მეტად ახასიათებდა სამხედრო შეჯიბრებებისადმი მისწრაფება და ბავშვობიდანვე იარაღს მოჰკიდა ხელი; მაგრამ ფიქრობდა: შეძენილი იარაღი უმაქნისია, თუ კაცს ბუნებრივი, თანდაყოლილი იარაღი არა აქვს შემართულ-მომზადებულიო. ამიტომ ისე მიაჩვია თავისი სხეული ბრძოლის ყოველგვარ სახეს, რომ სირბილშიც მარჯვე იყო და ხელჩართულ თუ სხვაგვარ შეტაკებაშიც დაუძლეველი. შეუპოვრობასა და მამაცობაში მისი მეტოქენი ყოველთვის, როცა მარცხდებოდნენ, ამას მისი სხეულის დაუძლეველსა და ყოველ შრომაში დაუცხრომელ ძალას აბრალებდნენ.

3. ჯერ კიდევ ჭაბუკმა მარციუსმა ლაშქრობაში პირველი მონაწილეობა მაშინ მიიღო, როცა რომის ყოფილმა მეფემ, გაძევებულმა ტარკვინუსმა, მრავალი ბრძოლისა და დამარცხების შემდეგ უკანასკნელად ჰყარა წილი და ლატინების დიდი ნაწილისა და მრავალი სხვა იტალიელის დახმარებით რომის წინააღმდეგ გამოემართა. ხსენებულ ტომებს ტარკვინუსის გულის მოგებაზე უფრო მეტად რომაელების შემუსვრა სურდათ იმ შიშისა და შურის გამო, რასაც მათი აღზევება იწვევდა. გარდამავალი ხასიათის ბრძოლაში, როცა გამარჯვება ხან ერთი და ხან მეორე მხარისაკენ იხრებოდა, მარციუსი თავგამოდებით იბრძოდა. მან უცბად დაინახა, რომ ერთი რომაელი ვაჟკაცი მის მახლობლად წაიქცა. მარციუსმა იგი უყურადღებოდ კი არ დატოვა, არამედ დასაცავად წინ აეფარა და დაცემულისკენ გამოჭრილი მტრის მეომარი იქვე მოკლა. ეს მოხდა დიქტატორის თვალწინ. გამარჯვების შემდეგ რომაელთა მთავარსარდალმა მარციუსი პირველთა შორის მუხის გვირგვინით შეამკო.

ასეთი გვირგვინით კანონი აჯილდოებდა მას, ვინც თანამოქალაქეს თავისი ფარით დაიცავდა. შესაძლოა, კანონი ამით პატივს სცემდა მუხას არკადიელების გამო,[4] რომელთაც ღვთის მისანმა „რკოს მჭამელნი“ უწოდა; შეიძლება იმ მიზეზით, რომ მუხა ყველგან ხარობს და მოლაშქრესათვის სწრაფად და ადვილად ხელმისაწვდომია; ანდა, შესაძლოა იმიტომ, რომ მუხის გვირგვინი ქალაქთმფარველი ზევსისადმი შეწირული საგანია და თანამოქალაქის გადარჩენისათვის შესაფერ ჯილდოდ ითვლება. ველურ ხეთაგან მუხა ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხეა, შინაურთაგან კი ყველაზე ძლიერი. მისი ნაყოფი – რკო საკვები იყო, ხოლო გამონაწვლილი თაფლი – სასმელი; იგი საკვებად იძლეოდა ბევრი მაძოვარი პირუტყვისა და ფრთოსანის ხორცს, რადგან ადამიანს აწვდიდა სანადირო იარაღს – ეგრეთ წოდებულ „ჩიტის წებოს“.[5]

ამბობენ, იმ ბრძოლაში მონაწილეთ დიოსკურები[6] გამოეცხადათ თურმე. ბრძოლის შემდეგ ისინი გაოფლიანებულ რაშებზე ამხედრებულნი მიიჭრნენ ფორუმზე და გამარჯვების ამბავი მიიტანეს. ახლა იმ ადგილზე, წყაროსთან, მათთვის აგებული ტაძარი დგას. აი ამის გამო გამარჯვების ის დღე – ივლისის იდები – დიოსკურებისადმია შეწირული.

4. იმ ყმაწვილ კაცებში, რომელთა პატივმოყვარეობა ზერელე ხასიათისაა, ადრე მოპოვებული სახელი და დიდება, ეტყობა, წყურვილის დაცხრომისა და სიმაძღრის გრძნობებს მალე იწვევს და მგზნებარების ცეცხლს აქრობს; შეუპოვარი და მტკიცე ბუნების ახალგაზრდებს კი, პირიქით, შეძენილი პატივი ამაღლებს, ბრწყინვალებით მოსავს და ქარის ქროლვასავით მიაქანებს ოცნებაში წარმოსახული მშვენიერი მიზნისაკენ. ესენი, შეიძლება ითქვას, ანაზღაურებას კი არ ღებულობენ, არამედ საწინდარს დებენ, რცხვენიათ, მათ პატივს რაიმე მოაკლდეს და ცდილობენ, ახალი საქმეებით გაზარდონ იგი. მარციუსი სწორედ ასეთი მისწრაფებით იყო გამსჭვალული და თავის თავს ეტოქებოდა სიმამაცეში; სურდა, მუდამ ახალ-ახალი საქმიანობით გამოეჩინა თავი. წარმატებებს კვლავ წარმატებებს უმატებდა, ნადავლზე ნადავლი მოჰქონდა და ამიტომაც ყოველი ახალი წინამძღოლი წინანდელ ლაშქრობათა მეთაურებს ეჯიბრებოდა, გაესწრო მათთვის მარციუსის საპატიო ჯილდოებით შემკობისა და მისი სიქველის მოწმედ ყოფნის საქმეში.

იმ ხანებში რომაელებმა მრავალი ბრძოლა და ომი გადაიხადეს და არ ყოფილა შემთხვევა, მარციუსი რომელიმე მათგანიდან გვირგვინ-

ისა და ჯილდოს გარეშე დაბრუნებულიყო. თუ ზოგიერთისათვის მამაცობისა და სიქველის მიზანი სახელის მოპოვება იყო, მარციუსი ამ სახელს დედის გასახარებლად ეძიებდა. როცა მის ქება-დიდებას ისმენდა და მისი გვირგვინით შემკობას უყურებდა, დედა სიამისაგან ტირილით ეხვეოდა, ხოლო მარციუსი თვლიდა, რომ მან უზენაესი პატივი და ნეტარება მოიმკო. ამბობენ, სწორედ ასეთ განცდას აღიარებდა ეპამინონდა, რომელიც თავის უდიდეს ბედნიერებად თვლიდაიმას, რომ მისი დედ-მამა მოესწრო მის მონაწილეობასა და გამარჯვებას ლევკტრასთან გადახდილ ბრძოლაში. ეპამინონდამ ორივე მშობელთან ერთად იგემა სიამე და წარმატებით გამოწვეული ნეტარება, მარციუსი კი მიიჩნევდა, რომ დედამისს ეკუთვნოდა ყველა ის მადლობა, რასაც მამასაც გადაუხდიდა. მარციუსი ყოველთვის ახერხებდა დედის - ვოლუმნიას გახარებასა და პატივისცემას. ცოლიც მისი რჩევითა და თხოვნით შეირთო და, როცა ბავშვები ეყოლა, კვლავ დედასთან ერთად ცხოვრობდა ერთ სახლში.

5. სიქველისაგან წარმომდგარი სახელი და ძალა მარციუსისა უკვე საკმაოდ დიდი იყო რომში, როცა სენატი მდიდართა დასაცავად აღდგა ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მევახშეთაგან უსაზღვროდ დაჩაგრულად თვლიდა თავს. ზოგიერთი ქონების პატრონები მათ სრულიად გააჩანაგეს დაწინდებულის წართმევით და სარჩო-საბადებლის გაყიდვით; მთლად ღარიბ-ღატაკთ კი იჭერდნენ და საპყრობილეში ამწყვდევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ტანი დაფარული ჰქონდათ ჭრილობათა მრავალი ნაწიბურით, რაც მოწმობდა მათ ჯაფასა და ღვაწლს სამშობლოსათვის გადატანილ ლაშქრობებში. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოლოდროინდელ ბრძოლაში საბინების წინააღმდეგ, როცა მდიდრებმა აღუთქვეს ზომიერების დაცვა, ხოლო კონსული მარკუს ვალერიუსი,[7] სენატის გადაწყვეტილებით, თავდებად დაუდგა ამ საქმეს. ხალხი თავდადებით ებრძოდა მდიდრებს და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ მევახშეები მაინც არ იხევდნენ უკან, სენატი კი არაფერს აკეთებდა დადებული პირობების გასახსენებლად და თვალს არიდებდა იმას, თუ კვლავ როგორ ძარცვავდნენ და ციხეში მიათრევდნენ ღარიბ-ღატაკებს. რომში შფოთი და ავისმომასწავებელი ამბოხება დაიწყო. მტრებს ხალხის ამბოხება როდი გამოეპარათ. ისინი რომის სანახებს თავს დაესხნენ და ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ. კონსულთა მოწოდებას, ხელთ იარაღი აეღოთ, არც ერთმა კაცმა, ვისაც ამ იარაღის ტარება ძალუძდა, ყური არ ათხოვა, ხოლო ხელისუფლებაში კვლავ

საპირისპირო მოსაზრებებმა იჩინეს თავი: ერთნი ფიქრობდნენ, საჭირო იყო დაეთმოთ ღარიბთათვის და შეერბილებინათ დაძაბულობა და კანონის სიმკაცრე; მეორენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და მათ შორის გახლდათ მარციუსი. იგი ფულსა და ქონებას არ თვლიდა უმთავრეს საქმედ და სენატს მოუწოდებდა, გონიერად დაჰკვირვებოდა ვითარებას და ძირშივე აღეკვეთა ზვიადი და თავხედი ბრბოს ყოველი ცდა, წინ აღსდგომოდა კანონებს.

6. სულ მცირე დროში სენატი ბევრგზის შეიკრიბა არსებული ვითარების თაობაზე სამსჯელოდ, მაგრამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა. ამასობაში ღარიბ ღატაკებმა მოულოდნელად თავი მოიყარეს, ერთმანეთი გაამხნევეს, დატოვეს რომი, დაიკავეს ის მთა, რომელსაც ახლა „წმიდა მთა“ ეწოდება და მდინარე ანუნთან მდებარეობს, და იქ გამაგრდნენ. ისინი არავითარ ძალადობას არ მიმართავდნენ, არც ამბოხებებს აწყობდნენ და მხოლოდ ამას გაჰყვიროდნენ: „ჩვენ უკვე დიდი ხანია მდიდრებმა ქალაქიდან გამოგვაძევეს; იტალია ჩვენ ყველგან მოგვცემს ჰაერს, წყალსა და სამარეს. სანამ რომში ვცხოვრობდით, განა იგი სხვა რამეს გვაძლევდა? არაფერს - გარდა იმისა, რომ ნება გვქონდა, მდიდრებისათვის გვეომა და ჭრილობებისაგან დავხოცილიყავით!“ სენატი დაშინდა და ღარიბებთან ყველაზე შესაფერისი და დემოკრატიულად განწყობილი რამდენიმე უხუცესი სენატორი გაგზავნა. ღარიბებს სიტყვით მიმართა მენენიუს აგრიპამ. იგი დიდხანს თხოვნით მოუწოდებდა მათ, დიდხანს და აშკარად ლაპარაკობდა სენატის დასაცავად და ბოლოს თავისი სიტყვა დაამთავრა არაკით, რომელსაც დღემდე იგონებენ. მან თქვა: ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილები აუჯანყდნენ კუჭს და საყვედურებით აავსეს: შენ ერთადერთი ხარ უქმად და ნებივრად ჩაბრძანებული სხეულში მაშინ, როცა ყველას მძიმე შრომა და სამსახური გვიწევს და ყველაფერს შენ გაწოდებთო! კუჭს გაეცინა მათ სიბრიყვეზე: თქვენ არ იცით, რომ მთელ საკვებს, რომელსაც მე მაწვდით, კვლავ უკან გიბრუნებთ და ყველას გინაწილებთო! მენენიუსმა არაკს ასეთი დასკვნა მოაყოლა: „მოქალაქენო! სწორედ კუჭის მსგავსი ადგილი უჭირავს სენატს თქვენს მიმართ. სახელმწიფოს წყობისა და კეთილდღეობისათვის გამოტანილ მის გადაწყვეტილებებს ყოველი თქვენგანისათვის მოაქვს დანაწილებულად სიკეთე და სარგებლობა“.

7. ამის შემდეგ ხალხი და სენატი მორიგდნენ. ხალხმა სენატისაგან გამოითხოვა ნება, თავისი წიაღიდან ხუთი წარმომადგენლის

არჩევისა, რომლებიც გაჭირვებულთ დაეხმარებოდნენ და რომელთაც „სახალხო ტრიბუნები“ შეერქვათ.[8] პირველ ტრიბუნებად აირჩიეს იუნიუს ბრუტუსი და სიცნიუს ბელუტი, რომლებიც მეთაურებად ჰყავდათ ქალაქიდან განდგომის ჟამს. როგორც კი დამყარდა ქალაქში ერთსულოვნება, ხალხმა მაშინვე მოჰკიდა ხელი იარაღს და კონსულებს მორჩილება გამოუცხადა: გამოგვიყენეთ, მზად ვართ მტრებთან საომრადო! მარციუსი, რაკი არც თვითონ იყო კმაყოფილი ხალხის გამარჯვებითა და წარჩინებულთა მხრივ დათმობებით და ხედავდა, პატრიციუსთა დიდი ნაწილიც ამასვე განიცდიდა, თავისიანებს მოუწოდებდა, არ დაეთმოთ პირველობა სამშობლოსათვის ბრძოლაში უბრალო ხალხისათვის და ეჩვენებინათ მისთვის, რომ წარჩინებულნი მდაბიოთაგან გამოირჩევიან იმდენად არა ძალით, რამდენადაც სიქველით.

8. ვოლსკების ტომში, რომელსაც მაშინ რომაელები ებრძოდნენ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა იყო ქალაქი კორიოლი. ამ ქალაქს ალყა შემოარტყა კონსულმა კომინიუსმა. ალყის გარეთ მყოფმა ვოლსკებმა, იმის შიშით, ქალაქი არ დავკარგოთო, ყოველი მხრიდან მიიტანეს იერიში მოალყე რომაელებზე, რათა ქალაქის კედლებთან გაემართათ ბრძოლა და მტრისათვის გარედანაც და შიგნიდანაც დაერტყათ. კომინიუსმა თავისი ძალები ორად გაყო: თვითონ გარედან მომხდური ვოლსკების შესახვედრად გაეშურა, ალყის მცველად კი ერთ-ერთი საუკეთესო რომაელი ვაჟკაცი ტიტუს ლარციუსი დატოვა. ქალაქში მყოფმა ვოლსკებმა მოალყედ დარჩენილი მტრის ძალა უმნიშვნელოდ ჩათვალეს, გარეთ გამოცვივდნენ, მტერს ეკვეთნენ და დასაწყისში კიდეც გაიმარჯვეს და მოალყე რომაელების გარეკვას შეუდგნენ მათი ბანაკისაკენ. ამ დროს მარციუსი მცირეოდენი თანამოსაგრენით საფარიდან გამოვარდა, ჯერ უშუალოდ მასზე თავდამსხმელები შემუსრა, დანარჩენი მოიერიშენი შეაჩერა და ხმამაღლა რომაელებს ბრძოლისაკენ მოუწოდა. მარციუსი ხომ შემკული იყო ყველა იმ ღირსებით, რომელთაც კატონი მეომრისათვის უმთავრესად თვლიდა. იგი გამოირჩეოდა არა მარტო მკლავის დაკვრის ძალით, არამედ ხმის სიძლიერითაც; თავისი მრისხანე სახითაც იგი შიშის ზარს სცემდა მტერს და მისი გამკლავება უძნელესი საქმე გახლდათ. და აი, ახლა, როცა მარციუსის გარშემო შემოიკრიბა და დაირაზმა მრავალი რომაელი, მტერი დაფრთხა და უკუიქცა. მარციუსი ამით როდი დაკმაყოფილდა, უკანმოუხედავად დაედევნა გაქცეულებს და ქალაქის ჭიშკრამდე მირეკა

ისინი. მაგრამ აქ მარციუსმა დაინახა ქალაქის კედლებიდან უხვად მქროლავი მტრის ისრები და სათხედები, რის გამოც რომაელები მტრის დევნას თავს ანებებდნენ და უკან იხევდნენ: მტრის შეიარაღებული მეომრებით გავსებულ ქალაქში უკუქცეულთა მიდევნებით შეჭრაზე ფიქრსაც ვეღარავინ ბედავდა. მაშინ მარციუსი გამოსაჩენ ადგილზე დადგა და თავისი მაღალი ხმით მეომრებს გამამხნევებლად მოუწოდა: ქალაქი ბედმა ჩვენ, მტრის მდევნელ რომაელებს, გაგვიღო და არა უკუქცეულ ვოლსკებსო. მსურველი, მას უკან მიჰყოლოდა, არცთუ ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ვინც იყო, მათთან ერთად მტრის რაზმი გაარღვია, ჭიშკრებისაკენ გზა გაიკაფა და ქალაქში შეიჭრა. თავდაპირველად ვერავინ გაბედა, წინააღმდეგობა გაეწია ან გზა გადაეღობა მისთვის, მაგრამ მერმე, როცა შენიშნეს, ქალაქში შემოჭრილნი სულ ცოტანი იყვნენ, ვოლსკები შეერთებული ძალით ეკვეთნენ რომაელებს. მარციუსმა, როგორც გადმოგვცემენ, საერთო არეულობაში რაღაც დაუჯერებელი ბრძოლა გამართა თურმე. იბრძოდა ხელისა თუ ფეხის საოცარი სისწრაფითა და სულის სიმტკიცით და ყველას სძლევდა, ვისაც კი ეკვეთებოდა: ზოგი ქალაქის უკიდურეს ნაწილებამდე მირეკა, ზოგსაც წინააღმდეგობა შეაწყვეტინა და იარაღი დააყრევინა. ამით მან დიდი დახმარება გაუწია ლარციუსს, რომაელები გარედან ქალაქში შემოეყვანა.

9. ამრიგად, ვოლსკთა ქალაქი აიღეს. რომაელ მეომართა უმრავლესობა მოსახლეობის ქონების ძარცვა-გლეჯას შეუდგა. მარციუსი ამაზე გაწყრა და ყვირილი მორთო: ეს შემაძრწუნებელი საქმეა! იმ დროს, როცა კონსული და მასთან მყოფი თანამოქალაქენი ალბათ უკვე შეხვდნენ მტერს და მასთან ბრძოლაში ჩაებნენ, თქვენ გასამდიდრებლად დაძრწით და ქონების მოხვეჭის საბაბით ბრძოლის საფრთხეს თავს არიდებთო! მარციუსს ბევრმა არ დაუჭირა მხარი, მაგრამ იმათთან ერთად, რომლებმაც დაუჯერეს, იმ გზაზე გავიდა, რომლითაც, მისი ფიქრით, რომაელთა მთავარი მხედრობა მოემართებოდა. იგი წამდაუწუმ ამხნევებდა თანამოსაგრეებს: მოუწოდებდა, არ შემდრკალიყვნენ; განუწყვეტლივ ევედრებოდა ღმერთებს: ბრძოლაში ნუ დაგვაგვიანებთ, დროზე მიგვიყვანეთ იქ, რათა თანამოქალაქეებს შევეშველოთ და მათი საფრთხე გავიზიაროთო!

იმ ხანებში რომაელებს ჩვეულად ჰქონდათ საბრძოლო რაზმად გამწკრივება, წელზე წამოსასხამების შემოკვრა და, ძირს დალაგებული ფარების აღების ჟამს, სამი თუ ოთხი მოწმის თანდასწრებით, დაუწერელი ანდერძის წარმოთქმა და მემკვიდრის დასახელე-

ბა. მტრების თვალწინ სწორედ ამ საქმიანობით გართულ მეომრებს მოუსწრო მარციუსმა. თავდაპირველად ზოგიერთები შეშფოთდნენ, როცა მარციუსი მცირერიცხოვან თანამოსაგრეთა თანხლებით მთლად გასისხლიანებული და ოფლში გაღვარული დაინახეს. მაგრამ მერმე გამხნევდნენ, როცა მარციუსმა კონსულთან მიირბინა, სიხარულით ხელი გაუწოდა და ქალაქის აღების ამბავი აუწყა და როცა, თავის მხრივ, კომინიუსი მარციუსს გადაეხვია და გადაკოცნა. მაშინ ყველამ, ვინც წარმატების ამბავი უშუალოდ შეიტყო და ვინც გუმანით მიხვდა ამას, ყიჟინით მოითხოვა: წაგვიყვანეთ ბრძოლაში ჩასაბმელადო! მარციუსმა კომინიუსს ჰკითხა, როგორ იყო განლაგებული მტრის ბანაკი და სად იდგა მისი ყველაზე ძლიერი რაზმი. კომინიუსმა უპასუხა, რომ, მისი გუმანით, ასეთი რაზმი დგას შუაში, ყველაზე მეომარი და არავის რომ არაფერს დაუთმობს ისეთი რაზმი ანტიელებისა. „რაკი აესა, – მიმართა მარციუსმა კონსულს, – ძალიან გთხოვ, მაგ ვაჟკაცების წინააღმდეგ ჩვენც დაგვრაზმე!“ გაოცებულმა კონსულმა თანხმობა მისცა მის თავგამოდებას. როგორც კი დაიწყო მტერმა შუბთა სროლა, მარციუსი მაშინვე წინ გაიჭრა. სათავეში მდგარმა ვოლსკებმა წინააღმდეგობა ვერ შეძლეს და ის რაზმი, რომელზეც მარციუსმა იერიში მიიტანა, მყისვე გაირღვა. მაგრამ ახლა მტრის ორად გაკვეთილმა რაზმმა მარციუსის რკალში მომწყვდევა სცადა. კონსული შეშინდა და მისაშველებლად თავისი საუკეთესო მეომრები აფრინა. მარციუსის ირგვლივ ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. სულ მცირე ხანში ის ადგილი გვამებით აივსო. რომაელები კიდევ უფრო მეტი ძალით დააწვნენ მტერს და აოტეს კიდეც. სანამ მტრის დევნას შეუდგებოდნენ, დაღლილობისა და ჭრილობებისაგან ილაჯგაწყვეტილ მარციუსს სთხოვეს, ბანაკში დაბრუნებულიყო. მაგრამ მან განაცხადა: გამარჯვებულთ დაღლა არ ეგებისო და უკუქცეულ მტერს დაედევნა. მტრის დანარჩენი მხედრობაც დამარცხდა: მრავალი შეიმუსრა, მრავალიც ტყვედ წაიყვანეს რომაელებმა.

10. მეორე დღეს, როცა ლარციუსიც მოვიდა და ყველამ მოიყარა თავი კონსულის კარავთან, კომინიუსი შემაღლებულ ადგილზე დადგა, ღმერთებს შესაფერი მადლი გადაუხადა ასეთი წარმატებებისათვის და მარციუსს მიმართა. უწინარეს ყოვლისა, მას შესანიშნავი ხოტბა უძღვნა იმ გმირობისთვის, რომლის თვითმხილველი იყო ბრძოლის ჟამს, ნაწილიც – ლარციუსისაგან შეიტყო. ამის შემდეგ კომინიუსმა მარციუსს შესთავაზა, საერთო განაწილებამდე, მრავალრიცხოვანი ნადავლიდან თავისთვის აერჩია ათ-ათი ნივთი, ცხე-

ნი და ტყვე. გარდა ამისა, აჩუქა საგანგებოდ დარახტული საუკეთესო ბედაური. რომაელებმა მოიწონეს კონსულის გადაწყვეტილება. მარციუსი წინ წამოდგა და თქვა, რომ ბედაურს ხალისით იღებს და მოხარულია წინამძღოლის მიერ წარმოთქმული ქებისა, ხოლო ყველაფერ დანარჩენს თვლის ქირად და არა საპატიო საბოძვარად, ამიტომ მათ მიღებაზე ახლა უარს აცხადებს და თუ რამე ერგება, დაკმაყოფილდება, ვით ერთ-ერთი მონაწილე ნადავლის საერთო გაყოფაში. „მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ წყალობას ვითხოვ, - დასძინა მარციუსმა, - და მსურს მივიღო ეს წყალობა. ვოლსკებში ერთი მასპინძელი და მეგობარი მყავდა, კაცური კაცი, მოკრძალებული. ახლა იგი ტყვეა; მდიდარი და ბედნიერი მონად იქცა. მას ისედაც მრავალი უბედურება დაატყდა თავს და იქნებ კიდევ ერთ უბედურებას - გაყიდვას მაინც გადავარჩინოთ!"

მარციუსის სიტყვებს მოწონების ნიშნად ხმამაღალი შეძახილით შეეგებნენ. უმრავლესობა ქონების წინაშე ამ ვაჟკაცის მოუდრეკლობით უფრო გაკვირვებული დარჩა, ვიდრე მისი მამაცობით მტრებთან ბრძოლაში. მის მიმართ გამოჩენილი პატივის გამო შურითა და ჯიბრით აღვსილნიც კი იმაზე ბევრად მეტის მიღების ღირსად თვლიდნენ მას, რის მიღებაზეც უარი განაცხადა და აღფრთოვანებული იყვნენ მისი ქველობის იმ ხასიათით, რომლის ძალითაც ესოდენ დიდი სიმდიდრე უგულებელყო, ვიდრე იმ სიქველით, რომლის წყალობითაც ეს სიმდიდრე დაიმსახურა. ფულის გონივრულად გამოყენება სჯობს, რა თქმა უნდა, იარაღის ხმარებას, მაგრამ უკეთესზე უკეთესი საქმეა ფულის საჭიროება, საერთოდ, არ ადარდებდეს კაცს.

11. როცა ყიჟინი ჩაცხრა და ხალხი დაწყნარდა, კომინიუსმა კვლავ წარმოთქვა: „თანამოსაგრენო, რას იზამთ; თქვენ ვერ შესძლებთ, აიძულოთ კაცი, მიიღოს ის საბოძვარი, რომელსაც არ იღებს და არც სურს მიიღოს. მოდით და ვუბოძოთ ისეთი რამ, რაზედაც უარს ვერ იტყვის: დავადგინოთ, რომ ამიერიდან მას ეწოდოს კორიოლანუსი, თუ თვით აღსრულებულმა საგმირო საქმემ ჩვენზე ადრე არ უბოძა ეს მეტსახელი!"

ამიერიდან მარციუსს მესამე სახელად კორიოლანუსი შეერქვა. ახლა ცხადზე ცხადია, რომ მის სახელთაგან პირველი - გაიუსი საკუთარი სახელი იყო, მეორე - მარციუსი კი მთელი მოდგმის ანუ გვარის სახელი.

მესამე სახელი რომაელებში კაცს მოგვიანებით ეძლეოდა როგორც მეტსახელი რაიმე გადახდილი საქმის, ბედის წილხვედრის, შესახედაობისა ან ზნეობრივი სიკეთის აღსანიშნავად, აი ისევე,

როგორც ელინებში ადებდნენ ხოლმე მეტსახელს: ღირსსახსოვარი საქმის გამო - ფისკონი და გრიპე, სიქველისათვის - ევერგეტე და ფილადელფე, ბედკეთილობისათვის კი - ევდემონი, რაც მეფე ბატოს მეორეს ეწოდა. ზოგიერთ მეფეს დამცინავი მეტსახელიც ჰქონდა. მაგალითად: ანტიგონოსს დოსონი შეარქვეს, პტოლემეს - ლათირე. ამ რიგის სახელებს უფრო ხშირად რომაელები იყენებდნენ. ერთ-ერთ მეტელუსს, რომელსაც მუწუკის გამო შუბლი მუდამ შეხვეული ჰქონდა, დიადემატუსს ეძახდნენ, მეორეს კი - ცელერს იმის გამო, რომ ამ კაცმა მამის სიკვდილის შემდეგ სულ რამდენიმე დღეში მოასწრო ხსოვნის აღსანიშნავად გლადიატორთა საფლავზე შეჯიბრების მოწყობა და ყველა გაოცებული დატოვა მზადებაში გამოჩენილი სისწრაფისა და მოქნილობის წყალობით. ზოგიერთს რომაელები მათი დაბადების გარემოებასთან დაკავშირებით დღემდე ეძახიან: პროკლუსს - ვინც მამის სხვაგან ყოფნის ჟამს დაიბადა, პოსტუმუსს - ვინც მამის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა; ხოლო თუ ტყუპი დაიბადა და ერთი მათგანი მოკვდა, გადარჩენილ ტყუპისცალს მეტსახელად ვოპისკუსს არქმევენ. სხეულისმიერი ნიშნისდა მიხედვით, რომაელები კაცს მეტსახელად არქმევენ არა მარტო, ვთქვათ, სულას, ნიგერსა და რუფუსს, არამედ - ცეკუსსა და კლოდიუსსაც. თანაც აჩვენენ, რომ ეს მეტსახელები ისე გაიშინაურონ, რომ მათი მეშვეობით სიბრძავის ან სხეულისმიერი რომელიმე სხვა მანკიერების აღნიშვნა სათაკილოდ, გაკილვად არ მიიჩნიონ. ისე, კაცმა რომ თქვას, ამ საგანზე მსჯელობა სხვაგვარ თხზულებათ უფრო შეჰფერის.

12. როცა ომი დასრულდა, დემაგოგებმა კვლავ დაიწყეს ხალხის აჯანყება, თუმცა საამისო ახალი მიზეზი და სამართლიანი საჩივრისა და ბრალდების საფუძველი არ გააჩნდათ. ისინი პატრიციუსებს აბრალებდნენ იმ უბედურებას, რაც ძალაუნებურად მოჰყვა უთანხმოებებსა და შფოთიანობას. მიწის უდიდესი ნაწილი დაუმუშავებელ-დაუთესავი დარჩა, სურსათ სანოვაგის შემოზიდვით მომარაგების საშუალებას კი ომისდროინდელი ვითარება არ იძლეოდა. დაიწყო მძიმე გაჭირვება. დემაგოგებმა, რომლებიც ხედავდნენ, რომ საჭმელ სასმელი აღარ იყო და რომც ყოფილიყო, ხალხს მის შესაძენად ფული არ ჰქონდა, გაავრცელეს ცილისმწამებლური ხმები მდიდრების წინააღმდეგ, თითქოს მათ გამოიწვიეს შიმშილი ხალხის მიმართ გულში ჩარჩენილი ძველი წყენის მიზეზით.

სწორედ ამ ხანებში ველიტრელებისაგან[10] რომში ჩამოვიდნენ ელჩები თხოვნით: მიეღოთ მათი ქალაქი გამგებლობაში და გაეგზავნათ იქ ახალმოსახლენი. საქმე ის იყო, რომ ველიტრელებს თავს

დაატყდათ შავი ჭირი და ისე გააუბედურა და შემუსრა მოსახლეობა, რომ მისი მეათედი ნაწილი ძლივსღა დარჩა. რომში, ვისაც კი გონება ჰქონდა, ველიტრელების თხოვნა პირდაპირ სულზე მისწრებად და ხელსაყრელად მიიჩნია, რადგან ამ გაჭირვების ჟამს ამოსუნთქვა სჭირდებოდათ და თან ამბოხების გაფანტვის იმედიც მიეცათ, თუ შფოთის თავებსა და დემაგოგების თანამოსაგრეებს, ვით ქალაქის ყველაზე საშიშ სენსა და არეულობის წყაროს, თავიდან მოიცილებდნენ. ასეთი პირები კონსულებს გადასახლებულთა სიებში შეჰქონდათ, სხვებს კი ვოლსკების წინააღმდეგ სალაშქროდ ამზადებდნენ. ამ ხერხით ცდილობდნენ, რომი შინაური შფოთისაგან მოესვენებინათ და თან ფიქრობდნენ, ერთ ლაშქარსა და ბანაკში თავმოყრილი და საერთო ბრძოლაში კვლავ ჩაბმული მდიდრები და ღარიბები, პლებსი და პატრიციუსები ერთმანეთთან მეტ სიმშვიდესა და კეთილგანწყობილებას დაამყარებდნენ.

13. მაგრამ ამ საქმეს წინ აღუდგნენ დემაგოგები - სინიციუსი და ბრუტუსი. მათ ყვირილი მორთეს: „ახალმოსახლეობის ულმობიერესი სახელით ნათლავენ უმძვინვარეს სისასტიკეს; შეიძლება ითქვას, პირდაპირ უფსკრულში ყრიან ღარიბ-ღატაკებს, რაკი მათ მოწამლული ჰაერით გაჟღენთილსა და დაუკრძალავი გვამებით სავსე ქალაქში აგზავნიან და უცხო და შურისმაძიებელი მრისხანე ღვთაების გვერდით ამკვიდრებენ. აღარ კმაყოფილდებიან იმით, მოქალაქეთა ნაწილი რომ შიმშილით იღუპება და ნაწილს ავი სენის ხახაში ჰყრიან; თავისი სურვილით ახლა კიდეც ომსაც მართავენ, რათა არც ერთი უბედურება არ ასცდეს ქალაქს, რადგან უარყო, დამონებოდა მდიდრებს!“

ასეთი სიტყვებით შეგონებული ხალხი კონსულთა მიერ წამოყენებულ სიებში ჩაწერას გაურბოდა და გადაჭრით უარს ამბობდა სხვაგან დასასახლებლად რომიდან წასვლაზე. სენატი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მარციუსმა კი, სიამაყით უკვე აღვსილმა, თავის სიძლიერეში ღრმად დარწმუნებულმა და გავლენიან მოქალაქეთაგან საპატიო კაცად აღიარებულმა, აშკარა და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დემაგოგებს. რომაელებმა ახალმოსახლეობა მაინც გაგზავნეს ველიტრეში: დასჯის მუქარით აიძულებდნენ წილნახვედრთ რომიდან გასვლას. რაც შეეხება ლაშქრობას, პლებსმა გადაწყვეტით თქვა უარი მასში მონაწილეობაზე. მაშინ მარციუსი თავისი ამალით და იმათი თანხლებით, რომლებიც კი გადაიბირა, ანტიების მხარეში შეიჭრა. აქ იგი დიდი რაოდენობის პურს წააწ-

ყდა; მრავლად იგდო ხელთ პირუტყვი და მონები, მაგრამ თვითონ ნადავლიდან არაფერი არ მიუსაკუთრებია. იგი რომში დაბრუნდა ნადავლით უხვად დატვირთული თანამებრძოლებით. დანანებითა და შურით შესცქეროდნენ სხვები ბედგაღიმებულ თანამოქალაქეებს, ხოლო მარციუსზე წყრებოდნენ და გული მოსდიოდათ მისი სახელისა და გავლენის გამო, რაც, მათი აზრით, ხალხის საწინააღმდეგოდ იზრდებოდა.

14. ცოტა ხნის შემდეგ მარციუსმა კონსულის თანამდებობისაკენ დაიწყო სწრაფვა. უმრავლესობა მისკენ გადაიხარა. ხალხმა სირცხვილად მიიჩნია, უპატივცემულობითა და უარით დაეკნინებინათ წარმომავლობითა და ქველობით უპირველესი ვაჟკაცი, რომელმაც მრავალი დიდი სიკეთე მოიმოქმედა.

რომში წესად იყო მიღებული, ნებისმიერი თანამდებობის მაძიებელი კაცი ფორუმზე ჩასულიყო უტუნიკოდ, ტოგის ამარა, და ისე მისალმებოდა მოქალაქეებს მხარდაჭერის თხოვნით[11]. ასე იქცეოდნენ, ან იმიტომ, რომ თხოვნის შესაფერი მორჩილი შესახედაობა ჰიეღოთ, ანდა იმიტომ, რომ სახილველად გამოეჩინათ, თუ ჰქონდათ ვაჟკაცობის დამადასტურებელი ნიშნები – ნაჭრილობევნი და ნაიარევნი. თანამდებობის მთხოვნელი, ცხადია, ფულის დარიგებისა და მოსყიდვის ეჭვის გასაფანტავად არ მიდიოდა მაშინ უსარტყელოდ და უტუნიკოდ მოქალაქეებთან.[12] გვიან, დიდი ხნის შემდეგ შეიჭრა ყიდვა გაყიდვა სახალხო კრებაში და ფული კენჭისყრაში გაერია. მერმე და მერმე მექრთამეობამ[13] მოსამართლეები და სამხედრო სამსახურიც წაბილწა, იარაღი ფულს დაუმონა და სახელმწიფო მონარქიამდე მიიყვანა. ჩანს, ცუდად არ უთქვამს, ვინც თქვა: პირველად მან დაარღვია დემოკრატია, ვინც ხალხი ლხინზე მიიპატიჟა და მოისყიდაო. ეტყობა, ეს ბოროტება რომში უცბად კი არ გაჩენილა, არამედ ფარულად და თანდათანობით გაიზარდა. ჩვენ არ ვიცით, ვინ მოქრთამა პირველად რომში ხალხი და სასამართლო. ამბობენ, პირველად ათენში მისცა მოსამართლეებს ქრთამად ფული ანიტემ, ანთემიონის ძემ, რომელსაც ბრალად ედებოდა პილოსთან დაკავშირებული ღალატი პელოპონესის ომის დასასრულს.[14] ეს ის დრო გახლდათ, როცა რომის ფორუმი ჯერ კიდევ უბიწო, ოქროს მოდგმის ხელში იყო.

15. კონსულობის მაძიებელ მარციუსს ტოგის ქვეშ უჩანდა მრავალი ნაჭრილობევი, იმ მრავალი ბრძოლის შედეგი, რომლებშიც ჯარში ჩვიდმეტი წლის განუწყვეტელი სამსახურის მანძილზე

პირველობდა. რომაელები თავს უხერხულად გრძნობდნენ ამ კაცის სიქველის წინაშე და ამიტომ ერთმანეთს სიტყვა მისცეს, მხარი დაეჭირათ მისთვის. მაგრამ როცა კენჭისყრის დღე დადგა და მარციუსი სენატის თანხლებით ზარზეიმით შემოვიდა ფორუმზე, ხოლო მის გარშემო მყოფ ყველა პატრიციუსს აშკარად ეტყობოდა, რომ მათ არავისთვის და არასდროს ასე თავი არ გამოუდიათ, ხალხმა კვლავ შეცვალა თავისი კეთილგანწყობილება მარციუსის მიმართ წყენითა და შურით. ასეთ განცდას ზედ ერთვოდა შიში, არისტოკრატიული განწყობილებისა და პატრიციუსებში ესოდენი დიდი ღირსების მქონე კაცს, თუ იგი ხელისუფლების სათავეში ჩადგებოდა, მთლად არ აღეკვეთა ხალხისათვის თავისუფლება. ასეთი განსჯის შედეგად ხალხმა მარციუსის წინააღმდეგ მისცა ხმა.

როცა არჩეულებად სხვები გამოაცხადეს, სენატი მეტად გაწყრა, რადგან მიიჩნია, რომ თვითონ უფრო იყო ამით შეურაცხყოფილი, ვიდრე მარციუსი. თვითონ მარციუსიც ვერ შეხვდა მომხდარ ამბავს ზომიერებით და შესაფერი თავშეკავებით. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იგი უპირატესად ეყრდნობოდა თავისი სულის მგზნებარე და პატივმოყვარულ ხასიათს, როგორც სიდიადისა და კეთილშობილების გამოხატულებას, მაგრამ შეგონებისა და აღზრდის მეშვეობით არ ჰქონდა შეძენილი მტკიცე სიდინჯე და ლმობიერება, რაც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სრულყოფილებისათვის უთუოდ საჭიროა; არც ის უწყოდა, რომ ვინც ხელს ჰკიდებს საზოგადოებრივ საქმეს და ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ მიისწრაფვის, მან განსაკუთრებით უნდა აარიდოს თავი თვითკმაყოფილებას, რაც, პლატონის სიტყვით, განკერძოების თანმხლებია[15], და უნდა იყოს მოყვარული მოთმინებისა, რასაც ზოგიერთები ხშირად დასცინიან ხოლმე. მეტისმეტად პირდაპირი და ჯიუტი მარციუსი ყველაფერზე და ყველაფერში გამარჯვების მოპოვების დაუცხრომელ სურვილს მამაცობის საქმედ თვლიდა და ვერ ხვდებოდა, რომ ასეთი მისწრაფება უძლურებისა და უნებისყოფობის შედეგია, რასაც,ავი სიმსივნის მსგავსად,წარმოქმნის ტანჯული და აფორიაქებული სულისკვეთება.

აღფოთებული და ხალხზე გაბოროტებული მარციუსი იქაურობას გაეცალა. ახალგაზრდა პატრიციუსები, რომლებიც ქალაქში მეტისმეტად ყოყოჩობდნენ წარმომავლობით და საზოგადოების საუკეთესო ნაწილად თვლიდნენ საკუთარ თავს, მარციუსს მუდამ გასაოცარი სიბეჯითით უპერდნენ მხარს და იმ დღესაც მხარში

ამოუდგნენ, თან ახლდნენ და არცთუ სასიკეთოდ კიდევ უფრო აღიზიანებდნენ. მარციუსი ხომ მათი წინამძღოლი და კეთილი დამრიგებელი იყო ლაშქრობის ჟამს საბრძოლო საქმიანობასა და სიქველისაკენ მისწრაფებებში და ისინიც, მისგან შეგონებულნი, ჯიბრისა და შურის გარეშე ერთმანეთს სიამაყის გრძნობას უნერგავდნენ.

16. ამასობაში რომში შემოზიდეს პური, რომელიც დიდი რაოდენობით იტალიაში იყო შესყიდული და არცთუ მცირე ნაწილი საჩუქრად გამოგზავნა სირაკუზედან ტირანმა გელონმა. უმრავლესობას კეთილი იმედი მიეცა; ეგონათ: ქალაქი ახლა გაჭირვებასაც და უთანხმოებასაც ერთად მოიცილებს თავიდანო. დაუყოვნებლივ შეიკრიბა სენატი, ხოლო გარეთ თავმოყრილი ხალხი სხდომის დამთავრებას ელოდებოდა იმის იმედით, ბაზარი კეთილმოსურნეობით ხელმისაწვდომი გახდებოდა და მიღებული საბოძვარიც უანგაროდ განაწილდებოდა. სენატში იყვნენ ისეთები, რომლებიც ამგვარ რჩევას იძლეოდნენ. მაგრამ წამოდგა მარციუსი და მკაცრად დაესხა თავს იმ სენატორებს, რომლებიც ხალხის გულის მოგებას ცდილობდნენ. მან უწოდა მათ ნობილიტეტის მოღალატენი, საკუთარი თავის საზიანოდ ბრბოში თავხედობისა და ზვიადობის თესლის მთესველნი, იმ თესლისა, რომლის აღმოცენებაც დასაწყისშივე უნდა აღეკვეთათ და არამც და არამც არ უნდა შეეწყოთ ხელი ხალხის ძლიერების ზრდისათვის. ხალხი ახლა უკვე საშიში გახდაო, – ამბობდა იგი, – მას სურს ყველაფერი აისრულოს, იძულებით არაფერი გააკეთოს, კონსულებს არ დაემორჩილოს. მან ანარქია გაიხადა მეთაურად და მას უწოდებს თავის წინამძღოლს. თუ იმ ბერძენთა მსგავსად, რომლებშიც დემოკრატიაა ფეხმოკიდებული, დავადგენთ სახელმწიფო სახსრების დანაწილებას, ამით მხარს დავუჭერთ ბრბოს დაუმორჩილებლობას ქვეყნის განსაწირავადო: „მისთვის სასარგებლო თქვენს გადაწყვეტილებას ხალხი ვერ ჩათვლის მადლობად ლაშქრობებისათვის, რომელთაც თავს არიდებდა, ვერც ამბოხებებისათვის, რომლებითაც სამშობლოს ღალატობდა და ვერც იმ გაუთავებელი ცილისწამებისათვის, სენატს რომ თავს ატეხდა. ეგონება, თქვენ მას უთმობთ შიშის გამო, რომ მისი გულის მოგება გსურთ და იმედი გაქვთ მასთან შეთანხმებისა. იცოდეთ, საზღვარი აღარ ექნება მის თავგასულობას, არ შეწყდება შფოთი და ამბოხება! ეს ხომ სრული სიგიჟეა! თუ ჭკუას დავუხედავთ, საჭიროა, წავართვათ მას ტრიბუნატი, რომელიც კონსულობას აუქმებს და სახელმწიფოში განხეთქილება შეაქვს.

სახელმწიფო აღარაა უწინდებურად ერთიანი; მისი განყოფა არა-სოდეს არ გვაცხოვრებს ერთად და თანხმობით, არ მოარჩენს ჩვენს სენს და ყოველთვის წაგვაქეზებს ერთმანეთთან შფოთის ასატეხ-ად!"

17. ბევრ რასმე ამბობდა მარციუსი ამის მსგავსს. ახალგაზ-რდები და თითქმის ყველა მდიდარი აღფრთოვანებით უჭერდნენ მხარს მას და ყვიროდნენ: სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ ეს ერთი კაცი ჰყავს, რომელსაც მლიქვნელობა ვერ სძლევსო. მარციუს-სა და მის მომხრეებს წინააღმდეგობას უწევდა ზოგიერთი უხუცესი სენატორი, რომლებიც გრძნობდნენ, ყველაფერ ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. და არც მოჰყოლია სიკეთე. სენატის სხდომაზე მყოფი სახალხო ტრიბუნები, რომლებიც ხედავდნენ, მარციუსის აზრი იმ-არჯვებდა, გარეთ ბრბოსთან გამოცვივდნენ და ყვირილით მოუწოდეს ხალხს: შემოგვიერთდით და დაგვეხმარეთო! სახალხო კრებაში ერთი ხმაური ატყდა, ხოლო როცა მარციუსის ნათქვამი იუწყეს, განრისხ-ებული ხალხი კინაღამ სენატში შეიჭრა. სახალხო ტრიბუნები მთელ ბრალს მარციუსს სდებდნენ და კაცებიც მიუგზავნეს: გამოვიდეს და ჩვენ წინაშე აგოს პასუხიო! მარციუსმა მიგზავნილი მსახურები თავ-ხედურად გარეთ გამოყარა. მაშინ სახალხო ტრიბუნები ედილების თანხლებით თვითონ შევიდნენ სენატში მარციუსის შესაპყრობად და ძალით გარეთ გამოსაყვანად. პატრიციუსებმა სახალხო ტრიბუნები უკან გამოაძევეს და ედილებს ცემით გაუმასპინძლდნენ. ამასობაში დაღამდა და შფოთიც შეწყდა.

გათენებისთანავე, როცა კონსულებმა დაინახეს, აღგზნებული და გამწყრალი ხალხი როგორ იყრიდა თავს ფორუმზე ყოველი მხრიდან, სახელმწიფოს ბედით დაშინებულებმა სენატი შეკრიბეს. კონსულებ-მა სენატს სთხოვეს, განეხილათ საკითხი იმის თაობაზე, თუ რით დაემშვიდებინათ და შეეკავებინათ განრისხებული ბრბო შექმნილი ვითარების შესაფერისი მიმართვებით და ხალხისთვის ხელსაყრელი დადგენილებებით: ახლა სრულიადაც არაა პატივმოყვარეობის გამო-ჩენისა და სახელოვნების გამო დავის დრო; თუ ჭკუას მოვუხმობთ, მეტად საშიში და მძაფრი ჟამია დამდგარი, რაც კეთილგონივრულ და კაცთმოყვარულ ღონისძიებას მოითხოვს ხელისუფლების მხრი-ვო. სენატორთა უმრავლესობა კონსულებს დაეთანხმა. მაშინ ისი-ნი ხალხს წარუდგნენ და, როგორც კი შეეძლოთ, დასამშვიდებელი საუბარი გაუმართეს; დინჯად უარყვეს ცილისმწამებლური გამოხ-დომები და ზომიერი შეგონებებისა და საყვედურის მოშველიებით

ხალხს უთხრეს: არავითარი თქვენგან განსხვავებული აზრი სურსათის შესასყიდ ფასებზე ჩვენ არ გვექნებაო.

18. ხალხი ძირითადად დაჰყვა შეგონებებს. კონსულთა სიტყვების მიმართ გამოჩენილი დინჯი და დახედული ყურადღებით ცხადი გახდა, იგი მზად იყო მორჩილებისა და თვინიერებისათვის. მაგრამ წამოდგნენ ტრიბუნები და განაცხადეს: „სენატის გონივრულ ნაბიჯს ხალხი დათმობებით უპასუხებს დაპირებათა შესრულების კვალობაზე; მაგრამ მარციუსი უნდა გამოვიდეს და პასუხი აგოს! განა სახელმწიფოში შფოთის გამოსაწვევად და ხალხის უფლების დასამხობად არ აქეზებდა სენატს და განა ამიტომ არ უარყო ჩვენი, ტრიბუნების, გამოხმობა ხალხის წინაშე წარსადგომად? დაბოლოს, განა საშინაო ომის ასატეხად და მოქალაქეთა იარაღისკენ მისახმობად არ გალახა და გალანძღა მან ედილები?“ ამას ტრიბუნები ამბობდნენ ან იმიტომ, რომ დაეკნინებინათ მარციუსი, თუ იგი ხალხის წინაშე მლიქვნელობას დაიწყებდა თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ, ანდა იმიტომ, რომ მისთვის თავს დაეტეხათ ხალხის რისხვა, თუ თანდაყოლილ ჯიუტობას არ მოიშლიდა. ტრიბუნებს, რაკიღა მარციუსის ხასიათს კარგად იცნობდნენ, უფრო მეტად სწორედ ამის იმედი ჰქონდათ. ასეც მოხდა. მარციუსი თავის დასაცავად გამოვიდა. ხალხი დაწყნარდა და სმენად გადაიქცა. იგი მარციუსისაგან თხოვნის შემცველ სიტყვას მოელოდა, მაგრამ დაიწყო თუ არა მან ლაპარაკი, მაშინვე არა მარტო ზიზღის მომგვრელი და ხალხის გასამტყუნებელი სიტყვის წარმოთქმა დაიწყო, არამედ ისეთი ტონით ლაპარაკობდა და ისეთი სახე ჰქონდა მიღებული, რომ აშკარად ამყღავნებდა ზვიადობასა და უდიერობაზე დამყარებულ უშიშროებას. ხალხი აღშფოთდა და განრისხებულმა ცხადად გამოხატა თავისი უკმაყოფილება. ყველაზე გამბედავმა სახალხო ტრიბუნმა სიცინიუსმა, თანამოსაგრეებთან ხანმოკლე მოთათბირების შემდეგ ფორუმის შუაგულიდან ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ტრიბუნებმა მარციუსს სიკვდილი მიუსაჯეს და ედილებს უბრძანა, დაუყოვნებლივ აეყვანათ იგი კლდის ქიმზე და იქიდან ხრამში გადაეჩეხათ. ედილებმა უკვე ხელი სტაცეს მარციუსს, მაგრამ ხალხში ბევრმა გადაჭარბებულ სისასტიკედ და აუტანელ საქციელად მიიჩნია ეს, ხოლო შეშფოთებული და შეწუხებული პატრიციუსები ყვირილით გაეშურნენ მისაშველებლად. ზოგიერთები ცდილობდნენ, ხელის კვრით მოეგერიებინათ შემპყრობნი და მარციუსს ახლოს ეკვროდნენ. ზოგიერთები კი ხელებაპყრობილი ევედრებოდნენ ხალხს,

მაგრამ ასეთ არეულ-დარეულობასა და ხმაურში ვერავითარმა სიტყვამ და მოწოდებამ ვერ გაჭრა, სანამ ტრიბუნების მეგობრები და ნათესავები არ დარწმუნდნენ, რომ პატრიციუსთა უმრავლესობის შემუსვრის გარეშე მარციუსს დასასჯელად ვერ წაიყვანდნენ. ბოლოს და ბოლოს, მათ დაითანხმეს ტრიბუნები, ხელი აეღოთ ასეთ მძვინვარე შურისძიებაზე და, ძალდატანებით და განუსჯელად კი არ მოეკლათ მარციუსი, არამედ ხალხისთვის მიენდოთ განაჩენის გამოტანა. მაშინ სინიციუსმა პატრიციუსებს ჰკითხა: „რატომ გინდათ გამოსტაცოთ მარციუსი მისი დასჯის მსურველ ხალხს?!“ პატრიციუსებმა მას კითხვა შეუბრუნეს: „თქვენ კი რა განზრახვით მიგყავთ რომაელებში ერთ-ერთი საუკეთესო ვაჟკაცი ველური და უკანონო შურისძიების აღსასრულებლად გასამართლების გარეშე?!“ სინიციუსმა უპასუხა: „თქვენ რომ ეს ხალხთან განხეთქილებისა და უთანხმოების საბაბად არ გამოიყენოთ, შეგისრულებთ, რასაც თხოულობთ: გავასამართლებთ ამ კაცს! შენ კი, მარციუსო, წინადადებას გაძლევთ, ბაზრობის მესამე დღეს გამოცხადდე და დაარწმუნო ხალხი, რომ არაფერი დაგიშავებია და განაჩენსაც ის გამოგიტანს!“

19. ასეთი გადაწყვეტილებით კმაყოფილი პატრიციუსები და მარციუსიც გახარებული წავიდნენ ფორუმიდან. ბაზრობის მესამე დღის დადგომამდე (ბაზრობას რომაელები მართავენ ყოველ მეცხრე დღეს, რომელთაც „ნუნდინებს“ ეძახიან) დაიწყო ლაშქრობა ანტიუმელთა წინააღმდეგ, რამაც პატრიციუსებს იმედი მისცა, რომ გასამართლება ხანგრძლივად გადაიდებოდა, ამასობაში ხალხი მოლმობიერდებოდა და მისი რისხვაც მინელდებოდა, ანდა სულაც დავიწყებას მიეცემოდა დროის უქონლობისა და საომარი ვითარების გამო. მაგრამ ანტიუმელებთან ზავი მალე დაიდო და ჯარი უკან დაბრუნდა. შეშინებულმა პატრიციუსებმა ხშირად თავმოყრა და მსჯელობა დაიწყეს, როგორ არ გადაეცათ სამსჯავროსათვის მარციუსი და დემაგოგებისათვის საბაბი არ მიცეა კვლავ შფოთის ასატეხად. დემოკრატიის ყველაზე დიდი მოძულე აპიუს კლავდიუსი თავგამოდებით ამტკიცებდა: სენატი თავის თავს დაიღუპავს და სახელმწიფოს ბედის ანაბარად დატოვებს, თუ ხალხს პატრიციუსთა გასამართლების ნებას დართავსო. უხუცესი და დემოკრატიულად განწყობილი სენატორები კი, პირიქით, თვლიდნენ, რომ ასეთი უფლების მიცემით ხალხი სიმკაცრესა და მძვინვარებას კი არ გამოიჩენს, არამედ ლმობიერი და კაცთმოყვარე გახდებაო. მას სენატი კი არ სძულს, არამედ ფიქრობს, თვითონაა მისგან მოძულებული,

ამიტომ განსჯის უფლების მიღებას დიდ პატივად და ნუგეშად მიიჩნევს და, ხმის მისაცემ კენჭს რომ ხელს მოჰკიდებს, წყრომასა და რისხვას თავს დაანებებსო.

20. მარციუსი ხედავდა, რომ სენატი მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა, რადგან მის მიმართ კეთილად განწყობილს ხალხის შიშიც ჰქონდა. მარციუსმა სახალხო ტრიბუნებს ჰკითხა: ბოლოს და ბოლოს რაში მდებთ ბრალს და რის გამო მაყენებთ ხალხის სამსჯავროს წინაშეო? მას უპასუხეს: ტირანიაში გდებთ ბრალს და დაგიმტკიცებთ კიდეც, რომ ტირანად გახდომას ლამობდიო! მაშინ მარციუსი ფეხზე წამოდგა და განაცხადა: თუ ასეა, მე თვითონვე მივდივარ დაუყოვნებლივ ხალხთან თავის დასაცავად; რანაირადაც უნდათ, გამასამართლონ, და, თუ გამამტყუნებენ, მზად ვარ სასჯელისათვისო! „ოღონდ, იცოდეთ, - დასძინა მან, - რაშიც ახლა მადანაშაულებთ, ის წამიყენეთ ბრალდებად და სენატი არ მოატყუოთ!" ასე შეთანხმდნენ და ამ პირობით დაიწყო მარციუსის გასამართლება.

როცა ხალხმა თავი მოიყარა, სახალხო ტრიბუნებმა, უწინარეს ყოვლისა, დაჟინებით მოითხოვეს, კენჭისყრა ჩატარებულიყო არა ცენტურიების, არამედ ტრიბუსების მიხედვით.[16] კენჭისყრის ასეთი ხერხით ისინი შეძლებულ, კეთილშობილ და სამხედრო სამსახურში მყოფ მოქალაქეთა წინ აყენებდნენ ღარიბსა და შფოთისმოყვარე ბრბოს, რომელიც კეთილსა და სამართლიან საქმეს გულგრილად ეკიდებოდა. მერმე სახალხო ტრიბუნებმა უკუაგდეს დაუმტკიცებელი ბრალდება ტირანიისაკენ მისწრაფებაში და კვლავ გაიხსენეს ის სიტყვა, რომელიც მარციუსმა სენატში წარმოთქვა სურსათზე ფასების დაკლების საწინააღმდეგოდ და ხალხისთვის სახალხო ტრიბუნების არჩევის აღსაკვეთად. გარდა ამისა, წამოუყენეს ახალი ბრალდება იმ ნადავლის განაწილებასთან დაკავშირებით, რომელიც ანტიუმელთა მხარეში მოიპოვა: ეს ნადავლი ხაზინაში კი არ შეიტანა, არამედ თვითონ გაინაწილა თანამოლაშქრეებთან ერთადო. ამბობენ, ამ ბრალდებამ ყველაზე მეტად შეაშფოთა მარციუსი. იგი ამას არ მოელოდა და ვერც შეძლო, მაშინვე აეხსნა ხალხისათვის დამარწმუნებელი სიტყვით საქმის ვითარება. ამის ნაცვლად იგი მოჰყვა ლაშქრობის მონაწილეთა ქება-დიდებას. ამის საპასუხოდ ხმაური ატეხეს იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ასეთები კი უფრო მრავლად იყვნენ. ბოლოს, ტრიბუსებმა კენჭისყრა გამართეს და მარციუსს სამი ხმის უმრავლესობით გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს და სასჯელად სამუდამოდ გაძევება დაუნიშნეს.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ხალხი ისე თავაწეული და გახარებული დაიშალა, რომ ასეთი სიხარული მას არასოდეს არ დასდგომია ომში მტრებზე გამარჯვებულსაც კი. რაც შეეხება სენატს, იგი მწუხარებამ და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და თვლიდა, რომ მას უწინ არაფერი გაუკეთებია ისე სანანებელი და ისე მძიმედ გადასატანი, როგორსაც განიცდის ახლა, რაკი ხალხს ესოდენ დიდი თავხედობის ჩადენის უფლება მისცა. იმ დღეს, მართლაც, არ იყო საჭირო შესამოსელით ან სხვა რაიმე ნიშნით გამოგეცნოთ მდაბიო და პატრიციუსი; ისედაც ცხადად ჩანდა: ერთი ხარობდა, მეორე დამწუხრებული გახლდათ.

21. მხოლოდ და მხოლოდ თვითონ მარციუსი არ შემდრკალა და არც დაცემულა სულით. მხოლოდ იგი გამოირჩეოდა ყველა დამწუხრებულისაგან იმით, რომ თითქოს არ განიცდიდა თავს დატეხილს და თავისი წარმოსადეგობით, ნაბიჯითა და სახით სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო მისი საღი განსჯისა და დინჯი ხასიათის, ანდა იმის გამოვლინება, რომ ზომიერებით გადაჰქონდა ის, რაც შეემთხვა. პირიქით, მეტად აღგზნებული იყო მრისხანებისა და ჯავრისაგან. ასეთ შემთხვევაში უმრავლესობა ვერ ამჩნევს კაცის ნამდვილ შინაგან ტანჯვას. როცა სევდა ტანჯვას ცეცხლი მოედება და რისხვად იქცევა, სასოწარკვეთილებასა და სულმოკლეობას ბოლო ეღება. რისხვამოკიდებული კაცი თითქოს სამოქმედოდ ძალამოკრებილი ხდება ისე, ვით ციებ-ცხელების ჟამს მხურვალების შედეგად სულაღგზნებული და უსაზღვროდ დაძაბული.

სწორედ ასეთ ვითარებაში იყო მაშინ მარციუსი და ეს სწრაფადვე გამოამჟღავნა თავისი მოქმედებით. იგი შინ დაბრუნდა, მოეხვია ხმამაღალი მოთქმით მტირალ დედასა და ცოლს, ურჩია მათ, მოთმინებით გადაეტანათ თავსდამტყდარი და დაუყოვნებლივ ქალაქის ჭიშკრისაკენ გაემართა. აქ იგი გამოეთხოვა მრავალ გამცილებელ პატრიციუსს ისე, რომ არაფერი აუღია მათგან, არც არაფერი უთხოვია და სამი თუ ოთხი მსახურის თანხლებით იქაურობას გაეცალა.[17] რამდენიმე დღე მან, მარტო დაშთენილმა, სამომავლო ზრახვათა იმ ფიქრებში გაატარა, რომელთაც რისხვა უკარნახებდა და სიკეთისა და სახეირო საქმისაკენ კი არ მოუწოდებდა, არამედ რომაელებზე შურისძიებისაკენ უხმობდა. ბოლოს გადაწყვიტა, მათ წინააღმდეგ საომრად აემხედრებინა რომელიმე მეზობელი ტომი. არჩევანი შეაჩერა ვოლსკებზე. მან იცოდა, ისინი ჯერ კიდევ აღზევებულნი იყვნენ ძალ-

ითაც და სიმდიდრითაც და, ფიქრობდა, ახლახან განცდილ მარცხს იმდენად ღონე არ გამოუცლია მათთვის, რამდენადაც მეტოქეობისა და რისხვის გრძნობით აღავსოო.

22. ქალაქ ანტიუმში იყო ერთი კაცი, რომელსაც სიმდიდრის, მამაცობისა და გამოჩენილი წარმომავლობის გამო მთელ ვოლსკებში მეფის პატივი ჰქონდა მოპოვებული. მისი სახელი ტულუს ამფიდიუსი გახლდათ. მარციუსმა იცოდა, ამ კაცს მასავით არავინ ეზიზღებოდა რომაელებში. ისინი ხშირად ემუქრებოდნენ და ბრძოლაში იწვევდნენ ერთმანეთს, ხშირადვე მეტოქეობდნენ ტრაბახობაში ისე, როგორც ეს სჩვევიათ პატივმოყვარეობითა და ჯიბრით წაქეზებულ ახალგაზრდა მეომრებს. ასე რომ, რომაელთა და ვოლსკთა საერთო უთანხმოებას მათი პირადი მტრობაც ემატებოდა. მარციუსი რაკი ხედავდა ტულუსის უდრეკ სულისკვეთებას და ვოლსკებში ყველაზე მეტად მის მისწრაფებას, რომაელებისათვის სამაგიერო გადაეხადა, გაითვალისწინა სიმართლე იმისა, ვინც თქვა:

რისხვას ებრძოლო, იმას ნიშნავს, სიცოცხლე დათმო![18]

მარციუსი მაშინ ისეთი შესამოსელითა და საჭურველით მოიკაზმა, რომელშიც მისი გამოცნობა ძნელზე ძნელი იქნებოდა და ოდისეესივით

შეაღწია მტერთა ქალაქში.[19]

23. საღამო იყო. მარციუსს ბევრნი შეხვდნენ გზად, მაგრამ ვერავინ იცნო. იგი პირდაპირ ტულუსის სახლისაკენ მიემართებოდა და, როგორც კი შევიდა შიგ, მაშინვე კერასთან ჩაჯდა უსიტყვოდ, თავი შეიბურა და ხმას არ იღებდა. სახლეულები გაოცებით შესცქეროდნენ; ვერც ერთმა ვერ გაბედა მოსულის წამოყენება: მისი შესახედაობა და მდუმარება რაღაც მოწიწებას იწვევდა. უცნაური ამბავი ვახშმად მჯდომ ტულუსს აუწყეს. იგი ფეხზე წამოდგა, სტუმართან მივიდა და ჰკითხა: ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო? მაშინ მარციუსმა სახე გამოაჩინა, მცირე ხანს შეყოვნდა და უპასუხა: „თუ ჯერ კიდევ ვერ შემიცან, ტულუსო, და თვალს არ უჯერებ, მომიწევს თვითონვე წარმოვდგე საკუთარი თავის მბრალმდებლად: გაიუსი ვარ, მარციუსი, ვინც შენცა და, საერთოდ, ვოლსკებს ბევრზე-ბევრი სიავე შეგამთხვიეთ და ამის უარყოფას ვერ შეძლებს მეტსახელი – კორიოლანუსი, რომელსაც მე ვატარებ. მრავალი გარჯისა და საფრთხის ჯილდოდ მე სხვა არაფერი შემიძენია, გარდა თქვენდამი

ჩემი მტრობის აღმნიშვნელი ეს სახელი. მხოლოდ ესღა შემრჩა წაურთმეველი, სხვა კი ყველაფერი ერთად დავკარგე ბრბოს შურისა და თავხედობის, ხელისუფალთა და თანამოსაგრეთა სულმდაბლობისა და ღალატის წყალობით. და ახლა, გაძევებული, შენს კერასთან დავვარდნილვარ მავედრებელად, არა უშიშროებისა და თავის ხსნისათვის, - სიკვდილის შიში განა აქ მომიყვანდა? - არამედ იმისათვის, რომ სამაგიერო გადავუხადო ჩემს გამძევებელთ, რომელთაც უკვე ვუგებ სანაცვლოს ჩემს უფლად შენი გახდომით. თუ გაქვს სიმხნევე, მტერს თავს დაესხა, აჰა, გამოიყენე, დიდებულო, ჩემს თავს დატეხილი უბედურება; ჩემი უიღბლობა ვოლსკთა საერთო ბედნიერებას მოიტანს, ვინაიდან იმდენად უკეთ ვიბრძოლებ თქვენთვის, ვიდრე თქვენს წინააღმდეგ, რამდენადაც მოწინააღმდეგეზე ცნობების უქონელთა უკეთესად ეწევიან ომს ისინი, რომელთაც მტრის ავანჩავანი კარგად უწყიან. მაგრამ თუ შენ უარი თქვი რომაელებთან ომზე, მეც აღარ მსურს სიცოცხლე და შენც რაღას გარგია, დაზოგო შენი ძველი მტერი და მეტოქე - სრულიად უსარგებლო და უხეირო!"

ტულუსმა რომ ეს სიტყვები მოისმინა, მეტად ესიამოვნა, ლტოლვილს მარჯვენა ხელი გაუწოდა და უთხრა: „ადექ, ჩემო მარციუსო, და მხნეობა მოიკრიბე! ჩვენთვის დიდი სიკეთეა შენი აქ მობრძანება და ჩვენს მხარეზე გადმოსვლა. იმედი გქონდეს, ვოლსკები მეტი სიკეთით გადაგიხდიან სამაგიეროს!" იგი მარციუსს მაშინ კეთილგანწყობით გაუმასპინძლდა, მომდევნო დღეებში კი ერთად მსჯელობდნენ ომის თაობაზე.

24. ამ დროს რომში გამწვავებული ვითარება გახლდათ პატრიციუსების ხალხისადმი მიმართული მტრობის გამო, რომლის მთავარი მიზეზი მარციუსის დასჯა იყო. გარდა ამისა, მისნები, ქურუმები და კერძო პირებიც იუწყებოდნენ საგანგებო დაფიქრების ღირსი სასწაულებრივი ნიშნების შესახებ. ამათგან, როგორც გადმოგვცემენ, იყო შემდეგიც: გახლდათ ვინმე ტიტუს ლატინუსი, კაცი არცთუ მაინცდამაინც გამოჩენილი, მაგრამ თავშეკავებული, კეთილგონიერი და ცრუმორწმუნეობისა და ტრაბახობისაგან თავისუფალი. აი, ამ კაცმა სიზმრად იხილა თურმე იუპიტერი, რომელმაც უბრძანა, სენატისათვის ეუწყებინა, რომ მისადმი მიძღვნილი საზეიმო მსვლელობის სათავეში დაყენებულ იქნა ვიღაც უგვანო და საძაგელი ხტუნია - მოცეკვავე. თავდაპირველად ლატინუსი, როგორც თვითონ უთქვამს, სიზმრად ნახულით სრულიად არ შეწუხებულა, მაგრამ როცა

იგივე სიზმარი მეორეჯერ და მესამეჯერაც იხილა და კვლავ უყურადღებოდ დატოვა, ჯერ საუკეთესო ვაჟიშვილი მოუკვდა, მერმე კი მოულოდნელად დამბლა დაეცა. ეს ყველაფერი მან აუწყა სენატს, სადაც საკაცით მიიტანეს. როგორც კი მოათავა ამბის მოყოლა, ამბობენ, მაშინვე იგრძნო სხეულში თურმე ძალ-ღონის დაბრუნება, წამოდგა და საკუთარი ფეხით წავიდა შინ.

გაოცებულმა სენატორებმა გულდასმით გამოიძიეს ეს საქმე და აი, რა გამოირკვა: ვიღაც ბატონმა ერთი თავისი მონა სხვა მონებს გადასცა და უბრძანა, იგი შოლტების ცემით ფორუმზე გაეტარებინათ და შემდეგ მოეკლათ. სანამ ესენი ბრძანებას ასრულებდნენ და დაუზოგავად შოლტავდნენ ბატონისაგან შერისხულს, რომელიც წამებისაგან ათასნაირად იკლაკნებოდა და ტკივილების გამო სახილველად აუტანელ მოძრაობებს აკეთებდა, შემთხვევით კვალდაკვალ მიმავალი წმიდა საზეიმო მსვლელობა გამოჩნდა. მსვლელობის მრავალი მონაწილე აღშფოთებული იყო იმით, რაც მათ წინ ხდებოდა; განსაკუთრებული წყრომა გამოიწვია საჯარო ხილვისათვის სრულიად შეუფერებელმა და აუტანელმა დასჯილის სხეულის მოძრაობებმა. მაგრამ უგვანო მოქმედების აღსაკვეთად არავიან არ გამოსულა; მხოლოდ ეს იყო, რომ მონაწილენი ლანძღავდნენ და წყევლა-კრულვით ავსებდნენ მონის ასე შეუბრალებლად დამსჯელ ბატონს. რომაელები იმ ხანებში მონებს, საერთოდ, ლმობიერად ექცეოდნენ, თვითონაც შრომობდნენ და ქვეშევრდომთა ცხოვრების ნირის გაზიარებით მათ მიმართ, როგორც წესი, გაცილებით მეტ თვინიერებას იჩენდნენ. დანაშაულის ჩამდენი მონის დიდი სასჯელი ის იყო, თუ კისერზე ხელნის შესაყენებელ ურმის წისადგარს ჩამოაცვამდნენ, რათა ამ სახით მოევლო მეზობლები. ვინც ასე დაისჯებოდა შინაურებისა და მეზობლების დასანახავად, იგი ყოველგვარ ნდობას კარგავდა და მას „ფურკიფერს“ ეძახდნენ: იმას, რასაც ელინები „ჰიპოსტატეს“-ს და „სტერიგმა“-ს ანუ შესადგმელ-შესაყენებელს უწოდებენ, რომაელები „ფურკა“ სიტყვით აღნიშნავენ.

25. ერთი სიტყვით, როცა ლატინუსმა სენატორებს სიზმრად ნანახი უამბო და ისინი საგონებელში ჩავარდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საზეიმო მსვლელობის სათავეში მოქცეული ის საძაგელი და უგვანო ხტუნია-მოცეკვავე, ზოგიერთმა გაიხსენა დაუშვებელი სასჯელით დასჯილი მონა, რომელიც შოლტების ცემით ფორუმზე გაატარეს. ქურუმები დაეთანხმნენ სენატორებს და ულმობელ ბატონს სამაგიერო აზღვევინეს, ხოლო ღმერთისადმი მიძღვნილი საზეიმო მსვლელობა და სანახაობა თავიდან გაიმეორეს.

მე მგონი, ღვთაებრივ საქმიანობაში უბრძენესმა მოძღვარმა მეფე ნუმამ რომაელებს სიფრთხილის უმშვენიერესი კანონი დაუწესა: როცა ხელისუფალნი ანდა ქურუმები რომელიმე ღვთაებრივ წესს ასრულებენ, მათ წინ მიუძღვის მაცნე, რომელიც ხმამაღლა წამოიძახებს ხოლმე მოწოდებას - „ჰოკ აგე!" ეს მოწოდება ნიშნავს: „აგრე ჰქმენ!" იგი ბრძანებს, მთელი გულისყური დაეთმოს წმიდა წესთა აღსრულებას და არავითარი სხვა საქმე და ხელის შემშლელი რაიმე ქმედება შიგ არ ჩაერთოს, რამეთუ თითქმის ყოველი ჩვეულებრივი ადამიანური საქმე რაღაც აუცილებელი ხერხითა და ძალდატანებითაც კეთდება. მსხვერპლშეწირვის, საზეიმო წმიდა მსვლელობისა და წმიდა სანახაობის გამეორება არა მარტო ზემოაღწერილის მსგავსი დიდი მიზეზით ხდება, არამედ იგი წესად აქვთ რომაელებს მცირე საბაბის დროსაც კი. მაგალითად, როცა „ტენზას"[20] გამწევმა ერთ-ერთმა ცხენმა სუსტად გასწია ღვედები, ანდა, როცა ერთხელ ერთმა მეურმემ აღვირი მარცხენა ხელში დაიჭირა, რომაელებმა დაადგინეს, საზეიმო მსვლელობა ხელახლა მოეწყოთ. უფრო მოგვიანო ხანებში მათ მოუწიათ, ერთ-ერთი მსვერპლშეწირვა ოცდაათჯერ შეესრულებინათ, ვინაიდან, ხან რაღაცის მხედველობიდან გამორჩენას, ხანაც სხვა ხელის შემშლელ გარემოებას იმიზეზებდნენ. აი, ასეთია რომაელთა მოწიწება ღვთაებრივი საქმიანობის წინაშე.

26. მარციუსი და ტულუსი ანტიუმში ფარულად ეთათბირებოდნენ ვოლსკთა შორის ყველაზე გავლენიან პირებს და მოუწოდებდნენ მათ, დაეწყოთ ომი რომაელებთან, სანამ ისინი ერთმანეთთან დავითა და მეტოქეობით იყვნენ გართულნი. გავლენიანი პირები ამ წინადადებას თავშეკავებით შეხვდნენ: რომაელებთან ჩვენ ორწლიანი საზავო ხელშეკრულება გვაქვს დადებულიო. მაგრამ ომისთვის თვითონ რომაელებმა შექმნეს საბაბი. წმიდა სანახაობის შეჯიბრების დღეს, რაღაც ეჭვისა თუ დაბეზღების საფუძველზე, მათთან მყოფ ვოლსკებს გამოუცხადეს, მზის ჩასვლამდე დაეტოვებინათ ქალაქი. ზოგიერთები ამბობენ, ეს ამბავი მარციუსის მიერ მოგონილი ხრიკის წყალობით მოხდაო. მან რომის ხელისუფალთ თავისი კაცი მიუგზავნა თურმე ვოლსკების წინააღმდეგ მიმართულ ცრუ ბრალდების საუწყებლად: წმიდა სანახაობის ჟამს ვოლსკებს განზრახული აქვთ რომაელებზე თავდასხმა და ქალაქის გადაბუგვაო.

გადაწყვეტილებამ ვოლსკთა განდევნის თაობაზე რომაელთა მიმართ საერთო აღშფოთება გამოიწვია. ტულუსი კიდევ უფრო

მეტად აზვიადებდა საქმეს და მოწოდებით აღიზიანებდა თავისიანებს. ბოლოს მან დაითანხმა ისინი, გაეგზავნათ რომში ელჩები და მოეთხოვათ იმ მიწებისა და ქალაქების უკან დაბრუნება, რომლებიც ვოლსკებმა ამასწინანდელ ომში დაკარგეს. რომაელებმა წყრომით მოუსმინეს ელჩებს და ასეთი პასუხით გაისტუმრეს: ვოლსკები პირველები აიღებენ ხელში იარაღს, მაგრამ ბოლოს ხმალს ქარქაშში რომაელები ჩააგებენო. ამის შემდეგ ტულუსმა საერთო სახალხო თავყრილობა მოიწვია და როცა ომის დაწყების გადაწყვეტილება მიიღეს, ხალხს ურჩია: მოვიხმოთ მარციუსი, ნუ გავიხსენებთ მისგან მოყენებულ ძველ წყენას, ვენდოთ მას, რადგან ჩვენი მოკავშირეობით იმაზე მეტ სარგებლობას მოგვიტანს, რაც ჩვენთან ომით დაგვაზიანაო!

27. როცა მოხმობილმა მარციუსმა ხალხის წინაშე სიტყვა წარმოთქვა და აღმოჩნდა, რომ იგი იყო კაცი, ვისაც სიტყვა ხმალზე ნაკლებ არ უჭრიდა და მეომრის გამბედაობითაც და ჭკუა-გონებითაც საგანგებოდ გამოირჩეოდა, ტულუსთან ერთად შეუზღუდავი ძალაუფლებით ომის წინამძღოლად აირჩიეს. იმის შიშით, რომ დრო, რაც ვოლსკებს ომის მოსამზადებლად სჭირდებოდათ, მეტისმეტად არ გახანგრძლივებულიყო და შექმნილი მარჯვე ვითარება ხელიდან არ გასცლოდა, მარციუსმა ქალაქის გავლენიან პირთ და ხელისუფალთ დაავალა, ყველა ძალისათვის თავი მოეყარათ და ყველაფერი მოემზადებინათ, ხოლო ყველაზე მამაცი ვოლსკები დაითანხმა, მხედრობის საყოველთაო შეკრებამდე, სრული ნდობით მას გაჰყოლოდნენ. ასეც მოხდა და მარციუსი ყველასათვის მოულოდნელად რომაელთა სამფლობელოებში შეიჭრა. ამ მოულოდნელი იერიშის წყალობით მან იმდენი ნადავლი ჩაიგდო ხელთ, რომ ვოლსკებმა უარი თქვეს ამ ნადავლის თავმოყრასა ან წაღებაზე ანდა ბანაკში მის გამოყენებაზე. ამ ლაშქრობის შედეგად მოპოვებულ უხვ ნადავლსა და მტრის მიწა წყლის აოხრებას მარციუსი ფრიად უმნიშვნელო საქმედ თვლიდა. მას უფრო დიდი განზრახვა ამოქმედებდა, სახელდობრ – პატრიციუსების დაკნინება და შერცხვენა ხალხის თვალში. იმ დროს, როცა თავისი იერიშით მარციუსი რომაელთა სანახებში ყველაფერს არბევდა და აოხრებდა, პატრიციუსების მამულებს განსაკუთრებული ხელშეუვალობით იცავდა და არავის ანებებდა, ამ მამულებისათვის რაიმე ზიანის მიყენებას, ანდა იქედან რაიმეს წამოღებას. ამან კიდევ უფრო მეტი უთანხმოება და შფოთი გამოიწვია პატრიციუსებსა და ხალხს შორის. პატრიციუსები ხალხს

ბრალად სდებდნენ, რომ მან უსამართლოდ განდევნა გამოჩენილი და ძლიერი ვაჟკაცი; ხალხი კი, თავის მხრივ, პატრიციუსებს ადანაშაულებდა: თქვენ ძველი წყენა გაქვთ გულში და ამის გამო თავს დაგვესხა მარციუსი; ხოლო ახლა, როცა სხვები ომობენ, მშვიდად სხედხართ მაყურებლად, რადგან თქვენი სიმდიდრისა და ქონების დამცველი, გარეთ, მტრის ბანაკში გყავთო!

როცა მარციუსმა თავისი საქმე გააკეთა და ვოლსკებს დიდი სიმხნევე და მტრების ზიზღი შთაუნერგა, რაც მათთვის მეტად სასარგებლო იყო, უკან გამობრუნდა.

28. როცა სწრაფად და ხალისით შეიკრიბა ვოლსკთა მხედრობა და მეტად მრავალრიცხოვანიც აღმოჩნდა, გადაწყვიტეს, ერთი ნაწილი საკუთარი ქალაქების დასაცავად დაეტოვებინათ, ხოლო მეორე ნაწილით რომაელების წინააღმდეგ დაძრულიყვნენ. ამ ორ ნაწილთაგან ერთ-ერთის არჩევა და მისი ხელმძღვანელის დანიშვნა მარციუსმა ტულუსს მიანდო. ტულუსმა განაცხადა: „ქველობით მარციუსი მე არ ჩამომივარდება; ყველა გადახდილ ბრძოლაში უკეთესი ბედი სწყალობდა; ამიტომ ვთხოვ მას, სალაშქროდ მიმავალ მხედრობას ჩაუდგეს სათავეში, მე კი აქ ქალაქთა დასაცავად დავრჩები და ლაშქრად წასულ ჯარს მარაგის მიწოდებით დავეხმარები!“

მარციუსი უფრო მეტად აღივსო ძალღონით და, უწინარეს ყოვლისა, რომაელთა მიერ დაფუძნებული ქალაქის – კირკეონის ასაღებად გაემართა, მაგრამ რაკიღა იგი ნებით ჩაჰბარდა, არავითარი ზიანი მისთვის არ მიუყენებია. ამის შემდეგ მარციუსი ლატინების მიწა წყლის დარბევას შეუდგა იმ იმედით, რომ რომაელები მათი მოკავშირე ლატინებისათვის, რომლებიც ხშირად სთხოვდნენ მათ შემწეობას, ხელს გამოიღებდნენ და მასთან ბრძოლაში ჩაებმებოდნენ. მაგრამ რომაელმა ხალხმა გულგრილობა გამოიჩინა და კონსულებმაც, რომელთაც თანამდებობრივი რწმუნების ვადა გაუდიოდათ და საფრთხეში თავის ჩაგდება არ სურდათ, ლატინთა ელჩები უკან გააბრუნეს. მაშინ მარციუსმა მხედრობა დაძრა ქალაქების – ტოლერეს, ლაბიკეს, პედისა და აგრეთვე ბოლეს წინააღმდეგ. რაკი ეს ქალაქები მედგრად დაუხვდნენ და არ დანებდნენ, მარციუსმა ისინი იერიშით აიღო, მათი მოსახლეობა დაატყვევა და ქონება დაიტაცა. იმათ მიმართ კი, ვინც ნებით ბარდებოდნენ, მარციუსი დიდ მზრუნველობას იჩენდა და, მისი სურვილის მიუხედავად, რომ რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ, თავის მხედრობას სამოსახლო ადგილებიდან მოშორებით აბანაკებდა.

29. მარციუსმა მალე აიღო ბოლეც, რომელიც რომს ას სტადიონზე მეტად არ იყო მოცილებული. აქ მან დიდძალი ქონება იგდო ხელთ და თითქმის ყველა მოქალაქე, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, ამოჟლიტა. ქალაქებში განლაგებული ვოლსკები ადგილზე ვეღარ ჩერდებოდნენ და იარაღით ხელში მარციუსთან შესაერთებლად მიეშურებოდნენ შეძახილით: ერთადერთი სარდალი და გამგებელი, რომელსაც ვცნობთ, მხოლოდ და მხოლოდ მარციუსი არისო! და მართლაც, მარციუსის სახელი შორს გავარდა მთელ იტალიაში: საყოველთაო გაოცებას იწვევდა ამ ერთი კაცის სიმამაცე, რომელმაც ვოლსკების მხარეზე თავისი გადასვლით მეტად დიდი და მოულოდნელი გარდატეხა მოახდინა.

რომაელებს წესრიგში უკვე აღარაფერი არ ჰქონდათ. შებრძოლებაზე აღარავინ ფიქრობდა. მთელ დღეებს ერთმანეთთან დავასა და ერთმანეთის წინააღმდეგ ამბოხების მოწოდებაში ატარებდნენ, სანამ არ მოუვიდათ ამბავი: მტერმა ალყა შემოარტყა ლავინიასაო. ამ ქალაქში კი რომაელებს მამაპაპეულ ღმერთთა ტაძრები ჰქონდათ და მათი ტომიც აქედან იღებდა სათავეს, რადგან სწორედ ეს იყო ის პირველი ქალაქი, რომელიც ენეასმა დააფუძნა.

აი, ამ დროს, საოცარი და საყოველთაო ცვლილება მოხდა ხალხის გონებაში და კიდევ უფრო არაჩვეულებრივი და სრულიად მოულოდნელი – პატრიციუსთა ზრახვებში. ხალხმა მოინდომა მარციუსისათვის გამოტანილი განაჩენის გაუქმება და მისი მოწვევა ქალაქში, ხოლო სენატმა, რომელიც საგანგებოდ შეიკრიბა და ეს საკითხი განიხილა, ხალხის წინადადება უარყო და წინააღმდეგობა გაუწია მას. ამის მიზეზი კი ან ის იყო, რომ პატივმოყვარე სენატს გადაწყვეტილი ჰქონდა, წინ აღდგომოდა ხალხის ყოველ მისწრაფებას, ან არ სურდა, მარციუსი ხალხის წყალობით დაბრუნებულიყო, ანდა გამწყრალი იყო თვითონ მარციუსზე, რადგან იგი ყველას ვნებას აყენებდა, თუმცა ყველასაგან როდი იყო შერისხული, და მტრად გადაეკიდა სამშობლოს, რომლის ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა და მასთან ერთად იყო შეურაცხყოფილი, რაც კარგად იცოდა.

როცა სენატის გადაწყვეტილება საყოველთაოდ გამოცხადდა, ხალხს უფლება აღარ ჰქონდა კენჭისყრით დაეკანონებინა თავისი წინადადება: სენატის წინასწარი დადგენილების გარეშე ეს შეუძლებელი იყო.

30. როცა მარციუსმა ეს შეიტყო, კიდევ უფრო მეტად გაღიზიან-

და. მან ლავინიას ალყა მოხსნა, განრისხებული დაიძრა რომზე და ქალაქს ორმოცი სტადიონით დაშორებულ, ეგრეთ წოდებულ კლელიას თხრილებთან დაბანაკდა. მისმა გამოჩენამ შიში და დაბნეულობა გამოიწვია რომაელებში და ამის გამო ერთმანეთში ატეხილი შფოთი შეწყვიტეს. ვეღარავინ ბედავდა – ვერც თანამდებობის პირი, ვერც სენატორი, – წინ აღდგომოდა ხალხის მოთხოვნას, მარციუსი დაებრუნებინათ. როცა ხედავდნენ, რომ ქალები აღმა-დაღმა დარბოდნენ ქალაქში, ხოლო მოხუცებულები ცრემლმორეულნი ხვეწნა-ვედრებად გადაქცეულიყვნენ ტაძრებში და უაღრესად საჭირო იყო გაბედული და მხსნელი გადაწყვეტილების მიღება, ყველა მიხვდა, რამდენად მართებულად ისწრაფოდა ხალხი, მარციუსი დაებრუნებინათ და როგორი დიდი შეცდომა დაუშვა სენატმა რისხვის შეწყვეტისა და წყენის დავიწყების უაღრესი საჭიროების ჟამს.

ასეთი ვითარების დროს ერთხმად დაადგინეს, მარციუსთან გაეგზავნათ ელჩები იმის საუწყებლად, რომ მას უფლება ეძლევა, სამშობლოში დაბრუნდეს და რომ თხოვნით მიმართავენ, შეწყვიტოს მათთან ომი.

სენატისაგან გაგზავნილი პირები მარციუსის ახლობლები იყვნენ და იმედოვნებდნენ, პირველ შეხვედრაზე მაინც ნათესავი და შინაური კაცისაგან დიდ კეთილგანწყობილებას იგრძნობდნენ. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა. ისინი მტრის ბანაკზე გატარებით მიიყვანეს მარციუსთან, რომელიც ამაყად და მოუდრეკელი ზვიადობით იჯდა ვოლსკთა შორის უპირველესი კაცებით გარსშემოჯარული. მარციუსმა ელჩებს მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ამათ შესაფერი წესის დაცვით საჭირო და ლმობიერი სიტყვები წარმოთქვეს. როცა ელჩები დადუმდნენ, მარციუსმა ჯერ თავის მხრივ მწარედ და წყრომით უპასუხა და მოაგონა მათ, რაც გადაიტანა, ხოლო როგორც ვოლსკების მთავარსარდალმა მოითხოვა, რომაელებს დაებრუნებინათ ომით მიტაცებული ქალაქები და მიწა-წყალი, აგრეთვე ვოლსკებისათვის ლატინების თანასწორი მოქალაქეობრივი უფლებები მიენიჭებინათ. თანაბარი და სამართლიანი პირობების გარეშე ომის შეწყვეტა და დაზავება მტკიცე და მყარი არ იქნებაო. მოფიქრებისათვის მარციუსმა ელჩებს ოცდაათი დღე მისცა. როცა ელჩები წავიდნენ, მან ბანაკი ახსნა და რომის სამფლობელოდან გავიდა.

31. ეს ამბავი პირველ ბრალდებად ჩაუთვალეს მარციუსს იმ ვოლსკებმა, რომლებიც უკვე კარგა ხანია შურით აღვსილნი მძიმედ განიცდიდნენ მის ძლიერებასა და აღზევებას. მათ შორის იყო ტუ-

ლუსიც. მას პირადად არავითარი წყენა მარციუსისაგან არ მიუღია, მაგრამ ადამიანისათვის დამახასიათებელი განცდის მორჩილი აღმოჩნდა. იგი წუხდა, რომ მისი სახელი სრულიად დაკნინდა, რომ ვოლსკები უგულებელყოფენ მას და მიაჩნიათ, მათთვის ყველაფერია მხოლოდ მარციუსი, სხვები კი მადლიერი უნდა იყვნენ მისგან მინიჭებული იმ ძალაუფლებით, რომელთა ღირსადაც ჩათვლის მათ. აი აქედან დაიწყო პირველ ბრალდებათა ფარული გავრცელება. მათი შემთხზველები თავს იყრიდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ გულისწყრომას და ღალატს ეძახდნენ მარციუსის მიერ ბანაკის ხსენებულ ახსნას: მართალია, მას ქალაქის კედლები და იარაღი არ ჩაუბარებია მტრისათვის, მაგრამ ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა. სწორედ ასეთ შემთხვევას ძალუძს ყველაფერი იხსნას და, ასევე ყველაფერი დაღუპოსო. ის ოცდაათი დღე, მან რომ მტრებს მისცა, გამოზომილია: ნაკლებ დროში დიდი ცვლილებების მოხდენა შეუძლებელიაო!

სინამდვილეში, სწორედ ხსენებული დროის მანძილზე მარციუსი უქმად როდი იყო: იგი არბევდა და ძარცვავდა მტრის მოკავშირეებს, აიღო შვიდი დიდი და მრავალსახლიანი ქალაქი. რომაელები მოკავშირეთა დახმარებას ვერ ბედავდნენ: მათ სულს სიმხდალე დაეუფლა და მათივე დამბლადაცემულ და დასუსტებულ სხეულს დაემსგავსა. გასაგებია, როგორი იქნებოდა მათი განწყობილება ომის მიმართ.

როცა დათქმული დრო გავიდა და მარციუსი მთელი თავისი მხედრობით კვლავ გამოჩნდა, რომაელებმა ისევ მიუგზავნეს მას ელჩები თხოვნით, დაეცხრო რისხვა, გაეყვანა ვოლსკები მათი მიწა წყლიდან და მერმე გაეკეთებინა და ებრძანებინა ის, რაც მისი ფიქრით ორივე ხალხისათვის უმჯობესი იქნებოდა: შიშით თუ მუქარით რომაელები არაფერს არ დათმობენო; თუ ივარაუდება, რომ ვოლსკები საჭიროებენ კაცთმოყვარულ მოწყალებას, ისინი ამას უთუოდ მიიღებენ, ოღონდ უნდა განიარაღდნენო. მარციუსმა ელჩებს უპასუხა: ვითარცა ვოლსკების სარდალი ვერაფერს გეტყვით, ხოლო როგორც ჯერ კიდევ რომაელი მოქალაქე გირჩევთ და მოგიწოდებთ, გონივრული გულისხმიერებით მოეკიდოთ სამართლიანად წამოყენებულ პირობებს და სამი დღის შემდეგ მოხვიდეთ ჩემთან დათქმულ პირობათა მიღების გადაწყვეტილებით. თუ სხვა აზრზე დადგებით და კვლავ მოხვალთ ჩემთან ბანაკში ცარიელი სიტყვებით, იცოდეთ, თქვენს უშიშროებას მე უკვე ვეღარ უზრუნველყოფო!

32. როცა ელჩები დაბრუნდნენ და სენატმა მათგან საქმის ვი-

თარება მოისმინა და იგრძნო, რომ ქალაქს საზარელი ქარიშხალი და დელგმა ატყდებოდა თავს, ვედრების თვალი წმიდა განგებას მიაპყრო. ვინც კი იყო ქალაქში ღმერთების მსახური ქურუმი ან წმიდა საიდუმლოების მონაწილე, ან ტაძართა მცველი, ანდა კიდევ ძველთაგანვე დამკვიდრებული, მამაპაპისეული მისნობის - ფრინველთმკითხაობის ოსტატი, ყველას უკლებლივ დაევალა, მოკაზმულიყვნენ იმ წესით, როგორც თითოეული მათგანი იმოსებოდა წმიდა სამსახურის აღსრულებისას და წასულიყვნენ მარციუსთან. მათ ისევ უნდა ეთხოვათ მისთვის, შეეწყვიტა ომი და მერმე მოლაპარაკებოდა თანამოქალაქეებს ვოლსკთა მიერ წამოყენებული პირობების თაობაზე. მარციუსმა ისინი თავის ბანაკში მიიღო, მაგრამ სხვა არაფერი არ დათმო. მან მტკიცედ მოსთხოვა მათ წინათ დასმული პირობის შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ომი მიეღოთ.

როცა წმიდა სამსახურის ამსრულებლები დაბრუნდნენ, რომაელებმა გადაწყვიტეს, ქალაქში ჩაკეტილიყვნენ და თავდამსხმელი მტერი კედლებიდან მოეგერიებინათ. რაკი არსაიდან სხვა ხსნა არ ჩანდა, ერთადერთ იმედს ისინი დროსა და ბედის მოულოდნელ ცვლილებაზე ამყარებდნენ. რომი ამ დროს შფოთით, შიშითა და ავი წინასწარ გრძნობით იყო შეპყრობილი. ასეთი იყო საქმის ვითარება, სანამ არ მოხდა ის ამბავი, რომლის მსგავსის შესახებ ხშირადაა ნათქვამი ჰომეროსის მიერ და რაც ბევრს არ სწამს. როცა იგი ლაპარაკობს დიადი და მოულოდნელი მოქმედების თაობაზე, ასე ბრძანებს:

თვალსხივოსანმა შთაუნერგა ათენამ ეს აზრი გულში...[21]

ან კიდევ:

უკვდავთაგანმა შემიცვალა გუნება და ასე მამცნო,
რა ხმას დაარხევდა ხალხი...[22] ანდა:

ამრიგად ფიქრობდა იგი, ან თვით ღმერთმა უბრძანა ასე...[23]

ზოგიერთები უგულებელყოფენ ასეთ გამონათქვამებს და მიაჩნიათ, რომ შეუძლებელი საქმის ჩვენებითა და დაუჯერებელი ზღაპრებით ჰომეროსი თითქოს უნდობლად ეკიდება თითოეული ადამიანის მიერ აზრის თავისუფლად არჩევის უნარს. არა, ჰომეროსი აგრე არ იქცევა; პირიქით: იგი ჩვენ თვითონვე გვაკისრებს გონიერებაზე დამყარებული ბუნებრივი და ჩვეულებისამებრივი ჩვენი ქმედების წარმართვას. აკი დაბეჯითებით ბრძანებს ხშირად:

წინასწარ ვიფიქრე ასე, განვიზრახე მამაცურ გულში...[24]
ან

ასე თქვა: პელეიონი მწუხარებამ შეიპყრო მეტად:
მის მამაც გულმკერდში ორი შეებრძოლა ერთმანეთს აზრი...[25]

ანდა:

ვერ დაარწმუნა, ვერა,
მან ბელეროფონტი მძლავრი, სიბრძნით ეგზომ აღსავსე გმირი.[26]

საგანგებოდ მძიმე და არაჩვეულებრივ საქმეებში, რომლებიც განსაკუთრებულ გატაცებასა და სიბეჯითეს მოითხოვენ, ჰომეროსი სრულიადაც არ წარმოგვიდგენს ღვთაებას იმ ძალად, რომელიც კაცს თავისუფალი არჩევანის უნარს ართმევს; პირიქით, ღვთაება მასთან ბიძგს აძლევს ადამიანს ასეთი არჩევანისაკენ; იგი მას მზამზარეული გადაწყვეტილების მიღების მისწრაფებებსა და მათი მეშვეობით თავისუფალი მოქმედების საფუძველს აძლევს და სიმხნევესა და იმედს უნერგავს. ან უნდა საერთოდ უარვყოთ ღვთაებრივი ძალების მონაწილეობა ჩვენი საქმიანობის მიზეზებსა და საწყისებში, ანდა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ძალები ადამიანს შემწეობას უჩენენ და მის მოქმედებაში თანამონაწილეობენ არა პირდაპირ, არამედ ირიბი გზით. ისინი როდი აიძულებენ ჩვენს სხეულს, მაინცდამაინც ასეთსა თუ ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდეს; არც იმას გვიკრძალავენ, ნებისმიერად და საჭიროებისამებრ ვამოძრაოთ ჩვენი ხელნი და ფერხნი, მაგრამ რომელიღაც პირველსაწყისთა, წარმოსახვათა და აზრთა მეშვეობით ჩვენს სულს სამოქმედო და თავისუფალი არჩევანის ძალას აძლევენ ანდა ამ პირველსაწყისებს, წარმოსახვებსა და აზრებს უკან აბრუნებენ და აყოვნებენ.

33. იმხანად რომში - სხვადასხვა ტაძრებში ქალები საველრებლად იყრიდნენ თავს, ხოლო მათ შორის ყველაზე უფრო წარჩინებული მანდილოსნები კაპიტოლიუმზე ლოცულობდნენ იუპიტერის საკურთხეველთან. იქ გახლდათ ომებსა თუ საერთოდ სახელმწიფო საქმეებში რომაელებისათვის ბევრი სამსახურის გამწევი და დიდად სასარგებლო ვაუკაცის პოპლიკოლას და - ვალერიაც. თვითონ პოპლიკოლა, როგორც მისი ცხოვრების აღწერილობაში გვაქვს გადმოცემული, მაშინ უკვე გარდაცვლილი

იყო, ვალერია კი ქალაქში დიდი სახელითა და პატივით გამოირ-ჩეოდა, ვინაიდან თავისი გვარი ცხოვრებაში არაფრით არ შეუ-ბღალავს. და აი, ანაზდეულად, ვალერია შეიპყრო იმ განცდამ, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მან, ცხადია, ღვთაებრივი შეგონების საფუძველზე გონების თვალით განჭვრიტა შექმნილი ვითარება, ფეხზე წამოდგა, წამოაყენა ყველა სხვა მანდილოსანიც და მარ-ციუსის დედის - ვოლუმნიას სახლისაკენ გაეშურა. სახლში შე-სულ ვალერიას ვოლუმნია რძალთან ერთად მჯდარი დაუხვდა; კალთაში მარციუსის ბავშვები ესხა. მოსული ქალები მას გარს შემოეხვივნენ. ვალერიამ დამხვდურებს უთხრა: „ვოლუმნიავ და ჩემო ვერგილიავ, ჩვენ ქალები მოვედით თქვენთან - ქალებთან არა სენატის გადაწყვეტილებით და ხელისუფალთა ბრძანებით, არამედ, ეტყობა, ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება და შეგვაგო-ნა, თქვენ მოგმართოთ და გთხოვოთ ხსნა ჩვენთვისაც და სხვა მოქალაქეებისათვისაც, გვინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ხსნით თქვენ იმაზე მეტი საჩინო სახელით შეიმოსებით, როგორიც მოიხ-ვეჭეს საბინების ქალებმა, რომლებმაც ერთმანეთთან მებრძოლი თავიანთი მამები და ქმრები მშვიდობისა და მეგობრობის დასამ-ყარებლად შეარიგეს.[27] წამოგვყევით მარციუსთან, შეუერთდით ჩვენს ვედრებას და იყავით ჭეშმარიტი და სამართლიანი მოწ-მენი სამშობლოსათვის! მიუხედავად იმისა, რომ იგი უბედურებას უბედურებაზე განიცდის, თავისი რისხვის გამო თქვენთვის არ მოუტანია და არც უფიქრია რაიმე ზიანის მოყენება. პირიქით, იგი თქვენ უკან გიბრუნებთ მარციუსს, თუმცა მისგან სახეიროს არაფერს ელის!" ვალერიას ნათქვამს დანარჩენი ქალები ხმა-მაღალი გოდებით გამოეხმაურნენ, ხოლო ვოლუმნიამ ასე უპა-სუხა: „მანდილოსნებო, ყველას თანაბრად საზიარო უბედურება დაგვიდგა, მაგრამ ჩვენ, მე და ვერგილიას, პირადი უბედურებაც გვჭირს: სახელი და სიქველე მარციუსისა ჩვენთვის დაკარგულია, ხოლო თვითონ მას, როგორც ვხედავთ, მტრის იარაღში ჩამჯდარს, ეს იარაღი საფრთხისაგან კი არ იცავს, არამედ უთვალთვალებს. ყველაზე დიდი ტანჯვა ჩვენთვის მაინც ისაა, რომ დაუძლურებულ სამშობლოს ჩვენი იმედიღა დაშთენია! მე არ ვიცი, შეიწყნარებს თუ არა იგი ჩვენს თხოვნას ახლა, როცა ხელი აუღია სამშობ-ლოზე, რომელსაც თავის დროზე დედასა და ცოლ შვილზე მეტ პატივს სცემდა. მიუხედავად ამისა, აჰა, გამოგვიყენეთ, მოგვკი-

დეთ ხელი და წაგვიყვანეთ მასთან; სხვას თუ ვერაფერს ვიქმთ, ის მაინც ძალგვიძს, სამშობლოსათვის ვედრებაში უკანასკნელი სუნთქვა ამოვუშვათ!“.

34. ამის შემდეგ ვოლუმნიამ წამოაყენა ვერგილია, ბავშვები და დანარჩენ ქალებთან ერთად ვოლსკების ბანაკისაკენ გაემართა. მათი დანახვა იმდენად გულსაკლავი იყო, რომ მტრებიც კი მოალბო და გაარინდა. მარციუსი ამ დროს მეთაურებთან ერთად შემაღლებულ ადგილზე იჯდა და ბჭობდა. მოახლოებული ქალების დანახვამ მეტად გააოცა, ხოლო როცა წინ მომავალი დედა შეიცნო, მოინდომა, თავის ურყევ და ულმობელ გადაწყვეტილებაზე დარჩენილიყო, მაგრამ განცდამ დასძლია; თვალწინ დამდგარი სანახაობით აღელვებული მომავალთა შესახვედრად ადგილზე ველარ დამაგრდა, მყისვე ქვემოთ ჩამოიჭრა და შესაგებებლად გაეშურა. ჯერ დედას მოეხვია და დიდხანს ვერ მოშორდა, მერმე ცოლ შვილი ჩაიხუტა. მან ვერც ცრემლები შეიმაგრა, ვერც ალერსისაგან შეიკავა თავი და მთლიანად ჩაჰბარდა განცდების ნაკადს.

35. როცა ალერსით გაძღა და ინიშნა, დედას საუბრის დაწყება სურდა, მრჩევლებად შერჩეული ვოლსკები გვერდით დაიყენა და ვოლუმნიასაგან შემდეგი მოისმინა: „შვილო ჩემო, რომც არაფერი ვთქვათ, ჩვენი შესამოსელითა და საბრალო შესახედაობითაც მიხვდები, რა შევიწროებულ ვითარებაში ჩაგვყარა შენმა განდგომამ. აბა, შენ თვითონვე განსაჯე ახლა, ვართ თუ არა აქ მოსულ აი ამ ქალებში ჩვენ ყველაზე მეტად უბედურნი, რომელთაც მსახვრალმა ბედმა ყველაზე საამო სანახაობა ყველაზე საშიშად გარდაგვიქცია: გვაყურებინებს, ვით მოუქცევია ალყაში მშობლიური ქალაქი მის კედლებთან ჩამჯდარ ჩემს შვილს და აი, ამის ქმარს! ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა ღმერთების მიმართ ვედრება, რაც სხვებისთვის საიმედო ნუგეშია ყოველი უბედურებისა და გაჭირვების ჟამს, რადგან შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ვთხოვოთ ღმერთებს სამშობლოს გამარჯვებაც და შენი ხსნაც, რამეთუ ყველა წყევლა-კრულვა, რაც კი შეიძლება მტერმა გვისურვოს, ჩვენთვის ლოცვა-ვედრების საგანია. შენს ცოლ-შვილს მოუწევს ან სამშობლოს ან შენი დაკარგვა. მე კი ცოცხალი თავით ვერა და ვერ დავუცდი, ამათგან რომელ ბედს მარგუნებს ომი. თუ მე ვერ დაგაჯერებ, მეგობრობასა და თანხმობას მისცე უპირატესობა, ვიდრე უთანხმოებასა და ბოროტებას, და ამჯობინო, გახდე ორივე

ხალხის კეთილისმყოფელი, ვიდრე ერთ ერთი მათგანის შემმუსვრელი, იცოდე და მზად იყავ იმისათვის, რომ შენ სამშობლოსთან ბრძოლაში ჩაბმას შეძლებ მხოლოდ და მხოლოდ მშობელი დედის გვამზე გადაბიჯებით! ღმერთმა ნუ მომასწროს ის დღე, თანამოქალაქეები ტრიუმფს იხდიდნენ ჩემს შვილზე გამარჯვების გამო, ანდა, პირიქით, ჩემი შვილი ზეიმობდეს სამშობლოს დამარცხებას! მე რომ შენ გთხოვო, გადაარჩინო სამშობლო და შემუსრო ვოლსკები, მეტისმეტად ძნელი, თითქმის გადაუწყვეტელი ამოცანა დაგიდგებოდა, შვილო: ბოროტი საქმეა თანამოქალაქეთა განადგურებაც და იმათი ღალატიც, ვინც ნდობა გამოგიცხადეს. ახლა ჩვენ მხოლოდ იმას ვთხოულობთ, რომ თავიდან ავიცილოთ ეს ბოროტება, რაც ორივე ხალხს ერთნაირად მოუტანს ხსნას და უფრო მეტად საპატიო იქნება ვოლსკებისათვის. ისინი სახელს მოიხვეჭენ იმით, რომ გამარჯვებულებმა ყველაზე დიდი სიკეთე – მშვიდობა და მეგობრობა მიანიჭეს დაძლეულთ და არანაკლები – საკუთარ თავსაც. და თუ ეს აღსრულდა, უმთავრესი მიზეზი ამ სიკეთისა იქნები შენ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება, ორივე ხალხისათვის ასევე მხოლოდ შენ აღმოჩნდები დამნაშავე. ომის შედეგი გაურკვეველია, მაგრამ ეს კი სრულიად ცხადია: თუ გაიმარჯვებ, სამშობლოსათვის მუდამ ბოროტ სულად დარჩები, თუ დამარცხდი, შენზე იტყვიან: თავისი რისხვის წყალობით გახდა მიზეზი კეთილისმყოფელთა და მეგობართა უდიდესი უბედურებისაო!“

36. ვოლუმნიას სიტყვებს მარციუსი ხმაამოუღებლად ისმენდა. დედამ სიტყვა შეწყვიტა; ის კი კარგა ხანს იდგა თავჩაქინდრული და დუმდა. ვოლუმნიამ კვლავ მიმართა: „რატომ ხმას არ იღებ, შვილო? როგორ ფიქრობ, რა უფრო უკეთესია: ყველაფერი საკუთარ რისხვასა და გულში ჩაბუდებულ ბოროტ წყენას დაუმორჩილო, თუ ხალისით დაუთმო დედას, რომელიც ესოდენ დიდი საქმის აღსრულებას გემუდარება? იქნებ დიდებულ ვაუკაცს განცდილი წყენისა და ტანჯვის არდავიწყება შეჰფერის და იქნებ დიდებული და სახელოვანი კაცის საქმე არაა, თაყვანი სცეს და პატივით მოეკიდოს მადლიერების იმ გრძნობას, რომელსაც შვილები მშობლების მიმართ უნდა იჩენდნენ: არავის ისე არ ეგების მადლიერების ბეჯითად დაცვა, როგორც შენ უმადურობის წინააღმდეგ ასე მკაცრად მებრძოლს! მამულს შენ უკვე საკმაოდ

გადაუხადე წყენის სამაგიერო, მაგრამ დედისათვის მადლობის გადასახდელად ჯერჯერობით არაფერი არ გაგიკეთებია. ამიტომ ყველაზე წმიდა და ღირსეული საქმე იქნებოდა, ყოველგვარი იძულების გარეშე, შეგესრულებინა ჩემი თხოვნა ესოდენ კეთილშობილი და სამართლიანი. თუ ვერ გაჯერებ, რაღაზე არ მივმართო ჩემს უკანასკნელ იმედს?!" ამ სიტყვებზე ვოლუმნია შვილს ფეხებში ჩაუვარდა მის ცოლთან და შვილებთან ერთად. „ეს რა მიქენი, დედაჩემო!" - შესძახა მარციუსმა, მერმე ფეხზე წამოაყენა და მისი მარჯვენა ხელი მკერდზე მიიხუტა: „შენ გაიმარჯვე, დედაჩემო, მამულისათვის ბედნიერი, ხოლო ჩემთვის დამღუპველი გამარჯვებით!" თქვა ეს და ამის შემდეგ დედასა და ცოლს განცალკევებით მოკლედ მოელაპარაკა და ისინი, მათივე თხოვნით, უკან, რომში გაგზავნა. მეორე დღეს, განთიადზე, მარციუსმა ალყა მოხსნა და წაიყვანა ვოლსკები, რომლებიც სხვადასხვანაირად მოეკიდნენ მომხდარ ამბავს. ერთნი კიცხავდნენ მარციუსს და მის საქციელს, მეორენი, პირიქით, მხარს უჭერდნენ ომის დამთავრებასა და მშვიდობას, სხვები კი მომხდარით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ მარციუსის ძვირს არ ამბობდნენ და ასეთი აუცილებლობით გატეხილს თანაგრძნობისა და შებრალების ღირსად თვლიდნენ. წინ მას არავინ არ აღსდგომია, ყველანი უკან გაჰყვნენ, არა იმდენად მისი ხელისუფლების მორჩილნი, რამდენადაც მოხიბლულნი მისი კეთილშობილებითა და სიქველით.

37. თუ რა საშიშროებისა და საფრთხის წინაშე აღმოჩნდა რომაელი ხალხი კარს მომდგარი ომის გამო, ეს ყველაზე მეტად საგრძნობი გახადა მშვიდობიანმა დასასრულმა. როგორც კი შენიშნეს ქალაქის კედლებთან მყოფმა რომაელებმა, ვოლსკები ბანაკს ხსნიანო, მყისვე გააღეს ყველა ტაძარი და გვირგვინებით შემკულებმა, ვით გამარჯვების დროს, მსხვერპლის შეწირვა დაიწყეს. ქალაქის სიხარული განსაკუთრებით გამომჟღავნდა იმ სიყვარულსა და პატივისცემაში, რომლებიც სენატმა და მთელმა ხალხმა გამოიჩინა ქალების მიმართ: საყოველთაო აღიარებით, მათ ხსნის ერთადერთ მიზეზად თვლიდნენ. სენატმა დაადგინა, პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, ქალაქის გამგებლებს ყოველი მათი სურვილი შეესრულებინათ. მაგრამ ქალებს სხვა არაფერი მოუთხოვიათ, გარდა ქალთა ბედის სახელზე ტაძრის აგებისა; ამასთან ხარჯს თვითონ კისრულობდნენ; სახელმწიფოს

უნდა გაეღო სახსრები მხოლოდ წმიდა სამსახურისა და სხვა საპატიო საქმეთა აღსასრულებლად, რაოდენიც კი სჭირდებოდა ღმერთების თაყვანისცემას. სენატმა ქალების პატივმოყვარეობა მოიწონა, მაგრამ ტაძარი და საჭირო ქანდაკება საზოგადო ხარჯებით აღმართა. მიუხედავად ამისა, ქალებმა ნაკლები თანხა როდი გაიღეს და გააკეთებინეს მეორე გამოსახულება ღვთაებისა. როცა იგი ტაძარში დადგეს, რომაელთა გადმოცემით, ქანდაკებამ დაახლოებით ასე წარმოთქვა თურმე: „უკვდავთათვის საამო შესაწირავი მომიძღვენით თქვენ მე, ქალებო!“

38. მოგვითხრობენ, თითქოს ეს ხმა მეორეჯერაც გაისმაო. ამით სურთ დაგვაჯერონ ის, რაც შეუძლებელს ჰგავს და ძნელია სარწმუნოდ. აი ეს კი შესაძლებელია ვიხილოთ, რომ ქანდაკებებს ხანდახან ცრემლი და სისხლისფერი ოფლი სდით. საქმე ის გახლავთ, ხესა და ქვას ხშირად სინესტის წარმომქმნელი ობი ეკიდება, ხშირადვე მათგან ზედაპირზე საღებავისებრი სითხე ამოჟონავს და გარემომცველი ჰაერის ზეგავლენით სხვადასხვა ფერს ღებულობს, რაც არ ქმნის დაბრკოლებას ვირწმუნოთ, ქანდაკებაში გამოსახული ღვთაება ხსენებული მოვლენით ზოგიერთ რამეს გვაუწყებს. ისიც შესაძლებელია, ქანდაკებამ ზოგჯერ ოხვრისა და კვნესის მსგავსი ხმა გამოსცეს მის შიგნით ნაწილაკთა სკდომისა და მძლავრი დაშლის შედეგად. მაგრამ სრულიად შეუძლებელია, უსულო საგანმა დანაწევრებული, ეგზომ მკაფიო, მნიშვნელოვანი და გასაგები სიტყვების შემცველი ხმა გამოსცეს. სამეტყველოდ შეხამებული ნაწილებით აღჭურვილი სხეულის გარეშე სულსა და თვით ღმერთსაც კი არ ძალუძთ ხმა ამოიღონ და დაილაპარაკონ. ზოგჯერ ისტორია თითქოს დამარწმუნებელი მრავალი მაგალითით გვაიძულებს, დავუჯეროთ მას, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ჩვენი რწმენა ემყარება განსაკუთრებულ გრძნობას, რომელიც არ ეხამება ნამდვილ შეგრძნებებს და სულის მიერ წარმოსახვათა ნაყოფია, ზუსტად ისეთი, სიზმრად რომ ხდება: ვისმენთ იმას, რასაც ნამდვილად ვერ ვისმენთ და ვხედავთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, ისინი, რომელთაც ღვთაების მიმართ პატივისცემა, სიყვარული და განსაკუთრებით ძლიერი რწმენა აქვთ და ხსენებულ სასწაულებს ვერ უარყოფენ, თავიანთ დიდ ნდობას ამყარებენ საოცარ მოვლენებსა და ისეთ რამეზე, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია და ღვთაებისმიერ ძალაშია. ღვთაება ხომ არაფ-

რით არ ჰგავს ადამიანს: არც ბუნებით, არც მოძრაობით, არც ხელოვნებითა და არც ძალით. ამიტომ საკვირველი როდია, მას რომ ძალუძს იმის ქმნა, რაც ჩვენ არ ძალგვიძს, და იმის ზრახვა, რასაც ჩვენ ვერ განვიზრახავთ. ყველაფრით ძალზე განსხვავებული ჩვენგან, ღვთაება ყველაზე უფრო მეტად მაინც თავისი ზემოქმედებით სხვაობს და აღმატებულია ჩვენზე. ღვთაებრივ საქმეთა უმრავლესი ნაწილი, ჰერაკლიტეს თანახმად, უნდობლობით უსხლტება ჩვენს შემეცნებას.

39. როგორც კი დაბრუნდა ლაშქრობიდან მარციუსი ანტიუმში, მისადმი უკვე კარგა ხანია ზიზღითა და ძლიერი შურით აღვსილმა ტულუსმა განიზრახა, დაუყოვნებლივ მოეკლა იგი. ფიქრობდა: ახლა თუ ხელიდან დამისხლტა, სხვა ასეთი შემთხვევა აღარ მომეცემაო. მან მარციუსის წინააღმდეგ წააქეზა და დარაზმა მრავალი მომხრე და მოითხოვა, მარციუსი თანამდებობიდან გადამდგარიყო და ვოლსკებისათვის თავისი საქციელის ანგარიში მოეხსენებინა. მარციუსმა იცოდა, რა საშიშროებაც მოელოდა, თუ კერძო პირად იქცეოდა და ამ დროს ტულუსი მთავარსარდლობასა და თანამოქალაქეებში უდიდეს გავლენას შეინარჩუნებდა. მარციუსმა განაცხადა: თანამდებობას ჩავაბარებ ვოლსკებს, თუ მიბრძანებენ, ვინაიდან საყოველთაო მოთხოვნით მათგან მივიღე იგი, ხოლო ანგარიშს ახლავე წარვუდგენ იმ ანტიუმელებს, რომლებიც ამას მოისურვებენო. მოიწვიეს სახალხო კრება; წინასწარ მომზადებულმა დემაგოგებმა დაიწყეს ხალხის წაქეზება მარციუსის წინააღმდეგ. მაგრამ როცა იგი ადგილიდან წამოდგა, მორიდებამ იმძლავრა, ხმაური ჩაახშო და მარციუსს დაუბრკოლებლად ლაპარაკის შესაძლებლობა მიეცა. რჩეულმა ანტიუმელებმა, რომლებიც ყველაზე მეტად ხარობდნენ დამყარებული მშვიდობით, ყველას ცხადად აგრძნობინეს, რომ კეთილგანწყობილებით მოუსმენდნენ მარციუსს. ტულუსს შეეშინდა თავდასაცავი სიტყვისა, რომელიც მჭევრმეტყველებაში მისმა საუკეთესო მეტოქე ვაუკაცმა წარმოთქვა; მით უმეტეს, რომ მის მიერ უწინ გადახდილი საგმირო საქმეებით მოპოვებული აღიარება და მადლიერება ბევრად აღემატებოდა ბოლოდროინდელ გადაცდომას; უკეთ რომ ვთქვათ, მისადმი წაყენებული მთელი ბრალდება მისი აღიარების სიდიადის მაუწყებელი გახლდათ. რომის აუღებლობამ ვოლსკები, ეტყობა, მხოლოდ იმიტომ გაანაწყენა, რომ კინაღამ არ აიღეს იგი

სწორედ მარციუსის წყალობით. ტულუსმა გადაწყვიტა, მეტად აღარ შეყოვნებულიყო და ხალხის გრძნობათა გამოცდით დრო და შემთხვევა არ დაეკარგა. მის მომხრეთაგან ყველაზე უფრო თავხედმა შეთქმულებმა ყვირილი მორთეს: ვოლსკებს არ სურთ უსმინონ და უყურონ მოღალატეს, რომელიც ტირანიისაკენ მიისწრაფვის და რწმუნებას არ იხსნისო. ყვირილთან ერთად ისინი ჯგუფურად დაესხნენ თავს მარციუსს და იქვე მოკლეს. მის დასაცავად დამსწრეთაგან არავის ხელი არ გამოუღია. მაგრამ ვოლსკთა უმრავლესობას არ მოეწონა ჩადენილი მკვლელობა. ეს მალე დაამტკიცეს კიდეც: სხვადასხვა ქალაქებიდან თავმოყრილებმა მარციუსის გვამი საჭირო პატივით დაკრძალეს და საფლავი იარაღითა და მტრისაგან წართმეული ნადავლით შეუმკეს, როგორც ეს ეკადრებოდა გამორჩეულ გმირსა და სარდალს.

როცა რომაელებმა მარციუსის სიკვდილი შეიტყვეს, არაფრით არ აღუნიშნავთ ეს: არც ხსოვნის პატივისცემით და არც მისადმი წყრომის გამომჟღავნებით. მხოლოდ ეს იყო, რომ ქალებს თხოვნა შეუსრულეს და ნება დართეს ათთვიანი გლოვისა, რაც წესად ჰქონდათ მშობლის, შვილისა და ძმის მიმართ. ეს იყო გლოვის ყველაზე ხანგრძლივი საზღვარი, რომელიც ნუმა პომპილიუსმა დააწესა და რაც მისი ცხოვრების აღწერილობაშია გაცხადებული.

შექმნილმა ვითარებამ სულ მალე სანანებლად გაუხადა მარციუსი ვოლსკებს. ჯერ იყო და წინამძღოლის არჩევის გამო წაეკიდნენ მეგობარ და მოკავშირე ეკვებს და საქმე სისხლის ღვრამდე და ხოცვა-ჟლეტამდე მივიდა; მერმე რომაელებთან დამარცხდნენ ბრძოლაში, რომელშიც დაიღუპა ტულუსი და შეიმუსრა მხედრობის საუკეთესო ნაწილი. ვოლსკები იძულებული გახდნენ, საკუთარი თავის შემარცხვენელი ზავი დაედოთ: ისინი რომაელებს დაემორჩილნენ და მათი ყოველი გადაწყვეტილების შესრულება იკისრეს.[28]

ალკიბიადესა და მარციუსის შეთანასწორება

1. ასეთი გახლავთ ის საქმენი, რომელნიც გადმოცემისა და გახსენების ღირსად ჩავთვალეთ. კარგად უნდა ჩანდეს, რომ ამ ორი ვაჟკაცის მიერ შესრულებულმა საომარმა წარმატებებმა არც ერთსა და არც მეორეს არ შესძინეს მაინცდამაინც დიდი წონა.

ორივემ თანაბრად და მრავალგზის გამოიჩინა გაბედულება და მამაცობა საომარ საქმეებში და სარდლის ხელოვნება და გამჭრიახობა; თუმცა შესაძლოა, ზოგიერთმა უფრო სრულყოფილ სტრატეგოსად გამოაცხადოს ალკიბიადე, ვინც ხმელეთსა და ზღვაზე მრავალ ბრძოლაში გაიმარჯვა და ბევრი საგმირო საქმე აღასრულა.

უნდა ითქვას, ორივეს ერთნაირად ახასიათებდა ის, რომ, მართალია, თავისი არსებობითა და წინამძღოლობით ბევრი სიკეთე მოუტანეს თავთავის მამულს, მაგრამ თავიანთი განდგომით ბევრი ზიანიც მიაყენეს. კეთილგონიერი ხალხი ზიზღით ეკიდებოდა ალკიბიადეს მიერ ბრბოს გულის მოსაგებად სახელმწიფო მოღვაწეობაში გამოჩენილ უსაზღვრო თავხედობას; ხოლო მარციუსი რომაელ ხალხს არ უყვარდა მისი მეტისმეტი უმადურობის, ზვიადობისა და ოლიგარქიული მისწრაფებების გამო. არც ერთი და არც მეორე საქციელი არაა საქებარი, მაგრამ ხალხის გულის მოგებისა და მისი მადლიერების მაძიებელზე უფრო მეტად გასაკიცხნი არიან ისინი, რომლებიც ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ ქედმაღლობით: ასეთ მაძიებლებად არ ჩაგვთვალონო. სამარცხვინოა, მართლაც, ხელისუფლების მოსაპოვებლად ხალხის წინაშე მლიქვნელობა, მაგრამ სამარცხვინოცაა და უსამართლო საქციელიც შიშზე, ბოროტებასა და ჩაგვრა-შევიწროებაზე დამყარებული ძალაუფლება.

2. სრულიად აშკარაა, რომ სახელმწიფო მოღვაწეობაში მარციუსი პირდაპირი და გულახდილი კაცი იყო, ხოლო ალკიბიადე – ცბიერი და არაგულწრფელი. ყველაზე დიდ ბრალდებად მას უყენებენ ვერაგობასა და სიცრუეს, რომელიც, როგორც თუკიდიდე მოგვითხრობს,[1] ლაკედემონელთა ელჩებთან გამოიჩინა და რამაც ზავი დაარღვია. თუ ამგვარმა პოლიტიკამ ათენი კვლავ ომში გახვია, მანვე აქცია იგი ძლიერ და მრისხანე სახელმწიფოდ მანტინეელებისა და არგოსელების მოკავშირეობის წყალობით, რომელიც ალკიბიადემ დაამყარა. დიონისიოსის გადმოცემით, წმიდა დღესასწაულზე მოსულ ელჩებს მარციუსმაც ცილი დასწამა და სიცრუის მეშვეობით რომაელთა და ვოლსკთა შორის ომი ატეხა.[2] თუ ამ საქციელის მიზეზებს შევადარებთ, მეორე უარესია. მარციუსს ალკიბიადესავით პატივმოყვარეობა და სახელმწიფო მოღვაწეობაში ბრძოლა და მეტოქეობა კი არ ამოძრავებდა, არამედ სამაგიეროს გადასახდელად გამოწვეული რისხვა, რომლისგანაც,

დიონის თქმით,[3] სასიკეთო არაფერია მოსალოდნელი. სწორედ ამ რისხვის წყალობით მარციუსმა იტალიის ბევრი მხარე შფოთში გახვია და მამულზე გამწყრალმა სრულიად უდანაშაულო მრავალი ქალაქი იმსხვერპლა. მართალია, ალკიბიადეს წყრომაც იყო თანამოქალაქეების დიდ უბედურებათა მიზეზი, მაგრამ, როგორც კი გაიგო ალკიბიადემ, ათენელები სინანულს მიეცნენო, მაშინვე კეთილად განეწყო. მეორეჯერ განდევნილსაც კი არ გახარებია ათენელი სტრატეგოსების მიერ დაშვებული შეცდომები და გულგრილად არ მოჰკიდებია მათ უგვანო გადაწყვეტილებებს და ამის ნიადაგზე მათთვის შექმნილ საფრთხეს. მან გააკეთა ის, რაც თავის დროზე თემისტოკლეს მიმართ მოიმოქმედა არისტიდემ, რომელიც ამის გამო დღემდე ქებით მოიხსენიება.[4] არისტიდე მაშინ მისადმი არცთუ მეგობრულად განწყობილ არქონტებთან ჩავიდა და უთხრა და ასწავლა მათ, რა იყო საჭირო. მარციუსმა კი, ჯერ იყო და, მთელი სახელმწიფოსაგან არ განუცდია ვნება: მისი საუკეთესო და გავლენიანი ნაწილი მასთან ერთად იყო უსამართლობით განაწყენებული და მას თანაუგრძნობდა. მერმე მარციუსმა არაფერი არ დათმო და არ შეიწყნარა თხოვნა ვედრება მასთან მრავალგზის მიგზავნილი ელჩებისა, რომლებიც მისი წყრომის დაცხრომას ლამობდნენ. მან ცხადი გახადა, რომ მძიმე და შეურიგებელი ომი წამოიწყო არა იმიტომ, რომ გამარჯვების შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებულიყო, არამედ იმიტომ, რომ იგი დაეღუპა და დაექცია.

აქ შეიძლება ალკიბიადესა და მარციუსს შორის არსებული ერთი სხვაობაც დაემატოს: ალკიბიადე სპარტელებს განუდგა და ათენელების მხარეზე გადავიდა სპარტელების ვერაგობით გამოწვეული შიშისა და მათდამი სიძულვილის გამო; მარციუსს კი არავითარი საბაბი არ ჰქონდა, მიეტოვებინა ვოლსკები, რომლებიც მას სამართლიანად ექცეოდნენ: იგი წინამძღოლად აირჩიეს და უდიდესი ნდობითა და ძალაუფლებით აღჭურვეს. ალკიბიადეს სამსახურს ლაკედემონელები ბოროტი ზრახვით უფრო იყენებდნენ, ვიდრე კეთილგანწყობით. ალკიბიადე გაოგნებული დაეხეტებოდა ჯერ მათ ქალაქში, მერმე მათ ბანაკში და ბოლოს საკუთარი თავი ტისაფერნეს ჩაუგდო ხელში. ვფიცავ ზევსს, შესაძლოა, იგი ტისაფერნეს სამსახურში იმის წადილით ჩადგა, რომ ათენი დაღუპვისაგან გადაერჩინა და მერმე დაბრუნებულიყო იქ.

3. გადმოგვცემენ, ალკიბიადე ხშირად რიდისა და მოკრძალების გარეშე იღებდა ქრთამად ფულს ფუფუნებისა და დაუოკებელ წადილთა დასაკმაყოფილებლადო. მარციუსი კი სტრატეგოსებისაგან სრულიად დამსახურებულ, საპატიო ჯილდოსაც კი არ იღებდა. აი ამიტომ შეიზიზღა იგი ხალხმა ვალებთან დაკავშირებული უთანხმოების ჟამს. ამბობდნენ, პირადი სარგებლობისა და სიხარბის მიზეზით კი არა, ქედმაღლობისა და ზიზღის გამო აყენებს შეურაცხყოფას ღარიბ ღატაკებსო. ფილოსოფოს არისტოტელეს გარდაცვალების თაობაზე შეთხზულ ერთ ერთ წერილში ანტიპატრე[5] ამბობს: „სხვა ბევრ რამესთან ერთად ეს კაცი ხიბლისა და დამაჯერებლობის ძალის პატრონიც იყოო". მარციუსს ეს ღირსება არ გააჩნდა, ამიტომ მისი საქმიანობა და საგმირო საქმენიც კი ზიზღს იწვევდა იმათშიც, ვისაც სიკეთეს უყოფდა: ვერა და ვერ იტანდნენ მის ქედმაღლობასა და თვითკმაყოფილებას – განკერძოების თანმხლებ ამ თვისებას, როგორც პლატონმა თქვა. ალკიბიადე, პირიქით, გაწაფული გახლდათ, ყოველ შემხვედრს ალერსიანად მოჰკიდებოდა. ამიტომ სრულიადაც არაა გასაკვირი, მის ყოველ წარმატებას რომ უსაზღვროდ ადიდებდნენ და კეთილგანწყობითა და პატივით ხვდებოდნენ; მაშინაც კი, როცა ზოგჯერ შეცდომებს უშვებდა, მაინც გულთბილად და ყურადღებით ეკიდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ალკიბიადემ არცთუ მცირე ზიანი მიაყენა, მას ხშირად სტრატეგოსადაც ირჩევდნენ და მხედრობის სათავეშიც აყენებდნენ; მარციუსმა კი, როცა მრავალი საგმირო საქმისა და მამაცობის საფუძველზე თანამდებობის დაკავება სცადა, მარცხი განიცადა. ასე რომ – თანამოქალაქეებს ძალა არ ჰყოფნიდათ, სძულებოდათ მათი დამტანჯველი ალკიბიადე, ხოლო მარციუსს პატივისცემით კი ეკიდებოდნენ რომაელები, მაგრამ არა და არ უყვარდათ იგი.

4. როგორც სტრატეგოსს, მარციუსს არც ერთხელ არ გამოუჩენია თავი სამშობლოს წინაშე; იგი მტრების სასარგებლოდ და მამულის საზიანოდ იღვწოდა. ალკიბიადემ კი, ვითარცა უბრალო მეომარმა და როგორც სტრატეგოსმაც, მრავალი სარგებლობა მოუტანა ათენელებს. ალკიბიადე მტრებთან პირისპირ ყოფნის ჟამს მუდამ და ნებისმიერად ამარცხებდა მათ; ცილისწამება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მძლავრობდა მასზე, როცა იგი ადგილზე

არ იმყოფებოდა. მარციუსს კი მისივე თანდასწრებით გამოუტანეს მსჯავრი რომაელებმა, ხოლო ვოლსკებმა იოლად მოკლეს იგი უსამართლოდ და უსინდისოდ; თუმცა მათ საამისო ხელსაყრელი საბაბი თვითონვე მისცა: სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული წინადადება დაზავებისა არ მიიღო, ქალებს კი განკერძოებით ერწმუნა, მაგრამ მტრობასა და ომს საზღვარი ვერ დაუდო და მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაუშვა და დაკარგა. რაკიღა დათმობაზე წავიდა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაერწმუნებინა საამისოდ ისინი, რომლებიც მას მიენდნენ, თუკი ყველაზე უფრო ვალდებულად მათ წინაშე თვლიდა თავს. თუ ვოლსკები არაფრად უღირდა და მარტო თავისი წყრომის დასაკმაყოფილებელი სურვილით წამოიწყო ომი, ხოლო შემდეგ შეწყვიტა, ამ შემთხვევაშიც უმართებულოდ მოიქცა: დედის ხათრით კი არ უნდა დაეზოგა მამული, არამედ მამულიცა და დედაც ერთად უნდა ყოფილიყო მისი მზრუნველობისა და დაზოგვის საგანი - დედაცა და ცოლიც ხომ ნაწილი იყო მამულისა, რომელიც ალყაში ჰყავდა! მარციუსის ის საქციელი - სახელმწიფოს თხოვნა, ელჩების ხვეწნა და ქურუმთა მუდარა რომ არ შეისმინა და მერმე დედის ხათრით დაიხია უკან, დედის პატივისცემა კი არა, შეურაცხყოფა იყო სამშობლოსი, რომელიც დაღუპვას ერთადერთი ქალის სიბრალულითა და ხვეწნა ვედრებით გადაურჩა, თითქოს თავისთავად არ იყო ღირსი ხსნისა და გადარჩენისა. ეს გახლდათ რაღაც საძაგელი, მკაცრი და, მართლაც, საუმადურო მოწყალება! არც ერთი მეომარი მხარისათვის არ იყო ამ მოწყალებაში კეთილმოსურნეობა. მარციუსმა იმის გამო კი არ დაიხია უკან, რომ მტრის შემოთავაზებულ პირობებს ერწმუნა, არც იმიტომ, რომ ზავზე თანამოსაგრენი დაითანხმა. ყველაფრის მიზეზი გახლდათ კეთილი ურთიერთობის მოძულე, მეტისმეტად ამპარტავნული ხასიათი და თვითკმაყოფილება, რაც თავისთავადაც სძულს ხალხს, ხოლო პატივმოყვარეობასთან შეზავებული მთლად მძვინვარე და ულმობელი ხდება. ამგვარი ხასიათის ადამიანები არ ცდილობენ ხალხის გულის მოგებას, თითქოს პატივსაც არ საჭიროებენ, მაგრამ მის მიუღწევლობას მძიმედ განიცდიან. მართალია, ხალხს მოწყალებას არ სთხოვდნენ და არც ელაქუცებოდნენ მეტელუსი, არისტიდე და ეპამინონდა, მაგრამ ჭეშმარიტად სძაგდათ ყოველი, რისი მინიჭების ან წართმევის უფლებაც ბრბოს ხელში იყო.

როცა მათ მიმართ ოსტრაკისმოსის კანონს იყენებდნენ, ან როცა მარცხდებოდნენ არჩევნებში, ანდა სასამართლოს წესით სჯიდნენ, ისინი თანამოქალაქეთა უსამართლობაზე, ჩვეულებრივ, არ წყრებოდნენ და ხალისით ურიგდებოდნენ, როცა თანამოქალაქენი თავიანთ საქციელს ინანიებდნენ და გაძევებულთ უკან დაბრუნებას სთხოვდნენ.

საერთოდ, ვინც ყველაზე უფრო ნაკლებად ელაქუცება ბრბოს, მისადმი შურისძიების გრძნობაც ყველაზე უფრო ნაკლები შეჰფერის, ვით იმ კაცის მეტისმეტი წყრომა, ვინც პატივს ვერ მიაღწია, ამ პატივისაკენ მეტისმეტი მისწრაფების შედეგია.

5. ალკიბიადე არასოდეს არ უარყოფდა, რომ პატივისცემა ახარებდა და მისადმი გამოჩენილი გულგრილობა ადარდიანებდა. ამიტომ ცდილობდა, მათთვის, ვისთანაც ცხოვრობდა, საყვარელი და გულის გამხარებელი კაცი ყოფილიყო. მარციუსს კი ქედმაღლობა არ ანებებდა, იმათი გული მოეგო, რომელთაც მისი პატივისცემა და აღზევება ძალუძდათ; ხოლო როცა გვერდს აუვლიდნენ, ზვიადობა რისხვასა და ტანჯვას ჰგვრიდა. აი ეს გახლავთ ის, რაშიც ამ კაცის დადანაშაულება შეიძლება; სხვა მხრივ იგი უზადო პიროვნება იყო; თავდაჭერილობისა და უანგარობის გამო იგი ღირსია, ელინთა შორის ყველაზე საუკეთესო და უზადო მოღვაწეთ შევუდაროთ, მაგრამ, ვფიცავ ზეევსს, არამც და არამც ალკიბიადეს, ვინც მეტისმეტი დაუდევრობითა და გულგრილობით ეკიდებოდა კეთილი სახელის მოპოვების საქმეს.

არისტიდე

1. არისტიდე, ლისიმაქეს ძე, წარმომავლობით იყო ალოპეკეს დემიდან, რომელიც ანტიოქიდის ფილეში შედიოდა. მისი ქონების თაობაზე სხვადასხვაგვარი გადმოცემა არსებობს. ზოგიერთი ამბობს: ცხოვრება მძიმე სიღარიბეში გაატარა და სიკვდილის შემდეგ დატოვა ორი ქალიშვილი, რომლებიც უსახსრობის გამო დიდხანს ვერ დათხოვდნენო. მრავალთაგან გადმოცემულ ამ ამბავს უპირისპირდება დემეტრიოს ფალერელი. სოკრატეზე დაწერილ თხზულებაში იგი ამბობს, რომ მისთვის ცნობილია არისტიდეს კუთვნილი მამული ფალერეში, სადაც თვითონ არისტიდეა დაკრძალული. დემეტრიოსს მოჰყავს რამდენიმე მოწმობა არისტიდეს ქონებრივი შეძლების თაობაზე: ერთი ის, რომ არისტიდე არქონტ ეპონიმი იყო; ამ თანამდებობაზე კი კენჭისყრით ირჩევდნენ ყველაზე მდიდარი ოჯახების წარმომადგენლებს, რომელთაც პენტაკოსიომედიმნებს ეძახდნენ. მეორე მოწმობაა - ექტსოსტრაკირსმოსი:[1] როგორც ცნობილია, არც ერთ ღარიბ კაცს არ სჯიდნენ ამ წესით; ოსტრაკისმოსს მიმართავდნენ მხოლოდ წარჩინებული ოჯახებიდან გამოსულ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა გვარიშვილობით ზვიადობა შურს იწვევდაო. დაბოლოს, მესამე მოწმობა ის არის, რომ არისტიდემ, ვითარცა გამარჯვებულმა ქორეგოსმა, დიონისეს ტაძარში დატოვა წმიდა შესაწირავი - სამფეხი, რომელმაც ჩვენ დრომდე შემოინახა მასზე ამოკვეთილი წარწერით: „გაიმარჯვა ანტიოქიდემ; ქორეგოსად იყო არისტიდე; გუნდი გაწვრთნა არქესტრატემ“. ერთი შეხედვით, ეს ბოლო მოწმობა ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში მეტისმეტად სუსტია. ყოველმა კაცმა იცის, მაგალითად, რა დიდ სიღარიბეში იზრდებოდა და ცხოვრობდა ეპამინონდა. და აი, ეპამინონდაც და ფილოსოფოსი პლატონიც დაუზარებლად იხარჯებოდნენ ქორეგიის[2] საქმისათვის: ერთმა ავლეტების გუნდი მოამზადა, მეორემ - ვაჟთა საფერხულო დასი. პლატონს სახარჯო თანხა დიონ სირაკუზელმა

მისცა, ეპამინონდას - პელოპიდამ. წესიერი ადამიანები მეგობრებისაგან საჩუქრების მიღებას დიდსა და დაუთმობელ წინააღმდეგობას არ უწევენ, მაგრამ გამდიდრებისა და სიხარბისათვის საბოძვარის მოპოვებას უსინდისო და დამამცირებელ საქციელად თვლიან; ისინი უარს არ ამბობენ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ დახმარებაზე, რომელიც უანგარო პატივმოყვარეობასა და კეთილი სახელის მოხვეჭას ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ პანეტიოსის[3] განმარტებით, დემეტრიოსი შეაცდინა სამფეხის წარწერაში სახელთა მსგავსებამ. სპარსებთან წარმოებული ომების დროიდან ვიდრე პელოპონესის ომის დამთავრებამდე სიებში არისტიდეს სახელით მოხსენიებულია მხოლოდ ორი გამარჯვებული ქორეგოსი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ლისიმაქეს ძე: ერთის მამას ქსენოფილე ერქვა, ხოლო მეორე არისტიდე ბევრად გვიან ცხოვრობდა, რასაც ადასტურებს წარწერაში გამოყენებული და მხოლოდ ევკლიდეს შემდეგ დამკვიდრებული ასოთა მოხაზულობა.[4] არისტიდეს გვერდით მოხსენიებულ გუნდთა მასწავლებლის, არქესტრატეს სახელიც სპარსთა ომების ჟამს არც კრთხელ არ გვხვდება, პელოპონესის ომის ამბებში კი ძალზე ხშირია. პანეტიოსის ამ განმარტებას მეტი და ბეჯითი დაკვირვება სჭირდება. ოსტრაკისმოსის თაობაზე უნდა ითქვას, რომ მის დაქვემდებარებაში შეიძლებოდა მოხვედრილიყო ყოველი კაცი, ვინც სახელოვნებით, წარმომავლობით ან მჭევრმეტყველებით უმრავლესობაზე აღზევებულად ჩაითვლებოდა. მაგალითად, პერიკლეს მასწავლებელი დამონი გააძევეს იმის გამო, რომ მეტისმეტად ბრძენი ვინმე ჩანდა. რაც შეეხება არქონტობას, ეს თანამდებობა, იდომენევსის თქმით, არისტიდეს კენჭისყრით კი არ მიუღია, არამედ ღიად აურჩევიათ იგი ათენელებს. თუ არისტიდე პლატეასთან გამართული ბრძოლის[5] შემდეგ არქონტობდა, როგორც თვითონ დემეტრიოსი წერს, სრულიად დასაჯერებელი ამბავია, მჭუხარე სახელსა და შესანიშნავ წარმატებებს ხელი შეეწყოთ ვაჟკაცისათვის, ქველობის წყალობით გამხდარიყო ღირსი იმ თანამდებობისა, რომელსაც, ჩვეულებრივ, სიმდიდრით აღწევდნენ. ცხადია, დემეტრიოსი დიდ ბედუკუღმართობად თვლის სიღარიბეს და ცდილობს, დაიხსნას მისგან არა მარტო არისტიდე, არამედ სოკრატეც. სოკრატესო, ამბობს იგი, ჰქონდა არა მარტო სახლი, არამედ სამოცდაათი მნაც, რომელიც კრიტონმა ვახშმად გასცაო[6].

2. არისტიდე მეგობარი იყო კლისთენესი, ვინც ტირანიის დამხობის შემდეგ დემოკრატიული წყობა დაამყარა. სახელმწიფო მოღ-

ვაწეებში ყველაზე მეტად მაინც ლაკედემონელი ლიკურგე მოსწონდა და ცდილობდა, მისთვის მიებაძა. ამიტომ არისტოკრატიული სახელმწიფო წყობის მხარი დაიჭირა და ხალხის ქომაგი თემისტოკლე, ნეოკლეს ვაჟი, გადაიკიდა. ზოგიერთის გადმოცემით, ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა ერთად იზრდებოდნენ, იმთავითვე ყველაფრით განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან: დინჯი თუ თავშესაქცევი საქმიანობით, მოქმედებითა თუ სიტყვით და ამ მეტოქეობაში მყისვე მჟღავნდებოდა ორივეს ბუნება. თემისტოკლეს ახასიათებდა სიმარჯვე, მამაცობა და მოხერხებულობა, ყოველი საქმის სწრაფი და იოლი გადაწყვეტა. არისტიდე ხასიათით იყო მტკიცე, სამართლიანი საქმისათვის თავდადებული და სიცრუეს, ოინბაზობასა და თაღლითობას ხუმრობითაც კი ვერ იტანდა. არისტონ კეოსელის[7] სიტყვით, მიზეზი მათი მტრობისა, რომელიც მერმე უკიდურესობამდე მივიდა, ტრფობა იყო: ორივეს უსაზღვრო ვნებით უყვარდა თურმე სტესილეოსი, წარმომავლობით კეოსელი, რომელიც სახითა და აღნაგობით ტოლ სწორებში ყველაზე მშვენიერი ყოფილა. როცა ამ ყმაწვილის სილამაზემ ჭკნობა იწყო, არისტიდემ და თემისტოკლემ აღძრული მეტოქეობა კი არ მიატოვეს, არამედ ამ მეტოქეობით, ასე ვთქვათ, წინასწარ გავარჯიშებულნი და ახლა ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ცეცხლშენთებულნი გამოვიდნენ სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე. თემისტოკლე მეგობართა წრეში შევიდა და მხარდაჭერა და არცთუ უგულებელსაყოფი ძალა მოიპოვა. როცა ვიღაცამ უთხრა: „შენ შეგიძლია მშვენივრად მართო ათენელები, თუ ყველას თანაბრად და მიუკერძოებლად მოექცევიო“, მას ასე უპასუხა: „არასოდეს დავჯდები ისეთ ტახტზე, რომელიც ჩემს მეგობრებს სხვებზე მეტ შესაძლებლობებს არ მოუტანსო!“ რაც შეეხება არისტიდეს, სახელმწიფო მოღვაწეობაში იგი მარტოდმარტო, ასე ვთქვათ, კერძო გზით მიდიოდა. მას არ უნდოდა, ჯერ ერთი, მეგობრებთან ერთად სხვების მიმართ უსამართლობა ჩაედინა, ანდა მეგობრებისთვის ეწყენინებინა მათ წადილთა უგულებელყოფით; მერმე – ხედავდა, რომ მეგობართა შემწეობით მოხვეჭილი ძალა კაცს, მრავალთა საზიანოდ, უსამართლობისაკენ ეწეოდა. ამიტომ ასეთ ძალას ერიდებოდა და თვლიდა, რომ კეთილშობილ მოქალაქეს მხნეობას ანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთო და სამართლიანი მოქმედება და სიტყვა.

3. თემისტოკლე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არისტიდეს რაიმე სახელმწიფოებრივ წამოწყებას წინაღდგომოდა და ძირშივე

აღეკვეთა იგი. არისტიდეც, თავის მხრივ, იძულებული იყო, დაპირისპირებოდა თემისტოკლეს ზრახვით დაწყებულ საქმიანობას, რათა თავიც დაეცვა და ხალხის კეთილგანწყობის შემწეობით მეტოქის ძალის ზრდისათვის ხელი შეეშალა; იგი ფიქრობდა: უმჯობესია, ხალხმა გვერდი აუაროს ზოგიერთ სასარგებლო რჩევას, ვიდრე გაძლიერდეს თემისტოკლე და ყველაფერს დაეუფლოსო. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ, როცა თემისტოკლე რაღაც საჭირო საქმეს აკეთებდა, არისტიდე გადაეღობა და აჯობა კიდეც, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და თავყრილობა მიატოვა სიტყვებით: ათენელთა საქმეს საშველი არ დაადგება, სანამ თემისტოკლესა და მეც უფსკრულში არ ჩაგვყრიანო. ერთხელაც რომელიღაც კანონი წარუდგინა ხალხს განსახილველად; მრავლად გამოთქმული საწინააღმდეგო აზრისა და დავის მიუხედავად, მაინც გაიმარჯვა; თავყრილობის მეთაურმა ხალხის გამოკითხვა და ხმის მიცემის დაწყება დააპირა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა სიტყვებიდან არისტიდემ იგრძნო თავისი წინადადების უსარგებლობა და გადაწყვეტილება აღარ მიაღებინა. იგი სხვების მეშვეობით ხალხს ხშირად წარუდგენდა ხოლმე სხვადასხვა მოსაზრებას, რათა თემისტოკლეს თავისი მეტოქეობით ხელი არ შეეშალა კეთილი საქმეებისათვის. საკვირველი იყო მისი სიმტკიცე სახელმწიფოში მიმდინარე ვითარებათა ცვალებადობის ჟამს; პატივ დიდებისაკენ არ მიისწრაფოდა და წარუმატებლობის შემთხვევებში სულის სიმშვიდესა და სიდინჯეს ინარჩუნებდა. ამასთან, საჭიროდ მიაჩნდა, თავი მთლიანად მამულისათვის მიეცა და სახელმწიფო სამსახური არა მარტო უანგაროდ, არამედ პატივსა და სამაგიეროს მიღებაზე ფიქრის გარეშე გაეწია. ეტყობა, სწორედ ამის გამო იყო, როცა თეატრში ამფიარაეზე ესქილეს ნათქვამი გაისმა:

სამართლიანი სურს რომ იყოს და არა სჩანდეს;
ღრმა კვლებისაგან, გონებაში რომ გაატარა,
უხვ ნაყოფს იმკის სასიკეთო რჩევა ზრახვათა.[8]

ყველამ მზერა მიაპყრო არისტიდეს, როგორც დამოწმებული ქველობის შესაფერ კაცს.

4. სამართლიანობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მძლავრ ლაგამს სდებდა არა მარტო გულმოწყალებასა და მადლიერების გრძნობას, არამედ რისხვასა და მტრობასაც. ერთხელ თურმე სამართალში მისცა თავისი მტერი და როცა საბრალდებო სიტყვა წარმოთქვა, მოსამართლეებმა ბრალდებულის მოსმენა აღარ

ისურვეს და მისთვის განაჩენის დაუყოვნებლივ გამოტანა მოითხოვეს. მაშინ არისტიდე ფეხზე წამოხტა და ბრალდებულის სურვილის შესაბამისად ითხოვა, მისთვის თავდასაცავი სიტყვის უფლება მიეცათ და ამით კანონიერება დაეცვათ. ერთხელაც, ორი კერძო პირის საქმის განსჯის დროს, როცა ერთმა მეორეზე უთხრა: ამ კაცმა, შენ, არისტიდეს, ბევრი ვნება მოგაყენაო, ასე შენიშნა: „შენ, ჩემო კარგო, უმჯობესია გვითხრა, შენ თუ მოგაყენა რაიმე ზიანი; აქ ახლა შენს საქმეს ვიხილავ და არა ჩემსას!"

როცა არისტიდე საზოგადო შემოსავალთა ზედამხედველად აირჩიეს, მან არა მარტო მასთან ერთად სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი პირები გამოამჟღავნა დიდ თანხათა დატაცებაში, არამედ ისინიც, რომელთაც უფრო ადრე ეკავათ ეს თანამდებობები და განსაკუთრებით კი – თემისტოკლე, ვინც

ბრძენი კი გახლდათ, მაგრამ იგი იყო ხელმრუდიც!

როგორც იდომენევსი ამბობს, სამაგიეროს მისაგებად თემისტოკლემ მრავალნი შეკრიბა არისტიდეს წინააღმდეგ და, როცა ეს თანამდებობრივ ანგარიშს აბარებდა, ბრალი დასდო ქურდობაში და აჯობა კიდეც. ამან აღაშფოთა ქალაქის მოწინავე და საუკეთესო მოქალაქენი და არისტიდე სასჯელსაც ააცდინეს და კვლავ სამეურნეო საქმეთა გამგებლად დანიშნეს. ამჯერად არისტიდემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნანობდა წინანდელ გადაჭარბებულ გულმოდგინეობას. ახლა იგი ბევრად უფრო ლმობიერი გახდა და საზოგადო ქონების ქურდებს, რომელთაც აღარ ამხელდა და გამოძიებით აღარ აწუხებდა, თავი ისე მოაწონა, რომ სახალხო თანხების მითვისებით ყელამდე ავსებულნი მის ქებად გადაიქცნენ და ხალხს დაბეჯითებით მოუწოდებდნენ, იგი კვლავ აერჩიათ ამ თანამდებობაზე. ახალი არჩევნებისათვის ხმის მიცემის დაწყებამდე არისტიდემ ათენელებს უსაყვედურა: „როცა თქვენ ერთგულად და პატიოსნად გმართავდით, შეურაცხყოფა მომაყენეთ; ახლა კი, როცა საზოგადო დიდძალი ქონების დასატაცებლად ქურდები ნებაზე მივუშვი, საუკეთესო მოქალაქედ ვარ მიჩნეული. ჩემდათავად ახლანდელი პატივი უფრო მარცხვენს, ვიდრე წინანდელი ბრალდება. რაც შეგეხებათ თქვენ, ნამდვილად მეცოდებით, რამეთუ სახელმწიფო ქონების მფარველზე უფრო ღირსეულად თვლით იმას, ვინც არამზადებს ემადლიერება". ამ სიტყვების წყალობით არისტიდემ ქურდობასაც ახადა ნიღაბი და მის მაშინდელ ხმამაღლივ მაქებართაც აუკრა პირი, ხოლო საუკე-

თესო მოქალაქეთა მხრივ ჭეშმარიტი და სამართლიანი ქება დაიმსახურა.

5. დარიოსმა სარდალი დატისი გამოგზავნა: ათენელები უნდა დავსაჯო სარდეს გადაწვისათვისო. ასე აცხადებდა სიტყვით, საქმით კი ელინების დაპყრობა ჰქონდა განზრახული. დატისი მთელი ლაშქრით მოადგა მარათონს და ამ მხარის აოხრებას შეუდგა. საომარ საქმეთა სათავეში ათენელებმა ათი სტრატეგოსი დააყენეს. ამათში ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა მილტიადეს; სახელითა და ძალით მეორე ადგილზე არისტიდე იყო. არისტიდემ ომის წარმოების თაობაზე მილტიადეს აზრს დაუჭირა მხარი და ამით არცთუ მცირე მნიშვნელობის საქმე გააკეთა. შეთანხმების საფუძველზე უმაღლესი ძალაუფლება ყოველ სტრატეგოსს ერთი დღით ენიჭებოდა. როცა გამგებლობის რიგი არისტიდეს დაუდგა, მან იგი მილტიადეს დაუთმო და თანასტრატეგოსებს არწმუნებდა: გონიერ პიროვნებათა მორჩილებაში ყოფნა და მათ გზაზე სიარული არათუ სამარცხვინო, არამედ მეტად მნიშვნელოვანი და ხსნის მომტანი საქმეაო. ასე დათრგუნა მან პატივმოყვარეობა, დაიყოლია სტრატეგოსები მხოლოდ ერთ, ყველაზე სასარგებლო გადაწყვეტილებას მიმხრობოდნენ და აღაზევა მილტიადე, რომელიც განუყოფელი გამგებლობის წყალობით უაღრესად გაძლიერდა. თითოეულისათვის ერთდღიანი მბრძანებლობის უფლება სტრატეგოსებმა ხალისით დათმეს და მილტიადეს განკარგულებებს ემორჩილებოდნენ.

ბრძოლაში ყველაზე დიდი ჯაფა ათენელთა შუა რაზმს დაადგა. სწორედ აქ უწევდნენ ხანგრძლივ წინააღმდეგობას ბარბაროსები ანტიოქისისა და ლეონტისის ფილეებს.[9] ერთმანეთის მხარდამხარ აქ მამაცურად იბრძოდნენ თემისტოკლე – ანტიოქისის ფილედან და არისტიდე – ლეონტისიდან. ათენელებმა ბარბაროსები უკუაქციეს და აიძულეს, ხომალდებზე ასულიყვნენ. მერმე, როცა დაინახეს, ისინი კუნძულებისაკენ კი არ მიცურავდნენ, არამედ ქარსა და ზღვის დინებას ატიკის სანაპიროსთან მიჰყავდათ, შეშინდნენ, დამცველთა გარეშე დატოვებული ქალაქი მტერს არ აეღო. ამიტომ ცხრა ფილე დაძრეს და იმავე დღეს ათენს მიაღწიეს. ტყვეთა და ნადავლის დასაცავად თავის ფილესთან ერთად მარათონში დატოვებულმა არისტიდემ სახელი როდი შეირცხვინა: თუმცაღა იქ მრავლად ეყარა ოქრო ვერცხლი, ხოლო კარვები და ნადავლი გემები გამოტენილი იყო ნაირნაირი შესამოსელითა და სხვა აუ-

რაცხელი ქონებით. მან არც თვითონ დააკარა თითი რაიმეს და არც სხვებს დაანება: მხოლოდ ეს იყო – მისგან მალულად თუ ისარგებლეს მავან-მავანებმა. ერთი მათგანი კალიას დადუქოსი[10] გახლდათ. როცა მისი გრძელი თმა და თავსაკრავი დაინახა, ერთმა ბარბაროსმა იფიქრა, – ეს ნამდვილად მეფე არისო – და მუხლებში ჩაუვარდა, თაყვანი სცა და მერმე მარჯვენა ხელში ჩაეჭიდა, თან გაიყოლა და ორმოში ჩამარხული დიდძალი ოქრო უჩვენა. ადამიანთა შორის ყველაზე ულმობელმა და უსამართლო კაცმა – კალიასმა ის ოქრო მთლიანად ამოიღო, ხოლო მაუწყებელი, – სხვებსაც არ უთხრასო, – იქვე მოკლა. ამბობენ, ამის გამო კალიასის სახლის ყველა წარმომადგენელს კომიკოსები „ლაკოპლუტოსებს“[11] ეძახიან და ნართაულად იმ ადგილს გულისხმობენ, სადაც კალიასმა განძი იპოვაო.

6. არისტიდეს ყველა კარგი თვისებიდან ხალხის განსაკუთრებულ მოწონებას მისი სამართლიანობა იმსახურებდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამ თვისების სარგებლიანობა საყოველთაოდაა საგრძნობი და ხანგრძლივად მოქმედი. აი, სწორედ ამიტომ შეიძინა ამ ღარიბმა და მდაბიო კაცმა ყველაზე მეფური და ყველაზე ღვთაებრივი ზედწოდება „სამართლიანი კაცისა“. არც ერთ მეფესა ანდა ტირანს არ უცდია ასეთი რამე. ისინი, ეტყობა, კეთილსათნოებიდან გამომდინარე სახელის მოხვეჭაზე უფრო მეტად გულს იხარებდნენ ძალადობისა და ძლევამოსილების ნიადაგზე აღმოცენებული ისეთი ზედწოდებებით, როგორიცაა: „ქალაქთშემმუსვრელი“, „მეხი“, „გამარჯვებული“, ანდა სულაც – „არწივი“ ან „ქორი“.[12] ღვთაებრივი ბუნება, რომელსაც მეფეები და ტირანები ცდილობენ შეეთვისონ და მიუახლოვდნენ, როგორც ცნობილია, სამი რამით განსხვავდება ადამიანურისაგან – შეუმუსვრელობით, ძალმოსილებითა და უზენაესი სათნოებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და უღვთაებრივესი უზენაესი სათნოებაა. შეუმუსვრელობა სიცარიელისა და სტიქიონთა ხვედრია, დიდი ძალა აქვთ მიწისძვრასა და მეხს, ქარის კვეთებასა და მდინარეთა დინებას, მაგრამ უფლება და შეურყეველი სამართალი სხვა არაფრის ხვედრია, თუ არა ღვთაებრივი ბუნებისა. ამის გამო ადამიანთა უმრავლესობას სამი განცდა აქვს ღვთაებრივის მიმართ: შურის, შიშისა და პატივისცემის. მოკვდავნი, ეტყობა, შეუმუსვრელი და მარადიული ბუნების გამო აღიარებენ ღმერთებს ნეტარ და საშურველ არსებებად; ძრწიან და

შიშობენ მათ წინაშე მათი განუზომელი უფლებამოსილებისა და ძლიერების მიზეზით; ხოლო სიყვარულით, პატივისა და თაყვანისცემით ეკიდებიან მათი სამართლიანობის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მოკვდავნი დიდ მისწრაფებას იჩენენ უკვდავებისაკენ, რაიც კაცის ბუნებაში არ ძევს, და ძლიერებისაკენ, რაიც უპირატესად ბედის საქმეა. უზენაეს სათნოებას კი, რაიც ერთადერთი ღვთაებრივი სიკეთეა ჩვენს არსებაში, ბოლო ადგილზე ათავსებენ. ჩვენ, ადამიანებს, ცუდად გვაქვს შეგნებული ის, რომ ძლიერებით, დიდი ბედნიერებითა და უფლებამოსილებით აღსავსე ცხოვრებას მხოლოდ სამართლიანობა ანიჭებს ღვთაებრიობას, უსამართლობა კი ნადირთსადგომად აქცევს.

7. „სამართლიანი კაცის" ზედწოდება პირველ ხანებში ხალხის სიყვარულს უხვეჭდა არისტიდეს, მერმე კი შურის მიზეზი გახდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ თემისტოკლემ ხმა დაყარა ხალხში: არისტიდემ სასამართლოები გააუქმა, ყველაფერს თვითონღა იხილავს და საკუთარ განსჯას უქვემდებარებს; მართალია, პირადი დაცვა არ შემოუღია, მაგრამ შეუმჩნევლად ერთმმართველობა მოიჭახრაკაო. გამარჯვებით გაყოყოჩებული ხალხიც, რომელიც თავს დიდი პატივის ღირსად მიიჩნევდა, უკვე ვეღარ იტანდა ვერავის, ვისაც დიდი სახელი მასზე მაღლა აყენებდა. ამიტომ ათენელებმა ყოველმხრივ მოიყარეს თავი ქალაქში და არისტიდე ოსტრაკისმოსის საფუძველზე გააძევეს და თანაც ისე, რომ განდიდების სიძულვილი ტირანიის შიშის საფარველით დაფარეს. ოსტრაკისმოსი მთლად ბოროტი საქციელის სასჯელი როდი იყო: კეთილსახიერებისათვის მას ეწოდებოდა ზვიადობისა და გადაჭარბებული ძალაუფლების მოთოკვა და მოთვინიერება. სინამდვილეში ეს იყო შურისა და ზიზღის კაცთმოყვარული ჩაცხრომის საშუალება, რომელიც სრულ შეურიგებელ ვითარებას კი არ ქმნიდა, არამედ იმ პირის ათწლიანი განტევებით გამოიხატებოდა, ვინც ხსენებულ ზიზღსა და შურს იწვევდა. მაგრამ როცა ოსტრაკისმოსის გამოყენება მდაბიო და უგვანო პირთა მიმართ დაიწყეს, სასჯელის ასეთი ზომის მოქმედება მალე შეწყდა. უკანასკნელი კაცი, რომლის მიმართ ოსტრაკისმოსი გამოიყენეს, ჰიპერბოლე[13] იყო. ეს ჰიპერბოლე, გადმოცემით, შემდეგი მიზეზის გამო გააძევეს: ალკიბიადე და ნიკია, ქალაქში ყველაზე დიდი ძალისა და გავლენის მქონე პირები, მეტისმეტად მტრობდნენ ერთმანეთს. ხალხმა გადაწყვიტა ოსტრაკისმოსის წე-

სისთვის მიემართა და ცხადი გახდა, რომ ერთ ერთს მოუწევდა გაძევება. მაშინ მოწინააღმდეგენი ერთმანეთში შეთანხმდნენ, თავთავიანთი მომხრენი გააერთიანეს და საქმე ისე მოაჭახრაკეს, რომ გაძევებაში წასვლა ჰიპერბოლეს მოუხდა. ხალხი დამკვიდრებული წესის აბუჩად აგდებამ და შეურაცხყოფამ ისე აღაშფოთა, რომ ეს წესი განტევებისა დაგმო და საბოლოოდ გააუქმა.

აი, როგორ სრულდებოდა გასამართლების ეს წესი: თითოეული იღებდა ხმის მისაცემ ფირფიტა ოსტრაკონს და ზედ წერდა იმ მოქალაქის სახელს, რომლის ათენიდან გაძევება სურდა. მერმე ეს ფირფიტა მიჰქონდა საქალაქო მოედნის ერთ შემოღობილ ადგილზე. უწინარეს ყოვლისა, არქონტები თავმოყრილ ფირფიტებს მთლიანად გადაითვლიდნენ და თუ ექვსი ათასზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, განტევება არ აღსრულდებოდა. ამის შემდეგ, თუ რაოდენობა საკმარისი იყო, ყოველ ფირფიტას ზედ აღნიშნული სახელისდა მიხედვით გამოაცალკევებდნენ და იმ პირს, ვისი სახელიც ყველაზე უფრო მეტ ფირფიტაზე იქნებოდა აღნიშნული, ათი წლით გაძევებულად გამოაცხადებდნენ ქონების შენარჩუნებით.

გადმოგვცემენ, რომ ფირფიტების შევსების დროს ერთმა უწიგნურმა და მთლად გამოყეყეჩებულმა გლეხმა პირველ შემხვედრს, რომელიც პირადად მისთვის უცნობი არისტიდე იყო, ოსტრაკონი გაუწოდა და სთხოვა, ზედ არისტიდეს სახელი დაეწერა. ამას გაუკვირდა და ჰკითხა: „ხომ არაფერი გაწყენინა შენ არისტიდემ?“ – „არაფერი, – უპასუხა გლეხმა, – მე ამ კაცს არც ვიცნობ; მაგრამ მომბეზრდა ყოველ ფეხის გადადგმაზე იმის მოსმენა – სამართლიანიაო!“ არისტიდემ ამაზე არაფერი უპასუხა, ფირფიტაზე თავისი სახელი დააწერა და დაუბრუნა. როცა უკვე ქალაქს ტოვებდა, ხელები ზეცად აღაპყრო და ოდესღაც აქილევსის მიერ დადებული აღთქმის საპირისპირო ლოცვა წარმოთქვა:[14] დაე, ნუ დაუდგებათ ათენელებს ისეთი მძიმე ჟამი, რომელიც აიძულებთ მათ, არისტიდე გაიხსენონო.

8. მესამე წელს, როცა ქსერქსემ თესალიასა და ბეოტიაზე გავლით ჯარი დაძრა ატიკისაკენ, ათენელებმა გაძევების კანონი გააუქმეს და გაძევებულთ უკან დაბრუნების ნებართვა მისცეს; ოღონდ დიდი შიში ჰქონდათ, მტრების მხარეზე გადასულ არისტიდეს არ ეცდუნებინა მოქალაქეთა დიდი ნაწილი და ბარბაროსების მხარეზე არ გადაეყვანა. მაგრამ ათენელები მართებულად როდი

მსჯელობდნენ მასზე: არისტიდე ჯერ კიდევ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებამდე დაბეჯითებით აქეზებდა და მოუწოდებდა ათენელებს, დაეცვათ თავისუფლება, ხოლო იმ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ერთმმართველ სტრატეგოსად არჩეულ თემისტოკლეს ყველაფერში თანამდგომად და თანამზრახველად გაუხდა და საერთო ხსნის გულისათვის განუზომლად ასხამდა ხოტბას თავის უდიდეს მტერს. მალე ევრიბიადეს[15] ჯგუფმა სალამინის დატოვება გადაწყვიტა. ღამით ზღვაში გასულმა ბარბაროსთა ტრიერებმა სრუტეს ალყა შემოარტყეს და კუნძულები დაიკავეს. ალყის ამბავი ჯერ კიდევ არავის შეეტყო, რომ არისტიდემ ეგინადან მტრის გემთა შორის შეუპოვრად გაცურა, ბნელ ღამეში თემისტოკლეს კარავს მიადგა, მთავარსარდალი გარეთ გამოიხმო და უთხრა: „თემისტოკლევ, თუ ჭკუა გვაქვს, დროა, მოვეშვათ ფუჭსა და ბალღურ ქიშპობას და შევუდგეთ ერთმანეთთან მხსნელსა და მშვენიერ მეტოქეობას ელადის გადასარჩენად – შენ გამგებლობითა და მთავარსარდლობით, მე – დახმარებითა და რჩევა დარიგებით. მე შევიტყვე, რომ ახლანდელ ვითარებაში მხოლოდ შენ მისულხარ ყველაზე უკეთეს აზრამდე და ბრძანებაც გაგიცია, რაც შეიძლება სწრაფად გაიმართოს საზღვაო ბრძოლა ამ ვიწრო ყელში; თითქოსდა იმ დროს, როცა მოკავშირეები არ გეთანხმებიან, თვითონ მტრები გეხმარებიან: ირგვლივ და ჩვენს უკანაც მთელი ზღვა მტრის ხომალდებითაა გავსებული. ჩვენი სურვილის მიუხედავად, მდგომარეობა გვაიძულებს, მამაცობა გამოვიჩინოთ და ბრძოლა გავმართოთ: უკან დასახევი გზა მოჭრილია!“ ამაზე თემისტოკლემ უპასუხა: „მე, რა თქმა, უნდა არა მსურს, რომ მაჯობო; ვეცდები, შენ მიერ წამოწყებულ მშვენიერ საქმეში გაგეჯიბრო და ჩემი მოქმედებით გაგისწრო“. ამის შემდეგ მან არისტიდეს გაუმჟღავნა, თუ როგორი მახე დაუგო ბარბაროსს და სთხოვა, დაერწმუნებინა ევრიბიადე, რომ საზღვაო ბრძოლის გარეშე ხსნა არსაიდან იყო. ევრიბიადე თემისტოკლეზე მეტად არისტიდეს ენდობოდა. როცა სტრატეგოსების თავყრილობა გაიმართა და კორინთელმა კლეოკრიტემ თემისტოკლეს უთხრა: არისტიდესაც არ მოსწონს შენი აზრი, ხომ ხედავ, ხმას არ იღებსო, არისტიდე შეედავა: მე არ დავდუმდებოდი, თემისტოკლე ყველაფერს მართალს რომ არ ამბობდეს; ახლაც ჩუმად ვარ არა მისადმი კეთილგანწყობილების გამო, არამედ იმიტომ, რომ მომწონს მისი გადაწყვეტილებაო.

9. აი, ასეთ დავაში იყვნენ ელინთა ნავარქოსები. არისტიდემ კი, როგორც კი დაინახა, სალამინის წინ, სრუტეში მდებარე მომცრო კუნძული ფსიტალია მტრის მეომრებით იყო სავსე, მაშინვე ჩასხა ნავებში ყველაზე მამაცი და ყველაზე მეომარი თანამოქალაქენი, მიადგა ფსიტალიას, გაუმართა ბარბაროსებს ბრძოლა და ყველა ამოჟლიტა, გარდა რამდენიმე წარჩინებული სპარსისა, რომლებიც ცოცხლად ჩაიგდო ხელთ. მათ შორის იყვნენ მეფის დის, სახელად სანდაკეს, სამი ვაჟი, რომლებიც დაუყოვნებლივ გაგზავნა თემისტოკლესთან. ამბობენ, იმ მისნობის საფუძველზე, რომელიც წინასწარმეტყველმა ევფრანტიდემ გააცხადა, სანდაკეს ვაჟები ბრძოლის დაწყებამდე მძვინვარე დიონისეს შესწირეს მსხვერპლადო. არისტიდემ მძიმედ შეიარაღებული მეომრებით კუნძულს ალყა შემოარტყა და ჩასაფრებულმა ხელთ იგდო ყოველი, ვინც კი მისწრაფოდა ნაპირისაკენ. ასე რომ, არც ერთი მისი მეგობარი არ დაღუპულა და მტერთაგანაც ვერავინ გადაირჩინა თავი. ეტყობა, სწორედ ამ ადგილზე მოხდა ხომალდთა ყველაზე მეტი შეტაკება და ყველაზე ცხარე ხელჩართული ბრძოლაც აქ გაიმართა. გამარჯვების მაუწყებელი ნიშანი - ტროპეონიც სწორედ ამის გამო დადგეს ფსიტალიაზე.

ბრძოლის შემდეგ თემისტოკლემ არისტიდეს გამოსაცდელად უთხრა: „შესრულებულია დიდებული საქმე; მაგრამ წინ გველის კიდევ უფრო უკეთესი: საჭიროა, აზია შევიპყროთ ევროპაში; საამისოდ - რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავცუროთ ჰელესპონტისაკენ და დავანგრიოთ ხიდი". არისტიდემ ამაზე შეჰყვირა და თემისტოკლეს ურჩია, ხელი აეღო ამ აზრზე, არ გადაეკეტა მტრისათვის გაქცევისათვის გზა და დაკვირვებით გამოენახა საშუალება, რათა უსწრაფესად განედევნა მედები ელადიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი უსაზღვრო ძალების პატრონი მტერი იძულებული გახდება, გააფთრებით დაიცვას თავიო. მაშინ თემისტოკლემ ფარულად გაგზავნა ტყვე საჭურისი არნაკე სპარსთა გამგებელთან[16] დავალებით, ეთქვა: ბერძნები უკვე მზად იყვნენ გამოეცურათ ხიდისაკენ, მაგრამ გადავათქმევინე მეფის გადარჩენის სურვილითო.

10. ეს რომ შეიტყო, შეშინებულმა ქსერქსემ დაუყოვნებლივ მიაშურა ჰელესპონტს, ხოლო ადგილზე დარჩა მისი სარდალი მარდონიოსი სამას ათასამდე მეომრისგან გამორჩეული ლაშქრით.

ეს იყო მეტად საშიში ძალა და მარდონიოსი ფიქრობდა, მისი შემწეობით ხმელეთზე ბრძოლით გამარჯვების იმედს აღუკვეთდა მტერს. მან ელინებს მუქარით მისწერა: „საზღვაო გემებით თქვენ გამარჯვება მოიპოვეთ ხმელეთის ხალხზე, რომელმაც ხოფის მოსმა არ იცის. ახლა კი ჩვენ წინ გადაშლილია თესალიელთა ვრცელი მიწა და ბეოტიის მშვენიერი ველი მამაცი ჰოპლიტებისა და მხედრებისათვის ბრძოლის გასამართავად". ათენელებს მარდონიოსმა საგანგებო წერილი გაუგზავნა მეფის შეპირებებით, რომ იგი მათ აღუდგენდა ქალაქს, უბოძებდა დიდძალ ფულს და მთელი საბერძნეთის გამგებლად დააყენებდა, თუ ომს გამოეთიშებოდნენ. ეს რომ შეიტყვეს, ლაკედემონელები დაფრთხნენ და ათენში ელჩები მიავლინეს წინადადებით: ბავშვები და ქალები თავის შესაფარებლად სპარტაში გამოგზავნეთ, ხოლო ხანდაზმულთათვის საკვები ჩვენგან წაიღეთო. ხალხი, ვინც თავისი მიწა-წყალი და ქალაქი დაკარგა, მართალია, საშინელ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ელჩებს მოუსმინეს, ათენელებმა არისტიდეს გადაწყვეტილებას დაუჭირეს მხარი და ლაკედემონელებს ღირსეულად უპასუხეს: მტრებს, რომლებმაც სიმდიდრეზე უმჯობესი არაფერი უწყიან და ჰგონიათ, ფულით ყველაფერი შეიძინება, შეიძლება შევუნდოთ, მაგრამ რისხვას გვგვრიან ლაკედემონელები; ესენი ხედავენ მხოლოდ სიღარიბესა და ძნელბედობას, რასაც ახლა განვიცდით, მაგრამ ავიწყდებათ ჩვენი ქველობა და სიამაყე, რაკი მოგვიწოდებენ, კუჭის გასაძღომად ვიბრძოლოთ ელადისათვისო. როცა თავისი გადაწყვეტილება გაატარა, არისტიდემ ელჩები სახალხო კრებას წარუდგინა და დააბარა ლაკედემონელებისათვის ეთქვათ, რომ არც მიწის ზემოთ და არც მიწის ქვეშ არ მოიპოვება იმდენი ოქრო, რაშიც ათენელები ელინთა თავისუფლებას გაცვლიან. მარდონიოსის მოგზავნილთ კი არისტიდემ მზეზე მიუთითა და უთხრა: „სანამ ეს მნათობი თავისი გზით იმოძრავებს ცის ტატნობზე, ათენელები სპარსებთან იბრძოლებენ თავიანთი აწიოკებული ქვეყნისა და შეგინებული და ხანძარმიცემული ტაძრებისათვის!" გარდა ამისა, არისტიდემ ქურუმებს წინადადება მისცა, დაეწყევლათ ყოველი, ვინც მიდიელებთან მოლაპარაკებას გამართავდა ან ელინთა მოკავშირეობაზე ხელს აიღებდა.

როცა მარდონიოსი მეორეჯერ შეიჭრა ატიკაში,[17] ათენელები კვლავ გადასხდნენ სალამინზე. ლაკედემონში გაგზავნილი არის-

ტიდე სპარტელებს უსაყვედურებდა, რომ თავიანთი ზანტობითა და გულგრილობით ათენი ისევ მისცეს საჯიჯგნელად ბარბაროსს. არისტიდე სპატელებისაგან მოითხოვდა, დახმარებოდნენ ელადის ჯერხნობით მტრისაგან გადარჩენილ მხარეებს. ამის მომსმენმა ეფორებმა, რომელთაც ჰიაკინთების დღესასწაული ედგათ, უზრუნველი სახით განაგრძეს დღის მანძილზე გართობა და ზეიმი, მაგრამ ღამით გადაარჩიეს ხუთი ათასი სპარტელი, რომელთაგან თითოეულს თან შვიდ-შვიდი ჰილოტი ახლდა და ათენელ წარმოგზავნილთაგან უჩუმრად ლაშქრად გაისტუმრეს. როცა არისტიდე კვლავ საყვედურით ეახლა ეფორებს, ამათ სიცილით უპასუხეს: შენ ძილში აგყვა, ალბათ, ეგ მონაჩმახი, თორემ ჩვენი ჯარი უკვე ორესტიონში იმყოფება გადამთიელთა წინააღმდეგ წარმართულიო! გადამთიელებს ისინი სპარსებს ეძახდნენ. არისტიდემ ამაზე ასე მიუგო თურმე: ხუმრობისათვის დრო ვერ შეგირჩევიათ და, მტრების ნაცვლად, მეგობრებს ატყუებთო! ასე გადმოგვცემენ ამ ამბავს იდომენევსი და მისი მიმდევრები. მაგრამ არისტიდეს გადაწყვეტილებაში სპარტელებთან მივლინებულ ელჩად თვითონ არისტიდე კი არაა მოხსენიებული, არამედ კიმონი, ქსანთიპე და მირონიდე.

11. მომავალ ბრძოლაში ერთმმართველ სტრატეგოსად არჩეული არისტიდე რვა ათასი ათენელი ჰოპლიტის თანხლებით პლატეას მიადგა. იქვე შეუერთდა მას თავისი სპარტელებითურთ მთელი საბერძნეთის ლაშქრის მთავარსარდალი პავსანია. იქვე მოიყარეს თავი ელინთა სხვა მხარეების მრავალრიცხოვანმა მეომრებმა. ბარბაროსთა მთელი სამხედრო ბანაკი თავისი სიდიდის გამო უსაზღვროდ იყო გადაჭიმული მდინარე ასოპოსის სანაპიროს გასწვრივ. აღჭურვილობებსა და სხვა უმნიშვნელოვანეს ქონებას გარს უვლიდა ოთხკუთხიანი კედელი, რომლის ყოველი გვერდის სიგრძე ათ სტადიონს[18] უდრიდა. პავსანიასა და, საერთოდ, ყველა ბერძენს ელეელმა ტისამენემ უმისნა გამარჯვება, თუ თავს დაიცავდნენ და შეტევას თვითონ არ დაიწყებდნენ. არისტიდემ თავის მხრივ სამისნოდ ხალხი გაგზავნა დელფოში, სადაც ღმერთისაგან პასუხად მიიღეს, რომ ათენელები მტრებს დაამარცხებდნენ, თუ შეევედრებოდნენ ზევსს, კითერონელ ჰერას, პანსა და სფრაგიდიონის ნიმფებს, თუ მსხვერპლს შესწირავდნენ გმირებს – ანდოკრატეს, ლევკონს, პისანდრეს, დამოკრატეს, ჰიპსიონს, აკტეონსა და პოლი-

იდეს და ბრძოლას გააჩაღებდნენ საკუთარ მიწაზე - ელევსინელი დემეტრესა და კორეს[19] ველზე.

ამ წინასწარმეტყველების მიღებამ არისტიდე საგონებელში ჩააგდო: გმირები, რომლებისათვისაც მსხვერპლის შეწირვას ღმერთი მოითხოვდა, პლატეას მამამთავრები იყვნენ, ხოლო სფრაგიდიონის ნიმფათა მღვიმე კითერონის[20] ერთ-ერთ მწვერვალზეა და პირი მიმართული აქვს იმ მხარეს, სადაც ზაფხულის მზე ჩადის, სადაც უწინ, როგორც ამბობენ, სამისნო ყოფილა და სადაც იქაური მრავალი მკვიდრი მისნობას ეწეოდა თურმე და ამის გამო მათ „ნიმფათაგან შეპყრობილებს“ უწოდებდნენ. რაც შეეხება ელევსინელი დემეტრეს ველზე მითითებას და ათენელებისათვის გამარჯვების მინიჭებას მხოლოდ საკუთარ მიწაზე ბრძოლის გაჩაღებით, ეს მოითხოვდა ომის კვლავ ატიკაში გადატანას. სწორედ ამ დროს პლატეელთა სტრატეგოსს - არიმნესტეს ეზმანა, თითქოს მხსნელმა ზევსმა ჰკითხა: რას აპირებთ ელინებიო; არიმნესტემ თითქოს უპასუხა: „უფალო, ხვალ ჯარს წავიყვანთ ელევსინისაკენ და, პითოს მისნობის თანახმად, იქ ბარბაროსებს შევერკინებითო!“ ამაზე ღმერთს უთქვამს, რომ ისინი მეტისმეტად სცდებიან: პითოს ნამისნევი სწორედ აქ, პლატეას მხარეშია, ეძიეთ და იპოვითო! არიმნესტეს ეს ყველაფერი ნათლად ეზმანა თურმე და როცა გამოიღვიძა, მაშინვე მოიწვია ყველაზე გამოცდილი და უხუცესი მოქალაქენი და მათთან საუბარში გამოარკვია, რომ ჰისიეს[21] მახლობლად, კითერონის მთის ძირში, დგას ძველისძველი ტაძარი, რომელსაც ელევსინელი დემეტრესა და კორეს სახელით მოიხსენიებენ. არიმნესტემ დაუყოვნებლივ გაიყოლა თან არისტიდე ამ ადგილისაკენ. ეს ადგილი აღმოჩნდა მეტად ხელსაყრელი ქვეითი რაზმის დასამწკრივებლად ცხენოსანთა ძალის წინააღმდეგ: კითერონის ფერდობები ტაძართან შეწყვეტილ ველს მხედრებისათვის გაუვალს ხდიდნენ. ველზევე მახლობლად იყო გმირის ანდროკრატეს სამლოცველო, რომელსაც გარს ხშირი და ჩრდილოვანი ხეებით დაბურული ჭალაკი ერტყა. მისნობით მინიშნებულ გამარჯვების იმედს რომ არაფერი დაჰკლებოდა, პლატეელებმა, არიმნესტეს წინადადებით, გააუქმეს ატიკასა და პლატეას შორის მდებარე საზღვრები და მთელი მხარე ათენელებს გადასცეს, რათა ელადისათვის ბრძოლა, მისნობის თანახმად, ამათ საკუთარ მიწაზე გადაეხადათ! პლატეელთა კეთილმოსურნეობამ ისეთი სახელი

მოიხვეჭა, რომ მრავალი წლის შემდეგ ალექსანდრემ, უკვე აზიის მპყრობელმა, რომელმაც პლატეასათვის კედლების შემოვლება გადაწყვიტა, ოლიმპიურ ზეიმზე მაცნეს პირით განაცხადა, რომ ამ პატივს მეფე პლატეელებს მიაგებს მათი მამაცობისა და დიდსულოვნებისათვის, რადგან სპარსებთან ომის ჟამს ბერძნებს თავისი მიწა გადასცეს და ამით უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინეს.

12. ათენელებს ბრძოლაში რიგის დაკავების თაობაზე დავა გაუმართეს ტეგეელებმა. ისინი მოითხოვდნენ, მათ განკარგულებაში ყოფილიყო მარცხენა ფრთა, როგორც ეს მუდამ ხდებოდა, როცა ლაკედემონელებს მარჯვენა ფრთა ეჭირათ. ამასთან ერთად ტეგეელები განუწყვეტლივ ასხამდნენ ხოტბას თავის წინაპრებს. რაკი ათენელები ამის გამო აღშფოთდნენ, წინ წამოდგა არისტიდე და თქვა: „ახლანდელი ვითარება ნებას არ გვაძლევს, ტეგეელებს კეთილშობილებისა და მამაცობის თაობაზე ვედაოთ. თქვენ კი, სპარტელებო, და სხვა ელინებსაც უნდა გითხრათ, რომ ადგილი მებრძოლს არც ართმევს და არც ანიჭებს სიქველეს. თქვენ რა ადგილიც არ უნდა შემოგვთავაზოთ, ვეცდებით, დავამშვენოთ და დავიცვათ იგი და არ შევარცხვინოთ ადრე მოპოვებული ჩვენი გამარჯვებანი. ჩვენ აქ მოკავშირეებთან სადაოდ კი არ მოვსულვართ, არამედ მტრებთან საომრად მოვედით; არც მამა პაპათა სახოტბოდ შევმართულვართ; ჩვენ გვინდა, ჩვენივე ვაჟკაცების სიმამაცე ვუძღვნათ ელადას!“ ეს რომ მოისმინეს, ბჭობის მონაწილეები და მეთაურები ათენელებს დაეთანხმნენ და მათ სხვა ფრთა მიუჩინეს.

13. საბერძნეთში ვითარება მეტისმეტად დაიძაბა. განსაკუთრებით მერყეევ მდგომარეობაში იყვნენ ათენელები. თავის დროზე სიმდიდრით განებივრებული, ახლა კი ომის გამო გაღარიბებული, გამოჩენილ ოჯახთა შვილები, რაკი ხედავდნენ სიმდიდრესთან ერთად ძალაც და სხეულიც ეკარგებოდათ და გამგებლობა სხვის ხელში გადადიოდა, პლატეის ერთ-ერთ სახლში ფარულად შეიკრიბნენ და დემოსის დასამხობად პირი შეკრეს. ამასთან დათქვეს, თუ ეს საქმე არ გამოუვიდოდათ, ყველაფერი დაერბიათ და სახელმწიფო ბარბაროსებისათვის გადაეცათ. ეს შეთქმულება ბანაკში მზადდებოდა. და როცა არისტიდემ გადაწყვიტა, ეს საქმე არც უყურადღებოდ დაეტოვებინა და არც მთლიანად გამოეაშკარავებინა, რამეთუ არ უწყოდა, ძიება შეთქმულთა რა რაოდენობას აღ-

მოაჩენდა და, ვაითუ, სასარგებლო შედეგის ნაცვლად, მარტოოდენ სამართლიანობა შერჩენოდა ხელთ! აი, ამიტომ მრავალთაგან მხოლოდ რვა კაცი შეიპყრო. მათგან ორნი, ესქინე ლამპტრელი და აგასია აქარნელი, რომელთაც ყველაზე მეტი ბრალი ედებოდათ, და ყველაზე ადრე მისცეს სამართალში, ბანაკიდან გაიქცნენ. დანარჩენები არისტიდემ გაათავისუფლა და იმათ, რომელთაც თავი გამოუმჟღავნებლად მიაჩნდათ, შიში გაუფანტა და მონანიების საშუალება მისცა. იგი ვარაუდობდა, მათთვის ომი ყველაზე დიდი სასამართლო იქნებოდა და სამშობლოსათვის პატიოსანი და გულწრფელი სამსახურით ყველა ბრალდებას მოიხსნიდნენ.

14. ამის შემდეგ მარდონიოსმა სცადა, ელინებზე მიეტანა ის ძალა, რომლითაც, ეგონა, მტერს აღემატებოდა. სახელდობრ, მან მთელი ცხენოსანი ლაშქარი დასძრა ბერძნების წინააღმდეგ, რომლებიც, მეგარელთა გარდა, კითერონის მთის ძირში მდებარე მიუვალ და კლდოვან ადგილებში იყვნენ ჩამსხდარნი. მეგარელები, სამი ათასამდე კაცი, მთის წინ გაშლილ ველზე იდგნენ ბანაკად და ამიტომაც დიდი ზარალი განიცადეს ყოველმხრივ მოზღვავებული მტრის ცხენოსანი ლაშქრის თავდასხმისაგან. რაკი მტრის მრავალრიცხოვან ძალას წინააღმდეგობა თავად ვეღარ გაუწიეს, მეგარელებმა სასწრაფოდ აფრინეს მაცნე პავსანიასთან დახმარების სათხოვრად. პავსანიამ მაცნეს მოუსმინა, თვითონაც ხედავდა ურიცხვი შუბებისა და ისრების ქვეშ მოქცეულ მეგარელთა ბანაკს და მის ერთ მცირე ჯგუფადღა შექუჩებულ მეომრებს. პავსანიას თავად არ ძალუძდა მძიმედ შეიარაღებული სპარტელების ქვეითი რაზმით მტრის ცხენოსანი ჯარის მოგერიება; ამიტომ თავის გარშემო მყოფ ბერძენ სტრატეგოსებსა და რაზმთა მეთაურებს მოუწოდა, გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს სიქველესა და სახელის მოხვეჭაში, თუ ვისმე მათგან სურვილი ჰქონდა, ნებაყოფლობით ჩაბმულიყო ბრძოლაში და დახმარებოდა მეგარელებს. იმ დროს, როცა სხვებმა ყოყმანი დაიწყეს, არისტიდე ათენელთა სახელით თავის თავზე იღებს ამ საქმეს და გზავნის ყველაზე მამაც რაზმის მეთაურს ოლიმპიოდორეს სამასი რჩეული და დამწკრივებული მეომრით და მათთან მიერთებული მშვილდოსნებით. ესენი სწრაფად შეიმართნენ და მეგარელთა ბანაკისაკენ გაეშურნენ. მათ დანახვაზე ბარბაროსთა მხედართმთავარმა, ძალ-ღონით, გასაოცარი წარმოსადეგობითა და სხეულის მოხდენილობით გამორჩეულმა მასისტიოსმა,

ცხენი შემოაბრუნა და ათენელებისაკენ გაქანდა. ესენი მტკიცედ დაუხვდნენ, თავად შეუტიეს და ისეთი ცხარე ბრძოლა გაჩაღდა, თითქოს ყველაფერი აქ უნდა გადაწყვეტილიყო. დაჭრილმა ცხენმა მასისტიოსი ძირს ჩამოაგდო. ჩამოვარდნილი, რაკი მეტისმეტად მძიმე იარაღი განძრევის საშუალებას არ აძლევდა, ფეხზე ვერ წამოდგა; მაგრამ, მიუხედავად განუწყვეტელი დარტყმებისა, ვერც ათენელები მიუდგნენ მას მოსაკლავად, ისე ჰქონდა ოქროს, სპილენძისა და რკინის აბჯრით შეჯავშნული არა მარტო მკერდი და თავი, არამედ ხელ-ფეხიც. ბოლოს ვიღაცამ შუბის ტარი აძგერა თვალისათვის მუზარადის ღია ადგილში და, როგორც იქნა, მოკლა. დანარჩენმა სპარსებმა გვამი მიატოვეს და გაიქცნენ. წარმატების სიდიდე ელინებმა გაზომეს არა მოკლულთა რიცხვით, - ბრძოლაში დაცემულთა რაოდენობა მცირე აღმოჩნდა, - არამედ ბარბაროსთა გლოვა-გოდებით. მასისტიოსის სახით მათ დაკარგეს ვაჟკაცი, ვინც მარდონიოსის შემდეგ პირველობდა და ქველობითა და ძალღონით ბევრად აღემატებოდა სხვებს. მის დასატირებლად სპარსმა მეომრებმა თმა წვერი შეიკრიჭეს, ცხენებსა და ჯორებს ფაფრები შეაკვეცეს და მთელი ველი მოთქმითა და გმინვა კვნესით აავსეს.

15. ცხენოსანთა ამ ბრძოლის შემდეგ ორივე მხარე კარგა ხანს იკავებდა თავს შეტაკებისაგან. საქმე ის გახლდათ, რომ სამსხვერპლო შიგნეულზე დაკვირვების შედეგად მისნებმა სპარსელებსაც და ელინებსაც თანაბრად უწინასწარმეტყველეს გამარჯვება, თუ მხოლოდ თავს დაიცავდნენ და - დამარცხება, თუ იერიშის მისატანად პირველნი გამოიღებდნენ ხელს. ბოლოს, როცა მარდონიოსს მხოლოდ რამდენიმე დღის სურსათი დარჩა, ხოლო ელინთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა ახალ-ახალი ნაკადით, სპარსთა წინამძღოლმა მოთმინება დაკარგა და გადაწყვიტა, მეტად აღარ დაყოვნებულიყო, განთიადის დადგომისთანავე გადაელახა მდინარე ასოპოსი და მოულოდნელად დასხმოდა თავს ელინებს. ეს ბრძანება მან მეთაურებს საღამო ჟამს მისცა. შუაღამით ელინთა ბანაკს უჩუმრად მიადგა ერთი ცხენოსანი კაცი და დამხდურ დარაჯებს მოსთხოვა, მასთან მოეყვანათ ათენელი არისტიდე. უცნობის მოსასმენად დაუყოვნებლივ მოსულ არისტიდეს მხედარმა უთხრა: „მე ალექსანდრე ვარ, მაკედონელთა მეფე; მიუხედავად დიდი საფრთხისა, თქვენთან კეთილგანწყობილებამ მომიყვანა, რათა მოულოდნელმა თავდასხმამ ბრძოლის უნარი არ წაგართვათ.

ხვალ თქვენ ბრძოლას გაგიმართავს მარდონიონი, მაგრამ არა მამაცობისა და წარმატების იმედით, არამედ სურსათის შემოლევის გამო; მიუხედავად იმისა, რომ მისნები ავის მომასწავებელ მსხვერპლშეწირვაზე დაკვირვებით და წინასწარმეტყველებით უკრძალავენ ბრძოლას და ჯარიც სასოწარკვეთილი და შეშინებული ჰყავს, მას ვითარება აიძულებს, სცადოს ბედი და გამბედაობას ენდოს, ან არადა, ადგილზე დარჩეს და კიდევ უფრო მძიმე განსაცდელს ელოდოს". ასე უთხრა ალექსანდრემ არისტიდეს და სთხოვა: მარტო შენ იცოდე და დაიმახსოვრე ეს, სხვას კი არავის აუწყოო. არისტიდემ უპასუხა: არ ივარგებს, ეს ამბავი დავუმალოთ პავსანიას, ვისაც ლაშქრის წინამძღოლობა აკისრია, მაგრამ სხვებს ბრძოლის დაწყებამდე არაფერი ეცოდინებათ. ოღონდ, თუ საბერძნეთი გაიმარჯვებს, კაცი არ დარჩება, ალექსანდრეს მამაცობა და ქველობა არ შეიტყოსო. ამ საუბრის შემდეგ მაკედონელთა მეფე უკან გაბრუნდა.[22] არისტიდე პავსანიას ბანაკში მივიდა და წინამძღოლს ყველაფერი უამბო. მერმე სხვა მეთაურებსაც მოუხმეს და უბრძანეს ჯარის მოწესრიგება და საბრძოლოდ მომზადება.

16. როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს,[23] პავსანიამ არისტიდეს მოსთხოვა, სპარსთა წინააღმდეგ მარჯვენა ფრთაზე ათენელები დაეყენებინა, ვინაიდან ესენი მტერს კარგად იცნობდნენ და უკეთ შეებრძოლებოდნენ მათზე წინანდელი გამარჯვებით გამხნევებულნი. თვითონ პავსანია მარცხენა ფრთას დაიკავებდა, სადაც მას სპარსთა მხარეზე გადასული ელინები შეებმოდნენ. ათენელთა სხვა სტრატეგოსებმა პავსანიას წინადადება უგუნურებად და თავხედობად მიიჩნიეს: სხვები თავთავის ადგილზე დატოვა, მხოლოდ ჩვენ გვერეკება აღმა დაღმა და ჰილოტებივით ყველაზე ძნელად საბრძოლო უბანზე გვყრისო. მაშინ არისტიდემ განუმარტა მათ, რომ ყოველმხრივ ცდებოდნენ: თუ ცოტა ხნის წინ ტეგეელებს მარცხენა ფრთისთვის ედავებოდნენ და მათზე გამარჯვებით ყოყოჩობდნენ, ახლა, როცა სპარტელები ნებაყოფლობით მარჯვენა ფრთას უთმობენ და, ასე ვთქვათ, პირველობას ანიჭებენ, აღარც კეთილი სახელის მოხვეჭა იტაცებთ და არც იმას თვლიან უმჯობეს საქმედ, რომ თვისტომებსა და მახლობლებს კი არა, არამედ დასაბამითგან დაუძინებელ მტრებს - ბარბაროსებს შეებრძოლონ! არისტიდეს ამ სიტყვის შემდეგ ათენელებმა ხალისით გაუცვალეს სპარტელებს სამწკრივო ადგილი და ერთმანეთთან გასამხნევებელი საუბარი

გამართეს იმის თაობაზე, რომ მტერს არც იარაღი აქვს უკეთესი და არც სულიერად არის უმტკიცესი იმ დროსთან შედარებით, როცა ისინი მარათონს მოეახლნენ; რომ მათ, როგორც მაშინ, ხელთ უპყრიათ ისეთივე მშვილდ ისრები და ისეთივე ჭრელჭრული სამოსი და ოქრო უფარავთ განაზებულ სხეულსა და მხდალ სულს: „ჩვენ კი იარაღიცა და ძალ-ღონეც თანაბარი გვაქვს და გამარჯვებით მამაცობაც შეგვემატა; ჩვენ მათსავით მარტო მიწისა და ქალაქისათვის კი არ ვიბრძვით, არამედ მარათონში და სალამინზე დადგმული გამარჯვების ძეგლების - ტროპეონებისათვის, რათა ყველამ უწყოდეს, რომ ისინი ათენელებმა აღმართეს და არა მილტიადემ და ბედისწერამ!“

ათენელებმა, როგორც ვთქვით, ადგილების შეცვლა აღარ დააყოვნეს. როგორც კი გაიგეს ეს ამბავი თებელებმა მოღალატეებისაგან, მყისვე აცნობეს მარდონიოსს. ათენელების შიშით, თუ იმის გამო, რომ ლაკედემონელებთან შებმა საპატიო საქმედ მიიჩნია, მარდონიოსმა სპარსები მაშინვე მარჯვენა ფრთაზე გადაიყვანა, ხოლო მის მხარეზე გადასულ ელინებს უბრძანა, ათენელების წინააღმდეგ დამდგარიყვნენ. როცა ეს გადაადგილება გამჟღავნდა, პავსანიამ მხარი იცვალა და კვლავ მარჯვენა ფრთაზე დადგა. მაშინ მარდონიოსმა უწინდებურად მარცხენა ფრთა ჩაიბარა და ისევ ლაკედემონელებს დაუპირისპირდა. მთელი დღე ამ უქმ საქმიანობაში გავიდა. ბერძნებმა თათბირზე გადაწყვიტეს, ბანაკი მოშორებით დაეცათ და წყლით უხვი ადგილი დაეკავებინათ, რადგან ახლომახლო წყაროები ბარბაროსთა მრავალრიცხოვანი ცხენოსნების თარეშით ამღვრეული და გაბინძურებული იყო.

17. დაღამდა თუ არა, სტრატეგოსებმა თავთავიანთი მეომრები ახალი ბანაკის დასაცემად დათქმული ადგილისაკენ წაიყვანეს. ჯარი არ იყო მაინცდამაინც დიდად მოსურნე, ხალისითა და მორჩილებით გაჰყოლოდა მეთაურებს; მაგრამ როგორც კი დატოვეს ადრე დაკავებული სიმაგრენი, მეომრები პლატეელთა ქალაქისაკენ გაეშურნენ, აურზაურით მოედვნენ იქაურობას და, სადაც კი მოუხდათ, კარვების გაშლას შეუდგნენ. მხოლოდ ლაკედემონელები გახდნენ იძულებულნი, სხვებს უკან ჩამორჩენოდნენ. ერთმა მათგანმა, მამაცმა და შეუპოვარმა ვაჟკაცმა ამომფაპრეტემ, რომელიც იმთავითვე ბრძოლისაკენ ილტვოდა და მისი გაუთავებელი გადადებისა და დაყოვნების გამო გულმოსული იყო, ჯარის ადგილის

გადანაცვლებას სიმხდალე და უკუქცევა უწოდა და განაცხადა: მე ჩემი განლაგებიდან ფეხს არ მოვიცვლი, ჩემი თანამოსაგრეებით აქ ვრჩები და მარდონიოსს აქ დავუხვდებიო. მასთან პავსანია მივიდა და უთხრა: მე ვასრულებ იმას, რაც ელინებმა კენჭისყრით გადაწყვიტესო. მაშინ ამომფარეტემ ორივე ხელით ერთი დიდი ქვა ასწია, პავსანიას ფეხებთან დაუგდო და შესძახა: აი, მე ბრძოლას ვუყრი კენჭს, ხოლო სხვების მხდალი გადაწყვეტილებებისა და აზრებისათვის გზა დამილოციაო! პავსანიამ აღარ იცოდა, რა ექნა; მერმე გზად დაძრულ ათენელებს კაცი დააწია: დაიცადეთ, ყველანი ერთად წავიდეთო, – და დანარჩენი ჯარი თვითონაც პლატეასაკენ წაიყვანა; იმედოვნებდა, ამომფარეტეც დაიძროდა ადგილიდან.

ამასობაში გათენდა. ელინთა მიერ ბანაკის მიტოვება მარდონიოსს შეუმჩნეველი როდი დარჩა; ბარბაროსთა დარაზმული ლაშქარი საშინელი ყიჟინითა და აურზაურით ლაკედემონელებს დაადევნა, თითქოს არა ბრძოლის გასამართავად, არამედ უკუქცეული ელინების შესაპყრობად. ასეთ ვითარებას, მართლაც, ბევრი აღარაფერი აკლდა. პავსანიამ, დაინახა თუ არა, რაც ხდებოდა, მსვლელობა შეწყვიტა და ბრძანა, თითოეულს თავისი ადგილი დაეკავებინა მწკრივში მტერთან შესარკინებლად. მაგრამ ამოფაპრეტეზე გაჯავრებისა თუ მტრის სიმარდით გამოწვეული შეშფოთების გამო დაიბნა და ახალი ბანაკის დასაცემად წასულ ბერძნებს მოსალოდნელი ბრძოლის დაწყების ნიშანი აღარ მისცა. ამიტომ ესენი ბრძოლის წინ საფრთხეში მყოფ ლაკედემონელთა დასახმარებლად მაშინვე და მთელი ძალებით არ შემობრუნებულან; მხოლოდ შემთხვევით მოვიდა რამდენიმე რაზმი შემწეობის აღმოსაჩენად. პავსანიამ მსხვერპლშეწირვა აღასრულა; მაგრამ რაკი შედეგი კეთილს არ იუწყებოდა, ლაკედემონელთ უბრძანა, ფარები ფერხთა წინ დაეწყოთ, არ განძრეულიყვნენ, მის ნიშანს დალოდებოდნენ და მტრისთვის ჯერჯერობით არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწიათ. თვითონ კვლავ შეუდგა მსხვერპლშეწირვას. მტრის ცხენოსნები ამასობაში წინ გამოიჭრნენ. მათი ისრები უკვე მიზანს აღწევდნენ და სპარტელთაგან ზოგიერთი დაიჭრა კიდეც. მათ შორის იყო, როგორც ამბობენ, ელინელებში ულამაზესი და ყველაზე წარმოსადეგი აღნაგობის ვაჟკაცი კალიკრატე. სასიკვდილოდ დაჭრილმა ესღა წარმოთქვა თურმე: სიკვდილი როდი მადარდებს: – შინიდან სწორედ იმიტომ წამოველ, რომ ელადისათვის მოვმკვდარიყავ; ვაი, რომ ისე ვკვდები, საომრად ხელის გამოღება

არ დამცალდაო! დამტანჯველი ვითარება შეიქმნა, მაგრამ საოცარი იყო მეომართა გამძლეობა: წინააღმდეგობის გაუწევლად იტანდნენ მტრის თავდასხმებს, დაჭრილნი თავთავიანთ მწკრივებში ეცემოდნენ მიწაზე და ღვთის წყალობასა და სტრატეგოსის კეთილ ნიშანს მოთმინებით მოელოდნენ. ზოგიერთები გადმოგვცემენ: რაზმთაგან მცირეოდენ მანძილზე მსხვერპლშეწირვითა და ლოცვა-ვედრებით გართულ პავსანიას რამდენიმე ლიდიელი დაესხა მოულოდნელად თავს და მსხვერპლშეწირვისათვის საჭირო წმიდა ნივთების დატაცებასა და მათ მიმოფანტვას მიჰყვეს ხელიო. უიარაღო პავსანია და მისი თანმხლებნი კვერთხებითა და მათრახებით იგერიებდნენ თურმე მომხდურთ. სპარტაში დღემდე იმართება ამ თავდასხმის ამბის მიმბაძველი სანახაობა – საკურთხევლის გარშემო ჭაბუკთა გაროზგვა და მერმე ლიდიური საზეიმო მსვლელობა.[24]

18. იმ დროს, როცა მისანი ზედიზედ სწირავდა მსხვერპლს, შექმნილი ვითარებით შეწუხებულმა პავსანიამ, ცრემლმორეულმა, სახე ჰერას ტაძარს მიაპყრო და ხელაღმართვით კითერონელ ჰერასა და პლატეას, მიწის მფარველ სხვა ღმერთებს შეევედრა: თუ ელინებს გამარჯვება არ უწერიათ, ის მაინც გააკეთონ, რომ თავი დადონ მამულისათვის და საქმით უჩვენონ მტრებს, რომ ისინი მამაცსა და ბრძოლაში ნაწრთობ ვაჟკაცებს შეებნენო. აგრე ევედრებოდა პავსანია ღმერთებს და ამასობაში მსხვერპლშეწირვამ კეთილის მაუწყებელი ნიშანი გამოავლინა. მისანმა გამარჯვება იწინასწარმეტყველა. მაშინ ყველას ებრძანა, მტერთან შერკინება და რაზმი დაუყოვნებლივ დაემსგავსა გამძვინვარებულ, ძალამოკრებილსა და ყალყზე შემდგარ რომელიღაც მხეცს. ბარბაროსებმა ახლა კი შეიგნეს, ომი მოუწევდათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შემართულ ვაჟკაცებთან. წნული ფარებით დაცული სპარსები შეუწყვეტლივ ესროდნენ ლაკედემონელებს ისრებს. ესენი ერთ მწკრივად შეიკრნენ, წინ გაიჭრნენ და მათ წინ აღმართულ ფართა განზე გაწევით მტერს სახესა და მკერდზე შუბების დაშენა დაუწყეს. სპარსები გააფთრებით იცავდნენ თავს, მაგრამ ზედიზედ ეცემოდნენ ბრძოლაში. ისინი შიშველი ხელებით ეტანებოდნენ და ამტვრევდნენ შუბებს, ხოლო როცა ბერძნებმა მახვილები იშიშვლეს, მათ დაშნები და მოკლე ხმლები დაუხვედრეს; ცდილობდნენ, ფარებით კვლავ დაეცვათ თავი და ამ ხელჩართულ ბრძოლაში საკმაოდ დიდხანს შეუპოვარ წინააღმდეგობას სწევდნენ.

ათენელები ჯერ კიდევ თავის ადგილზე იდგნენ და ლაკედემონელებს ელოდებოდნენ. როცა მათ ყურამდე მებრძოლთა მძლავრმა ყიჟინმა მიაღწია და, როგორც გადმოგვცემენ, პავსანიასაგანაც მომხდარი ამბის მაცნეც მიუვიდათ, ათენელები მაშინვე გაეშურნენ დასახმარებლად. ველზე იქითკენ გაჭრილებს, საიდანაც ყვირილის ხმა სწვდებოდათ, წინ სპარსთა მხარეზე გადამდგარი ბერძნები შემოეფეთათ. როგორც კი დაინახა ისინი, არისტიდე საკმაო მანძილზე გავიდა წინ და ელინთა ღმერთების მოხმობით მომხდურებს შესძახა: ბრძოლას ნუ გაგვიმართავთ, ნუ გადაგვეღობებით და ნუ შეგვიშლით ხელს, დავეხმაროთ იმათ, ვისაც ელადისათვის თავი აქვთ დადებულიო. როცა დაინახა, მას ყურს არ უგდებდნენ და საბრძოლველად მწკრივდებოდნენ, არისტიდემ სპარტელთა დასახმარებლად სვლა შეწყვიტა და ეკვეთა მოღალატე ბერძნებს, რომელთა რიცხვიც ორმოცდაათ ათასს აღწევდა. მიუხედავად სიმრავლისა, მოღალატეთა დიდმა ნაწილმა, როგორც კი შენიშნა, რომ ბარბაროსებიც უკუიქცნენ, ბრძოლა მაშინვე დათმო და უკან დახევა დაიწყო. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას არისტიდეს თებელები უწევდნენ. მათგან ყველაზე წარჩინებული და გავლენიანი პირები თავგამოდებით უჭერდნენ მხარს სპარსებს და ძალაუფლების მქონეთა მორჩილი და შეუგნებელი ბრბოც აყოლილი ჰყავდათ.

19. აი, ამგვარად მიდიოდა ბრძოლა ორ ადგილზე და ლაკედემონელებმა პირველებმა აოტეს სპარსები. ერთმა სპარტელმა, სახელად აიმნესტემ, თავში ქვა დაჰკრა მარდონიოსს და სული გააფრთხობინა, როგორც ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა ეს ამფიარაეს მისნისაგან.[25] მარდონიონმა მისნობის მისაღებად, ჯერ კიდევ ადრე, გაგზავნა ერთი ლიდიელი ამფიარაეს ტაძარში, ხოლო ერთი კარიელი - პტოონზე.[26] კარიელს მისანი კარიულ ენაზე დაელაპარაკა თურმე; ხოლო ლიდიელმა, რომელმაც ამფიარაეს ტაძარში დაიძინა, სიზმრად იხილა, თითქოს ღვთის მსახური დაადგა თავს და უბრძანა, აქედან წასულიყო, მაგრამ რაკი ამან წასვლა არ ისურვა, დიდი ქვა დაჰკრა თავში და ლიდიელს მოეჩვენა, თითქოს დარტყმისაგან სიცოცხლეს გამოესალმა. აი, ასე მოგვითხრობენ ამ ამბავს.

სპარტელებმა უკუქცეული სპარსები ხის ერთ სიმაგრეში ჩაამწყვდიეს. ცოტა მოგვიანებით ათენელებმაც აოტეს თებელები, ხოლო მათ შორის ყველაზე გამოჩენილი და უწარჩინებულესი სამასი კაცი

ბრძოლაში გაჟლიტეს. სპარსთა უკუქცევის შემდეგ ათენელებთან მოვიდა მაცნე და აუწყა მათ, რომ ბარბაროსთა ძლეული ჯარი სიმაგრეში იყო ალყაშემორტყმული. მაშინ ათენელებმა სპარსთა მხარეზე მყოფ დამარცხებულ ელინებს თავის გადარჩენისათვის გაქცევის საშუალება მისცეს, თვითონ კი სიმაგრისაკენ გაეშურნენ ლაკედემონელთა დასახმარებლად, რომლებსაც მოუქნელად და უხეიროდ მიჰქონდათ იერიში სიმაგრის კედლებზე. ათენელებმა მტრის ბანაკი აიღეს და მტერი უმოწყალოდ ამოხოცეს. ამბობენ, სამასი ათასი კაცისაგან, მხოლოდ ორმოცმა ათასმა უშველა თავს გაქცევით არტაბაძოს სარდალთან ერთად, ელადისათვის მებრძოლთაგან კი სულ ათას სამასი მეომარი დაეცაო. ამათში ათენელი იყო ორმოცდათორმეტი და ყველა, როგორც კლიდემე გადმოგვცემს, ეკუთვნოდა საუკეთესოდ მებრძოლ ეანტისის ფილეს.[27] აი, ამიტომ, პითოს მისნობის თანახმად, საზოგადო ხაზინის ხარჯზე, ეანტისელები მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე სფრაგიდიონის ნიმფებს. ლაკედემონელებმა ოთხმოცდათვრამეტი კაცი დაკარგეს, ტეგეელებმა თექვსმეტი. საოცარია ჰეროდოტეს მტკიცება,[28] თითქოს მტერთან ბრძოლაში მხოლოდ ზემოხსენებული ელინები მონაწილეობდნენ, სხვა ბერძენთაგან კი – არავინ. ბრძოლაში დაცემულთა რიცხვი და ძეგლები კი მოწმობენ, რომ გამარჯვება საერთო ძალით იქნა მოპოვებული. მხოლოდ სამ ქალაქს – ათენს, სპარტასა და ტეგეას რომ მიეღო ბრძოლაში მონაწილეობა და სხვები უქმად მსხდარიყვნენ, მაშინ საგანგებო ბომონს[29] არ წააწერდნენ ასე:

აქ ელინებმა გაიმარჯვეს არესის ძალით, აოტეს სპარსნი და ელადას თავისუფალსა ბომონი ესე მხსნელი ზევსის დაუდგეს აქა.[30]

ხსენებული ბრძოლა გადახდილ იქნა ათენური თვის ბოედრომიონის მეოთხე დღეს, ანუ ოთხი დღით ადრე ბეოტიური თვის პანემოსის მიწურვამდე. ამ დღეს ჯერ კიდევ ახლაც იმართება პლატეაში ელინური თავყრილობა და პლატეელები გამარჯვების სამადლობელ მსხვერპლს სწირავენ ელევთერიოს – ზევსს.[31] საზეიმო დღეთა უთანაბრობა არაა გასაკვირი, მით უმეტეს, რომ ახლაც კი, როცა ასტროლოგიაში დაზუსტებები მოხდა, სხვადასხვა ადგილებში განსხვავებულად ანგარიშობენ თვის დასაწყისსა და დასასრულს.

20. იმ დღიდან მოყოლებული ათენელები არც სიმამაცის ჯილდოს უთმობდნენ სპარტელებს და არც ტროპეონის დადგმას

ანებებდნენ. ცოტასღა გაწყდა და იარაღში ჩამსხდარი ბერძნები საერთო ელინურ საქმეს დაღუპავდნენ, არისტიდეს რომ თანასტრატეგოსები, განსაკუთრებით კი - ლეოკრატე და მირონიდე, მრავალგზისი რჩევა დარიგებით და შეგონებით არ შეეკავებინა და არ დაერწმუნებინა, დავის გადაწყვეტა ერთობლივ ბერძნებისათვის მიენდოთ. მაშინ ბერძნებმა თათბირი გამართეს და თეოგიტონ მეგარელმა წინადადება წამოაყენა: თუ არ გინდათ, შინაომი ატყდეს, მოდით და სულაც სხვა ქალაქს მივანიჭოთ გამარჯვების ჯილდოო. მის შემდეგ წამოდგა კლეოგრიტე კორინთელი და ყველას ეგონა, კორინთელებისათვის მოითხოვდა გამარჯვების ჯილდოს მინიჭებას. კორინთო, ათენსა და სპარტას შემდეგ, მართლაც გამოირჩეოდა თავისი მეტად დიდი ღირსებითა და გავლენით. მაგრამ კლეოკრიტემ ყველასათვის მოსაწონი და განსაცვიფრებელი სიტყვა წარმოთქვა პლატეელების სასარგებლოდ. მან მოთათბირებით ურჩია, დავა შეეწყვიტათ და გამარჯვების ჯილდო პლატეელებისათვის მიეკუთვნებინათ, რაც მეტოქეთა არც ერთი მხარის უკმაყოფილებას არ გამოიწვევდა. თქვა თუ არა ეს კლეოკრიტემ, მას ჯერ არისტიდემ დაუჭირა მხარი ათენელთა სახელით, მერმე კი - პავსანიამ ლაკედემონელთა სახელით. მოლაპარაკების შემდეგ პლატეელებს გამოუყვეს ოთხმოცი ტალანტი. ამ თანხით პლატეელებმა ათენას ტაძარი ააგეს, შიგ ღმერთქალის ქანდაკება დადგეს და ტაძრის კედლები ნახატებით შეამკეს, რომლებმაც დღემდე მშვენივრად შემოინახეს თავი. ლაკედემონელებმა და ათენელებმა ცალ ცალკე, თავთავისათვის აღმართეს გამარჯვების ტროპეონები.

მსხვერპლშეწირვის თაობაზე შეკითხვის პასუხად პითოს მისანმა ბრძანა, ელევთერიოს - ზევსისათვის ბომონი დაედგათ და მსხვერპლშეწირვა მანამდე არ გაემართათ, სანამ მთელ ქვეყანაში ბარბაროსთგან წაბილწულ ცეცხლს არ ჩააქრობდნენ და დელფოს საერთო კერიდან ახალსა და წმიდას არ დააგზნებდნენ. ელინთა არქონტებმა მხარეთა შემოვლა დაიწყეს და ყველას ჩააქრობინეს ცეცხლი, სადაც კი დანთებული ჰქონდათ. ერთ ერთი პლატეელი - ევქიდა, რომელმაც ღვთის ცეცხლის სასწრაფოდ ჩამოტანა იკისრა, დელფოში ჩავიდა. აქ მან განწმენდის წესი აღასრულა, ტანი განიბანა, დაფნის გვირგვინით თავი შეიმკო, ბომონიდან ცეცხლი აიღო და სირბილით უკან, პლატეასაკენ გაეშურა. ევქიდამ იმ დღეს ათასი სტადიონის შემცველი მანძილი დაფარა და მზის ჩასვლამდე

მიაღწია პლატეას.[32] იგი აქ თანამოქალაქეებს მიესალმა, ცეცხლი გადასცა და ცოტა ხნის შემდეგ სული განუტევა. პლატეელებმა მოწიწებით დაკრძალეს იგი არტემიდე-ევკალიას ტაძარში და ტეტრამეტრით[33] შეთხზული ასეთი საფლავზედა წარწერა მიუძღვნეს:

რბენით პითონს გაეშურა და იმავ დღეს აქ დაბრუნდა.

ევკალიას[34] სახელით უმრავლესობა, ჩვეულებრივ, არტემიდეს მოიხსენიებს; სხვები კი ამბობენ, თითქოს ევკალია ჰერაკლესა და მენეტიოსის ასულის, პატროკლეს დის, მირტოს ნაშიერი იყო და ქალიშვილობაში გარდაიცვალა. მას თაყვანს სცემენ ბეოტიელები და ლოკრიდელები. მისი ბომონი და ქანდაკება ყველა მოედანზე დგას და მას მსხვერპლს სწირავენ ახლად შეუღლებულნი.

21. მოხსენიებული ამბის შემდეგ არისტიდემ ელინთა საერთო კრება მოიწვია კენჭის საყრელი წინადადებებით: პლატეაში ყოველწლიურად მოეყარათ თავი მთელი საბერძნეთიდან საგანგებო წარმომადგენლებსა და ქურუმებს, ხოლო ხუთ წელიწადში ერთხელ ელევთერიების ანუ თავისუფლების ზეიმი გაემართათ; გარდა ამისა, ბარბაროსებთან საომრად მუდამ დარაზმული ყოფილიყო ათი ათასი ფაროსანი მეომრისა და ათასი ცხენოსნის შემცველი ჯარი და ასი ხომალდი; პლატეელებს კი მინიჭებოდათ შეუვალობა და ღმერთისათვის ელადის დახსნის აღსანიშნავი მსხვერპლშეწირვის უფლება. ეს წინადადებანი ერთხმად მიიღეს და პლატეელებმა იკისრეს, ყოველწლიურად შეეწირათ მსხვერპლი აქ დაღუპული და დაკრძალული ბერძნებისათვის. ამ მსხვერპლშეწირვას პლატეელები ახლაც მართავენ ხოლმე შემდეგნაირად: მაიმაკტერიონის თვეში, რომელიც ბეოტიელთა ალა კომენიოსის თვეს შეესაბამება, მეთექვსმეტე დღეს, განთიადიდანვე ეწყობა საზეიმო სვლა, რომელსაც მიუძღვის მებუკე და საომარი მოწოდების ნიშანს იძლევა. მას უკან მიჰყვებიან მირტის რტოებითა და გვირგვინებით დატვირთული ურმები, ერთი შავი ხარი და თავისუფალთა ფენის ჭაბუკები, რომელთაც მოაქვთ საზედაშეო ღვინითა და რძით სავსე ამფორები და ზეითუნის ზეთითა და მურის წვენით[35] სავსე დოქები. ამ წმიდა წესის აღსრულებაში მონის მონაწილეობა დაუშვებელია, რადგან ზემოხსენებული ვაჟკაცები თავისუფლებისათვის დაიღუპნენ. ყველაზე ბოლოს მოდის პლატეელების არქონტი. ამას

სხვა დროსა და ვითარებაში აკრძალული აქვს რკინის შეხება და, თეთრის გარდა, სხვა ფერის სამოსელის ტარება. ამ დღეს კი შემოსილია მეწამული ქიტონით, მოაქვს სიგელ-გუჯართა საცავიდან აღებული წყლის თასი და მთელ ქალაქზე გავლით ხმალშემართული მიემართება დაღუპულთა საფლავებისაკენ. აქ წყაროდან წყალს იღებს, საკუთარი ხელით რეცხავს საფლავზედა სვეტებს, უსვამს მათ მურის საცხებელს და მერმე კოცონზე კლავს ხარს. ამ წესის აღსრულებისას იგი ვედრებით მიმართავს ზევსსა და მიწის მცველ ჰერმესს და წმიდა ლხინსა და სისხლიან ზედაშეს შეწირვაზე მოუხმობს ელადისათვის თავდადებულ მამაც ვაჟკაცთა სულებს. ამის შემდეგ თასში ღვინოს აზავებს და საფლავზე ასხურებს ასეთ სიტყვათა წართქმით: „ვსვამ იმ ვაჟკაცთა მოსაგონარს, რომლებმაც ელადის თავისუფლებას შესწირეს თავი!“.

აი, ამ წეს-ჩვეულებას დღემდე ინახავენ პლატეელები.

22. როცა ათენელები ქალაქში დაბრუნდნენ, არისტიდემ დაინახა, რომ ისინი ახლა დემოკრატიული წყობის დამყარებას ლამობდნენ. იგი თვლიდა, რომ ომში გამოჩენილი თავდადებისათვის ხალხი ყურადღებისა და მზრუნველობის ღირსი იყო; ამასთან კარგად ესმოდა, რა ძნელი იქნებოდა ამიერიდან იარაღის მპყრობელთა და მოპოვებული გამარჯვებებით გაამაყებულთა დამორჩილება. ამიტომ წამოაყენა წინადადება, სახელმწიფოს გამგებლობა საჯარო გაეხადათ და არქონტად ნებისმიერი ათენელის არჩევა დაეშვათ.

თემისტოკლემ განაცხადა, რომ სურს ხალხს მისცეს სახელმწიფოსათვის სასარგებლო და მხსნელი ძალის შემცველი რჩევა, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩესო. ათენელებმა არისტიდეს დაავალეს, მხოლოდ მას მოესმინა თემისტოკლესათვის და მასთან ერთად ემსჯელა. თემისტოკლემ არისტიდეს თავისი ზრახვა გაანდო: ღუზაზე მდგარი ელინთა გემთკრებული გადავწვათ და ათენელები ამის შედეგად ყველაზე ძლიერნი და ყველაფრის ბატონ პატრონები იქნებიანო. არისტიდე მაშინ ხალხის წინაშე წარდგა და თქვა: ჩემი აზრით, საქმე, რომელიც თემისტოკლეს განუზრახავს, უაღრესად სასარგებლოცაა და უაღრესად უსამართლოცო. ეს რომ ისმინეს, ათენელებმა თემისტოკლეს უბრძანეს, ხელი აეღო განზრახულზე. აი, ასეთი სიმართლის მოყვარული გახლდათ ხალხი და ასეთი ერთგული და მტკიცე მსახური იყო მისი არისტიდე.

23 კიმონთან ერთად ომში სტრატეგოსად გაგზავნილმა არისტი-

დემ, როგორც კი დაინახა, პავსანია და სპარტელთა სხვა მეთაურები აუტანელი უხეშობითა და სიმკაცრით ეპყრობოდნენ მოკავშირეებს, თვითონ მაშინვე დაიწყო ამათთან ლმობიერი და კაცთმოყვარული ურთიერთობის დამყარება და ლაშქრობათა ჟამს კიმონიც კეთილგანწყობილ და ალერსიან კაცად მოაქცია. ასეთი კეთილმოსურნეობით და გონივრული მოქმედებით და არა იარაღით, გემებითა და ბრძოლად შემართული ცხენებით, მან შეუმჩნევლად გამოაცალა ხელიდან ლაკედემონელებს ჰეგემონია. არისტიდეს სამართლიანობისა და კიმონის სიკეთის წყალობით ათენელები ისედაც სასიამოვნონი იყვნენ ელინებისათვის, ხოლო პავსანიას სიხარბე და სისასტიკე მათ კიდევ უფრო სასურველ ხალხად ხდიდა. მოკავშირეთა მეთაურებს პავსანია მუდამ წყრომითა და სიმკაცრით მიმართავდა, მდაბიოთ კი როზგებით სჯიდა ანდა აიძულებდა, მხრებზე გადებული რკინის ღუზით მთელ დღეს ფეხზე მდგარიყვნენ. არავის ეძლეოდა უფლება, სპარტელებზე ადრე მოეგროვებინა საწოლად დასაფენი ჩალა, ცხენებისათვის თივა, ანდა წყაროსთან მისულიყო წყლის ასაღებად. ურჩებს მათრახებით შეიარაღებული მსახურები ერეკებოდნენ. როცა ერთხელ არისტიდემ ამის თაობაზე საყვედურის თქმა და დარიგება დაუპირა, პავსანიამ - არა მცალიანო, - უთხრა და ყური არ დაუგდო.

ამის შემდეგ ელინთა ნავარქოსებმა და სტრატეგოსებმა, უპირატესად კი - ქიოსელებმა, სამოსელებმა და ლესბოსელებმა, არისტიდესთან მისვლა და მისი დარწმუნება დაიწყეს: დროა, წინამძღოლობა შენ აიღო ხელთ და შეივრდომო მოკავშირენი, რომლებიც კარგა ხანია სპარტელთაგან განდგომასა და ათენელთა მხარეზე გადმოსვლას ცდილობენო. არისტიდემ უპასუხა: თქვენი თხოვნა აუცილებლად შესასრულებელია და მართებულადაც მიმაჩნია, ოღონდ ჩემი ნდობა ისეთი საქმით უნდა დაამტკიცოთ, რომელიც მოკავშირეებს გადაწყვეტილების კვლავ შეცვლას აღარ დაანებებსო. და აი, სამოსელი ულიადე და ქიოსელი ანტაგორა, წინასწარი შეთანხმებით, ბიზანტიონთან თავს დაესხნენ პავსანიას ტრიერს, როცა იგი სხვებს გამოეყო და ზღვაში წინ გავიდა. დაინახა თუ არა თავდამსხმელები, პავსანია ფეხზე წამოხტა და აღშფოთებით დაემუქრა მათ: სულ მალე გაჩვენებთ, რომ თქვენ ჩემს ხომალდზე კი არა, საკუთარ მამულზე მიიტანეთ იერიშიო! - ახლავე გაეთრიე აქედანო, -უპასუხეს მას; - მადლობა უთხარი ბედს, რომელმაც

პლატეასთან გამართულ ბრძოლაში მოგიმართა ხელი. სწორედ იქ მოპოვებული გამარჯვების პატივისცემის წყალობითაა, რომ ელინებისაგან აქამდე გადაურჩი დამსახურებულ სასჯელსო!

ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ გადამდგარი მოკავშირენი ათენელებთან შესაერთებლად დაიძრნენ.[36] სპარტამ მაშინ გასაოცარი ჭკუა გამოიჩინა. როცა სპარტელებმა იგრძნეს, გადაჭარბებული ძალაუფლება მათ სარდლებს ზნეს უფუჭებდა, ნებაყოფლობით აიღეს ხელი მეთაურობაზე და ომში სტრატეგოსების გაგზავნა შეწყვიტეს; მთელ ელადაზე მბრძანებლობას, მოქალაქეთა გონიერება და ზნე ჩვეულებათა დაცვა არჩიეს.

24. ლაკედემონელთა წინამძღოლობის ჟამს ბერძნებს ომისათვის საჭირო რაღაც რაღაც გადასახადები შეჰქონდათ; ახლა კი მოინდომეს, ყოველი ქალაქისათვის განსაზღვრული შესატანი ზუსტად დაწესებულიყო და ათენელებს გამოსთხოვეს არისტიდე, რომელსაც მამულ შემოსავალთა შემოწმება და შესაძლებლობის მიხედვით თითოეული ქალაქისათვის გადასახადის ოდენობის დადგენა დააკისრეს: ელადამ მხოლოდ მას ჩააბარა, ასე ვთქვათ, მთელი თავისი ქონება და რაკი ესოდენ დიდი ძალაუფლების პატრონი გახდა, არისტიდემ არა მარტო უზადოდ და სამართლიანად, არამედ ყველასათვის სანუკვარად და მისადაგებულად შეადგინა საბეგარო ნუსხა; თვითონ კი, როგორი ღარიბ-ღატაკიც გამოვიდა შინიდან, ისეთივე ღარიბ-ღატაკად და კიდევ უფრო გაღარიბებულად დაბრუნდა უკან. ვით წინაპრები კრონოსის ხანის ცხოვრებას,[37] ისე ადიდებდნენ მოკავშირენი არისტიდეს მიერ დაწესებულ გადასახადს და მას „ელადის სიკეთეს“ უწოდებდნენ; მეტადრე მაშინ, როცა ეს გადასახადი სულ მალე გაორმაგდა, ხოლო მერე სამმაგიც კი გახდა. გადასახადის ოდენობა, რომელიც არისტიდემ დააწესა, დაახლოებით ოთხას სამოც ტალანტს შეადგენდა. პერიკლემ იგი თითქმის ერთი მესამედით გაზარდა. თუკიდიდე ამბობს, როცა ომი დაიწყო, ათენელებს მოკავშირეთაგან ექვსასი ტალანტი შემოსდიოდათო. პერიკლეს სიკვდილის შემდეგ თავკაცებმა საერთო თანხა ათას სამას ტალანტამდე აიყვანეს, არა იმდენად ომის ხანგრძლივობისა და მისი ბედისათვის გამიზნული დიდძალი ხარჯების გამო, რამდენადაც იმის მიზეზით, რომ ხალხი დააჩვიეს სანახაობებზე დასასწრები და ქანდაკებათა და ტაძართა შესაქმნელი სახსრების დარიგებას.

იმ დიდსა და გასაოცარ სახელს, რომელიც არისტიდეს შეტანილი თანხების დანაწილებამ მოუტანა, თემისტოკლემ დასცინა თურმე: ასეთი ცოტა ვაჟკაცს კი არა, ოქროს შესანახ ტომარას შეჰფერისო. ეს იყო შეუსაბამო პასუხი არისტიდეს გაბედულ ნათქვამზე. ერთხელ, როცა თემისტოკლემ უთხრა: სტრატეგოსის ყველაზე დიდ ღირსებად მტრების ზრახვათა გამოცნობისა და წინასწარ მხილების უნარს ვთვლიო, არისტიდემ ასე მიუგო თურმე: „ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელია, თემისტოკლევ, მაგრამ მშვენიერი და ჭეშმარიტად სარდლის შესაფერი ღირსება მაინც ისაა, ხელები სუფთა ჰქონდესო“.

25. არისტიდემ ელინები ერთგულებაზე დააფიცა, თვითონაც დადო ფიცი ათენელების სახელით და ფიცის წარმოთქმის ჟამს ლითონის ნაჭერი ჩაყარა ზღვაში.[38] მაგრამ შემდეგ, როცა ვითარებამ ძალაუფლების გამკაცრება მოითხოვა, არისტიდემ ათენელებს მიმართა, ფიცის გატეხა მისთვის დაებრალებინათ, რათა ამით შეეწყო ხელი საქმეთათვის. თეოფრასტე გადმოგვცემს: „ეს კაცი საერთოდ დიდი სამართლიანობით ექცეოდა შინაურებსა და მოქალაქეებს, ხოლო სახელმწიფო საქმეებს ყოველთვის სამშობლოს მოთხოვნილებისდა მიხედვით წარმართავდა, თუნდაც ამას მუდამ უსამართლო მოქმედება დასჭირებოდა“.[39] ამბობენ, როცა სამოსელთა წინადადებით იხილებოდა საკითხი ხელშეკრულების დარღვევით ხაზინის დელოსიდან ათენში გადმოტანის თაობაზე, არისტიდეს უთქვამს: მართალია, ეს საქმე არაა სამართლიანი, მაგრამ, სამაგიეროდ, სასარგებლოაო. ბოლოს და ბოლოს, არისტიდემ ათენი მრავალრიცხოვანი ხალხის გამგებლად აქცია, მაგრამ თვითონ სიღარიბეში დარჩა და ამ სიღარიბით მოხვეჭილ სახელს იმაზე ნაკლებ როდი თვლიდა, რამაც ტროპეონი ააგებინა.[40] ეს, აი, შემდეგი ამბიდანაც ჩანს: მეჩირაღდნე კალიასი არისტიდეს ნათესავი გახლდათ. მტრებმა მისი სიკვდილით დასჯა მოინდომეს. იმის შემდეგ, როცა საკმაოდ აღნუსხეს მისი დანაშაულობანი, რაშიც ბრალს სდებდნენ, მოსამართლეთ ერთი დამატებითი ამბავიც აუწყეს: „თქვენ იცნობთ არისტიდეს, ლისიმაქეს ძეს, ვინც აღფრთოვანებას იწვევს ელინებში. როგორ ფიქრობთ, ვით ცხოვრობს იგი შინ, როცა თვითონვე ხედავთ, რა დაგლეჯილი წამოსასხამით დადის საზოგადოებაში? განა არა ჰგავს, გარეთ სიცივისაგან კანკალატანილს, რომ შინ შიმშილი აწუხებს და ბევრი საჭირო რამ

აკლია? ეს კალიასი კი, მისი ნათესავი, ათენელებში უმდიდრესი კაცი, გულგრილად უყურებს ცოლ-შვილით გაჭირვებადამდგარ ახლობელს, ვინც მრავალგზის გამოუყენებია და ხშირად უსარგებლია თქვენს შორის მისი გავლენიანი ძალით!" როცა კალიასმა დაინახა, რომ მოსამართლენი ამან ყველაზე მეტად აღაშფოთა და ძალზე განურისხდნენ, გამოიძახა არისტიდე და სთხოვა, მოსამართლეთა წინაშე დამოწმებოდა, რომ მას ხშირად შეუთავაზებია მისთვის მრავალი რამ და უთხოვია, მიეღო, მაგრამ ის მუდამ უარს ამბობდა დახმარების მიღებაზე. არისტიდემ დაუმოწმა კალიასს ეს და ასე განაცხადა თურმე: მე უფრო შემფერის, ვიამაყო ჩემი სიღარიბით, ვიდრე კალიასს თავისი სიმდიდრით. ჩვენ გარშემო ბევრს ვხედავთ, სიმდიდრეს რომ მარჯვედ იყენებენ, მაგრამ არც თუ ისე ადვილია შეხვდე კაცს, სიღარიბეს ღირსეულად იტანდეს, რამეთუ სიღარიბე ერცხვინება ყველას, ვინც კი თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ განიცდის გაჭირვებასო. იმათ შორის, რომლებმაც კალიასის საქმეზე არისტიდეს სამოწმეო სიტყვა მოისმინეს, არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, სასამართლოდან არ წასულიყო სურვილით: უმჯობესია, არისტიდესავით ღარიბი ვიყო, ვიდრე კალიასის მსგავსი მდიდარი კაციო. ეს ამბავი აღწერა სოკრატეს შეგირდმა ესქინემ. პლატონი ათენის დიდად გამოჩენილ და სახელოვან პირთაგან მხოლოდ არისტიდეს აცხადებს მოხსენების ღირს ვაჟკაცად. თემისტოკლემ, კიმონმა და პერიკლემ ქალაქი სვეტებით, ფულით და სხვა ფუჭი რამერუმეებით გაავსეს, არისტიდე კი თავისი გამგებლობით ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ წარმართავდა მასო.[41]

მეტად დიდი გახლდათ არისტიდეს მხრივ თემისტოკლესადმი გამოჩენილი კეთილშობილებაც. სახელმწიფო მოღვაწეობის მთელ მანძილზე განიცდიდა არისტიდე თემისტოკლეს მტრობას და მისი წყალობით განძევებაშიც აღმოჩნდა, მაგრამ როდესაც თემისტოკლეს დაატყდა თავს უბედურება და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაიშაულისათვის პასუხისგებაში მისცეს, ძველი წყენის გახსენების გზას როდი დაადგა. იმ დროს, როცა ალკმეონი, კიმონი და მრავალი სხვა კრიჭაში ჩაუდგნენ და ბრალს სდებდნენ თემისტოკლეს, არისტიდეს არც ჩაუდენია და არც უთქვამს რამე მის საზიანოდ; მას ისევე არ გახარებია მტრის უბედურება, როგორც უწინ არ შეშურებია მისი კეთილდღეობა.

26. ამბობენ, რომ არისტიდე გარდაიცვალა პონტოში, სადაც

სახელმწიფო საქმეთა გამო გაემგზავრაო. ზოგიერთთა გადმოცემით კი, სიბერეს მიღწეულმა და მოქალაქეთა მხრივ პატივისცემითა და დიდი ყურადღებით მოსილმა სიცოცხლე დაასრულა ათენში.[42] მაგრამ აი, რა აქვს ნათქვამი არისტიდეს სიკვდილის თაობაზე კრატერე მაკედონელს:[43] თემისტოკლეს განძევების შემდეგ, ხალხი მეტისმეტად გაამაყდა, მრავლად გაჩნდნენ ცილისმწამებლები, რომლებიც დევნიდნენ ურჩეულესსა და დიდი გავლენის მქონე ვაუკაცებს და შურის საძიებლად ხელთ აძლევდნენ ბედნიერებისა და ძალის წყალობით ქედამაღლებულ ბრბოს. დევნილთა შორის აღმოჩნდა არისტიდეც. დიოფანტე ამფიტროპელმა მას ბრალად დასდო მექრთამეობა: როცა იონიელებისაგან გადასახადს აგროვებდა, მათგან საჩუქრად ფული აიღოო. არისტიდემ ჯარიმად მისჯილი ორმოცდაათი მნა უქონლობის გამო ვერ გადაიხადა, ათენიდან ზღვით გაემგზავრა და სადღაც იონიაში მოკვდა. ამ ამბის დამადასტურებელი არც ერთი წერილობითი მოწმობა კრატერეს არ მოაქვს – არც სასამართლოს განაჩენი და არც სახალხო კრების გადაწყვეტილება. არადა, მსგავს შემთხვევაში, იგი, ჩვეულებისამებრ, დაკვირვებით წერს და გულდასმის უდარებს ერთმანეთს ისტორიკოსთა გადმოცემებს. თითქმის ყველა სხვა მემატიანე, ასე ვთქვათ, დაწვრილებით მოგვითხრობს ბრბოს უსამართლობაზე საკუთარი სარდლების მიმართ – თემისტოკლეს განძევებასა და მილტიადეს საპყრობილეში ჩასმაზე, პერიკლეს ჯარიმით დასჯასა და სამსჯავროში პაქეტეს[44] სიკვდილზე, ვინც განაჩენის მოლოდინში სიტყვათა წარმოსათქმელ შემაღლებულ ადგილზე მოიკლა თავი. ხსენებული მემატიანენი მრავალ ასეთ ამბავს უყრიან თავს ერთად და დაუზარებლად ჰყვებიან. რაც შეეხება არისტიდეს, მხოლოდ მის ოსტრაკისმოსს მოიხსენიებენ, მის გასამართლებასა და დაჯარიმებაზე კი არსად არაფერი აქვთ ნათქვამი.

27. ფალერეში,[45] სხვათა შორის, ახლაც გვიჩვენებენ არისტიდეს საფლავს. ამბობენ, მან დასაფლავებისათვის საჭირო თანხაც კი ვერ დატოვა და ქალაქმა დაკრძალა თავისი ხარჯითო. გადმოგვცემენ აგრეთვე, მისი ქალიშვილებიც საზოგადოებამ დაათხოვაო. ქალაქმა დააქორწინა ისინი თურმე ხაზინის ხარჯით და ყოველ მათგანს მზითვად სამი ათასი დრაქმა დაუნიშნა. მის ვაჟს, ლისიმაქეს, საზოგადოებამ მისცა ასი მნა ვერცხლით და ამდენივე პლეთრონი[46] უკვე დათესილი მიწა. გარდა ამისა, ალკიბიადეს წინადადებით,

მასვე დაუნიშნეს ყოველდღიურად ოთხ ოთხი დრაქმა. კალისთენე ამბობს,[47] ლისიმაქეს ქალიშვილს, პოლიკრიტესაც კი, მამის სიკვდილის შემდეგ, საზოგადოებამ იმ ოდენობის სარჩო დაუნიშნა, რამდენსაც ოლიმპიურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ აძლევდნენო. დემეტრიოს ფალერელი, ჰიერონიმე როდოსელი,[48] არისტოქსენე მუსიკოსი და არისტოტელე (თუ წიგნი „კეთილდღეობისათვის" არისტოტელეს ნამდვილ თხზულებათა რიგს მიეკუთვნება) ამბობენ, არისტიდეს შვილიშვილი მირტო შეეუღლა სოკრატე ბრძენს, რომელსაც ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ მირტოც შეირთო, როცა ეს დაქვრივდა და სიღარიბესა და გაჭირვებაში ჩავარდაო. ამათ საწინააღმდეგო აზრი საკმაოდ მკვეთრად აქვს გამოთქმული პანეტიოსს სოკრატეს შესახებ დაწერილ თხზულებაში. დემეტრიოს ფალერელი წიგნში „სოკრატესათვის" ამბობს, რომ ახსოვს არისტიდეს ქალიშვილის ვაჟი, მეტისმეტად ღარიბი კაცი, ლისიმაქე, ვინც თავს იმით ინახავდა, რომ იაკხოსის ტაძართან იჯდა და რომელიღაც დაფის ნუსხით სიზმრებს ხსნიდა. დემეტრიოსმა თავისი წინადადებით დაიყოლია თურმე საზოგადოება, ლისიმაქეს დედისა და ამისი დისათვის ყოველდღიურად გაეღო თავის შესანახი სამ-სამი ობოლი. როცა დემეტრიოსი კანონმდებელი გახდა, ხსენებულ ქალებს სამი ობოლის ნაცვლად დღეში თითო დრაქმა დაუნიშნა. სრულიადაც არაა გასაკვირი ის, რომ ხალხი ასე ზრუნავდა ათენში მოსახლე არისტიდეს მემკვიდრეებზე. ის კი არადა, როცა შეიტყვეს არისტოგიტონის[49] ქალიშვილის ასული ლემნოსზე გაჭირვებაში იმყოფება და სიღარიბის გამო ვერც თხოვდებაო, ათენელებმა იგი ქალაქში ჩამოიყვანეს, ერთ კეთილშობილ კაცს შერთეს და მზითვად მისცეს მამული პოტამეში. თავისი კაცთმოყვარეობისა და კეთილმოსურნეობის მაგალითს დღესაც მრავლად გვიჩვენებს ათენის ქალაქი და ამით ნამდვილად იწვევს აღტაცებასა და მიბაძვის სურვილს.

კატონი





1. ამბობენ: მარკუს კატონი წარმოშობით ტუსკულუმიდან[1] იყო, ხოლო აღიზარდა და სამხედრო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყებამდე ცხოვრობდა საბინთა მხარეში - მამაპაპეულ ადგილ მამულში.. მისი წინაპრები, ეტყობა, არაფრით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ თვითონ კატონი ხოტბით მოიხსენიებს თავის მამას - მარკუსს, როგორც კეთილშობილსა და მეომარ ვაჟკაცს, პაპამისზე კი, ვისაც ასევე კატონი ერქვა, ამბობს: დამსახურებისათვის მრავალგზის რგებია ჯილდო და გადახდილ ბრძოლებში ხუთი საომარი რაშიც დაუკარგავს ,მაგრამ გამოჩენილი მამაცობისათვის მათი საფასური სახელმწიფოსაგან მიუღიაო.

იმ პიროვნებას, რომელიც წარმომავლობის სახელოვნებას ვერ დაიქადნის და სახელის მოხვეჭას თავისი მოღვაწეობით იწყებს, რომაელები, ჩვეულებისამებრ „ახალ კაცს" ეძახიან. აგრე ეძახდნენ კატონსაც.[2] თვითონ კატონი კი ირწმუნებოდა: „ახალი კაცი" თანამდებობისა და სახელის მიხედვით ვარ, წინაპართა საზემო საქმითა და ზნეობრივი სრულყოფილებით კი უძველეს გვარეულობას ვეკუთვნიო. მესამე სახელით იგი ჯერ მოიხსენიებოდა არა როგორც კატონი, არამედ როგორც პრისკუსი; მერმე კი, გავლენისა და ძალის წყალობით, მეტსახელად კატონი შეერქვა: რომაელები ხომ გამოცდილ კაცს „კატუსს" უწოდებენ.[3] სახით კატონი მწითური და ულალთვალებიანი კაცი გახლდათ. არცთუ კეთილად დაახასიათა იგი აი ამ ეპიგრამის შემთხზველმა:

ბოროტ პორციუსს, მწითურსა და ულალთვალებიანს,
როცა მოკვდება, პერსეფონეც[4] არ შეივრდომებს!

ლაშქრობებში გამოზრდილ კატონს შრომისა და ზომიერი ცხოვრების ნირის წყალობით მოქნილი სხეული ჰქონდა და იმთავითვე ისე გაიკაჟა, რომ ღონიერიცა და ჯანმრთელიც იყო. მჭევრმეტყველებას, ასე ვთქვათ, მეორე სხეულად და, იმ ვაჟკაცისათვის, ვინც დაჩიავებულად და უმაქნისად არ ცხოვრობს, აუცილებელ იარაღად

თვლიდა. იგი მან შეითვისა, დახვეწა და მეზობელ სოფლებსა და ქალაქებში სასამართლოს სხდომებზე შემწეობის ყოველ მთხოვნელს იცავდა. მან ჯერ ბეჯითი ვექილის სახელი დაიმსახურა, მერმე კი მარჯვე რიტორისა.

ამ დროიდან მოყოლებული ყოველი კაცი, ვინც კატონის დახმარებით სარგებლობდა, მეტად და მეტად პოულობდა მის ხასიათში ძალასა და სულიერ სიმტკიცეს დიდ საქმეთა ხელმიმყოფლობისა და სახელმწიფოს გამგებლობისათვის, საქმე როგორც ჩანს, მარტო ის კი არ იყო, სასარჩელო და სადაო გამოსვლებისათვის ქირას რომ არ იღებდა და თავი სუფთად შეინახა, არამედ ის, რომ ამ გამოსვლებით მოპოვებულ სახელს დიდ რამედ არ მიიჩნევდა; იმთავითვე სურდა, კეთილი სახელი და დიდება უფრო მეტად გადახდილი ბრძოლებისა და ლაშქრობებში მონაწილეობის შედეგად მოხვეჭოდა. ამიტომ იყო, რომ მთელი სხეული სიყრმიდანვე დასერილი ჰქონდა მტრებთან პირისპირ შეტაკებებში. თვითონვე ამბობს, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში გაემართა პირველად სალაშქროდ, სწორედ იმ დროს, როცა ბედგაღიმებულმა ჰანიბალმა იტალია გადაბუგა.[5] ბრძოლებში კატონი გამოირჩეოდა ხელის ძლიერი დარტყმით, ფეხის სიმტკიცე-მოუცვლელობით და ანთებული სახით. მუქარითა და შემაძრწუნებელი ყიჟინით მტერს იგი შიშისზარს სცემდა; სამართლიანად ფიქრობდა და სხვებსაც შეაგონებდა: ზარდამცემი ყიჟინა ხშირად მახვილზე მეტად აფრთხობს მტერსო. ლაშქრად სვლის ჟამს მთელი თავისი იარაღი თვითონ მიჰქონდა; უკან მხოლოდ საგზლით დატვირთული ერთი მსახური მიჰყვებოდა. როგორც გადმოგვცემენ, იგი არასდროს არ სდებდა შარს და არ უწყრებოდა ამ მსახურს, როცა იგი საუზმეს ან სადილს აწვდიდა. პირიქით, ბევრ რამეში ეშველებოდა და საომარ საქმეთაგან თავისუფლების ჟამს საჭმელს მასთან ერთად ამზადებდა, ლაშქრად მსვლელობაში მხოლოდ წყალს სვამდა. ოღონდ ეს იყო, ხანდახან, როცა გადახურდებოდა და მეტისმეტად შეაწუხებდა წყურვილი, ძმარს ითხოვდა, ანდა, თუ დაღლილობისაგან ძალა გამოეცლებოდა, ცოტაოდენ ღვინოს გადაჰკრავდა.

2. კატონის მამულის მეზობლად სამგზის ტრიუმფატორის მანიუს კურიუსის სახლ-კარი იდგა. როცა კატონი იქაურობას ჩაუვლიდა და მიწის მცირე ნაკვეთსა და უბრალო სახლს თვალს შეავლებდა, ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, რომ მისი მეზობელი კაცი, რომაელებში დიდზე დიდად გამორჩეული, უმეომარეს ტომთა მძლეველი,

ვინც იტალიიდან პიროსი[6] განდევნა, სამი ტრიუმფის გადახდის შემდეგ მიწის ამ საცოდავ მონაკვეთს საკუთარი ხელით ჩიჩქნიდა და უბრალო სახლში ცხოვრობდა. კატონს მუდამ აგონდებოდა ის ცნობილი ამბავი, რომ ამ ვაჟკაცს ერთხელ სამნიტთა ელჩები ეახლნენ სწორედ იმ დროს, როცა იგი კერასთან იჯდა და თალგამს იხარშავდა. ელჩებმა მას დიდძალი ოქრო შესთავაზეს, მაგრამ მან ისინი ამ სიტყვებით გაისტუმრა: კაცს, რომელიც ასეთი სადილით კმაყოფილია, ოქრო არ სჭირდება; ამ ოქროს მისაკუთრებას მათი პატრონების დამარცხება მირჩევნიაო.

როცა ყველაფერ ამას კატონი გონების თვალით გაზომავდა, მეზობლის სახლ კარს გასცილდებოდა და შემდეგ თავის სადგომს, მამულს, მსახურებსა და საკუთარი ცხოვრების ნირს დააკვირდებოდა, კიდევ უფრო მეტად ეძლეოდა საკუთარი ხელით შრომას და ბედოვლათობასა და ფუფუნებას ფრთებს აკვეცდა.

ჯერ კიდევ სრულიად ყრმა კატონი მონაწილეობდა ფაბიუს მაქსიმუსის სარდლობით გამართულ იმ ლაშქრობაში, როცა ფაბიუსმა ტარენტელების ქალაქი აიღო. კატონი მაშინ ესტუმრა ერთ ერთ პითაგორელს, სახელად ნეარქეს და მისი მოძღვრების შეთვისებას ეცადა. მან მოისმინა მისი მსჯელობა იმ საკითხზე, რომლის გამო პლატონიც მსჯელობდა.[7] სახელდობრ: იგი განცხრომას ახასიათებდა როგორც ბოროტების უდიდეს წყაროს, ხოლო სხეულს თვლიდა პირდაპირ საფრთხედ სულისათვის, რომელიც თავისუფლდება და იწმინდება მხოლოდ გონიერებით და მისი მეშვეობით, რაც შეიძლება, შორს იმიჯნება ხორციელ ვნებათაგან. ამის შემდეგ კატონმა კიდევ უფრო მეტად შეიყვარა უბრალოება და თავშეკავება. სხვა მხრივ ელინურ განათლებას, როგორც გადმოგვცემენ, კატონი გვიან ეზიარა და ბერძნული წიგნები მხოლოდ ასაკში ღრმად შესულმა აიღო ხელთ: მშევრმეტყველება ნაწილობრივ თუკიდიდესაგან, უპირატესად კი დემოსთენეს მიხედვით შეისწავლა. ასე იყო თუ ისე, მისი თხზულებები საკმაოდაა აჭრელებული ელინური დოგმებითა და ისტორიული მაგალითებით, ხოლო მის აპოფთეგმებსა და შეგონებებში ბევრი რამ ასევე ბერძნულიდანაა სიტყვასიტყვით ნათარგმნი და ისე შედგენილი.[8]

3. იმ ხანებში იყო ერთი კაცი, ვალერიუს ფლაკუსი, რომელიც რომაელებში კეთილშობილებითა და ძალა გავლენით გამოირჩეოდა და ძალუძდა, ჩანასახშივე შეეცნო სიქველე, გაეწვრთნა იგი და

სახელოვან გზაზე დაეყენებინა. მისი ადგილ მამული კატონისას ემიჯნებოდა. მან თავის მსახურთაგან შეიტყო მეზობელი კატონის შრომისმოყვარეობისა და ცხოვრების ნირის ამბავი. მეტად გაოცდა, როცა უამბეს, რომ კატონი ყოველდღე დილაადრიან ფორუმზე მიდიოდა და იქ საქმეებში შველოდა მას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებოდა; ხოლო მერე მამულში დაბრუნებული თავის მონებთან ერთად მუშაობდა - ზამთრობით პერანგის ამარა, ზაფხულში კი გაშიშვლებული; რომ მონებთან ერთადვე ჯდებოდა და მათთან საზიარო პურს ჭამდა და მათთანვე საზიარო ღვინოს სვამდა. როცა ვალერიუსს კატონის სხვა მრავალი სიკეთე და თავდაჭერილობაც გააცნეს და მისი ზოგიერთი მოსწრებული გამონათქვამიც გაიხსენეს, ვალერიუსმა მსახურთ უბრძანა, კატონი მასთან სადილზე მიეწვიათ. ამიერიდან ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. რაკი ვალერიუსმა შეიცნო კატონის თავაზიანი და დახვეწილი ხასიათი, რომელსაც მცენარისდარად სჭირდებოდა მოვლა და სათანადო ნიადაგი, დაიყოლია და დაარწმუნა მეზობელი, რომში გადასულიყო და სახელმწიფო საქმეებისათვის მოეკიდა ხელი. კატონმა რომში ჩასვლისთანავე სასამართლოში თავისი გამოსვლებით მრავალი თაყვანისმცემელი და მეგობარი შეიძინა. ვალერიუსმაც დიდი დახმარება გაუწია თავისი პატივისა და გავლენის წყალობით და კატონი ჯერ სამხედრო ტრიბუნად, მერმე კი კვესტორად აირჩიეს. ამიერიდან იგი ისეთი სახელოვანი და ცნობილი კაცი გახდა, რომ თვით ვალერიუსთან ერთადაც კი აღწევდა უმაღლეს თანამდებობებს. ისინი ერთად იყვნენ კონსულებად და მერმე ცენზორებადაც.

უფროს მოქალაქეთაგან კატონი დაუახლოვდა მეტად სახელგანთქმულსა და დიდი გავლენის მქონე კაცს - ფაბიუს მაქსიმუსს, რომლის ცხოვრების ნირიც შესანიშნავ მაგალითად დაისახა. სწორედ ამის გამო, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, კატონი დაუპირისპირდა სციპიონ უფროსს, რომელიც მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ უკვე ეწინააღმდეგებოდა ფაბიუსს, რადგან, ეტყობა, მის სიძულვილს გრძნობდა. როცა კატონი ლიბიაში? კვესტორად გაგზავნეს სციპიონთან და დაინახა, რომ ეს კაცი ომის ვითარებაშიც ჩვეული ხელგაშლილობით იქცეოდა და ჯარისკაცებს უხვად ურიგებდა ფულს, მყისვე ამხილა იგი. საქმე იმდენად დიდი ხარჯებით კი არ ფუჭდება, - ამბობდა კატონი, - რამდენადაც იმით, რომ სციპიონი მამა პაპეულ ზომიერებას რყვნის, როცა ჯარისკაცებს წრესგადასულ განცხრომასა და ფუფუნებას აჩვევსო. სციპიონმა ამაზე

ასე თქვა თურმე: მე არ მჭირდება ეგზომ ზუსტი კვესტორი, როცა უკლებლივ ყოველი ღონით ვეგებები ომს; სახელმწიფოს მე ფულის კი არა, ბრძოლებში მოპოვებულ წარმატებათა ანგარიში უნდა წარვუდგინოო! მაშინ კატონი სიცილიიდან რომში დაბრუნდა და ფაბიუსის მხარდაჭერით სციპიონს სენატში ასეთი ბრალდება წაუყენა: ამ კაცმა უთვალავი თანხა გაფანტა და ამასთან ქარაფშუტა ბიჭივით, დროს პალესტრებსა და თეატრებში ატარებდა, თითქოს სარდლის მოვალეობის შესასრულებლად კი არა, სადღესასწაულოდ ბრძანდებოდა გაგზავნილიო. სენატმა მაშინ სახალხო ტრიბუნთა ჯგუფი მიავლინა სციპიონის რომში ჩამოსაყვანად, თუ ბრალდებები დაუმტკიცდებოდა. სციპიონმა განაცხადა: გამარჯვებისათვის ომს მომზადება სჭირდება; თავისუფალ დროს მე მართლაც ვცდილობდი მეგობრებისათვის მეამებინა, მაგრამ ჩემი ცხოვრებისეული კაცთმოყვარეობით დაკისრებული დიდი საქმე აბუჩად როდი ამიგდიაო. ამის შემდეგ სციპიონი ლიბიაში საომრად ზღვაში გავიდა.

4. სენატში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ კატონის ძალა დიდად გაიზარდა და ბევრნი მას რომაელ დემოსთენეს ეძახდნენ, მისი ცხოვრების ნირი კი კიდევ უფრო მეტად გახდა პატივით მოსილი და საყოველთაოდ ცნობილი. განსაკუთრებით რომაელი ახალგაზრდებისათვის იყო მჭევრმეტყველება მოპოვებული წარმატების ნანატრი ჯილდო. ახლა, როდესაც გაზრდილ-მოღონიერებული სახელმწიფო ძველებურ სიწმინდეს ველარ ინახავდა და მრავალი საქმისა და ხალხის მძლეველმა და გამგებელმა რომმა ბევრი უცხო ზნე და ცხოვრების სულ სხვადასხვანაირი წესი შეითვისა, იშვიათადღა მოიძებნებოდა ისეთი კაცი, როგორიც კატონი იყო. იგი, წინაპრების მსგავსად, განაგრძობდა საკუთარი ხელით შრომას, კმაყოფილი იყო უბრალო სადილით და ცივი საუზმით, იაფფასიანი სამოსით და ღარიბულ სახლკარით; ამასთანავე – ზედმეტი ქონების უსურველობას ბევრად უფრო ღირსეულად თვლიდა, ვიდრე ასეთი ქონების ფლობას. რომაელებს სრული საფუძველი ჰქონდათ, აღტაცებულნი ყოფილიყვნენ კატონით, რამეთუ ხედავდნენ: იმ დროს, როცა ზოგიერთნი შრომას გაეტეხა, ზოგი კი განცხრომისგან იყვნენ განებივრებულნი, კატონისათვის ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერაფერი დაეკლო, არათუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკი და პატივმოყვარე იყო, არამედ მაშინაც კი, როცა ღრმა სიბერეს მიაღწია და კონსულობაცა და ტრიუმფიც უკვე გადაეხადა. იგი ედარებოდა გამარჯვებებს მიჩვეულ ათლეტს, რომელიც სიცოცხლის დასასრულამდე

შეუცვლელად იცავდა წრთობის მტკიცე განაწესს. კატონი თვითონ ამბობს, რომ არასდროს უტარებია ას დენარიუსზე ძვირადღირებული სამოსი, პრეტორობასა და კონსულობაშიც სვამდა ისეთსავე ღვინოს, როგორსაც მისი მსახურნი სვამდნენ, საერთო სადილისათვის საჭირო სურსათში კი ბაზარზე ოცდაათ ასსზე[10] მეტს არ ახარჯვინებდა და ამასაც სახელმწიფოსათვის აკეთებდა, რათა ჯარში სამსახურად ძალ-ღონე შენარჩუნებოდა. ერთხელ, როცა მემკვიდრეობით ბაბილონური ფარდაგი მიიღო, მაშინვე გაყიდა; არც ერთი მისი სადგომი შელესილი არ იყო; არასოდეს არ უყიდია ათასხუთას დენარიუსზე მეტად ღირებული მონა: მე ღონიერი მუშახელი – მეჯინიბეები და მწყემსები მჭირდება და არა გაზულუქებული კოხტაპრუწებიო. მისი აზრით, კარგად მომუშავე მონაც უნდა გაიყიდოს, როცა მოხუცდება, რათა უსარგებლო მჭამელი არ გვყავდეს. საერთოდ ფიქრობდა, რომ ყველაფერი ზედმეტი იაფი არ არის და ის, რაც არ გვჭირდება, თუნდაც ერთ გროშად იყიდებოდეს, ძვირიაო; მიწა კი უმჯობესია სახნავ სათესად და საძოვრად ვარგისი შევიძინოთ, ვიდრე მოსარწყავ დასაგველიო.

5. ყოველივე ამას ზოგიერთი სიძუნწეში უთვლიდა კატონს, ზოგიერთები კი ფიქრობდნენ: იგი საკუთარ თავს იმიტომ უზღუდავს ყველაფერს, რომ სხვები გამოასწოროს და გონს მოიყვანოსო. მაგრამ პირადად მე მეტისმეტად მკაცრი ხასიათის გამოვლინებად მიმაჩნია ის, რომ კატონი საუღლე პირუტყვივით იყენებდა მონებს და მერმე სიბერეში შესულთ თავიდან იშორებდა და ჰყიდდა. ეს ხომ ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობაში სარგებლობის გარდა სხვას არაფერს გულისხმობს! არადა, ვხედავთ, სიკეთეს სამართლიანობაზე ფართო ადგილი უკავია. კანონსა და სამართლიანობას ჩვენ მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობაში ვიყენებთ, ხოლო რაც შეეხება სიკეთესა და მოწყალებას, ისინი თითქოს გულკეთილობის უხვი წყაროდან მოჩქეფენ და უენო ცხოველებსაც ესალბუნებიან. კეთილ ადამიანს შეჰფერის, ხანგრძლივი მუშაობისაგან ქანცგაწყვეტილ ცხენებს საკვები მიაწოდოს და არა მარტო ლეკვებს, დაბერებულ ძაღლებსაც მოუაროს. „ჰეკატომპედონის“ მშენებლობის ჟამს[11] ათენელები იმ ჯორებს, რომლებიც განსაკუთრებული სიბეჯითით მუშაობდნენ, თავისუფლად უშვებდნენ საძოვარზე. ერთი ასეთი ჯორთაგანი თავისით დაუბრუნდა თურმე სამუშაოს და ურემში შებმულ თანამოძმეებთან ერთად კვლავ დაიწყო სვლა აკროპოლისზე; სათავეში ჩამდგარი, ასე ვთქვათ, წინამძღოლობდა და ამხნევებდა თავის ამხ-

ანაგებს. ათენელებმა გადაწყვიტეს, სიკვდილამდე ეძლიათ საკვები ამ ჯორისათვის საზოგადო ხარჯზე. სხვათა შორის, ის ცხენები, რომლებითაც კიმონმა სამგზის გაიმარჯვა ოლიმპიურ ზეიმზე, მათი პატრონის აკლდამის მახლობლად არიან დაფლულნი. ბევრი სხვაც ასევე ეპყრობოდა მეგობრებად ქცეულ ძაღლებს. ცნობილი ამბავია, ძველ დროში ქსანთიპემ ის ძაღლი, რომელიც ათენელების ტრიერს ცურვით მიჰყვა სალამინამდე, როცა მათ ქალაქი დატოვეს, დღემდე „კინოსემად" წოდებულ კონცხზე დაკრძალა.[12] დაუშვებელია ტარებისაგან გაცვეთილი გადასაყრელი წაღებისა და სამოსის მსგავსად ვექცეოდეთ სულდგმულთ: სხვა მიზეზის გამო თუ არა, კაცთმოყვარეობის გამო მაინც უნდა მოვექცეთ მათ ნაზად და ალერსიანად. მე, მაგალითად, არათუ მოხუც ადამიანს, ბებერ ხარსაც კი არ გავყიდდი, არ მოვაცილებდი მის გამომზრდელ მიწასა და ჩვეულ ცხოვრებას და რაღაც გროშების გულისათვის არ ვაქცევდი, ასე ვთქვათ, მამულიდან განძევებულად მაშინ, როცა იგი აღარც მყიდველს სჭირდება და აღარც გამყიდველს. კატონი კი ბალღური კვეხნით ამბობს, რომ ის ცხენი, რომელსაც კონსულობის ჟამს ლაშქრობებში იმსახურებდა, ესპანეთში დატოვა, რათა ზღვით მისი გადმოყვანისათვის ხარჯი სახელმწიფოს არ დასდებოდა. სულგრძელობად მივიჩნიოთ ეს, თუ წუწურაქობად, დაე, ყოველმა თავისი მრწამსით განსაჯოს!

6. სხვაფრივ, მართლაც საოცარი თავშეკავებულობის გამო, დიდი თაყვანისცემის ღირსია კატონი. ჯარის წინამძღოლობის დროს, მაგალითად, თავისთვის და ხელქვეითებისათვის თვეში სამ ატიკურ მედიმნზე მეტ ხორბალს არ ხარჯავდა, ხოლო გამწევი პირუტყვისათვის დღიურად ერთნახევარ მედიმნზე ნაკლები ქერი ჰქონდა გათვალისწინებული. როცა საპრეტორო გამგებლობაში სარდინია მიიღო, სხვადასხვაგვარი და დაუჯერებელი მომჭირნეობა გამოიჩინა. ისინი კი, ვინც მანამდე იყვნენ აქ პრეტორებად, საზოგადო ხარჯზე ქირაობდნენ სადგომებს, ყიდულობდნენ საწოლებსა და შესამოსელს, ინახავდნენ მრავალრიცხოვან მსახურთ და თანამეინახეთა და საჭმელ-სასმელის მოსამზადებლად საჭირო ხარჯებს მძიმე ტვირთად ჰკიდებდნენ მოსახლეობას. კატონს არასოდეს არ გამოუთხოვია ადგილობრივი მოსახლეობისგან ხარჯების ასანაზღაურებლად საჭირო თანხა. იქაურ ქალაქებში იგი ფეხით დადიოდა და უბრალო ურემსაც კი არ იყენებდა. მას თან ახლდა მხოლოდ ერთადერთი იქაური მსახური, ვისაც მისი ტანისამოსი და მსხვერპლშეწირვისთვის საზეადაშეო თასი მიჰქონდა. კატონი ზომიერების მოყვარული

და ხელმომჭირნეც გახლდათ და ამავე დროს მკაცრსა და ღირსეულ მედიდურებასაც იჩენდა. სამართლის განსჯაში კი ისეთი მიუკერძოებელი და ულმობელი იყო და თავისი, ვითარცა წინამძღოლის, ბრძანებათა აღსრულებას ისეთი სიზუსტითა და სისასტიკით მოითხოვდა, რომ რომაელთა ძალაუფლება ხელქვეითებისათვის არასოდეს ყოფილა ესოდენ საშიშიც და ესოდენ გულმოწყალეც.

7. ხსენებული ხასიათისა ჩანს მის მიერ წარმოთქმული სიტყვებიც. კატონს ძალუძდა, ერთდროულად ყოფილიყო კეთილმოწყალეც და მკაცრიც, ალერსიანიც და ზარდამცემიც, ხუმარაცა და უკმეხიც, ენამოსწრებულიცა და მოკამათეც. პლატონის სიტყვით[13], სოკრატეც პირველ შეხვედრაზე გარეგნულად ჭკუამხიარულ და თავხედ კაცად ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში თავისი შინაგანი არსებით იყო უაღრესად საქმიანი აზრებითა და ფიქრებით, თავის მსმენელს ცრემლებს ჰგვრიდა და გულს უფორიაქებდა. ამიტომ, არ ვიცი, რას ეყრდნობიან ისინი, რომლებიც ამბობენ: კატონის სიტყვები ყველაზე მეტად ლისიას[14] სიტყვებს ჰგავსო. დაე, ეს იმათ განსაჯონ, რომელთაც უფრო ძალუძთ რომაული მშევრმეტყველების სახეთა გარჩევა, ჩვენ კი წერილობით დავიმოწმებთ კატონის ზოგიერთ ღირსახსოვარ გამონათქვამს, რადგან ვფიქრობთ, როგორც სხვებიც თვლიან, კაცის ხასიათი სიტყვით უფრო მჟღავნდება, ვიდრე სახით.

8. ერთხელ, როცა რომაელმა ხალხმა უდროო დროს მოინდომა პურის დანაწილ-დარიგება, კატონმა, ხალხს ამ განზრახვაზე ხელი რომ აეღო, თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „მოქალაქენო, ძნელია ელაპარაკო კუჭს, რამეთუ ყურები არ ასხია“.

იგი რომაელებს ბედოვლათობასა და მფლანგველობას აბრალებდა და ამბობდა: ძნელია იმ ქალაქის გადარჩენა, რომელშიაც თევზი ხარზე ძვირად იყიდებაო.

რომაელები მან ერთხელ შეადარა ცხვრებს, რომლებიც ცალ ცალკე დაუმორჩილებელნი არიან, ერთად თავმოყრილნი კი მორჩილად მიჰყვებიან მწყემსებს: „თქვენც ასევე იქცევით; იმ რჩევა დამრიგებლებს, რომელთაც თითოეული თქვენგანი ცალ ცალკე ყურის დაგდების ღირსად არ თვლით, შეერთებულნი ხალისიანად მიენდობით ხოლმე“.

ქალთა ძალაუფლებაზე მსჯელობისას უთქვამს მას: „ყველა ხალხში მამაკაცები მბრძანებლობენ ქალებზე, ყველა ხალხს ჩვენ განვაგებთ, ჩვენზე კი ქალები ბატონობენ“. სხვათა შორის, ეს არის თემისტოკლეს აპოფთეგმებიდან გადმოღებული ერთ ერთი გამონათქვამი.

თემისტოკლეს ვაჟიშვილი დედის მეშვეობით მამამისისაგან ბევრ რასმე მოითხოვდა თურმე. თემისტოკლეს ამის გამო ცოლისთვის უთქვამს: „ქალო, ათენელები ბერძნებზე მბრძანებლობენ, მე - შენზე, შენზე კი - ჩვენი შვილი. უმჯობესია, აღვირი ამოსდოს თავის ძალაუფლებას, თორემ ეგ ბრიყვი ელინთა შორის ყველაზე ძლევამოსილი გამოდის“.

რომაელებიო, - ამბობდა კატონი, - არა მარტო ძოწეულის საღებავებს, არამედ სხვადასხვა ხელობასაც ადებენ ფასსო: „ვითარცა მღებარები იყენებენ შესაღებად იმ ფერს, რომელსაც ყველა ხალისით შესცქერის, ჩვენი ყმაწვილებიც იმას სწავლობენ და იმაში იჩენენ სიბეჯითეს, რის წყალობითაც ქებას გამოგვტყუებენ“.

კატონი რომაელებს შეაგონებდა: „თუ დიდებას კეთილმოსილებითა და გონიერებით მიაღწიეთ, ნუ გახდებით უარესნი, მაგრამ - თუ თავშეუკავებლობითა და მანკიერებით, მაშინ ეცადეთ უკეთესებად იქცეთ; იკმარეთ ის, რომ ამ არასახარბიელო გზით უკვე აღმაღლდით“.

იმათ თაობაზე, რომელნიც ხშირად ესწრაფვიან თანამდებობებს, კატონი ამბობდა: „ამათ, ეტყობა, გზა არ უწყიან და იმის შიშით, არ დავიბნეთო, ცდილობენ ლიქტორთა თანხლებით იარონ.“ კატონი კიცხავდა თანამოქალაქეთ იმის გამო, რომ ისინი თანამდებობებზე ხშირად ერთსა და იმავე პირებს ირჩევდნენ: „თქვენი აზრით, ეს თანამდებობები ალბათ ან ვერაფერი დიდი ღირსებაა, ან არცთუ ბევრი ვინმეა მათი ღირსი“.

ერთი მისი მტერთაგანი ურცხვსა და უგვანო ცხოვრებას ეწეოდა, კატონმა შენიშნა: „თუ ვინმე ამის დედაზე იტყვის, შვილს ტოვებს ქვეყანაზეო, ეს მისთვის წყევლა იქნება და არა ნუგეში“.

ერთხელ კატონმა მაგალითად დაასახელა კაცი, ვინც მამაპაპეული ზღვისპირა მამული გაყიდა და მოჩვენებით გაკვირვებით შენიშნა: „ეს კაცი ზღვაზე ძლიერი ყოფილა! რასაც ზღვა ძლივძლივობით ლოკავდა ტალღათა შეხებით, ამან სულ ადვილად შთანთქა“.

როცა მეფე ევმენე[15] რომში ჩამოვიდა, სენატმა იგი გულითადად მიიღო თავკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ მის პატივისცემაში. კატონი კი სრულიად აშკარად ეჭვსა და უნდობლობას ამჟღავნებდა სტუმრის მიმართ. ვიღაცამ უთხრა: „ეს კარგი და რომაელთა მოყვარული კაციაო“. კატონმა უპასუხა: „შესაძლოა ასეთიც იყოს, მაგრამ თავისი ბუნებით მეფე ხორცისმჭამელი ცხოველია, ნეტარხსენებულ მეფეთაგან არც ერთი არაა ღირსი, ეპამინონდას, პერ-

იკლეს ან თემისტოკლეს, მანიუს კურიუსის ანდა ბარკად ხმობილი ჰამილკარის გვერდით დავაყენოთ!“

იგი ხშირად ამბობდა: მტრებს ვეზიზღები იმის გამო, რომ უთენია ვდგები და, საკუთარ საქმეთა ნაცვლად, საზოგადო საქმიანობას ვკიდებ ხელს. მიჯობს, სიკეთის ქმნისთვის მადლი არ გადამიხადონ, ვიდრე დაუსჯელი დავრჩე ავის ჩადენისათვის. შეცდომას, საკუთარი თავის გარდა, ყოველ კაცს შევუნდობო.

9. ერთხელ რომაელებმა ბითვინიაში გასაგზავნად სამი ელჩი აირჩიეს. ამათგან ერთი ნიკრისის ქარით იყო შეპყრობილი და ძლივს დადიოდა, მეორეს თავზე ღრმა ჭრილობის კვალი აჩნდა, მესამე ბრიყვ კაცად იყო ცნობილი. კატონმა იხუმრა: რომაელები გზავნიან ელჩობას, რომელსაც არც ფეხი აქვს, არც თავი და არც სული და გულიო.

პოლიბიოსის თხოვნით, სციპიონმა სენატში აღძრა შუამდგომლობა აქეელ ლტოლვილთა თაობაზე.[16] ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ნაწილი დათანხმდა, მიეცათ მათთვის შინ დაბრუნების უფლება, ნაწილი კი უარზე დადგა. მაშინ კატონი წამოდგა ფეხზე და განაცხადა: „ასე გამოდის, თითქოს საქმე არა გვაქვს; მთელი დღე ვსხედვართ და ვმსჯელობთ, ვინ დაკრძალოს ეს ბებერი ბერძნები – ჩვენებურმა თუ აქეელმა მესაფლავეებმა!“ როცა დაადგინეს, ლტოლვილთ დაბრუნების უფლება მისცემოდათ, რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიბიოსმა და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს სენატისათვის კვლავ მიემართათ თხოვნით, რათა ლტოლვილებს დაჰბრუნებოდათ ის პატივ ღირსებანი, რაც თავის დროზე აქეაში ჰქონდათ. წინასწარ სცადეს კატონის აზრი გაეგოთ. კატონმა ღიმილით უპასუხა: პოლიბიოსი ისე იქცევა, თითქოს ოდისევსი ბრძანდებოდეს, რომელმაც მოინდომა კიკლოპის მღვიმეში დაბრუნება, სადაც ქუდი და ქამარი დარჩაო.

კატონი ამბობდა: ჭკვიან ადამიანებს მეტი სარგებლობა აქვთ ბრიყვებისაგან, ვიდრე ბრიყვებს ჭკვიანთაგან, რამეთუ ჭკვიანი ცდილობს, არ გაიმეოროს ბრიყვის შეცდომები, ბრიყვი კი ჭკვიანის კეთილ ქცევებს არ ჰბაძავსო.

ჭაბუკთა შორისო, – უთქვამს კატონს, – ისინი უფრო მომწონს, რომლებიც წითლდებიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ფერს ჰკარგავენო; მე არ მჭირდება ჯარისკაცი, ვინც ლაშქრობის ჟამს ხელებს ამოძრავებს, ბრძოლაში კი ფეხებსო; არც ისეთი – ვინც უფრო მეტად ხვრინავს, ვიდრე ბრძოლის ყიჟინას სცემსო. ერთხელაც მეტისმეტად.

გადასუქებულ კაცს კიცხავდა და ასე უთქვამს თურმე: „აბა, რა უნდა არგოს სახელმწიფოს სხეულმა, რომელიც თავიდან ბოლომდე ფაშვად ქცეულა?“

ერთმა პირის გემოს მოყვარულმა კატონს სთხოვა: დავმეგობრდეთო; კატონმა უპასუხა: მე არ ძალმიძს იმ კაცთან ერთად გავატარო ცხოვრება, ვისაც გულზე უფრო მგრძნობიარე ხახა აქვსო.

შეყვარებული კაცის სული სხვის სხეულში ბინადრობსო, - ამბობდა კატონი.

მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სამი საქციელის ჩადენის გამო ნანობდა თურმე: ერთი ის იყო, რომ ცოლს საიდუმლოება გაანდო, მეორე ის, რომ ზღვით გაემგზავრა იქ, სადაც შეეძლო ფეხით წასულიყო და მესამე ის, რომ ანდერძის შედგენა ერთი დღით დააყოვნა.

ერთ გარყვნილ მოხუცს უთხრა: „კაცს სიბერეში ისედაც ბევრი სამარცხვინო რამ სჭირს, რაღაზე უმატებ მათ კიდევ ერთ სირცხვილს?“

ერთმა სახალხო ტრიბუნმა, ვისზედაც ავი ხმა დადიოდა, საწამლავს ამზადებსო, უვარგისი კანონი წამოაყენა და დაჟინებით მოითხოვდა მის გატარებას. კატონმა მას უთხრა: „ყმაწვილო, არ ვიცი, რაა უარესი - შენი შხამისა თუ შენი კანონის მიღება?“

ერთ ურცხვსა და უვარგის მოქალაქეს, რომელმაც ლანძღვა დაუწყო, კატონმა შენიშნა: „შენთან ბრძოლა არ ძალმიძს, რამეთუ ლანძღვა გინებას ადვილად ისმენ და თვითონაც თავქარიანად ილანძღები; მე კი არც ვინმეს გალანძღვა მგვრის სიამეს და არც მის მოსმენას ვარ ჩვეული“.

აი, ამგვარი გახლავთ კატონის ღირსსახსოვარ გამონათქვამთა ხასიათი.

10. როცა კატონი თავის ახლო მეგობარ ვალერიუს ფლაკუსთან ერთად კონსულად აირჩიეს, წილად ერგო საგამგებლო მხარე, რომელსაც რომაელები შიდა ესპანეთს ეძახიან. აქ იგი მკვიდრ ტომებს იმორჩილებდა, ზოგს - ძალით, ზოგს - შეგონებით. სწორედ ამ დროს მას თავს დაესხა ბარბაროსთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და სამარცხვინო დამარცხების საფრთხის წინაშე დააყენა. კატონმა დასახმარებლად ახლოს მოსახლე კელტიბერებს უხმო. ამათ დახმარების საზღაურად ორასი ტალანტი მოსთხოვეს. თითქმის ყველამ მიუღებელ საქმედ ჩათვალა, რომაელები შემწეობისათვის ბარბაროსებს ქირას შეჰპირებოდნენ; კატონმა კი განაცხადა: ამაში საშინელი

არაფერია; თუ გავიმარჯვებთ, გადავიხდით მტრის სახსრებით და არა ჩვენით; თუ დავმარცხდით, არც მომთხოვნი იქნება ვინმე და არც გადამხდელიო. მაშინ გამართულ ბრძოლაში კატონმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და მერმეც ბრწყინვალე წარმატებებს აღწევდა. პოლიბიოსი ამბობს, კატონის ბრძანებით ერთ დღეში დაანგრიეს მდინარე ბეტიოსის აქეთ მდებარე ყველა ქალაქის კედლები, ასეთი ქალაქი კი ბევრი იყო და თანაც, მეომარი მოსახლეობით სავსე.[17] თვითონ კატონიც ამბობს: ესპანეთში იმდენი დღე არ გამიტარებია, რამდენი ქალაქიც ავიღეო. ეს ტარაბახი არ უნდა იყოს, თუკი მართალია ის, რომ აღებული ქალაქების რიცხვი ოთხასამდე აღწევდა.

თავის ჯარისკაცებს, რომლებმაც ისედაც საკმაოდ ისარგებლეს ლაშქრობის ჟამს, კატონმა დამატებით დაურიგა თითო წონა ვერცხლი: უმჯობესია, მრავალი რომაელი დაბრუნდეს შინ ვერცხლით, ვიდრე რამდენიმე კაცი ოქროთიო. თვითონ კატონს, როგორც ამბობს, არაფერი რგებია ნადავლიდან: გარდა იმისა, რაც დავლიე და შევჭამეო. „მე, – ამბობს იგი, – არ ვუსაყვედურებ იმათ, რომლებიც ბრძოლებში სარგებელს ეძებენ, მაგრამ ბევრად მიჯობს, ქველ ვაჟკაცებს სიქველეში გავეჯიბროთ, ვიდრე მდიდრებს ფულის შეძენაში ანდა ხარბებს სიხარბეში“. კატონმა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ახლობლებიც განარიდა ყოველგვარ ძარცვა გლეჯას. ერთმა მათგანმა, სახელად პაკიუსმა, სამი ტყვე ბიჭი იყიდა თურმე. როცა კატონმა ეს გაიგო, პაკიუსმა მასთან შეხვედრას დაასწრო და თავი ჩამოიხრჩო. კატონმა ის ბიჭები გაყიდა და აღებული თანხა საზოგადო ხაზინაში შეიტანა.

11. კატონი ჯერ კიდევ ესპანეთში ეწეოდა სამსახურს, როცა მისმა მტერმა სციპიონ უფროსმა მისი წარმატებებისათვის ხელის შეშლა და ესპანეთის საქმეების დაუფლება მოინდომა. მან კიდევაც მიაღწია იმას, რომ ამ მხარის გამგებლად დაენიშნათ და კატონი შეეცვალა. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლე ხანში დაედო საზღვარი კატონის ძალაუფლებისათვის. კატონმა ამასობაში მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცების კოჰორტითა და ხუთასი მხედრით, რომლებიც მას აცილებდნენ, ლაკეტანების ტომი[18] დაიმორჩილა; მერმე ექვსასამდე მტრის მხარეზე გადასული მეომარი შეიპყრო და სიკვდილს მიაცემინა. როცა ამის გამო სციპიონმა საყვედურებით აავსო, დაცინვით შენიშნა: რომი იმ შემთხვევაში იქნება უძლიერესი ქვეყანა, თუ სახელოვანი და დიდებული ვაჟკაცები ქველობაში პირველობას უმნიშვნელო პირებს არ დაუთმობენ, ხოლო ჩემისთანა

მდაბიონი გვარიშვილობითა და სახელოვნებით გამორჩეულებს ამ პირველობისთვის მეტოქეობას გაუწევენო. რაკი სენატმა დაადგინა, კატონისეული არც ერთი განაწესი არ შეეცვალათ და არ გაეუქმებინათ, სციპიონის გამგებლობას უფრო მეტად მოაკლდა სახელი, ვიდრე კატონისას, ვინაიდან უქნარობაში ჩაიარა ფუჭად. ტრიუმფგადახდილი კატონი როდი ჰგავდა სხვებს, რომლებიც სიქველეს კი არა, სახელს ესწრაფვიან, და როცა უმაღლეს პატივ დიდებას მიაღწევენ, კონსულობას მიიღებენ და ტრიუმფებს გადაიხდიან, საზოგადო საქმეს განუდგებიან და მთელ დარჩენილ ცხოვრებას სიამესა და უქმობაში ატარებენ. კატონს სიქველისაკენ მისწრაფება სრულიადაც არ შეუწყვეტია. იმათ მსგავსად, ვინც პირველად შეუდგებიან ხოლმე სახელმწიფო მოღვაწეობას და პატივისა და სახელის მოპოვების წყურვილი აქვთ, კატონმაც, ასე ვთქვათ, კვლავ თავიდან მოჰკიდა ხელი საგამგებლო საქმეს, მეგობართა და მოქალაქეთა შორის თამამად ჩადგა და არც სასამართლოში გამოსვლებზე და არც მხედრულ სამსახურზე ხელი არ აუღია.

12. ჯერ იყო და კონსულ ტიბერიუს სემპრონიუსთან ლეგატად იყო და თრაკიასა და ისტროსთან მდებარე მხარეთა გამგებლობაში ეშველებოდა, მერე კი მანიუს აცილიუსს ახლდა საბერძნეთში ანტიოქე დიდის[19] წინააღმდეგ ლაშქრობაში. ჰანიბალის შემდეგ რომაელებს ანტიოქეზე საშიში მტერი არ ჰყოლიათ. იგი დაეუფლა თითქმის მთელ აზიას, რომელიც მანამდე სელევკე ნიკატორს ეკავა, დაიმორჩილა ბარბაროსთა მრავალი მეომარი ტომი და მერე გადაწყვიტა, თავს დასხმოდა რომაელებს, როგორც ერთადერთ ღირსეულ მოწინააღმდეგეებს. მათთან ომის კეთილსახიერ საბაბად ბერძნების გათავისუფლება წამოაყენა. ბერძნებს კი ეს არ სჭირდებოდათ. მათ სულ ახლახან მიიღეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა სწორედ რომაელთა წყალობით, რომლებმაც ისინი ფილიპე მაკედონელისაგან დაიხსნეს. ანტიოქე დიდი ძალებით შემოიჭრა ქვეყანაში. საბერძნეთი, რომელსაც იქაური ავკაცები მეფის დახმარების იმედებით აცდუნებდნენ, შფოთმა და არეულობამ შეიპყრო. მანიუსმა ქალაქებში ლეგატები გაგზავნა. იქ, სადაც ყველაზე მეტ ამბოხებას ჰქონდა ადგილი, ყველაფერი დააწყნარა და ჩააქრო ტიტუს ფლამინინუსმა, რაც მის ცხოვრებაში გვაქვს აღწერილი.[20] კატონმა, თავის მხრივ, რომაელთა მხარეზე გადაიბირა ქალაქები – კორინთო, პატრები და ეგიები. დროის უმეტესი ნაწილი კი ათენში გაატარა. ვიღაც იმასაც ამბობს, თითქოს შემონახულია სახალხო კრებაზე მისი ბერძნულად

წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც გადმოცემულია აღფრთოვანება ძველ ათენელთა ქველობის გამო და ის კმაყოფილება, რაც მშვენიერი და დიდი ქალაქის ხილვამ გამოიწვიაო. ეს მართალი არ არის: მიუხედავად იმისა, ბერძნულად ლაპარაკი ძალუძდა, ათენელებს კატონი თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრებოდა და ამითაც მამაპაპეული წესის ერთგული რჩებოდა. იგი დასცინოდა ყველას, ვისაც ელინური ყველაფერი მოსწონდა. პოსტუმიუს ალბინუსს, ვინც თავისი „ისტორია" ბერძნულად დაწერა და ამის გამო შენდობა ითხოვა, კატონმა მწარედ დასცინა: სწორედაც ეკუთვნოდა, შენდობა ეთხოვა, რაკი ამფიკტიონიის[21] თავკაცთა გადაწყვეტილებით, იძულებული იყო, ასეთი შრომისთვის მოეკიდა ხელიო. კატონი ამბობს, რომ ათენელებს აღტაცებას ჰგვრიდა მისი სიტყვის სისხარტე და მოსწრებულობა: რასაც მოკლედ ვიტყოდი, თარჯიმანი ხანგრძლივი მრავალსიტყვაობით განუმარტავდა ბერძნებსო. ჩემი ფიქრით, – ამბობს კატონი, – ბერძნები ბაგეებით წარმოთქვამენ სიტყვას, რომაელები კი სულითა და გულითო.

13. ანტიოქემ თავისი ბანაკით თერმოპილის ვიწრობები დაიკავა, ბუნებრივადაც გამაგრებულ ადგილებს თხრილები და კედლები დაუმატა და, იმის იმედით, აქ ბრძოლას ვერავინ გამიმართავსო, მშვიდად მოკალათდა. რომაელებმა მტერთან პირისპირ შეტაკებაზე მართლაც უარი თქვეს. მაშინ კატონმა გარშემოვლის სპარსული ფანდი გაიხსენა და ჯარის ერთი ნაწილით მტრისკენ გაემართა. როცა დაკიდებულ აღმართზე ასვლა დაიწყეს, ტყვე გამყოლს გზა დაებნა, გაუვალ და ციცაბო ადგილებში გაეხლართა და ჯარისკაცები სასოწარკვეთილებისა და შიშის წინაშე დააყენა. რაკი ასეთი საფრთხე დაინახა, კატონმა ჯარს უბრძანა, ფეხმოუცვლელად შეჩერებულიყო, თვითონ კი თან გაიყოლა მთებზე სიარულში მეტად გამოცდილი ვინმე ლუკიუს მალიუსი და მოუღლელად და თავდაუზოგავად შეუდგა გზის გაგნებას უმთვარო და ყრუ ღამეში. გაბარდული ველური ზეთისხილის ტყისა და ციცაბო კლდეების მიღმა არაფერი ჩანდა. ბოლოს ერთ ბილიკს მიადგნენ და, რაკი იფიქრეს, იგი მტრის ბანაკამდე ჩადიოდა, კალიდრომონის[22] ყოველმხრივ ხილვად მწვერვალებზე გამოსაცნობი ნიშნები დადგეს. მერმე უკან დაბრუნდნენ, მთელი ჯარი ამ ნიშნებისაკენ წამოიყვანეს, ხსენებულ ბილიკს დაადგნენ და ქვემოთ ჩასვლა დაიწყეს, მაგრამ სულ მალე ბილიკი ზედ ფლატესთან შეწყდა. ჯარი კვლავ დაბნეულობამ და შიშმა შეიპყრო: ვერ მიხვდნენ და ვერც დაინახეს, რა ახლოს იყვნენ მტერთან. მალე

დღემ გამოანათა, რაღაც ხმებიც შემოესმათ და ბერძენთა ბანაკიც და კლდეზე მის წინ მდებარე სათვალთვალოც დაინახეს. კატონმა ჯარი აქ შეაჩერა და ბრძანა, მასთან მხოლოდ და მხოლოდ ფირმუმელები[23] მისულიყვნენ, რომელთაც მუდამ სანდო და მამაც მეომრებად თვლიდა. როცა ამათ მიირბინეს და მის ირგვლივ დაჯარდნენ, კატონმა თქვა: „მტრის ერთი მეომრის შეპყრობა მჭირდება, რათა მისგან შევიტყო: ვინ არიან სათვალთვალო ადგილზე დაყენებულნი, რამდენნი არიან, როგორია საერთო ჯარის შედგენილობა და როგორაა მომზადებული ჩვენ დასახვედრად. მთელი საქმე ახლა სწრაფ თავდასხმასა და მამაცობაზეა დამოკიდებული. უიარაღო ლომები სწორედ სისწრაფისა და შემართების წყალობით გაბედულად ესხმიან თავს მხდალ ცხოველებს!“ როგორც კი თქვა კატონმა ეს, ფირმუმელები დაუყოვნებლივ კისრისტეხით დაეშვნენ მთის ფერდობზე, მოულოდნელად დაესხნენ თავს სათვალთვალოს მზირებს, დააფრთხეს და მიმოფანტეს ყველა, გარდა ერთისა, რომელიც თავისი იარაღით გაიტაცეს და კატონს ჩააბარეს. ტყვემ აუწყა: მთავარი ძალები და მათთან ერთად მეფეც ვიწროებში არიან ჩამსხდარნი, ხოლო ამ ქედს ექვსასამდე დარჩეული ეტოლიელი მეომარი იცავსო. კატონმა ასეთი მცირერიცხოვანება და უდარდელობა ზიზღისა და აბუჩად აგდების ღირსად ჩათვალა. მახვილი ყველაზე უადრეს იშიშვლა და ბუკის ცემითა და ყიჟინით რომაელები მტრისკენ წარმართა. როგორც კი დაინახეს ციცაბო ფერდობებიდან იერიშზე წამოსული რომაელები, ეტოლიელი მზირები მყისვე დიდი ბანაკისაკენ გაიქცნენ და იქაურობა შფოთითა და განგაშით აავსეს.

14. ამასობაში მტრის სიმაგრეებზე იერიშის მისატანად მანიუსიც დაეშვა ქვემოთ და მთელი თავისი ძალები ვიწროებისაკენ გადაისროლა. ანტიოქეს სახეში ქვა მოარტყეს და კბილები ჩაუმსხვრიეს. ტკივილისაგან გამწარებულმა მეფემ ცხენი უკუსაქცევად შეაბრუნა. მისი ჯარის არც ერთი ნაწილი არ გამკლავებია რომაელთ; მიუხედავად იმისა, უგზოობის და უკვალობის გამო, გაქცევის არავითარი საშუალება არ იყო და ღრმა ჭაობებსა და კლდეთა ნაპრალებში ჩავარდნა ელოდათ, ვიწროებზე გავლით ყველანი ერთბაშად იქაურობას მიაწყდნენ და მტრის მახვილით სიკვდილს ერთმანეთის ამოხოცვა ამჯობინეს. კატონი, ჩანს, ის კაცი იყო, რომელიც საკუთარი თავის ქებისაგან უკან არასდროს იხევდა და აშკარა კვეხნასაც არ გაურბოდა, რამეთუ მას დიად საქმეთა თანამგზავრად თვლიდა. იმდღევანდელ წარმატებას კატონი მეტისმეტად ბერავს

და აზვიადებს. იგი ამბობს: ვინც უცქერდა, როგორ ვერეკებოდი და ვურტყამდი მტერს, ალბათ ფიქრობდა – კატონი იმდენად არაა დავალებული ხალხის წინაშე, რამდენადაც ხალხი კატონის წინაშეო. თვით კონსული მანიუსიც, გამარჯვებით გულანთებული, გადამეხვია მეც მასავით აღგზნებულს, დიდხანს მკოცნიდა და სიხარულით აღტაცებული გაჰყვიროდა: ვერც მე და ვერც მთელი ხალხი ვერ გადაიხდის კატონის მადლიანი საქმის საზღაურსო.

ბრძოლის შემდეგ კატონი თვითონვე დაუყოვნებლივ გაემგზავრა რომს გამარჯვების საუწყებლად. იგი მშვიდობით გადავიდა ბრუნდუზიუმში, აქედან ერთ დღეში ტარენტს მიაღწია და კიდევ ზღვით მგზავრობის მეხუთე დღეს რომში ჩავიდა. აქ მან პირველმა გამოაცხადა გამარჯვების ამბავი და ქალაქი ლხინითა და გუნდრუკის კმევის სურნელებით აავსო, ხალხის გულში კი იმის ღრმა რწმენით, რომ რომაელებს ძალუძთ მთელი ქვეყნის ზღვა და ხმელის დამორჩილება.

15. აი, ასეთია უმნიშვნელოვანესი წარმატებები კატონის სამხედრო საქმიანობაში. რაც შეეხება პოლიტიკურ მოღვაწეობას, კატონი, ეტყობა, მის ყველაზე ღირსეულ ნაწილად მიიჩნევდა დამნაშავეთა სასამართლოში მიცემასა და მათ მხილებას. თვითონ მრავალი პირი მიუცია პასუხისგებაში, სხვა ბრალმდებლებსაც დახმარებია და არაერთი წაუქეზებია, ბრალმდებლად გამოსულიყვნენ. ამათთაგანი იყო, მაგალითად, სციპიონის ბრალმდებელი პეტილიუსი.[24] კატონმა, მართალია, ვერ შეძლო გაენადგურებინა სციპიონი, რომელმაც გვარიშვილობისა და ჭეშმარიტი დიდსულოვნების წყალობით ცილისწამება ფეხით გათელა, მაგრამ მისი ძმა, ლუციუსი სხვა ბრალმდებელთა შემწეობით სასჯელს მიაცემინა: იგი დაჯარიმდა დიდი თანხით ხაზინის სასარგებლოდ. ლუციუსს უქონლობის გამო ჯარიმის გადახდა არ შეეძლო და შეპყრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იგი ძლივძლივობით იხსნა სახალხო ტრიბუნებისადმი მიმართვამ. გადმოგვცემენ, რომ კატონი ერთხელ ფორუმზე შეხვედრია სასამართლოდან მომავალ ყმაწვილ კაცს, რომელსაც მიცვალებული მამის მტრისათვის პატივი აუყრია. კატონს ამ ყმაწვილისათვის ხელი ჩამოურთმევია და უთქვამს: სწორედ რომ საჭიროა, გარდაცვლილ მშობლებს მსხვერპლად შევწიროთ არა ბატკნები და თიკნები, არამედ სამართლით დასჯილი მათი მტრების ცრემლებიო.

მიუხედავად იმისა, რაც ითქვა, სახელმწიფო მოღვაწეობის ჟამს კატონი თვითონაც ვერ გადაურჩა მსგავს ბრალდებათ და მოსალოდნელ საფრთხეს; მტრები გამუდმებით აბრალებდნენ რაღაცას.

ამბობენ, თითქოს ორმოცდაათგზის იქმნა სამართალში მიცემული და ამათგან ბოლოს მაშინ, როცა ოთხმოცდამეექვსე წელში იყო გადამდგარიო. სწორედ იმ დროს წარმოუთქვამს ღირსსახსოვარი სიტყვა: ძნელი საქმეა თავი იმართლო სხვა ხალხთან, როცა ცხოვრება სხვებთან ერთად გაქვს გატარებულიო.

ხსენებულ ასაკშიც არ შეუნელებია დავა და კამათი მტრებთან. ოთხი წლის შემდეგ, ოთხმოცდაათ წელს მიღწეულმა, ბრალდებით გაილაშქრა სერვიუს გალბას წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ კატონი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით ნესტორივით სამი თაობის მომსწრე იყო.[25] და მართლაც, როგორც ითქვა: კატონი სციპიონ უფროსს ედავებოდა სახელმწიფო საქმეებში და მოესწრო სციპიონ უმცროსს, რომელიც პირველს შვილიშვილად ეკუთვნოდა, ხოლო იყო ძე პავლესი, ვინც პერსევს მაკედონელი დაამარცხა.

16. თავისი კონსულობის ათი წლის შემდეგ კატონმა ცენზორის თანამდებობის ჭიღება მოიწადინა. ეს არის ყველა საპატიო თანამდებობის მწვერვალი და, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ყველაზე სანატრელის აღსრულება. სხვა მრავალ უფლებასთან ერთად, ცენზორს უფლება აქვს მიხედოს მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მათ ზნეობას. რომაელები ფიქრობდნენ, რომ არც ერთი მოქალაქის ქორწინება თუ ბავშვების გაჩენა, არც ერთი ნირი ცხოვრებისა თუ ლხინის გადახდა არ უნდა დარჩეს განსჯისა და ყურადღების გარეშე მაშინ, როცა ყველას ძალუძს, საკუთარი სურვილისა და არჩევანის მიხედვით იქცეოდეს. რომაელთა აზრით, ყველაზე უკეთ სწორედ ამ შემთხვევაში ჩანს ადამიანის ხასიათი, ვიდრე საოჯაოო და საზოგადო საქმეებში. განცხრომის წყალობით არავინ რომ არ დადგომოდა ცდუნების გზას და არ გადაელახა დადგენილი წესები და ცხოვრების დამკვიდრებული ზნე ჩვეულებები, რომაელები ირჩევდნენ ორ ზედამხედველს - შემგონებელსა და დამსჯელს - ერთს პატრიციებისაგან და მეორეს პლებეებისაგან. აი სწორედ ამათ ეძახდნენ ცენზორებს. მათ უფლება ჰქონდათ, მხედრისთვის ჩამოერთმიათ ცხენი, ანდა გაეძევებინათ სენატიდან ის, ვინც თავდაუჭერელად და უწესოდ ცხოვრობდა. ისინი აფასებდნენ აგრეთვე მოქალაქეთა ქონებას და საცენზორო ნუსხებში ადგენდნენ მოქალაქის ამა თუ იმ გვარისა და წოდებისადმი მიკუთვნებას. გარდა ამისა, ცენზორის თანამდებობა ბევრ სხვა უფლებასაც ითვალისწინებს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ კატონის არჩევას ცენზორის თანამდებობაზე

წინ აღუდგა თითქმის ყველა გამოჩენილი და უპირველესი სენატორი. საერთოდ, პატრიციუსებს მოსვენებას არ აძლევდა შური, როცა დაბალი წარმომავლობის პიროვნებანი უმაღლეს პატივსა და ძალას აღწევდნენ, თანაც კეთილშობილების შეურაცხყოფად თვლიდნენ. თავის მხრივ ისინიც, ვინც ავ საქმეს სჩადიოდნენ და მამაპაპეულ წესებსა და ადათებს არღვევდნენ, შიშობდნენ, თავს არ დასტეხოდათ კატონის ულმობელი და აუტანელი სიმკაცრე, თუ ძალაუფლებას მიიღებდა. ამიტომ წინასწარ პირი შეკრეს და თანამდებობის დასაკავებლად კატონს დაუპირისპირეს შვიდი მეტოქე, რომლებიც თითქოსდა ლმობიერი და მოწყალე გამგებლობის მოწადინე ხალხს კეთილი იმედებით ხიბლავდნენ. კატონი, პირიქით, არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა, საორატორო ტრიბუნიდან დაუფარავად ემუქრუბოდა ავისმქმნელებს და დაძაბული ხმით ყვიროდა: ქალაქს გაწმენდა სჭირდებაო. ამასთან ხალხს წინადადებას აძლევდა: თუ სრულ ჭკუაზე ხართ, ყველაზე ალერსიანი კი არა, ყველაზე მკაცრი მკურნალები, სახელდობრ – მე და პატრიციუსთაგან ვალერიუს ფლაკუსი აგვირჩიეთო. კატონი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ვალერიუს ფლაკუსთან ერთად საიმედოდ მოკვეთდა თავებს, ვით ჰიდრას,[26] და ამოშანთავდა განცხრომასა და ფუფუნებას. კატონი ხედავდა, რომ ყოველი სხვა უწესო გზით ცდილობდა თანამდებობის მიღებას, რადგან ეშინოდა მისი წესიერად მოპოვების მაძიებლებისა.

და აი, მაშინ რომის მოსახლეობამ თავი გამოიჩინა როგორც ჭეშმარიტად დიადმა და თავისი დიდებული წინამძღოლების ღირსმა ხალხმა. იგი არ შეუშინდა კატონის გოროზ ხასიათსა და ქედმაღლობას, უკუაგდო პირმოთნე და მლიქვნელური ხერხებით მოქმედი მაძიებლები და ცენზორებად კატონი და ვალერიუს ფლაკუსი აირჩია. ისე ჩანდა, თითქოს კატონი თანამდებობას კი არ მოითხოვდა, არამედ უკვე იყო ამ თანამდებობაზე და ხალხიც მის ყოველ ბრძანებას ემორჩილებოდა.

17. სენატში კატონმა ყველაზე უწინარეს თანამოსაგრე და მეგობარი ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი შეიყვანა, ბევრი სხვა კი მისი შემადგენლობიდან გააძევა; მათ შორის ლუციუს კვინტუსი, რომელიც შვიდი წლის წინ კონსულად იყო და ამ თანამდებობაზე სახელი გაითქვა უფრო მეტად იმით, რომ ფილიპე მეფის მძლეველის – ტიტუს ფლალმინინუსის ძმა გახლდათ. მიზეზი გაძევებისა ასეთი იყო: ლუციუსს სატრფოდ ჰყავდა აყვანილი ერთი სრულიად ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც არასოდეს გვერდიდან არ იცილებდა და ლაშქრო-

ბათა დროსაც კი თან იახლებდა ხოლმე. ეს ბიჭი ისეთ პატივში იმ-ყოფებოდა და ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდა, რომ ამაში მას ლუ-ციუსის ვერც ერთი უახლოესი მეგობარი და ნათესავი ტოლს ვერ დაუდებდა. ნაკონსულარმა ლუციუსმა საგამგებლოდ მიიღო ერთი მხარე.[27] აი, სწორედ იქ, ლხინის ჟამს, სუფრასთან, ჩვეულებისამებრ, მის გვერდით მხართეძოზე წამოწოლილმა ყმაწვილმა პირფერობა დაუწყო თავის პატრონს, რომელიც ღვინით იყო შეზარხოშებუ-ლი და ყველაფერზე ადვილად დასაყოლიებელი. „მე – ეუბნებოდა ყმაწვილი, – ისე მიყვარხარ, რომ შენკენ გამოვეშურე, თუმცაღა შინ – რომში დანიშნული იყო გლადიატორების ბრძოლა, რაც ჯერ არა-სოდეს მიხილავს, არადა, ძალზე მსურს ვნახო, ვით კლავენი კაც-სო“. ლუციუსმა ალერსზე ალერსით უპასუხა: „მაგის დარდს შენ როგორ დაგიტოვებ, ახლავ აგისრულებ საწადელს!“ მან ბრძანა ლხ-ინზე ერთი ვინმე სიკვდილმისჯილთაგანი მიეყვანათ და მის გვერ-დით ცულით შეიარაღებული ჯალათი – ლიქტორი დამდგარიყო. ამის შემდეგ ლუციუსმა თავის სატრფოს ჰკითხა, სურდა თუ არა კაცისკვლა ეხილა და როცა ბიჭმა თავისი სურვილი დაუდასტურა, ბრძანება გასცა, განწირულისათვის თავი მოეკვეთათ. ბევრი ვინმე ასე გადმოგვცემს ამ ამბავს, ციცერონს თავის დიალოგში „სიბერის თაობაზე“[28] თვითონ კატონი გამოჰყავს მთხრობელად; ლივიუსი კი გვაუწყებს: ის დასჯილი კაცი მტრის მხარეზე გადასული გალი იყო და იგი ჯალათმა – ლიქტორმა კი არა, თვითონ ლუციუსმა მოაკვ-დინა საკუთარი ხელით და ამას ერთ თავის სიტყვაში კატონი აღ-წერსო.[29]

როცა კატონმა ლუციუსი სენატიდან გააძევა, მეტად შეწუხე-ბულმა ძმამ ჩივილით ხალხს მიმართა და მოითხოვა, კატონს გაძევე-ბის მიზეზი აეხსნა. კატონმაც აიღო და რომაელებს ხსენებული ლხ-ინის ამბავი მოუთხრო. ლუციუსი ყველაფერს უარყოფდა, ხოლო როცა კატონმა ასეთ შემთხვევაში საჭირო გირაოს გადახდა დააკ-ისრა, ამაზეც უარი განაცხადა. მაშინ აშკარა გახდა, რომ იგი სამარ-თლიანად იყო დასჯილი. ცოტა ხნის შემდეგ თეატრში გამართულ სანახაობაზე ლუციუსმა გვერდი აუარა საკონსულო ადგილს და, ბევრად მოშორებით, სადღაც ზემოთ დაჯდა. ხალხს იგი შეეცოდა, ყიჟინით მიმართა, ქვემოთ, თავის ყოფილ ადგილზე ჩამოსულიყო: ამით რომაელებმა მისი სახელის აღდგენა და მომხდარი ამბის და-ვიწყება სცადეს.

კატონმა სენატიდან გააძევა აგრეთვე საკონსულოდ გამზადებ-

ული მანილიუსი იმიტომ, რომ ამან დღისით-მზისით თავისი ქალიშვილის თვალწინ, ცოლი გადაკოცნა. თვითონ კატონი, მისივე სიტყვით, ცოლს არასოდეს არ აძლევდა უფლებას, მას მოხვეოდა, გარდა დიდი ჭექა ქუხილის ჟამისა. ამის გამო ხუმრობით ამბობდა თურმე: ნეტარი ვარ მაშინ, როს იუპიტერი დაიქუხებსო.

18. კატონის უკმაყოფილების ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მან სციპიონის ტრიუმფგადახდილ ლუციუსს ცხენი ჩამოართვა. ყველამ იგრძნო, რომ ეს მან გარდაცვლილი სციპიონ აფრიკელის ხსოვნის შეურაცხყოფისათვის გააკეთა.

ძალიან ბევრს კატონმა მეტისმეტად აწყენინა ფუფუნების შევიწროებით. რაკიღა მისი პირდაპირი აღმოფხვრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ სენით დაავადებული და წამხდარი გახლდათ მრავალი მოქალაქე, კატონმა შემოვლით გზას მიმართა და ძალდატანებით მიაღწია იმას, რომ ათასხუთას დენარიუსზე ძვირადღირებული ტანისამოსი, ეტლი, ქალის სამკაული და საოჯახო ავეჯეულობა თავის ფასზე ათგზის მეტად გაძვირებულიყო. იგი ფიქრობდა, ხსენებულ საგანთა დიდი ფასი დიდი გადასახადის წყარო გახდებოდა. გარდა ამისა, ყოველი ათასი ასსის[30] შემცველი შემოსავლის ხარკი სამი ასსით გაზარდა, რათა მძიმე გადასახადით შეწუხებულ მდიდარ მოქალაქეებს, რომლებიც ხედავდნენ, წესიერ და მოკრძალებულ რომაელებს თავისი ქონების შესაბამისად ხაზინაში მცირე შესატანი შეჰქონდათ, ხელი აეღოთ ფუფუნებაზე. კატონზე განრისხებულნი იყვნენ ისინიც, რომლებმაც მძიმე ხარკის გამო უარი თქვეს ფუფუნებასა და განცხრომაზე. მართლაც, სიმდიდრით თავის გამოჩენის დაბრკოლებას მრავალი თვით სიმდიდრის აღკვეთად თვლის; ჩვეულებრივ, თავი მოაქვთ ხოლმე ზედმეტი ქონებით და არა აუცილებელით. ფილოსოფოს არისტონს ყველაზე მეტად ის ანცვიფრებდა თურმე, რომ ზედმეტი სიმდიდრის პატრონი იმაზე ბედნიერად მიაჩნიათ, ვინც აუცილებელი და საჭირო ქონებით გრძნობს თავს კმაყოფილად. სკოპას თესალიელს[31] ერთმა მეგობართაგანმა მისთვის არცთუ მაინცდამაინც საჭირო ნივთი სთხოვა და თან უთხრა: ამით არაფერს აუცილებელსა და სასარგებლო რამეს არ გთხოვო. სკოპასმა ასე უპასუხა თურმე: „მე სწორედ ამ უსარგებლო და ზედმეტი ნივთებით ვარ ბედნიერი და მდიდარი“. სიმდიდრის წყურვილი ადამიანის არავითარ ბუნებრივ წადილთან არაა დაკავშირებული; იგი საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა და გარე სამყაროს ნაყოფია.

19. საყვედურების მიუხედავად, კატონი კი არ ამცირებდა, არამედ კიდევ უფრო მეტად ძაბავდა თავის გულმოდგინეობასა და სიფიცხეს. მან ბრძანა: გადაეკეტათ არხები, რომელთა მეშვეობითაც საზოგადო სადინარიდან წყალი საკუთარ სახლებსა და ბაღებში ჰქონდათ შეყვანილი და დაენგრიათ და აეღოთ ყველა შენობა, რომლებიც კერძო მამულების საზღვრებიდან საერთო სახალხო მიწაზე გამოდიოდა. კატონმა შეამცირა სანარდო სამუშაოთა ქირა და უმაღლეს საზღვრამდე აიყვანა საბაჟო გადასახადები. ყველაფერმა ამან მისადმი დიდი ზიზღი გამოიწვია. მის წინააღმდეგ თავის მომხრეებთან ერთად სენატში გამოვიდა ტიტუსი და გააუქმებინა ტაძრებისა და საზოგადო საქმეებისათვის კატონის მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებები, ვითარცა საზარალო. ამასთანავე ტიტუსმა წააქეზა ყველაზე თავხედი სამხედრო ტრიბუნები, კატონი სახალხო სამართალში მიეცათ და ორი ტალანტით დაეჯარიმებინათ. მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა კატონს ბაზილიკის მშენებლობის დროს, რომელიც საზოგადო ხარჯზე ააგო ფორუმზე კურიის უკან[32] და „პორციუსის ბაზილიკა“ უწოდა.

ეტყობა, ხალხი მაინც კმაყოფილებით შეეგება კატონის ცენზორობას. სიჯანსაღის ტაძარში ქანდაკებაც კი დაუდგეს, რომლის წარწერაშიც მისი ლაშქრობა და ტრიუმფი კი არ იყო მოხსენიებული, არამედ ნათქვამი იყო შემდეგი - მოვიტან თარგმანს: „დაედგა იმის აღსანიშნავად, რომ ცენზორად მყოფმა სასარგებლო შეგონებებით, ბრძნული დარიგებებითა და მოძღვრებით კვლავ ფეხზე დააყენა სიავისაკენ მიდრეკილი და შერყეული რომაელთა სახელმწიფო“. კატონი უწინ დასცინოდა ხოლმე ქანდაკებათა მოყვარულებს და ამბობდა: ისინი, რომლებიც მეტად ქედმაღლობენ მოქანდაკეთა და მხატვართა ქმნილებებით, ვერ ამჩნევენ ყველაზე საუკეთესო ჩემს გამოსახულებას, მოქალაქენი რომ გულსა და სულში ატარებენო. როცა მას გაკვირვებით ეკითხებოდნენ: ბევრ უღირსს რომ ქანდაკებები აქვთ დადგმული, შენ რატომ არ დაგიდგესო? კატონი ასე უპასუხებდა: „ბევრად მიჯობს, მკითხონ, თუ რატომ არ დგას ჩემი ქანდაკება, ვიდრე ის, თუ რატომ დგას.“ საერთოდ კი, კატონის აზრით, კარგი მოქალაქე ქება დიდებას არ უნდა აჰყვეს, თუ ეს საზოგადო საქმისათვის სასარგებლო არაა. მიუხედავად ამისა, იგი ყველაზე ხშირად იქებდა თავს: ამაყობდა, მაგალითად, იმით, რომ ცხოვრებაში შეცდომის ჩამდენნი მამხილებლებს ეუბნებოდნენ: „ამაოდ გვისაყვედურებთ, ჩვენ ხომ კატონები არა ვართ!“ ამაყობდა

იმითაც, მისთა საქმეთა ხელმოცარულ მიმბაძველებს „უბედო კატონებს“ რომ ეძახდნენ და იმითაც, ძნელბედობის ჟამს რომ სენატის მზერა მისკენ იყო მიმართული, ვით ზღვაოსნობაში მესაჭისაკენ, და ხშირად, თუ სხდომას არ ესწრებოდა, საგანგებო საქმეს რომ სენატი ამის გამო გადადებდა. ეს რომ ასე იყო, ამაში კატონს სხვებიც ემოწმებიან. ცხოვრების ნირის, მჭევრმეტყველებისა და ხანდაზმული ასაკის გამო კატონის გავლენა რომის სახელმწიფოში, მართლაც, დიდი გახლდათ.

20. კატონი იყო კარგი მამაკაცი, მეუღლის ერთგული და ბეჯითი მეურნეც; ოჯახზე მზრუნველობას არასდროს არ თვლიდა უმნიშვნელო და რაღაც ზედმეტ საქმედ. ამიტომ, ვგონებ, ურიგო არ იქნება ამის თაობაზეც მოვყვეთ. ცოლად კატონმა შეირთო არამდიდარი, მაგრამ კეთილშობილური წარმომავლობის ქალი. მართალია, სიმდიდრესაც და კეთილშობილებასაც - ორივეს დიდი მნიშვნელობისა და ღირსების ძალად თვლიდა, მაგრამ ფიქრობდა, კეთილშობილური წარმომავლობის ცოლი სამარცხვინო საქმეს ყოველთვის განერიდებოდა და მეუღლის კეთილი შეგონებების მეტად მორჩილი იქნებოდა. კატონი ამბობდა: იმას, ვინც ცოლს ან ბავშვს სცემს, წმიდათაწმიდაზე აქვს ხელი აღმართულიო. იგი კარგი ქმრის სახელს დიდი სენატორის სახელზე უფრო საპატიოდ მიიჩნევდა. ძველი დროის ბრძენი სოკრატე ყველაზე უფრო მეტ აღფრთოვანებას იმით იწვევდა მასში, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ლმობიერად და ნაზად ექცეოდა თავის ანჩხლ ცოლსა[33] და გონებაჩლუნგ შვილებს.

როცა კატონს ვაჟი შეეძინა, მისთვის არ არსებობდა ისეთი აუცილებელი საქმე, გარდა სახელმწიფოებრივი მოვალეობისა, რომლის გულისთვისაც ცოლის გვერდით არ ყოფილიყო, როცა იგი ჩვილს აბანავებდა და ჩვრებში ახვევდა. ეს ქალი ბავშვს საკუთარი რძით ზრდიდა; ხშირად მონების ბალღებსაც მიიკრავდა მკერდზე და აწოვებდა, რათა ასეთი ერთობლივი გამოზრდით თავისი შვილისადმი კეთილგანწყობილება და ერთგულება იმთავითვე შთანერგოდათ. როცა ბიჭი წამოიზარდა, კატონმა ანბანის სწავლა თვითონ დააწყებინა, თუმცაღა ჰყავდა მონა - გამოცდილი მასწავლებელი, სახელად ბილონი, რომელიც მრავალ მოზარდს ასწავლიდა. კატონი ამბობდა: „არ ივარგებს, ხანდახან ზანტი სწავლისათვის მონამ ჩემი შვილი ლანძღოს და მას ყური აუწიოს, არც ის - პირველი ცოდნისათვის ჩემი მემკვიდრე მონისგან იყოს დავალებული“. კატონი თვითონ იყო თავისი შვილისათვის წერა-კითხვის, კანონებისა

და ტანვარჯიშის მასწავლებელი. მანვე შეათვისა ყრმას არა მარტო შუბის ტყორცნა, მძიმე იარაღით ბრძოლა და ცხენოსნობა, არამედ კრივიც, სიცხე-სიცივის ატანაც და მღელვარე და მორევიანი მდინარის ცურვით გადალახვაც. კატონი ამბობს, რომ შეთხზა და საკუთარი ხელით მთავრული ასოებით დაწერა ისტორია,[34] რათა ვაჟიშვილს იმთავითვე გაეცნო მისთვის სასარგებლო საქმენი და ქცევანი წინაპრებისა. შვილთან ბილწსიტყვაობას ისევე ერიდებოდა, ვით წმინდა ქალწულებთან, რომელთაც ვესტას ასულებს ეძახიან. კატონი არასოდეს არ ბანაობდა თავის ყმაწვილთან ერთად. როგორც ჩანს, ეს რომაელთა საერთო წესი იყო. სიმამრი, მაგალითად, სიძესთან ბანაობას ერიდებოდა, რამეთუ ერცხვინებოდა მის თვალწინ ტანზე გახდა და გაშიშვლება. რომაელებმა გაშიშვლება ბერძნებისაგან ისწავლეს, მერმე კი თავის მხრივ თვითონ ასწავლეს ბერძნებს, ქალებთანაც კი გაეხადათ ტანთ. კატონის მთელი ძალ-ღონე იქითკენ იყო მიმართული, რომ შვილი თავისი წვრთნით სიკეთისაკენ მიედრიკა. ყმაწვილი მეტად ბეჯითი, ბუნებით თანდაყოლილი გამგონე სულის მქონე, მაგრამ აგებულებით სუსტი და ნაზი აღმოჩნდა; ამის გამო მამამისი აღზრდაში ძალზე მკაცრ და შემზღუდველ ხერხებს აღარ მიმართავდა. მიუხედავად ამისა, ვაჟი მამაცი გამოდგა ლაშქრობებში და პავლუსის სარდლობით შესანიშნავად იბრძოდა პერსევსის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ძლიერი დარტყმით, თუ იმის გამო, რომ ხელი გაუოფლიანდა, მახვილი დაუვარდა. შეწუხებულმა საშველად თავისიანებს უხმო და მათთან ერთად კვლავ ეკვეთა მტერს. გააფთრებული ბრძოლითა და დიდი ძალისხმევით გაიკაფა გზა და, როგორც იქნა, მიაგნო თავის მახვილს უამრავი იარაღისა და დახოცილი მტრისა და მეგობრების დახვავებულ გროვაში. სარდალი პავლუსი აღფრთოვანებული იყო თურმე ყმაწვილი კაცის მამაცობით, ხოლო კატონმა, როგორც გადმოგვცემენ, შვილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დიდად შეუქო მახვილის დასაბრუნებლად გამოჩენილი თავმოყვარეობა და თავდადება. შემდგომში კატონის ვაჟმა ცოლად შეირთო პავლუსის ასული ტერცია, სციპიონის დაი და თავისი ღირსებისა და მამამისის სახელის წყალობით ესოდენ დიადი გვარის ოჯახში შედგა ფეხი. აი ასეთი ღირსეული შედეგი მოიტანა კატონის მზრუნველობამ შვილის აღზრდაში.

21. კატონს მრავალი მონა ჰყავდა. ტყვეთაგან უპირატესად ყველაზე ახალგაზრდებს ყიდულობდა, ვინაიდან მათი გამოზრდა და გაწვრთნა ისეთივე იოლი იყო, ვით ლეკვებისა და კვიცთა. არც

ერთი მონათაგანი კატონის ან მისი მეუღლის დავალების გარეშე სხვის სახლში არ შევიდოდა. თუ ვინმე მათ რომელიმე მონას ჰკითხავდა: რასა იქმს კატონიო, „არ ვიცის“ გარდა არაფერს უპასუხებდა. ყოველ მონას ოჯახში რაიმე საჭირო საქმე უნდა ეკეთებინა, ანდა ძილისათვის მიეცა თავი. კატონი კმაყოფილი იყო, თუ მონები კარგად გამოიძინებდნენ: მუდამ ფხიზლად მყოფებზე გაცილებით მშვიდნი სწორედ ესენი არიან, რამეთუ ნებისმიერ საქმეს ბევრად უკეთ ასრულებენ ძილგამოვლილნი, ვიდრე ძილმოკლებულნიო. მისი აზრით, აფროდიტესეული მისწრაფებანი მონების თავქარიანობისა და დაუდევრობის წყარო იყო, ამიტომ, განსაზღვრული საზღაურის გადახდის შემდეგ, მათ ნებას რთავდა, შინაურ მსახურ ქალებს დაკავშირებოდნენ, სხვა ქალებთან დაახლოებას კი სასტიკად უკრძალავდა.

თავდაპირველად, როცა ჯერ კიდევ ღარიბი კაცი იყო და სამხედრო სამსახურს ეწეოდა, პირის გემოს გამო არასდროს გული არ მოსდიოდა და კუჭის ამოყორვის მიზეზით მსახურთან დავას სამარცხვინოდ მიიჩნევდა. მერმე კი, როცა წელში გასწორდა და განძს განძი დაუმატა, მეგობრებისა და თანამმართველთათვის გამართულ პურობათა შემდეგ მათრახით სჯიდა ყოველს, ვინც სტუმრებს დაუდევრად მოემსახურა ანდა სუფრის გაწყობას რამე დააკლო. მონათა შორის ჩამოვარდნილ შფოთსა და ერთმანეთში ატეხილ დავას ყოველთვის ხელს უწყობდა, რადგან მათი ერთსულოვნება და თანხმობა საეჭვო და საშიშ საქმედ მიაჩნდა. მონას, რომელიც დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას იმსახურებდა, მხოლოდ მას შემდეგ სჯიდა, როცა დანარჩენი მონებიც გადაწყვეტდნენ, რომ დამნაშავე უნდა მომკვდარიყო.

ქონებას კატონი ბეჯითად აგროვებდა და თან ფიქრობდა, მიწათმოქმედება დროის გასატარებელი საამო საქმე უფრო იყო, ვიდრე შემოსავლის წყარო. იგი მტკიცე და საიმედო საგანთათვის აბანდებდა თანხებს: ყიდულობდა წყალსაცავებს, თბილ წყაროებს, მატყლის დასამუშავებელი სახელოსნოებისათვის ვარგის ადგილებს და საძოვრიან და ტყიან ნოყიერ მიწებს. ყოველივე ამით მას დიდძალი ფული შემოსდიოდა და კიდეც ამბობდა: თვით იუპიტერს არ ძალუძს, ჩემს შეძლებას ვნება მიაყენოსო. ეწეოდა მევახშეობას და ამ საქმეში ხშირად ბილწ ხერხებს იყენებდა. ასეთი იყო, მაგალითად, სესხის გაცემა გემების დაწინდვით. მსესხებელთ

მოუწოდებდა ერთ ჯგუფად გაერთიანებულიყვნენ და როცა ჯგუფში ორმოცდაათი კაცი და ამდენივე გემი აღმოჩნდებოდა, მათთან ერთად სასაქმოდ და სანაოსნოდ მიჩენილი აზატის, კვინტიონის მეშვეობით მთელი მათი შემოსავლის ერთ წილს იღებდა. რაკი ჯგუფის მთელი შემადგენლობისათვის მოსალოდნელი საფრთხე უმნიშვნელო იყო, შედარებით მცირე სესხს უდიდესი მოგება მოჰქონდა. კატონი სესხს მონებსაც აძლევდა. ესენი ამ ფულით ბიჭებს ყიდულობდნენ, კატონისვე ხარჯზე წვრთნიდნენ და ერთი წლის შემდეგ ჰყიდდნენ. ზოგიერთ მათგანს კატონი თვითონვე იტოვებდა იმ ფასად, ასეთ საქმიანობას შვილსაც აჩვევდა და ეუბნებოდა: ქონებისათვის რისამე მოკლება ქვრივი დედაკაცის საქმეა და არა ვაჟკაცისო. თავისი აზრი კატონმა უფრო მკვეთრად და გაბედულად ასე გამოთქვა: აღფრთოვანების ღირსია და ღვთაებრივი ის კაცი, ვინც თავის შემდეგ მეტ განძს დატოვებს, ვიდრე მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებულიო.

22. კატონი უკვე სიბერეში იყო შესული, როცა ათენიდან რომში ელჩები ჩამოვიდნენ. ესენი იყვნენ ფილოსოფოსები – პლატონისეული აკადემიის წარმომადგენელი კარნეადე და სტოელი დიოგენე. მათ უნდა გამოეთხოვათ ხუთასი ტალანტის შემცველი ჯარიმის გაუქმება, რომელიც ათენელ ხალხს დაუსწრებელი წესით დაადეს სიკიონელებმა ოროპელთა საჩივრის საფუძველზე. ყველაზე განათლებული რომაელი ახალგაზრდები მყისვე მიაწყდნენ ფილოსოფოსებს და აღტაცებით უსმენდნენ მათ. განსაკუთრებულ პატივში იყო კარნეადე, რომლის სიტყვის ძალაც და ამ ძალის კიდევ უფრო მეტი სახელიც ცოდნას მოწყურებულ მსმენელთ იზიდავდა და ქალაქს ექოსავით ედებოდა. დაირხა ხმა, რომ ბერძენი ვინმე საოცარი ძალის წყალობით ყველას ხიბლავს და იმორჩილებს და ისეთი ცხოველი სიყვარული აღძრა ახალგაზრდებში, რომ ამათ ყველა სხვა გართობა თუ საქმე მიატოვეს და ფილოსოფიის მეტი აღარაფერი ახსოვთო. რომაელებს ეს ამბავი მოეწონათ და სიამოვნებით შესცქეროდნენ ელინური განათლების მისაღებად ყრმათა ლტოლვასა და მათ თავმოყრას ესოდენ სახელგანთქმული ადამიანების გარშემო. კატონი იმთავითვე წყრომით ეკიდებოდა რომში შემოჭრილ მისწრაფებას განყენებული და ჭვრეტითი აზროვნებისაკენ; შიშობდა, ახალგაზრდებს ამისაკენ არ მიედრიკათ თავისი პატივმოყვარული ზრახვანი და მჭევრმეტყველების ღირსება ჩვეუ-

ლებრივ საქმეებსა და სამხედრო სამსახურზე მაღლა არ დაეყენებინათ. როცა ქალაქში ფილოსოფოსთა სახელი სულ უფრო და უფრო გავრცელდა და მათი პირველი სიტყვა სენატისადმი სხდომას წინასწარ აღებული ნებართვით გადაუთარგმნა გამოჩენილმა კაცმა გაიუს აცილიუსმა, კატონმა გადაწყვიტა, წესიერების დაცვით ქალაქიდან გაესტუმრებინა ყველა ჩამოსული ფილოსოფოსი. მერმე სენატში გამოვიდა და გაკიცხა თავკაცები იმის გამო, რომ ქალაქში ხანგრძლივად და უსაქმოდ ზის ისეთ პირთაგან შემდგარი ელჩობა, რომელთაც ძალუძთ დაარწმუნონ ყველანი ყველაფერში, რაშიც მოისურვებენ; „საჭიროა, – განაცხადა კატონმა, – სასწრაფოდ განვსაჯოთ ელჩების თხოვნა და მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილება, რათა ესენი თავიანთ სკოლებში დაბრუნდნენ და ელინთა შვილებთან გამართონ მსჯელობა, ხოლო რომაელმა ახალგაზრდებმა უწინდებურად „კანონთა ხმასა და ხელისუფალთ უსმინონ!“

23. ეს მან გააკეთა არა კარნეადეს სიძულვილით, როგორც ამას ზოგიერთი ვარაუდობს, არამედ საერთოდ ფილოსოფიის გასაკიცხად და რაღაც პატივმოყვარეობის გამო მთელი ბერძნული აღზრდა განათლების ლაფში ამოსასვრელად. აკი სოკრატეზე ამბობდა: ეს ყბედი ყოველნაირი ხერხით ცდილობდა ხელი გამოეღო და სამშობლოზე ტირანული ბატონობის უფლება მოეპოვებინა; საამისოდ ზნეობას რყვნიდა და მოქალაქეებს კანონთა საწინააღმდეგო აზრებს უნერგავდაო. კატონი დასცინოდა ისოკრატეს[35] მოძღვრებასაც: მის სკოლაში მოწაფენი ბერდებოდნენ, რათა აქ შეძენილი ცოდნა და კამათის ხელოვნება მერმე ჰადესში მინოსთან გამოეყენებინათო.[36] შვილთან საუბარში ყოველივე ბერძნულს სახელს უტეხდა და მოხუცებულობით გულზე მოსული მაღალი ზმით წინასწარმეტყველებდა: ელინური განათლების შემოტანით რომაელები საკუთარი სახელმწიფოს ძლიერებას დაამხობენო. მაგრამ დრომ დაამტკიცა ამ ავი მისნობის ამაოება: რომმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია, თუმცა მთლიანად გაიშინაურა ელინური აღზრდა განათლება.

კატონს სძაგდა არა მარტო ბერძენი ფილოსოფოსები, არამედ რომში მოღვაწე ბერძენ ექიმებსაც ეჭვის თვალით უყურებდა. როგორც ჩანს, კატონს გაგონილი ჰქონდა ჰიპოკრატეს სიტყვა, რომელიც მან პასუხად უთხრა მრავალი ტალანტის საფასურ-

ად მიმპატიჟებელ სპარსთა მეფეს: ელინთა მტერ ბარბაროსებს არასოდეს სამსახურში არ ჩავუდგებიო. კატონი ირწმუნებოდა: ასეთ ფიცს ყოველი ექიმი დებსო, - და შვილს ურჩევდა მათგან შორს დაეჭირა თავი. კატონს თურმე თვითონ ჰქონდა სამახსოვრო ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც თავის სახლში ავადმყოფებს მკურნალობდა და საკვებს უნიშნავდა. არასოდეს არც ერთ დაავადებულს არ აშიმშილებდა. აჭმევდა მათ ბოსტნეულს, იხვისა და მტრედის ხუნდის ან კურდღლის ხორცს. ასეთი საკვები სნეულთათვის მსუბუქია და სასარგებლო; ოღონდ, ეს არის, ხშირ სიზმრებს იწვევსო. მკურნალობის ამ ხერხით და ასეთი საკვებით შევუნარჩუნე ჯანმრთელობა საკუთარ თავსაც და შინაურებსაც, - ამბობდა იგი.

24. ამ საქმეში, ეტყობა, კატონს მთლად არ გაუმართლდა: მან დაკარგა ცოლი და ვაჟიშვილიც. თვითონ კი ჯანმრთელი და ურყევი ძალ-ღონის სხეულის პატრონმა ბევრს აჯობა გამძლეობით და ღრმა სიბერეში ქალთან კავშირსაც კი განაგრძობდა და, მიუხედავად თავისი ასაკისა, დაქორწინდა კიდეც. ეს ასთენაირად მოხდა. ცოლი რომ გარდაეცვალა, ვაჟიშვილს ცოლად შერთო პავლუსის ასული, სციპიონის დაი, თვითონ კი, დაქვრივებული, ცხოვრობდა მსახურ გოგოსთან, რომელიც მასთან ჩუმ-ჩუმად დადიოდა. პატარა სახლში, სადაც კატონის გვერდით პატარძალი ცხოვრობდა, ეს ამბავი შეუმჩნეველი როდი დარჩა. ერთხელ, როცა იმ გოგომ ამაყად ჩაუარა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის საძინებელ ოთახს, მოხუცმა კატონმა შენიშნა, რომ ვაჟიშვილმა უსიტყვოდ, მაგრამ ზიზღით შეავლო თვალი მსახურს და ზურგი შეუბრუნა. კატონი მიხვდა შვილის და რძლის წყრომას, მაგრამ საყვედური არ უთქვამს, არც ვინმე გაულანძღავს და, ჩვეულებისამებრ, მეგობართა თანხლებით ფორუმზე ჩავიდა. აქ იგი შეხვდა ერთ თავის ყოფილ მონას, ვინმე სალონიუსს, რომელიც მასთან გადამწერლად მსახურობდა და ყველას გასაგონად ჰკითხა: ქალიშვილი თუ გაათხოვეო? იმან უპასუხა: თქვენი რჩევის გარეშე მაგ საქმეს, აბა, როგორ გავაკეთებდიო. მაშინ კატონმა უთხრა: „აი, მე უკვე გამოგიძებნე შესაფერი სასიძო, მაგრამ, ვფიცავ იუპიტერს, ვშიშობ, მისმა ასაკმა არ შეგაშფოთოს; ძალზე ბებერია, თორემ სხვაფრივ არაფერი აქვს დასაწუნი". სალონიუსმა უპასუხა: სწორედ თქვენ გმართებთ ამ საქმეზე იზრუნოთ და ვისაც შეარჩევთ, იმას მისცეთ ჩემი გოგო; იგი ხომ თქვენი

მოახლეა და თქვენი მფარველობა სჭირდებაო. კატონს აღარ დაუყოვნებია და პირდაპირ გამოუცხადა: მე თვითონ ჩემთვის გთხოვ ქალიშვილსო. ამის გამგონე სალონიუსს, რაღა თქმა უნდა, ელდა ეცა: ცალკერძ იმის გამო, რომ კატონი ასეთ ასაკში ცოლის შერთვას ლამობდა, ცალკერძ კი იმის გამო, რომ კონსულისა და ტრიუმფატორის ოჯახთან დამოყვრება უწევდა. მაგრამ, როცა დაინახა, კატონი არ ხუმრობდა, ხალისით დაეთანხმა და, როგორც კი ჩავიდნენ ფორუმზე, მყისვე გამოაცხადეს ნიშნობა. დაიწყო თუ არა საქორწინო მზადება, ვაჟიშვილმა ნათესავების თანხლებით კატონს ჰკითხა: განა რა გისაყვედურე, ან რა გაწყენინე, ოჯახში დედინაცვალი რომ შემოგყავსო? კატონმა ბეჯითად შესძახა: „აბა, რას ამბობ, შვილო! შენგან სიკეთის მეტი არა ვიცი რა და საყვედურიც არ მომისმენია. მინდა კიდევ ვიყოლიო შვილები და სამშობლოს შენისთანა მოქალაქეები დავუტოვო". ამბობენ, ასეთი აზრი ადრე ათენელთა ტირანმა პისისტრატემ გამოთქვაო. მას მოსწრებული შვილები ჰყავდა, როცა კვლავ დაქორწინდა არგოლიდელ ტიმონასაზე, რომლისგანაც იოფონტი და თესალე ეყოლაო.

მეორე ქორწინების შედეგად კატონს შეეძინა ვაჟი, რომელსაც დედის საწარმომავლო სახელი სალონიუსი დაარქვეს. უფროსი შვილი კი პრეტორის თანამდებობაზე გარდაიცვალა. თავის თხზულებებში კატონი ხშირად მოიხსენიებს მას როგორც ღირსეულ კაცს. ამბობენ, კატონმა მშვიდად და ფილოსოფიური სიბრძნით გადაიტანა უბედურება და ამის გამო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ოდნავადაც არ შეუსუსტებია. სახელმწიფო საქმიანობას მუდამ აღსასრულებელ მოვალეობად თვლიდა და სიბერის მიზეზით საზოგადო სამსახურის გრძნობა არ განელებია, როგორც ეს მერმე ლუციუს ლუკულუსსა და მეტელუს პიუს დაემართათ.[37] არც უფრო ადრე მოღვაწე სციპიონ აფრიკელისათვის მიუბაძავს, რომელმაც, როგორც კი იგრძნო თავისი დიდებისადმი აღძრული შური, ხალხს ზურგი შეაქცია და დანარჩენი სიცოცხლე უმოქმედოდ გაატარა. ვით დიონისიოსი დაარწმუნა ვიღაცამ თავის დროზე: ყველაფერს ჯობს ბოლომდე ტირანად დარჩენა და ისე სიკვდილიო, კატონიც ყველაზე უკეთეს საქმიანობად სიბერეში პოლიტიკურ მოღვაწეობას თვლიდა, ხოლო როცა თავისუფალ დროს მოიხელთებდა, წიგნების შეთხზვითა და მიწათმოქმედებით იქცევდა თავს.

25. კატონი სხვადასხვაგვარი ხასიათის წიგნებს თხზავდა, მათ

შორის – ისტორიებსაც. ახალგაზრდობაში მიწათმოქმედებას საჭიროების გამო ეწეოდა. მაშინ შემოსავლის ორი წყარო – მიწათ-მოქმედება და ყაირათიანობა მქონდაო, – ამბობს. მერმე კი მიწაზე მუშაობა დროს ატარებინებდა და სულიერ საზრდოსაც ანიჭებდა. მან წიგნიც შეთხზა მიწათმოქმედების თაობაზე. ისე მოწადინებუ-ლი იყო, სხვებისათვის ეჯობნა და თავისთავადობა გამოეჩინა, რომ ამ წიგნში კვერების გამოცხობის და ხილის შენახვის წესებიც კი აღწერა. სოფლად მისი სუფრა გაცილებით უხვი გახლდათ. ასეთ სუფრაზე ყოველთვის იწვევდა ახლომახლო მოსახლე მეგობრებს და ხალისიანად ატარებდა მათთან ერთად დროს. იგი იყო სასია-მოვნო და სასურველი მოსაუბრე არა მარტო თანატოლებისათვის, არამედ ახალგაზრდებისთვისაც, რადგან საქმიანობაშიც დიდად გამოცდილი იყო და ბევრი ღირსსახსოვარი რამ წაკითხული და გაგონილი ჰქონდა. პურობას მეგობრების შეძენის ყველაზე უკეთეს საშუალებად თვლიდა. მის სუფრაზე ხშირად გაისმოდა კეთილ-შობილ და ზნესრულ მოქალაქეთა ხოტბა. უქნარა და ავი კაცის ხსენებას აქ ყველა ერიდებოდა, რადგან კატონი, მასთან პურობის ჟამს, ურიგოთა არც კიცხვასა და არც ქებას ერიდებოდა.

26. მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, როგორც ფიქრობენ, დასკვნითი საქმე კართაგენის მოსპობა იყო. კართაგენს საზღვარი მოქმედებით სციპიონ უმცროსმა დაუდო, მაგრამ ომი კართაგენთან რომაელებმა სწორედ კატონის შეგონებით, მისი რჩევა-დარიგებით დაიწყეს შემდეგი მიზეზის გამო. როცა კართაგენელებმა და ნუ-მიდიის მეფე მასანასემ ერთმანეთში ომი დაიწყეს, უთანხმოების მიზეზთა გამოსაძიებლად სენატმა იქ კატონი გაგზავნა.[38] მასან-ასე თავიდანვე რომაელი ხალხის მეგობარი იყო, ხოლო სციპი-ონის მიერ დამარცხებული, გამგებლობის უფლებას აღკვეთილი და მძიმე ხარკდადებული კართაგენელები რომაელებთან ზავით იყვნენ შეკრულნი. კატონმა კართაგენის ქალაქი იხილა არა იავარქმნილ და დაკნინებულ ქალაქად, როგორც რომაელებს ეგონათ, არამედ ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც მრავალი შემართული ვაჟკაცი ჰყავდა, აღსავსე იყო დიდი სიმდიდრთ, ყოველგვარი იარაღითა და საომარი აღჭურვილობით, რის წყალობითაც თავს სრულიადაც არ გრძნობდა ძალშემცირებულად. რაკი ასეთი ვითარება ნახა, კა-ტონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლა ნუმიდიელთა და მასანასეს საქმეთა განხილვისა და მოწესრიგების დრო არ იყო. მისი აზ-

რით, თუ რომაელები არ აიღებდენენ იმთავითვე მტრულ და ახლა გაბოროტებულ და დაუჯერებლად გაძლიერებულ ქალაქს, კვლავ უწინდებური საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. როგორც კი დაბრუნდა რომში, კატონმა სენატს შეგონება დაუწყო: უწინდელმა დამარცხებებმა და თავსდატეხილმა უბედურებამ კართაგენელებს იმდენად ძალა კი არ გამოაცალეს, რამდენადაც გონს მოიყვანეს; შექმნილმა საფრთხემ კი არ დააუძლურა ისინი, არამედ უფრო მეტი საომარი გამოცდილება შესძინა; ნუმიდიელებზე თავდასხმით ისინი რომაელებთან იწყებენ ბრძოლის გამართვას და დადებული ზავის საფარველით ომის ასატეხად მოხერხებულ დროს ელოდებიანო.

27. ამბობენ, როცა ეს სიტყვები წარმოთქვა, ტოგა გადაიწია და სენატის იატაკზე საგანგებო ზრახვით ლიბიური ლეღვები გადმოჰყარაო. მათი სიდიდითა და სილამაზით გაკვირვებულ სენატორებს კატონმა უთხრა: აი ასეთ ნაყოფს იძლევა მიწა, რომელიც რომიდან სამი დღის სანაოსნო მანძილზე მდებარეობსო. იგი უკვე აშკარად მოითხოვდა მეტ ძალდატანებას და ამიერიდან არც ერთ საქმეზე წარმოთქმულ სიტყვას ისე არ დაამთავრებდა, რომ ეს არ დაემატებინა: „ჩემი ფიქრით, კართაგენი არ უნდა არსებობდეს!“[39] პუბლიუს სციპიონ ნაზიკა კი პირიქით, როცა ამის თაობაზე შეეკითხებოდნენ, ყოველთვის ამას იმეორებდა: „ჩემი ფიქრით, კართაგენი უნდა არსებობდეს!“ ეტყობა, სციპიონ ნაზიკა კარგად ხედავდა, რომაელი ხალხი რომ ერთობ გადიდგულებული იყო და წარმატებებით გაამაყებული სენატს აღარ ემორჩილებოდა და საითკენაც საკუთარი ვნებები მოუწოდებდნენ, მთელ სახელმწიფოსაც ჯიუტად იქითკენ ეწეოდა. სციპიონ ნაზიკას სურდა, ეს ერთგვარი შიში კართაგენის წინაშე შემაკავებელ ბორკილად დასდებოდა ხალხის ზვიადობას. იგი ფიქრობდა, კართაგენელები, მართალია, იმდენი ძალისა არ იყვნენ, რომაელებს ვერ დაემორჩილებინათ, მაგრამ არც ისეთი უძლურნი ჩანდნენ, მთლად აბუჩად აეგდოთ. კატონსაც ეს აწუხებდა, მაგრამ, მასთან ერთად თვლიდა, რომ მრავალი წარმატებით გაბრუებულ და დაბნეულ რომაელ ხალხს ემუქრებოდა საფრთხე იმ სახელმწიფოს მხრივ, რომელიც მუდამ დიადი იყო და ახლა გამოფხიზლებულია და დასჯილი თავსდამტყდარი უბედურებისაგან. კატონის აზრით, საჭირო იყო შინაურ შეცოდებათაგან თავის დაღწევამდე რომის მმართველობაზე გარე-

დან ხელყოფის საფრთხე მოესპოთ. ამბობენ, ასეთი დაჟინებით კატონმა მიაღწია იმას, რომ დაიწყო მესამე და ბოლო ომი კართაგენის წინააღმდეგ.[40] კატონი ომის დასაწყისშივე გარდაიცვალა, მანამდე კი იწინასწარმეტყველა, თუ ვინ იქნებოდა ის კაცი, ვისაც ომისათვის საზღვრის დადება ეწერა. ეს კაცი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. იგი სამხედრო ტრიბუნად იყო დანიშნული და ბრძოლაში წინდახედულებასა და მამაცობას იჩენდა. როცა რომში ჩამოსული ამბავი მისი წარმატებებისა კატონმა შეიტყო, ეს წარმოთქვა თურმე:

მას შერჩა სიბრძნე, დანარჩენნი, ჩრდილებად იქცნენ.[41]
ეს სიტყვები სციპიონმა სულ მალე საქმით დაამტკიცა.

მეორე ცოლისაგან კატონს დარჩა ვაჟი, რომელსაც, როგორც ვთქვით, სალონიუსი ერქვა; დარჩა აგრეთვე შვილიშვილი გარდაცვლილი ვაჟისაგან. სალონიუსი პრეტორობაში აღესრულა; მისი ძე მარკუსი კონსული გახდა. იგი იყო თანამედროვეთაგან ზნესრულობით და სახელოვნებით გამორჩეული კაცი - კატონ ფილოსოფოსის პაპა.[42]

არისტიდესა და კატონის შეთანასწორება

1. ახლა, როცა უკვე აღვწერეთ არისტიდესა და კატონის ღირსსახსოვარი ამბები, მათი ცხოვრების საერთო თვალსაზრისით შედარებაში მრავალი და მნიშვნელოვანი მსგავსების გვერდით განსხვავებანი არცთუ ადვილი შესამჩნევია. თუ მსგავსებასა და განსხვავებას შედარების დროს ნაწილ-ნაწილად დავყოფთ, როგორც ეს პოემის ან სურათის განხილვისას ხდება, უწინარეს ყოვლისა, საერთო აღმოჩნდება ის, რომ ორივენი, არისტიდეცა და კატონიც, პოლიტიკურ მოღვაწეობაში სრულიად უმნიშვნელო საწყისებიდან აღზევდენ სიქველისა და ძლიერი ხასიათების წყალობით. არისტიდე გამოჩენილი კაცი გახდა იმ დროს, როცა ათენი ჯერ კიდევ არ განდიდებულიყო და ხალხის წინამძღოლთა და სტრატეგოსთა ზომიერი და თანაბარი ქონება თვითონ არისტიდეს შეძლებას ბევრად არ აღემატებოდა. უმაღლესი რანგისა იყვნენ მაშინ ის მოქალაქენი, რომელთა შემოსავალიც ხუთას მედიმნს შეადგენდა, მეორე ჯგუფს ანუ „მხედრებს“ სამასმედიმნიანები განეკუთვნებოდნენ, ხოლო მესამე ჯგუფში იყვნენ ორასმედიმნიანები ანუ

„ძევგიტები“. კატონი მცირე დაბიდან გამოვიდა და, როგორც ჩანს, მდაბიური ცხოვრების წიაღიდან პირდაპირ შერგო თავი, ასე ვთქვათ, რომის პოლიტიკური საქმიანობის ვრცელ ზღვაში. რომს ახლა კურიონები, ფაბრიციუსები და ატილიუსები როდიღა მართავდნენ; საორატორო ტრიბუნაზე აღარ უხმობდნენ და გამგებლებად და თავკაცებად აღარ იკარებდნენ იმ ღარიბ-ღატაკებს, რომლებიც ნიადაგ გუთანსა და ბარს იყვნენ დაყრდნობილნი და საკუთარი ხელით მიწას ამუშავებდნენ. რომი ახლა დაეჩვია, მოწყალე მზერა მიეპყრო მხოლოდ დიდი გვარიშვილობისა და სიმდიდრისათვის, ანგარიში გაეწია განძის დამრიგებელთა და პირმოთნეთათვის; თავისი ძლიერებით გაყოყოჩებული, იგი ახლა დასცინოდა თანამდებობათა მაძიებელ უბრალო პირთ. თავის მისწრაფებათა განსახორციელებლად, ვისაც სამართლიანობისათვის მღაღადებელი ხმის გარდა სხვა არაფერი გააჩნდა, მისთვის სულერთი როდიღა იყო მეტოქედ მდაბიო წარმომავლობისა და მოკრძალებული შეძლების მქონე თემისტოკლე ეყოლებოდა (ამბობენ, როცა სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე შედგა ფეხი, იგი მხოლოდ ხუთი თუ სულაც სამი ტალანტის ქონების პატრონი იყო), თუ პირველობისათვის სციპიონ აფრიკელებს, სერვიუს გალბებსა და კვინტიუს ფლამინინუსებს უნდა გასჯიბრებოდა.

2. მარათონსა და მერმე პლატეასთან გამართულ ბრძოლებში არისტიდე ერთ-ერთი ათ სტრატეგოსთაგანი იყო; კატონი კი მრ.ავალ მაძიებელთაგან არჩეულ ორ კონსულში იყო ერთ ერთი; ასევე, ერთ-ერთი იყო გამოჩენილ და დიდი გავლენის შვიდ მეტოქეთაგან არჩეულ ორ ცენზორში. წარმატებით შესრულებულ არც ერთ საქმეში არისტიდე არ იყო პირველი: მარათონის ბრძოლაში პირველობა მილტიადეს ეკუთვნოდა, სალამინისაში – თემისტოკლეს, პლატეასთან ბრძოლაში კი, ჰეროდოტეს სიტყვით,[43] უბრწყინვალესი გამარჯვება პავსანიას ერგო, მეორე ადგილს კი არისტიდეს ედავებიან სოფანეები, ამინიოსები და კალიმაქენი, რომლებმაც განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს იმ ბრძოლაში. კატონი კი ყველაზე პირველი გახლდათ საქმითაც და ჭკუითაც არა მარტო ესპანეთის ომში, როცა კონსული იყო, არამედ თერმოპილეს ბრძოლაშიც მთელი სახელი მან მოიპოვა, თუმცა კონსულად მაშინ სხვა იყო, თვითონ კი მასთან ლეგატის მოვალეობას ასრულებდა. კატონმა მაშინ რომაელებს ფართოდ გაუღო გამარ-

ჯვების ჭიშკარი, როცა ზურგიდან დაჰკრა ანტიოქე მეფეს, რომელიც მხოლოდ პირისპირ შესაბმელად იყო გამზადებული.

ომში ორივე, არისტიდეც და კატონიც უძლეველნი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე არისტიდე დამარცხდა და თემისტოკლეს მომხრეთა მეცადინეობით ოსტრაკისმოსის საფუძველზე კიდეც გააძევეს. კატონს კი, მიუხედავად იმისა, რომ მოსაგერიებელი ჰყავდა მის წინააღმდეგ აღმდგარი, ასე ვთქვათ, თითქმის ყველა უძლიერესი და გამოჩენილი პირი რომისა, რომელსაც სიბერემდე ათლეტივით ებრძოდა, თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ წაუბორძიკებია ფეხი, სასამართლო სხდომებზე ხან ბრალდადებულად, ხანაც ბრალმდებლად ხშირად გამოსულს ბევრი მტერი დაუმარცხებია, თვითონ კი ყოველთვის დაუხსნია თავი. ცხოვრებაში საყრდენ და მოქმედ იარაღად იგი იყენებდა სიტყვის ძალას; სწორედ და ჭეშმარიტად ამ ძალას, და არა ამ კაცის ბედსა და მფარველ დემონს უნდა მიეწეროს ის, რომ არასოდეს მის ღირსებას ვნება არ მიჰყენებია. ეს დიდი თვისება იყო დამახასიათებელი აგრეთვე არისტოტელე ფილოსოფოსისა, ვისაც სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად დარწმუნების ხელოვნება ამშვენებდა, როგორც ამას გვიამბობს მისი მოღვაწეობის აღმწერელი ანტიპატრე.

3. საყოველთაოდაა აღიარებული ის, რომ კაცის სრულყოფილების მთელი სიმდიდრე ყველაზე მეტად პოლიტიკურ მოღვაწეობაში ვლინდება, ამ მოღვაწეობის არცთუ მცირე შემადგენელ ნაწილად უმრავლესობა შინაური მეურნეობის გაძღოლის უნარს თვლის, რამეთუ სახელმწიფო კერძო ოჯახთა ერთგვარი გაერთიანებაა და ძლიერია მაშინ, როცა ყოველი მოქალაქე თავის პირად ცხოვრებაში აღწევს წარმატებას. ლიკურგემ სპარტიდან გააძევა ვერცხლი, გააძევა ოქრო და მათ მაგიერ შემოიღო ცეცხლში გამომწვარი, უვარგისი რკინისაგან დამზადებული ლითონის ფული, მაგრამ მოქალაქენი ამით საკუთარი მეურნეობის წარმოებისაგან კი არ განურიდებია, არამედ, უბრალოდ, სიმდიდრეს გამოაცალა ყველაფერი ის, რაც იწვევს ფუფუნებას, ვერაგობასა და ვნებათაღელვას, რათა ყველას კეთილად მოეხმარა ის, რაც აუცილებელია და უთუოდ საჭირო. მასავით ხომ არც ერთ კანონმდებელს არ ჰქონდა შეგნებული, რომ მთლად ღარიბ-ღატაკი და უსახლკარო თანამოქალაქე მდიდარსა და გაყოყოჩებულზე რომ ბევრად უფრო საშიშია. ყველაფრით ჩანს, რომ კატონი ისევე შესაშურად უძღვებოდა საკუთარ მეურ-

ნეობას, როგორც სახელმწიფოს საქმეებს. იგი თვითონაც ზრდიდა თავის შემოსავალს და საამისოდ შეკრებილი ბევრი სასარგებლო ცნობის საფუძველზე სხვებსაც ასწავლიდა მეურნეობის გაძღოლასა და მიწის დამუშავებას. არისტიდემ კი თავისი სიღატაკით სამართლიანობას გაუტეხა სახელი, თითქოს ის იყო ოჯახის დამანგრეველი, სიღარიბის წყარო და ყველაზე ნაკლებ სასარგებლო მათთვის, ვინც მას დაუფლებია. ჰესიოდე კი მოგვიწოდებს სწორედ სამართლიანობისა და საკუთარი მეურნეობის მოვლისაკენ და კიცხავს სიზარმაცეს, ვით უსამართლობის სათავეს.[44] კარგად აქვს ჰომეროსს ნათქვამი:

არ მიყვარდა მიწაზე შრომა,
ზრუნვა ოჯახზე, რაც საყვარელ ნაშიერთ გვიზრდის;
საამოდ მიჩნდა: ხომალდები ხოფებიანნი,
ომის ყიჟინა, ისარნი და პრიალა შუბნი.[45]

აქ იმათზეა ლაპარაკი, ვისაც ოჯახზე ხელი აუღიათ და უსამართლობაში ეძებენ სიკეთეს. სამართლიანობა როდია ზეითუნის ზეთი, რომელიც, ექიმთა სიტყვით, გარეგანი ხმარების დროს სხეულისათვის ფრიად სასარგებლოა, მაგრამ შიგნით მიღებისას მეტად საზიანო; სამართლიან კაცს არ შეიძლება მარტო სხვებისათვის მოჰქონდეს სიკეთე და საკუთარ თავსა და საქმეზე არ ზრუნავდეს. არისტიდეს, ეტყობა, ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივმა ჭკუამ უმტყუნა, თუ, როგორც გადმოგვცემენ, მართლაც, არ დატოვა არავითარი თანხა არც თავის დასამარხად და არც ქალიშვილის სამზითვოდ. კატონის ოჯახი თითქმის ოთხი თაობის მანძილზე აძლევს რომს პრეტორებსა და კონსულებს; მისი შვილიშვილები და ამათი შვილები უმაღლეს თანამდებობებს განაგებდნენ. ელინთა შორის ოდესღაც უპირველესი კაცის, არისტიდეს მემკვიდრეები კი უკიდურესმა სიღატაკემ აიძულა, თაღლითური ნუსხებისათვის მიემართათ, ანდა დახმარების გამოსათხოვად საზოგადოებისაკენ გაეშვირათ ხელი და თავისი წინაპრის არც ერთი ბრწყინვალე და სასახელო საქმე არ გაეზომათ გონების თვალით.

4. იქნებ სადაოა ზემოთქმული? სიღარიბე თავისთავად კი არაა სამარცხვინო, არამედ როგორც შედეგი მოშვებულობისა და უუნარობისა; უგუნურებისა და ბედოვლათობისა. გონიერი და გამრჯე, სამართლიანი და მამაცი კაცისათვის კი, ვისაც მთელი თავისი

სიკეთე საზოგადოების სამსახურში ჩაუყენებია, სიღარიბე დიდ-სულოვნებისა და მაღალგონიერების ნიშანია. შეუძლებელია დიდ საქმეთა აღსრულება, თუ მცირეზე ფიქრს გადავყვებით, ვერც მრავალ გაჭირვებულს დავეხმარებით, თუ ბევრი რამ თვითონ გვიჭირს. სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ საიმედო გზა სიმდიდრე კი არაა, არამედ ავტარკია - კმაყოფილება იმით, რაც გაქვს. ვისაც პირად ცხოვრებაში ზედმეტი არა სჭირდება რა, იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში უქნარობას არ გამოიჩენს. არაფერი არ აკლია მხოლოდ ღმერთს! ამიტომ ყველაზე სრულყოფილი და ღვთაებრივი კეთილშობილება ადამიანისა ისაა, რის წყალობითაც მისი მოთხოვნილება უმცირეს დონეზე დადის. როგორც ბუნებით ჯანსაღ სხეულს არ სჭირდება ზედმეტი შესამოსელი და საკვები, ისე გონივრულად მოწყობილი სახლი და ცხოვრება კმაყოფილდება წილნახვედრი შესაძლებლობით. საჭიროა, მოთხოვნილება და საჭიროება შეზომილი იყოს ქონებასთან. თუ კაცი აგროვებს ბევრს და მხოლოდ მცირეს იყენებს, ეს არაა კმაყოფილება იმით, რაც აქვს: ასეთი კაცი ან უგუნურია, რადგან არ იყენებს, რასაც აგროვებს, ანდა საცოდავია, თუ სიძუნწის გამო თავს იზღუდავს, დატკბეს შენაძენით. თვითონ კატონს მე ხალისით ვკითხავდი შემდეგს: „თუ სიმდიდრით დატკბობა დასაძრახი არაა, რატომ მოგაქვს თავი იმით, რომ ბევრი ქონების პატრონი მოზომილად ცხოვრობ? თუ მშვენიერია, - და მართლაც მშვენიერია! - კაცი ჭამდეს პურს, როგორსაც კი მოიხელთებს, სვამდეს ისეთსავე ღვინოს, როგორსაც მისი მუშები და მსახურები სვამენ, არ სჭირდებოდეს ძოწეულის სამოსი და შეთეთრებული სახლი, მაშინ, გამოდის, არაფრით არ იყო უმართებულო საქციელი არისტიდესი და ეპამინონდასი, მანიუს კურიუსისა და გაიუს ფაბრიციუსისა, რომლებმაც ხალისით დათმეს ქონება, რომელსაც თალგამი საუკეთესო საჭმელად მიაჩნია და საკუთარი ხელით ხარშავს მას, ხოლო მისი ცოლი ფქვილსა ზელს, არ ატეხს ყაყანს ერთი ასსარიუსის გამო და არ მოჰყვება ჭკუის სწავლებას, თუ რა გზით შეიძლება მალიად გამდიდრება. დიდი საქმეა უბრალოება და კმაყოფილება იმით, რაც გაქვს, რადგან ამით ბოლო ეღება ზედმეტისაკენ მისწრაფებას და მასზე ფიქრს. კალიასის საქმეზე გამოსულმა არისტიდემ ფუჭად როდი თქვა: „სიღარიბისა იმას უნდა რცხვენოდეს, ვინც იძულებითაა ღარიბი, ხოლო ვინც ჩემსავით თავისი ნებითაა ღატაკი, ქების ღირსია“.

სასაცილოა, ვიფიქროთ, არისტიდეს სიღარიბის მიზეზი გულგრილობა და დაუდევრობა იყო. მას ძალუძდა გამდიდრებულიყო ისე, რომ არაფერი სამარცხვინო არ ჩაედინა; ვთქვათ, აეყარა იარაღი ვინმე ბარბაროსისათვის, ანდა მიესაკუთრებინა მტრის თუნდაც ერთი კარავი. აი ყველაფერი, რაც უნდა გვეთქვა ხსენებულ ამბავთა გამო.

5. კატონის წინამძღოლობით შესრულებულ საომარ მოქმედებებს დიდი არაფერი შეუმატებიათ უკვე აღსრულებული დიდი სამხედრო წარმატებებისათვის. არისტიდეს საბრძოლო საქმეთა შორის კი უმშვენიერესი, უბრწყინვალესი და უპირველესი საქმენია საბერძნეთის ისტორიისა. მარათონი, სალამინი და პლატეა. ანტიოქე ვერაფრით ვერ შეედრება ქსერქსეს და ვერც ესპანეთის ქალაქთა კედლების დანგრევა გაუტოლდება ზღვასა და ხმელეთზე ელინთაგან ათი ათასობით შემუსრულ მტერს. ამ ბრძოლებში არისტიდე თავისი საქმით არავის არაფერს უთმობდა, მაგრამ სახელსა და გვირგვინებს, ფულსა და სხვა სიმდიდრეს სრული გულგრილობით უტოვებდა მათ, ვისაც მხოლოდ ეს სჭირდებოდათ და რომელთაგან თვითონ მკვეთრად გამოირჩეოდა. მე არ ვკიცხავ კატონს იმის გამო, რომ მუდამ განადიდებს და ყველაზე წინ აყენებს საკუთარ თავს, თუმცაღა ერთ თავის სიტყვაში თვითონ ამბობს: უაზრობაა საკუთარი თავის ქებაც და კიცხვაცო. მე მგონი, სრულყოფილებასთან ისაა ახლოს, ვისაც სხვებისაგანაც კი არ სჭირდება ქება დიდება, არათუ საკუთარი თავისაგან. თავმდაბლობა და მოკრძალება არცთუ უმნიშვნელო გზაა პოლიტიკურ მოღვაწეობაში სათნოების დამკვიდრებისა, პატივმოყვარეობა კი ბოროტებისა და შურის დაუშრეტელი წყაროა. არისტიდე ახლოს არ იკარებდა პატივმოყვარეობას, კატონი კი მთლიანად ეძლეოდა მას. არისტიდე დიად საქმეებში მხარს უჭერდა ხოლმე თემისტოკლეს, ერთგვარად მისი დამცველიც კი იყო და ამით დაიხსნა კიდეც ათენი, მაშინ როცა კატონი დაუპირისპირდა სციპიონს და კინაღამ შეაბრუნა და ჩაშალა მისი ლაშქრობა კართაგენის წინააღმდეგ, არადა სწორედ ამ ლაშქრობით დაამარცხა სციპიონმა უძლეველი ჰანიბალი. კატონმა მანამდე არ შეწყვიტა სციპიონის წინააღმდეგ ეჭვების აღძვრა და ბეზღება, სანამ იგი რომიდან არ გააძევა, ხოლო მისი ძმა სამარცხვინო ქურდობისათვის სამართალში არ მისცა.

6. თავდაჭერილობა, რაც კატონმა თავის სიტყვებში მრავალგ-

ზის შეამკო მშვენიერი ხოტბით, არისტიდემ ბოლომდე ხელშეუხებლად და ნამდვილად შეუბილწავად შეინარჩუნა, თვითონ კატონმა კი არცთუ მცირე და უმნიშვნელო საყვედურის საგანი გახადა თავისი ღირსებისა და თავისი ასაკისათვის შეუფერებელი ქორწინების მიზეზით. მოხუცსა და ასეთ ასაკს მიღწეულ კაცს ნამდვილად არ ეკადრებოდა დაქორწინებულიყო იმ კაცის ასულზე, ვინც მისი მსახური იყო და სახელმწიფოსაგან ჯამაგირს იღებდა. კატონმა დედინაცვალი დაუსვა თავის ვაჟსა და რძალს; და ეს ჩაიდინა ან პირადი სიამოვნებისათვის, ანდა თავისი სატრფოს დასაცავად დაატეხა რისხვა საკუთარ შვილს. ასეა თუ ისე, საქმეცა და მისი საბაბიც – ორივე სამარცხვინო ჩანს. ის დამცინავი განმარტება, შვილს რომ მისცა, არ იყო გულწრფელი. თუ მაინცდამაინც სურდა, უფროსი ვაჟის სადარი შვილები გაეჩინა, ამაზე თავიდანვე უნდა ეფიქრა და კეთილშობილი ქალი შეერთო და არ უნდა გაება ხასასთან მალულად წოლა, ხოლო როცა ეს საქმე გამჟღავნდა, სიმამრად არ უნდა გაეხადა სულ ადვილად დასაყოლიებელი კაცი და მასთან მოყვრობა სახარბიელო საქმედ არ უნდა მიეჩნია.

შენიშვნები

თემისტოკლე

1. ფ რ ე ა რ ე – ატიკის ერთი ნაწილი ლეოტისის მხარეში.

2. ათენის კანონიერ მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც დედითაც და მამითაც ათენელი იყო.

3. თემისტოკლეს დედის ეს სიტყვები პლუტარქეს მოაქვს ამფიკრატე პოეტის ჩვენამდე მოულწეველი პოემიდან „გამოჩენილ ვაჟკაცთათვის".

4. ლეგენდარული გმირის ჰერაკლეს მამა ზევსი იყო, დედა კი – მოკვდავი ქალი ალკმენე.

5. ფ ლ ი ე – ქალაქი ატიკაში, კეკროპისის დემში.

6. ს ტ ე ს ი მ ბ რ ო ტ ე თ ა ს ო ს ე ლ ი – ძვ. წ. V საუკუნის მწერალი.

7. „ფიზიკოსს" ძველი ბერძნები უწოდებდნენ იმ ფილოსოფოსს, რომელიც ბუნებასა და მის მოვლენებს იკვლევდა (ბერძნ. ფისის – ბუნება).

8. ბერძნ. სოფია – სიბრძნე.

9. პ ლ ა ტ ო ნ ი, „კანონები" IV, 706.

10. ტროას ციკლის თქმულებათა თანახმად, ბერძნებმა ოდისევსის შეგონებით უზარმაზარი ხის ცხენი ააგეს და მის მუცელში რჩეული აქაველი მეომრები შესხეს. ტროელებმა ეს ხის ცხენი ქალაქში შეიტანეს. ღამით ცხენის მუცლიდან ბერძნები გამოხდნენ, ტროას ციხესიმაგრე აიღეს და დაარბიეს.

11. ჰ ე რ მ ი ო ნ ე – სანაპირო ქალაქი არგოლიდაში.

12. მდიდარი პირები ღარიბ მოქალაქეებს უფასო ლხინს უმართავდნენ ოლიმპიურ თუ სხვა პანელინურ დღეობაზე.

13. ათენში მდიდარ მოქალაქეებს შეწერილი ჰქონდათ ლიტურგიის (სამსახურის) გადასახადი. ლიტურგიის მთავარი სახეები იყო: ტრიერარქია – „სამხედრო ხომალდთა აღჭურვა"; ქორეგია – გუნდის (ქოროსს) მომზადება ტრაგიკული აგონის (ე. ი. ტრაგედიების წარმოდგენათა) და მუსიკალური შეჯირეებებისათვის; გიმნასიარქია – გიმნასტურ შეჯიბრებათა მოწყობა. ლიტურგიაში გამარჯვებულ მდიდარ და წარჩინებულ მოქალაქეს გვირგვინით აჯილდოებდნენ. გამარჯვებული პირი დიონისე ღმერთის ტაძარში თავისი გამარჯვების აღმნუსხველ დაფას დგამდა. თემისტოკლეს ასეთი დაფა დაუდგამს ძვ. წ. 476 წელს.

14. ფ რ ი ნ ი ქ ე – ბერძენი ტრაგიკოსი, ესქილეს უფროსი თანამედროვე.

15. ს ე მ ო ნ ი დ ე კ ე ო ს ე ლ ი - ქორიკული (საგუნდო) ლირიკის ერთ ერთი კლასიკოსი; მოღვაწეობდა ძვ. წ. VI ს ში.

16. იხ. პ ლ უ ტ ა რ ქ ე, „არისტიდე“ VII. ო ს ტ რ ა კ ი მ ო ს ი - თიხის ფირფიტებზე აღნუსხული კენჭისყრით ბრალდებულის გაძევება პოლისიდან.

17. იგულისხმება სპარსთა ლაშქრობა ქსერქსეს წინამძღოლობით ძვ. წ. 480 წ. ათენში სტრატეგოსთა კოლეგიას ირჩევდნენ ათი კაცის შემადგენლობით (თითო კაცს ყოველი ფილედან).

18. ძ ე ლ ე - მცირე აზიის ქალაქი კაპადოკიასა და შავ ზღვას შორის.

19. ქ ი ლ ე ო ს ი იყო არკადიის ქალაქ ტეგეედან. მან დაარწმუნა ლაკედემონიელები, შეერთებოდნენ ათენელებს სპარსებთან საომრად.

20. ტ ე მ პ ე - ხეობა თესალიაში ოლიმპოსა და ოსას მთათა შორის, მდინარე პენეოსის გასწვრივ.

21. ა რ ტ ე მ ი ს ი ო ნ ი - ევბეის კონცხი (აწინდელი ეგრიბი), ძვ. წ. 480 წელს აქ მოხდა პირველი საზღვაო ბრძოლა ბერძენთა და მომხდურ სპარსთა შორის.

22. ა ფ ე ტ ე, ნავსადგური თესალიის სამხ. ნაწილში. აქედან გამოემგზავრა „არგო“ კოლხეთისაკენ.

23. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, VIII, 4.

24. ტ რ ი ე რ ა რ ქ ი - სამხედრო ხომალდის მეთაური; წმიდა ხომალდი - სახაზო, სახელმწიფო სარიტუალო დანიშნულების ხომალდი.

25. პ ე ა ნ ი - გამარჯვების სიმღერა.

26. ჰ ე ს ტ ი ე ა - ევბეის ჩრდ. სანაპირო ქალაქი.

27. ო ლ ი ძ ო ნ ი - ქალაქი მაგნეზიის სანაპიროზე (მც. აზიაში).

28. ამ ელეგიურ ლექსს ანუ ეპიგრამას ანტიკური ტრადიცია ძვ. წ. VI საუკუნის ქორიკოს პოეტს, სემონიდე კეოსელს, მიაწერს.

29. თ ე რ მ ო პ ი ლ ე - თესალიიდან ცენტრალურ ელადაში ერთადერთი შესასვლელი ხეობა, სადაც ძვ. წ. 480 წელს სპარტელი სარდალი ლეონიდა სამასი ვაჟკაცით დაუხვდა მომხდურ სპარსთა მრავალრიცხოვან ჯარს.

30. ათენი იონიელთა ქალაქების მეტროპოლიად ითვლებოდა; მაგრამ სპარსელებმა მცირე აზიელი ბერძნები და, უწინარეს ყოვლისა, იონიელები თავიანთ მონაწილედ გაიხადეს.

31. თემისტოკლე თავის მოწოდებაში იონიელ ბერძნებს ასე მიმართავდა: „თქვენ უმართებულოდ იქცევით, როცა ებრძვით თქვენსავე ძმებსა და მამებს და მტერს ეხმარებით მშობლიური ელადის დამონებაში. გადმოდით

ჩვენთან; ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, დაბრუნდით უკან თქვენს სახლებში და თანვე წაიყვანეთ კარიელებიც. მაგრამ უკეთუ ბარბაროსთა უღელი ისე მაგრად გბოჭავთ, რომ არც ერთის და არც მეორის გაკეთება არ შეგიძლიათ, მაშინ, მაინცდამაინც თავგამოდებით ნუ შეგვებრძოლებით ჩვენ, თქვენს ძმებსა და ნათესავებს!" თემისტოკლე ამბობდა: თუ გადმოვლენ ჩვენკენ იონიელები, ხომ კარგი, თუ არადა, ამ წინადადებათა წაკითხვისას სპარსები ხომ მაინც უნდო თვალით დაუწყებენ მათ ცქერას... (იხ. ლ. სანიკიძე, სამას სამასი. თბილისი, 1971 წ. გვ. 40 48).

32. ი ს თ მ ო ს ი - კორინთოს ვიწრო ყელი - ცენტრალური საბერძნეთიდან პელოპონესზე გადასასვლელი.

33. იგულისხმება ტრაგიკოს ევრიპიდეს მიერ შემოღებული დრამატული ხერხი დეუხ ეხ მაკჰინა: მეტად დახლართული კვანძის გამოსახსნელად ტრაგედიის ფინალურ ნაწილში თეატრალური ამწევი მანქანით სცენის ზემო მონაკვეთში გამოჰყავდათ რომელიმე ღვთაება.

34. აკროპოლისზე, ღმერთქალ ათენას ტაძარში, მუდამ ჰყავდათ წმიდად შერაცხული გველი, რომელიც მკვიდრი გმირის, ერიხთონიოსის სულს განასახიერებდა.

35. ამ მისნობას იმოწმებს ჰეროდოტე: „აქ ყველაფერს დაიმორჩილებენ, რასაც კი მოიცავს კეკროპის მთა და ღვთაებრივი კითერონის ჭალა, მაგრამ ყოვლისმხედველი ზევსი ტრიტოგენეას (ღმერთქალ ათენას) მისცემს ხის ზღუდეს, რომელიც გადაურჩება დანგრევას... ღვთაებრივო სალამინო, შენ დაღუპავ ქალების ნაშობთ..." (ჰეროდოტე, VII, 141; იხ. აგრეთვე, VII, 142, 143, 144).

36. ტ რ ო ი ძ ე ნ ე - ქალაქი არგოლიდაში.

37. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება" 23, 1.

38. კ ლ ი დ ე მ ე ანუ კ ლ ი ტ ო დ ე მ ე „ატიკის ისტორიის" ავტორი.

39. იგულისხმება ღმერთქალ ათენას ქანდაკება, რომელიც ათენელებმა თან წაიღეს. გორგო ანუ გორგონა მედუზა, რომელსაც თავზე, თმების ნაცვლად, გველები ესხა.

40. იგულისხმება კუნძული სალამინი.

41. ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს „ისტორიაში" თემისტოკლე პირდაპირ ასახელებს იტალიის ქალაქს - სირისს (VIII, 62).

42. ტ ე ვ თ ი დ ე ბ ი - ზღვის მცირე თევზები, რომელთაც წაწვეტებულ რქაში მღებავი სითხე აქვთ. ერეტრიის მონეტებზე მათი გამოსახულება იყო აღბეჭდილი.

43. ბუ ქალაქ ათენის მფარველი, ღმერთქალის - ათენასადმი შეწირული ფრინველი იყო. მისი მარჯვენა მხრიდან შემოფრენა კეთილი ამბის მაუწყებლად ითვლებოდა.

44. სიკინეს სპარსობა საეჭვოა. ეტყობა, პლუტარქე რომელიღაც არასწორ წყაროს ეყრდნობოდა (შდრ. ჰეროდოტე VIII, 75).

45. კუნძულები: სალამინი, ფსიტალია, კეოსი, ეგინა, კინოსურა.

46. ტ ე ნ ო ს ი - კიკლადთაგანი კუნძული.

47. ფ ა ნ ო დ ე მ ე - პლუტარქეს თანამედროვე ისტორიკოსი, „ატიკის ისტორიის" ავტორი ანუ ატიდოგრაფოსი.

48. „რ ქ ე ბ ი" - „კერატა" - მთაგრეხილი ატიკისა და მეგარიდის საზღვრის გასწვრივ.

49. „ო მ ე ს ტ ე ს" - „უმი ხორცის მჭამელი", „უმოწყალო", „მძვინვარე".

50. ე ს ქ ი ლ ე, „სპარსები" 341. ტრაგიკოსი ესქილე სალამინის ბრძოლის მონაწილე იყო.

51. დეკელი და პედივია ცენტრალური საბერძნეთის (ატიკის) დემებია (ათენის მახლობლად). ამინია დეკელიელი იყო ტრაგიკოს პოეტის ესქილეს ძმა.

52. ა რ ტ ე მ ი ს ი ა - ლიგდამისის ასული, ჰალიკარნასის დედოფალი, რომლის ამბავს ჰეროდოტე გადმოგვცემს („ისტორიის" VII და VIII წიგნებში). იგი არ უნდა ავურიოთ კარიის დედოფალში (შდრ. Плутарх, Сравнительные жизнеописания, I, М., 1961. Примечания: стр. 486, 37).

53. თ რ ი ა ს ი ო ნ ი ს ვ ე ლ ი - ატიკის დაბლობი ათენსა და ელევსინს შორის.

54. ი ა კ ხ ო ს ი - ღმერთ დიონისე ბაკქოსის (ბახუსის) საკულტო მისტიკური ზედწოდება.

55. ე ა კ ი დ ე ბ ი - ეგინას მკვიდრი გმირები, ეაკოსის (ეაკეს) ჩამომავალნი: პელევსი, ტელამონი, აქილევსი, აიანტი (აიაქსი).

56. იგულისხმება ხომალდის ცხვირის მორთულობა.

57. ს ი მ ო ნ ი დ ე კ ე ო ს ე ლ ი - ლირიკოსი პოეტი.

58. სალამინის ბრძოლა, რომელშიც ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მოხდა 75 ე ოლიმპიადის პირველ წელს (ე. ი. 480 წელს) ბოედრომიონის თვის 20 რიცხვში (დაახლ. 23 სექტემბერს). ქსერქსემ აქ დაკარგა 200 ხომალდი და 50.000 მეზღვაური.

59. პ ლ ა ტ ე ა - ქალაქი სამხრეთ ბეოტიაში.

60. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, VIII, 93.

61. ს ე რ ი ფ ო ს ი - კუნძული ეგეოსის ზღვაში, კიკლადთაგანი.

62. ე ფ ო რ ე ბ ი – სახელმწიფოს სამმართველო ორგანოების წარმომადგენლები.

63. პ ი რ ე ვ ს ი (პირეევსი) – ათენის ნავსადგური.

64. პ ი რ ე ვ ს ი ს ნ ა ვ ს ა დ გ ო მ ე ბ ი: აფროდისიონი, კანთაროსი და ძეა.

65. ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე – კომედია „მხედრები" 812.

66. პ ნ ი ქ ს ე – ბორცვი ათენის აკროპოლისის დასავლეთით, სადაც სახალხო კრებები იმართებოდა.

67. ო ც დ ა ა თ ი ტ ი რ ა ნ ი – პელოპონესის ომის შემდეგ ათენის სახელმწიფო მმართველები (ძვ. წ. 404 წლიდან 8 თვის მანძილზე).

68. პ ა გ ა ს ე – მაგნეზიის სანავსადგურო ქალაქი.

69. ა მ ფ ი კ ტ ი ო ნ ი ა – ბერძნულ სახელმწიფოთა კავშირი.

70. პ ი ლ ა გ ო რ ე ბ ი – ამფიკტიონიის დელეგატები თერმოპილში.

71. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, XVIII, 111. ანდროსი – კუნძული ეგეოსის ზღვაში – კიკლადთაგანი.

72. ტ ი მ ო კ რ ე ო ნ ტ ი – ძვ. წ. IV საუკუნის ლირიკოსი პოეტი.

73. პ ა ვ ს ა ნ ი ა, ქ ს ა ნ თ ი პ ე, ლ ე ვ ტ ი ქ ი დ ა – ძვ. წ. 479 წ. პლატეასა და მიკალეს კონცხთან გამართულ ბრძოლებში გამარჯვებულნი.

74. ლ ა ტ ო ლ ე ტ ო – ღმერთქალი, აპოლონისა და არტემიდეს დედა.

75. მ ე ლ ი ტ ე – ატიკის დემთაგანი კეკროპისში (ათენის ერთ მონაკვეთში).

76. მ ო ლ ო ს ე ბ ი – ტომი, ეპირში.

77. მ ე ო რ ე (სხვა) ზ ღ ვ ა – ე გ ე ო ს ი ს ზ ღ ვ ა; პიდნა – მაკედონიის ქალაქი.

78. კ უ მ ე – ეოლიის ზღვისპირა ქალაქი.

79. ე რ გ ო ტ ე ლ ე და პ ი თ ო დ ო რ ე თემისტოკლეს პოლიტიკური მტრები იყვნენ.

80. თ უ კ ი დ ი დ ე, I, 137.

81. ე ფ ო რ ო ს ი, დ ი ნ ო ნ ი, კ ლ ი ტ ა რ ქ ე, ჰ ე რ ა კ ლ ი დ ე კ უ მ ე ლ ი – ძვ. წ. V IV საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსები, რომლებიც ბერძნებისა და სპარსთა ომის თაობაზე წერდნენ.

82. აქ იგულისხმება ე. წ. პროსკინესისი – აღმოსავლეთ ქვეყნების დესპოტების წინაშე ქვეშევრდომთა მიწაზე განრთხმა.

83. ე რ ე ტ რ ი ა – ევბეის ქალაქთაგანი.

84. დ ო დ ო ნ ე – ეპირის ქალაქი ზევსის ტაძრით.

85. ა რ ი მ ა ნ ი ო ს ი - (არიმანი) - წყვდიადისა და ბოროტების სპარსული ღვთაება.

86. თემისტოკლე აქ მეფესთან თარჯიმნის მეშვეობით ურთიერთობას გულისხმობს. მისი აზრით, თარჯიმნის მეშვეობით საუბარი სინამდვილეს ვერ გადმოსცემს.

87. დ ე მ ა რ ტ ე - სპარტიდან ლტოლვილი მეფე, რომელმაც თავი სპარსებს შეაფარა.

88. კ ი ტ ა რ ი ს ი ანუ კ ი დ ა რ ი ს ი - ტიარა, ძველ აღმოსავლეთში მეფეთა მაღალი, წვეტიანი თავსაბურავი.

89. ლ ე ო ნ ტ ო კ ე ფ ა ლ ო ს ი - „ლომის თავი".

90. დ ი ნ დ ი მ ე ნ ე - მც. აზიური ღვთაება, ღმერთთა „დიდი დედა", კიბელე (კიბებე)

91. ხარის სისხლი მომაკვდინებელ შხამად მიაჩნდათ.

92. პ ლ ა ტ ო ნ ი. „მენონი" 93დ.

93. თ უ კ ი დ ი დ ე, I, 138.

94. ა ნ დ ო კ ი დ ე, გამოჩენილი ათენელი ორატორი.

95. ფ ი ლ ა რ ქ ე, ძვ. წ. III ს ის ბერძენი ისტორიკოსი.

96. კ ო მ ი კ ო ს ი პ ლ ა ტ ო ნ ი - არისტოფანეს თანამედროვე ათენელი კომედიოგრაფოსი.

97. ა მ ო ნ ი ო ს ი - პერიპატეტიკოსი, პლუტარქეს მასწავლებელი ფილოსოფოსი.

კ ა მ ი ლ უ ს ი

1. მარკუს ფურიუს კამილუსის (გარდ. ძვ. წ. 364 წელს) - პატრიციული წარმომავლობის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის შესახებ ცნობები დაცული აქვთ ანტიკური ხანის სხვა ავტორებსაც (ტიტუს ლივიუსს, დიოდორე სიცილიელს, ევტროპიუსს, სვეტონიუსს...).

2. რომის პირველ დამფუძნებლად რომულუსია აღიარებული.

3. ძვ. წ. 431 წელს. ექვები და ვოლსკები - ძველიტალიური ტომები.

4. ვ ე ი - ტირენიის ანუ ეტრურიის უძველესი ქალაქთაგანი, რომელიც რომს დაუმორჩილა კამილუსმა ძვ. წ. 396 წელს.

5. კამილუსის მეთაურად არჩევის თარიღია ძვ. წ. 396 წელი.

6. ფ ა ლ ე რ ე და კ ა პ ე ნ ა - ეტრურიის ქალაქები.

7. ღმერთ აპოლონის სახელით დელფოში მისნობას იძლეოდა ქურუმი ქალი პითია.

8. ლ ა თ ი ნ უ რ ი ზ ე ი მ ი - ლაციუმის ქალაქთა კავშირის მიერ ყოველწლიურად გამართული ზეიმი იუპიტერის პატივსაცემად.

9. ძვ. წ. 396 წელს.

10. დ ე დ ა მ ა ტ უ ტ ა - ძველიტალიური ღვთაება, განთიადის ღმერთქალი, რომელიც მერმე ბერძნულ ლევკოთეას (ინოს) გაუთანაბრეს.

11. ბეოტიის გამგებლებმა ათამანტმა და მისმა მეუღლე ინომ გამოზარდეს დიონისე. ამის გამო ჰერამ ისინი ჭკუიდან შეშალა: ათამანტმა ერთი თავისი ვაჟთაგანი მოკლა, ხოლო ინო მეორესთან (მელიკერტესთან) ერთად ზღვაში გადავარდა. ინო პოსეიდონმა შეიფარა და ღმერთქალ ლევკოთეად აქცია. სხვა ვერსიით, ინომ თვითონ მოკლა საკუთარი ვაჟი ათამანტზე ეჭვიანობის გამო.

12. ბერძ.: ჰე დ ევლაბეია კაი მედენ აგან არისტონ; ლათ.: ne quis nimis.

13. კ რ ა ტ ე რ ი - ღვინისა და წყლის შესაზავებელი თასი.

14. ტ ა ლ ა ნ ტ ი - ფულისა და წონის მსხვილი ერთეული. 1 ტალანტი = დაახ. 26 კგ.

15. იხ. „ილიადა“ I, 233 და შმდგ.

16. ა ს ა რ ი ო ნ ი = ლათინური ფულის ერთეული ასს.

17. დ ე ნ ა რ ი უ ს ი - „ათის შემცველი“ (1 ბერძ. დრაქმა).

18. ი კ ი თ ხ ვ ი ს ე ბ ი: Celterion] Celton Br. Celtiberon C[1].

19. ტერმინი „ტირენელი“ იგივეა, რაც - „ეტრუსკი“.

20. ძვ. წ. 477 წელს.

21. გამოანგარიშებით ეს ამბავი უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 390 წლის 18 ივლისს.

ბერძ. ჰე აპოფრას ჰემერა (dies nefastus).

22. ჰ ე ს ი ო დ ე, „სამუშაონი და დღენი“, 760 შმდგ.

23. პლუტარქეს თხზულება „დღეთათვის“, რომელიც „ეთიკაში“ შედიოდა, არ შემონახულა.

24. თვეთა ძველბერძნული სახელებია: ჰიპოდრომიონი, ბოედრომიონი, თარგელიონი...

25. „მ ე ფ ე“ = „დიდი მეფე“ - სპარსთა მეფე.

26. კ რ ა ნ ო ნ ი - თესალიის ქალაქი.

27. იგულისხმება ღმერთქალ დემეტრესადმი მიძღვნილი ელევსინის მისტერიები.

28. პ ლ უ ტ ა რ ქ ე, „რომაული ძიებები“, XXXV.

29. რომ. ვ ე ს ტ ა ბერძნ. ჰ ე ს ტ ი ა - კერის მფარველი ღმერთქალი.

30. იგულისხმება ვესტას ტაძრის მსახური ქალიშვილები, ე. წ. „ვესტალები“ (Vესტალეს).

---

1 Br. = Bryanus. C = Coraes.) ბიტურინგები?!

31. პალადიუმი (ბერძნ. „პალადიონი“) - ღმერთქალ ათენას გამოსახულება, რომელიც თითქოს ზეციდან ჩამოვარდა ტროას ქალაქში ვით სიმბოლო მარადიული უძლეველობისა.

32. კოლინის ჭიშკარი - Porta Collina - „ბორცვის ჭიშკარი“, რომის შვიდ ბორცვთაგანის - კვირინალის ჭიშკარი.

33. ქალაქ რომის დაფუძნება, ანტიკური ტრადიციით, ძვ. წ. 390 წელს უნდა მომხდარიყო.

34. ა რ დ ე ა - ქალაქი რომის მახლობლად.

35. „ს ე მ ი ლ ი ბ ე რ ი“ = დაახ. 136 გრამს; კუტილე – დიახ. 0,27 ლიტრს.

36. ბერძ. ნენიკემენოის ოდინე ლათ. Vae victis! - „ვაი უბედურება დამარცხებულთ!“

37. ლათ. lituus - „ავგურთა (მისანთა) კვერთხი“.

38. ნ ო ნ ე ბ ი (nonnae) - რომაული თვის მეშვიდე ან მეცხრე დღე.

39. იხ. პლუტარქე, „რომულუსი“, 27.

40. ძვ. წ. 384 წელს.

41. მ ო ნ ე ტ ა - ღმერთქალ იუნოს ეპითეტი, რომელიც „კეთილ მრჩეველს“ აღნიშნავს. სიტყვა მომდინარეობს ზმნისაგან moneo („ვურჩევ“, „ვაქეზებ“). ღმერთქალ მონეტას ტაძარში მზადდებოდა ლითონის ფული. აქედანაა ამ ფულის სახელიც - „მონეტა“.

42. ძვ. წ. 381 წელს.

43. ძვ. წ. 368 წელს.

44. ე. ი. 50.000 დენარიუსით.

45. ე. ი. დიქტატორის თანაშემწედ.

46. ი უ გ ე რ უ მ ი - 2.500 კვ. მეტრი.

47. ძვ. წ. 367 წელს.

48. უფრო ზუსტად: ოცდასამი წლის შემდეგ.

49. თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს ტ ა ძ ა რ ი - ბერძნ. „ჰომონოია“, ლათ. „კონკორდია“.

50. ძვ. წ. 365 წელს.

ლ უ კ უ ლ უ ს ი

1. სრული სახელია: ლ უ ც ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს ლ უ კ უ ლ უ ს ი (ძვ. წ. 106-56).

2. იგულისხმება ლათინური და ბერძნული ენები.

3. იხ. კეისრის ცხოვრება, შენ. 1.

4. კ ვ ი ნ ტ უ ს ჰ ო რ ტ ე ნ ზ ი უ ს ი (ძვ. წ.114-59) - ციცერონის მეტოქე ორატორი.

ლ უ ც ი უ ს ს ი ზ ე ნ ა - სულას თანამედროვე ისტორიკოსი.

5. მარსების ომის (bellum marsicum) სახელით ცნობილია იტალიკების სერთო აჯანყება ანუ მოკავშირეთა ომი (ძვ. წ.91-88).

6. ე დ ი ლ ი - თანამდებობის პირი რომში. სულ იყო ოთხი ედილი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ საჯარო სახლებს, იცავდნენ წესრიგს ბაზარსა და თეატრში და ქალაქის კეთილმოწყობაზეც ზრუნავდნენ.

7. ე. ი. მითრიდატემ.

8. დ ი კ რ ო ტ ო ს ი - ხომალდი, რომელსაც ორ რიგზე გამწკრივებული ხოფები აქვს.

9. კ ვ ი რ ე ნ ე - აფრიკის ბერძნული ქალაქი.

10. სამოსი მეფე მითრიდატეს მოკავშირე კუნძული იყო.

11. პ ი ტ ა ნ ე - ტროადის ქალაქი.

12. გ ა ი უ ს ფ ლ ა ვ ი უ ს ფ ი მ ბ რ ი ა - რომაელთა სარდალი, რომელიც მითრიდატეს ებრძოდა.

13. იგულისხმება კონსული ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი.

14. ტ ე ნ ე დ ო ს ი - კუნძული ეგეოსის ზღვაში.

15. ნ ე ო პ ტ ო ლ ე მ ე - მითრიდატეს სარდალი.

16. ხ ე რ ო ნ ე ს ო ს ი ანუ ხ ე რ ს ო ნ ე ს ო ს ი - ნახევარკუნძული ჰელესპონტთან.

17. პირველი ზავი მითრიდატესა და რომაელებს შორის შეიკრა ძვ. წ. 85 წელს.

18. ე ვ ქ ს ი ნ ი ს პ ო ნ ტ ო - შავი ზღვა.

19. მიტილენე - ქალაქი კუნძულ ლესბოსზე. მიტილენელები მითრიდატეს წინააღმდეგ გამართულ საომარ კამპანიაში მხარს უჭერდნენ მხედრებისა (ექვიტების) და პოპულარების ბელადს გაიუს მარიუს უფროსს (ძვ. წ. 156-86), რომელიც სულას დაუძინებელი მტერი იყო. სულასა და მარიუსის მეტოქეობა დაკავშირებული იყო საომარი კამპანიის წინამძღოლობის საკითხთან. მიტილენელებმა უღალატეს რომაელებს და მარიუსის კოლეგა მანიუს აკვილიუსი, რომელმაც თავი მათ ქალაქს შეაფარა, მითრიდატეს გადასცეს. მითრიდატემ მანიუსი სასტიკად აწამა.

20. ე ლ ე ა - მიტილენეს პირდაპირ მდებარე მცირე აზიის ქალაქი.

21. ეს სამოცდამეთექვსმეტე ოლიმპიადა ხვდება ძვ. წ. 73-72 წლებს.

22. კვინტუს სერტორიუსის წინააღმდეგ საბრძოლველად მივლინებული იყო პომპეუსი.

23. პ უ ბ ლ ი უ ს ც ე თ ე გ უ ს ი - პრეტორი.

ლ უ ც ი უ ს კ ვ ი ნ კ ც ი უ ს ი - სახალხო ტრიბუნი.

24. კ ვ ი ნ ტ უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს მ ე ტ ე ლ უ ს პ ი უ ს ი -

კონსული. ებრძოდა სერტორიუსს ესპანეთში, სანამ სარდლად პომპეუსს დანიშნავდნენ.

25. ბ ი თ ვ ი ნ ი ა - რომის პროვინცია მცირე აზიაში. ბითვინიის საქმე მითრიდატესთან მესამე ომის (ძვ. წ.74-64) საბაბად შეიქნა. სერტორიუსსა და მეკობრეებთან კავშირის დადების შემდეგ პონტოს მეფე მითრიდატემ ხელთ იგდო ბითვინია და კაპადოკია. სერიოზული მდგომარეობის გამო აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს კონსულები - ლუკულუსი და ავრელიუს კოტა.

26. ჰ ა რ პ ი ე ბ ი - მით. მტაცებელი ფრთოსნები - გოგოჩიტები.

27. ქ ა ლ კ ე დ ო ნ ი - ბითვინიის ქალაქი.

28. ისტორიკოსი ა პ ი ა ნ ე ამ პირს ვარიუსის სახელით მოიხსენიებს.

29. იგულისხმება კიზიკოსი (ქალაქი პროპონტიდაში).

30. ფ ე რ ე ფ ა ტ ი ე ბ ი - საიქიოს ღმერთქალ პერსეფონესადმი მიძღვნილი დღესასწაული.

31. „სალამურზე დამკვრელი ლიბიელი" - ნოტოსი ანუ სამხრეთის ქარი. „პონტოელი მებუკე" - ჩრდილოეთის ქარი ანუ მითრიდატეს მიერ კიზიკოსელთა ქალაქის დასანგრევად ჩამწკრივებული საალყო მანქანები.

32. რ ი ნ დ ა კ ო ს ი - ბითვინიის მდინარე, ერთვის პონტოს.

33. ა პ ო ლ ო ნ ი ა - მილეტელების კოლონია თრაკიაში პონტოს სანაპიროზე.

34. გ ა ი უ ს ს ა ლ უ ს ტ ი უ ს კ რ ი ს პ უ ს ი - რომაელი ისტორიკოსი (ძვ. წ.86-65).

35. ნ ა ვ ა რ ქ ო ს ი - ფლოტის მეთაური.

36. პ ე ნ ტ ე რ ე ს ი - ხუთ რიგზე ჩამწკრივებული ხოფებიანი ხომალდი.

37. ნ ი კ ო მ ე დ ი ა - ბითვინიის ქალაქი.

38. ს ა მ ო თ რ ა კ ი - ეგეოსის ზღვის კუნძული, სახელგანთქმული ჰეფესტოს ხელქვეით ღვთაებათაბ ე. წ. კაბირთა მისტერიებით.

39. ა რ ტ ე მ ი დ ე - რომაელთა დიანა, ზევსისა და ლეტოს (ლატონას) ასული, ნადირობისა და მთვარის ღმერთქალი.

პ რ ი ა პ ო ს ი - მიზიის ქალაქი, სადაც არტემიდეს ტაძარი იყო.

40. თ ე მ ი ს კ ი რ ა - ქალაქი მდინარე თერმოდონტთან მცირე აზიაში.

41. ა მ ი ს ე - ქალაქი პონტოში მდინარე ირისსა და ჰალისის შუა (აწინდელი სამსუნი).

42. ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი - ძველი ქართველური (კოლხური) ტომი.

ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ე ბ ი - (ხ ა ლ ი ბ ე ბ ი) - ძველი ქართველური (კოლხური) ტომი. გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორი ს ტ ე ფ ა ნ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი ამბობს: „ალიბებს ანუ ხალიბებს, რომელთაც ჰომეროსი ჰალიძონებს ეძახის, ახლა ქალდეველებად უხმობენ". ხალიბები პონტოს სამხ. აღმოს. სანაპიროზე და ევფრატის ზემო წელში მოსახლეობდნენ და სახელი ჰქონდა განთქმული ლითონის დამუშავებით.

43. კ ა ბ ე ი რ ა - ქალაქი და ციხესიმაგრე პონტოს სამხ. აღმოსავლეთით, 150 სტადიონზე პარიადრიდან. კაბეირა მითრიდატეს ერთ ერთი რეზიდენცია იყო. პომპეუსმა კაბეირას უწოდა დიოსპოლისი, მერმე სებასტეს და სებასატიასაც ეძახდნენ, შემდეგ შეერქვა ნეოკესარია (აწინდელი ნიკსარა მდინარე კელკიდლიკეზე).

კაბეირასთან ბრძოლაში ლუკულუსმა სასტიკად დაამარცხა მითრიდატე (72-71 ძვ. წ.).

44. ტ ი გ რ ა ნ I I - მითრიდატეს სიძე. მისი მეფეთამეფობა ფრიად დააკნინა პომპეუსმა (იხ. „პომპეუსი", თ. 33).

45. ტ უ ნ ი კ ა - რომაული ტოგის ქვეშ ჩასაცმელი სამოსი.

46. დ ა ნ დ ა რ ი ე ბ ი - სტეფანე ბიზანტიელის ცნობით, ტომი კავკასიასთან (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა", III, გვ. 277).

47. მ ე ო ტ ი ს ი ს ტ ბ ა - აზოვის ზღვა.

48. მითრიდატემ თავს უშველა და სომხეთის მეფე ტიგრანთან გაიქცა.

49. ფ ა რ ნ ა კ ი ა - პონტოს ქალაქი, რომლის დაარსება მითრიდატეს პაპა ფარნაკეს მიეწერება.

50. მონიმე მილეტელის ამბავი გამოიყენა ფრანგმა დრამატურგმა რასინმა და დაწერა ტრაგედია „მითრიდატე".

51. ტ ა ლ ა ვ რ ა - კაპადოკიის ქალაქი.

52. ა პ ი უ ს კ ლ ო დ ი უ ს ი - ლუკულუსის ლეგატი.

53. 86 წლის მარტში (ძვ. წ.) რომის ჯარებმა, რომელთაც სულა სარდლობდა, ალყა შემოარტყა ათენს. ათენი მაშინ მითრიდატეს მხარეზე იდგა. სულას თანამგრძნობი ათენელი ოლიგარქების თხოვნით, ათენის მცხოვრებლებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. შესანიშნავი ქალაქის დიადი წარსულის პატივისცემის ნიშნად სულამ მაშინ ირონიით უთხრა ათენის დელეგაციას: „ეს ცოცხალთა მადლობაა მკვდრების მიმართო".

ლ უ ც ი უ ს მ უ მ ი უ ს ი - რომაელთა სარდალი, რომელმაც „აქაიის კავშირთან" ომის დროს მიწასთან გაასწორა აყვავებული ქალაქი კორინთო.

54. ტ ი რ ა ნ ი ო ნ ი - ციცერონის თანამედროვე მოღვაწე, არისტოტელეს თხზულებათა პოპულარიზატორი რომში.

55. ლ უ ც ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს მ უ რ ე ნ ა - ლუკულუსის ლეგატი.

56. ლუკულუსზე აღშფოთდნენ რომაელი მხედრები; აღმოსავლურ პროვინციებში ჩატარებულმა რეფორმებმა მათი ფინანსური რწმენებანი მეტისმეტად შეკვეცა (იხ. Я. Ф. Манандян, „Тигран второй и Рим". Ереван, 1943, გვ. 87, შმდგ).

57. ანტიოქია - სირიის სამეფო ქალაქი. მის მახლობლად მდებარეობდა მშვენიერი და აყვავებული ადგილი დაფნე, აპოლონისა და არტემიდეს ცნობილი ტაძრებით. ამ მხარეს სახელი ჰქონდა განთქმული თავაშვებული ცხოვრებით (Daphnical mores).

58. გორდიენე (კორლდუენე) - მხარე ასირიაში, კარდუხების სამკვიდრებელი.

59. მომთაბარე არაბები - ეგრეთ წოდებული სკენიტები (ბედუინები).

60. ე. ი. ბაბილონში.

61. ე. ი. თქვენი ქალაქი მცირეა ჩემისთანა დიდი კაცისთვისო. სინამდვილეში კი ეს ქალაქი, დაარსებული სელევკოს ენიკატორის მიერ, იმხანად 600.000 მცხოვრებს მოითვლიდა (Plin, `Hist. nat~, VI, 30).

62. სინოპი - პაფლაგონიის ქალაქი ევქსინის პონტოს სანაპიროზე; პონტოს სამეფო ცენტრი მითრიდატე VI ევპატორიის დროს.

63. სთენისი - ოლინთელი მოქანდაკე, ლისიპესა და ლექარეს თანამედროვე. მის შესახებ ცნობები დაცულია პლინიუს უფროსთან (XXXIV, 8, 19) და პავსანიასთან (VI, 16) და არა მარტო პლუტარქესთან, როგორც პლუტარქეს ცნობილი ფრანგი მთარგმნელი ტალბო ფიქრობს.

64. ასოპოსი - მდინარის ღმერთი, ოკეანისა და ტეთისის ძე (ავტოლიკესა და სინოპის შესახებ იხ. აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა", II, 946-957).

65. პლუტარქეს ამ ცნობის სიზუსტის თაობაზე იხ. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ. გვ. 96.

65. მახარე - მითრიდატეს უფროსი ვაჟი, რომელიც განუდგა მამას. 65 წელს (ძვ. წ.), როცა მითრიდატე ბოსფორს მიადგა, მახარემ თავი მოიკლა.

67. სოფენე - მხარე დიდ სომხეთში. მცირე სომხეთისა და მელიტენეს მხრისაგან მას ჰყოფს მდინარე ევფრატი. მისი ქალაქი იყო არსამოსატა.

68. ტიგრანოკერტა - სომხეთის დედაქალაქი. მისი მდებარეობის შესახებ იხ. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 62, შმდგ.

69. ადიაბენე - მხარე ასირიაში. მისი ქალაქები იყო არბელა და გავგამელა.

70. ტაქსილე - მითრიდატეს სარდალი.

71. იგულისხმება სპარსეთის ყურე.

72. არაქსი - მდინარე არეზი.

73. კვინტუს სერვილიუს ცეპიონი - პროკონსული (ძვ. წ. 105 წელს).

74. ტიგრანოკერტასთან ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 69 წელს.

75. ანტიოქე ასკალონელი ფილონის მოწაფე, აკადემიური სკოლის ფილოსოფოსი.

76. იგულისხმება გეოგრაფოსი სტრაბონი.

77. ტიტუს ლივიუსი (ძვ. წ. 59 - ახ. წ. 17.) - დიდი რომაელი ისტორიკოსი, 142 წიგნისაგან შემდგარი თხზულების ავტორი. ამ თხზულებას ეწოდება „ისტორია დასაბამითგან ქალაქისა" („Rerum Romanorum ab urbe condita liberi"). ჩვენამდე მოღწეულია ლივიუსის მხოლოდ 35 წიგნი (1-10 და 21-45). ლივიუსის ცნობა, რომელსაც პლუტარქე იმოწმებს, პირდაპირი გზით არ მოღწეულა.

78. დრაქმა ერთ რომაულ დინარს უდრიდა.

79. დიონისეს კულტთანაა დაკავშირებული დრამის აღმოცენება, ამიტომ „დიონისეს საქმის ოსტატი" მსახიობს აღნიშნავს.

80. სამი მილიონი მედიმნი ხორბალი ას ოც ათას ტონას უდრის.

81. დიონ კაისოსი „რომის ისტორიაში" (XXXV, 2) კიცხავს ლუკულლუსს იმის გამო, რომ ტიგრანს არ დაედევნა. ამის მიზეზი, დიონ კასიოსის აზრით, ის იყო, რომ ლუკულლუსს მთავარსარდლის რწმუნების გახანგრძლივება სურდა.

82. ლუკულლუსი იმედოვნებდა, რომ პური დამწიფებული იქნებოდა.

83. 68 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

84. იგულისხმება სომხეთის მეფე არტაშეს II (II საუკუნე ძვ. წ.).

85. არტაქსატა ანუ ატაშატი მდებარეობდა არაქსის პირად. ამბავი მისი დაარსების თაობაზე გვხვდება სტრაბონთანაც.

86. არსანია - ევფრატის შენაკადი.

87. მარდები - მიდიისა და ჰირკანიის საზღვარზე მოსახლე ტომი.

88. შუბოსანი იბერები - „ლონხოფორო იბერეს". პლუტარქეს ცნობათა გამოყენების თაობაზე იხ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I ტ.

89. ატოპატენები - ზოგან: სატრაპენები და საკაპენები - მიდიის მკვიდრნი.

90. იგულისხმება ქალაქი არტაქსატა.

91. ნისიბისი - ქალაქი მესოპოტამიაში მდინარე ტიგროსთან.

იგი დაშორებული იყო ტიგრანოკერტას 37 რომაული მილით და მისგან სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობდა.

92. ლუკულუსის წარმატებანი დროებითი იყო. „რომაელების დასამარცხებლად მითრიდატემ ბრძოლას ფართო ხასიათი მიანიჭა და უნდოდა ეს ომი რომის აგრესიული, დამპყრობლური პოლიტიკის მოსაგერიებლად და მოსასპობად გაერთიანებული აღმოსავლეთის მიერ წარმოებულ ბრძოლად ექცია. ასეთ მოწოდებაზე ალბანებს, კოლხებს და იბერებსაც მითრიდატესა და ტიგრანისათვის მხარი დაუჭერიათ და მიშველებიან" (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", I, 3, თბ., 1928, გვ. 3. იხ. აგრეთვე Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ. გვ. 143 შმდგ).

93. იხ. „კეისრის ცხოვრება", თ. 10.

94. „ლუკულუსის უკან დახევის შემდეგ მდგომარეობა აღმოსავლეთში კვლავ საშიში შეიქნა. შავი და ხმელთაშუა ზღვები ხელთ იგდეს მეკობრეებმა... ამის გამო შეწყდა რომში პურის შეტანა და რომის მოსახლეობაც გრძნობდა სურსათ სანოვაგის ნაკლებობას. ასეთი იყო რომში საქმის ვითარება, როცა 66 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა კომიციებში შეიტანა წინადადება აზიასა, ბითვინიასა და კილიკიაში უმაღლესი სარდლობის პომპეუსისათვის გადაცემის შესახებ" (ვ. ს. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები", I, თბ., 1940, გვ. 353-354). მანილიუსის კანონით ლუკულუსს მთავარსარდლის რწმუნებანი ჩამოართვეს.

95. ფაბიუსი, სორნაციუსი, ტრიარიუსი - ლუკულუსის ლეგატები.

96. ლუკულუსის შემცვლელად ჯერ გლაბრიონი დანიშნეს, 66 (ძვ. წ.) წლის იანვარში კი რომის მთავრობამ ყველა ქვეყანა, რომლებიც ლუკულუსს ემორჩილებოდა, პომპეუსს ჩააბარა.

97. იხ. „პომპეუსი", თ. 31.

98. ჰირკანიის ზღვა - კასპიის ზღვა.

99. მარკუს ლიციინიუს კრასუსი - ცნობილი მდიდარი ტრიუმვირი. დაიღუპა პართებთან ომში 53 წელს ძვ. წ. მისი ცხოვრება აღწერილი აქვს პლუტარქეს.

100. აქ იგულისხმება პლუტარქეს „კრასუსი", თ. 16.

101. იგულისხმება გაიუს მემიუს გემელუსი, სახალხო ტრიბუნი და შემდეგ პრეტორი.

102. ტრიუმფი ლუკულუსმა გადაიხადა ძვ. წ. 63 წელს.

103. ლათ. vicus, ლუკულუსმა რომი მშვენიერი ბაღებით მორთო. მან, სხვათა შორის, პირველად შეიტანა აზიიდან ევროპაში ალუბლის ხე.

104. გაიუს მარიუს უფროსი (ძვ. წ. 156-86) - დემოკრატიული პარტიის

ბელადი, წარმოშობით პლებსიდან, კონსულად იყო შვიდგზის. მისი ძე გაიუს მარიუს უმცროსი 82 წელს (ძვ. წ.) იყო კონსული. იგი დაამარცხა სულამ.

105. იგულისხმება ძველი ატიკური პოლიტიკური კომედია, რომლის უდიდესი წარმომადგენელი „კომედიის მამა" არისტოფანე იყო.

106. სტოელი ფილოსოფოსი კ ვ ი ნ ტ უ ს ე ლ ი უ ს ტ უ ბ ე რ ო ნ ი (იხ. Cic. `Brutus~, 31).

107. ბერძენ სპარსელთა ომების დროს ირანის მეფე ქსერქსემ ფლოტის შესაყვანად საბერძნეთში ათონის მთის გათხრა მოინდომა.

108. ქლამიდი - მამაკაცის ზედა სამოსი.

109. იგულისხმება დიდი რომაელი ლირიკოსი კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (65-8 ძვ. წ.) იხ. მისი Epist., I, 6, 45-46.

110. იხ. „პომპეუსი", თ. 2.

111. აქ იგულისხმება ციცერონის თხზულება „აკადემიკა", რომლის პირველი რედაქცია შეიცავდა ორ წიგნს: 1. „კატულუსი", 2. „ლუკულუსი". აქ გადმოცემული იყო აკადემიკოსების ანტიოქესა და ფილონის მოძღვრება შემეცნების შესახებ.

112. აქ იგულისხმება ე. წ. პირველი ტრიუმვირატი ანუ „სამთა კავშირი", რომელშიც შედიოდნენ: პომპეუსი, კრასუსი და კეისარი.

113. ლუკულუსი გარდაიცვალა ძვ. წ. 56 წელს (იხ. Plin. `Hist. nat~, XXV, 7).

ე ვ ი ნ ე ნ ე

1. კ ა რ დ ი ა - ქალაქი თრაკიის ხერსონესში.

2. პ ა ლ ე ს ტ რ ა - სპორტული სკოლა ძველ საბერძნეთში.

3. იგულისხმება ფილიპე II, ალექსანდრე მაკედონელის მამა.

4. პ ა ნ კ რ ა ტ ი ო ნ ი - მრავალჭიდი.

5. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი.

6. ჰ ე ფ ე ს ტ ი ო ნ ი, პ ე რ დ ი კ ა - ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს ს ა რ დ ლ ე ბ ი.

7. ა რ ქ ი ი პ ა ს პ ი ტ ი - მეფის მცველი რაზმის უფროსი.

8. მ ე ნ ტ ო რ ი - ალექსანდრეს ერთ ერთი სარდალი, მემნონ როდოსელის ძმა.

9. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთი იყო მაკედონური ქვეითი ჯარი ანუ ფალანგა, მეორე კი ცხენოსანი ჯარი ანუ ჰეტერთა მხედრობა. ჰეტერები (მეფის მეგობარი მხედრები), ჩვეულებრივ, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უთანხმოების მიზეზი ტახტის მემკვიდრეობის საკითხი იყო. მაკედონური ფალანგა მოითხოვდა, ტახტზე დაესვათ ალექსანდრეს უკანონო ძმა არიდე-

ოსი, ჰეტერების აზრით კი ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ფეხმძიმე როქსანას შვილი, თუ იგი ვაჟი იქნებოდა (იხ. „ალექსანდრე მაკედონელი", 77).

10. ლ ე ო ნ ა ტ ე, ა ნ ტ ი გ ო ნ ე - ალექსანდრე მაკედონელის სარდლები.

11. ლ ა მ ი ა - თესალიის ქალაქი. აქ ბერძნები აუჯანყდნენ ანტიპატრეს - ალექსანდრეს ნაცვალს მაკედონიაში.

12. კ ლ ე ო პ ა ტ რ ა - ალექსანდრე მაკედონელის და.

13. პ ე ლ ა - მაკედონიის სატახტო ქალაქი.

14. კ რ ა ტ ე რ ე - ალექსანდრე მაკედონელის სარდალი.

15. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ პტოლემეს საგამგებლოდ გადაეცა ეგვიპტე.

16. ა ლ კ ე ტ ა - პერდიკას ძმა.

17. ე. წ. მაკედონური კავსია, განიერფარფლება თექის ქუდი.

18. იხ. „ალექსანდრე მაკედონელი", თ. 47.

19. ტ რ ი ე რ ი - საბრძოლო ხომალდი.

20. ორივე ბრძოლა მოხდა 321 წელს (ძვ. წ.).

21. ი დ ე - მთაგრეხილი მცირე აზიის ჩრდ. დასავლეთ ნაწილში.

22. კელენე - ფრიგიის ქალაქი მდინარე მეანდროსის სათავესთან.

23. ე. ი. 370 მეტრი.

24. კ ა ს ა ნ დ რ ე (ანტიპატრეს შვილი) და პოლისპერქონტი (მაკედონელი სარდალი) ერთმანეთს მაკედონიის სამეფო ტახტის გამო ედავებოდნენ.

25. ჰ ი ე რ ო ნ ი მ ე კ ა რ დ ი ე ლ ი - ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწე.

26. ო ლ ი მ პ ი ა დ ა - ალექსანდრე მაკედონელის დედა.

27. ფ ი ლ ი პ ე მ ე ფ ე - ფილიპე III (ფილიპე II ის ძე - არიდეოსი).

28. კ ვ ი ნ დ ე - კილიკიის ციხესიმაგრე მდინარე კვინდოსის შესართავთან.

29. ა რ გ ი რ ა ს პ ი დ ე ბ ი - „ვერცხლისფაროსნები" - ფილიპე II ისა და ალექსანდრე მაკედონელის გვარდიის მეომრები.

30. პევკესტა ალექსანდრე მაკედონელმა, როგორც თავისი სარდალი, პერსიდის სატრაპად დანიშნა.

31. პასიტიგრი - მდინარე ტიგრის სახელი მის ქვემო დინებაში.

32. გაბენე - მხარე პერსიდაში.

33. დემეტრიოს პოლიერკეტი (337-283 ძვ. წ.) - ანტიგონეს შვილი. მისი ცხოვრება აღწერილი აქვს პლუტარქეს.

1. პირველი ატისი (ანუ ატე), ბერძნული მითის მიხედვით, მცირე აზიის მდინარის ღმერთ სანგარიოსის ასულის ნანას ლამაზი ვაჟი, იყო მწყემსი და ამავე დროს ფრიგიის ღმერთქალ კიბელეს (რეას) სატრფო ქურუმი. მეორე ატისის ვინაობა გაურკვეველია. პლუტარქეს ზოგი კომენტატორი ფიქრობს, რომ ეს ატისი იყო ლიდიის ცნობილი მეფე კრეზეს შვილი.

2. აკტეონი – ფინიკიელთა მეფე კადმოსის შვილიშვილი, კენტავრ ქირონის მიერ აღზრდილი მონადირე. ბერძნული თქმულებით, აკტეონმა ნადირობის ჟამს თვალი მოჰკრა წყალში მობანავე ღმერთქალ არტემიდეს. იგი განრისხდა და აკტეონი ირმად გადააქცია. ირმადქცეული მონადირე საკუთარმა ძაღლებმა დაგლიჯეს.

მეორე აკტეონი იყო კორინთოდან. მის შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის პლუტარქე „ეთიკაში“.

3. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი აფრიკელი უფროსი – მეორე პუნიკური ომის (218-201 ძვ. წ.) სარდალი.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი – მესამე პუნიკური ომის (149-146 ძვ. წ.) სარდალი და კართაგენის შემმუსვრელი.

4. ილიონი ანუ ტროა, გადმოცემით პირველად აიღო ბერძენთა ლეგენდარულმა გმირმა ჰერაკლემ და ლაომედონტის (ტროელთა მეფის) ფაშატი ცხენები გაიტაცა. ტროაზე ყველაზე გავრცელებული მითი მოგვითხრობს, რომ ტროა აიღო ბერძენთა მთავარსარდალმა აგამემნონმა ოდისევსის მიერ აგებული ხის ცხენის შემწეობით. ხის უზარმაზარ ცხენში ოდისევსმა შესხა რჩეული ბერძენი მეომრები. ტროელებმა ბერძნების მიერ ბრძოლის ველზე განზრახ მიტოვებული ხის ცხენი ქალაქში შეათრიეს. ღამით ცხენის მუცლიდან მეომრები გამოვიდნენ და ტროა ააოხრეს.

ცნობა ტროას მესამეჯერ აღების თაობაზე მხოლოდ პლუტარქესთან გვხვდება. აქ მოხსენიებული ქარიდემე იყო ევბეელი, ცოლად ჰყავდა თრაკიის მეფე კოტისის ასული. მონაწილეობდა სხვადასხვა ომში.

5. იოსი კუნძულია იონიაში; მისი სახელი პლუტარქეს მიხედვით ნაწარმოებია სიტყვისაგან „იონ“, რაც ბერძნულად „იას“ აღნიშნავს. ბერძნულ წყაროთა გადმოცემით, იოსზე დაკრძალულია დიდი პოეტი ჰომეროსი. სმირნა ქალაქია მცირე აზიაში. გადმოცემით ჰომეროსი იყო სმირნელი. ამ ქალაქის სახელი მომდინარეობს სიტყვისაგან „სმირნა“, რაც უდრის „ზმირინს“, „გუნდრუკს“ (იხ. საბა).

6. ფილიპე მაკედონელი - ალექსანდრე მაკედონელის მამა, ანტიგონე - ალექსანდრე მაკედონელის სარდალი; ჰანიბალი - კართაგენელი ცნობილი მხედართმთავარი.

7. 103 წელს ძვ. წ.

8. კელტიბერები - ძველი ესპანეთის მრავალრიცხოვანი ტომი.

9. თუ ვინ იყვნენ გირისენები, ცნობილი არაა. ზოგ ხელნაწერში მოიხსენიება ორისიები, ზოგში - ორიტანები, ზოგში - ისტურგიელები.

10. იგულისხმება ციზალპიური გალია. პადუსი - მდინარე პო.

11. მარსების ომი - მოკავშირეთა ომი. ეს იყო იტალიკების საერთო აჯანყება რომის წინააღმდეგ (91-88 ძვ. წ.). ამ ომს პლუტარქე ეხება მარიუსის, სულას, ლუკულუსის და ციცერონის ბიოგრაფიებშიც.

12. „მარიუსი", თ. 43 და თ. 44.

13. ესა და მომდევნო ამბები დაწვრილებითაა გადმოცემული რომაელი ისტორიკოსის ფლორუსის თხზულებაში (თ. 22).

14. ზოგ ხელნაწერშია იულიუს სალინატორი.

15. ახალი კართაგენი - ახლანდელი კართახენა, ქალაქი ესპანეთის სამხ. აღმოს. სანაპიროზე.

16. მავრუსია - მავრიტანია.

17. პიტიუსა - ბალეარის კუნძულთაგანი ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან (ნიშნავს ფიჭვის კუნძულს).

18. გადირი - გადესი (კადიკსი) - გიბრალტარის სრუტე.

19. ბეტისი ანუ ტარტესოსი - მდინარე სამხრეთ ესპანეთში, ახლანდელი გვადალკვივირი. ამ მდინარის სახელისაგან სამხრეთ ესპანეთს უწოდებდნენ ბეტიკას.

20. ფიქრობენ, რომ პლუტარქე აქ გულისხმობს კანარის კუნძულებს - დღევანდელ მადეირასა და პორტო სანტოს. ათი ათასი სტადიონი დაახლოებით 200 კილომეტრამდე მანძილს უდრის.

21. „ოდისეა", IV, 563.

22. ტინგისი - ქალაქი გიბრალტარის სრუტესთან, ახლანდელი ტანჟერი.

23. ანტეოსი - მითიური გმირი, ღმერთქალ გეას (დედამიწის) ძე. ღმერთქალმა გეამ ანტეოსს უსაზღვრო ძალა შთაუნერგა სხეულში. მისი დამარცხება შეუძლებელი იყო. როცა ანტეოსს მოწინააღმდეგესთან ბრძოლა გაუჭირდებოდა, მყისვე დაეცემოდა დედამიწაზე და მისი ძლიერება უსაზღვ-

როდ იზრდებოდა. ერთი სუსტი მხარე ჰქონდა ანტეოსს: ეს იყო საფრთხე დედამიწისაგან მოწყვეტისა. ერთხელ ანტეოსის მხარეს – ლიბიას ბერძენთა ძლევამოსილი გმირი ჰერაკლე მოადგა. მიკენის მეფის ევრისთევსის დავალებით ტიტან ატლანტის ბაღიდან ოქროს ვაშლები უნდა მოეტაცა. ეს ოქროს ვაშლები ესხა იმ ხეს, რომელიც ანტეოსის დედამ, ღმერთქალმა გეამ ჰერას შესწირა ზევსთან ქორწინების დღეს. ოქროს ვაშლის ხეს დარაჯობდნენ ლიბიის მკვიდრი ნიმფები ჰესპერიდები და მარად ფხიზელი გველეშაპი ლადონი. ანტეოსმა ოქროს ვაშლების დასაცავად ჰერაკლეს სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ჰერაკლე გაოცებული იყო ანტეოსის ძლიერებით, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ანტეოსს ძალას დედამიწა აწვდიდა. ჰერაკლემ ანტეოსი მიწას მოსწყვიტა, ჰაერში აიტაცა და ისე დაახრჩო.

ანტეოსის სახელი მომდინარეობს ბერძნული „ანტაო" („ვეწინააღმდეგები") ზმნისაგან. ბერძნულად გმირს ეწოდება „ანტაიოს". ქართულად ეს სახელი უნდა გადმოვცეთ ფორმით „ანტეოსი" და არა „ანთეოსი"; „ანთეოსი" მცდარი ფორმაა (დაწვრილებით ანტეოსის შესახებ იხ. ჩვენი წერილი კრებულში „ქართული ფოლკლორი", III, თბილისი, 1969, გვ. 104-112).

24. იხ. „იულიუს კეისარი", შენ. 145.

25. ლუზიტანები – პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მოსახლე ტომი.

26. პელტასტი – მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცი.

27. მელარია – ქალაქი ბეტიკაში.

28. ნაბონის გალია – რომის პროვინცია ახლანდელი საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში.

29. ლანგობრიგა ანუ ლაკობრიგა – ქალაქი ლუზიტანიაში.

30. ოსკა – ახლანდელი უესკა, ქალაქი ჩრდილოეთ ესპანეთში.

31. ხარაკიტანების ტომისა და მდინარე ტაგონიუსის ლოკალიზაცია არ ხერხდება. არის მოსაზრება, რომ პლუტარქეს მიერ აღწერილი გორაკი თანამედროვე მადრიდის სანახებში მდებარეობდა.

32. „კეკეია ქარია ერთი" (საბა).

33. ლავრონი – ახლანდელი ლირია (ვალენსიაში).

34. იხ. „პომპეუსი". თ. 19.

35. იხ. „პომპეუსი", თ. 11.

36. ვაკეები – ტომი ჩრდილოეთ ესპანეთში, ახლანდელი ბისკაიელები.

37. იხ. „პომპეუსი", თ. 20.

38. იუგერი - 1/4 ჰექტარი.

39. პ ი რ ო ს ი - ეპირის მეფე, რომელიც რომაელებს ებრძოდა და ძვ. წელთაღრიცხვის 272 წელს დაიღუპა.

40. ე. ი. რომის გამგებლად რომ დადგესო.

41. ე. ი. ლიქტორები.

42. სერტორიუსი დაიღუპა 72 წელს (ძვ. წ.).

ტიბერიუს გრაკხუსი

1. გრაკხუსთა ბიოგრაფიას პლუტარქეს „პარალელებში" წინ უძღვის სპარტის მეფეების - აგის III და კლეომენე III ცხოვრებათა აღწერა.

2. ტ ი ბ ე რ ი უ ს ს ე მ პ რ ო ნ ი უ ს გ რ ა კ ხ უ ს ი - ციცერონი ძმათა გრაკხუსთა შესახებ ამბობს, ისინი წარჩინებული მამის შვილები იყვნენო. იგი იყო ცენზორი (169 ძვ. წ.), კონსულად აირჩიეს 163 (ძვ. წ.), ტრიუმფი გადაიხადა ესპანეთზე გამარჯვებისა და სარდინიისა და კორსიკის საბოლოო დამორჩილების გამო.

3. ს ც ი პ ი ო ნ ა ფ რ ი კ ე ლ ი გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა 189 წელს (ძვ. წ.).

4. აქ იგულისხმება ეგვიპტის მეფე პტოლემეოს VI ფილომეტორი.

5. გრაკხუსების და სემპრონია ცოლად ჰყავდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუს აფრიკელს (უმცროსს), რომელმაც 146 წელს (ძვ. წ.) გაზაფხულზე მიწასთან გაასწორა კართაგენი.

6. დ ი ო ს კ უ რ ე ბ ი - კასტორი და პოლიდევკე (რომ. პოლუქსი), ზევსისა და ლედას ვაჟები. კასტორი, ბერძენთა წარმოდგენით შეუდარებელი ცხენოსანი იყო, ხოლო პოლიდევკე (პოლუქსი) - იშვიათი მოკრივე.

7. კ ლ ე ო ნ ი - ათენელი დაბაღი, მერმე რადიკალურ დემოკრატიული დაჯგუფების მეთაური (IV საუკ. ძვ. წ.).

8. მარკუს ლივიუს დრუზუსი - სახალხო ტრიბუნი 122 წ. (ძვ. წ.).

9. ტიბერიუსი დაიბადა დაახ. 162 წელს (ძვ.წ.), მოკლეს 132 წელს ოცდაათი წლის ასაკში. გაიუსი დაიბადა 153 წელს, მოკლეს 121 წელს (ძვ. წ.)

10. ავგურთა საზოგადოება - მისანთა კოლეგია.

11. პ ო ლ ი ბ ი ო ს ი - გრაკხუსთა თანამედროვე ისტორიკოსი, არკადიელი ბერძენი.

12. ლიბიის (ე. ი. აფრიკის) ლაშქრობა - III პუნიკური ომი (149-146 ძვ. წ.).

13. გაიუს ფანიუსი – გრაკხუსთა თანამედროვე ისტორიკოსი, 122 წელს (ძვ. წ.) კონსულად არჩეული.

14. ნუმანცია – ბუნებრივად გამაგრებული ქალაქი ჩრდ. ესპანეთში. ნუმანციის ომს (143-133 ძვ. წ.) აწარმოებდა 137 წ. (ძვ. წ.) არჩეული კონსული გაიუს ჰოსტილიუს მანცინუსი.

15. 180 წელს (ძვ. წ.)

16. რომაელებისათვის აშკარად სამარცხვინო ზავი დადებულ იქნა 137 წელს (ძვ. წ.).

17. აქ იგულისხმება მეორე სამნიტური ომის დროს რომაელთა სამარცხვინო კაპიტულაცია, რაც კავადინის ხეობაში დამარცხებას მოჰყვა (321 წ. ძვ. წ.).

18. ლათინური მიწის საზომი ერთეული იუგერი (იუგერუმ = $^1/_4$ ჰექტარს) პლუტარქესთან გადმოცემულია „პლეთონ" სიტყვით.

19. გაიუს ლელიუსი – 140 წელს (ძვ. წ.) არჩეული კონსული.

20. ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს 133 წლისათვის (ძვ. წ.).

21. ანტიპატრე ტარსელი – მც. აზიელი (კილიკიელი) ფილოსოფოსი – სტოელი.

22. მარკუს ოქტავიუსმა, ისარგებლა რა თავისი ტრიბუნული უფლებებით, „ვეტო" დაადო ტიბერიუსის კანონპროექტს საზოგადო მიწების (აგერ პუბლიცუს) დანაწილებაზე.

23. სატურნუსის ტაძარში (იგი ფორუმზე იყო) რესპუბლიკის ქონება ინახებოდა.

24. აგრარული ტრიუმვირატი.

25. 9 ობოლი რომაულ 1.5 დინარს უდრიდა.

26. პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ნაზიკა – გრაკხუსთა დეიდაშვილი; ტიბერიუსის პროგრამის დაუძინებელი მტერი, 138 წელს (ძვ. წ.) კონსულად არჩეული.

27. აქ იგულისხმება 133 წელს (ძვ. წ.) არჩეული ცენზორი კვინტუს პომპეუსი.

28. კვინტუს ცეციილიუს მეტელუს მაკედონელი – 143 წ. (ძვ. წ.) არჩეული კონსული.

29. ტარკვინიუს ამაყი – რომის უკანასკნელი (VII) მეფე.

30. ვესტა (ბერძ. ჰესტია) – უბიწოებისა და კერიის ღმერთქალი. ვესტას ტაძარი იყო ფორუმზე და შიგ ენთო ცეცხლი, რომელიც არასოდეს

არ უნდა ჩამქრალიყო. ცეცხლს დარაჯობდნენ ვესტას ქურუმი ქალწულები. მათ აღთქმა ჰქონდათ დადებული, უმანკოება დაეცვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებოდნენ.

31. მარკუს ფულვიუს ფლაკუსი - გრაკხუსთა მომხრე სენატორი.

32. არისტონიკე - მონათა აჯანყების მეთაური მც. აზიაში.

33. კორნელიუს ნეპოტი - რომაელი ისტორიკოსი (I საუკ. ძვ. წ.).

34. „ოდისეა", I. 47.

35. პლუტარქეს ეს ბიოგრაფია (სციპიონ უფროსისა) ჩვენამდე არ მოღწეულა.

გაიუს გრაკხუსი

1. იხ, Cic., 'Brutus~, 33, 125.

2. ლუციუს ავრელიუს ორესტე - კონსული (126 წ. ძვ. წ.).

3. იხ. Cic., De divinatione, I, 26, 56.

4. მიციფსა - ნუმიდიის მეფე.

5. ფრეგელი - ლაციუმის ქალაქი.

6. გაიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს 123 წლისათვის (ძვ. წ.).

7. ფალისკები - ტომი ეტრურიაში.

8. პუბლიუს პოპილიუსი - კონსული (ძვ. წ. 132 წ).

9. 1878 წელს იპოვეს ამ ქანდაკების კვარცხლბეკი.

10. სციპიონ ემილიანუსი გარდაიცვალა 129 წელს (ძვ. წ.). მისი ცხოვრების აღწერა ჩვენამდე არაა მოღწეული.

11. ლუციუს ოპიმიუსი - ოპტიმატი, გრაკხუსთა დაუძინებელი მტერი, კონსული (121 წ. ძვ. წ.).

12. მიზენუმი - პატარა ქალაქი კამპანიაში.

ალკიბიადე

1. არტემისიონი - ევბეის კონცხი, სადაც ძვ. წ. 480 წელს მოხდა პირველი საზღვაო შეტაკება ბერძნებისა სპარსებთან.

2. ანტისთენე - ძვ. წ. V-IV სს ის ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, კინიკოსთა სკოლის დამფუძნებელი.

3. პლატონი - „ალკიბიადე", 122 ბ.

სოკრატესა და ალკიბიადეს ურთიერთობის შესახებ იხ. ქსენოფონტი - მოგონებები სოკრატეზე; სოკრატეს აპოლოგია. ძველბერძნულიდან თარგ-

მნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და სახელთა საძიებელი დაურთო აკაკი ურუშაძემ, 1973.

4. ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე - „კრაზანები", 44 46.

5. ა ვ ლ ო ს ი - სალამურა, ფლეიტა.

6. თანახმად ლეგენდისა, დიონისე ღმერთის სატირმა, მარსიამ იპოვა ღმერთქალ ათენას მიერ დაწუნებული და გადაგდებული ავლოსი. მარსია ამ ავლოსზე დაკვრაში აპოლონ ღმერთს გაეჯიბრა. დამარცხებულ მარსიას აპოლონმა ტყავი გააძრო. ფრიგიის მეფე მიდასმა გამარჯვებულად მარსია აღიარა. აპოლონ ღმერთმა მიდასს ვირის ყურები გამოასხა.

7. ა ვ ლ ე ტ ი კ ა - ავლოსზე, ფლეიტაზე დაკვრის ხელოვნება.

8. პ ა ლ ე ს ტ რ ა - ფიზიკური წვრთნის სკოლა.

9. ორიგინალში იამბიკური ტრიმეტრით გამართული სალექსო სტრიქონი დამოწმებულია ძვ. წ. VI-V სს ის ბერძენი დრამატურგის ფრინიქეს დაკარგული ტრაგედიიდან.

10. პლატონი - „ფედროსი", 255 დ.

11. მეტოიკოსი - მოქალაქეობის უფლების გარეშე ათენში გადმოსახლებული პირი, რომელიც ქალაქში ცხოვრებისათვის დაწესებულ გადასახადს იხდიდა.

12. სტატერი -ოქროს მონეტა.

13. კ ლ ე ა ნ თ ე - ძვ. წ. III ს ის სტოელი ფილოსოფოსი.

14. თ უ კ ი დ ი დ ე, IV, 15.

15. ძვ. წ. 432 წელს.

16. პანოპლია - იარაღით აღჭურვილობა.

17. დელიონი - ბეოტიის ქალაქი, სადაც ძვ. წ. 424 წელს ბეოტიელთა ჯარმა ათენელები დაამარცხა.

18. ჰეტერა - მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

19. მ ნ ა - ფულის ერთეული, რომელიც 1/60 ტალანტს ანუ 100 დრაქმას შეიცავდა.

20. **დემოსთენე** XXI, 145.

21. **თუკიდიდე** - VI, 15.

22. ევპოლისი - ძველი ატიკური პოლიტიკური კომედიის ერთ ერთი წარმომადგენელი.

23. თ უ კ ი დ ი დ ე, VIII, 73,3.

24. პ ლ უ ტ ა რ ქ ე - „ნიკია", XI.

25. პროქსენოსი - სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა მასპინძელი და ამის გამო მათგან პრივილეგირებული პირი.

26. ათენელებმა პილოსი აიღეს ძვ. წ. 425 წელს.

27. ათენსა და სპარტას შორის ძვ. წ. 421 წელს დაიდო ე. წ. „ნიკიას ზავი".

28. პანაკტონი ანუ პანაკტოსი - ციხესიმაგრე ატიკისა და ბეოტიის საზღვარზე.

29. კუნძ. სფაქტერია ძვ. წ. 424 წელს აიღეს ათენელმა სტრატეგოსებმა - დემოსთენემ და კლეონტმა.

30. „ათასეული" - რომელიღაც არისტოკრატიული, პროსპარტული დაჯგუფება.

31. ათენის სახელმწიფო ამ დროს მთლიანად იყო გაბატონებული ზღვაზე.

32. პატრე - ზღვისპირა ქალაქი ჩრდ. დასავლეთ აქაიაში.

33. ეფებოსი - სიმწიფეში შესული ჭაბუკი.

34. აგლავროსი - სოფლის მეურნეობის მფარველი ღვთაება.

35. ასეთი ნიშანი იყო ბუს გამოსახულება.

36. არისტოფანე - „ბაყაყები", 1425; 1432 1433.

37. ქორეგია - საკუთარი სახსრებით საზოგადო სანახაობათა გამართვა.

38. ნემეა - ნემეას შეჯიბრებათა ალეგორიული ფიგურა.

39. არქესტრატე - ათენელი სტრატეგოსი.

40. სოკრატეს დემონის ანუ ადამიანის სულში ჩაბუდებული გონის (ლათ. გენიუსი - „შემოქმედებითი ნიჭი") თაობაზე იხ. ქსენოფონტი „მოგონებები სოკრატეზე".

41. ღმერთ ჰერმესის ქანდაკებები, ე. წ. ჰერმეები.

42. დადუქოსი - ჩირაღდნის მატარებელი ელევსინის მისტერიებში; ღმერთქალ დემეტრეს ქურუმი;

ჰიეროფანტე - უზენაესი ქურუმი;

მისტე - მისტერიის მონაწილე.

43. იგულისხმებიან ღმერთქალი დემეტრე და მისი ასული პერსეფონე.

44. სიცილიაზე გალაშქრება მოხდა ძვ. წ. 415 წელს. ლაშქრობის ოფიციალური საბაბი იყო ჩრდ. დას. სიცილიის ქალაქის სეგესტას თხოვნა დახმარებისათვის.

45. „სალამინია“ - საგანგებო დანიშნულების ორი ხომალდთაგანი, ათენის პოლისის დავალებათა შემსრულებელი.

46. კორე - პერსეფონე.

47. იხ. შენ. 42. ეპოპტი - „უზენაესი მჭვრეტელი“ ელევსინის მისტერიებში.

48. ევმოლპიდები, ერიკები - ელევსინის მისტერიების მთავარი ქურუმები.

49. დეკელია - ათენის ჩრდილოეთით მდებარე სტრატეგიული პუნქტი. ამ გზით შეჰქონდათ ათენში პური ევბეადან.

50. ლაკონები - სპარტელები.

51. „შავი შეჭამადი“, „შავი წვენი“ - სპარტელთა უბრალო საკვები, რომელსაც პლუტარქე ლიკურგეს ბიოგრაფიაში მოიხსენიებს.

52. ევრიპიდე - „ორესტე“ 149.

53. ფარნაბაზე - სპარსელთა ერთ ერთი სატრაპი პელოპონესის ომის დროს, სპარტელების მომხრე.

54. ნავარქოსი - ფლოტის სარდალი.

55. პირეოსი - ათენის ნავსადგური.

56. ასპენდოსი - პამფლიის ქალაქი.

57. ტროპეონი - დამარცხებული მტრის აღჭურვილობათაგან აღმართული ძლევის ძეგლი (შდრ. ტროფეი).

58. ეფორები - სპარტის სახელმწიფოს მეთაურები.

59. ალკიბიადე ათენში დაბრუნდა ძვ. წ. 408 წელს.

60. სტატოსი, ქსისტიდი - გრძელი კაბები, რომელთაც დრამატულ და მუსიკალურ აგონში ანუ შეჯიბრში ატარებდნენ მსახიობნი.

61. კრიტია - „ოცდაათის ტირანიის“ მეთაური.

62. პრაქსიერგიდები -ქურუმთა ერთ ერთი გვარის წარმომადგენლები. პლინტერიები ზეიმზე მონაწილე ღმერთქალ ათენას ქანდაკებას წყლით რეცხავდნენ.

63. აგისი - სპარტის მეფე (ძვ. წ. 338-332).

64. მისტები და მისტაგოგები - „წმიდა საიდუმლოს“ უშუალო მონაწილენი, რიტუალის აღმსრულებელი ქურუმები.

65. დიდი მეფე - სპარსთა მეფე.

66. კიროსი - დარიოს II ძე; სპარსთა მეფისნაცვალი ლიდიაში, დიდ ფრიგიასა და კაპადოკიაში.

67. გადამწყვეტი ბრძოლა ეგოსპოტამოსთან ძვ. წ. 405 წელს გაიმართა. ათენი ლისანდრემ ძვ. წ. 404 წელს აიღო.

68. არტაქსერქსე - დარიოს II ძე, კიროსის უფროსი ძმა; სპარსთა მეფე ძვ. წ. 405-359 წლებში.

69. ზავის დადების შემდეგ ათენში სპარტის დახმარებით ძალაუფლება გადაეცა „ოცდაათის ტირანიას" (იხ. შენ. 61).

70. ამ „საიდუმლო წერილს" სპარტაში ეწოდებოდა „სკიტალე". ეს იყო კვერთხი, რომელზედაც წერილის ტექსტის შემცველი ტყავის ფართო ზონარი იყო შემოხვეული.

71. ალკიბიადე მოკლეს ძვ. წ. 404 წელს.

გაიუს მარციუს კორიოლანუსი

1. ეს წყალსადენი რომში ძვ. წ. 144/143 წლებში გამოიყვანეს.

2. გაიუს მარციუს რუტილუს ცენზორინუსი ძვ. წ. IV-III სს ის მოღვაწე.

3. ეს სიტყვაა ლათინური ვიტრუს (ბერ. „არეტე").

4. პლუტარქე - „რომულუსი" 13 (არკადიელი იყო ევანდრე).

5. მუხის წვენისაგან ამზადებდნენ წებოს ხის ტოტებზე წასასმელად და ფრთოსნების დასაჭერად.

6. დიოსკურები - ზევსის ძენი: კასტორი და პოლიდევკე (პოლუქსი).

7. იკითხვისი: მანიუს ვალერიუსი.

8. „სახალხო ტრიბუნის" ინსტიტუტის დაწესების თარიღად ანტიკური ხანის ზოგიერთი ავტორი ძვ. წ. 471 წელს დებს (დიოდორე სიცილიელი), ზოგი კი 494 წელს (ლივიუსი, პლუტარქე).

9. მეტსახელის (ბერძნ. ε π ι θ ε τ ο ν ι ο ν, ლათ. c o g n o m e n ის შერქმევა გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთშიც და უფრო მეტად - რომში.

აქ მოგვყავს პლუტარქეს მიერ დამოწმებული მეტსახელები ქართული შესატყვისებით:

ბერძნული მეტსახელები

სოტერი - მხსნელი
კალინიკე - სახელოვანი გამარჯვებული

ფისკონი - ღიპიანი
გრიპე - ცხვირკეხიანი
ევერგეტე - კეთილის მოქმედი
ფილადელფე - ძმის მოყვარული
ევდემონი - ბედნიერი
დოსონი - საბოძვრის შემპირებელი
ლათირე - სირსვალიანი

რომაული მეტსახელები

დიადემატუსი - დიადემიანი, ჯიღოსანი
ცელერი - სწრაფი
პროკლუსი - მოშორებით მყოფი
პოსტუმუსი - შემდეგდროინდელი
სულა - წითელლაქებიანი
ნიგერი - შავგვრემანი
რუფუსი - მწითური
ცეკუსი - ბრმა
კლოდიუსი ანუ კლავდიუსი - კოჭლი

10. ველიტრელები - სამხ. ლაციუმში მდებარე ვოლსკების ქალაქ ველიტრეს მკვიდრნი.

11. ტოგა - რომაელი მოქალაქის ზედა სამოსი;

ტუნიკა - ტოგის ქვეშა სამოსი - კვართი (ბერძნულ ორიგინალში ტოგის შესატყვისია ჰიმატიონი, ტუნიკისა - ქიტონი).

12. ფულს, ჩვეულებრივ, ტუნიკის ქვეშ სარტყელში ინახავდნენ.

13. ორიგინალში დოროდოკია (საჩუქრის, ქრთამის მიცემა).

14. ძვ. წ. 409 წელს სტრატეგოსი ანიტე ათენის ფლოტის მეთაურად გაგზავნეს სპარტელთა ალყისაგან ქალაქ პილოსის დასახსნელად. ანიტემ დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა უამინდობის გამო. ეს ანიტე შემდგომ ფილოსოფოსის - სოკრატეს ერთ ერთი ბრალმდებელი იყო.

15. პ ლ ა ტ ო ნ ი, წერილები, 4, 321 ც.

16. რომის მეფემ, სერვიუს ტულიუსმა, რომის მოსახლეობა დაყო ქონებრივი პრინციპის საფუძველზე 193 ასეულად - ცენტურიად. ამავე მეფის დროს სატერიტორიო ადმინისტრაციულ პრინციპზე შეიქმნა 35 სამეული ანუ ტრიბუსი.

17. მარციუს კორიოლანუსის რომიდან გაძევების თარიღად ძვ. წ. 490 წელს ვარაუდობენ.

18. ამ აფორიზმს ჰერაკლიტეს მიაწერენ.

19. „ოდისეა“, IV, 246.

20. ტენზა, ბერძ. თესსა - ურემი, რომლითაც რომაელებს ღმერთების გამოსახულებანი გადაჰქონდათ ტაძრებიდან ცირკში.

21. „ოდისეა“, XXI, 1.

22. „ოდისეა“, XIV, 178-179.

23. „ოდისეა“, IX, 339.

24. „ოდისეა“, IX, 299.

25. „ილიადა“, I, 188-189.

26. „ოდისეა“, VI, 160-161.

27. საბინები - ტომი რომის ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარე მთიან მხარეში.

28. ვოლსკები რომაელებმა საბოლოოდ მხოლოდ ძვ. წ. IV ს ში დაიმორჩილეს.

შეთანასწორება

1. თუკიდიდე, V, 45.

2. დიონისიოს ჰალიკარნასელი, „რომის ისტორია“, VIII, 2.

3. დიონი - I ს ის სტოელი ფილოსოფოსი.

4. პლუტარქე, „არისტიდე“ VIII და შმდგ.

5. ანტიპატრე - ფილიპე მაკედონელის ერთ ერთი სარდალი, მაკედონიის გამგებელი ალექსანდრეს აზიაში ლაშქრობის დროს.

არისტიდე

1. ექსოსტრაკისმოსი იგივეა რაც ოსტრაკისმოსი - სახელმწიფოდან გაძევება.

2. ქორეგია - სადღესასწაულო გუნდების მომზადება.

3. პანეტიოსი - ძვ. წ. II ს ის სტოელი ფილოსოფოსი.

4. ეუკლიდე - ათენის არქონტი; მისი მმართველობის დროს, ძვ. წ. 403 წელს, შემოიღეს იონიური ანბანი, რომელიც დასაბამია დღემდე ხმარებული ბერძნული ანბანისა.

5. პლატეასთან (ბეოტიისა და ატიკის საზღვარზე) სპარსებთან ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 479 წელს. ათენელთა ლაშქარს მეთაურობდა გაძევებიდან დაბრუნებული არისტიდე.

6. მნა ანუ მინა - ფულის ერთეული (1/60 ტალანტი). კრიტონი - სოკრატეს შეგირდი და მეგობარი.

7. არისტონ კეოსელი - ძვ. წ. III ს ის ფილოსოფოსი - პერიპატეტიკოსი.

8. ესქილე, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ", ტ. 579 შმდგ.

9. კლისთენეს რეფორმის შემდეგ (ძვ. წ. 510 წლიდან) ატიკაში ათი ტერიტორიალურ პოლიტიკური თემი ანუ ფილე იყო: ერექთეისი, ეგეისი, პანდიონისი, ლენტისი, აკამანტისი, ენეისი, კეკროპისი, ჰიპოთონტისი, ეანტისი, ატიოქისი. საგვარეულო ფილეები შეიცავდნენ ფრატრიებს, ტერიტორიული ფილეები - დემებს.

10. დადუქოსი - მეჩირაღდნე ელევსინის მისტერიებში.

11. ლაკოპლუტოსი - „ორმოს განძით მდიდარი".

12. „ქალაქთშემმუსვრელი" - პოლიორკეტეს (მაკედონიის მეფე დემეტრიოსი, ძვ. წ. 294-287); „მეხი" - კერაუნოს (ეგვიპტის მეფის პტოლემეოს I სოტერის ძის მეტსახელი); „გამარჯვებული" - ნიკატორ (სირიის მეფე სელევკე I, ძვ. წ. 312 281); „არწივი" - აეტოს (ეპირის მეფე პიროსი, ძვ. წ. 295 272), „ქორი" - ჰიერაქს (სირიის მეფის სელევკე II ძმის მეტსახელი).

13. ჰიპერბოლე - პელოპონესის ომის დროინდელი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე. მოკლეს ძვ. წ. 411 წელს.

14. ჰომეროსი, „ილიადა", I, 233-244. განრისხებული აქილევსი აგამემნონს მიმართავს:

„აი, რას გეტყვი, თან უდიდეს საფიცარს ვფიცავ;
ვფიცავარ ამ კვერთხს, შტოთ და ფოთოლთ რაიც ვერადროს
ვერ გამოიღებს, რაკი ძირი მთებში დატოვა
და ვერაოდეს აღყვავდება, რაკიღა ცულსა
ფოთოლ მერქანი აუცლია; რაც აწ აქაველთ,
სამართლის მცველთა, ხელთ უპყრიათ, რათა დაიცვან
ზეევსის წინაშე კანონები; დიდ ფიცს მიჰხედე:
დრო დადგება და აქილევსზე დარდი აქაველთ
შემოაწვებათ სათითაოდ; შეძრწუნებული

შენ ვეღარაფერს ვერ უშველი, ოდეს ჰექტორი
მამაცმუსვრელი დაგიხოცავს; სულს დაიწყვნი,
აქაველთ შორის უკეთესი რომ შეურაცხჰყე!"
(თარგმანი ა. ურუშაძისა).

15. ევრიბიადე – სპარტელი, ბერძენთა ფლოტის მეთაური სალამინზე.

16. ქსერქსესთან.

17. ძვ. წ. 479 წელს.

18. სტადიონი – სიგრძის საზომი = 185 მეტრს.

19. კორე – დემეტრე ღმერთქალის ასული პერსეფონე.

20. კითერონი – ატიკისა და ბეოტიის საზღვარზე მდებარე მთა.

21. ჰისიე – ქალაქი ბეოტიაში.

22. აქ იგულისხმება ალექსანდრე I, რომელიც მაკედონიაში ძვ. წ. 454 წლამდე მეფობდა.

23. ჰეროდოტე IX, 46.

24. შდრ. პლუტარქე – „ლიკურგე" 18 და შენ. 34.

25. ამფიარაე – არგოსელი მისანი, კალიდონის, არგონავტებისა და თებეს წინააღმდეგ ლაშქრობათა მონაწილე. ამფიარაეს მისანი – ამფიარაეს ტაძრის ქურუმი – წინასწარმეტყველი.

26. პტოონი – აპოლონისადმი შეწირული მთაგრეხილი ბეოტიაში. ზოგ ხელნაწერში პტოონის ნაცვლად დასახელებულია ტროფონიოსის ტაძარი.

27. ეანტისის ფილე – ატიკის ერთი ნაწილი.

28. ჰეროდოტე IX, 85.

29. ბომონი – საკურთხეველი, სამსხვერპლო სვეტი.

30. სიმონიდე კეოსელი – ეპიგრამა, ფრგ. 107

31. ელევთერიოსი – „თავისუფლების მომნიჭებელი" – ზევსის ეპითეტ-თაგანი.

32. ათასი სტადიონი – დაახ. 180 კილომეტრი!

33. ტეტრამეტრი – სალექსო საზომი.

34. ევკალია – „სახელგანთქმული".

35. მური – „ესე შტახსისა ნაწურთა უზრქესი სუნელი" (საბა).

36. ეს მოხდა ძვ. წ. 476 წელს.

37. კრონოსის ხანა – „ოქროს ხანა" ბერძნულ მითოლოგიაში.

38. ლითონის ნაპრების ჩაყრა წყალში იმის სანიშნო იყო, რომ ფიცი არ გატყდებოდა, სანამ ლითონის ნაპრები თავისდათავად არ ამოტივტივდებოდნენ წყლიდან.

39. თეოფრასტე - ფრაგ. 136 წ.

40. ტროპეონი - გამარჯვების ძეგლი.

41. პლატონი, „გორგია“ 526 ბ.

42. დაახ. ძვ. წ. 476 წელს.

43. კრატერე მაკედონელი - ძვ. წ. III საუკუნის მეცნიერი (ფრაგ 342 12).

44. პაქეტე - სარდალი პელოპონესის ომში.

45. ფალერე (ფალერონი) - ათენის ძველი ნავსადგური.

46. პლეთრონი - 0,1 ჰექტარის შემცველი ფართობი.

47. კალისთენე, ფრაგ. 124 48.

48. პიერონიმე როდოსელი - ფილოსოფოსი - პერიპატეტიკოსი (ძვ. წ. III საუკ.).

49. ძმებმა - არისტოგიტონმა და ჰარმოდიოსმა ძვ. წ. 514 წელს მოკლეს ათენის ტირანი ჰიპარქე.

მარკუს კატონი[1]

1. ტუსკულუმი - ლაციუმის ძველი ქალაქი.

2. ლათინურად ჰომო ნოვუს - „ახალი კაცი“. ასე მოიხსენიებდნენ რომაელები, მაგალითად, ციცერონსაც, რომელმაც სახელოვნებას თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით მიაღწია და არა წინაპართა დიდების წყალობით.

3. კატონის სრული სახელია მარკუს პორციუს კატონ უფროსი - Marcus Porcius Cato Major (Superior, Censorius, Pricus); ცხოვრების წლებია ძვ. წ. 234 – 149.

4. პერსეფონე - ჰადესის ანუ საიქიოს დედოფალი.

5. იგულისხმება 517/516 წელს მომხდარი ბრძოლა კანესთან (ტრაზიმენუსის ტბასთან), სადაც ჰანიბალმა სასტიკად დაამარცხა რომაელები.

6. პიროსი - ეპირის მეფე, ძვ. წ. 272 წელს რომაელთაგან ძლეული.

7. პლატონი, „ტიმეოსი“, 69 დ.

8. ჩვენამდე მოღწეულია კატონ უფროსის თხზულება - ტრაქტატი „მიწათმოქმედებისათვის“ (De afgricultura). მას მიეწერება აგრეთვე რომის პირველი ისტორიის - „საწყისების“ შეთხზვა და აპოთეგმების ანუ სენტენცია აფორიზმების კრებული.

---

1 კატონის თაობაზე იხ. აკაკი ურუშაძე, კატონ უფროსი (საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავზე . თბილისი, 1974, გვ. 211-224).)

9. ეტყობა, აქ ავტორისეული უზუსტობაა. კატონი კვესტორად გაგზავნეს სიცილიაში, სადაც მაშინ სციპიონ უფროსი იმყოფებოდა და ლიბიაში (ე. ი. ჩრდ. აფრიკაში) კართაგენთან საომრად ემზადებოდა.

10. ასსი - რომაული ფულის ერთეული.

11. ჰეკატომპედონი - დიდი ნაგებობა ათენის აკროპოლისზე.

12. კინოსემა - „ძაღლის ძეგლი"; ქსანთიპე - პერიკლეს მამა.

13. პ ლ ა ტ ო ნ ი, „ნადიმი" 215 a.

14. ლ ი ს ი ა - ძვ. წ. V-VI სს. ბერძენი ორატორი.

15. ე ვ ე მ ე ნ ე II - პერგამონის მეფე (197-159 წწ.), რომაელთა მოკავშირე.

16. პოლიბიოსი - ბერძენი ისტორიკოსი, სციპიონ უფროსის მოძღვარი და მეგობარი. აქეა - რომის პროვინცია საბერძნეთში (ცენტრალური ელადა და პელოპონესი). რომაელებმა ძვ. წ. 167 წელს აქეადან რომში გადაასახლეს შეთქმულებაში ეჭვმიტანილი ათასამდე ბერძენი, რომლებმაც გადასახლებაში 16 წელი დაყვეს. მათ შორის იყო პოლიბიოსიც.

17. პ ო ლ ი ბ ი ო ს ი - 19,1.

18. ლაკეტანები - ლაკეტანიის ტომი ესპანეთში.

19. ა ნ ტ ი ო ქ ე III დ ი დ ი - სირიის მეფე ძვ. წ. 223-287 წლებში.

20. პ ლ უ ტ ა რ ქ ე - „ტიტუს ფლამინინუსი", 15.

21. ამფიკტიონია - ძველბერძნულ პოლისთა საერთო კავშირი.

22. კალიდრომონი - ეტის მთის აღმოს. ქედი თესალიაში.

23. ფირმუმი - ქალაქი იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

24. ძვ. წ. 187 წელს სციპიონსა და მის ძმას ბრალად დასდეს ანტიოქესთან ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის მითვისება.

25. ნ ე ს ტ ო რ ი - ჰომეროსის „ილიადას" პერსონაჟი. იხ. „ილიადა" I, 250 და შმდგ.

26. ჰ ი დ რ ა - მითიური მრავალთავიანი ურჩხული.

27. იგულისხმება გალიის პროვინცია.

28. ც ი ც ე რ ო ნ ი - „სიბერისათვის" 12, 42.

29. ლ ი ვ ი უ ს ი, 39, 42.

30. იხ. შენ. 10.

31. ს კ ო პ ა ს ი - საარაკო სიმდიდრის თესალიელი.

32. კ უ რ ი ა - შენობა სენატის სხდომებისათვის.

33. ფილოსოფოს სოკრატეს ცოლი იყო ცნობილი ქ ს ა ნ თ ი პ ე.

34. კატონის საისტორიო თხზულებას ეწოდებოდა „საწყისები" (Origi-

nes). მოღწეულია ნაწყვეტები. თხზულების მოკლე შინაარსი გადმოცემულია კორნელიუს ნეპოტის მიერ.

35. ი ს ო კ რ ა ტ ე - დიდი ათენელი ორატორი (ძვ. წ. V-IV სს).

36. მ ი ნ ო ს ი - საიქიოს სამეფოს (ჰადესის) მსაჯული.

37. ლ უ ც ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს ლ უ კ უ ლ უ ს ი, კ ვ ი ნ ტ უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს პ ი უ ს ი - ძვ. წ. I საუკუნის რომაელი სარდლები.

38. ძვ. წ. 152 წელს.

39. ლათინურად: „Ceterum cenceo Carthaginem esse delendum", „მე მაინც ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს".

40. რომსა და კართაგენს შორის ომები (ძვ. წ. 264-146), რომლებიც პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ე ბ ი ს სახელითაა ცნობილი, სამ ეტაპად მიმდინარეობდა (I - 264-241, II - 218-201, III - 149-146).

41. ჰ ო მ ე რ ო ს ი - „ოდისეა" X, 495: აქ იგულისხმება მისანი ტირეზია, რომელიც კატონმა სციპიონს შეუდარა.

42. აქ იგულისხმება კ ა ტ ო ნ უ მ ც რ ო ს ი ანუ უ ტ ი კ ე ლ ი.

42. ჰ ე რ ო დ ო ტ ე, IX, 64.

44. აქ იგულისხმება ჰ ე ს ი ო დ ე ს დიდაქტიკური პოემა „სამუშაონი და დღენი".

45. „ოდისეა" XIV, 222.

სარჩევი

თემისტოკლე.....5

კამილუსი.....39

ლუკულუსი.....81

ევმენე.....141

სერტორიუსი.....165

ტიბერიუსი გრაკხუსი.....197

გაიუს გრაკხუსი.....221

ალკიბიადე.....239

კორიოლანუსი.....281

არისტიდე.....325

კატონი.....359